

114
1964 1/2

71
114 1/2



2650760

— 7961 —

5

მნათობი



ქრეველთმეიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 41-ე

№ 5

მაისი, 1964 წ.

საქართველოს საბოთსა მწერლების კავშირის ორგანო

შ ი ნ ა კ რ ს ი

9408.

რევაზ მარგიანი — წიგნიდან „ცხრამთას იქით“. ლექსი	3
დევიან გოთუა — ლექვი ლომისა. რომანი, დასასრული	5
ოთარ ჭილაძე — ციტიკი. პოემა	28
ჭემალ ჭარჩხაძე — ისტორიული რომანი. მოთხრობა	32
ვარლამ ჟურული — ლექსები	46
თეიმურაზ ჭანგულაშვილი — შეხვედრა პანკისის ხეობაში	43
დავით კვაციარიძე — კაცის სიტუაცლე. მოთხრობა	49
გიორგი გუბლია — ორი ვაზის ზედი. ბალადა. თარგმანი აფხაზურიდან შ. აკობიასი	58
რევაზ ჭეიშვილი — მთვარიან ლაიით. მოთხრობა	61

პ რ ი ბ ი ა

ბესარიონ ფდენტი — აკაკი ბელიაშვილი	65
შალვა აფხაიძე — სანდრო შანშიაშვილის პოეტური შემოქმედება	95
რევაზ თვარაძე — რა ენა წახდეს	105
პლატონ ბულია — ეტბელი პოეტი ნიკოლას გილიენი	131

მ ე მ ე რ ი ა

გ. ლომთათიძე — ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მთხრელი არქეოლოგი	136
---	-----

ნ ა რ ა კ მ ე ნ ი

დიურდ რადო — თეთრი ლამეებიდან წაე ზღვამლე. თარგმანი გიორგი ნიშაქაძისა.	149
--	-----

(იხ. მეორე გვ.)



ნ. შველიძე — ერთი მომენტი 1905 წლის რევოლუციისთან ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების ისტორიიდან 167

მომონება

ნინო ტაბიძე — ტიციან ტაბიძის მეგობრები 166 ✓

წიგნების მიმოხილვა

ოტია პატიკორია — შენიშვნები „ეპიკრიზებში“	177
გიორგი დოლიძე — კუბა — საბჭოთა მხატვრის თვალთ	181
გურამ ბათიაშვილი — ოცნების უკვდავება	183
ნოდარ ნაკაშიძე — ახალი ნაწროში საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიიდან	184
გივი ლომიძე — ზურაბ ლორთქიფანიძის ახალი ლექსები	187
შალვა რადიანი — პეტრის ნააზრევი ლიტერატურასა და ხელოვნებაზე	188 ✓
ნოდარ რუხაძე — „ანა ფრანკის დღიური“	191

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

პ/მგ. მდივანი: ვ. წულუკიძე

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეზარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
 ე. მადრაძე, ბ. ფლენტი, ა. სულაკაური, ა. ქუთათელი, ე. ყიფიანი,
 ს. შანშიაშვილი, გ. ჭიბლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 63, ტელეფონი 7-18-42; 7-11-68.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 10/V-64 წ. ქალაქის ზომა 70x108. ანაწყობის ზომა 7 1/4 x 12 1/4. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობები ფორმათა რაოდენობა 16. უე 04307. ტირაჟი 6100. შეკვეთა № 961.

საქ. კვ ცკ-ს გამომცემლობა, სტამბა № 1
 Издательство ЦК КП Грузии. Тип. № 1

რეპეზ მარხიანი

წიგნიდან „ცხრამთას იქით“

1968 წლის მიწურულში, მეგობარ მწერლებთან ერთად ბელგიაში და ლუქსემბურგში ვიმოგზაურე. დეკემბრის ერთ სუსხიან დღეს, ულანდრიიდან გამგზავრების წინ, როცა ქალაქ ანტვერპენის დათვალიერების გეგმა ამოიწურა, რომელიღაც თანამგზავრმა ისურვა ენახა ანდერსის განთქმული, გვებერთელა ზოოლოგიური ბაღი. შემთხვევით მეც მოვხვდი მნახველთა შორის. თოვდა. ზელოვნურ მღვიმესთან შევხვდი კავკასიურ, ჩვენებურ ქართულ ჭიხვს... და ეს ლექსი დაწერე:

შენ აქ რა გინდა?

შენ აქ რა გინდა, თვალს მეჭეუფრება,
თოვაში დაღლილს არ მესვენება.
როდის დაქარგე თავისუფლება
კავკასიონის ლაღო მშვენებავ?!

მე კარგად მახსოვს იყავ ამოყი,
ფეხმარდი, სწრაფი, მხნე და
დიდგული.
მხოლოდ რძე იყო შენი ბალახი
ყინვარის სუსხით გადაფიფქული.

შენ ტყვე ხარ ახლა... განა ტყვეობას
და დამონებას ვით ურიგდები,
გადაიფიწყე თერგის ხეობა,
თუ იქით ჰქრიან შენი ფიჭვები?

იქნებ წყურვილი გკლავს
მთა-გორების,
თავს გეხვევიან უცხო ბავშვები...
შენ ხომ მზეს რქებით მიაგორებდი
და ლამით მთვარეს ათამაშებდი?!

მითხარ, რად გახდი ბედის მორჩილი
ოდესღაც ჩქარი, დაუდგარი.
არ გენატრება ტყე აქორჩილი.
მეავეწყლიანი ჩვენი კლდეკარი?

რა იქნა შენი მუხლი მაგარი,
რომ კლდიდან კლდეზე გადაიგრგვინო.
მზის შესახვედრად ცაზე დამდგარო,
კავკასიონის მთათა გვირგვინო!

გული რას ამბობს... გული—
ბედკრული,
შორს დაგრჩა შენი ძვალშასალაგი,
არ გენატრება შენი ენგური,
არ გენატრება შენი არაგვი?

გამოიგლოვე თავისუფლება
და ნუთუ მართლა არ გენატრება?
იქნებ მზადა ხარ, შავ-შავ
ღრუბლებზე,
კავკასიონზე გადასაფრენად!

შენ დალის მიერ ხარ მონათლული,
შენს სივალაღეს როგორ ვუმღერო.
სამშობლოსაგან გადაკარგული,
ცას მოწყვეტილო ციციკნა ღრუბელი!

ბევრი კლდე დაგრჩა, ბევრი ნაპრალო
უშმის კალთაზე გაუხლეჩაგი...
ვაი, რომ ჩემს წინ დგახარ საბყარი,
გარინდებული, სუსტი, ბეჩაგი.

იქნებ ეს თოვა შენს გულს ახარებს,
 თოვაში ხარობს ხშირად ოცნება.
 იქნებ მისთვისაც თვალი დახარე
 მოგონებათა გასაცოცხლებლად.

საქართველოში მივალ ხვალ დილით,
 გადავიღალე ამ ორ კვირაში,
 ცხრაჯერ მეჩვენა დედის მანდილი,
 ცხრაჯერ ვიხილე უშბის მირაჟი.

ობლობას გული ვერ შეეჩვია,
 რამ შეგიცვალა მაინც ბუნება?
 შენ მონადირის ტყვია გვრჩია
 ასეთ სიცოცხლეს, დაუძღურებას.

თოვს უცხოეთში... უფრო თოვდება,
 ვნადვლიანდები ასეთ თოვაში.
 უნდა დაგტოვო. შინ მელოდება
 ჩემი შხელდა და ჩემი გორვაში.

შენ ალბათ სიზმარს ნახავ, ამ დამიჯ
 გულჩათხრობილი დაინდობი...
 თანდათანობით მწარე ბალღამით
 აივსებიან შენი სიზმრები.

ჩემი თვალეზი მოგაგონდება
 ნაპერწკლიანი ფიქვის კვარივით...
 როგორ დამებნა მოულოდნელად
 შენთვის გაწვდილი პეშვი მარჩილი.

ეს რანაირი სევდა შემყარე
 და სული ქარებს გააწეწინე.
 თვალეზზე ცრემლი რად გაქვთ
 შემკრთალი
 სამშობლოსაგან გადახვეწილებს...

სიცოცხლე არ ღირს თუკი უღელი
 ქედზე არ გადგას შენი კლდეკარის,
 თუ შენი ქვეყნის მზეს არ უცქვრი,
 თავისუფლებას თუ არ შეხარი.

ღვანე გოთა

ღებვი ღობისა*

15

დილას, არც თუ ადრე, ამოიარა ტურ-ბაზის ავტობუსმა. წინ დასაჯდომები იყო, უკან საბარგო.

ახლა შიგ მხოლოდ თმახუქუქა, მუდამ გაღიმებული მძღოლი იჯდა და ხელმარდად მართავდა.

— ოღონდაც... წაგიყვანთ, მაშა! ამ ზამთარში შორეული ტურისტები აღარა მყვანან და მგზავრები მშა!

ნათია და გაგა, მზად იყვნენ. ახალნადული და ნაზავი სითხით სავსე სასხურების გარდა მიჰქონდათ თოფი და ერთი წყვილი თხილამურები, სავსე მათარა სანთელ საკმელის სურნელით, ხელშახპუნა, —სანთლის საგოზავი და ერთი ხელნათურა. ამ ჯერად მიჰყავდათ შავბროლაც. ნათიამ თავად აუშვა მათ წასვლის დროს შეწყვეტუნებული ძაღლი, რითაც მყეფარისა და მისი პატრონის გული ერთხელ კიდევ მოინადირა.

— საახალწლო სუფრა გაშლილი მექნება, არ დაიგვიანოთ!—დააბარა წვერწიორამ,—ნათო-ნათია, გაგას თქვენ გაბარებთ, მაგას ტყეში, დროის გრძნობა ჰღალატობს, დღესა და ღამეს ვეღარ არჩევს! ეს დიდი ნაკლია, ჩვენს დროში მაინც... მით უმეტეს, ახალგაზრდისთვის!

გაგამ კი ბევრი იცინა: — ღრუბელს რომ ნისლი მიაბარო, ასეთი საქმეა! ამ ქალბატონს მხოლოდდამხოლოდ ეს ნიკი აკლია... ამაზე არის ჩენი დავა!

— „მხოლოდდამხოლოდ!“ — გამოავაგრა ნათიამ,—დახე ამასა, ტყეში რა

კუდმომწვარი ქათინაურები უსწავლია! არ ვიბარებ, არა!—გასძახა დათოს და ცალკე დაჯდა.

გაგას შავბროლაც ამოჰყვა მანქანაში. მძღოლმა კარი გამოიხურა და მანქანა დასძრა.

სოფელზე რომ აიარა, ხუთიოდ ტყის მუშა დახვდა.

მოდით, ჩამოლაგდით ჭობისხეველე-ბო! განა მარტო ტურისტებისთვის მაქვს ეს ქოსსამკითხველოსავით ავტობუსი! კარი ისევ გამოაღო და მანქანა დაამუხრუქა, მაგრამ მათი „ჩამოლაგებისას“ ერთიც ღიმილიანად დაუტატანა მოჯრილ მგზავრებს.

—რა ცულებით შემომესიეთ, მეც ხომ შეწამლული ნაძვი არა ვარ!? თანაც ჯერ მოხუცი გამოატარეთ! ტყეში ხომ არ გაიზარდენით!?

—რას ერჩი ხუქუქ! ზრდილობა ახლა ტყეში უფროა შემოფარებული!

— ზალიკოდალა, შენ ხარ? მობრძანდი...

მანქანაში პატარა ტანისა, მაგრამ დიდ კაუჭა ცხვირისა და ულოს ოდენა უღვაშების პატრონი მოხუცი შემოვიდა.

—მე ვარ. მე... სანამ კოდალებისა იყო ეს ტყე—მეც ზალიკოდალა ვიყავი, ახლა ციყვებისაა და მეც ძველ ნათლობის სახელზე—ზალიკოზე უნდა მოვდგე!

—ახლა ვითომ ცხვირი მოგქამეს ციყვებმა?—კბილები სულ დაკრიჭა ხუქუქამ.

— ეგ ბარემ მეც მერჩივნა და ტყე-საც!

* დასასრული. იხ. „მნათობი“ № 1, 2, 3, 4.

გაგამ ხელი ჩამოართვა კაფანდარა მოხუცს.

— ხომ ძველებურად ბრძანდები, ძია ზალიკო?

მოხუცს სხეებიც შემოჰყენენ და ვიდრე არ დალაგდნენ და მანქანა არ აიძრა, მას პასუხი არ გაუცია. ამასობაში სოფელსაც გასცდნენ და ხელად ტყეში, მივით-მოვითით შეკამარდა გზა.

— მე კი ვარ... გაგა-პატივეცემული... მაგრამ ტყე კი ვეღარ არის ძველებურად! ერთი, ადგილის მოხუცებსაც გვათხოვეთ ყური, მეცნიერებო!

— ოლონდაც!... გვრჩიეთ რამე! განა მართო მეცნიერებისა... ტყე ყველას თავსატეხია!

— ერთს გეტყვით, მხოლოდ ერთს... და ნუკი მიწყენთ შვილიშვილებო, სწავლულებო!... ტყეს ნუ გვოღუბავთ! ბუნებამ გააჩინა ჭია და ისევ ბუნება თუ უსაშველებს ტყეს!... ბოლოს ბარი — ბარში გამოიყვანს! ჩვენ კი ხელებს ვაფათურებთ ტყის გულ-ღვიძლშია და მის საერთო შეხმატბილებას ვარღვევთ, სულ ბოლოს კი ჩვენი ფხა — ცული და ხერხი გამოდის... გულის სიბრძნე კი გვაკლია! ტყე ნებიერი მოხუცია და მე მოხუცების მეტს არც არავის შეეუშვებდი ტყეში! ახალგაზრდებმა ჭერ არ იცით მისი ყადრი! ისევ ბუნებას ვაცალოთ... ის თავისას გაუჩენს ტყის ჭიას!

გზისპირა ნაძვები მანქანის გატეხილ სარკმელზე ჰყოფდნენ ტოტებს.

— ვიცე სად უკაკუნებ, ზალიკოდალა! მაგრამ ასეთ თვითღინებას ვერ მივანდობთ ჩვენს საუნჯეს, ჩემო კეთილო! სახუმარო საქმე არა გვჭირა!

— მიანდეთ! მიანდეთ უკეთილესო! თავი მიანებეთ, ეს ჯობია ასეთ წამლობას! სურდოს შეყრილს ახლა ცხვირში ამოვუდინოთ სული? რა მორჩენას! სწვაეთ და დაეხსენით, შავი სახადი აკმარეთ! თავად მოიხადოს, თორემ ჩვენ ახლა, ამ ავად მომრავლებულ ციყვის წელიწადში, უფრო მეტი ნაძვი გამოვკაფეთ, ვიდრე მთელი ჩემი, არც თუ მოკლე სიცოცხლის განმავლობაში! სულ

ცოტა ასი წელი მაინც უნდა ამის აღდგენას! ახლა ვიხუმროთ!

— ჩვენ კი გვეყოფა ტყე... ხა ჭერა ახალგაზრდამ... — სახუმაროთ არა გვცალია!

— შენ ის თქვი, რომ ჭკუა გეყოს! — ცალი უღვაში მოუქნია ბერიკაცმა, — აბა ერთი გონების თვალით გახედ-გაზომეთ! გაარჩიეთ მრული და მართალი! თორემ, თქვენს ხელში, ბერიკაცს რომ ჭკუა შერჩება, მერმე უნდა იხუმროს!

— არც ასეა, ზალიკაც, ვარჩევთ! — გულის ვარეშე შეედგვა გაგა. მაგრამ სოფლელი ახალგაზრდები, რომელთაც, ჩანს, მობეზრებული ჰქონდათ ზალიკას შეგონება, კვლავ ახმინდნენ, აღარც დაერიდნენ.

— კარგი, ნუ აგვიკლი ტყე შეშა და მორჩა! ისიც მოძველებული საწვავი!

— ახლა ტყიდან გამოგვაგდე, პაპა ზალიკაც!

— ესაო და გრძელი ცხვირი და უღვაში მაქვსო, წლოვანობითაც უხუცესი ვარო და პირდაპირ რომ გვითხრას, არაფერია! სულ ხუმრობაში გამოგვეკოლავს ხოლმე ეს ცხვირ-უღვაში!

— გრძელ-უზრდელა ენას, დიდი ცხვირი კიდევაც ჯობია, ბიძიკო! ტყეს რომ ენა ჰქონდეს, თვითონ იტყოდან! მაგრამ გულ-ღვიძლი აქვს და ენა არა! მუნჯი ბერიკაცივით არის! რასაც თვით გვაძლევს ის უნდა წამოვიღოთ! ტყეში შეშაც არის, მაგრამ ტყე კი არ არის შეშა... ტვინგაშეშებულო! მიწის სიმღერაა, ათასწლობით შეწყობილი, ნამში გაჩენილი, სხივში ამოსული... ქვეყნის დასაბამსა და აკვანს მე ტყეში ხვრახა! ჩვენ კი ყელში ვწვდით! ხეს ხომ ყელი ქვევით აქვს... იქ, სადაც ადამიანს კოჭები! და სწორედ აქ სწვდა ჭერ ხოჭო, მერმე თქვენი შხამი... მერმე ამათი ცული.. დაიხრჩობოდა, აბა, რა მოუვიდოდა! ერთი, ბიძიკოებო, გაჰხედეთ გზისპირა ნაძვებს! ნიშანი უნდა დაინახოთ, ნიშანი! ბორჯომის ხეობა — საქართველოს შუაგულია! ეს ტყე კიდევ — მისი უღვაში!

გაგა უკვე გაიტაცა ამ „ცხვირ-უღვა-

შა“ მოხუცის დინჯ-ხუმარა საუბარმა, კილოც აუწყო:

— უღვაშისა არ ვიცი და ბორჯომის ხეობის ორი ნიშანი ვიცი—ვეძა და ნაძვი!

— ახლა კი ყვიცი და ციყვი!—ხელად მიუსადაგა ზალიკამ. მანქანაში სიცილი გახშირდა. მაგრამ სიცილს უღარდელა ღიმილი უკვე აღარ გააჩნდა. გზისპირა კი მართლა ყვიციანს ჰგავდა.

ვაგამ თავი ჩაპლუნა. არც იგი და არც სხვები აღარ ედავებოდნენ ჰობისხვეულ მოხუცს, მაგრამ მოხუცი აღარ ცხრებოდა.

— მე ტყის გლეხი ვარ შთამომავლობით... ეს ტიალ-დალოცვილი თავს მირჩენია. არც ტყესთან და არც სოფელთან უტყვირპიროდ ვერ ჩავითვლები.

— ვერა! ვერა! ზალიკოდალაე! მავაში რომ ჯილდოს აძლევდნენ?! კვლავ ახშირდნენ სოფლის ახალგაზრდები.

— არც მაგაში და არც ტყის კაფვაში ჰკუთმხიარულებო; თქვენც არავინ მოგცემთ ჯილდოს და სახელს! — ახლა მეორე უღვაშ-მათრახი გადაჰკრა მოხუცმა, მერმე ისევ თავისი განაგრძო, — ჰოდა, სწორედ ეს ცხვირი გადამეხება, მოკრილ და მოუტრელ ნაძვების ყნოსვაში! გაგა-მწყალობელო, ყოველი თქვენი კარგად შეწამლული ნაძვი უკვე გამხმარია, ან ახლა ხმება... ბევრი კი უკვე მოკრილიცა და მომრავლებულ შუროვებზე გადაშვებულაც თქვენი კი ჯერ კიდევ დაობთ.

ეს ციყვებიც ვაგლახად მოამრავლეთ, მეცნიერებო! მადლიანი სამშობლო გვაქვს და აქ მოსული ხოქოც, ციყვიც და კაციც კარგად ეგუება აქაურობას! ჩვენც მოვკვიანდით, წინად შემოსეული მტერი გვიკაფავდა, გვინადგურებდა ხეხილსა და ტყეს, ახლა აღარავის ეაცლით, ჩვენ თავად ვითბობთ ხელებს აქ „მოძველებულ“ საწვავით!... ტყესაც თავად ვკაფავთ და ვლაშქრავთ და განა მარტო ტაშისკარს აქეთ! საქართველოს ტყეებში ახლა თურმე ყველგან ტაშისკარია! ლაფნიჭამიებისა და ტყეჭამიების შემოსევაა და, ვაგლახ, რომ ტყის არც დახიზნა შეიძლება, არც გამოარაზ-

ვა! მით უფრო ახლა, როდესაც ტყეში ასეთი მანქანები შემოაგვრდნენ!

ნიკოლოზი

ნათია გასუსული უსმენდა მოხუცს. არც ერთი სიტყვა არ გაუშვია გულის მიღმა. ბოლოს შეეკითხა კიდევაც. დაკვირვებულად, განზრახ ისეთივე კითხვა მისცა, როგორც გაგას გზაზე. პასუხს ორ თაობაში ამოწმებდა...—მამ დაღუპულა ბორჯომის ტყე?

მოხუცმა თავი იბრუნა, მხოლოდ ახლა შენიშნა ქალი და გაუკვირდა.

— არა, ტურისტია არ ვარ!—ფიქრის კვანძს დაასწრო ქალმა.

— გულთმისანი კი ყოფილხარ, შეილიშვილო! ჰოდა, ბიძიკო, არც ტყე და არც ერი აგრე ერთბაშად არ იღუბება!... კნინდება კია! მაგრამ ძალას იმახვილებს!

ნათია განცვიფრდა. მოხუცის პასუხიც ზედმიწევნით ემთხვეოდა გაგას პასუხს... „ნუთუ იმედი და რწმენა ამათია და მე მხოლოდ „დაკინება“ მრჩებოდა წილაღ!?

ქალი ახლა სოფლის ახალგაზრდებს მიუბრუნდა...

— ძალიან კი მოგვდგა ტყის პაპა, თანატოლებო! ყველას მოგვხვდა! ჩვენცა და მეცნიერებსაც! ერთი გულახდილად სთქვიით—გჯერათ თუ არა მისი?

— ვიცი, რომ მართალია, მაგრამ მაინც არ გვჯერა!—წამოიძახა ქერა ახალგაზრდამ. სხვებმაც თანხმობის სიცილი ააყოლეს,—მაინც წინააღმდეგნი ვართ!

ნათია სულ დააბნია ამ პასუხმა, გაგას გადაჰხედა, თითქოს მისგან ელოდა ახსნას. მასაც ზომ თავი დიახაც დასაცავი ჰქონდა.

— მეცნიერებმა რაც შეცდომები დავუშვით, ისევ ჩვენვე გამოვასწორებთ! ტყე კი ობლად ჩვენში სულ არ ითქმება! ისე კი, ცხოვრებაში, დიდმა უმრავლესობამ უფრო ვიციით—რისი წინააღმდეგი ვართ, ვიდრე ის—რა გვწადს, და მით უფრო რა გვჭირდება!

ნათია ხელად მიხვდა, რომ მასაც უკაქუნებდა ვაგა. ეს მოხუცმაც იგრძნო,

უყოყმანოდ მიიღო კიდევაც, ახალგაზრდებს თვალი მოავლო:

— კოდალობა, ძმაო და შვილიშვილო, შენ უნდა გადმოგილოცო თურმე! მაგ სიტყვაში მართალიცა ხარ! პურისა, წყალისა და სამშობლოს იქით, „არ მინდა“ ყოველთვის დასჯაბნის „რა მინდას“!

ნათია გრძნობდა, რომ გაგა ნათქვამში, მას უფრო და უფრო ჰპაძავდა, მიხეზურად ახვევდა სიტყვას, მაგრამ ყოველთვის უფრო ღრმა და მოქმედი გამოსდიოდა... და სწორედ ნათიასავე წინაღმდეგ, მაგრამ ამ წინა თაობის ტყუილს—ზალიკოდალას დამიხედეთ... ჯერ ტყავი გააძრო ვაგას და ახლა „კოდალობას“ აბარებს! ნართაული სიტყვის დახვევა ნათიასი იკითხონ.

— ცხოვრებაც უთავბოლო წიგნივით არის—მთავარი ის კი აღარ არის, რაც უკვე წაკითხულია და ახალგაზრდა ქორწორზე თუ ქაღარა უღვაშზე დახვეული, არამედ ის, რაც ჯერ კიდევ წასაკითხავია!

— თუ საქმეში გამწევია—გეც მართალი გეიტხრა!—უღვაშებზე ხელი ვადაისვა, თითქოს ახალი სიბრძნე ზედ დაიხვია ზალიკოდალამ. ვაგამ კი მხრები აიჩეჩა და უკვე „კოდალურად“ განკერიტა საქმე:

— ჩანს, თითო ხოქო ჩვენ ყველას გვიხის და საერთო ბრძოლა ჯერ საკუთარ ხოქოს ძლევიტ უნდა დავიწყოთ!

ხუჭუჭა მძლოლმა კი უსმინა, უსმინა და ხელი ჩაიქნია...

—მე თქვენი საუბრისა ვერაფერი გავიგე! ამ მანქანით კი ყველა ერთად ტყეში მივალთ!

— ვერც ჩვენ! ვერც ჩვენა!—შესძახეს ახალგაზრდებმა. სიცილ-ხარხარი კი ყველას ერთიანი და გულწრფელი გამოუვიდათ.

დაბაძველთან ქობისხვევლები ჩამოვიდნენ. წავიდა ზალიკოდალაც, მაგრამ მისი ნაკაქუნევი ღრმად ჩარჩათ ნათიასაცა და ვაგასაც, ჩანს, ახალგაზრდა მძლოლსაც:

—ვაგას რომ სწავლა მისცა...

— სწავლა ახალგაზრდას უფრო სჭირია, რაც უნდა ნიჭი ჰქონდეს! ნათიამ ხელად ისუსხა გავას ცხვირული, მაგრამ ვაგას რომ ვეღარ მისწვდა, შეებროლას დაადგა ფეხი კულზე და ააწყებუტუნა, მერმე თავად შერცხვა: „ნუთუ მეც ვტყუარდები ტყეში?“

ირგვლივ კი ცვლილება მოხდა. ტყეთაშუა თხემზე გავიდნენ. აქ თოვლი მზეს მალევე დაებუქნა და ნაკადულებად აეჩხრიალებინა. ვანზე დარჩა უძველესი ნასოფლარი, დანგრეული ტაძარი და ჩაყინული მცირე ტბა.

მანქანა ახლა ჰყავა-ჰყუპით მიიკვლევდა გზას.

მეკოგეთა მიტოვებული ქოხების იქით ისევ ტყე ადგა კედლად.

— ეს კი უკვე ჩემი კორომია!—შემხიარულდა ვაგა, მაგრამ ნათიას წელანდელი კბილის გაკვრა კიდევ ახსოვდა ტყბილდომლიანად ჩაუწიწაკა:

— მაშ აქაური შემასავით დაწვი შენი დისერტაცია!?

ვაგამ მოჰხედა. ქალს თვალები უციწოდა, ტუჩები კი ჩამკაცრებული ჰქონდა.

— აქაური... და იქნებ სხვა რამეც დავწვა!

ტყეში მიუუყული ტურბაზა გამოჩნდა და მის უკან უეცრად დიდი ტბა აელვარდა. ქალს თვალები დაუციცდა...

— მეორე რიწია!?

— არა, პირველი კახისი!

ტურბაზაში დარაჯი არ აღმოჩნდა, მაგრამ არც კარი იყო დაკეტილი.

— ციყვებზე იქნება გასული!

ვაგა მძლოლს მოეხმარა, კარები და სხვა საქურველი მანქანაში ჩაადებინა.

ქალი ნაპირზე გავიდა და თვალმოკუტულად უმზერდა ტბის ალაპლაპებულ ლაქვარდს. ჯერ გაუყინავი წყალი თოვლა-წიწვა ბუდეში უმზრახად იჯდა.

შე კარგა ჩახრილიყო სადილობისკენ. ვიდრე სითბო იყო, ვაგამ იჩქარა, მანქანა წავიდა თუ არა, ნათოს გაუარა და უმაღვე შევიდნენ ტყეში.

ვაგას ყველაფერი ერთად მოჰქონდა, ახალი ემულსით საესე სასხურებელი,

თოფი და ჭერ მხარზე გადადებული თხილამურები.

სამლოტრიანი მათარა „სანთელ-საკმელის“ ნაზვისა ნათიამ დაითავისა, მხარზე თასმით გადაიკიდა და, მიუხედავად მიუჩვეულობისა, არასგზით აღარ დასთმო. მასვე მოჰქონდა ხელშახაუნა და საგლესი.

ტბას დაუარეს და მალლა, ტყიან ქედქედ გასწიეს.

გაგა ჩრდილნაკლებ, მეჩხერ ტყეს არჩევდა, მზის გულზე ხუთი გრადუსი სითბო რომ მაინც ყოფილიყო.

აქ უკვე კარგა დიდი თოვლი დახვდათ. ქალი უკან მიჰყვებოდა გაგას, მაგრამ ფეხს ურჩად არ უწყობდა წინმავალს, მიუხედავად იმისა, ან სწორედ ამიტომ, რომ გაგა ცდილობდა მცირე ნაბიჯებით სვლას. ნათია გაუკვალავ თოვლს არჩევდა. მაგრამ უჩვეულო სვლამ მალე მოჰლალა და ფეხმა თავისთავად გაგას კვალი მოანახვინა, ააყოლა.

ქალი უკვე კარგად იცნობდა გაგას ზურგს, მაგრამ აქ ზურგი გაცილებით უფრო მალალი და სასხურებელმოკიდებული აღმოჩნდა. ნათია იმანაც გააკვირვა, რომ ქალაქში ბაჭბაჯით მოსიარულე გაგა, აქ—დატვირთული და შეხუნზლული, ტანურხევად და მოქნილ სიმტკიცით მიაბიჯებდა, ყოველ მიმოხვრაში, ფარულლომური მედიდურობა და უღრეკობა გამოსჰქვივოდა.

„ლეკვი ლომისა“! — გაიფიქრა ნათიამ და მამის უკანასკნელი წერილი მოაგონდა... „არა, მაინც—იგია, თუ მე? მე, თუ იგი? ლეკვი ლომისა?“

კარგა ხანს ასე უტყვად მიდიოდნენ, აღარც მოტოციკლის გაბმული გუგუნის მოსდევდათ და უშლიდათ, აღარც ნიადაგის რხევა და ძიგძიგი. პირიქით—სრული დუმილი სუფევდა ირგვლივ. მზის გულზე თოვლიც უხმოდ ითელეზობდა. შავბროლაც შორს განზე, ტყეში ჩაქარგულიყო.

ასე ერთად მარტონი, შორს ყველასაგან, ისინი არასოდეს არა ყოფილან. ქალმა ახლა კი თავად იგრძნო, რომ ქალაქში მარტოობა მარტოობად არ ჩაითვლება. იქ კედლებიც გამჟვირვალეა და

ქუჩის ხალხიც თითქოს შინაა. აქ კი სიჩუმისა და გამჟვირვალე სიკვრივეს თუ ტყის კედელი სრულ მარტოობას ამეფებს ირგვლივ. ქალი საოცრად ლელავდა და მყისვე წყნარდებოდა. და ეს ლელვა—დაწყნარება მრავალ სხვადასხვა ხილვას უქმნიდა და უქარწყლებდა...

უეცრად მოელანდა, რომ მისი სამყარო მოსდევს.... დაბამბულ ბილიკზე მისი ტკინები მოდიან, დაბამბულ ნაძვებს შორის როცა ჩაუბამთ... იქ, ქვევით, ტბა კი არა, დიდი სარკეა! ზევით მზე კი არა—ათასსანთლიანი ნათურაა, ხოლო ირგვლივ ყველაფერი მისი შეთხზული: წერილები, ნახატები, ნაძერწი. ახალმონა კაბებიც კი შემოსევიან... და იგი—შემოქმედი, კი არ მიღის, არამედ დგას და მისი ქვეყანა, მის გარშემო ბრუნავს!

ქალი ჩამორჩა. გაგამ უკლო სვლას, უმცირა ნაბიჯს.

— მე არ მქირდება შენი შეღავათები! განა მართლა მიმცხრალი ლეკვი ვარ!—დაეწია და შეუტია ნათიამ, — ახლა უკვე ვიცი, ვყოფილვარ „უამოცანო ადამიანი“, და მორჩა!

— ეს როგორ „უამოცანო“? — მობრუნდა გაგა, — დიდი ლტოლვის გარეშე!

— ყველა დიდი ამოცანა ამოხსნილია და მეტი აღარაფერია გადასაწყვეტი!

— კი მაგრამ...! — შეძლებისდაგვარ, ქალის კილოთი წამოიწყო ვაჟმა, ხმით „წინწყლებიც“ კი გაუყეთა ნათქვამს, — „თქვენ თუ იტყვით, რომ ერხელ და სამუდამოდ იპოვნეთ ყველაფერი, მაშინ, თქვენ არამცთუ გიპოვნიათ, რაღაც არსებითი დაგიკარგავთ კიდევაც!“

— ჩემი წერილი! ასე ზეპირად განსოვს?

— გულდასმით წაიკითხე იმოქმედა, ჩამრჩა გულში, მაშასადამე, მახსოვს! მაგრამ შენ რატომ არ განსოვს, შენ? — გაგამ ერთიც შეჰხედა დაბნეულ ქალს, მოტრიალდა და აღმასკლა განავრძო... საუბარიც...

— შენ ცხოვრება მართლა ამოცანების კრებული ხომ არ გგონია, აი გამოიყვან განტოლებას და ყველაფერი ცხა-

დი გახდება! თავისი ცხოვრების უდაბ-
ლესი თუ უმაღლესი მათემატიკა ყვე-
ლამ თავად უნდა აკეთოს! ჭერ მთავარი
ამოსაცნობიერ მიაკვლიოს და ამოხსნას
კიდევაც. ზოგი ჩვენთაგანი კი წინა თა-
ობების ვაკეთებულთ კმაყოფილდება!

— პირიქით — ვერა!

— ან ვერა... ჩვენსასაც ვერაფერს
ვერ აკეთებენ...

— ან არა...

— ან არ აკეთებენ და მით უარესი...
არას—ვერა, დიახაც სჯობია!

— ჩემთვის ეგ სულერთია, ამაშია ჩე-
მი სიძლიერე და ბრძნული დასკვნაც...

— შენ მუდამ მისხლტები, პარადოქ-
სების უკან იმალები, მაგრამ სირაქლე-
მას ცნობილი „სეოფის პარადოქსი“ გა-
მოგდის!

დიდ, გვერდღაზიანებულ და ძირგა-
მოშიშვლებულ ნაძვთან, ქვის ლოდზე
მკირე წყარო გადმოდიოდა.

გაგამ თოფი და თხილამურები იქვე
დადო. სასტურებელის ლულა იმარჯვა.

— აბა, ახლა კი ზამთრის საცდელი
შეწამვლა დაეწყეთ... პასუხიც ჩემზე
იყოს!

ქალმაც ჩამოიხსნა დიდი მათარა და
ხელშეხაბუნა.

— აბა, მეც მომეცი საქმე!

— სიამოვნებით, ქალბატონო! ამ მა-
თეორიითი ანგარიშ-სათვალავი მოაყო-
ლებ!

ქალს ფერი და ფუნჯი გადასცა, თა-
ვად კი ათიოდე ნაბიჯის იქით, ლაფნიქა-
მის მიერ დაზიანებულ ნაძვს ძირიდან
ორიოდ მეტრის სიმაღლეზე, მიასხურა.

ხის რუხ ტანს, ემულსია წყალნარევე
რძესავით ჩამოედინა. მაგრამ მალე ფე-
რი დაჰკარგა.

საუბარი კი თავისი პაექრული გზით
მიდიოდა.

— ნომერი პირველი, თან ოთხკუთ-
ხედში ჩასვი. შენ ხატვა მაინც გეხერხე-
ბა... და ამასაც გეტყვი, იცი—დასაძლე-
ვად იდეური მეტრი სჯობია უიდეო
მოყვარეს!

ქალმა მართლაც ლამაზად დაჰხატა
რიცხვნიშანი.

— არა, მე და ჩემისთანებს, იდეური

ცხოვრების მოთხოვნილება ზედმეტა-
დაც გვაქვს, მაგრამ თვითონვე ვართ!

— დაბნეული აზრია...
ხეს დაუთრა გაგამ. ეს უფრო ქიანაჰში
ჩანდა. მიწიდან გამოჩენილი ძირებიც
კი, გულმოდგინედ მოასხურა ვაჟმა.

— დიახ, დაბნეული, ქალბატონო!
— რატომ?— ფუნჯით მიჰყვა ქალი,—

აი, მოედანიც არის, ფეხბურთელებიც
არიან! წარმოიდგინე, მაყურებლებიც...
რალა თქმა უნდა, გულშემატკივრებიც.
შენისთანა მსაჯულიც ხომ არის და არ-
ის! გახურებული თამაშია, გარღვევა,
ჩაქრა... მხოლოდ ბურთი არ არის, ბურ-
თი! დიახ, თავგანწირული თამაშია, მხო-
ლოდ უბურთოდ!

შაბროლამ ყეფა ასტეხა და ქვევით,
ხეობაში ჩაირბინა.

გაგამ მიაყურადა და ახლა დაღმა და-
უთრა ხეებს. ქალი თვალთ მიეფარა, მაგ-
რამ ვაჟი მის ახლო ყოფნას მთელი არ-
სებით გრძნობდა.

— შენ იდეაც ფეხებში დაგორებული
ბურთი გგონია, იდეა კი მრწამსია, რო-
მელიც დიდ ქვერტად და ხიზვლად გექ-
ცევა და მართებულად გამოქმედებს.
შენ კი, უამისოდ, მართალსა და ტყუ-
ილს შორის დაბნეული ადამიანი ხარ!
გესმის — დაბნეული!

— არა, თავისთავადი ადამიანი! და ეს
მირჩევნია იდეის უღელში ყოფნას!

— არ კმარა... არც სტიქიურად თავის-
თავადი, არც მარტო კეთილი, თვითმიზ-
ნიანი ადამიანი, არამედ შეგნებულად,
საზოგადოებრივად კეთილმზინიანი...
უპ, აი, ეს კი კმარა!—გაგამ სული მოიბ-
რუნა და ახლა უფრო ზედა ხეთა გჯფს
ჩამოუარა...

— ძლივს არ გამოთქვი! იქნება სი-
მართლეა, მაგრამ მახინჯი!—აჰყვა და
ჩაჰყვა ქალი.

— მე თუნდაც მახინჯი სიმართლე
მირჩევნია შენს ლამაზ ტყუილს! ნომე-
რი დასვი, არ გამოგაკლდეს!

— მე არა, შენ სცოდავ გამოკლება-
ში!... საბოლოოდ შენ მარტივ ფილოსო-
ფიას მხოლოდ ორი „განზომილება“
აქვს—მართალი და ტყუილი... მაგრამ
შენ სრულიად გამოგრაჩა და გამოგაკლ-



და ჩემთვის მთავარი, „მესამე განზომილებას“

— რას გულისხმობ? — მიუხედავად იმისა, რომ ჩქარობდა, გავა გაჩერდა, სსურებაც კი შეაჩერა...

— მეტყველ ხელოვნებას, თუ გინდ „ზღაპარს სინამდვილისას“, რომელიც შენ არც გწამს, არც ვახლავს!

ვაგს მზე მოხვდა თვალეზში, მაინც შეამჩნია, რომ ქალს ხეთა სათვალავი შეეშალა.

— გაასწორე, გაასწორე! — ხელით მიუთითა, არც შეცდომა შეარჩინა, არც სიტყვა. — შენთვის „მეტყველი ხელოვნება“, ვგონებ, მეტად პირადული და შოღღური სამოსია, სამკაულია... ხშირად კი, მართლაც მეტყველებაში გადასული ბრჭყვიალა პარადოქსები!

— შენთვის? — გამომწვევად შეეკითხა ქალი და ზეზე დაწერილი რიცხვნიშანი წაშალა, ახლად დასწერა.

— ჩემთვის კი დიდი ხელოვნება ადამიანის ოპტიმიზმია, მისი რევანში სიკვდილის მიმართ... მისი დიდი საზოგადო ძალაც ამაშია! აი, მართლაც მეტყველი ხელოვნება და კიდევ არის „უმზრახვი ოსტატი!“ — გაგამ ხელი სულ უშვა სასხურებლის ლულას და მკლავები გაშალა, თითქოს მთელ ჩათოვილსა და ჩამზიურებულ ტყეს, ტბას, მთასა თუ ცას უბეში იკრავდა და იხტებდა. ვგონებ არც „მესამე განზომილების“ მოსარჩლე რჩებოდა უბის გარე.

პოპაქრენი შეუმჩნევლად ისევ კორომის თავში, წყაროსთან გავიდნენ. ემულსიაც მეოცე ზეზე ჩაუთავდათ.

გაგამ სულ მოიხსნა სასხურებელი, წყაროს წყალი მრავალგზის გამოავლო და ნათიას ამოტანილი მათარა შიგ ჩააპირქვავა.

— აბა, ახლა კი შენი სანთლის მადლიც ვნახოთ! ჯერ ხე-ხაფანგების გამზადება ნაადრევია, ხოჭო ჯერ ზამთრობს, მაგრამ იმას დავადგენთ; ბუნებრივ პირობებში რამდენ ხანს სძლებს სანთელსაკმლის სურნელი. ცდების და ძიების ახალი წყება ამით იწყება!

ქალი გაფაციცებით უსმენდა.

— ამ კორომში სამი უკვე ნამდვი-

ლად მოსაქრელი ზე დღეს დავასტროთ... ერთი შენზე იყოს რჩეული ზე!

— რას თვალთმაქცობ... სამივე ჩემზე იყოს!

— კეთილი! მაშ სასხურებელიც უნდა ზურგზე მოგკიდო...

— რას მაშინებ, მოიტა! — ნათიამ მოიკიდა სასხურებელი და წინ ვადგა.

— ხე მაჩვენე, ნიშნები კი ახლა შენ წერე და ხატე!

პირველ ხედ უკვე ფრიად დაზიანებული წყაროსთავის ზე შეარჩიეს. გაგამ აუხსნა სასხურებლის ხმარების წესი. შეეშველა კიდევაც, ბერკეტი აღმოქმედა, ლულით საზღვრები მიუნიშნა. სამი მეტრის სიმაღლე აიღო.

და მალე, წყაროსთავის ნაძვის ღერო და ძირები ფერმართალი სითხით დაიფარა. ტყეში საამო სანთელ-საკმლის ნაერთი სურნელი დადგა.

ორივემ ღრმად შეისუნთქა. ვაგს ფარულნატერიანად გაელიმა. ნათიამ შეამჩნია და ზელად დადარაჯდა. ისევ გუშინდელი ეჭვინი ფიქრი წამოეძალა.

„პირველი მე ხომ არ ვხედები ამ ხაფანგში?“

— ეს ერთი! ჩვენი საერთო! — ზემურად წამოიძახა ტყის მურაზმა, — მეორე კორომის ბოლოში ვნახოთ!

გაგამ ახლა რომაული რიცხვები დააწერა სურნელოვან ხაფანგს.

ნათიამ აღარ მოუცადა. სასხურებლით სვლა ეხამუშა, მაგრამ არ შეიმჩნია. გაგამ თოფიცა და თხილამურებიც წამოიღო და უკან აედევნა დაწინაურებულს.

კორომის ბოლოდან ამომკრთალმა ნიაგმა მეორე შესხურებული ხის ახალი სურნელი ზოლად გაიტანა. მალევე შეგბროლაც ცხიკვებ-ცხიკვებით შემობრუნდა...

— ჯერ, ჩანს, მკახეა! შეთანაბრდება! — შემხიარულდა გაგა.

ახლა აღმა, მთისკენ ააპირდაპირეს და მესამეც კორომის თავში შეარჩიეს და ერთად შეასხურეს. ნაშხეფები მათაც მოხვდათ სამოსზე, ხელებზე... ახლა

უკვე მთელი გზა სურნელი სდევდათ, ცხვირის ნესტოებს უფორიაქებდათ.

კორომის თავიდან საკმაოდ ძნელი კლდესავალი იწყებოდა. ძირობს გაპყენენ, აღმოსავლეთის კლდიან კალთას აეკიდნენ.

— აქ დაზიანებული, მაგრამ უწამლი ტყეა! ახლა ხელშახუნა და საგლესი გეცადოთ.

გაგამ ქალს ცარიელი სასხურებელი ჩამოხსნა და ხეზე, დასანახავ ადგილზე დაპყიდა.

— მიუდგომელ ადგილებში, როგორც დამხმარე საშუალებას, ამ ხელშახუნას ვხმარობთ.

— მე პირველად იარაღი მეგონა.

— მომყვები კლდეზე, თუ აქ მომიცდი? მალე მზე ჩავა და უნდა ვიჩქაროთ!

— ყველგან მოგყვები!

გაგამ თხილამურები მაინც წამოიღო. აქ ნაძვები უფრო მეჩხრად კლდის ნაბზარებში და ფრიალოს თავებზე იყო, ფესვებით მიკრულ-ჩაქიდებულ.

ერთ ნაძვზე გაგამ ლაფანიქამიას ძველი და ახალი დასახლება შეამჩნია, თოვლზე ნახნავ-ნაღერლი ლაფანიქ ეყარა. ხეს ტყვიადაკრულის ოღენა ხერვლები ჰქონდა.

— აი, შესავალი ფოსო, ესეც გამოსავალი!

გაგამ ხელშახუნას წვერი ხერვლში ჩაუყო და ჩახმახი მოსხლიტა. მაორთქლი შხამა შეუშახუნა. ყველა ფოსო და ნატყეჩი სანთელ-საკმლის საგლესით მოუგმანა.

— მამ ამასაც სხვა ნიშანი უნდა! — ხელად იაზრა ნათიამ.

— თეთრად მორკალე ხერვლების ირგვლივ და რიგითი ნომერი დასვი! ზამთრის ბუნავში ხოჭო და მატლი შესუსტებულია და იქნებ ამ ცდამ გაგვიმართლოს!

ნათია ხელმარჯვედ მიპყვა და უხილავ ომში მთელი გულით ჩაება. როდესაც ფოსოების მიგნებაშიაც დახელოვნდა, სულ გამაართვა ხელშახუნა და სანთლის საგოზავი.

გატაცებულს არც კლდე-კლდე ცოცვა გასჭირვებია, არც უკვე შემოპარული

სიცივე. მიდიოდა და ხელწმინდად ამოწმებდა ნაძვის ღეროებს. უკვე იწყებოდა მსუბუქად, საშუალოდ და შიშიმელ დაზიანებულ ხეებს.

ვაგა უკან მიპყვებოდა და აღფრთოვანებით უამბობდა ტყის მკურნალობის საძიებო ახალ მეთოდების შესახებ. ვაგმა საოცარი მკვერმეტყველება და ცოდნა გამოამკლავნა.

ქალი განცვიფრებული უსმენდა, უსმენდა და იზიბლებოდა. ნუთუ ეს მისი აზმანა და გაუთლელი მეზობელია? მართლაც, უნიჟო არ ყოფილა, არც უბეჭითო, ბოლოს და ბოლოს არც უგულო, მაგრამ აქ რაღაც უფრო მეტია, უფრო მნიშვნელოვანი და ნუთუ უფრო ნიშანდობლივია?

ნათიამ უკვე საკმაოდ წარმოიდგინა ტყის მკურნალობის, მართლაც ვეება საზომები. იგი კვლავ და კვლავ ადარებდა ამ დევურ შრომასა და ცდებს, თავის ხელსანთელა საქმიანობას და ფიქრებში უფრო და უფრო გადადიოდა ვაგას მხარეზე.

აქამდე მისთვის ნაძვის ხეც სააგარაკო, საამო სასუნთქავი არეს მცენარე იყო, ან საახალწლო ტურფად მოსართავი ხე. ახლა ეს მარადმწვანე წიწვნარის ცნება სულ სხვა შინაარსით აივსო და მისი მცირე ფორმების კოპწია ხელოვნება მართლაც მოცლილის, ან მეტის ვერ შემძლეს ჩხირკედლეაობად მიეჩვენა.

ამის შემდეგ ვაგაც უკვე ტყის რაინდად წარმოესახა. ამან მათ ურთიერთობაში ამოუხსნელი უხერხულობა შექმნა. აქამდე ქალისათვის გარკვეული იყო თავისი უპირატესობა და აქედან ნამტყიცი გულშეუვალობა „ვაგასთანების“ მიმართ.

ახლა კი, როდესაც საბოლოოდ შეირყა თვითდაჯერება, ამ მზეჩასულ, დათოვლილ, ახლდანახულ ტყეში ჯერ განუცდელი და განუწვლილავი ფიქრების მთელი ტყე შემოადგა და, პირველ ყოვლისა, შეაკრთო...

„რა მეშველება, სხვისი ფიქრები და საძიებონი კრახანებივით წამომესივნენ“

და ჩემს ფუტკარს, ვგონებ, აღარ შერჩა თავშესაფარი!“

„ნუთუ, ვაჟაკურად გულსანდომად რომ დინახო ვაჟი, თვითდაჭერება უნდა დაჰკარგო ქალმა!“

„ნუთუ, ამ მოუქნელ სხეულს ღვიძლში უზის ბუნების გატაცებული დამცველი და მკვლევარი! მისი ფხაცა და მოწოდებაც სწორედ ეს არის!“

„ნუთუ, ეს ცუდად გამოკორცნილი ტყიური, მზეზე დამწვარი ლეკვია ლომისა, მე კი გაბზარულ მთვარის შუქზე მიმცხრალი ქალუქნარა ვარ?“

„ნუთუ, ამ ტყეშიაც გაჩენილა მოწინავე ახალგაზრდობა, მე კი წინწასწრებული კი არა, სულ ჩამორჩენილი ვყოფილვარ?“

„გაგა იტყოდა—დაგვიანებული ახალგაზრდა ხომ დაგვიანებულ მოხუცზე უფრო დაგვიანებულია!“

ფიქრი ჩამოუშრიფდა ნათოს და მისთვის ჩვეული სიტყვაჟაფიო და ხატოვანი სახე მოიცა.

გაგას კი ტყის „უბის დავთარი“ გაეშალა და შიგ იწერდა, ხეებსაც ნიშნავდა, ზამთრის პირველ ცდასაც დაწვრილებით აღწერდა. მას დიდი იმედი ჰქონდა, რომ არც აქ დაჰკარგავდა ახალ გზას სანთელ-საქმელი!

ნათიამ კი უმალ აუღო აღდო ახალ საქმიანობას, ხელთათმანებიც წაიყარა, უკვე დამოუკიდებლად მუშაობდა. ბრვე ნაძვების ხეჩეჩი ქერქი, ხელებში ჭერქი შეჯავრულად მოხვდა ქალს და სრულიად შეუშმაგავსებლად გაგას კუნთოვანი „ზურგის გრძნობა“ გაახსენა.

მგრძნობიარე თითებმა ხელად მოუფათურეს ფოსოები, ბზარები, როკები, ნაქერქალები. ზღაპარდაკარგულმა ქალმა შევებით ამოისუნთქა. წუხელ ქვების ფაშემა მისი წარსული რომ შთანთქმა, მასაც ხომ თითებში მგრძნობელობა დაუქარგა... ბეწვის სირბილაც კი ვეღარ იგრძნო!

ახლა კი ისევ მობრუნებია თითების გრძნობა... არა, ეს არც თიხაა, მით უფრო არც თაფლის სანთელი. მაგრამ ნათო ოსტატის ხელებმა ეს ახალი მასალა

და მისი ხაო გულდაგულ მიიღეს და შეიფერეს.

აღბათ, ადამიანი რომელიდაც ერთი გრძნობით ყველაზე უფრო აღიქვამს გარესამყაროს. ნათო-ქალის გრძნობათა შორის შეხება ყოველთვის მკაფიობდა. აი, თვალებს სულ ხუჭავს, მაგრამ ხის ქერქის ნაოკებსა და ფოსოებს მაინც მკაფიოდ ჰხედავს. ახლებურადაც გრძნობს. თვით შეხებაც ახლებურია. უფრო ამოკრული, მიზანდასახულობით შეფიცებული. იქ, ქალაქურ, ხელოვნურ ცხოვრებაში შესანთლულად ნებივრობდნენ ხელები, უსახო მასალიდან, ნებისმიერ სახეებს ჰქმნიდნენ. აქ კი თვით მასალა სახიერიც არის და ბუნებრივიც. გაცილებით მკვრივიც. არა, არც ისეთი მტკიცე და ცივი, როგორც ქვა ან მარმარილო... ავი არც უყვარდა, ხელს არ ჰკიდებდა მათ.

ეს ხე კი ცოცხალია, თუმცა არც ისეთი, რომ შეგაწუხოს, თან ხელში მომყოლი და, რაც ყველაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი ყოფილა.

დაჩაგრული და მიძალბებული! აი, სად ყოფილა ბრძოლის ერთ-ერთი დვრიტა! დიდი სარბიელიც აქ იწყება!

ნათიას ვეღარ გაეგო—მსოფლმეგრძნობა განიცდიდა ცვალებადობას, თუ აზრის მბად ძირა ფენებში მწიფდებოდა მსოფლმხედველობა!

მაგრამ ეს რალა დვრიტაა, რომ ხის ხაოსთან ერთად „ზურგის“ ხაოსაც გრძნობს და არის ასე!

ემა, რომ მისი ქალაქური ოსტატობა, მართალია არა პირდაპირ, მაგრამ მაინც გამოადგა კეთილ საქმეში. ივარგა მისმა ხატოვანმა სანთლის ლაშქარმაც, თუმცა არა თავის ხატოვნობითა და ლაშქრობით, მაგრამ სანთლობით... ურემისა და შეშის არ იყოს! ახლა ესეც სანუგეშოა! ვგრძნობ, თავადაც უკვე ვადამდნარბ დედოფალია! ეს აუტანელა გაგა კი კიდევ უმაქნისობას ედავება, სულში ებორკება. ეს ხეები ამიერიტ „ზურგ-ტყიურებიც“ არიან და „სანთელ-დედოფლებიც!“

მზე ლომის მთის იქით წახსენა თუ არა, მაშინვე უსალამოდ დაღამდა. ბე-

დად უმაღლვე მთვარე დაჰყვა. ნათიამ ვერც გაარჩია—ახალი იყო თუ მცხრალი. იგი უკვე მთელი არსებით ჰგრძნობდა ხის მერქანს და უეცრად, სწორედ ხის მასალოდან, თუნდაც ჭირკიდან ახალი უჩინმაინის გამოკვეთა მოესურვებოდა. მხოლოდ ერთ რამეში შეეყოყმანდა შემოქმედის ალლო და ამან სულ დააბნია... კვლავ ქუდი დაახუროს უჩინმაინს, თუ—აღარა!

— კარგი, დღეს გვეყოფა! შენს ანგარიშზე 17 და 3, სულ ოცი ხეა!

— ერთიც მინდა... ჯერ კიდევ ვარჩევ ოცდაერთი იყოს!

— კარტს ხომ არ თამაშობ უჩინმაინთან?

ქალს ორივე სიტყვა გულში მოხვდა. როყოოდ მორტყმული კი, ნიშანში მორტყმულზე უარესია!

ნათიამ ხმა გაიკმინდა, თუმცა ალლომ ხმა ამოიღო და უჩურჩუნლა: „უქუდოდ ეხატავ... არა, ვძებრწავ... არა, ხიდან ვკვეთავ!“

ერთი ხეც უკვე თხემის თავზე დაამუშავა.

მალა, კლდეზე ციყვა გადაირბინა, მას შეებროლა ყეფა-წაგწკაკით კვალდაკვალ მიჰყვა. თოფაღმართული გაგაც გაეციდა. მათ ნათიაც გაჰყვა. თუმცა გაგა ხელად მობრუნდა, აიღო თხილამურები და ნათიას ისევ წარუძღვა.

უფრო დიდ მთაზე მიმართა გეზი. თავდაც მთასავით ზეადმართულ ზურგზე თხილამურები ვაფარჩხულად გადაედო და ქვევიდან დიდ მაკრატელად გამოსჩანდა. ამ მაკრატელში ზეცის მოზრდილი კუთხე და მთვარე იყო მოგდებული.

გაგა შედგა და შემოტრიალდა. მაკრატელმა თითქოს გაკენიტა მთვარე. ესეც ახალ გამოწვევად ინიშნა ქალის გუმანმა.

— მაშ ახალწლის ღამესაც იბედებ და მბედებ შრომასა და ბრძოლას? მაგრამ ზეიმი აღრე არ მოგივიდეს!

— ეს მე თავიდანვე დაბედებული მაქვს! შენ კი, მიხარია, თუ ჩემთან ერთად ცხოვრებისეული შრომაც დაგებდება...

ნათიამ იფიქრა და სულ ნათლად ენერჯარმოიდგინა, რისი თქმა უნდა უნდა თავადაც შორიახლოში ჩაატარა სიტყვა, მაგრამ როცა სადაოა, ყველაფერი სადაო—ცხოვრებისეული თვალსაზრისით, ჩვენ, ახალგაზრდები, ბედმოწეწილები ვართ ერთობლივ ყველა...

— რატომ ყველა? იქნებ სთქვა—ზოგი?... თუ მინცადამაინც...

— სადაც მე ვარ, იქ „ზოგი“ აღარ მეთქმის! ეს მოხუცების ჩვეულებაა მესამე პირში ლაპარაკი... ჩვენი ძირითადი დაბნეულობა იმაში მდგომარეობს, რომ ზოგი რამ ძველი მართლაც, მოძველდა ჩვენში, ახალი კი ჯერონად არ მომწიფებულა და ვართ ასე მოუსრულებლად!

— პრინციპი...

— არც მარტო პრინციპი კმარა, საჭიროა რომ იგი ყოფის ყალიბში ჩაჯდეს!

— გეთანხმები... დრო ყველაფერს სჭირია! მეტსაც გეტყვი—აეჭი უფრო მალე ძველდება, ვიდრე ჩვენი ჩვევა ამ სავარძელში მყუდროდ ჯდომისა!

კვლიდან — კვალში, ხიდან—ხემდე ნათიას დავას ძალა ემატებოდა, თითქოს მთვარის ნაძალი იყო, მაგრამ სიფიცზე და დამაჯერებლობა სულ აკლებოდა, რაღაც ლიბო უკვე ჩაშლილი იყო.

—ახალგაზრდული დრო სიბერის ეამზე გაცილებით უფრო მოკლეა, ამიტომ დადინჯებული სიბრძნისათვის, სხვა რომ არა ვთქვათ, რა, არა გვცალია! ჩვენ მოკლე მანძილების ფალავნები ვართ! გრძელი სუნთქვა და წვლილვით განსჯა მერმე მოდის!

— მანდაც გეთანხმები! თავისთავად არც ახალგაზრდობაა უპირატესობა და არც მოხუცებულობა — დამსახურება, ყველას თავისი შესაფერისი მოეთხოვება!

სავალი დეკანამა გადაულობათ. გაგამ გაარღვია და თვალს მიეფარა. ქალს კვლიც დაეკარგა და ზურგიც, ტყე უეცრად დაცარიელდა, მხოლოდ მთვარე შერჩა ზეცაზე. ნათიამ აუტანელი მარტობა იგრძნო. ახლა კი ცხადლივ

ინიშნა, რომ ამიერიტ მას ეს ტყიური უჩინმაჩინი, მუდამ თვალწინ უნდა ჰყავდეს, მუდამ მასთან დავაში და თუნდაც ჩხუბში უნდა იყოს.

დაფეთებულად გადავლო დეკიანი და შეჩერებულ გაგას წააწყდა.

— ნუ მიცდით, შენ და შენი შავბროლა! არც ღამის ტყისა და არც ახალგაზრდული მარტობისა არ მეშინია!

გაგას ეკვიანად ჩაელიძა.

კვლავ თხეშე გავიდნენ. დამრეცი კალთის შუაგულში ნაძვანის დევტანინი კორომი ჩანდა. სულ ვანის ბორცვზე, მთვარეჩავარდნილ ტბის სახედავში ოლედ გამდგარი კოხტა ნაძვი იდგა.

— აი, ის არის ჩემი ტყის პატარძალი!

— შენი ტურფა? — ამოძრავდა ქალი, მაგრამ თოვლში ჩაიფლო. აქ უკვე ღრმა, მინაქარი თოვლი იყო.

გაგამ თხილამურები დაჰყარა და გააწყო.

— არც შენ გქონია ცუდი მესხიერება!

— ჩავიდეთ! ახლო ვნახოთ!

— თხილამურებზე შემომიდექი, ხელად ჩაგიყვან!

— შენ ისე მაჩვევ... უშენოთ სიარული გამიჭირდება! — სიტყვაში არა, ხმაში კი გამკილავე დაცინვა იყო.

ახლა ვაჟმა ვერაფერი ვერ გაუგო ქალის განწყობილებას და დღემლი არჩია. ნათია უფრო გაბედულად შემოუდგა თხილამურებზე, ვიდრე პირველად შემოუჭდა მოტოციკლეზე. ხელად სავაზნეში ჩაავლო ხელი.

ვაჟი დინჯად დაიძრა.

— ნაბიჯები მომაყოლე და სიჩქარის არ შეგეშინდეს!

— შენთან აღარ მეშინია...

— დაეიშახსურე?

— არა, მე ვაჯკაედი...

გაგას ვაეცინა და ნაბიჯი გაშალა. თავიდანვე სისწრაფეში ჩავარდა. მალე კი ყურებში წივილი დაიწყო ქარმა. შავბროლაც ყეფითა და კუნტრუშით მოჰყვით, მაგრამ შორს უკან ჩამორჩათ.

ქალი, უკვე კარგად ნაცნობ და, ვგონებ, არც უსანდომო დიდ ზურგს ჩაეკ-

რო და ჰოი, საოცრებავ... მაინც ყველაფერს ჰხედავს... თითქმის მიწვენილ ლეა ვაჟის ზურგი და მკერდი... უტყუარი და გამჭვირვალე. მას გულშიაც ტყე ჰქონია, მხოლოდ ტყე და ტურფა, და არა „ტიკინების დედოფალი“ — ნუთუ „ეს უკანასკნელი“ მხოლოდ ზურგს უკან არის!

აი, დიდრონ-დიდრონი ხეები დგანან ხერხემლად და ნეკნებად.. გულის კოვზთან მითოვლილი ნაკადულია. მხრებად დათოვლილ-დამთვარული ქედები!

...და როგორი სისწრაფით იზრდება ტყე, ოლედ გამდგარი ნაძვიც.

შხის ჩასვლის შემდეგ უდიდესი ცვლილება მომხდარა ირგვლივ. „უშხრაბ ოსტატის“ მიერ ყველაფერი ჯადოქრულად ყოფილა შემკული და ჩამოხვეწილი.

ველობის დამრეცი კალთა რბილად ჩაყვითლებულად ციმციმებდა და თხილამურების ქვეშ იფერფლებოდა. ხეობიდან ამოზიდულ ნაძვებს და ფიქვებს შევენოდათ შეგზარული, თეთრი ჩაჩქნები... მრავალი მკლავის ჩაჯაჭვეულობა და ჩაბამულობა.

ოდნავ ჩადამლდნენ. ახლა ტურფა ქათქათა გორაკზე იდგა და თითქოს საპატარძლო რიდე ეხვია.

მეტყველმა ოსტატმა კარგად ვერც გაარკვია, ვარსკვლავთ დასტა ტურფას წიწვა თათუნებზე ეკიდა, თუ ჩადამებულ ზეცაში. ვერც ის გაერკვია — მთვარეც მის კენწეროზე იყო, თუ სამყაროს მიუწვდომელში?

გაგამ ფეხის ქუსლები ოდნავ გაჰყარა და უკო სიჩქარეს. თხილამურების ჩუმზუნუნა ხმა მხოლოდ ახლა მოსწვდა ნათიას სმენას.

ახლა შავბროლამ შექმნა ყეფა-წყმუტუნი და ტურფას მიეტანა.

ვაჟა სათოფეზე მივიდა ნაძვთან და შედგა, მაგრამ ჰერეტით და ხილვით გატაცებული ქალი, აღარც ფიქრობდა თხილამურებიდან ჩამოდგომას.

ტურფას ტოტზე კი ციყვი იჯდა და მყეფარს მონუსხულივით უმზერდა.

ნათიამ ნიშანდობლივ ვერც გაარკვია ეკიდა თუ იჯდა. აი, მან თავად რომ დაა-

კიდა საახალწლო ნაძვის ხეზე. მაგრამ ეს თითქოს მრავალი წლის წინად იყო... სხვის ცხოვრებაში, სხვა ქვეყანაში. გაგას თქმით, „სანთლის სამყაროში“.

გაგამ კი თოფი აღმართა. ალბათ, ესეც „ხმაურა“ თოფია, აი, მის მორთულ ხის ძირში, საჩუქრებს შორის რომ არა ერთი დასდო... ალბათ, გაგაც ფერად ქალაღებებს აფრქვევს, ან შუშხუნა მიშხალებს! თუმცა ახალწლის დამეა და — ორივეს ერთად! დღეს შენიშნა, ორი ლულა ჰქონდა თოფს... თუმცა აქ ყველაფერი ორლულიანად და ორთაშუა ჩანს! თითქოს გაგაც ორლულიანად ლაპარაკობს, თავადაც როგორღაც ორყურიანად უსმენს! გაორება, თუ ორზე მოდგომა?

„ეს ტურფაც ჩემი ნაძვის ხე ყოფილა ახლა სხვა უტურფესი, ჩემი ნახელავი დედოფლებიც გამოჩნდებიან... ისევე ჩემს სანთლისა და მთვარის სამყაროში ვყოფილვარ ამ ძველსა და ახალწლის გასაყარში — შუალამისას! ქვეყანას როგორც ვრძნობ — ისეთად ხედავ!“

თოფმა კერკეტ კაკლის გატეხის ხმა გამოიღო. ჩვეულებრივ „ხმაურზე“ უფრო ხშიანი.

ქალმაც შეასწრო თვალი, ერთი ციყვი ჩამოვარდა ხიდან. დანარჩენები, სამი... ხუთი... ათი... მრავალი, თუ გამრავლებული, ტოტიდან ტოტზე გადახტდნენ, ხიდან ხეზე უწვდინეს, მერმე ცაზე გაიშალნენ... ერთი წუთით თითქოს საციყვეთი გახდა მთელი ქვეყანა!

ახლა ვარსკვლავებიც აიკრიფნენ ხეცაზე. მთვარეც ღრუბელს შეუდგა უბეში. რიდე ირმის ნახტომს გადაეკიდა...

ძაღლმა, უკვე ჩვეულებრივმა ძაღლმა, შავბროლამ, თავის პატრონს მოკლული ციყვი მოუტანა. გადაქათქათებულ თოვლს მუქი ფერი ლაქად დააჩინდა.

სანთლის სამყაროც თვალის ხამხამში გაუჩინარდა.

ნათია ახლა მართლა თოფნაკრავივით დადრკა, მკვლელის თხილამურებს ფე-

ხი აშორა და მაშინვე მუხლებამდე თოვლში ჩაეფლო.

— რა ჰქენ? რად მოჰკალ?

— იქვიანობის ნიადაგზე...

მაგრამ ქალს სრულიადაც არ ეხუმრებოდა.

— აი, როგორი ხარ! შეადარე ჩვენი ბუნება... მე — უსულო სანთლისაგან გაკეთებულს სულს შთავებრავ, ვცდილობ მაინც... შენ კი სულიერსაც სპობ! არც სილამაზე გწამს, არც შეცოდება გაქვს... შენ რა ჰუმანური იდეა უნდა მოგთხოვო?

— მე მშობლიურ ტყის ხარჯზე არც სილამაზე მწამს, არც ლმობიერება და არც არავითარი იდეა... და ეს არა მართო ტყეს შეეხება!

— თოფით ამყარებ ბალანსს!

— შენი ჭარბგმულობით რომ ვთქვათ — ციყვმაც შეჭამა ტყე კოდალასთან ერთად და შენ ეს უკვე მოგხსენება! ჩვენ კი დიდ თავდაცვით ომში ვართ ჩაბმულნი! ახლა გეკითხები — შენ ვისთან ხარ?

— ჯერ ნუ მკითხავ... ჯერ ნუ...

— იცი შენ, რომ ამ კოროში ორმოცდაშვიდი დაზიანებული ხეა? მათ შორის ტურფაც!

— ტურფაც? — შეძრწუნდა ქალი.

— ახლა, ვგონებ, გადავარჩინე... — გაგამ თხილამურები მოიხსნა და თოვლში ჩაუღებულად ჩაარქო. ციყვიც ოსტატურად გაატყავა და ტურფას ტოტზე ჩამოჰკიდა...

— მეც ხომ არ მატყავებ ციყვთან ერთად?

— შენი დროც მოვა... წერილები და პასუხების ეს ტყავი კი, რომ ჩამოვფელით. წავიღოთ... საყელოდ მაინც გამოდგება...

— ამის შემდეგ მე დამხარჩობს ციყვის საყელო! — წაიღუდუნა შეტბუნებულმა ქალმა. მაგრამ ვაეი აღარ უსმენდა. ძაღლი რაღაც ჩრდილებს ყუფით გაენთო. — ალბათ, ირმები იყვნენ! — თვალი გააყოლა გაგამ — ეს საირმეთია და კარგადაც ვიცავთ!

ნათიამ კი უკვე მზრუნველი თვალით

გადახედა საირმეთს და ვაქს ხმაჩაკ-
ლებულად შეეკითხა: — რამდენი ნაძ-
ვის შეწამვლაა საჭირო, რომ შენს
თვალში აღდგეს უმოქმედო აღაშიანი?

— ჩემს გულში რომ აღდგეს...

— თვალში და არა გულში, ტყუირო!
გაგა ჩაფიქრდა, ვარაუდები აზომ-
დაზომა. პირდაპირ რომ ვთქვათ, ცოტა
დაიბნა.

— ხუთი ათასი მაინც...

— ათი ათასს მოვდივარ! ოღონდ
შენთან ერთად! — მოუქრა ქალმა,
მაგრამ უცბად ფეხი წაიკრა, ენაც წა-
ებორძიკა... „ოღონდ შენი დახმარე-
ბით!“ — ეს უნდა ეთქვა და ახლა რა-
ღა გამოასწორებს ასეთ შეცდომას? და
და შეცდომაც იმისაა, რომ არავის არ
უყვარს მისი გამოსწორება! თავის ნე-
ბით მაინც!

ვაქი მთელი ტანით მიბრუნდა. ხელ-
შუქი ამოიღო და ხელშინაურად სახეში
მიანათა. ქალი აღარ მიბრუნებულა,
მხოლოდ უეცარ სინათლეს ვედარ გა-
უძლო და თვალეები დახუჭა... მის
გრძელ წამწამებზე ახლა ჩრდილი და
სხივი ერთად ათამაშდა.

ვაქს ხელში სხივი აუქანკალდა.

— შენ იცი ეს რას ნიშნავს, თუ
კვლავ ტიკინების თამაშია?

ნათიამ ერთბაშად იგრძნო, რომ მა-
თი ჩხუბ-საუბარი თავიდანვე, ალბათ,
სულ თავიდანვე, მრავალ, გასწვრივი
სვრელებითა და ფოსოებით მომდინა-
რობდა. და მართლაც ეს ამოყიფლე-
ბული „მხოლოდ შენთან ერთად“, განა
მარტო ათი ათასი ხის შეწამვლას ნიშ-
ნავს!?

ქალს ფიქრები აებურდა და ისევ,
ყოვლად ქალურ თავშესაფარს, დუ-
მილს მიჰმართა.

ვაქამ ხელშუქი დაუშვა, მაგრამ ქა-
ლის გრძელი წამწამები მაინც თვალწინ
დარჩა.

— არ მენდობი? მაინც არ მენდო-
ბი? მე კი ჭერ წინა მაქვს მძიმე მთა-
ვარსათქმელი!

— მძიმე? — ისევ დადარაჯდა ქალი.

— თან ყოვლად აუცილებელი... მე

2. „მნათობი“, № 5.

მიცვალბულებს არ ვწერ საპროტეს-
ტო წერილებს, მიზნისა და მოქმედების
კაცი ვარ... შენი ტოლი!

— ცოტა უფროსი!

— ან ცოტა უფროსი... მე ცოცხ-
ლებთან ლაპარაკს ვარჩევ! ეს სრუ-
ლიდაც არ ნიშნავს მამათა და პაპათა
ამაგის დავიწყებას, ან მათ ზოგ შეც-
დომის გაზიარებას! მაგრამ შენ კი
ჩემს თანატოლსა და თანამედროვეს
გეტყვი — ჩვენ აქ გვაქვს ჩვენი „ტყის
კანონი“ — მოურჩენელ ხეს სჭრიან!

— გისმენ, სულ გისმენ!

— რამდენი რამე უნდა დაემთხვეს
ერთმანეთს, პიროვნების შიგ თუ გარ-
ეთ, რომ ერთი საშუალო შინაარსისა
და ღირსების ცხოვრება გამოვიდეს.
შენ კი თავიდან და თავადვე ამრუდებ
შენს დიდებულ საწყისებსა და ნიჭის
თანწყობას...

ქალმა თუმცა აფეთქება დააპირა,
მაგრამ გაგამ დაასწრო და შეაჩერა.
მე შენებურად ვლაპარაკობ, ამაში შე-
ნი წერილებია დამნაშავე... თუ გწადს
დამსახურებად მიითვალე! და თუ მო-
მისმენ, გიპასუხებ... იქნებ იმიტომ წე-
რდი გარდაცვლილ მამას, რომ არც
„სააქაოდან“ და, საერთოდ, პასუხი არ
გსურდა, არც მიგელო, არც მოგესმინა?!

— გისმენ, სულ გისმენ! მთელი არ-
სებით... ამაზე მეტი არ შემიძლია!

— აბა, მომეცი ხელი და ამ დიდ აღ-
მართის ავლამდე ხმა არ გაიღო!

ქალმა უსიტყვოდ მისცა ხელი და
ცდილობდა ვაქს არ ეგრძნო მისი
თრთოლვა.

ასე ხელიხელჩაკიდებული შეუდგნენ
დიდ, დათოვლილ და „პაექრულ“ აღ-
მართს.

ძალიცი კი მიწყნარდა და ჩუმით უკ-
ან აედევნა.

ვაქი კარგახანს სდუმდა, ფიქრებს
იკრეფდა. მამაკაცური წვდომით მაინც
გრძნობდა ქალის კრთომას.

აი, გასცილდენ ტყესა და აღმა სავი-
ლი უფრო ნათლივ ჩანდა.

— შენ, ჩემის აზრით, მოქმედების
უნარი და ყველაფრის მახვილად წვლი-

9408.



ლვა უფრო ადრე გაგივითარდა, ვიდრე მოგიმწიფდა შინაგანი ხილვის ძალა და უნარი დაკვირვებისა. ახლა შენ... რა ვქნა, უნდა ვთქვა, მთელი არსებით ჩაბზარული ხარ და არავითარი საზომი არ გაგაჩნია. შენი მახვილი ფიქრებიც უკრუხო წიწილებივით გაბნეულან და გააქვთ უგზო-უკვლო წივ-წიავი! ძველ ოჩოფეხებიდან პირდაპირ ახალმოდურ წვრილ-შალალა ქუსლებზე შემდგარხარ და არ ითვალისწინებ, რომ ჩაობებული ძველკობურობა და გაპრანქული ახალმოდურობა, ერთი და იმავე ნიადაგზე ამოსული სოკოებია! თავიდან გეტყვი, შენ, შენისთანებს შორის უმჯობესი ვარიანტი ხარ. ხალასი ნიჭი ვახლავს, გულკეთილობა, ზნეობრივი მანკი ჭერჭერობით არ შეგხებია. შენ ხელოვნურად იფარგლები და რჩები დაუდულარი... დანარჩენები კი, ბოლოს და ბოლოს, ქალაქის ქუჩებისა და ფუფუნა სალონების უმაქნისონი ხლებიან და სულ ზშირად აესებენ ნაძირალების მღვრიე ნაკადს.

თუმცა თქვენ, ყველა წინა თაობას, მხოლოდ თქვენ წინამორბედებად სთვლით, უნდა გატეხილად გითხრათ, მეც ახალგაზრდა ვარ და ასე ვგრძნობ, რომ თქვენ, ჩვენში, წინაპრები სულ არ გყოლიათ! როგორღაც უსამშობლონი ხართ, უთვისტომონი! მხოლოდ დაბადების ფაქტი კიდევ არ ნიშნავს ქვეყნის ადამიანად გაჩენის ფაქტს!

ჩვენში ნიჭი ხელუხედად არის გაბნეული. უყვართ კიდევაც მისი მოფერება, ხელის შეწყობა... პირველ საამოსივითანვე ალაყაფის ვახსნა.

ნიჭის სხვის კი მოშუშება და მოვლა უდღიურ ბავშვზე უფრო სჭირია!

...და არაფერი ისე არ ვნებს ახალგაზრდა ნიჭს, როგორც პირველი, ნაადრევი და ხშირად ჭერ დაუმსახურებელი წარმატება! ასეთი „დალდასმულობა“ ბევრს მერმე მთელ სიცოცხლის მანძილზე გასდევს!

როგორც ყოველი ახალგაზრდა, მეც შეეტრფი გამბედაობას. ესეც ჩვენი

ფალავანია... მაგრამ გამბედაობა და არა უტიფრობა! მათ შორის კი ერთი ბევრია და ამ ბევრს კეთილ-გამართლებული მიზანდასახულობა ჰქვია!

აზრი კი, თუნდაც გაბედული, თუ კი არაფერ დადებითს არ იცავს, ან არ შეიცავს, არც არის ცოცხალი აზრი. იგი მომხიბლავიც რომ იყოს თავისი გარესამკაულებით, მაინც ლათინურ ენას ემსგავსება და დარჩება მხოლოდ უპაერო აფთაქებში.

შენ დასკვნითი აზროვნება სრულიად არ გაგაჩნია. შენს წერილებს ფრთები აქვს და ფეხები არა! შენ არც დონ კიხოტი ხარ, არც მინდია. ესპანელ რაინდად შენ გულწრფელობა და გამბედაობა გაკლია, ქართულ ბრძენად — სწორედ სიბრძნე და ბუნების დიდგრძნობა!

შენ ცხოვრების ნდობა გულუბრყვილობად მიგაჩნია. მაშ რად დაგრჩენია? ან სრული ვანდგომა, ან უტიფრული „მგელთავისობა!“... მაგრამ უტიფრობა არც ერთ ხანაში, არც ერთ თაობაში არ ყოფილა კარგი კრიტიკოსი და მოაზროვნე!

ენდე ცხოვრებას, ყველგან გამონახე ნდობის მარცვალი იქაც კი, სადაც მისი ნახვა ფრიალ ძნელია.. ნდობასაც მოპოვება უნდა, როგორც კეთილ პატარძალს! უნდობლობა უსიყვარულობასაც ნიშნავს... სიყვარული კი უკეთილშობილესი სახეა ადამიანთა მოდგმის უპირველესი ინსტიქტებისა!

ვერა, ვერა ვთქვი — უნდობლები მშვიერი მგლებს ხროვას ემსგავსებიან, ვინც პირველი წაქცევა — იმას ჭამენ!

და თუ ამასაც არ ერწმუნები, უფრო მეტსაც და უფრო ფარულ-დრამასაც გეტყვი... — ენდე ცხოვრებას. სულერთია, საშველი მაინც არა გაქვს და ბარემ ენდე! ახალი წელი მაინც დგება... მზე მაინც ამოდის, დედამიწა მაინც ბრუნავს... განა მუდმივია ახალგაზრდობა, განა ალღო მედგარ თავდაცვას არ გიკარნახებს? ჭეშმარიტი თავდაცვა კი მხოლოდ ხალხთან არის!

მაგრამ შენ წერილებშიაც ორმაგი

უბედურება გვირს. ჩვენისთანებისაც არა გჯერა და შენი აზრის მყარობისა და სიმართლის რწმენაც არა გაქვს. ამიტომ ქალაქის ბურბუშელებს, ათას უმისამართო წერილებს სთხზავ, შეუთავსებელ წინააღმდეგობებით აღსავსე აზრებს ხელათამაშნებად და მზის საწინააღმდეგო შავმუქ სათვალეებად ხმარობ. დიდ სეტყვაში, სხვა რომ არა იყოს რა, სასაცილოა შენი, პირადი, კოპწია ქოლგა!

მე კი ზეპირად გეტყვი, გულახდილად, ახლაც და სხვა დროსაც... დიდ დასაწყერ ამბადაც არ მიმაჩნია ჩემი ნააზრი. ეს ჩვენთან ტყეში თითქმის ყოველმა ახალგაზრდამ იცის და არც უკვირს რომ იცის! ჩვენ უაღრესად საჭირო საქმე გვასულდგმულებს და არა საერთოდ ჩვენი ნათქვამის მაღალ-დაბალი სიბრძნე. როდესაც მიხანდასახულად და წარმატებით ვმოქმედობთ, ჩვენ მაშინ ვცხოვრობთ და ჩვენ ხალხთან განუყრელნი ვართ!

თუ უნარი გაქვს, იქ უნდა ჩადგე. სადაც ყველაზე უფრო სჭირია შენს ხალხს!.. და მით უმჯობესა, თუ შენი ნიჭის კერძო კილოც ამას ემთხვევა!

არ იფიქრო, რომ შე მამაშენს ვიცავ.. იგი უკვე ისტორიას ეკუთვნის და ჩემს განსჯას არ საჭიროებს. მაგრამ „თანამედროვე ამირანი“ არა კავკასიონის მიუწვდომელ მწვერვალებზე, არამედ უფრო ახლოს მისაწვდომ ტყეში, მეგულება... ხალხში და ტყეში!

ისიც სავალალოა, რომ ჩვენში ყველას, ხშირად უსაფუძვლოდ სწავდს „სახელოვნობა“, „ვარსკვლავების საკუთრივ წყვეტა“, ხოლო ჩუმად თავდადებული საზოგადო მოღვაწენი არც ისე მრავლად გვყვანან.

შენ „ყვავილეთს“ ეძებ? ეს რომელ ახალგაზრდას არ უძებნია? გააჩნია, სად უძებნია და როგორ უძებნია! იგი კი სულ ახლოა — ადამიანის სამშობლოა მისი ყვავილეთი და ყველა მოვალეა, რომ იქ „ცხოვრების კრაზანას“ შავი ღალა, არ ააღებინოს, არა!

ჩვენი თაობის ნიშანს კი უნდოდ და

უნდილად ეძებ ახალმოდურ მრუდე სათვალეებით, ან გაბზარულ მთიარის შუქზე. იგი კი ნათელია და ხაზოვნია დღისით და მზისით! მაგრამ ნიშანდობლივ არ გეტყვი — თავად უნდა დაინახო, იგრძნო, ირწმუნო ერთს კი გირჩევ — უმჯობესია არც თუ სულ სწორი პრინციპიც კი გაიზიარო, ვიდრე უპრინციპობა აიყვანო პრინციპისა და იდეის სიმალეზე.

შენ ამბობ, რომ ახალ კანონზომიერებას ეძებ? კეთილი, ეძებე... მაგრამ ნუ გვაოცებ, ვიდრე არ მიგიგნია და არ შეგემოწმებია, რადგან შემდგომი უარყოფა კიდეც არ ნიშნავს ზიანის გამოსწორებას, ისევე, როგორც წაშლა არ ნიშნავს დაეფყებას!

შენ მეც მწარედ გამკარი კბილი, მაგრამ შენს წერალებში იმდენი, მართლაც და ღირსშესანიშნავი რამ იყო, რომ ჩემს ნაწილში არ შემიძლია არ გერწმუნო. ვეცდები შენს მიერ აღნიშნული ნაკლი გამოვასწორო.

როგორი „მახრჩობელაცა“ ვარ, ამას შენი ცოცხალი თავი დამიდასტურებს. მაგრამ ვიღებ შენს შხამიან ქათინაურებს, ნურც ჩემი გეწყინება...

მე შეიძლება მართლაც მახრჩობელა ვიყო, მაგრამ შენ სრულიადაც არა ხარ თუთიყუში. არა, არც სამოთხის ჩიტი ბრძანდები... და თუ მაინცდამაინც ფრინველთან შედარება გწაღს — შენ ის ჩხიკვი ხარ, რომელიც სხვაგან მავნეა, აქ კი ფრიალ საჭირო!

მე ისიც ვიცი, რომ ახალგაზრდობას თუ დიდი გულგასატაცი საქმე არ გააჩნია — ყოველთვის არის გულაღრენილი. ამიტომ „გამოგიტაცე“ ტყეში. მაგრამ შენ, შენი მუდმივი დავითა, და დაუდგრომლობით შენი ნიადაგ ძიებითა და შეცდომებითაც, ჩემს აზრზე როგორღაც უფრო ამლესე და არ ვფარავ, დიდი გავლენა მოახდინე, ხან პირდაპირ და ხან პირუკუ. შებრუნებულად. შენს ენაზეც ამაშეტყველე — ცოტა ატაცებულად, ცოტა მკაცრად... ერთი სიტყვით — ახალგაზრდულად! მაგ-

რამ მეც მაქვს ჩემი რევანში—ჩემს საქმეზე აგამოქმედო!

აღმართი აილია. ხელიხელჩაკიდებულები ახლა პირიქითა ხეობასაც გადაადგნენ. ქალი უკვე ვერ დაფარულად კანკალუბდა. ვაჟსაც ედებოდა თრთოლვა. მაგრამ ორივემ იცოდა, რომ ეს სიცვივისა არ იყო.

ქალის თვალში, ახალ ხეობაში გადახედვისას, თითქოს ახალი „ქედელი“ ჩაირღვა და ახალი „ტყე“ გამოჩნდა.

და ამ ტყიდან დიდი ლაფნიკამიას უზარმაზარ ფოსოებიდან, თავგატეხილი ტყინები და ჭუპრები ამოდიოდნენ. ასე აღარც ხილვა იყო და არც სინამდვილე.

— შენ უღმობელი ყოფილხარ, როგორც ღვარძლიანი მუხსაერება! — დახშული წყრომით აღმოხდა ნათიას, — მაგრამ მე დაერწმუნდი, რომ ქვეყნად შენისთანა „მახრჩობელები“ ისევე საჭირონი ყოფილან, როგორც ჩემისთანა „ჩხაკეები“.

ნათიამ ხელი გამოსტაცა გაგას და განზე გადაგა.

— ახლა სულ ცოტაც და სამუდამოდ წაიჩხუბებთ... ცოტალა გვაკლია და მითხარ — სულ ეგ იყო შენი მძიმე მთავარსათქმელი?

ახლა ვაჟი შეწრიალდა. დაეწაფა პირიქითა ხეობის თვალწარმტაც, თუმცა ალბათ, დაუნახავ სანახაობას...

— შენთვის სათქმელს რა გამომილევს, მით უფრო, როდესაც ვჩხუბობთ... დღეს დიდი ენა ამოვიდგი და ახლა რალა გამაჩერებს!.. მაგრამ ჯერ ეს ყველაფერი უნდა მეთქვა! გული კი არ მოვიოხე — შენთან პირნათლად წარვდექი, ვით ახალგაზრდა — ახალგაზრდასთან! ჩვენ აქ მარტონი როდი ვართ, მომავალიც ჩვენთან არის, თუ ვიგონიერეთ!

მერმე წელანდელ მჭევრმეტყველს ენა ამოებორკა, ნერწყვიც კი გადასცდა ხახაში. ხველებაც აუვარდა და ნაყენაყენდ მოახერხა სიტყვის აბმა, საუბარიც საღდაც სხვაგან გადაიტანა:

— მას შემდეგ, რაც აღამიანი აღა-

მიანობაში ჩავარდა... ჩაგარდა-მეთქი... ალბათ, ყველაზე უფრო ბუნებრივი... დიახ. ბუნებრივი... მტკიცე და ძირეულ ალლო-ინსტიქტებზე დამყარებული... საზოგადოებრივი მარტვალი — ერთი რამ, ერთი რამ აღმოჩნდა..

„რა ერთი რამ? — გაიფიქრა ქალმა და ქედის ნიღრს ისევ აღმა გაჰყვა „რა ცოხნია ლაპარაკი დაიწყო? ისევ ახალ ტყეში წამიყვანს ტყიური? მე-ყო, ყელამდე მეყო?“ — მაგრამ ვერც ერთი ფიქრი სიტყვის ძერწამდე ვერ ამოაძვრინა და ისევ აღმართს გაჰყვა.

ვაჟი კი მოჰყვებოდა, გვერდში ამოდგომას სცდილობდა და სიტყვებს ბლანდავდა.

— ჰოდა... დიდი, კოლონიური სახელმწიფოები ირდევებიან, ნადგურდებიან... კლასებიც ჰქრებიან... ერებიც კი ვანიციდიან ზოგჯერ გადაგვარებასა და გადაშენებას... ეს „ერთი რამ“ კი ყველგან და ყოველთვის... დიახ — არის და არსებობს! არის და არსებობს!

„რა ერთი რამ? არის და არსებობს?“ აიჩემა და ახლა აჭიანურებს? არც ეუბნება და არც საშველს აძლევს! წელანდელი გულგამებებული თავდასხმა... არა, არ ჯობდა, მაგრამ გარკვეული მინიცი იყო!...

„ეს არის ნამდვილი გაგა, თუ ის? არა, არაფერს არ ვეითხავ! არაფერს!“ ვაჟი კი განაგრძობდა ცოხნას.

— მისი სიმტკიცის საფუძველი და საწინდარი... დიახ-მეთქი. მომავლის დიდი გრძნობა! შეუცნობელი გრძნობა, რომელიც ინსტინქტს ემყარება.

— რა ინსტიქტს? — ახლა კი აფეთქდა ქალი, სახელუთქმელად ლაპარაკობ, მაგრამ რაც უნდა იყოს, აღამიანობა. ზომ ინსტიქტებთან ბრძოლით იწყება!

— შესაძლებელია!.. მაგრამ ვაი, იმ კაცსა და ერს, რომელიც ძირეულ ინსტიქტებს ჰკარგავს. ან უგულვებელყოფს!... მე გამრავლების ინსტიქტს ვგულისხმობ!

ქალი სულ არ მოელოდა ასეთ მოვლოდნელ აბრუნდს, გულდადლილად გაყვიზინდა:

— ლაფნიქამიასაც გამრავლების ინსტიქტი ამოძრავებს!

— რა თქმა უნდა! მაგრამ კარგის გამრავლებას აქვს მნიშვნელობა, თორემ ისე რამდენი უღირსი და ჭიალუა მრავლდება დედამიწაზე! — გაგას სულ გაუქვირდა ბოლოს მობმა. ვგონებ, თვით ენაც კი გადასცდა სასულეში. ხელი ჩაიქნია და ჩამარცვლით წარსტკვა:

— ყველაზე მეტად გამძლე მარტვლად... მე აღამიანის ოჯახს ვსახე! აი, ჩემი მთავარსაბჭოელიც ამოვშაქრე და მორჩია!

„აი, თურმე საითკენ ხლართავს!“ — უკვე დიდი გულისძვრით, მაგრამ შეწყნარებულადაც გაიფიქრა ნათიამ და თავადაც „ჩაუხლართა“.

— მაგრამ ოჯახიც რომ შესხვაფერდა? ეგებ ამასაც ახალგაზრდობის სენად სთვლი „ტყის ბრძენ-ჭაბუკო?“

— დიახ. სენად ვთვლი, გარდამავალ სენად! მაგრამ სულ ახალგაზრდობაში და სულ მოხუცებულობაში უფრო მტკიცეა ოჯახი, ვიდრე მათ შუა ხანში... მე და შენ — სახიფათო ხანამდე ჯერ არ მიგვიღწევია! მაგრამ ქალს ამ საკითხში უფრო უყვარს გარკვეულობა.

— წელან ხოქოს შესახებ სულ გასაგებად ლაპარაკობდი. ჩემ წერილებსაც თავზე რომ მანვედი, ყველაფერი გარკვეული იყო! მაგრამ ჩამველებულ ჩხუბის ბოლოში როგორღაც ბლანდავ... ახლა საითღა მიწვევ ტყის ბრძენ-ჭაბუკო, მელის კუდი ხომ არ გაბია?

ჯერ დაიბნა ჭაბუკი, მერმე გაიმართა გულში ოდიგარი მოუხლავდა.

— კოდინანის თავისაკენ! იქ, საიდანაც პირველად გამოჩნდება ხვალინდელი მზე, იქ სადაც იწყება ახალი წელი! აი, ცოტაც და გათენდება! კუდი კი არც მელისა და არც ციყვისა არ მაქვს და რა ვთქვა!

არც ეს იყო „გარკვეულობა“, ეს უფრო დაბნეულობაც იყო, სიტყვას

ბანზე კი არა, კოდინანის თავზე აგდებდა. მაგრამ ქალი საოცრად ამართობდა და ამ თქმასაც აყვავა.

— განა იქ იწყება ახალი წელი?

ვაქმა ფეხი აიჩქარა, უფრო ღრმად კვლიც აიტანა თოვლიან ფერდზე. ერთი ავლაც და ისინი უკვე ქედღაზნე-ქილ მწვერვალზე იყვნენ.

ეს იყო კოდინანის უმაღლესი წერტილი.

მთამ, ისიც დილაბინდისას, სივრცის უცნაური თვალცოთმილება იცის. თითქოს განზომილება ეცვლება სამყაროს. ყოველი ხაზი და ფერი გადანაცვლების, გარდატეხისა და შემობრუნების არეში მოსჩანს და სულშიაც ასევე მოითარგება.

— ხვალე იწყება! — გაგამ ისევ ხელი ჩასჭიდა ნათიას ხელს.

მათ ფერხით, ძალამიღეული შარშანდელი ღამე ბოვინობდა. ქვევით კოდინანის ტერფთან და კალთებზე ტევრები თეთრად მიჯრილ ზვინებად იდგნენ. მათ თავზე, ირგვლივ, ახლო თუ შორეთში. მკაფიოდ გარჩევის ზღვარზე, მიფერმკრთალებულ ვარსკვლავებს შესდგომოდნენ — ცხრაწყარო, გვირგვინა, ყვიბისი. ლომის მთა და მათი სახელოვანი, თუ უსახელო ბოკვერები და ლეკვები.

მთვარე ვატეხილ ჩამურევით კიდეში გარჩენილიყო და იქიდან ირმის ნახტომზე, დაფანტულ ფეტვის კვალბალიკი ცად მიყვებოდა.

— შენ გგონია, მხოლოდ პირველ იანვარს და ისიც რომელიმე გეოგრაფიულ წერტილზე იწყება ახალი წელი? ეს ბუნების უბრალო კალენდარია. აღამიანის ცხოვრების დიდ ფერხულში ჩაბმას კი სხვა, უფრო რთული კალენდარი აქვს... ყველას თავისი და თავისებური დღითა და გზით ეწყება ახალი წელი. მე სიკეთისა და შემოქმედების კალენდარს ვგულისხმობ, თორემ უბედურების კალენდარი აბა, რაღა მოსატანია!

მათ შორის ამაზე უფრო „გარკვეული“ არა თქმულა რა.

კოდინანის მთის იქით კი უკვე მზე იგრძნობოდა.

„უმზრახვი ოსტატი“ თავის ახალ უბე-კალთას შლიდა. თოვლთეთრა და წიწვე-მწვანე განთიადი გამჟვირვალედ ამოდიოდა. სულ მიმცხრალი მთვარე ახლა ქვაბში ჩავარდნილი სანთლის კვერვით ღლვებოდა და იცრიცებოდა.

ახლა უკვე ყველაფერი გამოძერწილად და სხეულმკაფიოდ ჩანდა, გარდა ჩაბურთულ, გულჩათხრობილ ტყისა.

იქაც, კორომის პირში, ირმები მიჰქროდნენ და ხარ-ირემს ქორბუდა რქებზე ხვალინდელი მზისა და წლის ბაკში მოჰქონდა. ქვევით ჩაბარული შავბროლა ყფვით მოსდევდა, მაგრამ, აბა, რას დაეწეოდა!

— გაგავ! მზე და ირმები ერთად! — უფრო აღფრთოვანდა ნათიამ. — მაშ, აქ არის თანამედროვე ამირანიცი!

— აქაც და სადაც გული გიბოვინს სამოღვაწოს! — ვაჟი მხრებში ვადგა, მკლავები გაშალა და ლალად მიმოიხედა. თითქოს მთელი ქვეყანა ხელის გულზე დაიდო, მოეფერა, თავისი სულით მოათბო და უფრო წელგამართულად გაუშვა ხვალინდელ დღეში და, საერთოდ, სავაისოში!

ქალმა ასე იგრძნო და თავისი მჯინის ცემაც ამას აუწყო.

ნათიას თვალში, სულ ერთი წუთით, ლეკვი ლომის თაობის სწორი გახდა, ყველა „უჩინმაჩინებს“ მოერია, თავ-ქულები დააგლიჯა და ერთი თავი გამოაბა.

ნათიამ ეს ჯაგრა-ურჩა თავი ნათლივ გააჩრია, თუმცა მის თანამგზავრს ამჟამად ქუდი ეხურა.

ახლა მისთვის ყველაფერი გარკვეული იყო და გადაჭოტჭოტებულ გულს ჩუმი აღფრთოვანება დაეუფლა.

— მაშ ხვალე უკვე დღეს არის?

ვაჟმა კი ქვევით, ტყისაკენ გაიშვირა ხელი.

მაშ ათი ათასი? ხეთა ანგარიშს დღე-იდან ეწეყებ!

— დაიწყე! — და ნათიამ სადღაც ფიქრისა და სიტყვის ზღვარზე, სულ

ჩუმად ჩაათავა, — ოღონდ, შენთან ერთად!

ქალი მონუსხულივით ღლვებოდა. სანთლის ფერი გაჰქრობოდა, თითქოს მასაც გულის სიღრმიდან სავაისო განთიადის სხივი ამოჰფენოდა. შუბლზე, თვალის უბებებში, დაწვებზე მოკაფე წინწყლები ეფრქვია.

ცრემლი?

— ცრემლიც და ოფლიც...

სიმწრისა?

— არა, ოფლი სიხარულისა... ასეთიც არის! შენ შეიძლება ოდესმე მართლაც გახდე მინდია, მაგრამ ქალის გულისთქმას კი მინც ვერ გამოიცინობ... თუმცა ეს ვერც მინდია შესძლო!

ქალი ძირმოსუსტებულ ნაძვივით ირწეოდა. ვაჟმა ხელი შესტაცა გულზე მიიყრდნო... მაგრამ ხმა გაიკმინდა. მასაც ძვრა სჭირდა. ცხოვრების რწმენა და ძალა უეცრად მოუზღვავდა. გულში ვეღარ დაიტია... ყველა გრძნობებში გადაუდულდა, აფორიაქა... მაგრამ მოქმედებდა მოზიდა და შებოჭა კიდევაც. შესძახა, განაბული ქალი თითქოს შეაღვიძა...

— ახლა კი ქვევით ჩავიდეთ, ჩავაღწიოთ! ამ გულით, ამ ცეცხლით დარჩი! არ გაიყინო!.. ნეტავ იმ ტურფასთან რად დაეტოვებ თხილამურები!

ქალი არც შერხეულა. ვაჟმა სახე შემოუბრუნა, ჩაახედა. ძლივს ნაპოვნ სანუკვარის დაკარგვის შიშმა მოიცილა...

— ჩავასწროთ-მეთქი! მზე რომ დაიციხუნებს, კოდინანის ფერდები ზვავსა-შიშია!

მაგრამ ქალი უეცრად გაჭიუტდა. ვაჟის მკლავებიდან თავი გაინთავისუფლა...

— ჯერ არ მოვდიოდი და ვიყავ ასე! ახლა კი ზვავისაც აღარ მეშინია! ანგარიში დაეწეყოთ, ხეთა ანგარიში!

ქალი წინ გაეშურა, თოვლით დაბუნულ წვეროს გადაუარა და პირიქითა კალთასა და ქვედა კორომს ჩააშურა... თითქოს ირმის ნაკვალევს მიჰყვა! ვაჟი წამოეწეოდა...

— ეს ჩემი საცდელის საზღვარს

იქით არის! მისმინე! სავალიც მძიმეა!
— მე ახლა საზღვარს ნუ მთხოვ
ნუ მკითხავ! ამიერიით შეე ხოჭოს მე
ყველგან ვებრძვი! ყველგან! გესმის
თუ კიდევ გავიმეორო?

— მესმის, ყველგან. მესმის!.. მაგრამ
მოიცადე! — მისდევდა გაგა, — იმ ტუ-
რფასთან ჩავალწიოთ, თბილამურებზე
შევდგეთ! ჩამბალ თოვლში გაგვიჭირ-
დება ჩასვლა... ქვევით გვიცდიან, ძე-
ბნას დაგვიწყებენ! აქეთ ზევასაშიში
აღვიღებია!

მაგრამ ქალი აღარ უსმენდა, თოვლში
იფლობოდა. მაინც წინ მიიწევედა... სი-
ტყვებსაც სათესლე ხორბალივით ჰვა-
ნტავდა ირგვლივ:

— წამომიყვანე, დიდი მიზნით გამი-
ტაცე! გულში ბრძოლის ცეცხლი დამი-
ნთე! — უეცრად შედგა, შემობრუნდა,
მიამახა, — კიდევ რაღაც, არა მარტო
ცეცხლი ბრძოლისა!... და ახლა ზვავით
მაშინებ? ან შენ არ ყოფილხარ გულ-
წრფელი და მართლა მასჩრობ... ან მე
სულ უმაქნის „სანთლის დედოფლად“
მთვლი! ნუთუ შენი სანთელ-საკმელიც
მოჩნებათული ამბავია? იცოდე, რომ მე
ზვავმა უკვე გამიტაცა! ახლა მე თავად
ვარ ზვავის მარცვალი!

ქალი წინ უფრო გაბედულად წავი-
და. მიარღვევდა თოვლს. ქედის ნიღრი
ვიწროვდებოდა, უკვე დიდი დაქანება
იყო. ახალი წლის მზე უკვე აცხუნე-
ბდა, აღნობდა შარშანდელ თოვლს...
ნიღრის აქეთ და იქით უკვე გუგუნე-
ბდნენ, გუგუნებდნენ ზვავები!

16

წვერწიორა მთელი დამე ადგენდა
წლიურ ცხრილებს. ავამებდა სხვადას-
ხვა ცდების შედეგებს. ზუსტ მეცნი-
ერულ და პრაქტიკულ წვლილვაში იყო.
დამწვარ დისერტაციისათვის საჭირო
მასალებს ცალკე უნახავდა გაგას. ასე
დაშედეგებული გასული წელი უფრო
დიდი და საქმიანი ჩანდა... მაგრამ წინ
უფრო მეტი იყო საკვლევი, საცდელი
და, მით უფრო, გასაკეთებელ-განსახო-
რციელებული. ქვაბი ისევ დუღდა,

ისევ მზადდებოდა სანთელ-საკმელია
ნახავი, სუფრაც გაშლილი იყო ნათი-
ასა და გაგას მოლოდინში. დათოს დი-
დი ეჭვი და იმედი ჰქონდა, რომ ეს
საახალწლო სუფრა, მიუხედავად მუ-
დმივი დავისა და პაექრობისა, ან იქნებ
სწორედ ამიტომ, საქორწილო სუფრად
გადაიქცეოდა. მართალია სანოვაგეზე
მეტი — უნარი, სურვილი და სიხარუ-
ლი ჩაატანა სუფრის მზადებას და ტყის
პირობაზე არც თუ ურიგო გამოუვი-
და... მაგრამ წასულები კი არსად ჩა-
ნდნენ!

ბედად საქმეც ბლომად ჰქონდა და
ღელვას უყუჩებდა. მაგრამ შუალამემ
რომ მიატანა, გარეთ გავიდა.

ხეობაში თოვდა. მალა, კოდიანისა-
კენ კი ვარსკვლავები ციყვის თვალე-
ბივით ბრწყინავდნენ. მთვარეც საცე-
რივით ჩანდა.

უეცრად ზარის ხმა შემოესმა. ოთა-
ხში შევარდა. მაგრამ მალეძიარა გამო-
დგა. სრული თორმეტი იყო.

თავისა თოფი გამოიტანა და კოდი-
ანის მიმართულებით ორი მაშხალა აუ-
შვა.

ცოტაც აცალა, მაგრამ არსიდან
საპასუხო ხმა არ მოსვლია. არც ტელე-
ფონით არავის მოულოცავს ახალი წე-
ლი. ახლა თავად მიეტანა ტელეფონს
ხაზი დაზიანებული აღმოჩნდა. ამან
სულ შეიწუხა. თანაც ბარდნას უმატა
თოვლმა. უკვე აღარც კოდიანი ჩანდა.
ხეობის ნიავსაც მინაჭარი მოჰქონდა.
მთვარეც ჩაქრა და მთვარისქვეშა ქვე-
ყანაც.

დათო ველარც დაწვა, ველარც საახა-
ლწლო პური გასტეხა. ითმინა, ითმი-
ნა და ოღნავ ირიყრაფა თუ არა, გაგა-
სა და ნათიას ბარათი დაუტოვა და თა-
ვად თბილამურებზე შედგა, მავთულის
ხაზს ჩაჰყვა.

დაბალი, ჩამოთოვლილი განთიადი
დგებოდა. ფიფქი თოვლი ჭერ გამჭიფუ-
ლა იყო და კარგად იჭერდა თბილამუ-
რებს.

ტყე თეთრსაარაკო სანახავი იყო. მაგ-
რამ დათოს ახლა სხვა გულთაძგერა

ჰქონდა. აბა, კეთილგონივრულ გულს, თითო სადარდელი ხომ არ დაეღუვა და ახლა „ორი ერთად“ და ჩაორმაგებულად იყო გულსახეთი. ახალი წლისა და იქნებ უფრო მეტი მნიშვნელობის სუფრახე დაგვიანება, ან ძალიან კარგის მომასწავებელი იყო, ან მეტად ცუდის! დათოვილ მავთულს მისდევდა და მეჩხერ წვერ-ულვაშსა თუ წარბებზე უხვად შეყრილ თოვლს ყურადღებას არ აქცევდა, ვიდრე პირაღმა ხვეტია ქარმა თვალები არ ამოუვსო.

ბედად მალე მიავნო დაზიანებულ ადგილს. თოვლის მცირე ზევეს წამოექცია ბოძი. ზევეების გახსენებამ სულ გულშიმიანობაში ჩაადგო წვერწიორა. ჩამოგლეჯილი მავთულები ქალის ჩამოშლილ თმებს ამსგავსა და უფრო შეძრწუნდა.

დატრიალდა და სხვა ხაზიდან მოწყვეტილი მავთული სატყეოსას, დააგრიხა. საპაიპაროდ შეუერთა. ახსოვდა, რომ მათი ხაზი სულ ქვედა მავთული იყო.

შეერთებული ხაზი ხეზე დაამავრა და უკან გამოიჩქარა. თან იმედი დაეხანა — აი, ახლა მივა და შავბროლა ყუფითა და ლაქუციით შემოახტება. დანარჩენი ადვილად წარმოსადგენია... უკვე მოსულან და ახალი წელი ბედნიერზე ბედნიერია! რა ცოტა უნდა აღამიანს და მაინც რა რთულია ჩვენი ცხოვრება! შინ მობრუნებულს არავინ დახვდა, მისი წერილი წაუკითხავად და უტყვად იდო. ახლა ყურმილი მოსინჯა. ტელეფონს ენა ახსნილი ჰქონდა და შიგ ტყის ჩურჩული მწყრალად ისმოდა.

წიორამ ერთხელაც მიიხედა კარისაკენ, დათოვილ გზისაკენ და დარეკა. ბორჯომის კომუტატორს ყველა სატყეო და მეტყევეთა ჯგუფი საგანგაშოდ გამოაძახებინა. სელექტორზე დააკავშირა.

— გაგა და მისი სტუმარი! ტყიდან არ დაბრუნებულა! მათი გეზი კახისის ტბა, საცდელი კორიში და კოდინის მიდამოები იყო! ვადა დაბრუნებისა —

წუხელ საღამო, თუ მაინცდამაინც — ახალწლის შუღამე! ველ... ჩანან!

ხაზზე სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა თავის ვარაუდებში იყო, მერმე ერთმა იკითხა;

— ვინ სტუმარი? ტურისტია?

— არა, მკვიდრია! ჩვენი თანატოლი, თბილისელი მხატვარი... სანთელი მოგვიტანა ახალი წამლისათვის! ცდებზე თან გაჰყავა!

მავთულში ისევ, ახლა უკვე უფრო დაძაბული, სიჩუმე დასადგურდა.

— გაგას რა დაჰკარგავს, ტყის ქაჯია! მაგრამ ვატაკების კაციც არის! გამოჩნდებიან! იქნებ ტურბაზაში, ან მეცხვარეთა ნაკარვალებში დარჩენენ?

— არა, ჩემის აზრით, ეს ვარაუდი გამორიცხებულია! სხვაა რაღაც! — ყურმილში ჩასძახა დათომ და ყველა უფრო ააფორიაქა.

— მაინც მოვეშხადოთ! მაგრამ საგანგაშო, მე ვფიქრობ, ჯერ კიდევ არაფერია!

ბორჯომის მეტყევეს ხმა დადინჯებულად მავთულებში მიმოდიოდა. მერმე ყველა ერთბაშად ალაპარაკდა... ზოგი ექვობდა ზოგი სწუხდა, ზოგი ჩქარობდა. ნაკრძალი აფრთხილებდა ბაკურიანს, ციხისჯვარი აჩქარებდა ახალდაბას, წალეგრის საცდელი და ჩარხისწყალის სადარაჯო ერთმანეთს უთანხმებდნენ სამზადისს, ტბა და თორი თავის მანქანებს დაეძებდნენ. თითქოს მთელი ქვეყანა ლაპარაკობდა და ორთა დაგვიანებას განიცდიდა.

ისევ ჰობისხევემა აღიმალდა ხმა.

— სტუმარი მაფიქრებს! გამოუცდელია ასეთ თოვლში! იქ კი, ზევით წავიდნენ, ზევესაშიში ადგილებია! მაინც მზემ თუ დაათბო!

— მაშინ ახლავე, საერთო ძიება!

— მეტეოცნობებით დარია, კარგი დარია!

— მე ახლავე გადვივარ! კვალდაკვალ მიყვები, თულა მოვაგენი! — ერთიცი იძალა დათომ და მილში ჩასძახა.

ისევ სინუმე და ურთიერთის დაცლა დამყარდა სამავეთულოში.

— მოგვიცადე, მარტო ნუ წახვალ! ეს უკვე განკარგულეხარ! მე ყველას შევატყობინებ! ბორჯომი ვარ! ბაკურიახო, აცნობეთ მაშველ სადგურსაც!

— ახლავე ვაცნობებთ! ჩვენც მოვდივართ!

— მოვდივართ!

— მოვდივართ!

— მოვდივართ!

ყველაზე ადრე ჩაქვებამოკრული მანქანით, ბორჯომის სატყეოსანნი ამოვიდნენ, დათო მანქანაში ჩაისვენს და გზა განაგრძეს. კობისხევშიც ახალგაზრდები ემზადებოდნენ. მოხუცმა ზალიკოდალამ კი თავი მოიკლა და ბორჯომელებს წაჰყვა საძებარში.

— ახალწელიწად დღეს ახალგაზრდების ძებნა მეკუთვნის, აბა, რის მამქნისი ვარ!?

ახლა სხვა სატყეოებზეც მოჰყვენენ. ბაკურიახისა და ციხისჯვრის მამველები კი თხილამურებით, მრავალი ზამთრის ტურისტისა და მეთხილამურის თანხლებით, თორის გზით გამოემართნენ კახისსა და კოდინისაკენ.

უხვად დათოვლილ საძებარ მიდამოს და საცდელ კორამს ახლა მაშველ ჭკუფთა დიდი რკალი გარს შემოერთა.

დაკარგულთა კვალი ჭერ არსად ჩანდა. ბორჯომის ჭკუფი დათომ კახისის ტბის პირზე მიიყვანა.

— აქედან იწყება გაგას საცდელი ნაკვეთი! თავის მეთოდის მიხედვით. ზამთრის საცდელი შეწამულა მეჩხერ ტყეში უნდა ესინჯა!

— მაშინ, ტბას დავეუროთ... იქ შეწამულავდა... — წინ ზალიკოდალა წავიდა.

მამველები გაიშალნენ და ფართო სერულად ავლეს თოვლიანი ტყე.

აქაც მიქარული იყო თოვლი, მაგრამ ერთ ადგილზე რაღაც კვალს წააწყდნენ.

— ძველია! — შექნეს დავა ახალგაზრდებმა.

— არა, ახალი!... ძველი და ახალი ველარ გაგირჩევით მომავალ პირისუფლებო! — გაწყრა ზალიკოდალა...

— გავევით და ენახოთ! — ბრძნულად გადასწყვიტა დათომ.

ჭკუფი, ფეხაჩქარებით. თავჩაქინდრულად მისდევდა წყვეტილ ნაკვალევს.

— ზევით შეჰხედეთ! ზევით! — გახარებულად წამოიძახა და კისერი წაიგრძელა დათომ, — ისინი არიან!

ყველამ აიხვდა. ხეები აქა-იქ ახალდამორილი და შეწამული ჩანდა.

— მხატვრის ხელია! ვინმე არის მხატვარი? — იკითხა ზალიკოდალამ.

— არის! სტუმარი! — აჩქარდა დათო, — ახლა კი სირბილით ავევით!

— დამაცალეთ! შეველა სირბილი კი არ არის, უმცდარი განსჯა! — მოხუცმა თვალი მიაყოლა ახალ შეწამულსა და დანამრილ ხეებს დაყნოსა კიდევაც ლერობები! — ახალი წამალია! არც ისეთი მკვებე, როგორც პირველი!

— ახალი... სხვაც უნდა იყოს! წუხელ ერთად მოვამზადეთ ორივემ. არა სამივემ!

ზევით რომ აჰყვენენ, საამო სურნელიც მოიტანა ნიავემა.

— ცუდი პირი და სუნი არ უჩანს ამით საერთო გზასა და შრომას! — ღინჯად დაასვენა ულვაშამ და ახალგაზრდული სიმარჯვით გავიდა თხემზე.

ახალგაზრდებიც მიჰყვენენ. თხემზე უკვე კარგად ჩანდა ორთა კვალი. სერელის კიდეში მავალეებმა კი ხეზე ჩამოკიდებული სასხურებელიც ნახეს. მალევე ტურფასთან ჩაივდნენ და კვლავ კოდინის მწვერვალისაკენ აისწრაფა. ახლა მიმართულება სრულიად გარკვეული იყო.

— უკვე დროა, ნიშანი მივცეთ სხვებსაც! აქეთ მოგროვდნენ! კოდინი ყოფილა მათი მიზანი! კვალს არ ეტყობა დაღლა, გვერდი-გვერდ საუბრით უვლიათ! — თითის აწევითა და ულვაშში დამალული ღიმილით შეხალისდბ და სხვებსაც გული გაუხსნა მოხუცმა.

— შენ ისიც გეცოდინება — რა სა-

უბარი ჰქონდათ? — კრიჟა გაეხსნა წვერ-
წიორას, — იქნება გვიხრია!

— ნიშანი მიეცი, ნიშანი! თქვენი
ახალგაზრდული საქმისა — თქვენ უკეთ
იცი, ახალგაზრდებო!

როგორც დათქმული ჰქონდათ, კვა-
ლის მიგნების ნიშნად, დათომ თოფი
ორჯერ გაისროლა.

ჭერ მისი ჰუპუ არ იყო მოთავებული,
რომ სხვადასხვა მხრიდან მოვიდა ორჯერ
ნასროლი თოფის ხმა.

— სამმა ჯგუფმა მიიღო ნიშანი.

— მეოთხემ... თორის მხრიდან?

— აი, მეოთხეც! — და მართლაც მო-
ისმა, უფრო შორეული, ოდნავ შეგვი-
ანებული ხმა თოფისა... მაგრამ ახლა,
სადაც ზევით, კოდიანის თავზე, თუ
ქვედა თხემზე ორჯერ ზედიზედ გავარ-
და, მესამე კი ხანდაყოფებით.

ყველამ მკაფიოდ ჭაიგო.

— ეს რაღას ნიშნავს?

— გაგას თოფია! — აღფრთოვანებით
შესძახა დათომ, — ჩემს წვერებს ვფი-
ცივ!

— კოდიანზე ასულან! დახე მაგა-
თა! — ახშიანდნენ ახალგაზრდები.

ნეტავ რამ აიყვანათ? იქ რაღა არის
შესაწამლავი? — ჩაიღიმა ზალიკოდალამ
და თავადვე დაასკვნა, — ალბათ, იქიდან
უკვე მოჩანს ახალი წელი! თქვენც
მოგილოცავთ, ახალგაზრდებო!

„ჩემო მამავ და მამავ! ისევე შენ გწერ
ჩემს უახლოესს... სულიერ ლელვის
დროს, შენთან საუბარი ყველაფერს
მირჩევნია... თუმცა ახლა საქმე სულ
სხვანაირად შეტრიალდა. ჩვენს შორის
დიდი პაექრობა ხომ თავიდანვე დაიწყო,
მერმე გაგრძელდა... და მოხდა ისე, რომ
ჩემს წერილებზე შენს მაგივრად სხვამ
გასცა პასუხი... დამერწმუნე, შენზე არა-
ნაკლებ მკაფიოდ და შემართებით.
ხოლო ჩემთვის უფრო დამაჯერებლა-
დაც! რადგან თანატოლებს ყოველთვის
უფრო სჯერათ ურთიერთისა...“

ეს არასოდეს არ იცინ უფროსებმა.
აქ რაღაც დაჭერებზე და ნდობაზე უფ-
რო მეტი არის. მე თანტოლისაგან უფ-

რო მეტსაც მივიღებ, მეტსაც მოვინებ,
მეტსაც ვეტყვი... მეტსაც შევინებ...
თანატოლებში უფრო გასაგებობს...
უფრო ემთხვევა კიდევაც ის, რასაც
თქვენ საერთო სულსკვეთებას ეძახით.

ჰო და, ჩემმა თანატოლმა, პასუხი გამ-
ცა სიტყვითაც, საქმითაც და წარმოიდ-
გინე, წერილობითაც! მოჭრილ და ზე-
ზემდგარ, ჰიანატყვიარ ხეებად მანახა
ტყე ფაქტებისა... ხოლო ფაქტები ახალ-
გაზრდულ შეგნებაშიაც არა ნაკლებ ჯი-
უტები ყოფილან! ესღა არის, რასაც
მონუცები გუმანითა და განჭვრეტით
გრძნობენ, ჩვენ შუბლი უნდა ვახლოთ,
შუბლი! და რა კარგია, რომ... თურმე
ცხოვრებასაც გააჩნია თავისი კეთილი
„შურგი“!

აქამდე მე უფრო ვიცოდი — რა არ
მსურდა, ვიდრე — რა მწადდა თავად!...
ახლა კი მე უკვე ვიცი, რომ დასაცავის
დაცვა, ისევე აუცილებელია, როგორც
დასაგმობის დაგმობა! მე ახლა ვიცი
განსხვავება წინააღმდეგობისა და მო-
წინავეს შორის! ვიცი, რომ თაობიდან
თაობაში საერო და საერთო ღვაწლის
მრავლება ყველასათვის ისევე სავალდე-
ბულოა, როგორც სამშობლოს სადარა-
ჯოზე ყოფნა!

მე ახლა წინანდელზე უფრო აღელე-
ბული ვარ! მაგრამ, ჩემო მამავ, პირველ-
ყოლისა ამხსენი ფიცი... ჩემი ფიცი გა-
გას შესახებ... და არა იმიტომ, რომ იგი
„გატყუარა“, არამედ იმიტომ, რომ
მეც „გამატყუარა!“

შენს სულს ვფიცავდი და ახლა —
ფიცს უკან ვითხოვ! და ნურც ჩაგეცი-
ნება... მსგავსებით, უსულთათგან, ტყე
ყველაზე უფრო ახლო დგას ხალხთან!

შენი დაწერილი ორივე განცხადება
გამოვიყენე. გარდა ამისა, მრავალიც
ვცადე. ახლა, საბოლოოდ, საბუნების-
მეტყველოზე შევედი. მხოლოდ ერთი
სიტყვა დავუმატე — „დაუსწრებელი“...
თურმე ახალგაზრდამ რამდენ კარსა და
კედელს უნდა ახლოს თავი, რომ თა-
ვისი ალაყაფი ნახოს, მიავნოს!

მე მტკიცედ დავრწმუნდი, რომ ქვეყა-
ნა მართო ამალეებულ ოცნებით კი

არ არის, არამედ უფრო — უსაშველო შრომით... ხოლო შრომა მაშინაც არ არის უნაყოფო, როდესაც უშუალოდ არც იძლევა ხელსახებ ნაყოფს! არის ისეთი კეთილი საქმეც რომელიც მაშინ უფრო უშედეგოა აკეთო, როდესაც არაფერი გამოდის!

მე მხოლოდ ახლა ჩავწყვიდი გრძნობას, რომელიც ყოველ თაობას ალღოსეულად გააჩნია, მაგრამ შეგნებულად ყველაზე გვიან მოდის — ეს იმდენად არა „სახელის მოხვეჭის“ გრძნობა ყოფილა რამდენად გრძნობა „კვლავ-კეთილობისა!“ რომლის შესახებ შენს უკანასკნელ წერილში მწერდი!

თურმე ეს დიდი გრძნობა, თუ ქვრეტა სიღრმისეულად უნდა გწვავდეს, რომ შენმა ნიჭმა, თუ გაგაჩნია, ცეცხლი კეთილი მოიკიდოს და აბრიალდეს!

იცი, მამავ, მე ხელოვნებას მაინც არ დავანებებ თავს... ძველ მასალას ახლა ჩემთვის ახალი „ტყის“ მასალაც დაეუმატე. და ახლა „მცენარეთა დაცვა“ თუ ჩემი „მეუღლე“ არის — ხეზე ქრა ჩემი სატრფო — საყვარელია!

ჩემი ახალი ვატაცება გაგასაც მოსწონს და სრულიად აღარ იჭვიანობს, როგორც წინათ...

სანთლის ტიკინებს კი მხოლოდ ჩემი შვილებისათვის, შენი შვილიშვილებისათვის გავაკეთებ!

აქ — ტაშისკარის იქეთა ტყის სამყაროში კი ჩვენ ოჯახურ ანგარიშს უკვე ახალი ხსნარით შეწამლული ათი ათასი ხის შემდეგ აღარა ვთვლით, ყველა ჩვენნი საერთო სამკურნალოა!... „ხეცა და არა ხეც!“ დღენიდაგ იმეორებს შენი საყვარელი ვაგა.

ახლა მეც ვეთანხმები... და არა რიტომ, რომ მან დამარწმუნა, რომ რიტომ რომ, თავად დაერწმუნდი!


ახლა ჩვენ ძველებურად აღარ ვჩხუბობთ, მაგრამ საჩხუბურად და თავსატეხი მაინც ბევრი გვაქვს. ვაგა მისაყვადურებს — შენ ასეთი ჩხუბიან-პაექრული სიყვარული გცოდნია... ნუთუ მართალია? თუმცა შენც მუდამ გედევბოდი, მამა, და ხშირად უდავოსაც სადაოდ გიხდიდი, მაგრამ უფროსმა თაობამ ყოველთვის უნდა იცოდეს, რომ ახალგაზრდობა, — უპირველეს ყოვლისა — დიდი პაექრობაა!

მამა, ჩემად გეტყვი, რომ არც ვაგაა უჩხუბარი და უსიყვარულო, მაგრამ მის პაექრობას თავიდანვე დიდი არსი, აზრი და საგანი გააჩნდა!

ახლა შენ ყველაფერი იცი და განსაზღვრე ვინ ყოფილა „ლეკვი ლომისა!“ ფიციც ამხსენი და გზა დამილოცე!

ამ „დიდი პაექრობის“ უმთავრეს ნაწილს დასასრული, ჯერჯერობით, არ გააჩნია. ჯერ ტაშისკარის შეუპოვარი ბრძოლაც გრძელდება. მის სიმწვავეს ყველგან იგრძნობს, ყველა თაობის კაცი, ვისაც ამის უნარი არ დაუკარგავს ქართულ ტყეს ჯერ კიდევ ღრღნის ლაფნიჭამია... არც უმრწამსო და ფუჭიბაქია ახალგაზრდების მღვრიე ნაშთი და ნალექი არ აღმოფხვრილა ჩვენში.

ხვალინდელი დღე კი მთელი თავისი მრავალი მისწრაფებითა და მისაღწიერით თვალდათვალ დგება და ჩვენმა ახალგაზრდობამ ახლა თავად უნდა გასცეს პასუხი — ვისთვის თავდება ძველი წელი და ვისთვის იწყება ახალი!?



მთაჲ ჭირაჲჲ

ც ი რ კ ი

პოემა

უკვე ზარია და ვლელავ თითქოს.
გულმაც რალაცა მანიშნა ისევ.
და ცხოველების სუნი და სითბო
მძიმე ხელივით მომისვა პირზე
ცირკის არენამ.

გულს კი საყურე
უცვნია შენი და მეც მანიშნებს.
და ერთნაირად ჩაცმულ მსახურებს
კლოუნის ზურგზე აწყობს
ბალიშებს.

აი, მუსიკაც!
ვისთან ხარ, ნეტავ...
ანღა ამ კლოუნს რა მოუვიდა,
თოკზე შედგომას რომ ველარ
ბედავს
და ცრემლის ნაკადს ასხამს ყურრიდან.

არაფერს ფასი არა აქვს ისე,
თუ ვერ დამალა შიში კლოუნმა.
და ალბათ, ისიც მოიმტვრევს კისერს,
ხიფათი თუ ვერ იგრძნო დროულად.

მეც უნდა დროზე მეგრძნო ხიფათი,
თუმცა ხიფათზე სულ არ
ვფიქრობდი.

მე მქონდა ფრთები და რაც
მზიბლავედა,
დაუფიქრებლად მისიკენ მივქროდი.

დუმის და ყოყმანს გადაჩვეული,
დაუფიქრებლად მივქროდი ასე
და ცა მიმქონდა, როგორც რვეული,
ჯერ გაურკვეველ ნიშნებით საფხვრე.

სურვილი იყო ჩემი ბატონი.
მეც ვუჭერებდი, რადგან მომწონდა

ჩემი სურვილი... და საათობით
ვმღეროდი, როგორც ბავშვი
კოცონთან.

შენ არ გესმოდა, რადგან ბუნება
მალლა ახედვას გიშლიდა მაშინ,
და სანამ თვითონ არ გაცდუნებდა,
ცის მეტს ვერაფერს ნახავდი ცაში.

მეც ვეჩვეოდი ამ ამბავს თითქოს,
და უშენობით ყელამდე საფხვრე,
ვიძინდი ხუთი კაპიკის სითბოს
და ავტობუსის გაცვეთილ სკამზე
ვჯდებოდი ჩემთვის და დიდი წვიმის
მოახლოებას ვგრძნობდი გულმანით.
და მთებში, როგორც ლტოლვილითა
მწკრივი,
ძლივს შედიოდა გარეუბანი.

პირველად იმ დღეს ვიფიქრე, მგონი,
რომ ავცდებოდი...
რომ ჩვენი გზები
სხვადასხვა იყო და ყველა ღონეც
იყო ამაო, თუ ღმერთის ნებით
არ მოხდებოდა...

ღმერთი კი ისევ
შორს იყო ჩვენგან, რადგან არავის
ალარ გვახსოვდა,
არ ვთვლიდით ღირსად.
მაგრამ სიმართლის ხმა შემზარავი
შაინც ცოცხლობდა.
და თურმე დღემდე
იმ ხმას კი არა, დანას ვმალავდი.
დანას,
რომელიც მკვლელობის შემდეგ
შემომჩიჩნეს ხელში ძალათი.

შენ კი ნამდვილად გეძინა მაშინ
და იზრდებოდი ძილში ტოტივით,
რომ გაგელვინა და უცხო ხალხში
გასულიყავი, როგორც მოტივი
ახალ სიმღერის...

ვინ ვაჭრა, ნეტავ,
თოკი, რომელიც ჩვენ გვაერთებდა...
მე ახლა უფრო გარკვევით გხედავ:
შენ ზიხარ მაღლა...
თითქმის კედელთან...

თოკი,
რომელიც ჩვენ გვაერთებდა,
ამ თოკს მაგონებს, რომელზეც ახლა
კლოუნი გადის.
შენ ზიხარ მაღლა...
ძალიან მაღლა...
თითქმის კედელთან.

მე კი მარტო ვარ და ბევრი დრო
მაქვს,
რომ ყველაფერზე ვიფიქრო
მშვიდად.
მე ვერ შევძელი იმ თოკზე დგომა
და შენ დაგკარგე.
და აღარ მინდა,
რომ ერთხელ კიდევ დავარტყა კეფა
რკინის იატაკს.
კლოუნს კი რაღაც
აშინებს ისე და მხოლოდ ხელფასს
დაკარგავს, თუ ვერ გაბედა ახლაც.

მე შენ დაგკარგე და ეგ საყურე
ვარსკვლავად მექცია... და შენს გამო,
მარტო რომ ვზივარ...
აი, მსახურებს
აკრობატების ბაღე გამოაქვთ.

ცირკში ყველაფერს ხსნიან
მარტივად,
მე კი, რაც ვნახე, ისიც შეყოფა.
მეც ხომ გაფრენილ აკრობატივით
ჩემი სიცოცხლე ვანდე მეგობარს.

ის კი სხვა სკამზე გადაჯდა მაშინ,
როცა გასროლილ ქვასავით სწრაფად

მივჭროდი მისკენ და ხალხიც ტაშით
მაჭილდოვებდა.

თვალი კი საფარს
და ხელჩასავლებ ადგილს ეძებდა,
მაგრამ ამაოდ.

და ჩემი ქროლვა
შეწყდა შიშისგან დამფრთხალ
მხეცებთან

და კლოუნებთან.
მაგრამ მე დრო მაქვს,
რომ ყველაფერზე ვიფიქრო კარგად,
ვიფიქრო სწორედ, დიდხანს და
მშვიდად.

ვიპოვო თავი და რასაც ვკარგავ,
მთლიანად გაქრეს ის ჩემი ციდან.

თუმცა საბრალო ადამიანი
ყოველთვის რჩება ადამიანად.
რაც უნდა ძველი იყოს იარა,
არ მოშუშდება მაინც მთლიანად,

არ გამოჩნდება მაინც ვარდნა,
მაგრამ ყოველთვის გემახსოვრება...
და რაც უხდება ცირკის არენას,
ის სასაცილოდ ხდის ჩვენს
ცხოვრებას.

აი, ვეფხვების ცნობილი
მწვრთნელიც.
განებიერებულ ქალის უფლებით
ეძახის ვეფხვებს და ვეფხვიც ნელა
შემოდის,
როგორც ჭრელი ღრუბელი.

მუსიკამ დარბაზს გადასცა ყინვა.
ქალი კი გაწვა ვეფხვის ტორებთან
და ყველა ყალბი აღმასის ბრწყინვა
აღმოუჩინეს პროექტორებში.

მე ვერ გამწვრთნიდა.
მე როცა მტკივა,
ვეძებ და ვებრძვი ხოლმე იარას.
ამიტომ მარტო დავრჩი და ვზივარ:
მხეცი, ქცეული ადამიანად.

ვისთან ხარ ნეტავ...
ვინ არის ნეტავ...

ვინ ისაყუთრებს შენს ცას და
სითბოს...
ციკის მსახური არენას ხეცტავს
და ალბათ ისიც, ვეფხვებზე
ფიქრობს.

მაგრამ არენა ისევ ნათდება
და გაწვრთნილ ძაღლებს ეკუთვნის
ახლა.

და პაწაწინა ძაღლის თათებმა
ვეება ბურთი ისროლეს მაღლა.

მაღლა შენ ზიხარ... თითქმის
კედელთან...
ალიარებულ სიმართლის მსგავსად...
მე კი გიყურებ და მახსენდება
დაახლოებით ასეთი ფრაზა:

„მაშინ ის თვითონ დადგა კედელთან
და თვითონ გასცა სროლის
ბრძანებაც.

თვითონ უარყო, რაც აერთებდა
ამ ქვეყანასთან და არ დანებდა
მტრის უხეშ ხელებს“...

მე კი მეგონა,
რომ შენთვის მხოლოდ სიკეთე
მსურდა.

და როგორც გზებით დაღლილ
მეგობარს,
მიიხუტებდი ჩემს სურვილს გულთან.

მაგრამ ვცდებოდი და შენი შექიცი
ნატრობდა მხოლოდ თავისუფლებას.
დღეს კი ხეს გაეხარ, რომელსაც
უკვე
გადაუარეს თავზე ღრუბლებმა.

მეც ღრუბელი ვარ...
მაგრამ შენს მხარეს
არ წამოვიღებს ქარი დღეიდან.
კლოუნი რასაც დაამტკრეეს გარეთ,
ბნელ კულისებშიც თვითონ
შეიტანს.

მეც ეუბრუნდები ისევ იმ ქალებს,
რომლებიც ძალით შექმნილ
ბუზართან

ეცხლს ეჩვეოდნენ ძალიან მაღლა,
თამამად იწვნენ და... არ უყვარდათ

აღარ გავუშვებ ოცნებას არსად...
დავთმობ სულისთვის ყველაზე
მთავარს
და ციკის დიდი აფიშის მსგავსად
გარკვევით ვიტყვი: ვინ ვარ და რა
ვარ!

და თუ კი ვინმე მიმიტანს გულთან,
ასეთი ვინმე ამ ქვეყნად თუა,
მე უარს ვიტყვი და მხოლოდ უარს,
მხოლოდ და მხოლოდ უარს და უარს.

რომ ჩემი ტლანქი ვნებების გამო
კიდევ ერთი ზე არ დადგეს
ჩრდილში,
არ იქცეს ჩრდილად და ყოველ
ლამე
არ გაილიოს გაქრობის შიშით.

თვითონაც წვალობ და სხვასაც ერჩი,
შენც გიჭირს სუნთქვა და სხვასაც
უშლი,
როცა სხეულში იბუღებს მკვი,
ვით შემთხვევითი მარცვალი
ხნულში.

შემზარავია ეჭვის ობობა,
შემზარავია და თუკი აცილი,
შენც დაიჭერებ, რომ უნდობლობა
თანდაყოლილი გრძნობაა კაცის.

მე, რა თქმა უნდა, არ ვაზვიადებ
ტყვილს, რომელსაც ვიტან და
ვუვლი.

მე ვიყავ მიწა და ჩემს წყვდიადში
ფესვივით მშვიდად ფეთქავდა გული.

ათასნაირი გული არსებობს:
ცხელიც და ცივიც,
შლეგიც და მშვიდიც...
ზოგი სავსეა, ანდა სავსებით
ცარიელია და მაინც მიდის.

მიდის ბუნების გზით და ბრძანებით,
წვას და წვალებას გადაჩვეული,

და მხოლოდ ფეთქვა არ ეზარება,
რომ ფიტულივით ზიდოს სხეული.

მაგრამ გათავდა!
მართლა გათავდა!
უნდა გადაწყდეს:
რა ვარ თუ ვინ ვარ!
და სანამ ჩემთვის დაეთვლი ათამდე,
სულში გადნება ათი წლის ყინვა

და შზე ამოვა,
რომელსაც ასე
ველოდებოდი, ახლა კი ისიც
ამოვა დღემდე უჩინარ ცაზე
და ჩემს სიბნელეს დააყრის სიცილს.

თუმცა მეც მზად ვარ, რომ
მოვეუშვადო
ახალ ტყვილებს სულიც და
ხორციც.
და როგორც ბრძოლის შემდეგ
მუზარადს,
ჩემს ტყვილს ხელში ვიღებ და
ვკოცნი.

ყველა სიმღერა ტყვილივით ჩნდება,
ყველას დაყვება ტყვილივით და
რომ შეამჩნიოს მაშინვე სხვებმაც,
რასაც ვერ ამჩნევს უბრალო თვალი,

და დაიჭვრონ, რომ შენც გაძელი,
რომ არ აკეთე მორჩილი სახით
ის, რასაც სტვენიით და ღრბანცელით
მოითხოვს ცირკში მოსული ხალხი.

ზღვისა და მიწის და ცის
მპყრობელი —
უცნაურია სული ბუნების:
ხან თუ ბავშვივით გვედიდგულება,
ხან გვეხმარება, როგორც
მშობელი.

ის გვეკლიდა დღემდე
და კვლავაც შეგვეცვლის,
რომ თვითონ მარად დარჩეს
მთლიანი,
და ამქვეყნიურ ვნებათა ცეცხლში
ყელამდე იღგეს ადამიანი.

ჯამალ ქარჩხაძე

ისტორიული რომანი

მოხზობა

ეს ღირსშესანიშნავი ამბავი, რომელმაც გამვლელთა ცხოველი ინტერესი გამოიწვია და მათი დაფანტული ყურადღება წამით მთლიანად მიიზიდა, მოხდა ლენინის ქუჩაზე, ბაზრის პირდაპირ, სადაც ადამიანთა და მანქანების არასასიამოვნო შეტაკების თავიდან ასაცილებლად ქუჩასა და ბაზარს შორის გვირაბია გაყვანილი. გვირაბს ორივე მხრიდან კიბეები ჩაუდის, რომლებზედაც ხალხი უწყვეტ ნაკადად მიედინება და თითქმის არასოდეს ჩერდება.

უფრო სწორად არასოდეს ჩერდებოდა, მაგრამ აი, შუა გაზაფხულის ერთ მშვენიერ დილას კიბეზე შეფენილი მობაზრეები შეჩერდნენ და ცნობისმოყვარე სახეები მიიღეს: მათი ყურადღება რაღაც ხმაურმა მიიპყრო.

რა მოხდა? რამ ამოაგდო ასე უცერად კალაპოტიდან ეს საქმიანი ხალხი? რას მისჩერებოდნენ ასეთი ხარბი ცნობისმოყვარეობით?

ხმაურის მიზეზი არ ყოფილა მაინც-დამაინც დიდი ყურადღების ღირსი: კიბის ძირში, სულ ქვედა საფეხურთან, ეგდო ვარდისფერი ბაღე, ჩვეულებრივი ბაღე, რომელიც, მიუხედავად გარეგნული მომხიბლავობისა (ან იქნებ სწორედ ამიტომ,) დიდ ტვირთს ვერ უძლებს და, საერთოდ, მალე ფუჭდება. ბაღეში ეწყო კვერცხები, უფრო სწორად, ყოფილი კვერცხები, რომელთა თავდაპირველი დანიშნულება, ეჭვი არაა, ქვის კიბეზე დამსხვრევა არ ყოფილა.

ეს იყო ხმაურის მიზეზი. მაგრამ ასე-

თი მიზეზი, როგორც ცნობილია, თავის მხრივ, საკმაოდ მწვავე მიზეზის შედეგია.

დამსხვრეული კვერცხების გვერდით იდგა მანდილოსანი, საშუალო ტანის მოხუცი ქალი, რომელიც კარგად თავშენახული ჩანდა, მაგრამ ეტყობა, ისეთ ასაკში იყო, როდესაც თავშენახულობა უკვე ველარ უწევს შესაფერის წინააღმდეგობას ბუნების დამანაოკებელ ზემოქმედებას. და ეს ნაოკები, თავისთავად ერთობ უსიამოვნო ფაქტი, შეხამებული ჭიკაძარა თმასთან, რომელიც უხვად ჩანდა შავ ბერეტს ქვემოთ, არათუ არ აუშნოებდა მას, არამედ რაღაც მომხიბლავ და სათნო იერს აძლევდა. სახეზე წყნარი ნალველი და სირცხვილნარევი სიხარული ეფინა; ხოლო გრძნობათა მოულოდნელობა ამ გამომეტყველებას კიდევ უფრო აძლიერებდა.

როდესაც კიბის ბოლოში ახალნაყიდი კვერცხები ასე შეეწირნენ მოხუცი ქალის გრძნობათა აზვირთებას, კიბის თავში საპასუხო, ჩხაკუნი გაისმა. იქ იდგა სპექტაკლის მეორე გმირი—მოხუცი კაცი, იგი გაშეშებულიყო და, პირველი გმირისაგან განსხვავებით, ცისფერი თვალბეჭით სასიამოვნო გაკვირება და შეუკავებელი სიხარული ედგა. ხოლო მისი ხელჯოხი საფეხურებზე კაკუნითა და რაღაც უცნაური დაქაღნებით მიისწრაფოდა ქვემოთ.

ბოლოს, როდესაც ხელჯოხი კიბის ძირში ჩავიდა და დამარცხებული სარდლის ხმალივით განერჯოხო მოხუცი ქალის ფერხით, გვირაბში ჩამავალი კიბე

წამით მკედარ წერტილს დაემგვანა. მაგრამ ეს წამი გრძელდებოდა იმდენ ხანს, რომ, როგორც იტყვიან, სცენა არ გაციებულოყო. შემდეგ კი მოხუცი კაცი, რომელიც აქამდე მოულოდნელი სიხარულისაგან გაშეშებული იდგა კიბის თავში, წარმოუდგენელი სიმარჯვით მოწყდა ადგილს და დაეშვა ძირს. მის მოძრაობაში ისეთივე დაჭანდება იგრძნობოდა, როგორც წელან მისი ხელჯობის მოძრაობაში. და ეს ქადილი კიდევ უფრო აღიერებდა მაყურებელთა ინტერესს. საერთო აზრი დაახლოებით ისეთი იყო, რომ ბოლო ან ზუსტი ასლი უნდა გამომდგარიყო ხელჯობის მოძრაობის ფინალისა, ან აღმოსავლურ ტემპერამენტსა და გრძნობათამოზღვავენას საბოლოოდ უნდა გაერღვია თავშეკავებისა და ეთიკის ყოველგვარი ჯებირი. მაშინ კი სანახაობა მართლა იქნებოდა ნახვის ღირსი!

მაგრამ მოხუცმა კაცმა ჩამოათავა კიბეები და მაყურებელთა მოლოდინი რომ გაეცრუებია, გაუბედავად შეჩერდა ჰალარა მანდილოსნის წინ. ხოლო შემდეგ, როდესაც სრულიად უზრალოდ, ხმადაბლა და საკმაოდ პროზაულად, ეხმოთა ჰკითხა ქალს, „როგორა ხარო“, და თანაც მეორე სიტყვის წარმოთქმისას რაღაც უცნაურად დავბა ენა, მაყურებლებმა საბოლოოდ ჩაიქნიეს ხელი, შეურიგდნენ მდგომარეობას და თავის გზით გაეშურნენ. თუმცა, საფიქრებელია, სპექტაკლს უკვალოდ მაინც არ ჩაუვლია, რადგან თითქმის ყველა მათგანს სახეზე მხიარული და მოიდუმლო ეშმაკური (ერთი სიტყვით, სიტუაციის შესაბამისი) ღიმილი ეფინა. აქ იქ სიცილმაც იფეთქა, რომელსაც, სავარაუდოა, წინ გარკვეული ზასიათის ოხუნჯობა უძღოდა.

ღიდი და ნათელი ოთახის სანიმუშო წესრიგში აშკარა დისონანსი შეჰქონდა რამდენიმე სადღესასწაულო კაბას, რომლებიც სკამის საზურგეებზე იყო გადაფენილი და უნებურად პატარძლის ასოციაციას იწვევდა; თუმცა ამ მკედარ მოსაზრებას ერთი მოსმით აბათილებდა

სალომეს ვარეგნობა. (ღიახ, მას სალომე ერქვა. გუშინდელი შეხვედრით ვფიქრობე, აქებულ ჰალარა მანდილოსანს, და თუ ეს სახელი აქამდე უცნობი იყო ჩვენთვის, ამაში ბრალი მიუძღვის ერთ გაუბედავ მოხუცს, რომელიც სულის მოულოდნელი მეტამორფოზის გამო შუასაუფუნების აღმოსავლური გრძნობათაზვირთებიდან უკანასკნელ წამს საშარცხინოდ ჩამოქვეითდა თანამედროვე ცივილიზაციის უფერულ პროზამდე და შთაბეჭდილებებს დახარბებულ ხალხს ვერავითარი სულიერი საზრდო ვერ მისცა). ამგვარად სალომეს ვარეგნობა გადაჭრით ფანტავდა ყოველგვარ ცრუ მოსაზრებებს პატარძლობის შესახებ.

მაგრამ თუ ასეა, მაშინ მისი უცნაური მღელვარება რაღას უნდა მიეწეროს? რას უნდა მიეწეროს, მაგალითად, ის ვარეგნობა, რომ უკვე ოთხი კაბა გაისინჯა, თანაც ერთი მათგანი უკუღმა ჩაიკვა და, სანამ ამ იუმორისტულ ფაქტს შენიშნავდა, კარგახანს იტრიალა სარკის წინ? რატომ იწყობოდა ხშირ-ხშირად ფანჯარაში? რაკი ასე დაუოკებელი ინტერესი ჰქონდა ქუჩაში მომხდარი თუ მოსახდენი ამბებისადმი, რა საჭირო იყო ქურდული თვალთვალი დახურული დარბაზების ჭუჭურუტანიდან, გაეხედა წესიერად, როგორც იხედება ხალხი, რომელთა სინდისს არავითარი ცოდვა არ ამძიმებს! იქნებ მაინც საქორწილო მზადებას უკავშირდებოდა ესოდენ შეუფერებელი საქციელი?— ორმოცდაათ წლისთავს, ეგარეთოდებულ ოქროს ქორწილს. არა, არც ესაა სწორი ვარაუდი, ოქროს ქორწილი, მართალია, კარზე იყო მომდგარი, მაგრამ „კარზე დგომა“, როგორც ვიცით, არაა ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი მანძილი და უფრო მასშტაბურ სიდიდეს წარმოადგენს. იმ დღეს სამშაბათი იყო, ოქროს ქორწილი კი, მართალია, უნდა გადაეხადათ და ღიდი ზარზემითაც უნდა გადაეხადათ. მაგრამ არა სამშაბათს და არა თუნდაც ოთხშაბათს, არამედ, ეპეი, როდის— შაბათს. ხოლო სამშაბათს ცოტა ნაადრევია შაბათისათვის ასე დეტალურად მზადება.

სალომეს სინდისზე შავი ლაქა გაჩნდა. შაბათს ქორწილს იხდიდა, მართალია, ოქროსას, მაგრამ მინც ქორწილს, დღეს კი სამშაბათი იყო და ქმარს დალატობდა. შესაძლებელია, ეს „დალატობდა“ მეტისმეტად უხეში სიტყვა იყოს და მთლად სწორად ვერ გამოხატავდეს საქმის ფაქტიურ ვითარებას, მაგრამ არის მოვლენები, რომლებიც ფაქტის სიმძაფრეს იძენენ, როგორც კი ჩვენს გულში მათ შესაძლებლობას დავუშვებთ. ყოველ შემთხვევაში ასეთი აზრისა იყო სალომე, სამი შეილის დედა და ხუთი შვილიშვილის ბებია, რომელსაც საყუთარ სახლში, სადაც უკვე მესამე თაობა იზრდებოდა და ამ ხნის განავლობაში ერთი გადაბრუნებული სიტყვაც არ თქმულა, პაემანი ჰქონდა დასიწნული.

სალომეს მღელვარებას, მომავალი შეხვედრით გამოწვეულ ბუნებრივ მღელვარებას, კიდევ უფრო ამძაფრებდა ამ შეხვედრასთან დაკავშირებული დანაშაულის გრძნობა.

თუმცა შესაძლებელია აქ ცოტა ვაჭარბებთ და სრულიად უსაფუძვლოდ ვიღებთ ჩვენს თავზე სალომეს აფორიაქებულ გრძნობებში გარკვევის მიუღსიძნელეს. შესაძლებელია, ზემოხსენებული ორი მომენტიდან არც ერთი არ ყოფილა სალომეს მღელვარების მთავარი მიზეზი, არც მომავალი „მიჯნურთა შეყრა“. „თუკი, საერთოდ, ეს გამოთქმა ასეთ სიტუაციაში დასაშვებია (თვითონ სალომე მომავალი შეხვედრის ენობრივ-ლიტერატურული განსაზღვრისათვის ესოდენ უკიდურეს ტერმინებს არ მიმართავდა), და არც სინდისის ქენჯნა, არამედ სულ სხვა რამ, რომელიც ოდნავ ჩამოავს ისეთ გრძნობას, კაცს რომ მოულოდნელობისაგან ადგილზე აშეშებს. მაგრამ, ვიმეორებთ, ეს არის ძალიან შორეული მსგავსება. სალომეს გულში მიმდინარე პროცესი, მისი მღელვარების „მთავარი მიზეზი“ მოულოდნელი გაკვირვებისაგან განსხვავებით არ ყოფილა წუთიერი, აფექტური გრძნობა, არამედ რაღაც უფრო მყარი იყო, უფრო ღრმა და თუ ვნებავთ,

უფრო მისტიკურიც. სიზმარში უნდა ხოლმე ასეთი უცნაური გრძნობა კაცს. ასეთ უცნაურ ფაქტსაღსიზმარში ვხედავთ, რადგან სიზმარში ანგარიში არ ეწევა არც დროსა და სივრცეს, არც ცივ, ანგარიშიან გონებას, რომელსაც მიაჩნია, რომ ამა და ამ ვითარებაში ამდენი და ამდენი ნაბიჯის გადადგმა შეიძლება, ამას იქით კი ფანტაზია და ზღაპარია. სიზმარი ფანტაზიისა და ზღაპრის სარბიელია. სიზმარში ხედავ კაცს, რომელსაც კარგად იცნობ და რომელთანაც ბევრი რამა გაქვს საერთო, თუმცა სიზმარშივე გრძნობ, რომ არასოდეს ეს კაცი არ გინახავს. იცნობ და არ იცნობ, გინახავს და არ გინახავს. და რაც მთავარია, ამ თითქოსდა ურთიერთგამომრიცხავ ფაქტებს აღიქვამ სრულიად ბუნებრივ, სრულიად ჩვეულებრივ და ყოველდღიურ ამბად.

დაახლოებით ასეთი იყო სალომეს განცდა. იმიტომ რომ დაახლოებით ასეთი იყო თვითონ ფაქტიც. იმ მოხუცს, რომლის ხელჯოხი გულში დამარცხებული სარდლის ხმალივით განერთხო მის ფეხთქვეშ, სალომე ძალიან კარგად იცნობდა, ბევრი რამ ჰქონდა საერთო მასთან, თუმცა არასოდეს ენახა; მართალია, ამ ორმოცდაათი წლის წინ სალომე იცნობდა ერთ ახალგაზრდა კაცს და მასთან ბევრი რამ ჰქონდა საერთო, მაგრამ გულში გამოირკვა, რომ ახალგაზრდა კაცი არ არსებობდა, სამაგიეროდ კი სალომეს ბევრი რამ ჰქონია საერთო ვიღაც მოხუცთან, რომელიც არასოდეს ენახა...

ბოლოს, როგორც იქნა, გაუთავებელ რჩევასა და საკისს წინ ტრიალს წერტილი დაესვა და სალომემ ენერგიული მოძრაობით, რომელიც ნათლად ამქლავებდა, რომ საგონებელში ჩავარდნილი პრანჭია პატარძლის გაუბედაობა მტკიცედ შეცვალა ურყევმა გადაწყვეტილებამ, ჩაიკვა მუქი ცისფერი კაბა, თუმცა, უნდა ითქვას, იგი დანარჩენი კაბების წინაშე, ვერაერთარი განსაკუთრებული ღირსებით ვერ დაიტრიალებდა. დიახ, ასე უნდა ითქვას, მაგრამ ისიც უნდა დამატოს, რომ ჩვენ აქ შემ-

თხვევით არ გაგვისვამს ხაზი მხოლოდ გარეგნულ ღირსებაზე. კაბას, ვარდა ამისა, აქვს შინაგანი ღირსებაც. ყოველ შემთხვევაში, სალომეს მუქ ცისფერ კაბას, რომელიც მკერდზე ღილებით იკვრებოდა და რომლის ზედა ღილი ახლა გახსნილი იყო, ჰქონდა თავისი შინაგანი ღირსება. ეს ღირსება ასოციაციას ეყრდნობოდა და იმაში მდგომარეობდა, რომ კაცის გონება (ცხადია, არა ყოველი კაცის, არამედ ზოგი მათგანის, ანდა, კიდევ უფრო ზუსტად, მხოლოდ ერთი კაცის გონება) ერთბაშად გადააბრუნებოდა ორმოცდაათ განვლილ წელიწადს. მართალია, ყოველგვარი ღირსება ცალმხრივია და სალომეს ჰალარა თმას ისე აღარ უხდებოდა ეს მუქი ცისფერი კაბა (რომელსაც ზოგი ვინმე, ანდა, კიდევ უფრო ზუსტად, მხოლოდ ერთი ვინმე ზღვისფერ კაბას ეძახდა), როგორც ამ კაბის ორმოცდაათი წლის წინანდელი ასლი უხდებოდა ქერა თმას, მაგრამ ასეთი ნაკლი, ბოლოს და ბოლოს, თამამად შეგვიძლია შევწიროთ სასიამოვნო ასოციაციას.

სალომემ დაწუნებული კაბები თავთავიანთ ადგილას ჩამოკიდა და სკამზე ჩამოჯდა, მაგრამ მალევე წამოხტა და შეშინებული მივარდა მიხურული დარაბის ჰუჭურუტანას, რათა საჭირო მომენტი არ გამოჰპარეოდა. ახლა „საჭირო მომენტი“ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, მოულოდნელი დაკავუნება იმას გამოიწვევდა, რომ კარი ბავშვით აღელვებულსა და აღმურმოდებულს უნდა გაედო. სამოცდარვა წლის ქალისთვის კი ბავშვური აღელვება და გაწითლება ვერაა მთლად შესაფერისი საქციელი, თუნდაც ისეთ ამაფორიაქებელ სიტუაციაში, როგორშიაც სალომე იმყოფებოდა.

ამიტომ მან გადაწყვიტა მოხუცს გადაარაჭებოდა და ამ მიზნით მტკიცედ დამკვიდრდა სათვალთვალო პუნქტთან. კარგახანს იდგა ასე. მერე უძერად მკვეთრი მოძრაობით შემოტრიალდა. თვლებში შიშნარევი სიხარული ეწერა და სახეზე აღმური ჰქონდა წაქიდებულნი, რაც იმის მაუწყებელი იყო, რომ

„საჭირო მომენტი“ დადგა. და მან ბოლოს ცემა დაიწყო. პირველად ანალოზრდული ენერგიით დააპიჯუნდა ოთახიდან ოთახში, მერე კი თანდათან მოუნეღა ტემპს. ბოლოს დაწყნარდა და სიწითლემაც გაუარა.

ამ დროს ზარის ხმაც გაისმა.

სალომე კვლავ წამოწითლდა, მაგრამ ამის აღარ ეშინოდა, რადგან იცოდა, რომ გადატანილი მღელვარების შემდეგ ეს ერთი წამის საქმე იყო. და მართლაც კარებთან მისვლამდე საბოლოოდ დამშვიდდა, თუ კი, საერთოდ, შეიძლება საბოლოოდ დამშვიდება ასეთ სიტუაციაში.

...ზღურბლზე იდგა მოხუცი კაცი, ჩვენი ნაცნობი ზელჯოხიანი მოხუცი კაცი და ცისფერ თვალეში რაღაც უცნაური შუქი ედგა, რომელიც ცხადია, სიხარული იყო, თუმცა ეს „სიხარული“ მხოლოდ მიხლოებით გამოხატავს ამ შუქის ნამდვილ არსს. და თუ არა ფაქტი, ნათელი და ყოველგვარი ეჭვის გამფანტავი ფაქტი, ვერც კი დავიჭრებდით, რომ სამოცდარვა წლის ქალის დანახვას შეუძლია კაცის თვალეში ასეთი შუქის ანთება.

მოხუც კაცს, რომელსაც (ბარემ აქვე ვიტყვი) კონსტანტინე ერქვა, სალომესაგან განსხვავებით, ისევე გუშინდელი, გვირანად შელანძლული რუხი კოსტუმი ეცვა, შლიაპაც, წელთა სიმრავლის გამო უფსკრულის პირას მისული შლიაპაც, გუშინდელი იყო (ეს რომ ვლადიმერ გორგილაძის შლიაპა ყოფილიყო, სალომეს კანონიერი ქმრისა, ალბათ, უკვე ერთი წელიწადია სანაგვე ყუთში იქნებოდა გადასროლილი) და ეს ნაკლებ სახარბიელო მორთულობა სალომეს ბინის დიამეტრალურად საწინააღმდეგო მორთულობას თითქოს ერთგვარად ჩრდილს აყენებდა, მაგრამ ეს გარემოება კონსტანტინეს აინუნშიაც არ ჩაუგდია (ყოველ შემთხვევაში, სრულიად არ შეიმჩნია) იგი ღიმილით შესცქეროდა ჰალარა დიასახლისს. ჩვენ აქ უბრალოდ ვთქვით, „ღიმილით შესცქეროდა“, საერთოდ კი ეს ღიმილი

უფრო დაწვრილებით აღწერას იმსახურებს, რადგან (დაე, ეს იყოს ამ აღწერის დასაწყისი) ასეთი ღიმილი იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. ეს იყო ღიმილი, რომელიც, ასე ვთქვათ, არავითარ ექვს არ ტოვებდა. ეს იყო ხორცისა და სულის ერთიანი ღიმილი, თითქოს ამ კაცის მთელი შინაგანი და გარეგანი სამყარო, მთელი ცხოვრება — წარსული, აწმყო და მომავალი ღიმილად ქცეულიყო. ჩვეულებრივი ღიმილი ცალმხრივი და წარმავალი მოვლენაა და მის უკან ყოველთვის მოჩანს ცხოვრების სხვა მხარეები—მწუხარებაც, ფიქრიც, საქმეც, ავიცა და კარგიც. სტუმრის ღიმილი კი თითქოს ამ აზრის ვაბათილებას წარმოადგენდა. თითქოს ყველაფერი, რაც კი კონსტანტინეს პიროვნებას უკავშირდებოდა, ღიმილად ქცეულიყო და ამ ღიმილს იქით არაფერი აღარ იყო, არც მწუხარება, არც ფიქრი, არც საქმე, არც მოვალეობა, არც ზრუნვა, იყო მხოლოდ ღიმილი, ასე ვთქვათ, აბსოლუტური ღიმილი.

ასე იდგა ერთ წამს ორი მოხუცი. და მათი შეხვედრის მესამე მონაწილე თითქოს დროის უღმობელი და სწორხაზოვანი კანონი იყო. ბოლოს კონსტანტინემ ხელი გაუწოდა და უთხრა (თანაც ზმნა ოდნავი ენის ბორძიკით წარმოთქვა):

— როგორა ხარ, სალი!

„სალი“, ეს სტილიზებული „სალომე“ დიდი ხანია აღარავისგან გაეგონა დიასახლისს და ამ ფაქტმა ხმის ათრთოლებაში ჰპოვა თავისი გამოხატულება.

— მობრძანდი, — შეიპატიუა მან სტუმარი.

ისინი როგორღაც უხერხულად, ფეხაკრეფით შევიდნენ შინ. მაგრამ ეს იყო არა პირდაპირი მნიშვნელობით, არამედ, ერთგვარი, თუ შეიძლება ასე ითქვას, შინაგანად ფეხაკრეფით სიარული, სულის მოძრაობად გადაქცეული ფიზიკური მოძრაობა. და ამ „შინაგან ფეხაკრეფილობაში“ იგრძნობოდა გაუბედაობა, ოღონდ არა აკრძალული პეგმანის გაუბედაობა, არამედ სულ სხვა რამ, რაც

განვიღო ორმოცდაათ წელიწადს უკავშირდებოდა. თუმცა ეს განმარტება მთლიანად ჩვენ გვეუთვნის, რაც შეეხება სტუმარ-მასპინძელს, ისინი ანგარიშს ვერ აძლევენ თავიანთ თავს და თვით გაუბედაობის ფაქტსაც ბუნდოვნად აღიქვამდნენ.

სალომემ სტუმარს სკამი მიაწოდა და ორივენი დასხდნენ.

— მშენიერი ბინა გქონია, — დაარღვია დუმილი კონსტანტინემ. თან სიტყვა „გქონია“ ოდნავი ენის ბორძიკით წარმოთქვა.

— ხო, ბინაზე არ ვემდურით ღმერთს. კონსტანტინე გაჩუმდა და ერთხანს დემონსტრაციულად დუმიდა. ბოლოს ძველებური ღიმილით თქვა (თუმცა ამჯერად მის ხმაში ოდნავი ცვლილება იგრძნობოდა, კილოს ოდნავი შემსუბუქება).

— სხვისი არ ვიცი. შენ კი საერთოდ არა გჩვევია, ალბათ, ღვთის სამღურავი. არც მაშინ ემდუროდი...

სალომეს ფერმა გადაკრა. თქმით არაფერი უთქვამს და, ეკვი არაა, საამისო საფუძველიც ჰქონდა. ეს „საფუძველი“, რომელმაც სალომეს ხანდაზმულ სხეულში გარკვეული ფიზიოლოგიური ცვლილებები გამოიწვია და თეთრი სახე ვარდისფრად შეუფერადა, განსაზიერებელი იყო ერთ პატარა სიტყვაში, პატარა ზმნისზედაში — „მაშინ“.

სტუმარ-მასპინძელი კარგახანს დუმიდა, და ეს გასაგებიცაა; არ ვაგვიკვირდებოდა, რომ იგი ორმოცდაათ წელიწადს გაგრძელებულიყო. მაგრამ ეს პრაქტიკულად შეუძლებელია, ხოლო აზროვნების უპირატესობა ის არის, რომ დროის კანონს არ ემორჩილება და ორმოცდაათი წლის სავალს თავისუფლად გადის ორმოცდაათ წამში. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დაძაბული დუმილის ორმოცდაათი წამი ხშირად არც ჩამოუვარდება ორმოცდაათი წლის ყოველდღიურ საქმიანობას.

ბოლოს სალომემ დაილაპარაკა, რადგან მას მასპინძლის მძიმე მოვალეობა

აწვა კისერზე, მაშინ როცა სტუმარს ყოველგვარი უხერხულობის გარეშე შეეძლო ჩუმად ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ ჩუმად ყოფნისთვის არ მოსულა აქ.

— რა ქარმა გადმოგავდო?

მართალია, სალომე გულის სიღრმეში გრძნობდა, რომ ორმოცდაათი წელი წაშლილი იყო, მაგრამ ინსტინქტურად ცდილობდა სულის ამაფორიაქებელი ზმნისზედა „მაშინ“ შედარებით უწყინარი და მშვიდი ზმნისზედით, „ახლა“-თი შეეცვალა. და, ცხადია, მიზანს ვერ მიაღწია, რადგან ასეთ დროს კაცი თითქმის ვერასოდეს ვერ აღწევს მიზანს.

— ქარს არ გადმოვუფდევარ, — მიუგო კონსტანტინემ, — პირიქით, ქარის საწინააღმდეგოდ მივდიოდი. ზოგიერთი მეცნიერი ამტკიცებს, კაცის ხასიათი თანდაყოლილი ფაქტორია და დროის მსვლელობა ვერ ცვლისო. შესაძლებელია ასეთი მეცნიერისათვის კარგი ცდის პირი ვყოფილიყავი. ყოველ შემთხვევაში, ერთი რამ შემიძლია დაბეჭივით ვითხრა:—გაკვრით შევენიშნავთ, რომ სიტყვა „ვითხრა“ კონსტანტინემ ოდნავი ენის ბორძივით წარმოთქვა, — ახალგაზრდობის დროინდელი ზოგიერთი პრინციპისათვის დღემდე არ მიღალატნია.

როგორ ხდება ხოლმე, რომ ცაზე უეცრად იფანტება ღრუბლები? რა თქმა უნდა, შეიძლება ამ მოვლენის მეცნიერულად დასაბუთება, მაგრამ არც იმას უნდა თქმა, რომ ექვის შეტანაც შეიძლება ასეთ დასაბუთებაში. ხოლო თუ „ღრუბლების გაფანტვა“ ნათქვამია არა პირდაპირი აზრით, არამედ სიმბოლურად, როგორც მხატვრული ხერხი, როგორც მეტაფორა, მაშინ პრობლემა კიდევ უფრო რთულდება. როგორ ხდება მაგალითად, რომ მძიმე, უხერხული და თითქმის ნაძალადევი საუბარი უეცრად ლაღი მსუბუქი და გულახდილი ხდება? ალბათ, ამას ისევე როგორც ყველაფერ სხვას, აქვს თავისი მიზეზი, მაგრამ ამ მიზეზს ვერ იპოვნი, მხოლოდ ბუნდოვნად თუ იგრძნობ...

ახლა კი მივყვებით ჩვენი მოხეტიაეების საუბარს, მოგახსენებთ, რთვორე გაფანტა ღრუბელი, და თუ შესწავლით, რომელზედაც ზემოთ ვილაპარაკეთ, აქ არის სადმე, მისი აღმოჩენა, ან ბუნდოვანი მიგნება მაინც მკითხველისათვის მიგვინდვია.

— მომიყვანე აქ ის მეცნიერები. ან მისამართი მაინც მომეცი, წერილს გაუგზავნი და მივეწერ, რომ ცამდე მართალი არიან, რომ უფალი კონსტანტინე ვაწაძე თავისას ვერასოდეს მოიშლის და სადაცაა გადმოაპირქვეავებს მთელ ფილოსოფიას. მერე ქვემოთ დავწერ P.S.-ს და დავუმატებ, რომ თვალების ფერი ფილოსოფოსობას გიკრძალავს.

ეს სიტყვები ასე უბრალოდ არ წარმოთქმულა, როგორც იკითხება. დასაწყისში სალომე სახეში შეჰყურებდა სტუმარს და თითქოს მისი აბსოლუტური ღიმილიც გადმოედო. მაგრამ შემდეგ „უფალი კონსტანტინე ვაწაძე“ რომ ასხენა, განზე გაიხედა, ლოყები პატარა გოგოსავით შეეფაკლა და თავიც ოდნავ დაბლა დახარა. ლაპარაკის ტემპსაც საგრძნობლად უმატა და ბოლოს ისე სწრაფად დაამთავრა თავისი სათქმელი ფილოსოფოსის უფლებების შესახებ, როგორც ეს გაუბედავ ხალხს ჩვევია, რომელთაც ეშინიათ, რომ საზოგადოების კრიტიკული თვალი მათ სიტყვებს ღირსეულად ვერ შეაფასებს.

— მართალია: „ფილოსოფია და ცისფერი თვალები ერთმანეთს ვერ გვუყვებიან!“ ახლა კი ვხედავ არც შენიკნებოდი ურიგო ცდის პირი, — კონსტანტინემ სიზარულისაგან ხელის გული მაგიდას დაარტყა დაახლოებით ისეთი ფესტი, როგორც ბარძაყებზე იტყაბუნებენ ხოლმე. თან ამჯერად სიტყვა „იკნებოდი“ და თვით სიტყვა „შენც“ კი ყოველგვარი ენის ბორძიკის გარეშე წარმოთქვა, — თუმცა სრული ილუზიისათვის შესაძლებელი კომპონენტი გვაკლია, ცისფერი ზღვა. და არც შენს ზღვისფერ კაბას აკერია თავისივე ფერის ღილები.

— ვერ ვიშოვე.

— ვერ იშოვე... რა თქმა უნდა, ვერ იშოვიდი. იმიტომ, რომ წარსული არ იშოვება. წარსულის მაძიებელი უკეთეს შემთხვევაში, ილუზიას იპოვის და, თუ ბედმა გაუღიმა და ეს ილუზია ასე თუ ისე სრული გამოდგა, მაშინ მისი სუბიექტური განცდა ობიექტური შედეგის კატეგორიამდე აღის, როგორც სიზმარში ხდება ხოლმე.

— რაც შეეხება მესამე კომპონენტს, შენი ბედი, რომ გვაქვია, თორემ მაგ ფილოსოფოსობის გულისათვის... — სალომე წამოწითლდა და ნახევრად მორცხვობით, ნახევრად ეშმაკური ღიმილით მოკუტა თვალები, — მე ვიცი, რასაც ვიზამდი.

— მიატოვებდი „აუტანელ ფილოსოფოსს“, როგორც უმადური აუდიტორია მიატოვებს ხოლმე ენამკვივრ ორატორს, და „მესამე კომპონენტს“ მიაშურებდი. მაგრამ შენზე უკეთ ვინ იცის, რომ ასეთი ოინების ავტორი დაუსჯელი არასდროს დარჩენილა.

— არა, ჩვენ არაფერი შეგვეშლია. არ გვაინფიცდება, რომ ორივე მოსაუბრე მოხუცია და ამის აღსანიშნავად თოვლისფერი თმა და ურიცხვი ნაოჭები აქვთ. ჩვენ მხოლოდ ფაქტს აღწევთ, ხოლო თუ ფაქტი ზოგჯერ ექსცენტრიულია და ზურგს აქცევს ბანალურ ყოველდღიურობას, ამის მიზეზი შესაძლებელია ასე თუ ისე სრული ილუზია იყოს, რომელსაც ზოგჯერ მოგვანიჭებს ხოლმე ბედი და რომელსაც ჩვენი სუბიექტური განცდა ობიექტური შედეგის კატეგორიამდე აპყავს, როგორც ეს სიზმარში ხდება. ყოველ შემთხვევაში, მოხუცი სტუმარ-მასპინძელი, რომელთაც სიტუაციის ორიგინალურობის გამო, შეიძლება ქალ-ვაჟი კი ეწოდოთ, ერთობ ალგუნებული და შეცბუნებულები იყვნენ.

— ისე, ხომ განზრახ კირვეულობდი, ხომ გესმოდა ჩემი ნალაპარაკები.

— ცოტ-ცოტა მესმოდა. რა თქმა უნდა, თუ ნამეტანი რთული არ იქნებოდა. ალბათ, შეჩვეული მქონდა ყური და იმიტომ. ისე, რა ღმერთი გაგიწყობოდა,

რომ დღეში ერთი ფილოსოფიური ლექცია მაინც არ წაგეკითხა.

— ახლა?

— რა ახლა?

— ვალიკო არ გეკითხავს ხოლმე ფილოსოფიური ლექციებს? — „ვალიკოს“ წარმოთქმისას სტუმარმა კვლავ წაიბორძიკა.

სალომე შეკრთა. ვალიკო ილუზიის მიღმა იდგა. ვალიკო, გარკვეული აზრით, მოტყუებული ქმარი იყო. მართალია, მედიცინის დოქტორიც იყო, მაგრამ ეს ორი ცნება ერთმანეთს არ გამოირიცხავს. და სალომემ სინდისის ქენჯნა იგრძნო; ორივე მხრიდან ქენჯინდა სინდისი, ჯერ ერთი, ამ ცისფერთვალემა ფილოსოფოსის პირით წარმოთქმული „ვალიკო“ მძიმე ბრალდებასავით ისმოდა, და მეორეც, თვითონ ეს მოხუცი იყო ბრალდება, როდესაც საქმეს ვალიკოს თვალთ შეხედავდი.

— არა, ვალიკო არ ლაპარაკობს ფილოსოფიაზე. — უპასუხა ბოლოს, რადგან პასუხი მაინც საჭირო იყო.

— ხო. — რაღაც უადგილო ცილოთი, ბეჭდის დასმასავით წარმოთქვა კონსტანტინემ. მერე, უცებ, კატეგორიულად მოითხოვა, — დაიწყე, რაღას უყურებ!

— რა დავიწყო? — გაიღიმა სალომემ.

— შენი ამბავი. რას აკეთებდი, როგორ ცხოვრობდი... ორმოცდაათი წელიწადი, თუ ნებას მომცემ გაგანათლო, ნახევარი საუკუნეა და ამ ხნის მანძილზე ათასი რამე შეიძლებოდა მომხდარიყო.

— არაფერიც არ მომხდარა. ვცხოვრობდი, როგორც ყველა ქალი ცხოვრობს, ყოველ შემთხვევაში, როგორც ჩემი მეზობელი ქალები ცხოვრობენ. ჯერ შეილება ვზრდიდი, მერე შვილი-შვილებს; თუ ღმერთს სულ გადავავიწყდი, შეიძლება შევითავშვილებიც გავზარდო, ეს არის და ეს.

— ძალიან მოკლე და მშრალია. თუმცა ორმოცდაათ წელს უფრო გრძლად ვერც მოყვები კაცი. შვილების ვაზრდა ჩინებული საქმეა. შვილიშვილების ვაზრდაც. მაგრამ, მამატიე და ცოტა კომი-

კურად ელერს შვილებზე რომ ლაპარაკობ. შვილიშვილები, საერთოდ, ჩემი გონებრივი შესაძლებლობის გარეთ დგანან.

— ვითომ რატომ?

— რა ვიცი. ალბათ, სრული ილუზიის გამო,—სტუმარმა თვალი მოაშორა მასპინძელს და კედელს მიანიხრდა,—პატარა სალი, რომელიც ფილოსოფიურ ტირადას შუაზე გაწყვეტინებს და ისეთი დაქაღნებით გარბის ზღვისაკენ, თითქოს ამდენი მიუტევებელი ფილოსოფია ვედარ აიტანა და თავის დახრჩობა გადაუწყვეტიაო, პატარა ეშმაკი სალი, რომელიც ქუჩაში ვიდაც მთვრალ კაცს აუღვენება, ფეხს აუწყობს, მზადაა სახლამდე სდიოს ასე ბარბაცით და აინუნშიაც არ აგდებს იმ გარემოებას, რომ „აუტანელი ფილოსოფოსი“ ამ დროს ჭირის ოფლში იწურება, ასეთი პატარა, ეშმაკი სალი სრულიად სერიოზულად ლაპარაკობს თავის საკუთარ შვილებზე, სტუმარმა თვალი მოაშორა კედელს და მასპინძელს მიანიხრდა,—და ასე გასინჯეთ, შვილიშვილებზეც კი.

სალომეს სევდიანად გაელიმა.

— სალი სამოცდარვა წლისაა.

— გამოაკელი ორმოცდაათი წელი და თერამეტის გახდება. ოღონდ ზუსტად ორმოცდაათი წელი გამოაკელი და არა, ვთქვათ, ორმოცდაცხრა წელი და სამას სამოცი დღე, რადგან იმის აქეთ სხვა ქვეყანაა. მაგრამ ერთი ეს მითხარი, სად არიან ახლა შენი გაზრდილი შვილები და შვილიშვილები?

— ჩემთან მარტო უმცროსი შვილია, ქალი. ვაჟები დაცოლშვილდნენ და თავთავისთვის ცხოვრობენ.

— რამდენი ვაჟი გყავს?

— ორი.

— ქალი გაუთხოვარია?

— არა. ცამეტი წლის შვილი ჰყავს.

— ვაჟებს?

— უფროსი შვილიშვილი თერამეტი წლისაა. ყველაზე პატარა — ოთხის.

— ჰოო?

— კი მაგრამ ახლა შენი ამბავიც მითხარი.

— ჩემი ამბავიც მოკლე და მშრალია, როდესაც გარედან შეხედავ მთელ ამ ორმოცდაათ წელიწადს. თუმცა ცალკალკე დღეებს თუ ავიღებთ, შესაძლებელია ყოველი მათგანი სრული იყოს და არც შინაარსიანობის მხრივ ჩანდეს მაინცდამაინც ცარიელი. ალბათ, შენი ორმოცდაათი წელიც ასეა; საერთოდ, ორმოცდაათი წელი და ერთი დღე ცოტა უცნაურად უპირისპირდება ერთმანეთს. ორმოცდაათი წელი გაცილებით მოკლე და მშრალია, ვიდრე ამ ორმოცდაათი წლის ერთი დღე. პარადოქსია, მაგრამ სუბიექტურად ასეა, ადამიანი კი სუბიექტია. ერთი დღის აღწერას შეიძლება ორმოცდაათი წელი მოუნდეს, ორმოცდაათ წელიწადს კი ორ წუთს აღწერ.

— ეს არ არის შენი ამბავი, თუ მართლა ხორცშესხმულ ფილოსოფიად არ გადაქციულხარ.

— მართალია, ეს არ არის ჩემი ამბავი. ჩემი ამბავი ნაკლებ საინტერესოა. ორმოცდაათი წელი კიდევ ვდგავარ იმის შემდეგ მიწაზე და ვერ იქნა, ფეხი ვერ მოვიკიდე. ვერ მოვიკიდე იმ აზრით, რა აზრითაც ხმარობენ ამ გამოთქმას ისეთი კაცის მიმართ, რომელსაც ნახმარი, ვაცრეცილი კოსტუმი აცვია და თავზეც უფსკრულის პირას მისული შლიაპა ახურავს.

— ასეთ რამეს ადრე არ აქცევდი ყურადღებას.

— მართალია, მაგრამ ამასწინათ დამესიზმრა, ვითომ სახელგანთქმული დიავნოსტიკი ვიყავი.

— მერე?—შიშითა და დაქვეებით იკითხა სალომემ.

— ეს იყო სიზმარი ლოგიკური მახვილით. ვითომ სწორედ მე ვიყავი და არა სხვა ვინმე სახელგანთქმული დიავნოსტიკი. და ამიტომ ის ნაბიჯი, რომელიც ორმოცდაცხრა წლისა და სამას სამოცდასამი დღის წინ გადადიდგა, არ გადადგმულა.

— ის ნაბიჯი ანგარების ბრალი არ ყოფილა,—თქვა სალომემ და გაწითლდა. გაწითლდა და მეტი არაფერი. ხოლო იმის გადაწყვეტას, წარმოადგენდა თუ

არა ეს სიწითლე საკუთარი თავის უნებურად გაცემას, საკუთარი სიტყვების უარყოფას და სხვისი სიტყვების უხმო და მწარე დასტურს, ჩვენს თავზე ვერ ავიღებთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს საკითხი, საერთოდ, არ იყო ნათელი და გარკვეული.

სალომე შეერთა. მის მარცხენა ხელს, რომელიც მაგიდაზე ედო, უეცრად ზემოდან სხვა ხელი, არანაკლებ დანაოპებული ხელი გადაეფარა.

— ნუ გამიჩავრდები, სალი...

„ნუ გამიჩავრდები, სალი...“ თვალებს თუ დახუჭავ, მართლა გამოგაკლდება ორმოცდაათი წელი. ასე იწყებოდა ყოველი შერიგება. „ნუ გამიჩავრდები, სალი...“ იტყოდა იგზ და სალომეს, პატარა სალის, მოღრუბლული სახე ისევ გაებადრებოდა.

სალომეს სიწითლემ გაუარა და ღიმილით შეხედა სტუმარს.

— მე არ გიჩავრდები!

— ნუ გამიჩავრდები. ხანდახან დაუფიქრებელი ლაპარაკი ვიცი. წელან გეუბნებოდი, ერთი დღე ორმოცდაათ წელიწადს უდრის მეთქი. დაუფიქრებელი ლაპარაკი ვიცი, თორემ ეს ორმოცდაათი წელიწადი რა სახსენებელია იმ დღეებთან შედარებით, რომლებიც მრავლად იყო ამ ორმოცდაათი წლის წინათ და რომელთაგან თითო ორმოცდაათ წელს უდრიდა.

ერთხანს ჩუმად იყვნენ. მერე სალომეს არსებაში კვლავ გაიღვიძა კეთილსინდისიერმა მასპინძელმა, რომელსაც კარგად ესმის თავისი მოვალეობა.

— თბილისში დიდი ხანია ხარ?

— გუშინ ჩამოვედი, აკი შეგპირდი. აი! — ამ სიტყვებით კონსტანტინემ გაცეთილი კოსტუმის გულჯიბიდან გაყვითლებული ქაღალდი ამოიღო და სალომეს გაუწოდა. — გუშინ ჩამოვედი, — განაგრძობდა იგი, სანამ სალომე მაგიდის უჯრამი სათვალეს ეძებდა, — და მაშინვე სამისამართო ბიუროს ვექაერეთუცა, როგორც ვერის ბაზართან გამოირკვა, ზედმეტი შრომა გამიწვევია.

ამასობაში სალომემ სათვალე გაიკეთა

და ქაღალდს დახედა. კარგად იცნობდა ამ ქაღალდს, წერილის ფურცელს წერილის შედგენის მოწმეც იყო. კოტე წერდა აკანკალებული ხელით, თვითონ კი იდგა და, როდესაც იისფერი; ჯერ კიდევ გაუშრობელი მელნით დაწერილ ორიოდ წინადადებას კითხულობდა. ერთი წვეთი ცრემლი ბეჭედივით დაეცა ნაწერს.

და ახლაც, თითქმის იმის დასტურად, რომ ორმოცდაათი წელიწადი მართლა ამოიშალა ცხოვრებიდან, კონსტანტინეს გაკრული ხელით ნაწერს კვლავ დაეცა ერთი წვეთი ცრემლი.

„ხუსტად ორმოცდაათი წლის შემდეგ 1963 წლის 16 აპრილს, გიპოვი, ჩემო სალი, სადაც არ უნდა იყო, მოვალ შენთან და ამ ბარათსაც თან მოვიტან.“

კოტე

1913 წლის 16 აპრილი“

ღმერთო! ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ეს ორმოცდაათი წელი როდისმე გაივლიდა მაინც გაუვლია. მერე რა სწრაფად და უხმაუროდ გაუვლია! და თუმცა სალომეს ყური გადაჩვეული იყო ფილოსოფიური ტირადების მოსმენას, იგი უეცრად მიხვდა როგორ ხდება, რომ ორმოცდაათი წელი გაცილებით უფრო მოკლე და ცარიელია, ვიდრე ერთი დღე. იმავე ორმოცდაათი წლის ერთი დღე.

მან მოიკრიბა მთელი შემორჩენილი ძალღონე და თავი ასწია. სათვალის უკან ცრემლები უკიაფებდა, სახეზე კი ტკბილი, სევდიანი (სევდიანი ხშირად ძალიან ტკბილია) ღიმილი ეფინა. იგი გრძნობდა, რომ სასწორო კატასტროფულად იზრებოდა ცალ მხარეს, მეორე მხარე კი, რომელზედაც განვლილი ორმოცდაათი წელი იყო, სამარცხვინოდ იწვევდა მაღლა.

— ცოლი არ შეგირთავს? — ცრემლითა და ღიმილით იკითხა უცებ სალომემ და ღმერთმა იცის მოჩანდა თუ არა ამ კითხვაში ქალური, განურჩეველი ექვიანობა, რომელიც შექმნილი ვითარების ფონზე გვარიანად უადგილო უნდა ყოფილიყო.

კონსტანტინეს გაეცინა.

— როგორ გეკადრებათ, ქალბატონო სალომე! სიტყვა სიტყვაა.

— დაგიშავებია. ხაზი უნდა გადაგესვა წარსულისათვის, რომელმაც ასე მწარე კვალი დასტოვა.

ქართულ ენაში, განსხვავებით სხვა ენებისაგან, ზმნა მოქნილია და შეუძლია ცხადად უჩვენოს თუ ვისზე და რამდენზეა ლაპარაკი, მაგრამ სალომემ რატომღაც უარი თქვა ამ უპირატესობის გამოყენებაზე და ერთობ ზოგადი ფორმით აღნიშნა წარსულის მწარე კვალის შემოქმედება. თუმცა, რამდენადაც ფორმის ეს ზოგადობა თავისთავად შემთხვევითი და უნებური ფაქტი არ ყოფილა, გარკვეული დასკვნის გამოტანა მაინც შეიძლება.

— ვინ იცის, ჩემო სალი, დავაშავე თუ არა, ძნელია გადაჭრით თქმა. ისე კი, ვერიდები შენი ანტიფილოსოფიური ბუნება არ გავალიზიანო, თორემ პირდაპირ დოკუმენტებით დაგიბტკიცებდი სრულ საწინააღმდეგო აზრს.

— არა მჭირდება მე ფილოსოფია! — გაგულისდა სალომე, — ფილოსოფია ღუპავს ადამიანს. აი, ამ ქალაღის ნავლეცმა, მართალია, ორმოცდაათი წელი გამომაცალა ფეხქვეშ, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ მოვა სკოლიდან ჩემი მანანა და ყველაფერი გაივლის, ისევ დამიბრუნდება ჩემი ორმოცდაათი წელი. მთელი ეს მოგონების ტანჯვაა თუ ტანჯვის მოგონება, ხელიდან გაქრება.

— მოგონების ტანჯვაა. — დიდაქტიკური ტონით უპასუხა კონსტანტინემ და გაიღიმა, — თუმცა, ღმერთმა იცის, შეიძლება ტანჯვის მოგონებაც იყოს. მაგრამ, ჩემო სალი, შენ არ იცი, ან, იქნებ შეუგნებლად იცოდე კიდევ, რამხელა სიამოვნებაა ტანჯვა...

— ნუ სულელობ! — დაუცაცხანა უცებ სალომემ და, როდესაც მისი მოხუცი სტუმარი თავშეუკავებლად ახარხარდა, თვითონაც გაეცინა.

მერე უეცრად გაიუმდნენ. კარგახანს ისხდნენ მღუმარენი და დაფიქრებულნი. მხოლოდ საათი წიწყიკებდა გვერდით

ოთახში. საათი მონოტონურად ითვლიდა წამებს და უმატებდა მათ წამებს. ორმოცდაათ წელიწადს.

ბოლოს მასპინძელმა კვლავ მოიხადა მოვალეობა.

— რას აკეთებდი ამ ორმოცდაათ წელიწადს, სად იყავი?

— ქვეყანაზე.

— ქვეყანა დილია.

— დილია.

— და მაინც სად იყავი?

— ოცდაჩვიდმეტ წლამდე ამ ქვეყნად, ოცდაჩვიდმეტიდან ორმოცდაათამდე თითქმის იმ ქვეყნად.

— როგორ! — შეშფოთდა სალომე.

— ჩვეულებრივი წესით, როგორც გადასახურავიან დასაფლავებაზე იტყვიან ხოლმე.

— წესიერად მითხარი, ნუ მომკალი...

— თორემ მიატოვებ თავარა მშის ქვეშ „აუტანელ ფილოსოფოსს“ და ზღვას ჩაეხუტები... რა გითხრა წესიერად, იმ ქვეყნად, ე. ი. მადნეულით სავსე ურალის ქედს გადაღმა. უფრო ზუსტად, ციმბირში.

— გადაგასახლეს?!

— მიმიპატიეც, პირდაპირ სკოლაში მომაკითხეს. სწორედ ციმბირის გეოგრაფიულ მდებარეობას ვუსხნიდი ბავშვებს და, როგორც ჩანს, იფიქრეს, მეტისმეტად თეორიულად უდგება საკითხსო.

— ღმერთო, რა შავი დღეები იყო! მერე როგორ გაუძელი იმ ვაი-უშველებელს.

— ადამიანის არსებობის ერთ-ერთი ფუნქცია არის გაძლება. ხოლო თუ ზოგ ვინმეს დავუჯერებთ, რომლებიც ფიქრობენ, რომ სიცოცხლე არის ღმერთის ექსპერიმენტი, მაშინ, შესაძლებელია, გაძლება ერთადერთი ფუნქცია იყოს. პირადად მე, სხვა რამეც მაძლებინებდა.

— რა?

— ერთი გოგონა.

— გოგონა? — სალომეს ხმაში ისეთი ბზარი გაუჩნდა, რომელიც გარკვეულ სიტუაციებში უჩნდებათ ხოლმე



ქალებს და რომელიც სიბერესაც არ უწევს ანგარიშს. — ბავშვი?

კონსტანტინეს გაელიმა.

— არც ისე ბავშვი. ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის ქალი. თანაც ძალიან ლამაზი. სალომე ველარ მალავდა მოუსვენრობას.

— მერე? როგორ გაძღვინებდა?

— მოდიოდა ხოლმე საღამოობით, — მეოცნებე კაცის ხმით დაიწყო კონსტანტინემ, — ვსაუბრობდით, ხანდახან ვკინკლაობდით კიდეც. გამოთხოვების დროს ვკოცნიდი. ლოყებზე, ტუჩებში, შუბლზე, თმაში... ამაზე უფრო ბედნიერი საღამოები მე არ მახსოვს ალბათ იმიტომ, რომ გაჭირვების დროს პატარა სიხარულიც, თუნდაც სიხარულის ილუზია, უზარმაზარ მნიშვნელობას იძენს. — სტუმარმა, რომელიც ამ ლაპარაკის დროს თავჩაღუნული იყო, ისევ ასწია თავი და სალომეს გაუღიმა, — ეს არის ეინშტეინის ფარდობითობის თეორია.

სალომეს ამ მეცნიერული დასკვნისათვის ყურადღება არ მიუქცევია; მას ახლა ჩვიდმეტ-თვრამეტი წლის გოგო ტანჯავდა, რომელსაც ციხეში კოცნიდნენ. მაგრამ ბოლოს მაინც მოერიდა თავს და ყრუ ხმით წარმოთქვა:

— ჭეშმარიტი კეთილშობილებაა გაჭირვებულ კაცს ტანჯვა შეუძლებელია. ყოჩაღ, გოგო!

კონსტანტინეს ელიმებოდა, ამ საგმირო-სამიჯნურო სპექტაკლს რომ უყურებდა. სალომემ კი განაგრძო, თან ცდილობდა რაც შეიძლება მშვიდი ხმით ელაპარაკა:

— რუსი იყო?

— არა, ქართველი.

— ქართველი? — ამას რატომღაც არ მოელოდა მოხუცი მასპინძელი, — ისიც გადასახლებული იყო?

— არა.

— კი მაგრამ სად ხვდებოდით ერთმანეთს? როგორ ახერხებდა შენთან შემოსვლას?

— მუდამ ჩემთან იყო. როდესაც გული მიგიწევს, დაბრკოლება არ არსებობს.

— ახლა სად არის?

— ახლაც ჩემთანაა. გაჩვენებ, თუ გინდა.

მან ისევ ჩაიყო გაცრეცილი კოსტუმის გულჯიბეში დანაოქებული ხელი და გაზეთში შეხვეული საგანი (რალა საგანი, აშკარად ეტყობოდა, სურათი იყო) ამოიღო. ვაზეთი შემოაცალა და მოზრდილი სურათი, დაახლოებით იმხელა, რომ, ალბათ, პიჯაკის მთელი გულჯიბე ეკავა, წინ დაედო სალომეს. სალომემ დაანათა სურათს სათვალეები და გაშეშდა სტუმარი ღიმილით უყურებდა. ბოლოს სათვალის ქვეშედან მსხვილი წვეთი ჩამოგორდა და სურათს დაეცა.

კარგახანს გრძელდებოდა დუმილი ასე დადუმდება გზად მიმავალი და გულახდილად მოსაუბრე ორი კაცი, როდესაც მათ მოულოდნელად მესამე წამოეწევათ ხოლმე.

„მესამე“ მაგიდაზე იდო. სალომე დასცქეროდა სურათს, თუმცა თვალბეჭედაგუბებულნი გრძნობა, რომლის ერთი წვეთი წოდან ქურდულად მოწყდა ადგილს და „მესამეს“ დაეცა, ხედვას უშლიდა.

ქალიშვილი წელსზევით იყო გადაღებული. იგი ილიმებოდა. ღიმილი სადღაც შიგნიდან წამოსულიყო, შიგნიდან მოსწოლოდა და ოდნავ გამოეყონა სახეზე. თვალეები კი, დიდრონი, ბრიალა, ძალიან ცოცხალი თვალეები ციმციმებდა და ეშმაკურად შემოვცქეროდათ. თან რალაცას ამბობდა, უფრო სწორად, სხვადასხვა რამეს ამბობდა იმისდა მიხედვით, როგორი განწყობით შეხედავდით. მკერდზე შეკრული ღილები მოუჩანდა. ეს ღილები და ის კაბაც, რომელიც ამ ღილებით იყო შეკრული ცისფერი, ან სხვის ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, ზღვისფერი იყო. (ამ უკანასკნელ საკითხში ჩვენ სალომეს მოსახრებას მივყვებით, რადგან სურათზე ფერი არ ჩანდა).

ეს არ ყოფილა უბრალო სურათი, ეს იყო დრო, თანაც წარსული, ისტორიული დრო (რადგან ორმოცდაათი წელი, დროის თვალსაზრისით, შეგვიძლია გან-



ვახილოთ როგორც ისტორიული მონაკვეთი). და ამ ქალიშვილის ირგვლივ, რომელიც საბრალო ტუსაღს თურქებთან ტანჯვის საათებს უმსუბუქებდა სალომე გონების თვლით ხედავდა ცისფერ ზღვას, მშვიდსა და უდრტვინველს, საამო ზღვას და ლურჯ თვალებს, უღრესად ერთგულს (როგორც აწმყომ დადასტურა), ისტორიულად უცვლელ თვალებს.

— მაბატიე, კოტე.

მოხუც ქალს თავი არ აუღია, არც ვანძრეულა. ამ დროს მის ხელს კვლავ გადაეფარა მეორე, დანაოჭებული ხელი და ამიტომ სათვალის ქვეშიდან კიდევ ჩამოგორდა მსხვილი წვეთი, თუმცა ამჯერად სურათს ასცდა.

სალომემ, თავის მხრივ, მეორე ხელი დაადო ზემოდან კონსტანტინეს ხელს, როგორც „ყვა-ყვა, ყვანაჩალას“ თამაშის დროს იციან ზოლმე.

— მარტო სიხარულის მომტანი არ იქნებოდა, ალბათ, ეს სურათი.

— მარტო სიხარულის მომტანი იყო, სალი. ეს სურათი ისტორიული წარსულია, ტკბილი და ბედნიერი დრო. გადასახლებაში, როდესაც რუსეთის მიუხრუბელ ქალაქებში ცხვირპაქუთა ბავშვებს თავიანთი ქვეყნის გეოგრაფიას ვასწავლიდი, იგი კედელზე მეკიდა და მილიმონდა. რუსეთი ძალიან ვრცელი ქვეყანაა, სალი, სივრცის უსასრულობა კი ადვილად აჩენს ნაღველს. ხოლო როდესაც ნაღველი შემოგაფრება, ლამაზი გოგო, რომელსაც ისეთი ბრიალა, ეშმაკური თვალები აქვს, რომ მისი დაკონა „ერთ სოფლად ღირს“ და რომელიც არაჩვეულებრივად ცოცხალი თვალებით შენს სულში იხედება, დიდი ნუგეშია. განა ყველასა აქვს საშუალება ასეთ ლამაზ გოგოს ესაუბროს საღამოობით. მე ხანდახან კინოშიც კი დავდიოდი მასთან ერთად.

— ღმერთო! მერე ეს ტრაგედია არ არის?!

— გაჩნია, როგორ შეხედავ. ზოგის თვალში ტრაგედია იქნება, ზოგის თვა-

ლში საუცხოო კომედია. ჩემთვის იდილია იყო.

— მერე შეიძლება თავის მოტყუებაზე დამყარებული იდილია ორმოცდაათ წელიწადს გაგვრძელდეს?

— მე დღესა მაქვს ოქროს ქორწილი. იმიტომ, რომ ზვალ უკვე გვიან იქნება.

— და ამ ილუზიისათვის სინამდვილეს არ წყველდი? არ ავინებდი ორიგინალს, რომელმაც ამ უსიციოცხო სურათის მეტი არაფერი დაგიტოვა?

— არ ვავინებდი, სალი. იქნებ უკეთესიც იყო, რომ სურათი დამჩნა და არა ორიგინალი. მართალია ორიგინალი იმდენად უცვლელია, ზოგიერთი მეცნიერისათვის ცდის პირად გამოდგებოდა, მაგრამ ვინ იცის... არა, ცუდად კი ნუ გამოვიგებ. იცი, რისი თქმა მინდა.— ორიგინალი საკუთარი თავით ცოცხლობს და ამიტომ მისი არსებობის ქეშმარიტი ფორმა მუდამ აწმყოა წარსულის კვალი იშლება. მე რომ ორიგინალი მყოლოდა, ალბათ შევეჩვიეოდი, როგორც ასეთ დროს ეჩვევიან ზოლმე; ერთ ქერქვეშ ყოფნა და წლები ყველაფერს აუბრალოებს. და ახლა ჩვენი ცხოვრების ნიშანი იქნებოდა ყოველდღიურობა, ზრუნვა და წყნარი ბედნიერება, ე. ი. კმაყოფილება. ხოლო წარსული წაიშლებოდა. წაიშლებოდა ორმოცდაათი წლის წინანდელი სიგიჟე და სიცოცხლის დაუოკებელი სიყვარული, რომელიც უმაღლესი ნეტარება იყო, რადგან წყნარ ბედნიერებაში ჯერ არ გადასულიყო. ასეთია, სალი, ორიგინალის ცხოვრება. ასლი კი სულ სხვაა. ასლი საკუთარი თავით არ ცოცხლობს, ასლი ორიგინალით ცოცხლობს და ამიტომ არ ვითარდება გაუბრალოების მიმართულებით. მასში ორიგინალის ისტორიული მომენტია შემორჩენილი და ეს ისტორიული მომენტი დროის გარეშე დგას. მასში არასოდეს იშლება წარსული, რადგან თვითონაა წარსული, მარადიული წარსული, სიგიჟე და სიცოცხლის დაუოკებელი სიყვარული...

სალომე უხმოდ იჭდა და უყურებდა მომღიმარე გოგონას, რომლის დიდ-

რონ, ბრიალა თვალეში მარადიული წარსული, სიგიჟე და სიცოცხლის დაუოკებელი სიყვარული იხატებოდა. უყურობდა და ღუმდა. და ეჩვენებოდა, რომ მაინც მართალი იყო, როდესაც ყოველივე ამას ტრაგედია უწოდა, რადგან მთელი ეს არგუმენტაცია, რომელიც ერთი შეხედვით დამაჯერებელი ჩანდა, სინამდვილეში მოკლებული იყო ბუნებრიობას და უკიდურესად გაღიზიანებული ფანტაზიის, გზადანშული კაცის ფანტაზიის შემოქმედებას უფრო ჰგავდა, თუმცა მოხუცი კაცის გაბადრული სახე და ღიმილად ქცეული სიცოცხლე ამ მოსაზრებასაც ეჭვის ქვეშ აყენებდა.

ბოლოს კონსტანტინე წამოძვდა.

სალომემ სწრაფად ასწია თავი და სახეზე ვაკვირება გამოეხატა. მაგრამ ამ ვაკვირებას ლოგიკური საფუძველი არ გააჩნდა. პირიქით, შეიძლება ითქვას, იგი თვითონ იყო საკვირველი, რადგან სტუმარი სტუმარია და როდისმე უნდა წავიდეს, თუნდაც დროის უცნაურმა და არაბუნებრივმა გადაადგილებამ ვინმეს ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნას, თითქოს სტუმრობა მარადიულ წარსულად იქცა, როგორც მომღიმარე ქალიშვილის თვალეში აღბეჭდილი ისტორიული მომენტი.

— როდისმე ხომ უნდა წავიდე, სალი, — თქვა სტუმარმა და სურათზე უჩვენა, — მომწოდე ჩემი წარსული.

სალომემ სურათი მისცა და თვითონაც წამოძვდა.

— კოტე, — თქვა მან.

— რა, სალი.

სალომეს სახეზე ეტყობოდა, რომ სათქმელი გადაიფიქრა.

— ახლა სადა ხარ, რას აკეთებ?

— ბაღში დავდივარ და პენსიონერებს ჰადრავს ვეთამაშები. ესეც ცხოვრებაა, და მას, ისევე როგორც ყოველგვარ ცხოვრებას, გააჩნია თავის ნაკლიცა და ღირსეობაც. თუმცა ეს ორივე დამახასიათებელი მომენტი, ჩვეულებრივ, გაერთიანებულია ხოლმე, და ერთგვარ სირცხვილნარევ, ან უფრო სწორად, ზიზღნარევ სიამოვნებაში გამოიხატება.

მაგრამ, რამდენადაც ამ პროცესში (ბაღში ყოფნისა და საღამომდე ქუადრავის ან დომინოს თამაშის პროცესში) სიამოვნება ჰარბობს, ზიზღი კი მხოლოდ ბალიდან გამოსვლის შემდეგ და ისიც მცირე ხნით იკავებს პირველ ადგილს, ამიტომ ძნელია ზურგი შეაქციო ასეთ ყოფას. მით უმეტეს, რომ ფუჭი ცხოვრების მცირეოდენ ზიზღსა და სირცხვილს შინ მისვლისთანავე აქარვებს პატარა გოგო, რომელსაც დიდრონი, ბრიალა, ეშმაკური თვალეები აქვს და რომელთან ყოფნის სიამოვნებას უკვე აღარავითარი საპირისპირო გრძობა არ ამღვრევს.

ამ მონოლოგის დროს კონსტანტინე მოსამზადებელ სამუშაოებსაც აწარმოებდა: სურათი ისევ შეახვია გაზეთში და გულჭიბეში ჩაიდო. ქული და ხელჯოხი მარცხენა ხელში დაიჭირა.

— აბა, წავედი, სალი, — თქვა მან და დიასახლისს ხელი გაუწოდა.

ამ დროს კარები გაიღო. მოხუცებმა, რომლებიც დანაშაულში წასწრებულნი ბავშვებივით შეკრთნენ და შემოტრიალდნენ, დანახეს დაუპატიყებელი სტუმარი. თუმცა ეს ჩვენი ობიექტური ეპითეტი, ცოტა არ იყოს უადგილოა, რადგან არავითარი „დაუპატიყებელი სტუმარი“ არ შემოსულა. ეს იყო ამ ოჯახის ერთ-ერთი ბინადარი, პატარა მანანა, ცამეტ-თოთხმეტი წლის გოგონა, ქალიშვილობაში ფეხშედგმული თვალეებრილა გოგონა, რომელსაც თმები ბანტით შეეკრა და სქელი ტუჩები ვაკვირვებით გამოებურცა. ხელში ჩანთა ეჭირა.

გოგონა შეჩერდა. თუმცა ფანტაზია ბავშვის უპირატესობაა, წელთა სიმრავლე კი თანდათან გვაცლის ამ უპირატესობას, განსაკუთრებულ ვითარებას ამჯერად როლები შეეცვალა. გოგონასთვის გაუგებარი იყო დროის პარადოქსი. მისი სალი, რეალური მზერა საგნებსა და მოვლენებს ისეთი თანმიმდევრობით აღიქვამდა, როგორც აწმყოში იყვნენ განლაგებული. ამიტომ იგი ხედავდა აცრემლებულ ბებიას და უცხო მოხუცს, რომელიც ილიმებოდა, თუმცა, რაკი ბე-

ბია ტიროდა, მაშასადამე სასაცილო არაფერი უნდა ყოფილიყო. და მან მტრული თვალით შეხედა კადნიერ სტუმარს.

სალომემ შეიღიშვილი თავისკენ მიიზიდა და მარცხენა ხელი კისერზე მოხვია.

— ეს არის ჩემი მანანა.

კონსტანტინემ გოგონას გაუღიმა.

— მარტო შენია... — ჩაილაპარაკა მერე, რაზედაც მანანამ კიდევ უფრო გაკვირვებული და კიდევ უფრო მტრული თვალით შეხედა.

— მაშ ასე, — ხელახლა დაიწყო მერე, — წავედი. ქალბატონო მანანა გემუდარებით ნუ იფიქრებთ, თითქოს თქვენი მობრძანება იყოს ჩემი წასვლის პირდაპირი მიზეზი. პირიქით, თქვენი ხილვა ჩემთვის უმაღლესი სიამოვნებაა, მაგრამ რას იზამ, — საქმე, მოვალეობა... გულდაწყვეტილი გეთხოვებით და ბედნიერი ვიქნები თუ მიგულებთ თქვენს მრავალრიცხოვან თაყვანისმცემელთა შორის.


მან ხელი გაუწოდა დაბნეულ გოგონას. სალომე იღიშებოდა, თუმცა თვალებში კვლავ ცრემლი ედგა: გოგონამაც უანგარიშოდ გაუწოდა პატარა, ლამაზი ხელი. უცნაური მოხუცი უდიდესი ცერემონიალობით დაიხარა და ზრდილი კაცის მოწიწებით ეამბორა ხელზე. მერე კოპწია არისტოკრატის კომიკური ელეგანტურობით დაუცრა თავი. მაგრამ იქვე, ყოველგვარი გადასვლის გარეშე მთელი ეს ელეგანტურობა და დახვეწილი მანერები წყალში გადაყარა: მარჯვენა ხელის ცერი ცხვირზე მიაჭირა გოგონას და ბოხი ხმით მისცა სიგნალი:

— პი-პიი!

გოგონამ, რომელმაც უკვე აღარ იცოდა, რა ჰქონდა ბეზიას სატირალი, მხიარულად გაიცინა. სტუმარი კი უკვე სალომეს მიუბრუნდა:

— მშვიდობით, სალი.

ქაღარა მოხუცებმა ხელი ჩამოართვეს ერთმანეთს და მსხვილი წვეთი ამჯერად იატაკს დაეცა, მაგრამ ეს აღარავის შემჩნევია.



პარლამენტალი პაზო ლამაზო!

ქართულ მიწაში გაიდგი ფესვი,
ვაყვაცმა ოფლი ნამად გაპყრა.
რამდენი შენი ნექტარი შევსვით —
გულით დაგლოცეთ მამაპაპურად.

დგება აპრილი, და შენც ყვავილობ.
ულვაშის გრეხით ეხვევი ქიგოს.
ვაზო ლამაზო, ქარცეცხლგავლილო.
შენ იმზევებდი, მზე რომ არ იყოს.

გაიზაფხულებ ცრემლის წვეთებით.
ტირი, რომ შემდეგ შარბათი ღვარო.
გვანთებ ლხინით და შემოქმედებით,
ხარ სიტყვობების უშრეტი წყარო.

როცა წითლდება მწვანე ფურცელი.
შენზე ტანტურფა ნეტა რა არი?
დაგიოთაფლდება რქაზე კურძენი,
უყურებს ქვევრი — დევის საფარი.

გიღულს მტევანში მზე და შაქარი,
ვის არ მოხიბლავ ფერით და ეშხით.
შემოგესევა ფუტკრის ლაშქარი,
გესმის მკრეფავთა სიმღერა რთველში.

ვაზო, გიმღერო და გადიდებო, ვიდრე
ზღვას ეტანება მთიდან მდინარე.
ხარ რუსთაველის მიწის სიმდიდრე,
ხალხის სალხენად სხივმომდინარე.

გ უ ლ ი ს თ ძ მ ა

შემოქმედებას დრო ჰყავს მოკეთედ.
თავისუფლება კაცს აქცევს ძელქვად.
მხატვარს მარჯვენა თუ ჩამოკვეთე,
გათავდა მისი სიცოცხლის ფეთქვა.

დაიღუპები, ერის პოეტო,
თუ არ იმღერე, რაც უნდა გეთქვა!
ლექის ხანძარი გულს შემოენთო,
ღუმელში გლეწავს სიტყვების სეტყვა.



მ რ ი მ ა ლ ი

ამოვარდები, რომ იგუგუნო,
ცივი ხმაურით ტყეს მოედები.
მილეწ-მოლეწავ ხეებს უგულო,
მაინც გიწერენ ლექსს პოეტები.

გინდა მიწიდან ბერმუხის მოთხრა,
უტევ და ამტვრევ რტოებს ტიალი.
მოგდევს ქუხილი — ზესკნელის ოხვრა,
მთაში — ზეაგების ორომტრიალი.

დაქპრი და ჰკივი სივრცეში მძაფრად,
მიხვეტავ ღრუბლებს — დაბნეულ გედებს.
ნგრევით, წალეკვით ქვეყანას ზაფრავ,
უდაბნოდ აქცევ სავარდო ედემს.

შავ ბედს მიანდე თეთრი მდინარე,
ვეფხვივით ღმუის წყალი მშფოთვარი.
ზვირთთა ღრიალით ზღვას ამძვინვარებ,
ვინ დაგითვალოს ნაბოროტალი!

ძირავ მგზავრებით საეცე ხომალდებს,
განა გადარდებს, რაც ილუპება!
გინდა ქაოსი, ცეცხლი ბოლავდეს,
რა ღმერთმა მოგცა ამის უფლება!

გრგვინავ, გრიალებ, შშაგო გრიგალო,
ო, რამდენია შენგან ვნებული!
ვახსენებ, მაგრამ როდი ვიგალობ,
ლექსის გუთანში სიტყვით შებმული.

უ ს ა თ ა უ რ ი

დროდან გაქცევა არ მინატრია,
გულში გადავწვი სევდის რვეული.
არ ვიცი, ქარმა სად მიმათრია,
როგორც ლერწამი გადამტვრეული!

მე საქართველოს ტრფილით ვზადე
ერეკლეს ხმალის ცამდე დიდება.
მითხარ, მამულო, კიდეც და კიდეც
კრწანისის ცეცხლი რათ მეკიდება!

წიწამურის წინ ცრემლები ვღვარე,
როცა განთიადს ვხედავდი ბინდად-
დღეს ისე მხიბლავს მშობელი
მხარე —
უბრალო კენჭზეც სიმღერა მინდა.

თუ ჩაურაზე ოცნებას კარი —
მოგეჩვენება მზის სხივიც ეკლად.
პოეტს აცოცხლებს ალალი პწკარი.
ლექსი დარჩება სიმართლის ძეგლად.

თაიფრაზ ჯანგლაშვილი

შეხვედრა პანკისის ხეობაში

აქ სხვა აქვს ზეცას სიღრმე და სისქე,
სულ სხვა ფერებით უხატავს

გრილ მზეს

ცა — სპეროზაზე ნაფართქალევი.
ამწვანებული ჩრდილი წევს ხის ქვეშ,
ფენმორთხმით სხედან ქისტები

ჩრდილზე

და ფეხზე დგანან ოსის ქალები.

თითქოს არწივი მხრებზე გაჯდება
და გასაფრენად ცაში მიიწევ.

— ჰოდა, სიმღერის ჭიშკარი შეხსენს
ზვარებში სიმწიფის ფერი მაჭრდება,
მთებში ქართული სიტყვის

ჩრდილი წევს

და ფეხზე მდგარნი ვკითხულობთ
ლექსებს.

და ყოველ სიტყვას, როგორც

კალმახებს,

ქისტნი იჭერენ გულის ანკესით
და ხელის გულზე ისევამენ ოსნი.

ჩამოატარა ზურგით წყალმა ხე

და მხრებს ისწორებს მთებში

პანკისი,

ალაზნიანი ტუჩით რომ ვკოცნი.

ბერიკაცივით ფიქრში გართული
კავკასიონი აელვებს თეთრ თავს,
გაშლილ წიგნივით უღევს წინ ველი.
ირგვლივ დამდგარ მთებს ფრთებს
უფათქუნებს

და ხეობაში ივლისი ფეთქავს,
როგორც დაჭრილი დიდი ფრინველი.

დავით კვიციანი

კაცის სიბოძნე

მოთხრობა

რცხილის წკნელით ჩაწული ჭიჭი-
რიდან უთენია გადმოვიდოდა და ბრო-
წეულის ყვავილებით ჩაწითლებულ
ორლობეს დაუყვებოდა.

მაღალი იყო, ხმელი და აწოწილი.

მაქსიმე რევიშვილის ყორესთან შე-
ჩერდებოდა და ბლის კენწეროს დაი-
წევდა, შეთვალულ ბალს დაჰკრფდა.
შილიდინებდა, ბალს მიიჭამდა კურ-
კებს პირიდან საფანტავით ისროდა.

მთელ სოფელში კაციშვილს ვერ მო-
იძევდით, რომ მისდამი საყვედური
დასცდენოდა. ყველას საშველად მზად
იყო, ყველასკენ გული მიუწევდა.

ვინ ლუკაიას ეძახდა, ვინ სარაყუ-
დას, მაგრამ არ სწყინდა, ყველას კე-
თილად უღიმოდა.

შემოდგომაზე ყანებს რომ აიღებდ-
ნენ და ჩაღის დაზვინვას დაიწყებდ-
ნენ, მაშინ უნდა გენახათ ლუკაია სარა-
ყუდას ტრიალი. საზვინავ სარზე არც
ასვლა სჭირდებოდა და არც კიბის მიდ-
გმა. ფეხებს გაჩახავებდა და ჩაღის კო-
ნებს სარზე აგებდა.

ბავშვები უყვარდა. გალიფეს ჭიბე-
ებში მუდამ ეწყო ვაშლები, მსხლები,
მწიფე კურკანტელა...

პატარები მაინც სათოფრზე არ მკა-
რებოდნენ, საფრთხობელასავით გაურ-
ბოდნენ.

ხანდახან რომელიმეს მოიხელთებდა,
ხელს დასტაცებდა პაერში აისვრიდა.
ბიჭი აყვირდებოდა და ლუკაიას თხოვ-
და, ძირს ჩამოესვა.

ვერაფრით პატარების გული ვერ
მოიგო.

ერთხელ მაქსიმე რევიშვილის კახამ-
ბლის ძირას შეისწრო ბიჭები. ყორეზე
ამშვრალიყვენენ, სარს მობლაუჭებოდნენ
და ბლის ტოტებს ტეხდნენ. მიეპარა,
სარზე აცოცებულ ბიჭს ხელი ჩაავლო.
ბიჭმა ღრიალი მორთო, სხვები გაიქც-
ნენ.

— ნუ გეშინია, ბიჭო, მე შენსკენ
ვარ და შენ ეშმაკებისკენ? გაჩერდი,
ნუ ხვანცალობ!

ბიჭი ასწია და მაჯისისხო ტოტზე შე-
მოასკუბა. თითონ მის ქვევით დადგა
ხელბატოტინებულნი:

— მიდეჭი და კრიფე, რამდენიც გინ-
და!

ბიჭუნამ უბე ბლით აივსო და საქმე
ჩამოსვლაზე რომ მიდგა, ლუკაიას მუ-
დარით ჩამოხედა.

— არ ჩამოგიყვან, იჯექი მაგ ტოტზე
და მანამ ჭამე ბალი, სანამ მაქსიმე არ
მოგისწრებს...

— დედა! — ატირდა ბიჭი.

ლუკაიამ ბიჭი ჩამოსვა და ბარისო-
დენა ხელისგული უკან ამოჰკრა.

— ჰაიტ, შე მასხარა! — და გადი-
ხარხარა.

ბიჭმა მოკურცხლა.

მერე ცოტა გაუშინაურდნენ ლუკა-
იას ჭგუფად დაჰყვებოდნენ უკან.

— ლუკაია ბიძია შემსვი მსხალზე!

— ლუკაია ბიძია, ტრიფონა ბაბუის
ვაშლი მინდა!

— ლუკაია ბიძია!

— ლუკაია ბიძია!

მისდევდნენ და ევლურტულებოდ-

ნენ. ლუკაიაც პატარებს თხოვნას უსრულებდა.

თავდაც მოზრდილი ეზო ჰქონდა. შიგ პატარა სახლი ედგა. დედმამა არ ჰყავდა. ცოლის შერთვას ფიქრობდა, მაგრამ ვისთვის უნდა გავეზილა... თითონ კი ქალს სიტყვას როგორ შეჰბედავდა.

მაინც გამოჩნდა ლუკაიას ბედი.

მეზობლები დატრიალდნენ და ჭვიტირელი ჭვიშვილის ქალი გაურიგეს.

საცოლეს ოჯახში მეზობლები მიჰყვნენ.

ლუკაიას დანახვაზე სიცილით კინალამ დაიღრჩვენ დამხვდურები.

— ამსიმაღლე კაცმა, სიმწრით გაზრდილი ქალი არ გაგვიგუდოსო, — ჭირჭილობდნენ.

— ზინის ჭვეშ თავგს რა მოკლავს! — უბასუხა მაქსიმე რევიშვილმა და დაუმატა:

— ჭვაშია, გაზრდილი, ბიძია, ჭვაში.

პირველად სასიდედრო გამოეგება. ლუკაიას მეკახედ შეხვდა და ისედაც ნირწამხდარი კაცი, სულ დააბნია.

— ქალს შენახვა ხომ შეგიძლია, ბიჭო! — ჰკითხა.

ლუკაიამ გაუღიმა და თავი დაუქნია.

...ეფენა, ლუკაიას ცოლი საშუალო ტანის პირხმელი ქალი იყო. ლუკაიასავით უთქმელი და კეთილი. დღე ისე ჩათავდებოდა, ორ სიტყვას არ ეტყოდნენ ერთმანეთს.

გაცოცხლდა ლუკაია სალდაძის პატარა ოჯახი.

მარჯვე ქალი გამოდგა ეფენა. მალე დაატყო ხელი სახლსა და ეზოსაც. ბოსტანი დათესა, ქათმები მოაშენა...

ლუკაიაც გამარჯვდა, ეზოს ახალი ღობე შემოავლო. სახლს ყავარი გამოუცვალა.

სახლს რომ ხურავდა, იქვე კიბეზე იდგა, ხელში ჩაქუჩი ეჭირა და პირდაპირ კიბიდან აქედებდა ლურსმანს.

წლისთავზე ეფენას ბიჭი შეეძინა.

კოლექტივის ყანას თოხნიდა ლუკაია იმ დღეს.

ბიჭის დაბადება რომ ახარეს, ჰერში გაუშეშდა თოხი. მარცხენა უცებ მთელი სახით გარცხნივ, თოხი მოიჭნია და კარგა მოშორებით ხწეში ჩაკარგა.

მეტრიანი ნაბიჯებით გაემართა შინისაკენ.

სულ უკან-უკან იხედებოდა, ხომ არაინი მიყურებსო. ხანდახან გარბოდა კიდევ.

ეზოს ბოსტნის გასათავარზე მიადგა და პირდაპირ გადაალაჯა ღობეზე.

ეფენას მეზობლები დახვეოდნენ. ერთხანს აიგანზე იწრიალა ლუკაიამ. მასთან მიდიოდნენ, ულოცავდნენ. ფეხის წვერებზე დგებოდნენ და მხარზე ხელს უთათუნებდნენ.

ლუკაიას აღარაფერი ესმოდა. სიხარულს ყველა უნარი ერთბაშად წაერთმია მისთვის. მაღლობის თქმასაც ვეღარ ახერხებდა. წელში იხრებოდა, უცნაურად იღიმებოდა და ბოდიში, ბოდიშიო გაიძახოდა.

რა დაარქვას ვაჟიშვილს? ეს იყო ახლა მისთვის უპირველესი საზრუნავი.

გულით უნდოდა, თუ ეფენა დაერთანხმებოდა, მამის სახელი, ნოე დაერქმია შვილისათვის.

ასეც გადაწყდა.

ბიჭს ნოე დაარქვეს.

თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა ნოე. რცხილასავით ჩაქედილ-ჩაკვარული ბიჭი დადგა.

ყოველ საღამოს კისერზე შემოისიკუპებდა ლუკაია თავის სიხარულს და მთელ სოფელს შემოატარებდა.

ღრო გავიდა.

ბიჭი გაიზარდა. ლუკაიას აქ-იქ ჭიღორა გამოერია, მაგრამ ჭანზე მაინც კარგად იყო.

ახლა ეფენას იშვიათად ნახავდით ყანაში. ნოე სკოლიდან რომ დაბრუნდებოდა, ისადილებდა და უშალ მამისაკენ გარბოდა. შეღამებამდე თოხნიდნენ და მერე ერთად ბრუნდებოდნენ უკან. ნოემაც აუშვა ტანი. დილით



სკოლაში რომ გააცილებდა, ლუკაია ჭიშკრამდე მიჰყვებოდა შვილს. თვალს გააყოლებდა და თავს გადააქნევდა. შვილის სიმაღლე კიდევ უხაროდა და კიდევ სწყინდა.

„ვინ თუ ჩემსავით ჭოლოკივით გაიზარდოსო“ — ფიქრობდა.

...ომი რომ დაიწყო, იმ დღეს ლუკაია ენაჩავარდნილი შემოვიდა სახლში. ეფენა ტიროდა.

თავადაც ეტირებოდა ლუკაიას. იცოდა, ხვალ თუ არ ზეგ, ისიც ომში უნდა წასულიყო.

არა, ომისათვის არ იყო მზად ლუკაია სალდაძე.

კაცის კვლახე მას არასოდეს არ უფიქრია. მისი საზრუნავი ოჯახი, ცოლი, შვილი და სოფელი იყო.

მეორე დღეს ღობე შეაკეთა. ეგონა დაუძახებდნენ, მაგრამ იმ წლის ბოლომდე არავის არ შეუწუხებია.

დაზამთრდა.

სოფელში სიცივე და შიმშილი ერთად ჩასახლდა.

ცხოვრება გაჭირდა, გაწამდა და სწორედ ამ დროს მოუვიდა უწყება ლუკაიას.

არც გაკვირვებია, არც შეშინებია. მომტანს გულგრილად ჩამოართვა უწყება და ჰკითხა:

— როდის უნდა წავიდე?

— ხვალ დილით, ლუკაია ბიძია!

ნელა წავიდა სახლისაკენ.

იმ დღესვე ეზოს ბოლოზე რცხილა მოჭრა. მთელი ორი საათი უბლაყუნებდა ნაჯახს. რცხილა დაჭრა და სახლში შეზიდა.

საღამოს სოფელი შეაწრიალა. ერთი ფუთი სიმინდი შეაგროვა და მთელი ღამე წისკვილზე გაატარა. გამთენიისას ფქვილი სახლში მოიტანა.

— წამოწყე, შე კაცო, თვალი მაინც მოატყუე, მოესწრები წასვლას! — ტირილით უთხრა ეფენამ.

ლუკაია დაიხარა და ცოლს შებლზე აკოცა.

— ნუ გეშინია, მე მალე მოვალ...

ნუ გეშინია. აბა, შენ იცი და შენმა ქალობამ, ეფენა! ნოეს მამხმრდე! — შიშს ნურათყურს გაუჭირებ. შენც ნუ შიშობ. ლავ თავს. მე მალე მოვალ! ა, ნახავ, თუ არა... ნოეს ნურათყურს გაუჭირებ. ამ ორი ბათმანი ფქვილის გათავებამდე მეც მოვალ, ა, ნახავ... ოღონდ ნოეს...

„ნოეც რომ წაიყვანონ, ის ზომ უკვე მეთვრამეტე წელიწადშია“, — უცებ გაუელვა ამ ფიქრმა და გაშრა. — „არა აჰ, აქამდე რაღა მივა საქმე, არა, „აჰ“ — და აჩქარდა. საცვლები და წინდები გამოიკვალა. ეფენამ საგზალი გაუმზადა.

ჩქარობდა ლუკაია, ჩქარობდა... უნდოდა რაც შეიძლება მალე წასულიყო ფრონტზე. იქნებ შვილს აღარ დასჭირვებოდა წასვლა...

ეფენამ ჭიშკრამდე მიაცილა. ნოე კანტორამდე გაჰყვა.

— შენ იცი, ბაბა, რაღა ჰქვით იქნები. დედაშენს მიხედ. დედაშენს არათყურს გაუჭირავ. მე მალე ჩამოვალ, ბაბა, ა, ნახავ თუ არა.. მე მალე ჩამოვალ...

კანტორასთან ხალხი შეგკრებულყო. ომში მიმავალთ აცილებდნენ. მაქსიმე რვეიშვილი შემოეგება ლუკაიას. შვილი გვერდში ამოეყენებინა მოხუცს,

— ლუკაია შენ გეზარებოდეს ჩემი ბიჭი, აბა, შენ იცი და შენმა კაცობამ თუ არ მოაკლევებ იმ ურჯულოებს! — მაქსიმე ტირილს იკავებდა.

ლუკაიასაც აღრჩობდა ცრემლი. მანქანაზე რომ დადგა და თვალი მოავლო სოფელს, ტირილი მოუნდა. ყველა კუთხე დაინახა, ყველა ორღობე, ყორე და ეზო.

სოფელს თავი დაუქნია, გამოეთხოვა. ცრემლი არ უჩვენა მეზობლებს.

— ნუ გეშინიათ, ხალხო! ყოფას ვუტირებ იმ მამაძაღლებს, ა, ნახავთ.

— რითი უტირებ, ლუკაია რითი. ტანკები და თვითმფრინავები შემოგვკლებია და... — აკაბასდა ტრიფონა ჯინჭველაშვილის ცოლი — მელიკო. ლუკაიას ენა ჩაუტავდა.

— სუ ქალო, ჩეიგდე ენა, მლუპავ შე ოჯახდაქცეულო? — შინით მიიხედ-მოიხედა ტრიფონამ და ცოლს უჩქმიტა.

— რა შენი საქმეა ტანკი და არიობ-ლანი!...

მელიკომ თავი ჩაღუნა. აღარ იცოდა სად ჩამალულიყო, მაგრამ ამ დროს ლუკაიას ხმა ვაიგონა.

— მაგის დარდი ნუ გაქვთ. ჩემი ლაჩებით რო მივადგები, ბზუებია და ნუ დეიხევენ... ქეც მომკვდარა თქვენი სარაყულა, ე ქვეში გაზრდილი კაცი, თუ არ ვაქნევით პირი უკან... ა, ნახავთ...

მანქანა დაიძრა. ლუკაიამ შეიღს მოუხედა და გაუღიმა.

ნოე ტიროდა.

...სწორედ წლისთავზე. ზამთარში დაბრუნდა ფრონტიდან სარაყულა.

ჩუშად ჩამოიპარა ეზოში. გაცვეთილი მახარა და ქუსლებმოქცეული ჩექმები ეცვა. მხარზე აირწინალის ჩანთა ეკიდა. ფეხაკრეფით ავიდა კიბეზე და ფრთხილად დააკაუნა. კარები ეფენამ გაუღო. უიო! იკივლა და ლუკაიას ხელში შეაკვივდა.

ლუკაიამ ცოლს ხელი მოხვია და ძველისძველ ტახტზე დასვა.

— მოვედი, შე ქალო, ხომ ვითხარი მოვალთქვა!

ლუკაიამ ოთახს თვალი მოავლო ნოე არ ჩანდა. უნდოდა ეფენასათვის ეკითხა, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ბედავდა.

— ნოე ომში წავიდა!

— რას მეუბნები, ეფენა!

— წავიდა, მაქსიმე რევიშვილის უმცროსი ბიჭიც გაჰყვა. შენ ნუ გეშინია, შე კაცო, ჯერ ერთი თვეც არ გასულა და მესამე წერილი მივიღე გუშინ. ძაან კარგად ვარო, შენ ნუ მომიკვდები!

— მაჩვენე წერილები!

ეფენამ ლები ასწია და ფრონტული სამკუთხა წერილები ქმარს მიუტანა.

მარცხენა ხელით ჩამოართვა ლუკაიამ წერილები ცოლს. მაგიდაზე დააწ-

ყო და იმავე მარცხენა ხელით დაუწყო გახსნა.

ეფენას ელდა ეცა. სტატიკული მხარე დაალო, მაგრამ კვიცილის ნაცვლად ლუკაიას მარცხენას ეცა, გულში ჩაიხუტა და დიდახნს კოცნიდა.

ლუკაია სდუმდა.

ლამპის მკრთალ სინათლეზე კითხულობდა შეიღის წერილებს. უნდოდა ბარათებიდან მაინც შეეტყო, თუ რომელ ფრონტზე იყო მისი ნოე. ბარათებში ქალაქები და სოფლები კი იყო ნახსენები, მაგრამ ლუკაიამ მაინც ვერაფერი ვაიგო.

— რა გაქამო ახლა მე შენ, რო არაფერი გამაჩნია! — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა ეფენამ.

ლუკაიამ ჩანთა მოიხსნა, აგურისოდენა შავი პური და ღორის ქონი ამოიღო.

ქამით არ უჭამია.

გაუხდელად მიწვა.

...მეორე დილით კოლმეურნეობის კანტორაში მივიდა. ცალხელას გამოჩენაზე მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. ყველას უნდოდა ფრონტიდან დაბრუნებული სარაყულას ნახვა და შვილების ამბის გაგება. ვერა, ვერაფრით ვერ გაახარა მეზობლები ლუკაიამ. ტყუილს ვერ იკადრებდა...

მაქსიმე რევიშვილს გამოუტყდა მხოლოდ. გვერდზე გაიყვანა და ერთხანს ელაპარაკა. ცარიელი ხელებით გერმანიას რას შეერევიო, უთხრა. მაქსიმემ თავი გადააქნია. უნდოდა შვილების შესახებ ეკითხა ლუკაიასათვის. სარაყულა არაფერს ამბობდა. ეტყობოდა მისი ბიჭების არა იცოდარა.

დილიდან საღამომდე ფეხჩაუდგმელად დარბოდა ლუკაია. ყველა საძნელო საქმეს თვითონ კისრულობდა. ქალაქში ფეხით ჩადიოდა. დაუყვებოდა მესხეთის ქუჩას და ნახევარ საათში ქალაქის ცენტრში ამოჰყოფდა თავს. სოფლისათვის წერილებს მიიღებდა, ნოეს ბარათი თითქმის ყოველ კვირას

მოდოდა და ლუკიას გული საგულეს
ჰქონდა.

ფრონტიდან ჩამოყოლილ აირწინა-
ლის ჩანთას წერილებით რომ აავსებდა,
მაშინ უნდა გენახათ მისი სიხარული.

კოლმეურნეობის კანტორაში დაც-
ლიდა. მოანგარიშე ქალიშვილს, ნიფოს
ჩააბარებდა.

ნიფო ყოველთვის ფეხზე ადგომით
შეხედებოდა ლუკიას, გაუღივებდა.
შვილის ამბავს გამოჰკითხავდა. ლუკია
სახლში ვარბოდა. ეფენასთვის სი-
ხარული მიჰქონდა. მერე და მერე კო-
ლმეტივის საქმეებით ისე დაიტვირთა,
რომ ქალაქში ჩასასვლელად ვეღარ იც-
ლიდა. მთავარ ფოსტიდან წერილების
ჩამოტანა ნიფოს ევალებოდა, მაგრამ
კანტორაში რომ ჩამოიტანდა წერი-
ლებს, ლუკია ჩამოართმევდა. გვიან,
შელამებულში, იწყებდა წერილების
დარიგებას. დალაჩებდა სოფლის შუ-
კებში და მეზობლებს არ ალოდინებდა.

ლუკიას ძახილზე ყურებდაცქვიტი-
ლი მეზობლები უმალ ღობეებს მოა-
წყდებოდნენ. სახლში შეიპატიებდნენ,
მაგრამ ლუკიას დასაჯდომად არასო-
დეს არ ეცალა.

— კაი ხელისაა ჩვენი ლუკია, ჯერ
არავინ გაუმწარებია! — ამბობდნენ
სოფელში.

ასე დაათრევდა ყოველ საღამოს თა-
ვის განუყრელ ჩანთას, დაჰქონდა წე-
რილები. ამისათვის ლუკიას გასამრჯე-
ლოს არავინ არ აძლევდა.

ერთ საღამოს, ჩვეულებრივ, კანტო-
რაში რომ შევიდა, ნიფო არ შემოეგება
ღიმილით. გულმა რეჩიზი უყო ლუკიას.
სახე საცოდავად დაეღიპა, იქვე სკამ-
ზე ჩამოჯდა და ქალიშვილს ირიბად გა-
ხედა.

— დღეს მე დავარიგებ წერილებს,
ლუკია ბიძია, თქვენ დაისვენეთ.

ექვმა ტყვიასავით გაუარა გულში.

— ამ ღამეში ახალგაზრდა ქალმა
რატომ უნდა იარო, ბიძი! სოფელს ღი-
ლამდე ვერ შემოუვლი!...

— ცოდვა ხარ, ლუკია ბიძია, ცოდ-
ვა!

— გლახა ამბავია ჩემს თავს თუ?
— არა, აჰ! დედას გეფიცები. თქვენ
არა... აგერ ნოეს წერილიცაა. წაიკი-
თხეთ!

ლუკია ფეხზე წამოვარდა, ნიფოს
წერილი ხელიდან გამოსტაცა, იქვე უნ-
დოდა გაეხსნა, ვერ მოახერხა და შერ-
ცხვა.

— გამიხსენი, ჩემი ბიძი!
ნიფომ წერილი გახსნა და უკანვე
დაუბრუნა.

ლუკიამ ჩაიკითხა.

— ხომ კარგად ვარო?

— კი, კარგად ვარო. ახლა შენ კაი
დედას ვაფიცებ, გამატანე წერილები.

— წაილე ბიძია, მაგრამ მაქსიმე რე-
ვიშვილის სახელზე...

— რას მეუბნები, გოგო!

— ჰო, ბიძია, ჰო, დაღუპვის ცნობაა
მოსული, კიკილია მოუკლავთ...

— აუჰ, არ ამოვარდნილა კაცი. აუჰ.
აუჰ, არ დაქცეულა უბედური მაქსიმის
ოჯახი?!

— რა ვქნათ, ლუკია ბიძია?

— ნუ გაუმხელთ შვილო! მომეცი
აგერ ჩემი კაი მეზობლის სიკვდილი,
მე მოუვლი. ცოდვაა მაქსიმე, გოგო,
ცოდვაა...

ნიფო ატირდა.

ლუკიამ აცალა ტირილი. გულში მო-
უწონა საქციელი, მერე წერილები ჩან-
თაში ჩააწყო და კანტორიდან გავიდა.
ორი დღე ჩანთით დაათრევდა ცნობას,
მერე შეეშინდა, შემთხვევით არ ამოყ-
ვესო და ამოიღო. წითელარმიელის წიგ-
ნაკში ჩასდო და გულის ჯიბეში შეინა-
ხა.

მესამე დღეს ტრიფონა ჯინჯველასვი-
ლის ბიჭის დაღუპვის ქალაღი მოვი-
და. ერთი კვირის შემდეგ ორს ორი
დაემატა და ლუკიას სულ ჩაუვარდა
ენა. სოფელში მაინც დადიოდა.

უსაღმოდ თავის დღეში არ ჩაუვლია
მეზობლისათვის. ახლა სულ თავჩალუ-
ნული დაალაჩებდა.

ორი კვირის შემდეგ ჩანთაში ექვსი ვაჭკაცის სიკვდილი ედო. ექვსი ოჯახის დაქცევა.

დამძიმდა ჩანთა.

ლუკიას წვერ-ულვაში გაუთეთრდა. გულთ დარდი დაჰქონდა, ჩანთით — სიკვდილი.

ერთ დღეს კანტორის კარები შეაღო, ნიფოს თვალებში ცრემლი შენიშნა და კარებშივე გაქვავდა.

ლუკია რომ დანიხა, ნიფო დაიბნა, აირია და ცრემლის შესრობა სცადა...

ლუკიას მკვდრის ფერი დაედო.

— რა გატირებს, შვილო? — ძლივს ამოთქვა.

— რამდენ სიკვდილს უნდა გავუძლოთ, ლუკია ბიძია, რამდენს?

— ვისი ოჯახი დეილუბა კიდო?

ნიფომ არ უპასუხა.

ლუკია იჭდა ცოცხალ-მკვდარი და უცდიდა.

კარგახნის შემდეგ წამოდგა ნიფო, წელმოწყვეტილი მივიდა კარადასთან, ორი ბარათი გამოიღო მხოლოდ და ლუკიას გაუწოდა.

ლუკიამ ბარათები ჩამოართვა. რატომღაც აღარაფერი არ ჰკითხა ისედაც გაწამებულ ქალიშვილს, მძიმედ გამოვიდა ოთახიდან.

ნოეს წერილი ამჯერად არ ჩანდა.

კარებამდე არ გამოუცილებია ნიფოს იგი.

კანტორიდან გამოსული ლუკია თავის გაცვეთილი, ქუსლებმოქცეული ჩექმებით სოფლის გზაზე მიალაჭებდა და ხმამაღლა ელაპარაკებოდა შვილს...

— ეს გოგო, ბაბა... ხომ მიხვდი რომელზე გეუბნები? ნიფო რომაა, შეკაცო, ჩვენი კოლექტივის მოანგარიშე. ჰო, ჰო, ჰო, რატომ გეცინება, შე მამაძალო, ვითომ არ იცოდი, ვისზე გელაპარაკებოდა, ხომ?..

კაი გოგოა, ბაბა, ძან კაი გოგოა, ოქროს გული აქვს, დედაშენივით საწყალოა და მაგისტანა ქალი კი გამოვადგება, თუ იმარჯვებ... უნდა იმარჯვო, ბა. მე შვილო მეზობლები რომ არა,

მარტოხელა ამომძვრებოდა სული? ეს კი არა, სასიდედროსთან რომ მომხუცხუნეს, თითქოს ენა გადამეყუდნოს, მხმავერ ამევიღე. ვედექი ახლად დასობილი სარივით და ვაფახურებდი ყურებს. ქვეც მიტო მეძახიან საარყუდას. მარა მე არ მწყეინს, შვილო. სოფელი ჩემი ოჯახია. ამგენს ენაცვალოს ჩემი თავი და ჩემი სიცოცხლე. რა კარგი აღამიანებია ჩვენს სოფელში რომ იცოდე, ბაბა. საწყალ მაქსიმეს ხომ იცნობ? თუმცა რავე ბავშვივით გვეკითხები, მის ხელში არა ხარ გაზრდილი! დეილუბა, ბიჭო. შენთან ერთად რომ წასულა, ის ბიჭი დეილუბა სწორედ. უფროსიც აღრე წავიდა და ვინ იცის... ტრიფონა ჯინჭველაშვილიც ამეიძირა. მისი რომანისას სიკვდილი აგერ მიდევს ჩანთაში და დავატარებ ქუჩა-ქუჩა.

აჰ! მაგი მეორედ არ გამაგონო, შვილო! რას ჰქვია შევატყობიო, არ გრცხენია, ბაბა? მაგას ვიხამ მე? ჩემი პირით მოვკლავ კაცს? არა, შვილო, მაგას ნუ მეტყვი და თუ გინდა ამ მარცხენასაც მოვიჭრი ძირში. რა მიჭირს მერე, აგერ არ მყავხარ შენ?!

ელოდონ, ცოდვა არიან, შვილო. ახლა აგერ სიტყვამ მოიტანა და შენი... ფუი, ეშმაკს, ფუი, ეშმაკს! ჰო, იმას ვამბობდი, სიტყვამ მეიტანა — მეთქი და შენი გლახა რომ ჩემთან ვინმეს დაცდეს, მერე მის მეზობლობას ვიწამებ? არ ვიწამებ!

ჰო და დამაქვს შვილო ჩანთით ბარე შვიდი ოჯახის ამოგდება... დავდივარ და ვწვალობ.

ნიფო კაი გოგოა, ბაბა! ეგებ სხვისი სიყვარული ედოს გულში, მაგრამ, ნუ გეშინია. აგერ ვარ მე... ჩამოხვალ და მოგიკვდეს მამაშენი თუ კვირის სწორზე ქორწილი არ გაგიმართო. ნიფო თუ არ იქნება, კაი გოგო რამ დალია ჩვენში...

შენ ისე რავე ხარ, ბაბა. ამ ზამთარში ცოტა გაგიჭირდებოდა, ძან ცივი ზამთარი ცოდნია მაქვთ. ხო გოუძელი..

ახლა დათბა, შვილო, და ნულარაფრის გეშინია. მიაწეჭი მაგ ოხერებს. მე ვერაფერი მოვეუხერხე, ბაბა, მაგ ღდინძალღებს და იქნებ შენ მაინც ისახელო თავი. კი, კი ვიცი. იმისთანა ბიჭი ხარ, ხურდას არავის ვაატან. აბა, ჰე, შვილო! აბა, შენ იცი, ბაბა და მოგიკვდეს მამაშენი, თუ წაქცეული დაგახვედროს ოჯახი...

შენი ჭირიმე, ბაბა შენი...

შენი ჭირიმე, შენი...

მიდიოდა შუკაში ლუკაია. ხმამაღლა ელაპარაკებოდა შვილს.

გახაფხულის საღამო იყო.

შრილებდნენ რცხილები.

ცოცხლდებოდა სოფელი. ჩალამებულ სახლებს გრილი ნიავი ეტანებოდა, მაგრამ კარს არავინ უღებდა... მიდიოდა შუკაში ლუკაია. მიათრევდა ჩანთას და ხმამაღლა ელაპარაკებოდა შვილს, სოფელს, ცასა და მიწას.

...ნოეს წერილი უკვე მეორე თვეა არ მიუღია ლუკაიას. პირველ ხანებში კანტორაში შესვლაზე ერთ სიცოცხლეს ათავებდა. მერე და მერე ამასაც შეეჩვია.

ნელა ავიდოდა კიბეზე. წელში მოკაკული შეაღებდა კარებს, ნიფო შეხვდებოდა.

— არაფერი არ ჩანს, შვილო ხომ?

— არ ჩანს, ლუკაია ბიძია, არ ჩანს. მაგრამ თქვენ ნუ გეშინიათ. ახლა შეტევებზე არიან ჩვენები და ალბათ, ვერ მოიცილა ნოემ. თურმე ქუდმოგლეჯილი გარბიან ის ოხრები... ალბათ, ვერ მოიცილა...

— ჰო, ვერ მიიცილიდა — დაუდასტურებდა ლუკაია და უკანვე გაბრუნდებოდა.

ბოლო ხანებში არც სხვისი წერილები ჩანდა. საღამოობით ძალაუნებურად სახლში უნდა მჭდარიყო და ეს უჭირდა ყველაზე მეტად.

ეფენა მთლად დადნა, დაილია.

ლუკაიას რომ დაინახავდა, უხმოდ უთქმელად მიაჩერდებოდა ხელში.

ეთქვა მაინც რამე, შვილის ამბავი

ეკითხა, რაღაც მოეთხოვა... ერთ საღამოს როგორც იქნა გაბედა...

— საღაა ბიჭის წებღლი? იყოთხაა ლუკაიამ ცოლს შეუბღვირა. არასოდეს, არასოდეს ეს არ დამართვია და ახლა შეუბღვირა, შეუყვირა კიდეც.

ეფენა ბუხართან ჯირკოზე ჩაჯდა და თავი ჩაპკიდა.

მეორე საღამოს ლუკაიამ ბიჭის ძველი წერილები მოიძია, ხელახლა დააწევა და ერთი ეფენას მოუტანა.

— ა, მევიდა, ხომ გითხარი, მოვათქვე!

ეფენა მოცოცხლდა.

ერთი კვირის შემდეგ მეორე წერილი მოუტანა.

მაშინ დაფიქრდა ეფენა, დაფიქრდა და მიხვდა.

ეფენა ლოგინად ჩავარდა.

შეშლილივით დადიოდა ლუკაია. თავს იმტვრევდა, ფიქრობდა, ფიქრობდა, გულში კი არა, მთელ სხეულში ენთოცებლი...

იმ კვირას ნიფოს ეწვია სახლში.

ნიფომ, ლუკაია რომ დაინახა, ორივე ხელი ლოყაში იტყია. ლუკაიას ეს არ გამოპარვია. ექვი გაუთაყეცდა.

„მატყუებს, იცის და მატყუებს... მე სოფელს ვატყუებ. ეს გოგო კი“... რაღაც ჩაიფიქრა.

— გამარჯობა, ბიძია შენი! — ქალიშვილს თვალი-თვალში გაუყარა.

— გამარჯობა, ლუკაია ბიძია, მობრძანდი სახლში.

— მოვდივარ და ესაა. დედაშენი არაა სახლში?

— არ გახლავთ!

— კაი დაგემართოს, შენთან მაქვს საქმე!

ნიფო სახლში შეუძღვა ლუკაიას. სკამი მიაწოდა და თავადაც ჩამოჯდა. შიშით შეცქეროდა სტუმარს, ლუკაიას კედელზე დაკიდებულ ბუხრის ქუდისათვის მიესო თვალები.

ერთხანს ორივენი სდუმდნენ.

— ვიცი, ბიძია, ყველაფერი ვიცი, რაღას მიმაღავ...

ნიფო სკამიდან წამოიწია.

ლუკაიამ როგორც შეეძლო მშვიდად ასედა ამოიოხრა და განაგრძო:

— ვიცი, გევიგე. ქალაქში, კომისარიატში ვიყავი, მითხრეს...

ნიფომ ნაბიჯებით უკან დაიხია.

— რაზე მატყუებდი, გოგო? მიბრალედი, ხომ? არ უნდა გექნა ჩემთვის მაგი... მე სხვა ვარ, გოგო. მე ამასაც გავუძლებ...

ნიფო მთელი ტანით კანკალებდა. პირველი სურვილი იყო მკერდში ჩაკვროდა საწყალ ლუკაიას, ეტირა და გული ეჭერა. რალაცამ უბიძგა და თავის შეკავება შეძლო. წუთით, მხოლოდ წუთით ჩაყურებდა ცრემლით სავსე თვალებში ლუკაიას და...

„მცდის, ჩემი გამოტეხვა უნდა... გაუელვა ფიქრმა.

— მე არაფერი გამიგია, ლუკაია ბიძია!

— სტყუი! — იღრიალა ლუკაიამ. — სტყუი, სტყუი!

ქალიშვილი კედელს აეკრა.

— დედას გეფიცები, არაფერი არ ვიცი, — თქვა და ლუკაიას შეხედა. იგრძნო, ასეთი ფიცით ფონს ვერ გავიღოდა.

— გათენებას არ მოვესწრო თუ ტყუილს ვამბობდე! ლუკაია ბიძია! ლუკაიას ტირილი წასკდა.

ნიფოც აქვითინდა.

— ტყუილი გითხარი, შვილო, ტყუილი! შენი გამოტეხვა მინდოდა. ვიცრუე... კაი ახლა, გაჩუმდი, თუ ქალი ხარ. კაი ახლა, გაჩუმდი. ჩამოვა ჩემი ბიჭი, ა, ნახავ...

...

იმ კვირას ეფენა გარდაიცვალა.

უხმოდ წავიდა წუთისოფლიდან ლუკაია სალდამის მეუღლე.

ლუკაია დამუნჯებული მიყვებოდა კუმბოს.

დაასაფლავეს.

მერე ერთხანს აღარავის დაუნახავს ლუკაია, ერთთავად სახლში იჭდა. ჩან-

თა კედელზე ეკიდა. მაქსიმე რევიშვილის ბიჭის დაღუპვის ცნობა ჩანდა იდო.

ბუხართან იჭდა ლუკაია. ხელში საკეცი ეჭირა და სამი დღის ჩანელებულ ნაცარს ქექდა.

ერთ დღეს მეზობლები წამოადგნენ თავზე.

თავი არ აუწევია.

სალამზე სალამით არ უბასუხა.

— ლუკაია! არ ვარგა, ასე, ბიჭო, გამოდი სოფელში, მოკვდები, შე კაცო, ი, ბიჭი ქე დაგიბრუნდება და არ გრცხვენია? — წამოიწყო მაქსიმე რევიშვილმა.

— ომი მთავრდებაო, ლუკაია. იქნება ჩვენც გველირსოს, იქნება არა ვართ მთლად განწირული... და ქე ჩემვიდენ ჩვენი ბიჭები, — წამოეშველა ტრიფონა ჭინჭველაშვილი, მაქსიმეს.

— არ ჩამოვლენ! — ამოიღრინა ლუკაიამ.

— კაი, ერთი, თუ კაცი ხარ, ნუ გადაგვიწურავ იმედს.

მხარზე ხელი დაჰკრა მაქსიმემ ლუკაიას.

მხარზე ხელი დამკრა!

თითქოს ტყვია ჰკრესო ლუკაიას. ფეხზე წამოვარდა. მთასავით დაადგა თავზე დამფრთხალ მეზობლებს. ვერ ჯირკოს დასწვდა და მაქსიმეს მოუქნია. მერე ჯირკო კედელს მიახეთქა და იქვე დაკიდებული ჩანთა ჩამოგლიჯა. მეზობლები უკვე კიბეზე ჩამორბოდნენ. როცა ლუკაია გარეთ გამოვარდა.

— არ ჩამოვლენ, არა! აქა მაქვს თქვენი სიკვდილი! არ ჩამოვლენ, არა! აჰა, წაიღეთ, მომაშორეთ, მე ჩემიც მეყოფა...

ჩანთა მაქსიმე რევიშვილს ესროლა. კარები მოიჭახუნა და იატაკზე გაიშხლართა.

...ომი დამთავრდა.

ხანდახან ორობებში გამოჩნდებოდა ლუკაია. მეზობლებს ემალებოდა. დალაჯებდა აღმა და დაღმა და თავისთვის ბურღლუნებდა. ყურს თუ დაუგ-

დებდით, ხან ეფენას გაიგონებდით, ხან ნოეს... ასე იარა ერთხანს და მერე ისიც ჩუმად წავიდა ამ ქვეყნიდან, როგორც მისი უთქმელი ცოლი ეფენა.

ლუკაია ეფენას გვერდით დამარხეს. მაღალი, ძალზე მაღალი კაცი იყო ლუკაია, ხმელი და აწოწილი. ბლის კენწეროს ხელით დაიწვედა. შეთვალულ ბაღს დაჰკრეფდა. პატარა ბიჭუნებს ყველაზე მაღალ ხის ტოტზე შემოსაკუბებდა.

მისი სამარე კი ეფენას სამარეზე დიდი არ გამოვიდა...

...ლუკაია სალდაძის ოჯახში სიცოცხლე ჩაკვდა. იქ ცხოვრება არავინ ისურვა.

ხეხილი გახმა. ღობე დაღმა და განადგურდა.

სახლის სახურავი ქარმა წაიღო. გამხმარი ხეხილი აკრეს სახლად აღეს. ეზო სახნავად გაამუშავეს. ლუკაიას სახლის წინ ნიგვზის ხე იდგა.

ნიგვზის მოჭრაც მოინდომეს. ხერხი რომ მოიტანეს, მაქსიმე რვეიშვილი ჩამოვიდა ეზოში.

წელში მოხრილიყო მაქსიმე. ხელში ჯოხი ეჭირა. თვალები და სახე ამოლურჯებოდა.

ერთხანს ჩუმად იდგა და უცქერდა ლუკაია სალდაძის ნასახლარს. მერე თავი მოიბრუნა, თითქოს ცოტა წელშიც გაიმართა და თქვა:

— ნიგოზს ვერ მოჭრით! ერთი პატიოსანი ოჯახის ბარობაზე. ეს ხე უნდა დარჩეს სოფელს!



გიორგი გუგუია ორი ვაზის გედი

(ბალადა)

წარსულის ამბებს მოხუცი ჰყვება:
„ცეცხლი ეკიდა მშობლიურ მხარეს...
უფალი ჩვენზე ასე რად წყრება? —
მოპაჭირები მოთქვამდნენ მწარედ.

ცეცხლი ეკიდა მთებსა და
შინდერებს,
ცამ შავი კვამლი ჩაიკეა თალხად,
თურქი ხონთქარი ამ მიწის
მკვიდრებს
ერეკებოდა შავი ზღვის გაღმა.

და იყო ეამი ნგრევის, კვეთების,
სისხლით გაწითლდა შავი ზღვის
ტალღაც.
მიტომ შემორჩა ცრემლის წვეთები
ამბავს, რომელსაც ვიამბობთ ახლაც:

* * *

„ერთი ლამაზი მადლობი იყო,
მადლობზე წყვილი ხარობდა ვაზი.
წყვილმა ცვარ-ნამიც ძმურად გაიყო,
ძმობაში ჰპოვა სიცოცხლის აზრი.

წყვილმა მზის თასიც ძმურად გაიყო,
ბევრჯერ მოისხა მტვენები ქარვის.
ვაზების ენა შრიალი იყო,
შრიალი — მიწის სიმღერა არის.

მაგრამ გათენდა ერთი დღე შავი,
იყო გრიგალი, წვიმაც და სეტყვაც;
თითქოს სატანამ აიშვა თავი,
ერცახუს ელვის ქამარი ერთცა.

და წყვილი ვაზი
ქარიშხალს ვერაგს,
ძლივსღა უძლებდა,
წყდებოდა წელში...
ცრემლმა ჩააქრო ქობლუხის კერა:
ყველგან ცრემლები, — არსად
ნუგეში.

უნდა დატოვოს მშობელი მხარე!
წინ რა მოელის შორეულ გზაზე?!..
როცა გრიგალი მოთქვამდა მწარედ,
მიუახლოვდა ქობლუხი ვაზებს.

ვაზთაგან ერთი, ვით სახსოვარი,
უცხო მხარეში წაიღოს უნდა!..
სამგლოვთიაროდ გუგუნებს ქარი,
კვამლის ქულები მოჰყვება გუნდად.

* * *

წყვილი ვაზი ქარში ტირის,
წყვილი ვაზი ქარში ღელავს;
თითქოს ქვეყნის გასაჭირი
ვაზმა იგრძნო სულ პირველად.

ჩაფრენია მიწას ფესვით,
ეურჩება გრიგალს ბოროტს.
ძირს გართხმული თითქოს კვნესის,
უნდა მიწას ეამბოროს.

თუმც უთრთოდა ქობლუხს ხელი,
ჩაეჭიდა ვაზს და მაშინ
საკვირველზე საკვირველი
ძალა იგრძნო ორთავ მკლავში.

და ეგონა, თვით მალლობიც
დაარწია აკვანივით...
და ეჭირა ვაზი, როგორც
ბალღი ხელში აყვანილი.

შეუხვია ფესვი ფრთხილად,
ვაზით ხელში გაჰყვა ბილიც...
ვაზს მალლობი თვლიდა შვილად,
გამოსტაცეს მალლობს შვილი.

ნაფესვარი, ვით იარა
მალლობს შერჩია...

აი, ახლაც

იმ ტყვილის გამოძახილს
ვაზის ცრემლში დაინახავ.

* * *

ზღვა ნაპირებს ტალღებს ასლის,
დგას ქობლუხი და რას ხედავს:
მიწას კოცნის მისი ხალხი,
მიწას კოცნის, როგორც დედას.

ეს ამბორი მოპაჭირის
მალღ მთებსაც დარღით დახრის.
უთვალავი დედა ტირის, —
მშობელ მიწას ტოვებს ხალხი.

ზომალდები ზღვაში დგანან
და ცრემლები შავ ზღვას ერთვის...
იმედივით აიტანა
მან ზომალღზე ვაზი ერთი.

ვაზი — ფრთხილად შეხვეული,
თითქოს ბედის მოზიარე...
და აჯერებს ქობლუხს გული, —
თუშეცა ტოვებს მშობელ მხარეს, —

სადაც მიდის,

იქაც ვაზებს

მოაშენებს

მტრის ჯინაზე!

* * *

მაგრამ შავი ზღვა ისე გაცხარდა,
ისე აქუსდა ღამეში, ქარში,

რომ საშინელი სიზმარი

მარცხდადღი

ქობლუხმა ნახა პირველად

უიმედობამ თავზარი დასცა, —
სტიქიაც გახდა ბედკრულთა მტერი.
რამდენმა მოძმემ, ნაპირის ნაცვლად
იხილა მხოლოდ შავი ზღვის ფსკერი.

* * *

ზომალდი მიდის,

ზომალდი მიდის,

მაგრამ ნაპირებს მიიღწევს როდის?
აი, შიშოვით მიწელდა ბინდი
და იმედივით რიყრევი მოდის.

აი, ნაპირიც გამოჩნდა უკვე,
შიშველი თავი ასწია ბორცვმა.
შავი ზღვა ნისლის საკმეველს
უკმევს
მაპაჭირების ცრემლიან ლოცვას...

მაგრამ „ედემად“ ხრიოკი დახვდათ,
სხვა დანაპირიც არაა ჩანდა.
გვალვას ქვიშნარი დაედგა ტახტად,
სტვენა დაიწყო სიკვდილის ლანდმა.

* * *

სხვებს მოჰქონდათ მუცა მიწა,
მან კი ვაზიც წამოიღო.
ნერგმა თითქოს გაიღვიძა,
მანამ თითქოს ძილში იყო.

შეფუთულმა იწყო კენესა:
— მინდა ჩემი მიწა-წყალი! —
უცხოეთის მზეში ვერსად
ვერ შეგნიშნე შუქის კვალიც...

და ქობლუხი აწრიალდა,
ვაზს უპოვა სამოსახლო.
მაგრამ უცხო მიწის კალთამ,
ნერგი მალე ჩამოახშო.

ერთხანს მაინც ცრემლით რწყავდა
ვერ იპოვა რადგან წყალი.

და ქრებოდა მის წინ ვაზი,
ვით იმედის ნაპერწკალი.

— გასახმობად წამოიღე?
რად მიანდე თავი ბნელეთს...
გული გატყდა, როგორც ციხე, —
სინანულით გაამრთულე?!

ვაზი მოკვდაო! — სიტყვა გავარდა,
ქობლუხი ცრემლებს აფრქვევდა
ცხარეს.
თითქოს და ვაზი იყო თავადაც
მოშორებული მშობლიურ მხარეს.

ვაზის სიკვდილი წარღვნას
ნიშნავდა,
ქობლუხს იმედად ვაზი მოჰქონდა...


ირგვლივ ბრუნავდა ქარში ქვიშა და
უიმედობის ზღვად ბობოქრობდა.

* * *

ვაზი, —
რომელსაც ძმა მოაშორეს, —
დარდით
იმ დღიდან გაშავდა სწორედ!..

იწყება ასე, თავდება ასე,
სიტყვა, რომელიც იწამა ხალხმა:
— დიდხანს იგლოვა დაკარგულ
ძმავზე
და ოჯალეში შავია ახლა“.

თარგმანი აფხაზურიდან შ. აკოზიასი



კეკელიძე

მოხარული ვართ

მოხარული

ქალაქ ქვეტირეთის ერთ გარეუბანში ვიწრო გრძელი ქუჩები ჯვარედინად ჰყვებოდა ერთმანეთს. ქუჩებს შუა პატარა მოედანია. მოედნის ცალ მხარეს მოზრდილი შენობა დგას. შენობის სხვადასხვა ნაწილში და სართულზე პასტერის სადგური, სტომატოლოგიური კლინიკა და ვენდისსპანსერია მოთავსებული. პირდაპირ პატარა მაღაზია და საპარკმანერო მოჩანს. სხვა, ასეთი გამოსარჩევი რამ ახლო-მახლო არაფერი შეიწინებება. ვიწრო, გრძელი ქუჩების ორივე მხარეს პატარა ეზოიანი სახლებია ჩაჩვილებული. სახლები დაბალია, ბევრი ძალიან კოხტა; ზოგიერთის სახურავზე თუნუქის მამალი შემოქმედარა. —

ერთი ქუჩა ახლანან გაუფართოვებით, ამიტომ ეზოები არაპროპორციულად დაჩეხილა და ზოგიერთი სახლის კედელიც ტროტუარს მიბჯენია. ქუჩაში დროებით დარჩენილა რამდენიმე ჭა. ჭებს აღარ ხმარობენ და მათი გვიში მავთულითაა გადაწული, რათა რომელიმე დაუკვირვებელი მოქალაქე არ გადაეშვას შიგ. ასფალტისგან მთელი ვიწრო ტროტუარზე ძირდაბეტონებული რკინის ბოძები დგას. ამ ბოძებს ტროლეიბუსის ოქროსფერი ხაზები და ათასი სხვა მავთული ჩამოკიდებულია კისერზე.

ეს უბანი ერთ დროს ყველაზე წყნარ, მყუდრო ადგილად ითვლებოდა, მაგრამ ყველასაგან გასაოცრად, სწორედ ამ მხრიდან შემოუტია ინდუსტრიამ ქალაქ ქვეტირეთს. ვიწრო ქუჩებში ახლა იმდენი მანქანა და ტროლეიბუსი დადის, რომ მათი ჯაყაყაისაგან ყურთა-

სმენაა წადებული. ღობეებში განხერილი ხეები მტვრითაა დაფარული.

...მხოლოდ გვიან ღამით დაიწმინდება ჰაერი და ხანდახან ისეთი მყუდროება ჩამოწვება, რომ დღისით მომხდარი ყველა უსიამოვნება ავიწყდება ადამიანს.

ეს დრო, ესე იგი გვიანი ღამე იყო მაშინაც; სამაგიეროდ, ისე ცხელოდა, რომ შვიდად ძილს ძნელად თუ ვინმე მოახერხებდა. თბილი, გამომშრალი ნიავი უბრაოდ და ასფალტზე დაგდებულ ხმელ ფოთოლს რამდენიმე ხელის დადებით უნაცვლებდა ალგას.

დაოსებულ მოქალაქეებს აივნებზე, ეზოებში და ბუჩოსის ხეებზე ეძინათ.

ერთი სახლის ღიაფანჯრებიან ოთახში მსუქან კაცს სული ეხუთებოდა, ვერ იძინებდა. მისი მეორე ნახევარი ძილდვიძილში ტრიალებდა და საკმაოდ გაურკვეველად რაღაცაზე წუწუნებდა. საერთოდ იგი, ამ კაცის ცოლზე გვაქვს ლაპარაკი, ყველაფერს თერმოატომგულიან იარაღებს, წყალბადისა და ატომური ბომბების საცდელ აფეთქებებს აბრალებდა; ფიქრობდა, რომ რადიოქტიურმა ნალექებმა და ჰაერის ხელოვნურმა ვიბრაციამ შეცვალა დედამიწის ატმოსფერო. მსუქან კაცს ერთხელ არ გაჰკვირვებია, საიდან მოდიოდა მის მეუღლეს ასეთი აზრები.

კედლის უზარმაზარ საათზე ნაშუადღევის პირველმა დაჰკრა. ქალმა გაკვირვებით დაიძინა. კაცი სპორტული საცვლების ამარა ყავიდა აივანზე; ჯერ კიბის მოაჯირს დაეყრდნო იდაყვებით, მერე სკამზე დაჯდა და ცას მიაშტერდა.

სიწყნარე იყო. მთვარე საოცრად ანათებდა. „რა იქნება ერთხელ მაინც დამანახა რომელიმე თანამგზავრი შეუიარაღებელი თვალთ!“—გაიფიქრა მამაკაცმა და ირმის ნახტომის ტრაექტორიას ბოლომდე ჩააყოლა თვალი. მერე ისე ჩაილაპარაკა — ამათი დათვლა შეუძლებელიაო.—თითქოს იცოდა, რადანხუთ მილიარდს რომ არაფერი აკლდა.

ეზოს კუთხეში რაღაც ვახშაურდა. კაცმა ვარსკვლავებს თავი მიანება. მიიხედა. ეგონა მეზობლის ძალი ბრიგინებდა და ქვას დაუწყო ქებნი. ლობეზე ადამიანი მოძვრებოდა. მსუქან კაცს შეეშინდა, სუნთქვა შეეკრა. უცნობი ღობეზე აიშართა; უნაბის ჩრდილში გაიღანდა თეთრად და შემდეგ ეზოში მსუბუქად ჩამოხტა.

— რომელი ხარ!?—ძლივს დაიძახა მსუქანმა. დაძახილზე უცნობი გაჩერდა.

— არ გესმის, რომელი ხარ!? — ხმას თქნია კაცმა და იმწამსვე მიხვდა, რომ „სტუმარი“ ქალი უნდა ყოფილიყო.

— რა მოხდა, ვალიკო? — გამოეხმაურა ცოლი ოთახიდან. კაცი სახლში შევიდა. ჩაცმისას რამდენჯერმე ააცილა ფეხი შარვლის ტოტს, იმ ვარაუდით, რომ — იქნებ ქალი გაიქცეს და აეცილდე ამ უბედურებასო. ჩაიკცა. შუშაბანდში გამოვიდა და კუთხეში მიყუდებულ მსხვილ ჯოხს, რომელიც ოჯახში კაცმა არ იცოდა აქამდე რა მოვალეობას ასრულებდა, ხელი წაატანა; გარეთ გამოვიდა.

თეთრკაბიანი ქალი, ჩანდა, მართლა გაქცევას აპირებდა. იგი რკინის ჭიშკარს მიდგომოდა და საკეტს აწვალებდა. ამის შემხედვარე მამაკაცს სიზამაცე მოემატა და მკექარე ხმით დასძახა:

— გაჩერდი, თორემ გესროლე!

— რა მოხდა, ვალიკო?! — დაიძახა მეორე სახლის კიბეზე საცვლების აშარა გამოსულმა მეზობელმა.

— რომელია?! — მომდევნო სახლის ფანჯარაში გადმოდგა ვიღაც.

— არ გაუშვათ! — დაიყვირა მესამემ.

— დაწეკით! — გულქებისთანავე შეეცადა მომხდარი ამბის გამაზრებლად ერთი ახალგაზრდა.

პატარა მოედნის ახლო-მახლო მცხოვრებნი ფუტკრებივით აიშალნენ.

ვენდისპანსერის დარაჯმა არსენამ სასტეგენს ჩაბერა და მისი ასაკის კაცი-სათვის შეუფერებლად დიდი ნაბიჯებით გამოიქცა.

თეთრკაბიანმა ქალმა ჭიშკარი გააღო და მსუქანმა კაცმა კიდევაც მიიყოლა კეტი ბეჭებში. ქალი ოდნავ ჩაიკცა, მერე ზურგსუკან მიიხურა კარი.

არსენამ ნაბიჯებს მოუმატა და გავაზე დაიწყო ხელის ფათური, ვითომ სასროლი უნდა ამოვიღოთ. გვერდითი ჩიხიდან პატარა მელოტი კაცი გამოცუნცულდა. მელოტს ფოსტლებში წაერგო ფეხი და ნიფხვის ზორტებს მოათრევდა მიწაზე; ხელში ცალსულნიანი თოფი ეჭირა. თოფიანი არაბუნებრივად ძლიერი ხმით ყვიროდა:

— ვალიკო, მოვდივარ, მაცალეთ, მე ვესვრი პირველად!

თოფიანი კაცის დანახვაზე ქალი შეტრიალდა, სახით ღობეს მიეყრდნო. აქლოშინებული მსუქანი კაციც იქვე გაჩერდა. იქარობა ხალხით გაივსო.

...ჩანდა, სიცხისაგან გათანაგულ ხალხს არ ეძინა. თითქოს ელოდნენ ამ ამბავს. კაცმა არ იცოდა, რა მოხდა. ახლა ისინი იდგნენ და ზურგშექცეულ ქალს უყურებდნენ, ელოდნენ, რა იქნებოდა ბოლოს.

გაბადრული ახალი მთვარე კუნძულამდე ანათებდა ყველაფერს. სახე ქალს გრილ ფიცარზე ჰქონდა მიკრული.

— რომ ჩემდაიბლად გარეთ არ გამოვსულიყავი, გამცლიდა, მთლიანად... არ უნდა მოვკლა, უხს... — ძალით მოიყვანა გული ვალიკომ.

— რა გინდოდა, ქალო, ამ შუალამეზესხვის ეზოში?! — შეეკითხა არსენა.

— რომ ჩემ ეზოში დამენახა, ვესროდი თოფს და მესკია ჩიტვივით გადმოვაგდებდი ღობიდან! — გულგრილად ჩაილაპარაკა მელოტმა და თოფს გახუნებული პიჯაკის სახელო გადაუსვა.



ქალი ხმას არ იღებდა. იგი იდგა ზურგ შექცეული. ხალხმა იფიქრა, მასხრად ხომ არ გვიგდებდნენ.

მკლავებდაშიშვლებული ბიჭები განცალკავებით გაჩერებულიყვნენ. ისინი აბოლებდნენ და ირონიულ შენიშვნებს აკეთებდნენ ყველაფერზე. იყო თუ არა საჭირო მაინც.

ქალს მრგვალი ბეჭები და მაღალი, ლამაზი ფეხები ჰქონდა. ზურგიდან არ ჩანდა ურიგო.

— დღისით რომ შეხედო, ვერაფერს იტყვი, ქალია... მაგრამ ასეთები ძარცვავენ ქვეყანას; მკვლევლებს ჩადიან, მაგი ადვილი შესაძლებელია ციხიდან იყოს გამოსული, — აუხსნა მეზობლებს არსენმა.

— მერე რამდენი ხანია აქეთ ქურდობას არ ჰქონია ადგილი; ამას, ალბათ, მთელი ბანდა ახლდა: ჯერ ქალი შემოგზავნეს, ასე იციან საერთოდ... მერე მთელ უბანს დაგვესხმოდნენ თავზე. — გააგრძელა ვილაყამ.

— მერე ვერ მოკლავთ?! — იკითხა ხალათმოსხმულმა სქელმა ქალმა.

— ალბათ, გაათასხირებულო ვინმეა და კაცები დაჰყავს ეზო-ეზო! — შვივდად, მაგრამ ავტორიტეტულად თქვა მეორე ქალმა; ამ ქალსაც ხალათი ჰქონდა მოსხმული და რაღაცაზე ეღიმებოდა.

— კი, ასე იქნება! — დაუმოწმა რამდენიმე გამოცდილმა ადამიანმა.

— ფუ!... იმასდნენ ქალები. ზოგი ზიზღით, ზოგი ისე, სხვათაშორის; ზოგიერთი შურითაც. მათ შეიძლება შურდათ თეთრკაბიანი ქალის, რომელსაც კარგი ფეხები ჰქონდა და ასე მარტო, ასეთ დროს დადიოდა თავისუფლად; ეცვა თეთრი, სუფთა კაბა.

— გაჩერდით! — დააწყნარა ქალები არსენამ. — ვიცნობ ვინცაა: ქურდია... მე შენ გეტყვი, არ მინახავს სხვა დროს და რა მეშველება!.. გაჩხრეკა საჭირო. მხოლოდ მე არა მაქვს ამის უფება, მდებრობითი სქესის პიროვნებამ უნდა შეასრულოს ეს აქტი...

— მილიციამა და რეკილი, ჯობია

მოვითმინოთ! — დაღრეკილი სახით, თქვა სტომატოლოგიურ რეკლამისტის ერთმა რიგითმა თანამშრომელმა, რომელსაც მთელი სიცოცხლე უძილობა აწვალებდა; თავი უსკდებოდა მრავალი წელი, ამ სიტყვის წმინდა ფიზიკური მნიშვნელობით.

— იარაღი ექნება, მაინც უნდა გავჩხრეკოთ! — დიდი ხავერდოვანი ბარიტონით დაილაპარაკა თოფიანმა მელოტმა, რომელსაც შარვლის ტოტებიდან ნიფხვის ზორტები მოუჩანდა.

— მე გავჩხრეკავ ამას კარგად! — თქვა მსუქანმა კაცმა და ქალს ჯოხი დაჰკრა ბეჭზე; მართალია, ახლა არც ისე გამეტებულად, მაგრამ ქალი მაინც დაიგრინა სიმწრისაგან.

— ერთი კადე! — გაამხნევეს ხელკეტიანი. ატყდა თავშეუყავებელი სიცოლი.

თეთრკაბიანი ქალი წყნარად მოტრიალდა. ხალხმა ხმაური შეწყვიტა. ქალის სახე ყინულისფერმა მთვარემ გაანათა. ეფექტი იყო ზომაზე დიდი. ქალი იყო აუწყრლად ლამაზი; თითქმის სულ ახალგაზრდა. ღია ჩალიტური თმები ჰქონდა და სევდიანი თვალები. შეიძლება ოდნავ ელაშიც იყო. იგი იდგა მშვიდად, ღმობიერად უყურებდა ხალხს, ბეჭებით ღობეს მიყრდნობოდა.

ყველასათვის მოულოდნელად მილიცია მართლა ადრე მოვიდა. ახალგაზრდა ლეიტენანტმა მანქანა გააჩერა. ლეიტენანტს ერთი რიგითი მილიციელი გადმოჰყვა. რიგითი მილიციელი დაბლვერილი გაჩერდა და დაუნდობელი მზერით შეათვალიერა ეს კრება.

— რა ხდება? — იკითხა ლეიტენანტმა.

უთხრეს რაც ხდებოდა. ახსნა-განმარტებმა მერე ლეიტენანტმა რამდენიმე მოწმის სახელი და გვარი ჩაიწერა.

— მე ოპერაწმუნებული ლურსმანაშვილი გახლავარ! — გაეცნო ლეიტენანტი დამხვდურებს. მერე ღამნაშავეს მიადგა. როდესაც ქალთან ახლოს მივიდა, შეერთა, დაიბნა. რას წარმოიდგენდა ამხანაგი ლურსმანაშვილ-

ლი, თუ ბრალდებული ასეთი ლამაზი აღმოჩნდებოდა: ამას სულ არ ელოდა ლურსმანაშვილი ლამაზი ქალის წინაშე არარაობად იქცეოდა ხოლმე. ეს სისუსტე ჭირდა ამ კაცს, მაგრამ თავის მოვალეობას ყველაფერზე წინ აყენებდა და საპირადო გრძნობებს გულმოდგინედ მალავდა.

— რა გინდოდა აქ, ამ დროს!? — გამომცდელად შეეკითხა ლურსმანაშვილი ქალს.

— არაა. თქვენი საქმე!

— როგორ, ჩემი საქმე არაა?! — გაკვირვებინაგან ლურსმანაშვილმა უკან მიიხედა.

ხალხმა ისევ ურიაშული ატეხა. განსაკუთრებით ქალები აყაყანდნენ. ოპერა-რწმუნებულმა ხელი აწია, — მაცალებო, გავარკვევ ყველაფერსო.

— არ გესმის, რასაც გვეკითხებიან!?

— მან ჯოხი ბეჭზე ისე მავრად დამარტყა, მე მგონი, ძვალი გამიტეხა. — წყნარად თქვა ქალმა. მხოლოდ თვალები აუელვარდა და სახეზე შიშნარევი იერი დაედო.

— უარესი უნდა ექნა! — ჩაილაპარაკა ლურსმანაშვილმა და მილიციელს მიუბრუნდა:

— ჩასვი მანქანაში, განყოფილებაში გავარკვევთ ყველაფერს.

მილიციელმა, რომელსაც სახეზე ფერისმკვამელები ჰქონდა, უხერხულად მოკიდა ქალს მკლავში ხელი. ქალმა უკან დაიხია, გაუძალიანდა.

— მოითმინეთ! — დაიძახა ხალხში მდგარმა ექიმმა. ეს ექიმი განაკიდეს იდგა და პირველად ახლა ამოიღო ხმა. საერთოდ, ამ ქუჩაზე ახალი გადმოსახლებული იყო. მესობლები რატომღაც პატივს ცემდნენ. ისე უნდა ითქვას, რომ ეს წყნარი ადამიანი დიდი აკვირებული აზროვნების კაცი ჩანდა. უკანასკნელ ხანებში ასეთ უცნაურ საკითხზე მუშაობდა: ტექნიკური პროგრესი უწყობს ხელს ფსიქიკურ აშლილობათა გამრავლებას, თუ პირიქით. ფსიქიკური აშლილობა იწვევს ტექნიკის განვითარებასო. ეს ექიმი დასმულ

საკითხს ვერ შორდებოდა, რადგან კითხვას თვითონვე უძიებდა. მასწავლებლა: მაგი ჯერ კაცმა არ იცის, ბიძიაო.

ექიმმა სათვალე მოიხსნა და თეთრკაბიან ქალს მიაშტერდა. ქალმა თვალი მოარიდა. ჯვალოსკიტელიანი მილიციელი გვერდზე მიდგა მორჩილად.

— ეს ჩვენი ავადმყოფია. — თქვა ექიმმა.

— რას ნიშნავს, ამხანაგო, თქვენი ავადმყოფი. რა ჩემია და შენია დამიწყე აქ! — იკითხა ლურსმანაშვილმა.

— ჩვენთან წევს კლინიკაში, მწვავე ფსიქოზი აქვს, ზოგს სხვა რამეში შეაქვს ეპიკი... თუმცა ეს რა თქვენი საქმეა...

— დანამდვილებით იცით?

— რა ვიცი დანამდვილებით?

— რომ თქვენთან წევს, კლინიკა თუ რაღაცაა...

— ეპიკი გეპარებათ, თუ?.. — ექიმმა სათვალე მოიხსნა და ლეიტენანტს მიაშტერდა. ლურსმანაშვილმა ისევ უკან მიიხედა.

ვილაც ახალგაზრდა ბეჭმა ხმამაღლა დააცემინა ცხვირი და სანამ ვინმე ეტყოდა, იცოცხლეო, მანამდე თვითონ თქვა გმდლობთო.

ლეიტენანტმა ტყავის ჩანთა გაისწორა და საქმიანად განაცხადა: — ჩვენ მაინც დავაპატიმრებთ, მილიციაში დავეკითხავთ!

— რას იზამთ?

ხალხი ერთდროულად აბრიალდა; თითქოს ამდუნხანს რაღაცას ითმენდა.

— რა უნდა მილიციაში!

— ავად ყოფილა, საწყალი!..

ხალათმოსხმული დედაკაცები თეთრკაბიან ქალს შემოეხვიენ და წუწუნი დაიწყეს.

— რა ლამაზია, ეს უბედურ დღეზე გაჩენილი!

ოპერა-რწმუნებულ ლურსმანაშვილს ქალების ხმა ხარაბუხების ბზულიად მოესმა და თავგზა აებნა. ფერისმკვამელებიანი მილიციელი, რომელიც ახალი ჩამოსული იყო სოფლიდან, სულ გადა-

ირია: ეს რა შავდღეში ჩავეარდიო. ფიქრობდა.

ხალხის ყაყანზე ექიმმა ყურებზე აიფარა ხელები. დაკვირვებული კაცი იქვე შეატყობდა, როგორ გაბრახდა იგი. როცა ხმაური შედარებით მიწყნარდა, ექიმმა რალაც თქვა, ეტყობოდა, ძალიან მნიშვნელოვანი, მაგრამ სხვებისათვის გაუგებარი და ამიტომ ეს სიტყვები აქ არ მოგვეყავს. ექიმში განერდა, დაფიქრდა; თვითონაც ვერ გაიგო, რა უნდოდა. ხალხს თვალი გადაავლო და ის იყო სახლში წასვლა დაპირა, რომ თუთრკაბიან ქალს შეხედა, უკან მოტრიალდა:

—ჰო, მართლა, წითლიძე, რა გინდოდა აქ?

— სახლში მივდიოდი.

— საავადმყოფოში უნდა წაიყვანო! —უთხრა ექიმმა ლეიტენანტს. —ჯერ ერთი, არ ვიცი მე სადაა საავადმყოფო და მეორეც ცოტა..

—არ მინდა საავადმყოფოში!!—ვედრებით თქვა ქალმა.

—რაიონიდან ჩამოიყვანეს, სახლში წასვლას ითხოვეს! —თქვა ექიმმა.

ამ სიტყვებზე თუთრკაბიანი ქალი გულამოსკენილი ატირდა. ცრემლები ვერცხლისწყალივით ჩამოედინა სახეზე.

ქვემოდან ნიავმა დაუბერა. შილიფად ჩაცმულ ხალხს თითქოს შეეცედა. საშინელი სიჩუმე დადგა. სიწყნარეს ქალის გულამოვარდნილი ტირილი არდევდა.

—ნუ ტირი წითლიძე, ხვალ შენი ძმა ჩამოვა სოფლიდან; ნუ ტირი, მე წაიყვან თვითონი.. — მიეფერა ექიმში.

—წაიყვანე, თვითონ წაიყვანე, ექიმო! —ახმაურდნენ გარშემო. დედაკაცები ისევ აწუწუნდნენ. შეეცადნენ ქალის დამშვიდებასაც: ნუ ტირი, ნუ გეშინიანო, ეუბნებოდნენ. საერთოდ კი ყველა ანერვიულდა. ვიდაცამ ექიმს თავისი პიჯაკი მიაწოდა. ექიმმა პიჯაკი გაძრო და სხვისი პიჯაკი ჩაიცვა. ლეიტენანტი საჭეს მიუჭდა. ცრემლებად აღვრილი ქალი მორჩილად გაყვა

ექიმს და მანქანაში ჩაჯდა. ექიმმა კარი მიიხურა. მანქანა წავიდა. მანქანა კიდევ დიდხანს ესმოდა გულამომჯდარი ქეთონი.

მეზობლები ნელა იშლებოდნენ და უხერხული ღიმილით ლაპარაკობდნენ. რა წყნარი სახე ჰქონდა, რა იყო ესო. უფრო მისი სილამაზე უკვირდათ. ერთმა სერიოზულმა კაცმა შენიშნა:

— აბა, მართლა ქურდი და ყაჩაღი რომ ყოფილიყო, ვინ გამოდგამდა სახლიდან ფენსო.

ამაზე გაიცივნეს, რატო იტყვი მაგასო. ზოგმა სხვა ამის ანალოგიური შემთხვევაც გაიხსენა. ერთმა თქვა, რა სიციხეები დაიჭირა აგვისტომ, წელს მაინც ნამეტანიაო.

რავითი მილიციელი. ყველას გადავიწყდა. ამ ახალგაზრდა ბიჭმა ბევრჯერ გადაწყვიტა საუბარში ჩარევა: ხან ერთჯგუფს შიადგა, ხან მეორეს, მაგრამ საკუთარი აზრის გამოთქმა ვერ გაბედა. ბოლოს იქაურობას გაეცალა, თავი ჩაქინდრა და გაუდგა გზას.

მოულოდნელად ხუთი წლის ფერმკრთალმა ბავშვმა ტირილი დაიწყო. ბავშვი ბებიას გამოეყვანა გარეთ; იგი თავიდან ბოლომდე უყურებდა ამ ამბავს და ხმას არ იღებდა. ტირილზე ხალხი უკან მიტრიალდა. ბებია გულში იკრავდა ბავშვს. ფერმკრთალი ბიჭი გაუთავებლად ტიროდა და უზარმაზარ ცრემლებს ყრიდა მტკრიან ქვაფენილზე.

ხალხი თავიდან აპირებდა აყაყანებას, მაგრამ ბიჭმა ისევე მოულოდნელად შეწყვიტა ტირილი, როგორც დაიწყო. ნახევარი საათის შემდეგ ქალაქის ამ უბანს მშვიდი ძილით ჩაეძინა.

სავსე მთვარე დაჰყურებდა პატარა მოედანს, მოზრდილი შენობის ყავისფერ სახურავს; ვწრო გრძელ ქუჩებს და უპროპორციოდ დაჩეხილ ეზოებს. ამ მშვიდ უბანს სრულიად მოულოდნელად დაეტაკა ტექნიკა და მშხმა კეთილმა მაცხოვრებლებმა ვერა და ვერ მოასწრეს გაქალაქელება.



ბესარიონ შაჰნი

აკაკი ბელიაშვილი

ორ წელიწადზე მეტია, რაც ჩვენს შორის აღარ არის აკაკი ბელიაშვილი—ჩვენი დროის ერთერთი პირველხარისხოვანი ქართველი ბელეტრისტი, მაღალნიჭიერი და დიდად ნაყოფიერი მწერალი, რომელმაც სიტყვიერი ხელოვნების მრავალი შესანიშნავი ნაწარმოებით გაამდიდრა მშობლიური ლიტერატურა და წარუშლელი კვალი დასტოვა მის განვითარებაში. ქართულმა მწერლობამ და მასთან ერთად მკითხველი საზოგადოებრიობის ფართო წრეებმა აკაკი ბელიაშვილის გარდაცვალება განიცადეს, როგორც მძიმე და აუნაზღაურებელი დანაკლისი, რადგან მწერალს ბოლომდე ამოწურული და მთლიანად რეალიზებული როდი ქონდა თავისი დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი. უეცარმა და ბრმა შემთხვევამ შესწყვიტა მისი სიცოცხლე მაშინ, როდესაც მწერალი მიღწეული იყო თავისი მხატვრული ნიჭიერების სრულ სიმწიფეს, როცა მას დაგროვილი ქონდა დიდი ცხოვრებისეული და შემოქმედებითი გამოცდილება, წერდა ლაღად, თავისუფლად, დაუბრკოლებლად. მაღლიერი მკითხველი მისგან კანონიერად მოელოდა კიდევ მრავალ შემოქმედებითს სიხარულს, მშობელი ქვეყნის ისტორიული წარსულისა თუ თანამედროვე ცხოვრების ამსახველ ახალ და ახალ მხატვრულ ტილოებს. მის საწერ მაგიდაზე დაუმთავრებელი დარჩა ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი

მიძღვნილი რომანის „ოქროს ჩარდახის“ მეორე წიგნი, ჩვენი დღევანდელი ევლავი აქტუალური და უმნიშვნელოვანესი მოვლენების ამსახველი რომანი „შეიდაცა“ და უცხოეთის ქვეყნებში მოგზაურობის შთაბეჭდილებათა გადმოცემი მხატვრული ნარკვევების სერია, რომლებზეც მწერალი პარალელურად მუშაობდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებში, თვით ეს ფაქტი მეტყველად ახასიათებს აკაკი ბელიაშვილს, როგორც ფართო პორიზონტისა და მრავალმხრივი შემოქმედებითი ინტერესების მწერალს, იშვიათი პოტენციისა და მხატვრული ენერჯიის ხელოვანს. მრავალი კეთილშობილური განზრახვა, განუზრციელებელი ჩანაფიქრი, ჩაიტანა მან სამარეში და სწორედ ამიტომ წარმოადგენს მისი ცხოვრების მოულოდნელი დასასრული ესოდენ მწვავე და აუნაზღაურებელ დანაკლისს თანამედროვე ქართული მწერლობისათვის და მამასადამე, ჩვენი ხალხის მთელი სულიერი ცხოვრებისათვის.

ახლა აკაკი ბელიაშვილი უკვე ისტორიას ეკუთვნის და ბუნებრივად იზადება მოთხოვნილება პირუთვნელად შეფასდეს და განიზომოს მისი დიდი მწერლური და მოქალაქეობრივი ღვაწლი, ის ძვირფასი წვლილი, რომელიც მწერალმა შეიტანა მშობლიური კულტურის საგანძურში. ყოველივე ის, რასაც აკაკი ბელიაშვილი ჩვენს თვალწინ ქმნი-



და, როგორც გამოძახილს ჩვენი სინამდვილის ყოველდღიურსა და საჭირო-რობო მოვლენებსა თუ პრობლემებზე, როგორც მწერლის პასუხს ხალხის იდეურ-ესთეტიკურ მოთხოვნებზე, ახლა უკვე მის შემოქმედებითს მეგვიდრობას შეადგენს. მდიდარია და მრავალფეროვანი ეს მეგვიდრობა. იგი შეიცავს ნოველებისა და მოთხრობების კრებულებს, თანამედროვე თუ ისტორიულ თემატიკის რომანების სერიას, მხატვრული ნარკვევების წიგნებს, კინოსცენარებს, მრავალრიცხოვან პუბლიცისტურ თუ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებს. აკაკი ბელიაშვილის მრავალმხრივი შემოქმედებითი მოღვაწეობა, რომელიც სინამდვილის აღქმის განსაკუთრებულად ფართო დიაპაზონით, ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში ღრმად შეჭრის უნარით ხასიათდებოდა, ყოველთვის ფართო საზოგადოებრივ ინტერესს იწვევდა და ცხოველ გამოძახილს პოულობდა ხალხის გულში. ხალხს ისტორიული თუ თანამედროვე ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების ასახვისას მწერალი ყოველთვის ახერხებდა ამ მოვლენების გაშუქებას ადამიანთა პირადულ ინტერესებთან, განცდებთან და გრძნობებთან დაკავშირებით, ნაწარმოების პერსონაჟთა პირად-ინტიმური ურთიერთობის ასპექტშიც. ეს გარემოება დიდ უშუალობას, ადამიანურ სითბოს და მომხიბვლელობას მატებს აკაკი ბელიაშვილის საუკეთესო ნაწარმოებებს, განაპირობებს მათს პოპულარობას. მაშინაც კი, როდესაც მწერალი ხალხის შორეული ისტორიული ცხოვრების პროცესებს ასახავდა, იგი ღრმა აქტუალობას ანიჭებდა თავის ნაწარმოებებს, რადგან წარსულს იგი ჩვენი თანამედროვეობის სიმაღლიდან შესცქეროდა და აღიქვამდა, თანამედროვე ადამიანის აზრებისა და გრძნობების თვალსაზრისით აშუქებდა. თანამედროვეობის გრძნობა, სიახლის გამახვილებული გრძნობა, სიცოცხლისმოყვარეობის პათოსი ახასიათებდა მის ყოველ ნაწარმოებს, რაზეც არ უნდა ეწერა, მას,

საბჭოთა ადამიანების საბრძოლო თუ შრომითს გამირობაზე, თუ უმძნელსა და ჩრდილოვან მოვლენებზე, იმ მანკიერ გადმონაშთებზე, რომლებიც ჯერ კიდევ ცოცხლობენ ჩვენს სინამდვილეში, ხალხის ზოგიერთი წრეების შეგნებასა და ყოფაში, ჩვენი ხალხის დიადს მიღწევებსა და წარმატებებზე, თუ იმ მძიმე განსაცდელთა შესახებ, რომლებიც გამირულად და ვეჯაცურად გადაუტანია ჩვენს ქვეყანას მის ისტორიულს ცხოვრებაში თუ ჩვენს ეპოქაში.

შესანიშნავი ფაბულისტი, მწყობრი სიუჟეტური კომპოზიციისა და მიმზიდველი, დამაინტერესებელი თხრობის ნიჭიერი ოსტატი, იგი ფლობდა ცოცხალ, სისხლხორცილ სავსე ადამიანური სახეების, მკაფიოდ ინდივიდუალური ხასიათების გამოკვეთის იშვიათ ხელოვნებას, კოლორიტულ ყოფაცხოვრებით სურათების წარმოსახვის, პერსონაჟთა სულებრი სამყაროს სიღრმეში ჩაწვდომის ძალას.

თემატიკური მრავალფეროვნება ბუნებრივად ბადებდა აკაკი ბელიაშვილის შემოქმედებაში თანრობრივსა და სტილობრივს მრავალფეროვნებას, გამომსახველობითი საშუალებათა სიმდიდრეს. მისი ნიჭიერების სიუხვე თანაბარის ძალით ვლინდებოდა სხვადასხვა გვარის ბელეტრისტულ თანრებში, ისტორიული რომანებიდან და მოთხრობებიდან—მხატვრულ ნარკვევებამდე, რომლებიც პუბლიცისტური სიმძაფრითა და ზუსტი იდეური მიზანმისწრაფებით არის აღბეჭდილი. და თუ ზოგიერთს თავის ნაწარმოებში მწერალი თხრობის დიდ ემოციურ დაძაბულობას, სიუჟეტის დრამატიულ სიმძაფრეს აღწევდა, ზოგიერთში კი რბილი, გულკეთილი ჰუმორის ხერხს მიმართავდა, ეს მას სრულიადაც ხელს არ უშლიდა, რომ მთელ რიგ თავის ქმნილებებში მომაკვდინებელი, განმგმირავი სატირის მახვილი გამოეყენებინა, რომლითაც იგი დაუნდობლად ამხილებდა და კიცხავდა მანკიერ ადამიანებს, ჩვენი სინამ-

დვილის ბნელსა და ჩრილოვან მოვლენებს.

გამოხატულების საგნის ზედმიწევნით ცოდნა, თანმიმდევრული და მტკიცე მწერლური პოზიცია, მაღალი იდეური და მორალური კრიტერიუმები განაპირობებდნენ ცხოვრებისეულ და მხატვრულ სიმართლის შეუზღუდველობას მის საუკეთესო ქმნილებებში, სიწრფელესა და უშუალობას ანიჭებდნენ ყველაფერს, მწერლის მიერ მოთხრობილსა და დახატულს. ყოველგვარი მანერტლობისა, ხელოვნურობისა და განზრახვართულებისაგან თავისუფალი მისი სადა და ნათელი სტილი, ხატოვანი, ბუნებრივი, ლაკონური ენა—გამდიდრებული ხალხური მეტყველების მთელი მშვენებითა და მომზიბველობით, გზას უკაფავდა მის ნაწარმოებებს ხალხის გულისაყენ, უხვევდა მათ მკითხველთა სიყვარულსა და მოწონებას.

აკაკი ბელიაშვილის მთელი შემოქმედება გამსჭვალულია ცხოველყოფელი ჰუმანიზმით, ადამიანისადმი სიყვარულის მაღალი გრძნობით, სიცოცხლისმოყვარეობის პათოსით, ცხოვრების დამამკვიდრებელი ნათელი ოპტიმიზმით. იგი არ გაურბოდა და თავს არ არიდებდა ცხოვრებისეული კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების გამოსახვას. პირიქით. დიდი მწერლური და მოქალაქეობრივი გამბედაობით შედიოდა იგი ცხოვრების სიღრმეში, ჩვენი რთული და მძაფრი ყოველდღიურობის შუაგულში და დაუფარავად, მძაფრად მამხილებელი ძალით გამოჰქონდა მზის სინათლეზე ყოველივე დრომოკმული, მახინჯი და მანკიერი, რაც წინ ეღობება და აფერხებს საბჭოთა საზოგადოების წინსვლას თავისი ნათელი საბოლოო მიზნისაყენ. კრიტიკული პათოსი, მამხილებელი სიმწვავე ახასიათებს აკაკი ბელიაშვილის მრავალ საუკეთესო ნაწარმოებს, რომლებშიც ყველაზე მკაფიოდ გამოვლინდა მწერლის მხატვრული ინდივიდუალობა, მისი შემოქმედებითი მრწამსი და მოქალაქეობრივი პოზიცია. მაგრამ აკაკი ბელიაშვილის მთელი შემოქმედებითი ცხოვრების მთავარ აზრ-

სა და შინაარს მანაც წარმოადგენდა ჩვენი ნათელი თანამედროვეობისა და სახელოვანი ისტორიის დადებითი ტენდენციების შთაგონებულად გამოხატვა, ჩვენი თანამედროვეებისა თუ ღირსეულ წინაპართა გმირული საქმეების ასახვა, იმ მშვენებისა და ძლიერების აღმფრთვანებლად განსახიერება, რომლითაც ჩვენს ხალხს თავი უსახელებია მისი ისტორიული ცხოვრების მრავალსაუკუნოვან გზაზე და რომლითაც იგი ახლა თავის ახალ ცხოვრებას აშენებს. ამ მშვენების, გმირობის, სიკეთის, ძლიერების, მორალური სიწმინდის მომდერლად და დამამკვიდრებლად გამოდიოდა აკაკი ბელიაშვილი თავის იმ ნაწარმოებებშიც კი, რომლებშიც ცხოვრების ჩრდილოვან მხარეებს, მანკიერ ადამიანთა ბნელ ზრახვებსა და საქმეებს ამხილებდა. მის შთამაგონებელ ესთეტიკურ იდეალს, ქვეყნად სიმართლისა და სიკეთის განუყოფელად დამკვიდრებისათვის ბრძოლა განსაზღვრავდა. თავდადებულად და უკომპრომისოდ ემსახურებოდა იგი ამ იდეალს თავისი დიდი მხატვრული ნიჭიერებით, თავისი იშვიათად მკვეთრი მაღლიანი კალმით და კეთილშობილური მოქალაქეობრივი ცხოვრებით. ასეთი იყო აკაკი ბელიაშვილი თავისი შემოქმედებითი ცხოვრების მთელ მანძილზე და ასეთი სახით დარჩება იგი ჩვენი ეროვნული ლიტერატურის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში, ასეთი სახით წარსდგება შთამომავლობის, მომავალ თაობათა წინაშე.

• • •

აკაკი იონას ძე ბელიაშვილი დაიბადა 1903 წლის 24 აპრილს ქ. ქიათურაში, სამთამადნო ტექნიკოსის ოჯახში. ბავშვობისა და ყრმობის წლები მან გაატარა ამ ქალაქში, რომელიც თავისი მარგანეცის საბადოებით განთქმული იყო არა მარტო მთელ რუსეთის იმპერიაში, არამედ მთელს მსოფლიოშიც. უკეთურა წარმოადგენდა არა მარტო ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს სამრეწველო ცენტრს საქართველოსა და ამიერკავკასიაში, არამედ ამასთანავე მუ-

შათა რევოლუციური მოძრაობის ერთ-ერთ უდიდეს კერასაც. მომავალი მწერლის თვალწინ განვლო ამაღლებებელმა ეპიზოდმა იმ გმირული ბრძოლებისა, რომლებსაც ქიათურის მალაროელები ეწოდნენ რუსეთის პირველი რევოლუციის ბარიალებზე, იმ სასტიკი და ვერაგული შურისძიებისა, რომლითაც 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ დროებით გამარჯვებული თვითმპყრობელური რეაქცია დაუნდობლად ანგარიშს უსწორებდა ხალხის გამანთავისუფლებელი ბრძოლის მონაწილეებს. ქ. ქიათურის მთელი ცხოვრება ჩვენი საუკუნის პირველი ორი ათეული წლის მანძილზე გამსჭვალული იყო მძაფრი კლასობრივი ბრძოლების ატმოსფეროთი. დიდი რევოლუციური ტრადიციებით სახელგანთქმული ქიათურელი მალაროელები ქედს არ იხრიდნენ მეფის სისხლიანი სატრაპების წინაშე, ისინი არც მენშევიკურ რეჟიმს ურიგდებოდნენ, რეჟიმს, რომელმაც საქართველო თითქმის სამნახევარი წლით გამოთიშა გამარჯვებული სოციალისტური რევოლუციის სამყაროსაგან და საერთაშორისო კაპიტალისტური რეაქციის სათარეშო სარბიელად აქცია.

ასეთი მწვავე კლასობრივი ბრძოლების ვითარებას არ შეეძლო კეთილმყოფელი ზეგავლენა არ მოეხდინა მომავალი მწერლის მსოფლმხედველობის, მისი საზოგადოებრივი იდეალების ფორმირებაზე. მითუმეტეს, რომ მისი მამა იონა ბელიაშვილი, რომელიც თვითონაც წერდა და აქვეყნებდა უპირატესად იუმორისტული ხასიათის ლექსებსა და მოთხრობებს, მარგანეის მრეწველობაში მუშაობდა, მკიდროდ იყო დაკავშირებული მოწინავე მალაროელებთან და უშუალოდ მონაწილეობდა მუშათა რევოლუციური ორგანიზაციების მუშაობაში.

1913 წელს, ათი წლის აკაკი ბელიაშვილი მშობლებმა საშუალო განათლების მისაღებად ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში შეიყვანეს. ეს გიმნაზია მაშინ

მთელს დასავლეთ საქართველოში ერთადერთი საშუალო სასწავლებელი იყო, სადაც სწავლება ძირითადად ქართულ ენაზე სწარმოებდა და სადაც ახალგაზრდობას მაღალი პატრიოტული და ჰუმანისტური იდეების სულისკვეთებით ზრდიდნენ. ამ მხრივ ქუთაისის ქართული გიმნაზია საბედნიერო გამონაკლის წარმოადგენდა, მეფისდროინდელ სხვა სასწავლო დაწესებულებებისაგან, რომლებშიც სულის შემხუთველი ბიუროკრატიული რეჟიმი მძვინვარებდა.

უკვე მოწაფეობის წლებში აკაკი ბელიაშვილმა გამოიჩინა მიდრეკილება ლიტერატურული შემოქმედებისადმი და უეჭველი ნიჭიერებაც ამ დარგში. იგი წერდა მოთხრობებსა და მინიატურებს, იყო ინიციატორი და აქტიური თანამშრომელი მოწაფეთა ხელნაწერი ეურნალებში. თავის თანატოლ ნიჭიერ ახალგაზრდა ლიტერატორებთან ერთად ა. ბელიაშვილი მონაწილეობდა ნაბეჭდი ეურნალების გამოცემაში, რომლებიც აღბეჭდილი იყო რეაქციის წლების ქართულ მწერლობაში ფართოდ გავრცელებულ ანტირეალისტური ლიტერატურული მიმდინარეობის უეჭველი ზეგავლენით.

1921 წელს ა. ბელიაშვილმა დაამთავრა ქუთაისის ქართული გიმნაზია და იმავე წელს საცხოვრებლად გადმოვიდა თბილისში და მშობლების სურვილის თანახმად ამიერკავკასიის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის სამთამადნო ფაკულტეტის სტუდენტად ჩაირიცხა. როგორც ცნობილია, 1921 წლის თებერვალში საქართველოში სოციალისტურმა რევოლუციამ გაიმარჯვა, დამყარდა საბჭოთა წყობილება, რამაც ძირფესვიანად შესცვალა ქართველი ხალხის სოციალური ცხოვრებაც და მისი ეროვნული კულტურის განვითარების გზებიც. ხანგრძლივი სოციალური და ეროვნული მონობისაგან სამუდამოდ განთავისუფლებული ქართველი ხალხი, ამიერიდან განუყოფლად დაკავშირებული მოძმე საბჭოთა ხალხების მრავალეროვნულ

ოჯახთან, ძლევამოსილად გამოდიოდა ახალი, სოციალისტური ცხოვრების მშენებლობის გზაზე. განახლებულმა სოციალურმა ვითარებამ ღრმა ძვრები და ცვლილებანი მოითხოვა და გამოიწვია ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ყოველ დარგში. დაიწყო ბრძოლა მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის სახელოვანი დემოკრატიული და რეალისტური ტრადიციების ასაღორძინებლად, ტრადიციებისა, რომლებიც საგრძნობლად იყო დაკნინებული და გაღარიბებული რეაქციის პერიოდის ქართულ ლიტერატურაში, სადაც გაბატონებული მდგომარეობა ანტირეალისტურ, მოდერნისტულ სკოლებსა და მიმდინარეობებს ქონდათ მოპოვებული. გაჩაღდა ბრძოლა ახალი ლიტერატურისა და ხელოვნების მშენებლობისათვის, რომლებიც თანხმოდან უნდა ყოფილიყვნენ ეპოქის მოთხოვნებთან და ამოცანებთან და აქტიურად ჩაბმულიყვნენ ახალი ცხოვრების დამკვიდრებისათვის გაშლილს საყოველთაო სახალხო ბრძოლასა და შრომაში.

საბჭოთა ლიტერატურის აღმოცენება-ფორმირების პროცესი ოციანი წლების საქართველოში მძაფრი იდეოლოგიური ბრძოლების ვითარებაში მიმდინარეობდა. შემოქმედებითი ინტელიგენციის რიგებში მკვეთრი დიფერენციაცია სწარმოებდა. აღმოცენდნენ სხვადასხვაგვარი ლიტერატურული სკოლები, გაერთიანებანი და დაჯგუფებანი, რომლებიც ერთმანეთისადმი მოპირდაპირე იდეურ-ესთეტიკურ პოზიციებზე იდგნენ. ამ განცალკევებულ, ურთიერთ მოწინააღმდეგე მიმდინარეობათა და დაჯგუფებათა ბრძოლა წლების მანძილზე შეადგენდა ლიტერატურული პროცესის განმსაზღვრელ შინაარსს საქართველოში. ამ დროისათვის ქართული ლიტერატურა უკვე მრავალეროვნული სოციალისტური ლიტერატურის განვითარების ერთიან კალაპოტში ექცეოდა და მისთვისაც დამახასიათებელი ხდებოდა ის ძირითადი ტენდენციები, რომლებიც

ოციანი წლების მთელს საბჭოთა ლიტერატურას, კერძოდ რუსულ საბჭოთა ლიტერატურას ახასიათებდა. მსგავსი იდეოლოგიური, როგორც მისი სხვა თანატოლი ახალგაზრდა მწერლები გატაცებით ჩაება ამ მწვევე ლიტერატურულ ბრძოლებში. იგი მაშინ ქართველ ფუტურისტ-ლექსების წაგუფს მიეკუთვნებოდა, და გამოდიოდა ამ წაგუფის ერთ-ერთ ინიციატორად, მისი პირველი ლიტერატურული მანიფესტების თანაავტორად, მისი ბექდვითი ორგანოების ერთ-ერთ დამაარსებლად და ხელმძღვანელად. იგი ბექდავდა მოთხრობებსა და ნოველებს ამ დაჯგუფების აღმანახებელში, რომლებიც მიუხედავად ახალგაზრდა საბჭოთა სახელმწიფოსთან შემოქმედებითი თანამშრომლობის გულწრფელი სურვილებისა და რევოლუციური ხელოვნების მშენებლობაზე გარკვეული პრეტენზიებისა, აღბეჭდილი იყო ყველა იმ იდეურ-ესთეტიკური ცდუნებით, რაც იმ წლებში დამახასიათებელი იყო რუსული „ლექსისათვის“.

პირველი ქართული სექლტანიანი საბჭოთა ლიტერატურული ჟურნალის „მნათობის“ დაარსებისთანავე აკაკი ბელიაშვილი მისი ერთ-ერთი უახლოესი და აქტიური თანამშრომელი იყო. ამ ჟურნალმა უდიდესი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ლიტერატურის სასიცოცხლო ძალების გაერთიანებისა და სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანების გარშემო მათი შემოქმედროების საქმეში. „მნათობში“ თანამშრომლობა იმ წლებში თავისთავად მოასწავებდა მწერლის მისწრაფებას მონაწილეობა მიეღო ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკის განმტკიცებისათვის, კულტურული რევოლუციის ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის ბრძოლაში. სწორედ ასეთი მისწრაფებებით იყო ნაყარანხვეი აკაკი ბელიაშვილის ნაყოფიერი თანამშრომლობა ამ ჟურნალში და მთელი მისი იმდროინდელი ლიტერატურულ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა. „მნათობის“ ფურცლებზე გამოაქვეყნა ა. ბელია-

შვილმა თავისი პირველი ფართო პლანის ბელეტრისტული ნაწარმოები „ცხრა ცენტრი“. ეს იყო სათავგადასავლო ეპიკის რომანი, რომელიც ასახავდა ერთმანეთისადმი სამკედრო-სასიცოცხლოდ დაპირისპირებული ორი სამყაროს — რევოლუციისა და რეაქციის საერთაშორისო ბანაკთა შეურიგებელ ორთაბრძოლას. რომანი გამსჭვალული იყო მთელს მსოფლიოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების, ძველი სამყაროს გარდუვალი დაღუპვის რწმენით. ახალგაზრდა მწერალს მაშინ არ აღმოაჩნდა საკმარისი პროფესიული ოსტატობა და შემოქმედებითი გამოცდილება, რომ სრულფასოვანი მხატვრული განსახიერება მიეცა ესოდენ დიდი თემისათვის, რომელიც ღრმად აქტუალური იყო ოციან წლებში და ფართოდ გავრცელებულიც იმ პერიოდის მთელს საბჭოთა ლიტერატურაში. ამასთანავე ავტორი ჯერ კიდევ არ იყო განთავისუფლებული ფორმალისტურ ცდუნებისაგან, რაც ზღუდავდა მის შესაძლებლობას, რომ სწორად გაეაზრებინა და ღრმად განზოგადებოდა ძალის მხატვრულ სახეებში გაეცოცხლებინა რომანში წარმოსახული ცხოვრებისეული მასალა. და ყოველივე ამის მიუხედავად, ამ ასე ვთქვათ „სადებიუტო“ ნაწარმოებში მაინც ნათლად იჩინა თავი მხატვრული სიტყვის ახალგაზრდა ოსტატის ნიჭიერებამ, მისი შემოქმედებითი ბუნების თავისებურებამ.

ოციანი წლების მეორე ნახევარში მამის ნაადრევად გარდაცვალებისა და ამით გამოწვეულ ოჯახურ გარემოებათა გამო ა. ბელიაშვილი იძულებული გახდა შეეწყვიტა სწავლა ინსტიტუტში და შრომითს ცხოვრებაში ჩაბმულიყო. იგი დაეუფლა მარკსრეიდერის პროფესიას და მუშაობდა დაიწყო სამთამადნო წარმოებაში. ეს პროფესია დაკავშირებული იყო ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონებში, მის შორეულ მთიან კუთხეებში სისტემატურ მოგზაურობასთან, რამაც ახალგაზრდა მწერალი დროებით მოწყვიტა თბილისის და გამოთიშა დედა-ქალაქის ლიტერატურუ-

ლი ცხოვრებისაგან. ამას დაერთო მწერლის გატაცება ალბინიზმით, მშობელი ქვეყნის დიდებული ბუნების შესწავლის წყურვილით, მონაწილეობდა ალბინისტურ ექსპედიციებში, მიუვალ მწვერვალებზე ლაშქრობებში. ყოველივე ამან დროებით შესწყვიტა ა. ბელიაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობა, მაგრამ ამ წლებს, ამ მოგზაურობებს, ქვეყნის სხვადასხვა კუთხეების გაცნობას არ შეეძლო უშედეგოდ ჩაეგლო მწერლისათვის და კეთილშეზოგადი გავლენა არ მოეხდინა მის შემოქმედებითს ბიოგრაფიაზე. ლიტერატურული გარემოცვის ვიწრო ნაჭუჭიდან გამოთიშული ახალგაზრდა მწერალი პირისპირ შეეჯახა ცხოვრებას, იმ ღრმა გარდაქმნათა და განახლებათა პროცესებს, რომლებიც იმ წლებში ჩვენი ქვეყნის ყოველ კუთხეში, ხალხის მატერიალური და სულიერი ცხოვრების ყოველ სფეროში მიმდინარეობდა. იგი ვაეცნო და დაუახლოვდა სრულიად სხვადასხვა პროფესიისა და სპეციალობის ადამიანებს: ახლად აღმართული ფაბრიკა-ქარხნების მუშებს, გლეხებს, რომლებიც საკმარის რთულ წინააღმდეგობათა ვითარებაში მასიურად გადადიოდნენ საკოლმეურნეო წყობილების ლიანდაგზე, გეოლოგებს, რომლებიც დაუოკებელი წყურვილით იკვლევდნენ მშობელი ქვეყნის წიაღს, რათა მის სიღრმეში აღმოეჩინათ ახალი ძვირფასი მადნეულობა, ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლებს, რომლებიც მაშინ საფუძველს უყრიდნენ მრეწველობის ახალ დარგებს ახალგაზრდა საბჭოთა რესპუბლიკაში. იმ წლებში ა. ბელიაშვილმა იმოგზაურა აგრეთვე რუსეთისა და უკრაინის მსხვილ სამრეწველო ცენტრებში. ყოველივე ეს დიდად სასარგებლო აღმოჩნდა მწერლის შემდგომი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის. ახალგაზრდა ხელოვანის მახვილი, დაკვირვებული თვალი მძაფრად აღიქვამდა მთელს ამ მდიდარსა და მრავალფეროვან ცხოვრებისეულ მასალას. მწერლის სულიერი სამყარო მდიდრდებოდა ახალი და ახალი შთაბეჭდილებებით,

იმსკვალეზობდა ახალი ცხოვრების მშენებლობის პათოსით.

ყოველივე ამან მალე ჰპოვა მკაფიო გამოხატულება ა. ბელიაშვილის შემოქმედებაში. ოცდაათიანი წლების დამდეგს, ესოდენ მრავალგვარ შთაბეჭდილებით და დაკვირვებებით, დიდი ცხოვრებისეული გამოცდილებით გადიდრებული იგი საბოლოოდ დაუბრუნდა ლიტერატურულ მოღვაწეობას, როგორც უკვე მომწიფებული და დახვეწილი პროფესიონალი მწერალი. ამ დროისათვის იგი მთლიანად თავისუფლდება ფორმალისტური გავლენებისაგან, „ვეშიზმით“, „ფაქტოლოგიური პროზით“ და სხვა მცდარი „ლფფური“ თეორიებით გატაცებისაგან. ზედიზედ ქვეყნდება მისი ნოველებისა და მოთხრობების კრებულები, რომელთაც ავტორის ნიჭიერი ბელეტრისტის რეპუტაცია მოუხვეჭეს.

ამ წლებში ქართული, ისე როგორც მთელი მრავალეროვნული საბჭოთა ლიტერატურა ახალ დიდ იდეურ-შემოქმედებითს აღმავლობას განიცდიდა, რაც გამოწვეული და განპირობებული იყო სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის წარმატებით ჩვენს სამშობლოში, საბჭოთა ხალხის იდეურ ცხოვრებაში მომხდარი ღრმად მნიშვნელოვანი მოვლენებით. პროლეტარულ მწერალთა ასოციაციასა და მწერალთა და ხელოვნების მოღვაწეთა ყველა სხვა განცალკევებული ორგანიზაციის ლიკვიდაციამ, საბჭოთა მწერლობის პირველმა საკავშირო ყრილობამ მსოფლიოს თვალნათლივ დაანახვა ჩვენი ქვეყნის მთელი შემოქმედებითი ინტელიგენციის ერთსულოვანი შემკიდროება კომუნისტური პარტიისა და სოციალიზმის მშენებლობის ამოცანების გარშემო. აკაკი ბელიაშვილმა თვალსაჩინო ადგილი მოიპოვა ამ წლების ქართული ლიტერატურის განვითარებაში. იგი იშვიათი აქტივობით და ნაყოფიერებით ამუშავებდა თანამედროვეობისა და ჩვენი სამშობლოს ისტორიული წარსულის მრავალნაირ თემებს. მისი იმდროინდე-

ლი ნოველები და მოთხრობები მნიშვნელოვნად ამდიდრებდნენ ქართულ საბჭოთა მწერლობას ახალი თემებისა და სახეების სამყაროთი, ხელს უწყობდნენ მისი თემატიკური და თანრობრივი დიაპაზონის გაფართოებას.

აკაკი ბელიაშვილის ადგილი და როლი ქართული საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში განსაკუთრებით გაიზარდა დიდი სამამულო ომის წლებში, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი ფართო მხატვრული ტილო, სამტომიანი ისტორიული რომანი „თავგადასავალი ბესარიონ ვაბაშვილისა“, — ქართული საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწარმოები. ეს წიგნი, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი ხალხის გამორული და თავგანწირული ბრძოლების შესახებ თავისი სამშობლოს სიცოცხლისა და თავისუფლების დასაცავად, რუსი და ქართველი ხალხების საუკუნოვანი საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიული ფესვების შესახებ, ცხოვლად ეხმაურებოდა პიტლერელთა სისხლიანი ურდოების წინააღმდეგ საბრძოლველად ამხედრებული საბჭოთა ადამიანების აზრებსა და გრძნობებს.

ამას მოჰყვა მწერლის მეორე ისტორიული რომანი „ოქროს ჩარდახი“; ხოლო ომის შემდგომ წლებში ზედიზედ გამოქვეყნდა ჩვენი თანამედროვეობის უაღრესად აქტუალურ თემებზე დაწერილი მისი რომანები: „უღელტეხილი“, „ვეფხია ხალიბაური“, „შვიდაცა“ და აგრეთვე მრავალრიცხოვანი მოთხრობები, ნოველები, მხატვრული ნარკვევები, პუბლიცისტური და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები.

დამატებული და ფრიალ ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის პარალელურად აკაკი ბელიაშვილი მრავალმხრივს საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწეოდა. იგი აქტიურად მონაწილეობდა სამწერლო ორგანიზაციების საქმიანობაში. მას მუდამ ირჩევდნენ საქართველოს მწერალთა კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში. წლების მანძილზე განაგებდა თბილისის კინო-სტუდიის სასცენარო

განყოფილებას, თვითონაც სწერდა სკენარებს, რომელთა მიხედვით არა-ერთი მხატვრული კინო-ფილმი შექმნილი. აკაკი ბელიაშვილი მონაწილე იყო რესპუბლიკური და საკავშირო მწერალთა ყრილობებისა, პლენუმებისა, თათბირებისა და დისკუსიებისა. მისი პრინციპული, უკომპრომისო და კომპეტენტური გამოსვლები ყოველთვის გამოირჩეოდა განსახილველი საკითხის ღრმა ცოდნით, საზოგადოებრივ ინტერესთა სიფართოვით, გაბედული და დამოუკიდებელი აზროვნებით, საკუთარი თვალსაზრისის თანმიმდევრულად დაცვისა და დასაბუთების უნარით.

იგი ხშირად გამოდიოდა ქართული და საკავშირო პრესის ფურცლებზე მხატვრული ნარკვევებით, რომლებშიც მასალის გულმოდგინე ცოდნით და ღრმა დაინტერესებით აშუქებდა ჩვენი სინამდვილის ღირსშესანიშნავ მოვლენებს, საბჭოთა ადამიანების შრომითი ცხოვრების პროცესებს.

მისი წერილები ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებზე შეიცავდნენ იმ შემოქმედებითი პრინციპების თეორიულ გააზრებასა და დასაბუთებას, რომელთა პრაქტიკულ განხორციელებასაც მისი მხატვრული ქმნილებანი წარმოადგენენ. მთელს ამ საქმიანობაში ნათლად თავს იჩენდა არა მარტო მწერლის უხვი და მრავალმხრივი ნიჭიერება, არამედ ამასთანავე კეთილშობილური გული და დაუცხრომელი ენერჯია მოწინავე საზოგადო მოღვაწისა და მოქალაქისა, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტისა რომელიც უსაზღვროდ ერთგული იყო თავისი საშობლოსი, ხალხისა და მზად იყო ყველაფერი შეეწირა ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურული ძლიერების აღმავლობისათვის. საბჭოთა ლიტერატურის განვითარებაში მისი თვალსაჩინო დამსახურებანი არა-ერთხელ ყოფილა აღნიშნული მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

სიცოცხლის ბოლო წლებში აკაკი ბელიაშვილმა ბევრი იმოგზაურა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში და და-

საველთ ევროპაში, იყო ამერიკაშიც, ამ მოგზაურობის შედეგად მწერალი მხატვრული ნარკვევები, რომლებშიც ცოცხლად, სახეობრივად, დამაინტრესებლად გადმოგვცა თავისი ღრმა გაგება თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების უმნიშვნელოვანესი პროცესებისა და გამოავლინა უნარი ხალხების ცხოვრებაში უმთავრესისა, ყველაზე დამახასიათებელის შენიშვნისა და გამოჩენისა, ნახულისა და განცდილის განზოგადებისა, სწორად გააზრებისა, პუბლიცისტური მგზნებარებით და მაღალი მოქალაქეობრივი პათოსით მათი განსჯისა.

ნაადრევმა სიკვდილმა მოულოდნელად შესწყვიტა მწერლის დაუცხრომელი შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობა. 1961 წლის 14 დეკემბერს, როდესაც აკაკი ბელიაშვილი მცხეთიდან თბილისს ბრუნდებოდა, იგი მსხვერპლი გახდა საექტომობილო კატასტროფისა.

• • •

ვიდრე თავის ისტორიულ ტრილოგიას „ბესარიონ გაბაშვილის თავგადასავალს“ გამოაქვეყნებდა, აკაკი ბელიაშვილი ცნობილი იყო, როგორც მცირე მოცულობის ბელეტრისტული ჟანრების — ლირიკული ნოველისა და იუმორისტული მოთხრობის საუცხოო ოსტატი. გონებამახვილურად მოფიქრებული და მიმზიდველად, დამაინტერესებლად განვითარებული სიუჟეტი მისი ნოველებებისა და მოთხრობებისა ყოველთვის ემყარებოდა გარკვეული ეპოქის სოციალური შინაარსისათვის ტიპიურსა და დამახასიათებელ ამბავს, როგორც სიუჟეტის მაპოძრავებელ ფაბულურ მოტივს. ცოცხალი ადამიანური სახეები, ბუნებისა და ყოფაცხოვრების კოლორიტული სურათები ორგანულად ერთ-ვიან, ავსებენ და ამდიდრებენ სოციალური ვითარების წარმომსახველ სურათს, რომელიც მწერლობ საუკეთესო ნოველებსა და მოთხრობებში გარკვეულ იდეურ-ესთეტიკურ ჩანაფიქრს განასა-

ხიერებს, გარკვეულ ესთეტიკურ იდე-
ალს ემსახურება. თავის უკეთეს ბელე-
ტრისტულ ქმნილებებში აკაკი ბელია-
შვილი გამოდის არა როგორც ცხოვრე-
ბისეული მასალის გულგრილი და გა-
ნუკითხველი მხატვარი, არა როგორც
თავისთავად საინტერესო და გამართო-
ბელი ამბების მომთხრობელი, არამედ
როგორც გარკვეული იდეური პოზი-
ციის ხელოვანი, რომელიც მაღალი სა-
ზოგადოებრივი იდეალების თვალსაზ-
რისით შესცქერის და წარმოსახავს მოვ-
ლენებს, გამოაქვს თავისი მწერლური
და მოქალაქეობრივი „მსჯავრი“ ამ მოვ-
ლენებზე, თავისი პერსონაჟების აზრებ-
სა და მოქმედებებზე, რაიმეს იცავს და
თავგამოდებით ექომაგება, ან რაიმეს
უარყოფს და დაუნდობლად კიცხავს.
აკაკი ბელიაშვილმა ღირსეულად განაგ-
რო და განავითარა ქართული კლასიკუ-
რი ნოველისტიკის მდიდარი ტრადიციე-
ბი, გონივრულად გამოიყენა თავისი
უფროსი თანამედროვეების: ნიკო ლო-
რთქიფანიძის, მიხეილ ჯავახიშვილის,
ლეო ქიაჩელის, კონსტანტინე გამსახუ-
რდიას, სერგო კლდიაშვილის შემოქმე-
დებითი გამოცდილება ამ ეპოქაში. მისი
მოთხრობებისა და ნოველების კრებულ-
თა გაცნობა ნათლად გვიჩვენებს, რომ
მწერალი კერძო იყო რუსული და ევ-
როპული თანამედროვე ნოველისტიკის
მიღწევებისა და გულმოდგინეთ ამდიდ-
რებდა კიდევ ამ მიღწევებით საკუთარ
შემოქმედებითს სამყაროს. მაგრამ იგი
არასოდეს მისულა „მოდერნ“ ლიტერა-
ტურული მოვლენებით გატაცებამდე,
მიმბაძველობისა და ეპიგონობის საშიშ-
როებამდე, არასოდეს მოწყვეტია და
გამოთიშვია ეროვნულ ნიადაგს, ეროვ-
ნული ლიტერატურის ტრადიციის მა-
რად ცვალებადსა და უწყვეტ განვითა-
რებას.

აკაკი ბელიაშვილის ნოველებისა და
მოთხრობების დიდი უმრავლესობა საბ-
ჭოთა სინამდვილისადმი მიძღვნილი.
მაგრამ ამ ეპოქის თავის ქმნილებებში
იგი არაიშვიათად მიმართავდა ხოლმე

შორეული წარსულის მოვლენებსაც.
რომლებსაც ჩვენი ხალხის წინამძღვრო-
ვე სულიერ მისწრაფებების მსაქმურის-
თან დაკავშირებულად წარმოსახავდა.
ნოველებში „ამბავი რუსთაველისა“ და
„დაკარგული წიგნი“ მწერალმა მოგვით-
ხრო, თუ როგორი სიყვარულითა და
მზრუნველობით დაიცვა და შემოინახა
ხალხმა რუსთაველის უკვდავი პოემა.
გადაარჩინა იგი უცხოელ თავდამსხმე-
ლთა სისხლიანი ხელყოფისაგან, სტი-
ქიურ უბედურებათაგან, კლერიკალთა
გაცოფებული დევნისაგან.

ქართველი ხალხის სულიერი ცხოვ-
რების ამ დიდმნიშვნელოვან მასალაზე
მწერალი მკაფიოდ წარმოსახავს იმ
მძაფრ სოციალურ წინააღმდეგობათა
სურათს, რომელიც დამახასიათებელი
იყო ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსუ-
ლისათვის. ნოველაში „ამბავი რუსთა-
ველისა“ დახატულია შთამბეჭდავი სახე
გაცოფებული კლერიკალის, — კათალი-
კოსისა, რომელსაც მთელის არსებით
სძულს გენიალური პოეტის სახელიც კი,
რადგან რუსთაველმა პირველმა მთელს
შუასაუკუნოებრივს სამყაროში გაბე-
დულად აღმართა ჰუმანიზმის დროშა და
შთაგონებულად უმღერა ადამიანის გო-
ნებისა და გრძნობათა განთავისუფლე-
ბას რელიგიური სქოლასტიკის წყველია-
ლისაგან. „დაკარგულ წიგნში“ კი წარ-
მოსახულია საქართველოში ირანელი
დამპყრობელების სისხლიანი თარეშის
შემზარავი ეპიზოდი. მტრის ურდოებმა
დაუნდობლად დაარბიეს და ააწიოკეს
ქვეყანა. მონღოლმა ქართველი ხალხის
ყველა მატერიალურ და კულტურულ
მონაპოვართა განადგურება, კერძოდ
„ვეფხისტყაოსანის“ ყველა ხელნაწე-
რის მოსპობა, მაგრამ ბნელეთის მოცი-
ქული კათოლიკოსის მიერ შთამომავ-
ლობისათვის რუსთაველის სახელის მო-
სპობის მიზნით მატანიდან ამოგლეჯი-
ლი და მტკვარში გადასროლილი პოე-
ტის ცხოვრების მომთხრობელი ფურც-
ლები შემთხვევით ხელში ჩაუვარდათ
მეტყვე გლეხებს, რომელთაც დიდი მო-
წიწებით და სწაობით შეინახეს ეს



ფურცლები, როგორც ძვირფასი რელიქვია, ხოლო ირანელი დამპყრობელების მიერ მოსასპობად განწირული „ფეხვის-ტყაოსნის“ ერთ-ერთი ხელნაწერი იპოვა და ისეთივე მოწიწებით შეინახა ახალგაზრდა მწყემსმა, რომელმაც თავისი უსწავლელობის მიუხედავად კარგად იცოდა რუსთაველის უკვდავი ქმნილების ფასი და მნიშვნელობა. ამ უბრალო მშრომელმა აღამიანებმა დაიცვეს, განადგურებისაგან იხსნეს და მარადიული დიდების შარავანდედით შემოსეს ჩვენი ეროვნული გენიის ეს უდიდესი ქმნილება. ამრიგად მწერალი მხატვრულად ასაბუთებს იმ აზრს, რომ მაღალი პატრიოტული მისწრაფებების, პროგრესისა და ჰუმანიზმის ნათელი იდეალების ყველაზე ერთგული ქომაგი და დამცველი სწორედ უბრალო აღამიანები იყვნენ. სწორედ მშრომელი ხალხი იყო ისტორიის მთელ მანძილზე. ზედმეტია იმის მტკიცება, თუ რამდენად ეთანხმოვანება მწერლის ასეთი კონცეპცია საბჭოთა ხალხის აზრს, მის მსოფლმხედველობას.

ამვე ციკლს მიეკუთვნება ნოველა „მწუხრი ტრფობისა“, რომელსაც მკითხველი გადაყავს შედარებით ახლობელს ისტორიულ წარსულში, იმ ეპოქაში, როდესაც ცხოვრობდა და თავის უპკნობ ღირიულ შედეგებს ქმნიდა დიდი რომანტიკოსი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი. ნოველაში დახატულია რომანტიკული სევდის საბურველში გახვეული მომხიბვლელი საბე ეკატერინე ჭავჭავაძისა, რომელიც თვითმპყრობელი კოლონიზატორების მიერ ნაძალადევად იყო გადასახლებული პეტერბურგს. გულის სიღრმემდე ჩამწვდომი ემოციური ძალით გადმოგვცემს მწერალი თავისი გმირი ქალის მღელვარე გრძნობებს, როდესაც იგი მხურვალე ცრემლებს აფრქვევს ბარათაშვილის ლექსების ხელნაწერ კრებულზე. პოეტისა, რომელსაც ოდესღაც მგზნებარედ უყვარდა აღექსანდრე ჭავჭავაძის მშვენიერი ასული და უძღვნიდა კიდევ მას თავისი პოეზიის არა ერთ ბრწყინვალე ნიმუშს.

რევოლუციამდელი ქართული სოფ-

ლის დუხშირი ცხოვრების შემახრზენი სურათი დახატა მწერალმა დიდი ემოციური ძალითა და პერსონაჟის სულიერ სამყაროში ღრმად ჩაწვდომის ნიჭიერებით აღბეჭდილს მოთხრობაში „შექანებული“ მოთხრობის გმირია ღარიბი გლეხკაცი დათია. რომელსაც სულით ავადმყოფი შვილი ყავს. აუტანელ ტვირთად აწევს ავადმყოფი ისედაც გამვალტყავებულ ოჯახს. ვერაგითარ გამოსავალს ვერ პოულობს დატაკი გლეხი. იგი იძულებულია რკინიგზის ახლობელ სადგურზე წაიყვანოს ავადმყოფი შვილი, მატარებელში ჩასვას და უგზოუკვლოდ გადაეარგოს იგი. რამწვევე სულიერ ტკივილს განიცდის საბრალო დათია, როდესაც საბოლოოდ შორდება საკუთარ პირმშოს, რომელიც უპატრონოდ დაღუპვისათვის განწირული, გამოურყვეველი მიმართულებით გააქანა მატარებელმა: „იღვა დათია მოხრილი, ბეჩავი და გასცქეროდა ბნელ სივრცეს იქ, სადაც უქანასკნელად, ჩაქრა წითელი ფანარი. დიდხანს იღვა ამგვარად და მხოლოდ ახლა იგრძნო სიმწეავე, ჩაწყდა გული დათიას.

— „ქე მინე გადამეკონა, — ყრუდ ჩაილაპარაკა მან და ცრემლი გაღმოუვარდა. წვიმდა, განუწყვეტლად წვიმდა და ამ უუენეთში ისმოდა, თუ როგორი შხაპუნით შესეოდნენ წვიმის წვეთები ამ ლიანდაგს, ზევს და ბნელით დაფარულ გორაკებს.“

ეს უუენეთი ღამე, ბნელით დაფარული გორაკები, განუწყვეტელი წვიმა და დათიას აფორიაქებული სულისკვეთება — ყოველივე ეს ქმნის გულის სიღრმემდე შემძვრელ პირქუშ სურათს ბნელი და მკაცრი სინამდვილისა, რომელშიც ცხოვრობდა მშრომელი ხალხი ქველად, ჩავგრისა და მონობის საუკუნეებში. უკიდურესი სიღარიბითა და გაპირვებით დაბეჩავებული და სულიერად დამახინჯებული აღამიანის ცხოვრების დრამის გამოხატვის სიმბოფრის მხრივ ამ ნაწარმოებს მთელს თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში მხოლოდ ერთი ნოველა თუ შეედრება — ჩვენს საუკუ-

ნის დიდი ქართველი პროზაიკოსის ნიკო ლორთქიფანიძის „ტრაგედია უგმიროდ“.

მოთხრობების მთელ ციკლში ასახა აბელიაშვილმა ქართველი ხალხის ცხოვრება მენშევიკური ხელისუფლების ხანმოკლე ბატონობის წლებში, როდესაც საქართველო სამოქალაქო ბრძოლების ქარცეცხლში იყო გახვეული, როდესაც მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილები თავგანწირულად იბრძოდნენ მენშევიკური დიქტატურის დასაშობად და საქართველოში საბჭოთა წყობილების დასამყარებლად. ღარიბი გლეხკაცობის ერთგული შვილის, ახალგაზრდა ბოლშევიკის არჩილის მომხიბვლელი სახეა დახატული მოთხრობაში „სპარტაკელი“. მწერალი გვიამბობს, თუ როგორი გამბედაობით და მოხერხებულობით გაუსხლტა ხელიდან მაღალი სოციალური იდეალებით შთაგონებული ეს ქაბუკი მენშევიკ გვარდიელებს, რომლებსაც განზრახული ჰქონდათ ქურდულად, გაუ-სამართლებლად მოეკლათ ხალხის სასიკოცხლო ინტერესების ეს ქედუხრელი ქომავი. როგორც მენშევიკ ხელისუფალთა ანტიხალხური პოლიტიკის, ისე დიდხინით ნანატრი სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი მშრომელი ხალხის საუკეთესო შვილთა გმირობის დამახასიათებელი სურათების წარმოსახვისას მწერალი დიდ განზოგადების ძალას აღწევს. მოთხრობაში „ბაგრატი“ მწერალმა დახატა შემზარავი სურათი ხალხის აბუჩად აგდებისა და მისი თავმოყვარეობისა და სასიკოცხლო ინტერესების უხეშად ფეხქვეშ გათელვისა უცხოელი ოკუპანტების მხრივ, რომლებიც საქართველოში პარპაშობდნენ მენშევიკი მმართველობის მოწვევით. ხოლო მოთხრობაში „წყალწაღებული“ დახატულია ზიზღის მომგვრელი სახე მენშევიკი გვარდიელის ანტონისა, რომელიც საქართველოში სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების ისტორიულ დღეებში უბადრუკად ცდილობს გაექცეს ხალხის კანონიერ გულისწყრომას, დამალოს და შეინარ-

ჩუნოს ნაძარცვი, დანაშაულებრივი მაქინაციებით შექმნილი ქონებრივი მამხილებელ ძალას მიადრწია მწერალმა თავის იუმორისტულ მოთხრობაში „ერთი პოლიტიკური პარტიის ისტორია“, რომელშიც მომაკვდინებელი სარკანშით გვიჩვენა ის პოლიტიკური ვაქანალია, რომელიც სუფევდა საქართველოში მენშევიკური რეჟიმის წლებში, როცა იაკინთე ლაშხის მსგავს ავანტიურისტებს, ყოველგვარ მარიონეტულ „პარტიებს“ ფართო სარბიელი ჰქონდათ დათმობილი თავიანთი ბნელი, ანტიხალხური საქმეების საკეთებლად.

მწერლის სატირული ტალანტი მკაფიოდ გამოვლინდა იმ ნოველებსა და მოთხრობებშიც, რომლებშიც მისი სინათლუბა გამოტანილი და გაიკცხული ჩვენს სინამდვილეში არსებული კაპიტალისტური წარსულის ბნელი გადმონათბები. ამ ხასიათის ნაწარმოებებში მწერალი ხატავს „ყოფილი ადამიანების“ სახეებს, ადამიანებისა, რომელთაც არ ძალუძთ თუ არ სურთ გაიგონ ჩვენს ქვეყანაში მომხდარი უღრმესი გარდაქმნებისა და განახლების აზრი, ჯიუტად ებღუჯებიან ძველ ცრურწმენას, დრომოკმულ ადათჩვევებს და ამიტომაც, ცხადია, სასაცილოდ და უბადრუკად გამოიყურებიან ახალი ცხოვრების ძლევაშისილი მშენებლობის ფონზე. ასე, მაგალითად, მოთხრობის „იუსტინეს ხაფანგის“ გმირი რევოლუციამდე სხვადასხვაგვარი კომბინაციებით, გარკვეულ გასამრჯელოსათვის სამხედრო სამსახურიდან ანთავისუფლებდა ჯარში გასაწვევ ახალგაზრდობას. საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ იუსტინემ განიზრახა დაბრუნებოდა თავის ამ ძველ და შემოსავლიან „პროფესიას“. მაგრამ იგი უცნაურ დაბრკოლებას წააწყდა: თურქე საბჭოთა არმიის გაწვეული ჩვენი ახალგაზრდობა დიდის სიხარულით ესწრაფვის თავისი მაღალი პატრიოტული ვალის მოხდას და ამიტომაც ვეღარავინ შეიტყუა იუსტინემ თავის გაცვეთილ „ხაფანგში“. არანაკლებ სასაცილო მდგომარეობაში აღმოჩნდა

მღვდელი ქსენოფონტე, რომელიც განაზღვრულ თბილისში ჩამოსულა იმ მიზნით, რომ ანაფორა შეიკეროს. განცვიფრებული შესცქერის ეს „სულიერი მამა“ საბჭოთა დედაქალაქის განაზღვრულ ქუჩებსა და მოედნებს, ვეღარ ცნობს ნაჩვევ ადგილებს, ეუცხოვება და აკვირვებს მას ყოველივე ეს და ბოლოს რწმუნდება, რომ თურმე მთელ ქალაქში ერთი ოსტატიც აღარ დარჩენილა, რომელიც ანაფორას ვერავდეს. კიდევ უფრო სასაცილო და უმწეოა ცხენის ქურდის, მოხუცი ყარაშანის ხვედრი, იგი მოპარულმა ჯორმა თავისი პატრონის ეზოში შეითრია და გამოუვალად უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო.

მწვავედ ამხილა და გაამათრახა მწერალმა ყოველივე დაზავებული და დრომოკმული სატირულ მოთხრობებსა და ნოველებში: „გვირგვინი და წერილი“, „გასტროლოიარი პროვინციაში“, „ღირსეული სასჯელი“, „კალისტოს გასაჭირი“ და სხვა. რაც უფრო შეუსაბამოა და შეუთავსებელი ამ მოთხრობათა პერსონაჟების — უბადრუკი საქმოსნების, მცონარეებისა და მლიქვნელების ზრახვანი და საქმენი საბჭოთა საზოგადოების განვითარების ტენდენციებთან, მით უფრო დიდ შემოქმედებითს ძალას აღწევს მწერლის მხატვრული ხერხი, მით უფრო მკაფიოდ სახიერდება ამ კონტრასტული საშუალებებით ავტორის დადებითი იდეალი. სრულიადაც არ არის შემთხვევითი ის გარემოება, რომ აკაკი ბელიაშვილის მხატვრული ნიჭიერების ძალა, მისი ღრმად ინდივიდუალური შემოქმედებითი ბუნება სწორედ იმ ნაწარმოებებში გამოვლინდა, რომლებშიც მწერალმა შთაგონებულად გამოხატა ჩვენი დროის დადებითი გმირთა სახეები, ასახა რიგითი საბჭოთა ადამიანების მდიდარი სულიერი სამყარო, გვიჩვენა მათი კეთილშობილური საქმეები და სპეტაკი მორალური ბუნება. აკაკი ბელიაშვილის მოთხრობებისა და ნოველების კრებულებში ჩვენ ვეცნობით ცოცხლად გამოხატულ სახეებს შამაყი საბჭოთა მესახლერეებისა, რომ-

ლებიც შეუვალად იცავენ ჩვენი სამშობლოს მიწა-წყალს, ქედუხრეულ საბჭოთა მეზღვაურებს, საკოლმეცნიერებადგინადს დუსტრიული შრომის მოწინავე ადამიანებს, ინჟინრებსა და ავრონომებს, გეოლოგებსა და ალბინისტებს, მეცნიერებსა და მოსწავლე ახალგაზრდებს, ჩვენი ქვეყნის მშვენიერ ქალიშვილებს, რომლებიც უშიშრად დასცურავენ ზღვის სივრცეებში, მტკიცე მარჯვენით მართავენ ურთულეს მანქანებს, ლაღად სერავენ ზეცის თვალუწვდენ წილს. სრულიად სხვადასხვაგვარ ასპექტში, დიდი ადამიანური სითბოთი და სიწრფელით აშუქებს მწერალი თავისი ამ გმირების ხასიათს, გვიჩვენებს მათ შრომითს საქმიანობაშიც, ოჯახურ გარემოცვაშიც. ყველგან და ყოველგვარი გამოვლინებისას მწერალი უმღერის და ამკვიდრებს ჩვენი ნათელი თანამედროვეების მიერ წარმოშობილ ახალსა და პროგრესულ თვისებებს ამ ადამიანთა ბუნებაში.

ჩვენი დროის დიადი გარდამქმნელი და განმაახლებელი ძალა დამარწმუნებლად განასახიერა მწერალმა მოთხრობაში „ზეავი“. მოქმედება სწარმოებს სვანეთში, სადაც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დროისათვის ჯერ კიდევ ბატონობდნენ ძველი პატრიარქალური ადათ-ჩვევები, პირველყოფილი, თემური წყობილებისათვის დამახასიათებელი ცრურწმენანი, სისხლის აღებისა და სხვა ამგვარი ბნელი ადათების ინერცია. ბუნებრივია, რომ ახალი ცხოვრების შეჭახება წარსულის ამ ბნელ მემკვიდრეობასთან განსაკუთრებულად რთულ კონფლიქტებსა და წინააღმდეგობებს წარმოშობდა. სწორედ ეს კონფლიქტები წარმოსახა მწერალმა ხსენებულ მოთხრობაში, რომელშიც ნაამბობია უცნაური თავგადასავალი ორი ახალგაზრდა სვანისა — ყასბულათისა და კადირბისა, რომლებიც კინაღამ მსხვერპლი არ გახდნენ მთის მკაცრი და უღმობელი ადათებისა. ნადირობიდან დაბრუნებულმა ყასბულათმა შეცდომით, უნებლიეთ დასკრა თავისი მეზობელი კადირბი და

თანხმად ადათისა იყისრა „გამოყიდა“ დაღვრილი სისხლი, გადაეხადა დაქრილი მეზობლისათვის მნიშვნელოვანი თანხა, აეშენებინა მისთვის ახალი სახლი. და მიუხედავად იმისა, რომ ყასბულათმაც და კადირბიმაც კარგად იციან ამ „გამოყიდვის“ მთელი უაზრობა და უსამართლობა, მათ არ შეუძლიათ გადაუხვიონ ადათს. კიდევ მეტიც, ნათესავების მიერ წაქეზებული კადირბი, რომელსაც ახლობლები სპარსელებით სიმბდალეს აბრალევენ, კლავს ყასბულათის სრულიად უდანაშაულო ძმას და შექმდე ტყვეში იმალება, რათა თავი აარიდოს სისხლის აღების უღმობელ კანონს. კადირბის სინიღისი ქენჯნის, იგი კარგავს სულიერ წონასწორობას და თავის მოკვლასაც კი განიზრახავს. დიდი ფსიქოლოგიური სიზუსტით აღმოგვეცნა მწერალი თავის გმირთა აფორიაქებულ სულისკვეთებას, მათს შიშვე განცდებს, ბრძოლას არა მარტო მახინჯი ჩვევებით გაყენილი გარემოების, არამედ საკუთარ ცდუნებათა წინააღმდეგაც. მოთხრობა მთავრდება ღრმა აზრის შემცველი და მეტყველი საღებავებით შესრულებული ფინალით, რომელშიც ნაწვევებია თუ როგორ დარწმუნდნენ ნაწარმოების გმირები მთის დრომოკმული მკაცრი ადათების არაადამიანურ სისასტიკესა და უსამართლობაში და როგორ ძმურად გადაეხვივნენ ისინი ერთმანეთს. ადამიანის გონებამ გაიმარჯვა ბნელი ადათის საუკუნოებრივ ძალაზე, ახალმა დათრგუნა ძველი, დრომოკმული ცრურწმენანი. მოთხრობა მთავრდება ლაკონური, მრავალსმეტყველი ფრაზით: „აღმასკომის შენობაზე ფრიალებდა წითელი დროშა, ქაბუკები იწყებდნენ ახალ ცხოვრებას“.

მაგრამ აღმავალ ახალსა და მომავლად ძველს შორის შეურიგებელი ბრძოლა მიმდინარეობს არა მარტო ჩვენი ქვეყნის შორეულ მთიან კუთხეებში. ამ აზრს განასახიერებს მწერალი თავის ვრცელ მოთხრობაში „ახალგაზრდები“. წლებით მოხუცი, მაგრამ სულიერად მხნე და დაუბერებელი მეცნიერი გეო-

ლოგი ზაალი ვადაწყვეტს იერიში მიიტანოს მთის მიუვალ მწვერულს და ც მისი ვარაუდით ძვირფასი მადნეულის მდიდარი საბადოები უნდა მღებარეობდეს. ზაალის წინააღმდეგ ამხედრდება პროფესორი ერისთავი — რუტინიორი, კონსერვატორი, რომელიც ბრძოდ ეთავყანება დრომოკმულ დოგმებს. ზაალსა და მასზე თავდადებით მიწოდებულ ახალგაზრდა ენტუზიასტებს ბრძოლა უხდებათ არა მარტო რუტინიორების წინააღმდეგ, არამედ ბუნების მძვინვარე სტიქიასთანაც. მაგრამ დიდი მიზანი წარმოშობს და ასაზრდოებს დიდ ენერჯიასაც. ბრძოლა მთავრდება ზაალისა და მისი ახალგაზრდა თანამებრძოლების გამარჯვებით. ამ ბრძოლაში გლინდება და იწრთობა ახალის დამამკვიდრებელთა ხასიათის საუკეთესო, ტიპური თვისებანი, იმ ადამიანებისა, რომლებიც უანგაროდ და თავგანწირულად იღწვიან იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ ჩვენი სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების ზრდას. მოთხრობის სიუჟეტურ ქაოვილში მოხდენილად არის ჩართული მაღალი მორალური თვისებებით დაჯილდოებული ქალ-ვაჟის შერისა და სულიკოს სპეტაკი სატრფიალო ურთიერთობის ისტორია. ეს რომანული თავგადასავალი ნაწარმოების ერთ-ერთ ძირითად სიუჟეტურ მოტივს შეადგენს. ამ მხრივ ეს ნაწარმოები გამოაცხადის როდი წარმოადგენს აკაკი ბელიაშვილის შემოქმედებაში. მწერალი არასოდეს არ გამოთიშავს თავის ნაწარმოებებში ადამიანთა საზოგადოებრივსა და შრომითს მოღვაწეობას მათი პირად-ადამიანურ და საყოფაცხოვრებო ურთიერთობათა სფეროსაგან. მისი მოთხრობების დადებითი გმირები — შრომის მოწინავე ოსტატები, ამავე დროს მაღალი მორალური თვისებების ადამიანები არიან ეკეატორნი და პატროსანნი, გამტანნი სიყვარულსა და მეგობრობაში, ერთგულნი თავისი საზოგადოებრივი და პიროვნული მოვალეობისა. აი, მოთხრობა „მეტოქენის“ პერსონაჟები — საკოლმეურნეო სოფლის მოწინავე ადამიანე-



ბი მიტო და ლეო ერთმანეთს ეჯიბრებინან, ერთმანეთი შეჯიბრებაში ყავთ გამოწვეული, მათს კოლმეურნეობებსაც ამ შეჯიბრის შედეგებზე ბევრად დადამოკიდებული მეტოქეთა პირადი ბედიც. მაგრამ მიტო და ლეო არამც თუ ხელს არ უშლიან, არამედ, პირიქით, ეხმარებიან და ხელს უწყობენ კიდევ ერთმანეთს, რადგან კარგად იციან, რომ საბჭოთა სინამდვილეში ადამიანი ვერ მოიპოვებს ნამდვილ პირად ბედნიერებას სახალხო საქმისადმი ღალატის გზით. ხალხის კეთილდღეობისათვის უნაგარო შრომა წარმოადგენს ადამიანის ნამდვილი პირადი ბედნიერებისა და სიხარულის ერთადერთ წყაროს. საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ეს უმაღლესი კანონი ღრმად აქვთ შესისხლბორცებული და ამ კანონით ხელმძღვანელობენ საზოგადოებრივ საქმიანობაშიც და პირად ურთიერთობაშიც ა ბელიაშვილის მოთხოვნებისა და ნოველების: „სიყვარულის ძალი“, „უმიტროსი ძმის“, „არჩევანის“, „პირველი პაემანის“ და სხვ. პერსონაჟები. მაგრამ ა ბელიაშვილის ნაწარმოებებში ჩვენ ვერ შევხვდებით შიშველი დიდაქტიკის, წინადაგანზრახული კუთხისდამრიგებლობის შემთხვევებს. აზრი მის ნოველებსა და მოთხრობებში ცოცხლობს მხოლოდ სახეობრივად ხორცშესხმული, ორგანულად ჩაქსოვილი და შედუღებული სიუჟეტის მიმდინარეობასთან, პერსონაჟთა ურთიერთობის მთელ კომპლექსთან, ფერადოვან ყოფაცხოვრების სურათებთან და პეიზაჟებთან. მწერალი მოგვითხრობს გულითადად და დამარწმუნებლად. მკითხველს სჯერა ამ კეთილშობილი პერსონაჟებისა და გულითადად შეხარის მოწინავე კოლმეურნე გოგოს ნათელას საქციელს, რომელმაც სამამულო ომის ფრონტიდან დაბრუნებულ სოლიკოსთან პირველი შეხვედრისთანავე, უყოყმანოდ გადაწყვიტა საპულდამოდ დაკავშირებოდა მას, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლის ველზე მიღებული მძიმე ჭრილობებით სახედამახინჯებული ჭაბუკი აღარ მოელოდა ამას. ნათელას კი აზ-

რდაც არ მოსვლია. ელაღატნა სიყვარულისა და მეგობრობის მშვენიერებას გრძნობებისათვის, რაზედ უნდა იქნა ომამდე დაკავშირებული იყო სოლიკოსთან. სულით და გულით თანაუგრძნობს მკითხველი აგრეთვე ახალგაზრდა მუშაქალს, ვარგუნულადაც და სულიერადაც მშვენიერსა და მომხიბვლელ ირინეს, რომელმაც ამჟობინა ცოლად გაყოლოდა პატოსან და თავმდაბალ ადამიანს, რიგითს მეფოლადეს გივის, ვიდრე გამადარიყო ყოველმხრივ „მოწყობილი“ და უზრუნველყოფილი ბიუროკრატის კონტეს მეუღლე, ადამიანისა, რომელსაც დიდად თავი მოაქვს თავისი თანამდებობით, მდიდრულად მორთული კაბინეტით და საკუთარე ავტომაქანით.

ყველა ამ და სხვა მრავალ მოთხრობასა და ნოველაში მწერალმა შთამაგონებლად გამოხატა და დიდების შარავანდედით შემოსა საბჭოთა ადამიანის სულიერი ძალა და მშვენება, ახალი სიამყაროს მშენებელთა ხანაითის კეთილშობილური თვისებანი და ნათელი მორალური სახე.

რა თქმა უნდა მწერლის შემოქმედებითი ცხოვრების ვრცელ გზაზე, თავისი სამწერლო ბიოგრაფიის სხვადასხვა საფეხურზე დაწერილ მრავალრიცხოვან ნოველათა და მოთხრობათა შორის გვხვდება ისეთი ნაწარმოებნიც, რომლებიც მოკლებულია ცხოვრებისეული მოვლენების ღრმად გააზრებას, ფართო განზოგადების ძალას, მაღალ იდეურ-ესთეტიკურ ძღერას. მაგრამ ისინი როდი არიან დამახასიათებელნი და განმსაზღვრელნი ა ბელიაშვილის შემოქმედებითი პოზიციისა, მისი მხატვრული აზროვნებისა და ესთეტიკური მწარმისისა. მწერლის შემოქმედებითი ევოლუცია თანმიმდევრულად მიემართებოდა მხატვრული სიმართლითა და მაღალი საზოგადოებრივი იდეალებით შთაგონებული ხელოვნებისაკენ, რომლის მრავალი საუცხოო ნიმუშის შექმნით. ა ბელიაშვილმა ძვირფასი წვლილი შეიტანა ქართული საბჭოთა ნოველისტიკის საუ-

კეთესო ტრადიციების გამომწვევება-
დამკვიდრების საქმეში.

აკაკი ბელიაშვილის უკეთესი ნოვე-
ლებისა და მოთხრობების ერთერთ ყვე-
ლაზე დამახასიათებელ სტილისტურ თა-
ვისებურებას წარმოადგენს ორგანიული
შეზავება წრფელი ლირიზმისა და მსუ-
ბუქი, კეთილი, ნათელი ჰუმორისა, რაც
იშვიათ მიშვიდველობას და მომხიბვ-
ლელობას ანიჭებს მის ბელეტრისტულ
ქმნილებებს. ბევრი ასეთი ქმნილება
შესულია მხატვრული კითხვის გამოჩე-
ნილ ქართველ ოსტატთა რეპერტუარში.
თვითონ მწერალიც მშვენიერად ფლობ-
და მხატვრული კითხვის ხელოვნებას,
უყვარდა თავის ნაწარმოებთა საჯაროდ
კითხვა და მისი ყოველი ასეთი გამოთ-
ვლა დიდის წარმატებით სარგებლობდა.

* * *

დიდი სამამულო ომის მრისხანე
დღეებში დასწერა და გამოაქვეყნა ა.
ბელიაშვილმა თავისი პირველი ფართო
მხატვრული ტილო — ისტორიული რომანი
„თავგადასავალი ბესარიონ გაბა-
შვილისა“. გმირობისა და ვაჟკაცობის
სულით გამსჭვალული, პატრიოტიზმის
მაღალი გრძნობით და ხალხთა მეგობ-
რობის იდეით შთაგონებული ეს ნაწარ-
მოები უაღრესად დროული და აქტუა-
ლური აღმოჩნდა, უაღრესად თანახმო-
ვანი გერმანულ-ფაშისტ დამპყრობელთა
სისხლიანი ურდოების წინააღმდეგ საბ-
რძოლველად ამხედრებული, საბჭოთა
ხალხის მისწრაფებათა, აზრებისა და
გრძნობების სამყაროსთან. თავისი სამ-
შობლოს სიცოცხლისა და თავისუფლე-
ბის დასაცავად თავგანწირულად მებრ-
ძოლი ჩვენი ხალხი ომის ვითარებაში
განსაკუთრებულად გამამაფრებულ ინ-
ტერესს იჩენდა თავისი გმირული ისტო-
რიისადმი, წარსულის სახელოვანი საბ-
რძოლო ტრადიციებისადმი, თავისი იმ
საამაყო წინაპრებისადმი, რომელთაც
შთამომავლობას დაუტოვეს და უანდერ-
ძქეს სამშობლოსადმი თავდადებული
სამსახურის უკვდავი მავალითები. საბ-

ჭოთა ლიტერატურას არ შეეძლო არ გა-
მომხატვრობოდა ხალხის ამ განაწინებლ-
ტერესსა და მოთხოვნას სწორედ ამის
აიხსენება ისტორიული თემატიკის ხვედ-
რითი წონის მნიშვნელოვანი ზრდა ომის
პერიოდის მთელს მრავალეროვნულ სა-
ბჭოთა მწერლობაში. ჩვენი სამშობლოს
ყოველი მოძმე ხალხის ენაზე შეიქმნა
ისტორიული რომანები, პოემები, დრამ-
ები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ხა-
ლხის საბრძოლო აღფრთოვანებას, აღ-
ვივებდნენ მის პატრიოტულ მგზნებარე-
ბას, აწრთობდნენ მის გმირულ სულის-
კვეთებას. ქართული მწერლობაც ამ
მხრივ გამოხატვის როდი წარმოადგენ-
და. სწორედ სამამულო ომის წლებში
შეიქმნა ქართული ისტორიული რომა-
ნისტიკის, პოეზიისა და დრამატურგიის
ისეთი ნიმუშები, როგორიცაა კონსტან-
ტინე გამსახურდიას ტეტრალოგია „და-
ვით აღმაშენებელი“, სიმონ ჩიქოვანის
პოემა „სიმღერა დავით გურამიშვილ-
ზე“, გრიგოლ აბაშიძის „გიორგი მე-
ექვსე“, სანდრო შანშიაშვილის, იონა
ვაკელის, ლევან გოთუას ისტორიული
დრამები, ისტორიული თემატიკის მრავ-
ალი ლირიული ლექსი. ისტორიული
ქანრის ამ ნაწარმოებთა ანსამბლში
თვალსაჩინო ადგილი უჭირავს „ბესა-
რიონ გაბაშვილის თავგადასავალს“.

თავისი რომანის თემად მწერალმა აირ-
ჩია ქართველი ხალხის ცხოვრება მისი
ისტორიის ერთერთ ყველაზე ტრადი-
ციულ ეპოქაში — XVIII საუკუნის მეორე
ნახევარში. ამ დროისათვის სპარსელ
და თურქ დამპყრობელთა წინააღმდეგ
დაუსრულებელი სისხლისმღვრელი ომე-
ბით უკიდურესად დაუძლურებული ქა-
რთველი ხალხი თავისი ეროვნული არ-
სებობის ერთადერთ ხსნას ძლიერ
ერთმორწმუნე ჩრდილოელ მეზობელ-
თან რუსეთთან კავშირსა და მეგობრო-
ბაში ხედავდა.

როგორც ცნობილია, ქართველი ხალ-
ხი და ქართულ სამეფოთა უქკვიანესა
მმართველები საუკუნეთა განმავლობაში
ისწრაფვოდნენ კავშირი და საბრძოლო
თანამეგობრობა დაემყარებინათ რუსე-



თან, რათა საქართველოს თავი დაეღწია თავისი უბოროტესი ისტორიული მტრების — სპარსეთისა და თურქეთის განუწყვეტელი სისხლიანი აგრესიისაგან. რუსი და ქართველი ხალხების მრავალსაუკუნოვან ურთიერთობათა ტრადიციით შემზადებულ, XVII-XVIII საუკუნეებში შექმნილი რთული ისტორიული სიტუაციით მომწიფებული ამ მისწრაფების რეალური განხორციელება კანონზომიერათ დაუკავშირდა საქართველოს ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი გმირის, იშვიათი მხედართმთავრისა და გამჭრიახი სახელმწიფო მოღვაწის ერეკლე მეორის სახელს.

ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მეთაურობდა ერეკლე II სისხლისაგან დაცლილი ქართველი ხალხის თავგანწირულ ბრძოლას თავისი ეროვნული არსებობისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების შესანარჩუნებლად. თავისი იშვიათი სტრატეგიული ნიჭისა და მხედართმთავრული ხელოვნების წყალობით მან არაერთხელ მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება უცხოელ თავდასხმელთა მრავალრიცხოვან ურდოებზე. არაჩვეულებრივად გამჭრიახი გონებით და დიდი სახელმწიფო მოღვაწის მაღალი თვისებებით დაჯილდოვებულმა ერეკლე II მიადღწია კიდევ თავისი სამეფოს ეკონომიური და კულტურული ცხოვრების გაუმჯობესებას. მაგრამ მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, რომლებიც უფრო ზშირად გარემოებათა ბედნიერი დამთხვევით იყო განპირობებული, ბრძენსა და შორსმჭვრეტელ მეფეს კარგად ესმოდა, რომ ძლიერი და საიმედო მოკავშირის აქტიური დახმარების გარეშე საქართველო სრული დაღუპვისა და განადგურებისათვის იყო განწირული. ასეთ ერთად-ერთ საიმედო მოკავშირედ კი ერეკლე მეორეს, როგორც მის უშუალო წინამორბედებსაც, რუსეთი მიაჩნდათ. ვერავითარი უძნელესი წინააღმდეგობანი — ვერც სპარსეთის შახისა და თურქეთის სულთანის მუქარა, ვერც აღამამაღსანის გაფთრებული თავდასხმა, ვერც პოლიტი-

კური მოწინააღმდეგეების ვერავითარ განდგომილ თუ შეთქმულ ფეოდალთა გამცემლობა — ვერ აიძულებდა ერეკლეს გადაეხვია თავისი მტკიცედ არჩეული ამ პოლიტიკური ორიენტაციისაგან. იგი თამამად ძლევდა და გაბედულად ანადგურებდა უშიშეს დაბრკოლებებს ამ გზაზე და მტკიცედ და უყაყმანოდ მიუძღვოდა თავის ქვეყანას რუსეთთან დაახლოებისა და დაკავშირების მიმართულებით.

15 წლის ჰაბუკი გამოვიდა ხალხის მიერ სიყვარულით „პატარა კახად“ წოდებული ერეკლე II სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის სარბიელზე და თავისი პირველივე ბრძოლებით მან ერთბაშად მოიხვეჭა ძლევამოსილი სარდლისა და გმირი მხედართმთავრის სახელი. თავისი ხანგრძლივი მეფობის განმავლობაში იგი დაუდალავად იბრძოდა საქართველოს გაერთიანებისათვის, მისი მიწა-წყლიდან უცხოელი დამპყრობლების განდევნისათვის, მძვინვარე, ზვიადი ფეოდალების ალაგმისათვის, ფეოდალებისა, რომლებიც უხეშად უგულვებელყოფდნენ ერისა და სახელმწიფოს სასიცოცხლო ინტერესებს და უდიერად ფეხქვეშ თელავდნენ მშრომელი გლეხკაცობის ადამიანურ უფლებებსა და ღირსებას. იგი გამოდიოდა მტრების თარეშითა და ფეოდალური ტირანიით უზომოდ გაწამებული მშრომელი გლეხობის მზრუნველ ქომაგად, ანხორციელებდა გაბედულ რეფორმებს სახელმწიფოებრივს მმართველობაში, პირადად ხელმძღვანელობდა მართლმსაჯულების ორგანოების საქმიანობას, ხელს უწყობდა გაუთავებელი ომებით დაქვეითებული სოფლის მეურნეობის, ხელოსნობის, ვაჭრობის აღორძინებას. იგი დიდად ზრუნავდა განათლებისა და კულტურის, ხელოვნებისა და მეცნიერების განვითარებისათვის, აარსებდა აკადემიებს, სასწავლო დაწესებულებებს, აგზავნიდა ნიჭიერ ახალგაზრდობას განათლების მისაღებად რუსეთში, ხელს უწყობდა წიგნის ბეჭდვის საქმის აღდგენას, პროფესიული თეატრისა და დრა-

მატურგის აღმოცენებას. იგი შიშის ზარს სცემდა საქართველოს მტრებს, ამარცხებდა და უკუაქცევდა თავდამსხმელთა რიცხოვრებულ ქარბ ჯარებს. მისი სახელი, როგორც ძლევამოსილი სტრატეგისა, მხედართმთავრისა და ბრძენი სახელმწიფო მოღვაწისა შორს სცილდებოდა საქართველოს საზღვრებს და ქება-დიდებათ იხსენიებოდა აღმოსავლეთისა და დასავლეთის ქვეყნებში. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია გავიხსენოთ ლესინგის ცნობილი დრამა „მინა ფონ ბარნელში ანუ ჯარისკაცის ბედნიერება“, რომლის მოქმედ პირთა დიალოგებში ერეკლე II დახასიათებულია, როგორც აღმოსავლეთის უდიდესი გმირი.

ქართველი ხალხის შეგნებაში ერეკლე II გათანაბრებულია ჩვენი ეროვნული ისტორიის მხოლოდ ისეთ უდიდეს გმირებთან, როგორც იყვნენ ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე. ერეკლე მეორეს სახელი სიცოცხლეშივე შემოსილი იყო ლეგენდარული დიდებით და შექმნილი ხალხური პოეზიის მიერ. მისდამი მიძღვნილია ქართული პოეტური ფოლკლორის მრავალი ბრწყინვალე ნიმუში.

სამშობლოს ძლიერებისა და თავისუფლებისათვის თავგანწირულად მებრძოლი ამ დიდებული გმირის სახემ ღირსეული ადგილი დაიკირა ქართულ კლასიკურ პოეზიაში უკვე გასული საუკუნის დასაწყისიდანვე. გამოჩენილი რომანტიკოსი პოეტი გრიგოლ ორბელიანი თავის ცნობილ „სადღევრძელში“, რომელშიაც წარმოსახულია საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ისტორიის უსაყვარლეს გმირთა სახეების გალერეა, ერეკლე მეორეს ახასიათებს, როგორც სამშობლოს მშვენიებას, სამარადისოდ სახელგანთქმულ სასწაულთმოქმედ გმირს, საქართველოს დიდებას. ვენიალურმა პოეტმა და თავისი დროის საქართველოს ყველაზე პროგრესულმა მოაზროვნემ ნიკოლოზ ბარათაშვილმა პოემაში „ბედი ქართლისა“ წრფელი პოეტური აღფრთოვანებით

დახატა დიდებული სახე ერეკლესი, როგორც სამშობლოს უსაზღვროდღერძებული და თავდადებული გმირისა, უშიშარი სარდლისა და ბრძენი პოლიტიკოსისა, რომელმაც შესძლო თავისი ქვეყნის ისტორიის ურთულეს ვითარებაში გამოენახა ერთად ერთი სწორი გზების ფიზიკური გადარჩენისა და მტკიცედ განეხორციელებინა თავისი ეს გადაწყვეტილება. პოემაში მოცემულია ერეკლეს ამ პოლიტიკური ორიენტაციის ღრმა გააზრება და მხატვრულად დასაბუთებულია დიდი პატრიოტი მეფის მიერ გადადგმული ბრძნული ნაბიჯის ისტორიული აუცილებლობა. ხოლო ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“ ნიკოლოზ ბარათაშვილმა შთავგონებულად გამოთქვა შთამომავლობის მადლიერება მისდამი, ვინც თავისი შორსმჭვრეტელი პოლიტიკური აზრის მეოხებით საქართველო იხსნა გაშუდმებული დარბევა-აწიოკებისაგან, გადაარჩინა ერი ფიზიკური განადგურებისაგან და მას მშვიდობიანი ცხოვრებისა და სამეურნეო და კულტურული აღორძინების ფართო პერსპექტივები განუმზადა.

საყურადღებოა, რომ ასეთი მაღალი შეფასება მისცა ერეკლე მეორეს ღვაწლსა და მის პოლიტიკურ კურსს მოწინავე ქართველი ინტელიგენციის იმ თაობამ, რომელმაც პირველმა განიცადა თვითმპყრობელობის ველური კოლონიზატორული პოლიტიკის მთელი უკუღმართობა, აუშხედრდა კიდევ ამ პოლიტიკას 1832 წლის ცნობილი შეთქმულებით, რისთვისაც სასტიკი რეპრესიები, პატიმრობისა და გადასახლების კომშარი განიცადა. ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენ მწვავე და მტკივნეული უნდა ყოფილიყო ამ თაობისათვის ერეკლეს მიერ გადადგმული ნაბიჯის ეს პირველი შედეგები და ყოველივე ამის მიუხედავად იმდროინდელი საქარფველოს საუკეთესო ადამიანებს კარგად ესმოდათ, თუ როგორი კეთილმყოფელი და სასიცოცხლოდ აუცილებელი

ზეგავლენა უნდა მოეხდინა „ქართლის ბედზე“ იმ დიდ ისტორიულ გარდატეხას, რომელიც ერეკლე მეორეს სახელთან იყო დაკავშირებული.

ჩვენი რომანტიკოსი პოეტების შემოქმედებაში გამოხატული ეს კონცეფცია შთლიანად გაიზიარეს ვასული საუკუნის მეორე ნახევრის ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის დიდმა ბელადებმა და მედროშეებმა ილია ჭავჭავაძემ და აკაკი წერეთელმა. ერეკლე მეორეს გარდაცვალების 100 წლისთავისადმი შიძლენილს თავის ცნობილ სტატიაში ილია ჭავჭავაძემ მკაფიოდ დაახასიათა და დასაბუთა ცხოველყოფელი შედეგები რუს ხალხთან საქართველოს ბედის დაკავშირებისა, ამ ორი ხალხის სამუდამოდ დაახლოებისა და დამეგობრებისა, რაც ერეკლეს პოლიტიკური მოღვაწეობის ძირითად შინაარსსა და უპირველეს შედეგს წარმოადგენდა. და ამ კავშირითიერთობის განმტკიცებისა და შემდგომი გაღრმავების იდეას მიუძღვნა აკაკი წერეთელმა შესანიშნავი ლექსი, რომელიც კრწანისის ომის ასი წლისთავის შესრულებასთან დაკავშირებით დაწერა.

ასე შეიფასა მადლიერმა შთაშობამელობამ ერეკლე მეორეს ღვაწლი.

მაგრამ ამგვარად როდი ესმოდა მეფის განზრახვა ბევრს მის თანამედროვეს. არამარტო მეფის პოლიტიკური მტრებისა და მოწინააღმდეგეების ბანაკში, არამედ ერეკლესთან დაახლოებულ ადამიანთა, მის თანამოღვაწეთა და თანამებრძოლთა შორისაც ბევრი არ იზიარებდა მეფის საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას. ზოგი მათგანი ჭიუტად ემხრობოდა სპარსეთსა და თურქეთს და მათთან დაკავშირებას მოითხოვდა, ზოგი დასავლეთ ევროპისაკენ იყურებოდა, ხოლო ზოგი დაყინებით იცავდა იმ აზრს, რომ საქართველოს დამოუკიდებელი სანელმწიფოებრივი არსებობა უნდა განეგრძო, რაგინდ დიდი მსხვერპლისა და სისხლის გაღებაც

არ უნდა დაჭირებოდა მას. მეფის თვით უსაყვარლესი ვაჟიც კი იყრუბოდა, რომელიც ყველაფერში თავისი სახელოვანი მამის მარჯვენა ხელს წარმოადგენდა და ერეკლეს უსაზღვროდ ერთგული სიძე, ქართლ-კახეთის სამეფოს ჯარების სარდალი დავით ორბელიანი ვერ ერკვეოდნენ რა შექმნილ რთულ პოლიტიკურ ვითარებაში, არ ემხრობოდნენ მეფის გადაწყვეტილებას და აშკარად გამოსხატავდნენ უკმაყოფილებას და ერეკლესთან უთანხმოებას ამ უმნიშვნელოვანესი ისტორიული პრობლემის გადაჭრაში. მაგრამ თავისი განჭკვრეტის სიმართლეში მტკიცედ დარწმუნებული მეფე უკანდაუხეველად და უკომპრომისოდ უკუავადებდა ყოველგვარ წინააღმდეგობას და განუზრგელად მიემართებოდა თავისი დიდი მიზნისაკენ. მძიმე და რთული იყო ერეკლესათვის ეს ბრძოლა. მას ერთდროულად უხდებოდა პასუხი გაეცა უცხოელი თავდასხმელებისათვის, საქართველოში მოთარეშე მტაცებელთა ურდოებისათვის, თავისი პოლიტიკური მეტოქეებისა და მოწინააღმდეგეებისათვის და ამასთანავე რუსეთის თვითმპყრობელობის გონებაჩლუნგი და ავანტურისტულად განწყობილი მოხელეებისათვის, რომლებიც საქართველოში იგზავნებოდნენ. ეს მრავალმხრივად გართულებული წინააღმდეგობანი ქმნიდნენ ტრაგიკულ ვითარებას იმ ისტორიულ ეპოქაში, რომელიც თავისი მხატვრული გამოკვლევისა და წარმოსახვის საგნად აირჩია „ბესარიონ გაბაშვილის თავგადასავალის“ ავტორმა.

თავისი რომანის სიუჟეტის საფუძვლად შწერალმა დასახა გამოჩენილი იმდროინდელი პოეტის ბესიკის (ბესარიონ გაბაშვილის) ცხოვრების ისტორია, პოეტისა, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებდა არა მარტო თავისი საუკუნის ქართული კულტურის განვითარებაში, არამედ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც. ამ შესანიშნავი პო-

ეტის, მგრძობელობითი სიყვარულისა და ქალის მშვენიერების აღტაცებული მეხობების, ამღერებელი, ნატიფი, ოსტატურად დახვეწილი ლექსის ვირტუოზის ბიოგრაფია შეიცავდა და როგორც ფოკუსი, ასახავდა თავისი დროის საქართველოს საზოგადოებრივი ცხოვრების მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს წინააღმდეგობებს. 13-14 წლისა იყო მომავალი პოეტი, როცა მის ოჯახს თავნდაატყდა დიდი განსაცდელი. პოეტის მამა ბესარიონი, ანტონ კათალიკოსთან უთანხმოების გამო შერისხული იქნა ეკლესიის მიერ და განიდევნა საქართველოდან, უპატრონოდ და უთავშესაფროდ დარჩენილი ბესიკი, რომელიც თავისი იშვიათი ნიჭიერებითა და გარეგნული სილამაზით გამოირჩეოდა, შეიფარა და თავისი მფარველობის ქვეშ აიყვანა დაქვრივებულმა დედოფალმა, ერეკლეს დედინაცვალმა ანა-ხანუმმა. ამრიგად იგი მეფის სასახლეში აღმოჩნდა, სადაც დაუმეგობრდა ერეკლეს ვაჟს ლევანს და სპასალარს დავით ორბელიანს. თავისი მკაფიო, ღრმად თვითმყოფი პოეტური ნიჭიერებით, მომზიბვლელი ხმით, ჭკუით, გონებაშახვილობით ჭაბუკმა მგოსანმა ბევრი გავლენიანი პიროვნების ყურადღება და სიმპატია მოიხვეჭა, დაუახლოვდა სამეფოს მმართველ წრეებს და მონაწილეობაც კი მიიღო მთელ რიგ დიპლომატიურ მიხიებში.

მაგრამ ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსულსა და თავისი პირადი თვისებებით დაწინაურებულ მგოსანს შური-თა და მტრულად ეპყრობოდნენ თავადაზნაურული დიდკაცობის გავლენიანი წარმომადგენლები. როდესაც ერეკლემ აღმოაჩინა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა მის ჩამოგდებას ტახტიდან და მეფედ ვახტანგ VI შეილიშვილის, ალექსანდრე ბაქარისძის გამოცხადებას, განრისხებულმა მეფემ უღმობლად დასაჯა შეთქმულების მონაწილენი. ბესიკის მტრებმა მოახერხეს, რომ შეთქმულებაში მონაწილეობა პოეტსაც დაპარალებოდა და იგი განდევნილიყო

ქართლ-კახეთის სამეფოდან, უმცირეფში გადახვეწილი ბესიკი ქართველთა მიიღო და შეიფარა მეფე სოლომონ პირველმა. თავისი სამეფოს ჰკვიანი და ძლიერი მესვეური, მამაცი სარდალი და სამშობლოს პატრიოტი სოლომონ I, რომელიც ბევრ რამეში წააგავდა ერეკლეს მეორეს, ამასთანავე დაშინებული იყო ქართლ-კახეთის მეფის გამაერთიანებელი მისწრაფებებით. მას ეშინოდა იმერეთის ტახტის დაკარგვისა და ამიტომ მტრულად იყო განწყობილი ერეკლესადმი, ოცნებობდა მის ტახტიდან ჩამოგდებაზე. სოლომონის გარშემო თავს იყრიდნენ ქართლ-კახეთიდან განდევნილი თუ გაქცეული ერეკლეს მტრები და მოწინააღმდეგეები, რომელთა შორის თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ბესიკმა. იგი ვახდა თავისი ახალი პატრონის ერთგული თანამებრძოლი და იმოგზაურა კიდევ სოლომონის დავალებით სპარსეთში, რათა ჩამოეყვანა იქ გადახვეწილი ალექსანდრე, რომლის მეთაურობითაც უნდა მოწყობილიყო აჯანყება ერეკლეს წინააღმდეგ. როცა სოლომონი გარდაიცვალა და იმერეთის ტახტზე სუსტი ჭკუის მეფე დავით პირველი ავიდა, ბესიკი დაუახლოვდა ახალგაზრდა დედოფალს ანას და როგორც მისი ფავორიტი, იმერეთის სამეფოს ფაქტიური მმართველი ვახდა. ქართლ-კახეთის სამეფოს მიერ რუსეთის იმპერიის პროტექტორატის მიღებისთანავე იმერეთის მმართველმა წრეებმაც გადაწყვიტეს ამავე გზას დადგომოდნენ. ამ მიზნით ბესიკი, როგორც იმერეთის სამეფოს დიპლომატიური მისიის მეთაური, გაემგზავრა ფელდმარშალ პოტიომკინთან, რომელიც მაშინ უკრაინაში, ქალაქ კრემენჩუგში იყო დაბანაკებული. როდესაც პოტიომკინის ბანაკმა ქ. იასაში (ეს ქალაქი ახლანდელს რუმინეთის რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარეობს) გადაინაცვლა, ბესიკიც ამ ქალაქში გადასახლდა. იგი დიდის წარმატებით აწარმოებდა მოლაპარაკებას

იმდროინდელი რუსეთის იმპერიის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ხელმძღვანელთან, მაგრამ უეცრად და დღემდე გაურკვეველი მიზეზით პოეტი შიშვლად ავად გახდა და გარდაიცვალა ორმოცდაერთი წლის ასაკში. როგორც ვხედავთ, ბესარიონ გაბაშვილმა ცხოვრების არა ხანგრძლივი, მაგრამ უაღრესად რთული გზა განვლო, რომელიც აღსავეს იყო დრამატული შემთხვევებით, მწვავე კონფლიქტებით, მოულოდნელი სიტუაციებით. და ეს მდიდარი და საინტერესო ცხოვრებისეული მასალა აკაკი ბელიაშვილმა წარმატებით გამოიყენა იმისათვის, რომ მის საფუძველზე შეექმნა მთელი ისტორიული ეპოქის ამსახველი, მიმზიდველი და დამაინტერესებელი, გატაცებით საკითხავი ისტორიული ქანრის რომანები „თავგადასავალი ბესარიონ გაბაშვილისა“ და „ოქროს ჩარდახი“. სამწუხაროდ „ოქროს ჩარდახის“ დამთავრება მწერალს არ დასცალდა. მან მოასწრო ტრილოგიად მოფიქრებული ნაწარმოების მხოლოდ პირველი წიგნის დასრულება და გამოქვეყნება. რომანის მომდევნო წიგნებზე მუშაობა შეწყვიტა მწერლის მოულოდნელმა და ნადრევმა გარდაცვალებამ.

თავისი სამშობლოს ისტორიის ერთ-ერთი ურთულესი ეპოქის წარმოსახვისას მწერალი ჩვენი თანამედროვეობის სიმალლიდან შეპყურებს წარსულის მოვლენებს და ხატავს მათ არა როგორც გულგრილი შემატიანე, პასიური მკვრეტელი და ინდიფერენტული აღმწერელი, არამედ როგორც აქტიური შემოქმედებითი აზრისა და მდიდარი ფანტაზიის ხელოვანი.

ფართოდ მოფიქრებულ მხატვრულ ტილოზე მწერალი ხატავს ფერადოვან პანორამას მკაფიოდ წარმოსახული, მეტყველი, ცოცხალი, პლასტიკურად ხელსახები სურათებისა, რომლებიც ნათელ წარმოდგენას იძლევიან ეპოქის კოლორიტზე, მატერიალურ კულტურაზე. საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენების ყოფაცხოვრებაზე, ზნე-ჩვეულებებზე, ადათ-წესებზე. მწე-

რალი ერთგულად მიჰყვება ისტორიულ სიმართლეს და რეალურ ისტორიულ მოვლენებსა და პიროვნებებს, განსწავლვრულ ადგილს უთმობს რომანის სიუჟეტურ განვითარებაში, მაგრამ ამასთანავე ამ ისტორიული მოვლენების წარმომსახველ თხრობაში იგი ორგანულად ჩაურთავს შეთხზულ, „გამოგონილ“ სიტუაციებს, რომლებიც კი არ ეწინააღმდეგებიან ცხოვრებისეულ სიმართლეს და კი არ არღვევენ მას, არამედ, პირაქით, ხელს უწყობენ ეპოქის სულის უფრო სრულად და მრავალმხრივად გახსნასა და გადმოცემას, სინამდვილის განვითარების პროცესების, ადამიანთა ურთიერთობის ხასიათის უფრო შთამბეჭდავად და თვალნათლივ წარმოსახვას. მავალითად იმ ცნობილ გარემოების საფუძველზე, რომ ბესიკი მგზნებარე სატრფიალო ლექსებს უძღვნიდა დედოფალ ანას, მწერალმა „შეთხზა“ რომანის ერთ-ერთი ძირითადი სიუჟეტური მოტივი, — ბესიკის ერთდროული სატრფიალო ურთიერთობის ისტორია მეფე ერეკლეს დასთან — ანასთან და ამ უკანასკნელის შვილიშვილთან — მშვენიერ ქალიშვილ ანიკოსთან, რომელიც შემდეგ იმერეთის დედოფალი გახდა. ბევრი მწერლური „გამონაგონი“ იმაშიც, თითქოს ბესიკი იმდენად დაახლოებული ყოფილიყოს ერეკლესთან, რომ ასპინძის ბრძოლის წინა დამეს მეფემ მხოლოდ მას ერთადერთს გაანდო თავისი საიდუმლო ანდერძი იმის შესახებ, რომ თუ იგი ბრძოლაში დაიღუპებოდა, ტახტზე უნდა ასულიყო მისი ძე ლევანი და არა მეფის უფროსი ვაჟი, რომელსაც კანონით ტახტის პირველი მემკვიდრეობა ეკუთვნოდა. საესეებით როდი დასტურდება ისტორიული დოკუმენტებით რომანში მოთხრობილი ამბები ბესიკის მონაწილეობისა ერეკლეს დიპლომატიურ მისიებში, რომლებიც სპარსეთსა და მოსკოვს იყვნენ მივლინებულნი.

ქართული ლიტერატურული კრიტიკა თავის დროზე უსაყვედურებდა ხოლმე მწერალს, და არა ყოველთვის უსა-

ფუძვლად, ისტორიული ფაქტებისაგან ხშირი და ზოგჯერ მეტად თავისუფალი გადახვევების გამო. მაგრამ ასეთ გადახვევათა შემთხვევებში მწერალი არ ეწინააღმდეგებოდა საკუთარ მწუბობრსა და თანმიმდევრულ ისტორიულ კონცეფციას, არ გამოდიოდა კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში შესაძლებლობის ფარგლებიდან. ამასთანავე მწერლის შემოქმედებითი ფანტაზიის მიერ წარმოშობილი ასეთი სიუჟეტური მოტივები აღრმავებენ თხრობის სიმძაფრეს, ემოციურ დაძაბულობას, მიზნიდველობას, ზემოქმედების ძალას.

გამოცდილი და ნაწრთობი ოსტატის ხელით მწერალი ლოლიკური თანმიმდევრობით აერთიანებს მდიდარსა და მრავალფეროვან ცხოვრებისეულ მასალას და წარმართავს მას ზუსტად მოფიქრებულსა და მტკიცედ შეკრულ კომპოზიციურ კალაპოტში. თხრობის განვითარების მსვლელობაში მის მაგისტრალურ ხაზს თანდათანობით ერთვებიან მძაფრი და დაძაბული ფაბულური მოტივები, რომლებიც განლაგებული არიან მოქმედების თანმიმდევრულად აღმავლობის კანონზომიერებით.

მწერლის მხატვრული ოსტატობა, უპირველეს ყოვლისა, ცოცხალ ადამიანურ სახეთა მდიდარი გალერეის შექმნაში ვლინდება. ამ გალერეაში ცნობილ ისტორიულ პიროვნებათა გვერდით ცხოვრობენ და მოქმედებენ რიგითი ადამიანები, რომლებიც ტიპურად განასახიერებს იმდროინდელი საქართველოს მოსახლეობის შემადგენელ სხვადასხვა სოციალურ ფენას. და თითოეული ამ მრავალრიცხოვან პერსონაჟთაგანი, დაწყებული რომანის მთავარი გმირებით, როგორც არიან: ერეკლე II, ბესიკი, ლევანი, ანა, ანიკო, დავით ორბელიანი და სხვ. და დამთავრებული ე. წ. „ეპიზოდური“ მოქმედი პირებით, როგორცაა ჭაბუა ორბელიანი, ავანტიურისტი ჩოგლოკოვი, გერმანელი ექიმი რეინესი, მოახლე ქალი მათა და მრავალი სხვა, გამოძერწილია მწერლის მიერ, როგორც მკაფიო ადამიანური ხა-

სიათი, ამალღებული განზოგადებითი მნიშვნელობის მხატვრულ ნაშენ რანგში. ასეთ მხატვრულ ღირსებათა შექმნებით „თავგადასავალი ბესარიონ გაბაშვილისა“ დიდი ვატაცებით და შეუწელებელი ინტერესით იკითხება. ამიტომაც მოიწონეს და შეიყვარეს ეს წიგნი მკითხველთა ფართო წრეებში.

მწერლის უპირატესი ყურადღება პირველ ყოვლისა მიპყრობილია ერეკლესა და ბესიკისადმი, მათთან დაახლოებული ადამიანებისადმი თავად-აზნაურული წრიდან. მაგრამ რომანში მოქმედებენ მშრომელი ხალხის მრავალრიცხოვანი წარმომადგენლებიც, გლეხები, ხელოსნები და სხვ. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად დულაბა, სუმბათა, ბერუჩა და სხვ. დახატული არიან დიდა გამომსახველობითი ძალით და წარუშლელად ცოცხლობენ მკითხველის მეხსიერებაში.

ამ რომანის ავტორის უპირველეს მხატვრულ წარმატებას მაინც წარმოადგენს მონუმენტური სახე მეფე ერეკლესი, — უდრეკი ნებისყოფით და დაუშრეტელი ენერგიით, მძლავრი გონებით და იშვიათი გმირობით და ვაჟკაცობით დაჯილდოებული ადამიანისა. „მეფემ თუ ჩასთვლინა, ქვეყანა ვერ დაიძინებს მშვიდობიანად“, „ჩემი მტრები მხოლოდ იმას ელიან, რომ მე ძილს მივეცი. დაიბ, ჩემი ხედრი, ალბათ, ისეთია, რომ მხოლოდ უნაგირზე ვთვლემდე“ — ამბობს ერეკლე და მართლაც იგი გამუდმებულად, დაუსვენებლად და დაუღლელად ფიზიკურ, შრომობს და იბრძვის თავისი ქვეყნის ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის, რომელთაც იგი სჭედდა და იცავდა უაღრესად რთულსა და უძნელეს პირობებში.

რომანი იწყება ეპიზოდით, როცა საქართველოს დედა-ქალაქი თბილისი ემზადება თავისი მორიგი ლაშქრობიდან გამარჯვებით დაბრუნებული ერეკლეს შესახვედრად. რუსეთიდან მეფის გამოწვევით ახლახან ჩამოსული დავით ორბელიანი და მისი სიყრმის მეგობარი ბესარიონ გაბაშვილი ქალაქის კედ-

ლების ვასამაგრებლად მიმდინარე საქმეშაობს ეცნობიან. ისინი გულითადად საუბრობენ დაუსრულებელ ომებით დაუტურებული სამშობლოს მძიმე ხვედრის შესახებ. ამას მოპყვება კოლორიტული ყოფაცხოვრებითი სცენები დავითისა. და ბესიკის სტუმრობისა მდიდარი ვაჟრის ალა იბრაგიმის ოჯახში და მრავალი სხვა, რომლებიც თვალწინ გადაგვიშლიან იმდროინდელი თბილისის მოსახლეობის სხვადასხვა ფენათა ყოფის, ადათჩვევების, მატერიალური კულტურის წარმომსახველ ცოცხლად დახატულ სურათებს. ხანგრძლივი ლაშქრობიდან სატახტო ქალაქში დაბრუნებისთანავე ერეკლე დაუყოვნებლივ აცხადებს იერიშს ახალციხის ფაშის წინააღმდეგ, რომლის ბანაკშიც თავი მოუყრიათ საქართველოს მოსისხლე მტრებს და ფარულად ემზადებიან ჩვენს ქვეყანაზე ვერაგული თავდასხმისათვის. ამ ლაშქრობის წარმომსახველი სურათებით აღსავსეა მეფე ერეკლეს იშვიათი სტრატეგიული ნიჭის და საბრძოლო გმირობის მომასწავებელი მაგალითები. ერეკლე მტკიცედ და უკანდაუხეველად განაგრძობს რუსეთთან კავშირისა და საბრძოლო თანამეგობრობის პოლიტიკას. რუსეთის მთავრობა საქართველოში გზავნის ჯარს გენერალ ტოტლებენის სარდლობით. ერეკლე და მისი თანამოღვაწენი სიხარულით ეგებებიან საქართველოში რუსეთის ლაშქრის გამოჩენას. მაგრამ გერმანელი გენერალი ტოტლებენი, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მოემგზავრებოდა მხოლოდ გამდიდრების წყურვილით და იმ განზრახვით, რომ როგორმე აღედგინა თავისი შებღალული რეპუტაცია, არავითარ ანგარიშს არ უწევს რუსეთისა და მით უფრო საქართველოს სახელმწიფოებრივ ინტერესებს. იგი საიდუმლო მიმოწერით უკავშირდება ახალციხის ფაშას და თავისი მოლაღატური საქციელით ძირს უთხრის რუსეთთან საქართველოს დაკავშირების იდეას. ტოტლებენის ლაშქარში მყოფი კეთილშობილი რუსი ოფიცერების მცირერიცხოვანი ჯგუფი

ხედავს ტოტლებენის მოლაღატურ საქმიანობას და მზად არის დაუკავშირდეს ერეკლეს ამ აღვირახსნიელ ვაჟკაცის წინააღმდეგ, მაგრამ მაშინდელს კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში ამ ოფიცერების მოქმედებას არ შეიძლება და რაიმე სერიოზული დადებითი შედეგი მოყოლოდა.

თურქების წინააღმდეგ ერეკლეს ლაშქრობის დაწყებისთანავე გამოაშკარავდა ტოტლებენის ვერაგული გამცემლობა. მან მოულოდნელად მოხსნა თავისი ლაშქარი ბრძოლის ველიდან და მიატოვა ერეკლეს ჯარი მტრის გაცილებით ჭარბი ძალების პირისპირ. რომანში ღრმა ექსპრესიით, შთამბეჭდავი ძალით არის აღწერილი აწყურის ბრძოლისა და ასპინძის ომის ეპიზოდები. იშვიათი ხელოვნებით შესრულებული ეს ბატალური სურათები მიეკუთვნებიან საუკეთესო მხატვრულ მიღწევათა რიცხვს საბრძოლო ეპიზოდების წარმომსახვის სფეროში.

თითქოს და გამოუყვას, ყოვლად უიმედო მდგომარეობაში ერეკლემ თავი გამოიჩინა, როგორც ბრწყინვალე მხედართმთავარმა და უძლეველმა სარდალმა. მკითხველი ხედავს ერეკლეს შეუვალ ავტორიტეტსაც და მისი აღმგზნებელი სიტყვის ძალასაც, რომელსაც შეუძლია საგმირო საქმეებისათვის აღაფრთოვანოს მტრის ჭარბი ძალების წინაშე შემდრკალი ლაშქარი, ხედავს მეფის იშვიათ სტრატეგიულ ნიჭსაც, რომლის მეოხებითაც იგი ახერხებს დაძლიოს და გაანადგუროს მძლავრი და საშიში მტერი, ხედავს ერეკლეს სწორუპოვარ პირად გმირობასაც, რაც დაუვიწყარის ძალით გამოხატა მწერალმა ლეკთა ურდოების თავზე ხელაღებულ ბელადთან მალაჩინთან მეფის პირისპირ შებრძოლების შესანიშნავად დახატულ ეპიზოდში. მკითხველს არა მარტო ანციფტრებს და ხიბლავს სამკედრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში ერეკლეს მიერ გამოჩენილი შეუდარებელი უშიშროება, გონებასხვილობა, სამხედრო ხელოვნება, არამედ ახარებს კიდევც,

რადგან მეფის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრებული ამ ორთაბრძოლის სურათი ბოროტზე კეთილის გამარჯვების შთაგონებულ ჰიმნად, სამშობლოსადმი თავდადებული ერთგულების აღმაფრთოვანებელ საგალობლად ქდვრს.

რომანის მომდევნო ნაწილებში ვხედავთ, თუ როგორი თანმიმდევრობით და ურყევი ნებისყოფით განახორციელებდა ერეკლე II თავის მტკიცე გადაწყვეტილებას რუსეთთან საქართველოს დაახლოვებისა და დაკავშირების შესახებ. ვერც გენერალ ტოტლებენის ვერაგულმა გამცემლობამ, ვერც თავისი მტრებისა თუ უახლოესი თანამებრძოლების გააფთრებულმა წინააღმდეგობამ ხელი ვერ აღებინეს ერეკლეს თავის ამ ბრძნულსა და კეთილშობილურ განზრახვაზე.

„ბესარიონ გაბაშვილის თავგადასავლის“ უკანასკნელ თავში მოთხრობილია პოეტის გაქცევის შესახებ საპატიმროდან, სადაც იგი დამწყვდეული იყო ერეკლეს ბრძანებით. მეფე მრავალი მიზეზის გამო გაურისხდა ბესიკს. მან შეიტყო, რომ სპარსეთში საქართველოს ელჩად ყოფნის დროს პოეტი დაუმეგობრდა იქ გადახვეწილ მეფისწულს, ალექსანდრე ბაქარისძეს, რომელიც ქართლის სამეფო ტახტის საშიში პრეტენდენტი და ერეკლეს დაუძინებელი მტერი იყო. მანამდეც ბესიკი ხშირად იყო ხოლმე შემჩნეული მეგობრულ ურთიერთობაში მეფისადმი მტრულად განწყობილ ადამიანებთან. მეფის ყურამდე მიღწეა ხმებმა, რომ ბესიკმა გაბედა და ფარული სატრფიალო კავშირი დაამყარა მის დასთან ანასთან. ამას დაემატა ანტონ კათალიკოსის გაუთუყებელი ჩივილიც, რომ ბესიკი თხზავდა, მღეროდა და ხალხში ავრცელებდა ვნებათა აღმძვრელ ლექსებს, რომლებიც, საქართველოს ეკლესიის მეთაურის აზრით, ზნეობრივად გამხრწნელ ზეგავლენას ახდენდა ახალგაზრდობაზე. ყველაფერში უკომპრომისო ერეკლეს, რომელმაც არ იცოდა დათმობა და დანაშაულის პატიება, რომელიც ყოველგვარ

ურთიერთობაზე მაღლა ერისა და სახელმწიფოს ინტერესებს აყენებდა და ყველასაგან მტკიცედ მოითხოვდა ვერაგულ ერთგულებას ქვეყნის წინაშე მოვალეობისადმი, არ შეეძლო გვერდი აევლო პოეტის ამგვარი საქციელისათვის. მეფემ ჩამოართვა ბესიკს სახელმწიფო თანამდებობა, განდევნა იგი სასახლიდან და შემდეგ ბრძანა მისი ჩამწყვდევა საპატიმრო დილეგში. მაგრამ ხელოვნებისა და პოეზიის დიდათ მცოდნე, დამფასებელ და პატივისმცემელ ერეკლეს არ უნდოდა დაღუპვა ნიჭიერი პოეტისა, რომელსაც ამ დროისათვის უკვე ჩაწერილი ჰქონდა არა ერთი მკაფიო ფურცელი მშობლიური ლიტერატურის განვითარებაში. მეფის თანხმობით მისმა ვაჟმა ლევანმა მოაწყო ბესიკის გაქცევა პატიმრობიდან და მისი იმერეთს გახიზნვა. მეფისწული ვარაუდობდა, რომ პოეტი სათანადოთ დააფასებდა მის ასეთ დახმარებას და მეგობრობას და იმერეთში ქართლ-კახეთის სამეფოს ინტერესების შესაბამისად იმოქმედებდა. პოეტმა არ გაამართლა თავისი სიყრმის მეგობრის, მფარველისა და გადამრჩენის ეს ვარაუდი. იმერეთში იგი ერეკლეს მოწინააღმდეგეთა ბანაკს მიეკედლა და თავისი ახალი პატრონის სოლომონ პირველის დავალებათა ერთგული შემსრულებელი გახდა. მაგრამ ბესიკის ცხოვრება და მოღვაწეობა იმერეთში, მისი ურთიერთობანი ქუთაისის სასახლის ირგვლივ შემოკრებილ წრეებთან უკვე აკაკი ბელიაშვილის მეორე ისტორიული რომანის „ოქროს ჩარდახის“ თემას წარმოადგენს, რომანისა, რომლის დამთავრებაც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მწერალს არ დაცალდა. „ოქროს ჩარდახი“ არსებითად გაგრძელებაა „ბესარიონ გაბაშვილის თავგადასავლისა“. თუ „თავგადასავალი“ ბესიკის პატიმრობიდან გაქცევით და იმერეთს გახიზვნით მთავრდება, „ოქროს ჩარდახი“ იმ ეპიზოდით იწყება, როდესაც იმერეთში გადასული ბესიკი სოლომონ პირველის სახლთუხუცესს, იმერეთის ერთ-ერთ უძლიერეს

ფეოდალს პაპუნა წერეთელს წარუდგება. აქედან იწყება ახალი ხანა ბესიკის ცხოვრებაში. იმერეთის მეფის სასახლეს შეფარებული პოეტი ამიერიდან ახალ ვითარებაში იწყებს ცხოვრებას და მოღვაწეობას. მწერალი ხატოვანად წარმოსახავს ამ ვითარებას: იმერეთის სამეფოს პოლიტიკურ მდგომარეობას, ამ კუთხის ბუნებას, მოსახლეობის სხვადასხვა ფენათა სოციალურ მდგომარეობას, მათ ყოფა-ცხოვრებას, სპეციფიკურ ადამიანურებს. გარდა ბესიკისა „ოქროს ჩარდახში“ მოქმედებენ „თავგადასვლიდან“ გადმოსული სხვა პერსონაჟებიც: უმცროსი ანა, მისი მეუღლე, იმერეთის უფლისწული დავითი, ერეკლეს ჭარბის სარდალი დაჯით ორბელიანი, ბესიკის მშობლები და სხვ. ამ პერსონაჟების, პირველ ყოვლისა, ბესარიონ გაბაშვილის ცხოვრების ისტორია აკავშირებს ა. ბელიაშვილის ამ რომანს მის პირველ ისტორიულ ტრილოგიასთან.

იმერეთის სამეფოს ვითარებისა და მისი მოსახლეობის ყოფა-ცხოვრების წარმოსახვისას მწერალი ხატავს სხვადასხვა ხასიათისა, მაგრამ თანაბარის სიმკვეთრით და ცხოველმყოფელობით აღბეჭდილ ისეთ სურათებს, როგორცაა პაპუნა წერეთლისა და მისი მსლებლების ნადირობა, გლეხი პავლიას მიერ მოულოდნელად წვეული საპატიო სტუმრების მიღება, სახლთუხუცესის სასახლეში გამართული დიდებული ნადიმი, მღვიმის მონასტრისა და სკანდის ციხის აგებულება-მორთულობა, ქუთაისის საერთო ხედი, სოლომონ პირველის სასახლე და სხვ. თუ ამ შემთხვევებში მწერალი მხატვრული აღწერილობის სამაგალითო ოსტატობას იჩენს, რომანის ფაბულური მოტივების განვითარებისას იგი მიმზიდველი და ღრმად დამაინტერესებელი თხრობის ისეთსავე ნიჭიერებას გვიჩვენებს, როგორცაა აღბეჭდილია მისი „თავგადასავალი“. მაგალითად, შეუძლებელია წარფელი მღელვარების გარეშე წაითხვა რომანის იმ პასაჟებისა, რომლებშიც მოთხრობილია

ბესიკის მგზნებარე გატაცება მღვიმის მონასტერში მის მიერ შემოხვევით გაცნობილი ახალგაზრდა ლამაზი მონაზნისადმი ტრფიალებით. და ამ ქალის ცხოვრების საბედისწერო დასასრული. მთელი ეს ამბავი ისეთი დრამატიზმით არის გამსჭვალული, ისეთი ადამიანური უშუალობითა და პოეტური გზნებითაა გადმოცემული, რომ სამუდამოდ აღიბეჭდება მკითხველის მეხსიერებაში, როგორც იშვიათი ხელოვნებით დახატული ის ეპიზოდი, როცა პაპუნა წერეთლის სასახლეში გამართულ ნადიმზე ერთმანეთს სიმღერაში შეეჭიბრებიან თვალგადათხრობილი მოხუცი როსტომ ერისთავი და ბესარიონ გაბაშვილი. ეს მაგალითები გამოჩაყლის როდი წარმოადგენენ „ოქროს ჩარდახში“, რომელსაც მწერალი წერდა იმ შემოქმედებითი გამოცდილებით გამდიდრებული, რაც მან „თავგადასავალზე“ ხანგრძლივი მუშაობით შეიძინა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია „ოქროს ჩარდახის“ მეტყველების, ენობრივი ქსოვილის მაღალი მხატვრული დონე. როგორც ცნობილია ისტორიული რომანის ენის პრობლემა ჩვენს ლიტერატურაში წლების მანძილზე მწვავე დისკუსიის საგანს წარმოადგენდა. ზოგიერთი მწერალი და კრიტიკოსი მცდრად ფიქრობდნენ, რომ ისტორიული რომანი იმ საუკუნისათვის დამახასიათებელი ენითა და სტილით უნდა იწერებოდეს, რომელსაც ნაწარმოები ასახავს. აქედან წარმოდგებოდა ზოგიერთი ქართული ისტორიული რომანის ქარბი გადატვირთვა ლექსიკური თუ სინტაქსური არქაიზმით, რაც გარკვეულს უარყოფითს ვაგლენას ახდენდა საერთოდ ჩვენი თანამედროვე მწერლობის ენობრივ კულტურაზე.

როგორც თავის პირველ ისტორიულ ტრილოგიაში, „ოქროს ჩარდახშიც“ აკაკი ბელიაშვილი ძირითადად სწორად წყვეტდა ისტორიული რომანის ენის საკითხს. იგი წერს თანამედროვე სალიტერატურო ენით. რომანის პირველ თავებში ერთგვარი ენობრივი ნაკლოვანე-

ბაც შეინიშნება, — გადამეტებული გატაცება იმერული დიალექტისმებით, რაც უპირატესად პერსონაჟთა მეტყველებაში იჩენს თავს. წიგნის მომდევნო თავებში კი მწერალი გვაძლევს იმის საუცხოვო ნიმუშებს, თუ როგორ შეიძლება მოქმედების გეოგრაფიული ლოკალისა და გმირის მეტყველების ინდივიდუალური ელფერის გადმოცემა ინტონაციური საშუალებებით, ფრაზაში სიტყვების თავისებური განლაგებით, ენობრივი ნიუანსების გზით, კუთხური დიალექტის ისეთ მახინჯ ფორმათა დაუხმარებლად, რომლებიც ეწინააღმდეგება და არღვევს ჩვენი ენის საერთო ბუნებას.

„ოქროს ჩარდახის“ პრინციპული დაღებითი მნიშვნელობა ქართული საბჭოთა ისტორიული რომანისტიკის განვითარების თვალსაზრისით იმაშიც მდგომარეობს, რომ იგი თავისუფალია ფეოდალური წარსულის შელამაზებისა და იდეალიზაციის მანკიერებათაგან. რომანში მკაცრი სიმართლით არის წარმოსახული XVIII საუკუნის იმერეთის ფეოდალური საზოგადოების წყლულები და მანკიერებანი, ნაჩვენებია, თუ როგორი სისასტიკით აუძლურებდა და ანადგურებდა ქვეყნის სასიცოცხლო ძალებს ფეოდალური ტირანიის სუსხი, გულზედად შემამულეთა ურთიერთლაღაბისა და შუღლის, გამცემლობისა და ანგარების, სიხარბისა და მტრობის მძვინვარება. ამით ეს რომანი სამართლიანად აცამტკერებს იმ ყალბ შარავანდებს, რომლითაც მოსავდნენ ფეოდალურ წარსულს ისტორიის იდეალიზაციით გატაცებული ზოგიერთი ჩვენი რომანისტები, დრამატურგები, თუ პოეტები.

სწორად მოიქცა ა. ბელიაშვილი, როდესაც თავის ამ ნაწარმოებში მთელი სიცხადით გვიჩვენა იმერეთის სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ის შემზარავი დაკნინება, რომელიც გამოიწვია ამ მხარეში თურქეთის ველური ურდოების ხანგრძლივმა სისხლიანმა თარეშმა. სულთანის თურქეთის ბარბა-

როსული აგრესიის შედეგად უზომოდ გადატაცებული იმერეთის იმპერიული ეთარების ამსახველი მსახურებაში ბუნებრივად აღძრავენ და აღვივებენ მკითხველის ცნობიერებაში შეურიგებელ ზიზღსა და სიძულვილს უცხოელი დამპყრობლებისადმი, ყოველგვარი აგრესიული ძალისადმი და ამდენად ხალხის პატრიოტული შეგნების გამოწრთობას ემსახურებიან.

„ოქროს ჩარდახის“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ღირსება ისიცაა, რომ მასში არა მარტო საერო და სასულიერო მმართველი წრეების წარმომადგენლები ცხოვრობენ და მოქმედებენ, არამედ რიგითი მშრომელი ადამიანებიც, რომლებიც ამ ნაწარმოებში წარმოდგენენ და განასახიერებენ ხალხს თავისი მაღალი მორალური წარმოდგენებით, შრომისმოყვარეობით, კეთილშობილური მისწრაფებებით. ხალხის დაბალი ფენებიდან გამოსული ზოგიერთი პერსონაჟი ამ რომანისა, მაგალითად, საღუნა, პავლია, პაპუნა წერეთლის მხლებლები, მეფის ხუმარა და სხვ. დახატული არიან დიდი სიყვარულით და ადამიანურ სახეთა ძერწვის მოსაწონი ხელოვნებით. კერძოდ საღუნა კი ფრიალ თვალსაჩინო როლსაც ასრულებს რომანის სიუჟეტურ განვითარებაში და თავიდან ბოლომდე გასდევს თბრობის მთელს მდინარებას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ სამწუხაროდ რომანის არც ერთ გმირს, რომლებიც ხალხის წარმომადგენლებად არიან დასახული ავტორის მიერ, არ გააჩნიათ სოციალური პროტესტის გრძნობა და არამც თუ საქმით არ გამოხატავენ, სიტყვითაც კი არ გამოთქვამენ უკმაყოფილებას და გულისწყრომას ფეოდალურ-მონარქიული წყობილების იმ უკუღმართობათა გამო, რომლებიც მაშინ ჩვენს ქვეყანაში მძვინვარებდა და რომლებიც ასეთი შეუფერავი სიმართლით არის წარმოსახული „ოქროს ჩარდახში“.

როგორც ვხედავთ, ამ ისტორიულ რომანზე მუშაობისას მწერალი უაღრე-

სად მნიშვნელოვან იდეურ-შემოქმედებითს ამოცანებს ისახავდა. მით უფრო დასაინანი, რომ მწერალმა ვერ მოასწრო ამ ისტორიული ტრილოგიის დამთავრება, და მამასადამე ამ სინტერესო განზრახვების სრულად განხორციელება.

თავისი მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფიის უკანასკნელი წლები აკაკი ბელიაშვილმა მთლიანად მიუძღვნა ჩვენი თანამედროვეობის აქტუალური და დიდი საზოგადოებრივი მნიშვნელობის თემების დამუშავებას. გარდა მრავალი ნოველისა, მოთხრობისა და მხატვრული ნარკვევისა, რომლებშიც საბჭოთა სინამდვილის მოვლენებია ასახული, მწერალმა სამამულო ომის შემდეგ წლებში ამ თემებს მიუძღვნა სამი რომანი: „უღელტეხილი“, „ფეხბია ხალიბაური“ და „შვიდაცა“, რომელთაც პრინციპულად დადებითი როლი შეასრულეს თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარებაში. ამ ნაწარმოებთა გამოქვეყნება მოასწავებდა ქართული მხატვრული პროზის გადაჭრით შემობრუნებას ჩვენი თანამედროვეობის თემატიკისაკენ, საბჭოთა სინამდვილის თემატიკის ხვედრითი წონის ზრდას ქართულ საბჭოთა მწერლობაში, რაც ჩვენი ლიტერატურის ისტორიის დღევანდელი ეტაპის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამაბასიათებელ თავისებურებას შეადგენს. კიდევ მეტიც. ამ ნაწარმოებებმა ნაწილობრივ მაინც შეაგეს ის თვალსაჩინო ხარვეზი, რომელსაც მრავალი წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა ქართული მხატვრული პროზის განვითარებაში. ცნობილია, რომ უკანასკნელ დრომდე ქართული მხატვრული პროზის ნაწარმოებთა დიდი უმრავლესობა სოფლის ცხოვრებას, საკოლმეურნეო გლეხობის ყოფასა და შრომას მიუძღვნა, მაშინ როდესაც ჩვენი მრეწველობის ადამიანთა, ჩვენი ინტელიგენციის, სტუდენტობის, მოსწავლეთა ახალგაზრდობის ცხოვრება, საერთოდ ქალაქური ცხოვრების პროცესები, ჩვენი სოციალისტური მრეწველო-

ბის ადამიანთა შრომითი გმირობა შედარებით მკრთალად იისახებოდა ჩვენს მწერლობაში. აკ. ბელიაშვილის სხსენებულმა ახალმა რომანებმა გარკვეული როლი შეასრულეს ქართული ლიტერატურის მიერ თანამედროვე სინამდვილის წარმოსახვის ასეთი ცალმხრივობისა და შეზღუდულობის გადალახვაში.

„უღელტეხილში“ მწერალმა მოგვითხრო იმ დაძაბული, დიდი შრომითი გმირობით, პატრიოტული აღფრთოვანებით და დიდი სიძნელეებით აღსავსე ცხოვრების შესახებ, რომლითაც ცხოვრობდა საქართველოს დედაქალაქი თბილისი სამამულო ომის პრისხანე წლებში. ამ წიგნმა თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა ომის შემდეგი წლების ქართულ ლიტერატურაში. რომანის მთავარი გმირის — ახალგაზრდა ინჟინრის დავით ბეჭიაის სახე — ჩვენი დროის დადებითი ტიპის პორტრეტია. ბუნებრივად და ძალდაუტანებლად, საინტერესოდ და მიმზიდველად მოგვითხრობს მწერალი ამ ახალგაზრდა კაცის შრომითი და საბრძოლო ცხოვრების, მისი გმირობისა და ვაჟკაცობის, მისი მორალური თვისებების შესახებ და ყოველივე ეს განმავლობად განასახიერებს საბჭოთა ადამიანების მთელი თაობის ხასიათის მრავალ ტიპიურ თავისებურებას, იმ თაობისა, რომელმაც თავის მხრებზე გადაიტანა დიდი სამამულო ომის მთავარი სიმძიმე. როგორც სხვა თავის უკეთეს ნაწარმოებებში, ამ რომანშიც აკაკი ბელიაშვილი არ გამოყოფს და არ გამოთიშავს ადამიანის შრომითსა და საზოგადოებრივ მოღვაწეობას მისი პირადი ცხოვრებისაგან, ყოფითი და ოჯახური ხასიათის ურთიერთობათა სფეროსაგან. ამიტომაც სამამულო ომის წლების დიდი ისტორიული მოვლენების ამსახველი ეს ნაწარმოები იწყება თხრობით იმ მწვავე მარცხის შესახებ, რომელიც პირად-ოჯახურ ცხოვრებაში განიცადა დავით ბეჭიაემ — იგი იძულებული გახდა გასცილებოდა თავის საყვარელ ცოლს დაქორწინებიდან სულ რამოდენიმე თვის განვლის შემდეგ. ამ

მარცხით შეშფოთებულ დაეითს ომის პირველსავე დღეებში ნიშნავენ მთავარ ინჟინრად დიდად მნიშვნელოვან სამთავროვანო წარმოებაში, რომელიც კავკასიონის ერთ-ერთი მწვერვალის ფერდობზე მდებარეობს. აქ, მუშებისა და თანამშრომლების მცირერიცხოვან კოლექტივში მთელი სისრულით გამოვლინდა ამ ქვეყანი და ენერგიული ახალგაზრდა სპეციალისტის შესანიშნავი ადამიანური თვისებანი — მისი ორგანიზატორული ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა, გულისხმიერება და პატიოსნება. და შემდეგ, გვიჩვენებს რა თავის ამ გმირს სამამულო ომის ფრონტზე, მწერალი თანდათანობით აფართოებს მის დახასიათებას, ამდიდრებს ამ მხატვრულ სახეს ახალი, კიდევ უფრო მომხიბვლელი თვისებებით. მხნე და უშიშარი ალპინისტი, იგი ღირსეულად ასრულებს სარდლობის ურთულეს დავალებებს კავკასიონის მიუვალ მწვერვლებზე გაჩაღებული ბრძოლების მკაცრს ვითარებაში. ფრონტული ცხოვრების სურათებს რომანში სცვლის საბჭოთა ზურგის დამაბული საბრძოლო შრომითი ცხოვრების დამახასიათებელი ეპიზოდები, რომლებიც გვიხატავენ, თუ როგორ გამოიყურებოდა იმ მძიმე წლებში საქართველოს დედაქალაქი თბილისი, რომელიც მთელს თვალწინდენ საბჭოთა ქვეყანასთან ერთად სჭედდა ჩვენს დიად გამარჯვებას საბჭოთა მტრებზე — ჰიტლერელთა სისხლიან ურდოებზე. რომანის მრავალრიცხოვან პერსონაჟთა ურთიერთობებში, ხალხის საბრძოლო და შრომითი ცხოვრების ცოცხლად წარმომსახველ სურათებში მწერალმა შესძლო გაესახიერებინა ომის დროინდელი სინამდვილის ატმოსფერო, ის უმავალითო და სწორუპოვარი გმირობა, რომლითაც საბჭოთა ხალხმა თავი ისახელა იმ შეუდარებლად სისხლისმღვრელი ომის ვითარებაში და არა მარტო თავისი სამშობლოს სიცოცხლე და თავისუფლება დაიცვა, არამედ ამასთანავე მთელი კაცობრიობაც გადაარჩინა ფაშისტური

მონობისა და ბარბაროსობისაგან მაგრამ მწერალი მარტო ხალხსავე დადვიდ გმირობის წარმოსახვით არ შემოიკავნება. სიყვარულით და აღფრთოვანებით ხატავს რა კეთილშობილ საბჭოთა ადამიანების პატრიოტულ საქმეებს, მწერალი ამავე დროს გვერდს არ უვლის სინამდვილის ჩრდილოვან მხარეებსაც. იგი მომაკვდინებლად ამხილებს მანკიერ, გაბრწილ ადამიანებს, რომელთა ბნელი საქმეებიც განსაკუთრებულად მახინჯად და საზიზღრად გამოიყურება მთელი ხალხის გმირული პატრიოტული შემართების ფონზე.

აკაკი ბელიაშვილი მთელი თავისი მხატვრული პრაქტიკითაც და ლიტერატურულ-კრიტიკული გამოსვლებითაც თანმიმდევრულად და დაყინებით ასაბუთებდა მწერლის უფლებასა და მოვალეობას წარსულის იმ ბნელი გადმონაშთების დაუნდობლად მხილებისა, რომლებსაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს საბჭოთა საზოგადოების ყოფაცხოვრებაში, ჩვენი ადამიანების შეგნებაში. თავისი ასეთი შემოქმედებითი მრწამსის ყველაზე მკაფიო და უკომპრომისო განხორციელებას მწერალმა მიაღწია სწორედ „უღელტეხილში“, რომელშიაც დადებითი პერსონაჟების ხასიათის კეთილშობილური და მომხიბვლელი თვისებები გამოვლინებულია გაბედული და შეუფერავი დაპირისპირების გზით ყოველივე ბნელთან, მახინჯთან, საზიზღართან, რაც ჯერ კიდევ ცოცხლობს ჩვენს სინამდვილეში და აფერხებს ჩვენი ხალხის ძლევათმოსილ წინსვლას დიდი საბოლოო მიზნისაკენ. ყოველივე მანკიერისა და დრომოკმულის დაუნდობლად მხილების პათოსი წარმოადგენს ამ ნაწარმოების ერთ-ერთ მთავარ ღირსებას, თუმცა უნდა ითქვას, მწერალი ყოველთვის როდი ახერხებს ზომიერების დაცვას ამ მხრივ, სინამდვილის წამყვან, ნათელ ტენდენციითა და ჩრდილოვან მხარეთა ისეთივე თანაფარდობის ჩვენებას, როგორსაც საბჭოთა ხალხის ცხოვრება შეიცავს. ჩვენმა ლიტერატურულმა კრიტიკამ თავის

დროზე გარკვეულად უსაყვედურა მწერალს — მუქი საღებავებით გადაპარბებული გატაცება და ეს საყვედური საფუძველს მოკლებული როდი იყო.

რომანი მთავრდება სამთამადნო წარმოებაში თავის საყვარელ სამუშაოზე დავით ბექაიას დაბრუნების სურათით. სამამულო ომის ქარცეცხლიდან გამარჯვებულად დაბრუნებული ვაჟკაცი ახალი შემოქმედებითი აღფრთოვანებით აგრძელებს ომის მიერ შეწყვეტილ საქმიანობას და უმძიმეს განსაცდელთა ქურაში გამოწრთობილი გმირის ასეთი დაბრუნება სიმბოლიურად განასახიერებს საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის განუყოფელ ზეიმს, რომელიც მოიპოვა ჩვენმა ქვეყანამ მთელი ხალხის უმაგალითო თავდადებით, ურყევი რწმენით, უღრუკი ნებისყოფით. და, როდესაც თავისი მომდევნო რომანი „ვეფხია ხალიბაური“ მწერალმა სამამულო ომის ფრონტიდან ახალგაზრდა ინჟინერის არჩილ სანებლიძის დაბრუნებით დაიწყო, ვაჟკაცისა, რომელიც მალე ქართულ მეფოლადეთა ახალგაზრდა ქალაქის რუსთავის ერთ-ერთი მოწინავე მშენებელი გახდა, ამაში იყო გარკვეული კანონზომიერება, თემატიკური თანმიმდევრობა, ჩვენი ცხოვრების განვითარების პერსპექტივათა მთლიანი გააზრების გამოხატულება.

„ვეფხია ხალიბაური“ ამიერკავკასიის მეტალურგიული მრეწველობის პირველი გიგანტის წარმოშობის მხატვრული შატიანეა. მკითხველის თვალწინ მიმდინარეობს მთელი ისტორია ქალაქ რუსთავისა და ამ ქალაქში მეტალურგიულ გიგანტის აშენებისა მათი საქირველის ჩაყრიდან — ვიდრე ქართული ფოლადის პირველი ნაკადის გამოჩენამდე. ამ ნაწარმოებში ყურადღებას პირველყოვლისა იპყრობს არა ტექნიკური პროცესები, არამედ ამ პროცესებთან უშუალოდ დაკავშირებული და ხშირად განპირობებული პროცესი ადამიანთა ხასიათის ფორმირებისა, ადამიანებისა, რომელთაც შეუძლიათ მართონ ურთულ-

სი, მძლავრი მანქანებზე დაქვემდებარებით, შეუძლიათ იცხოვროვნენ და მართონ კომუნისტურად.

იმ დროს, როდესაც რუსთავის გიგანტის კედლები შენდებოდა და გადამწვარ, უნაყოფო რუსთავის ტრიალ ველზე ახალი ინდუსტრიული ქალაქი იზადებოდა, რუსეთის ვეებერთელა მეტალურგიულ ქარხნებში გამოცდილი რუსი ოსტატების ხელმძღვანელობით ფოლადის გამოდნობის რთულ ხელოვნებას ეუფლებოდა იქ სპეციალურად მივლინებული ქართველი ახალგაზრდობა. ძნელი იყო ამ ახალგაზრდებისათვის შეჩვეოდნენ ჩრდილოეთის ყინულის სუსხს და კიდევ უფრო მეტად აუტანელს მარტენის ღუმელების მცხუნვარებას. ადვილი არ იყო მათთვის აგრეთვე ზოგიერთი საკუთარი ჩვეებისა და წარმოდგენების, ჩამორჩენილ შეხედულებათა და ცრურწმენათა დაძლევა, რომელთა უკუგდება ახალმა პროფესიამ მოითხოვა. მაგრამ მზრუნველი მასწავლებლების, რუსი მუშებისა და სპეციალისტების დახმარებით ეს ჭაბუკები და ქალიშვილები დღითიდღე იზრდებიან, ეუფლებიან პროფესიულ ოსტატობას, იძენენ ხასიათის ახალ თვისებებს.

„ვეფხია ხალიბაური“ ქართული საბჭოთა ლიტერატურის იმ ნაწარმოებთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც თვალნათლივ და ხელშესახებად, კონკრეტული ცხოვრებისეული მაგალითებით გვიჩვენებენ ხალხთა მეგობრობის დიად ცხოველყოფელ ძალას. რომანის მრავალრიცხოვან პერსონაჟთა, სხვადასხვა პროფესიისა და ბიოგრაფიის ადამიანთა ცენტრში დგას ახალგაზრდა ზვესური ვეფხია ხალიბაური. ცხოვრების ისტორია ბნელი, ჩამორჩენილი, თითქმის პირველყოფილ ზვესურულ სოფლიდან გამოსული ამ ახალგაზრდა კაცისა, რომელიც ფოლადის გამოდნობის სახელგანთქმული ოსტატი გახდა, რომანში ასახულია ღრმად ტიპიზირებული, განზოგადებითი მნიშვნელობით მწერლის დიდ მხატვრულ მიღწევას

წარმოადგენს აგრეთვე არჩილ სანებლიძის სახეც, რომელიც თავისი აზრებით, ქცევით, სიტყვებით, ცოცხლად განასახიერებს რიგითი საბჭოთა ადამიანის ხასიათის დადებითს თვისებებს — მის ჰუმანიზმს, პირდაპირობას და უშიშროებას, საზოგადოებრივი მოვალეობისადმი ერთგულებას, ბნელ, უარყოფით ადამიანებთან შეურთებლობას.

აქაი ბელიაშვილის ამ რომანთა სერიის ღირსეულ გაგრძელებას წარმოადგენს მისი უკანასკნელი ნაწარმოები „შვიდაცა“, რომლითაც დამთავრდა ამ დიდად ნიჭიერი მწერლისა და კეთილშობილი მოქალაქის შემოქმედებითი ცხოვრება. ეს რომანი ქართული მხატვრული პროზის პირველი და ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი ნაწარმოებია, რომელიც კომუნისტური შრომის ბრიგადებს მიეძღვნება. აღსანიშნავია, რომ ეს წიგნი ჩვენი დროის ამ შესანიშნავ მოძრაობის „ცხელ კვალზე“ იწერებოდა. მოქმედება წარმოებს მარგანეცის მრეწველობის ქალაქში — კიათურაში, სადაც მწერალი დაიბადა და აღიზარდა და რომლის სახელოვანი რეკოლუციური ტრადიციებისა და თანამედროვე შრომითი ცხოვრების ღირსეული წარმოსახვა აქაი ბელიაშვილის მუდმივს ოცნებას წარმოადგენდა. ეს მას არაერთხელ განუცხადებია თავისი შემოქმედებითი გეგმების დახასიათებისას.

შეიღმა თანასოფლელებმა ახალგაზრდამ, რომელთა შორის ერთი მშვენიერი ქალიშვილიც ურევია, გადაწყვიტეს საშუალო სასწავლებლის დამთავრებისთანავე ერთად დაეწყოთ მუშაობა მარგანეცის მალაროებში. ზოგი მათგანი

საწარმოო სტაიის შექმნას ეამბრებდა, რომ შემდეგ უმალეც სასწავლებელში შესულიყო, ზოგს კი განზრახული ჰქონდა წარმოებაში მუშაობის პარალელურად დაუსწრებლად მიეღო უმალეც განათლება.

მწერალი მოგვითხრობს, თუ როგორ გადალახეს ამ ახალგაზრდებმა ურთულესი სიძნელენი და მიიმე დაბრკოლებანი, გაუძლეს მრავალ განსაცდელს და ყოველივე ამის შედეგად გაიზარდნენ, გამოიწრთნენ, მოწინავე მალაროელთა სახელი მოიხვეჭეს. მაგრამ ამის მიღწევა ადვილი როდი იყო. ამ ახალგაზრდების ხასიათის ფორმირების რთული პროცესი შეადგენს რომანის ძირითად თემას. მკითხველი დაძაბული, შეუწინაღებელი ინტერესით ეცნობა მწერლის მიერ ცოცხლად და მიმზიდველად მოთხრობილ ამბებს, რომლებიც იმით მთავრდება, რომ „შვიდაცას“ მონაწილეები აყალიბებენ კიათურის მალაროებში პირველ კომუნისტურ ბრიგადას.

ამ დაუმთავრებელი რომანის პირველი წიგნი 1961 და 1962 წლების მანძილზე იბეჭდებოდა ეურნალ „მნათობში“. ცალკე წიგნად ეს ნაწარმოები ჯერაც არ არის გამოცემული.

ასეთია აქაი ბელიაშვილის მიერ განვლილი მდიდარი და შინაარსიანი შემოქმედებითი გზა. ამ გზის მანძილზე, როგორც ვხედავთ, მწერალმა ბევრი რამ გააკეთა ისეთი, რომ ბრმა შემთხვევას, უეცარ სიკვდილს ვერ მოესპო მისი სიცოცხლე, რომ მას მარადიული ცხოვრება მოეპოვებინა ხალხის მეგობრებაში, მშობლიური მწერლობის ისტორიაში.

ზალვა აუხიძე

სანდრო შანშიაშვილის პოეტური შემოქმედება

ქუთაისის რეალურ სასწავლებელში ვსწავლობდი. აქ მეტი პატივით სარგებლობდა საბუნებისმეტყველო და მათემატიკური, ვიდრე ჰუმანიტარული საგნები. მაგრამ იყვნენ მოწაფეები, რომლებიც მეტ სიყვარულს მხატვრულ ლიტერატურას უთმობდნენ. მაშინ მოსწავლე ახალგაზრდობაში, სხვა ახალგაზრდა პოეტებს შორის, დიდი პოპულარობით სარგებლობდა სანდრო შანშიაშვილი. მისი შემოქმედება ცნობილი კრიტიკოსისა და საზოგადო მოღვაწის კიტა აბაშიძის განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა. კიტა აბაშიძის აზრს კი მოსწავლე ახალგაზრდობა ფართოდ ეხმაურებოდა.

სანდრო შანშიაშვილის პოპულარობას ზრდიდა ის გარემოებაც, რომ მის პოეზიაში ეს ახალგაზრდობა ხედავდა რაღაც სიახლეს. პოეტის სულიერი განწყობილება როგორც ემთხვეოდა მოსწავლე ახალგაზრდობის სწრაფვას, თითქოს ბურჟუაზიულ ოცნებას მშვენიერ სინამდვილეზე; თუმცა ამ ახალგაზრდობას შეიძლება არც კი ქონდა მკაფიოდ წარმოდგენილი, რა იყო მისი ესთეტიკური იდეალი. სანდრო შანშიაშვილის პოეტური სიტყვა მაშინ გამოირჩეოდა თავისებური სიცხოველით და ნაკლებად ემორჩილებოდა ეპიგონობის ტალღას, რაც წალეკვით ემუქრებოდა ქართულ პოეზიას. მასსოვს რა ფართო გამოხმაურება ჰპოვა ახალგაზრდა მკითხველთა შორის სანდრო შანშიაშვილის ლექსების პირველმა პატარა წიგნაკმა „სევდის ბაღის“ სახელწოდებით, რომელიც 1909-1910 წლებში გამოიცა. ეგონებ, წიგნში შეტანილი

ლექსები სევდიან, მინორულ განწყობილებას ქმნიდნენ მკითხველებში. მახსოვს, ეს ლექსები უმთავრესად უმღეროდნენ ყვავილთა სამყაროს და მათგან მოდიოდა ვარდის, ზამბახის, სოსანის, სუმბულის ნაზი სურნელება.

სანდრო შანშიაშვილი პოეტურ ასპარეზზე თას ცხრაას, ხუთიან წლებში გამოვიდა. ამით იხსნება ის გარემოება, რომ ამ წლის ქარიშხალი ხშირად იჭრება მის ლექსებში, ავტორის ოცნებაში ხშირად გაიფრებებს „ცივი ხანჯალის“ შეჭი და ის (ავტორი) ხალხს მედგარ ბრძოლისაკენ მოუწოდებს, რადგანაც მას „თავისუფლება სწყურია“. ლექსის გამო, რომლის სახელწოდებაც „1905 წელი“ და რომელიც 1905 წლის რევოლუციის ზეგავლენით არის დაწერილი, სანდრო შანშიაშვილი დააბრუნებულ იქნა და სამი თვე ჩასვეს მეტეხის ციხეში. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ 1905 წლის რევოლუციამ დიდი სულიერი ძვრები გამოიწვია არა მხოლოდ ახალგაზრდა სანდრო შანშიაშვილში. პოეტების მთელი პლეადა, რომლის მებაირახტრედ ირ. ვედოშვილი ითვლება, დიდი იმედებით მიეგება პირველ რევოლუციას და რწმენაც გააღვივა ხალხში, რომ არსებულ სოციალურ უკუღმართობას ბოლო ეღებოდა. ასე რომ სანდრო შანშიაშვილის დემოკრატიზმი ცხადია, არ იყო უჩვეულო მაშინდელი პოეზიისათვის. ამ მხრივ მისი შემოქმედება საერთო მდინარების გამომხატველი იყო. ჩვენს თაობამდე კიდევ გარკვევით აღწევდა იმ ლექსის სტრიქონების ექო, რომლებიც სანდრო შანშიაშვილმა წინამურის ტრაგედიის ზეგავლენით დაწერა. როგორც ცნობი-

ლია ამ ტრაგედიაში დიდი გარდატეხა მოახდინა ჩვენს ხალხში; იგი არა მხოლოდ შეაშფოთა, არამედ კიდევ უფრო დარაზმა და შეამკვიდროვა ეროვნული იდეალის გარშემო; მასში ეროვნული თვითშეგნება გახარდა. კიდევ უფრო ნათელი გახდა, რომ დიდი ილია „ნაფოტს“ როდი წარმოადგენდა, არამედ ის იყო ერის მამა, მის ეროვნულ სწრაფვათა მესაიდუმლე და ზრახვათა მატარებელი. ილიას მკვლელობამ მთელი ხალხი შესძრა, ფეხზე დააყენა, და ამ ხალხის გულსწყრომაც და რწმენაც აკაციმ გამოხატა. ხალხის აღშფოთების ხმა გაისმა უკვე საკმაოდ ცნობილი ირ. ევდოშვილის ლექსებში. ხალხის გლოვა და უსაზღვრო მწუხარება დაუდგა საფუძვლად სანდრო შანშიაშვილმა თავის ლექსს სახელწოდებით „იგლოვეთ“, რომელმაც ერთბაშად გაუთქვა სახელი მის ავტორს. ლექსში მართლაც იგრძნობოდა ხალხის გოდება და ისმოდა მისი ქვეითი.

მზეო დაბნეული, ნულარ გვინათებ!
ვარსკვლავო, მოსწყლი ცისა კამარას!
უგებურებმა უწყალო ხელით
მოუკლეს შვილი ობოლ ქვეყანას.

შემდეგ სტრიქონებში კი პოეტი მოუწოდებდა ხალხს ცრემლთა ღერისა და გლოვისაკენ. ლექსის განწყობილება კარგად დაემთხვა ხალხის. სულიერ შფოთვას და ამიტომ გახმაურდა იგი მაშინ ასე. ინტერესმოკლებული არ იქნება თუ აღნიშნულ ლექსთან დაკავშირებით გაეხსენებთ დავით კასრაძის მოგონებას ილიას მკვლელობაზე. აი რას სწერს ავტორი: „იმავე დღეს დაიბადა ახალგაზრდა პოეტი, რომელმაც საქართველოს გლოვის ზარს მეტად მარჯვედ დაუწყაო რეკვა“. ეს იყო სანდრო შანშიაშვილი, რომელსაც ბედმა არგუნა პირველი გამოსვლა ამ მძიმე მომენტში და ისიც მოზარის როლში. სანდროს ლექსი „ისარში“ მოათავსეს პირველ სექტემბერს.

დიდი იყო ლექსით მოხდენილი შთაბეჭდილება. გაზეთს იტაცებდნენ. ერთმანეთს უკითხავდნენ. იცრემლებოდნენ.

ყველანი აღიარებდნენ, თუ რამ შენედა დიდი ადამიანის დატირებმა „მკვიშარმა“ დეულად.

„ქაბუკი პოეტი კი მწყობრად გამოთქვამდა მთელი ერის თავზე დატეხილ უბედურებას...“

სანდრო შანშიაშვილს თავისი შემოქმედება არ დაუწყია დასახელებული ლექსით („იგლოვეთ“). მისი პირველი ლექსები დათარიღებულია 1905 წლით. ამ ლექსებში ხაზგასმულია არსებული სოციალური უსამართლობა და მასთან ბრძოლის აუცილებლობა. თუ აკაკი იმედით ელოდა დროს, როცა ამირანი ჯაქვს გაწყვეტდა, ახალგაზრდა პოეტი სანდრო შანშიაშვილი დარწმუნებულია, რომ „ამირანს ჯაჭვი გაუწყვეტია“ და იგი (ამირანი) „ჩვენ შორის დაჰქრის, ვით ელვა მალი, ხელში უქირავს შიშველი ხმალი“!

ამ დროს დაწერილ სხვა ლექსებშიც ახალგაზრდა პოეტი ილიას, აკაკის და ვაჟას ტრადიციებს აგრძელებს. ლექსებს მებრძოლი სულისკვეთებით ავსებს. თუ ერთ ლექსში („ბრძოლის სიმღერა“) იგი მოწოდებით მიმართავს ახალგაზრდობას: „ყრბანო, მებრძოლნო, აღმართეთ ხმალიო“, მეორე ლექსში („ზღვა“) იგი ოცნებობს იმაზე, რომ არ დაცხრეს ზღვა, როცა „ირგვლივ წყვდიადი გამეფებულა“, ხოლო მესამეში („ფოთოლი ფოთოლს“) ავტორი სურვილს გამოთქვამს, რომ „ცამ უკანასკნელად დაიქუხოს“ და „ჩაგრულთ ტანჯვა შეუშუბუქოს“. სანდრო შანშიაშვილის ამდროინდელი პოეზია (1905—1907 წწ.) არსებითად მომწოდებლური ხასიათისაა, იგი გულწრფელად უმღერის თავისუფლებას, ძმობას, ბრძოლას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დროდადრო მის ლექსებიდან გამოკრთის სევდიანი განწყობილება.

საყურადღებოა ლექსი „გწამდეს ოდესმე შურს იძიებენ“, რომელიც სანდრო შანშიაშვილს თბილისის საგუბერნიო ციხეში ჯდომის დროს დაუწერია. ეს ლექსი მართო იმით როდია მნიშვნელოვანი, რომ იგი ბიოგრაფიული ხასიათისაა. ლექსი, რომელიც 1908

წლით არის დათარიღებული, გვაცნობს მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების მაჯისცემას, იმ პროტესტს, რომელსაც დემოკრატიულად განწყობილი საზოგადოება გამოთქვამდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. პოეტი ასე ახასიათებს რეაქციის მსვეურთ:

გულო უმადურს გადაეყარე,
ნადირი უფრო ღმობიერია;
გულო, შენც მძულხარ დაძუნჯებელი,
რომ ველარც ტირი, ვერც გიმღერია.

გულგატეხილობის მიუხედავად პოეტი ასე მიმართავს ხალხს:

აღსდექე და როგორც სამსონ ძლიერმა,
შენც შეინარე შენობის სვეტი —
და დაიმარხე იმ ნანგრევებში,
იყან, სოფელი რა ოხერია.
გუამდეს, ოდესმე შურს იძიებენ,
რომ ველარც ტირი, ვერც გიმღერია.

ეს მეტად მნიშვნელოვანი აღსარებაა თუ მხედველობაში მივიღებთ იმ სულ-შემსუთთავ პირობებს, რომლებიც რეაქციის ბატონობისას შეიქმნა. ცხრაას-ხუთიან წლების პოეზიის გაცნობის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია დავასკვნათ: გულის გამანათებელი იმედები და რწმენა შრომის სამყაროს ძლევა-მოსილებაში ასაზრდოებდა არა მხოლოდ სანდრო შანშიაშვილის, არამედ მაშინდელი პოეტების, განსაკუთრებით მათი დემოკრატიული ფრთის წარმომადგენლების შემოქმედებას. ამ მხრივ სანდრო შანშიაშვილის პოეზიაში თითქოს ახალი არაფერი შეიმჩნეოდა. ცოტა რამ იყო ახალი თვით ლექსის აღნაგობაში. გამოჩენილმა პოეტმა ტიცთან ტაბიძემ, რომელსაც სანდრო შანშიაშვილს ორი შესანიშნავი ლექსი მიუძღვნა, მას (შანშიაშვილს) ასე მიმართა:

ჩვენ საუკუნეს მოსდევია მხარი
და კრეტსამბელი ჩამოაბივ,
ხარ პოეზიის ირემ-ხარი
და სადღეგრძელოც შენთვის ახია.

ამრიგად სანდრო შანშიაშვილს პოეტმა ჩვენი საუკუნის კრეტსამბელის

ჩამომხვევი უწოდა. უნდა აღინიშნოს, რომ სიმბოლისტების ჯგუფის წევრებში სანდრო შანშიაშვილს ახალი კრეტის ერთ-ერთ დამწყებს ეძახდნენ. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამის საბაბს მათ აღეუვდა ახალგაზრდა პოეტის გაუბედავი ძიება რაღაც ახალი გზებისა პოეზიაში; ცდა ახალი პოეტური აქსესუარების გამოყენებისა ლექსში, მისი პოემები, რომლებიც ბერძნულ მითებზე იყო აგებული, დრამა „ბერლო ზმანია“, ინდივიდუალიზმის სიოს ქროლევა, რომელიც შეიმჩნეოდა მის ადრინდელ ლექსებში. შემდეგში წლების მანძილზე სანდრო შანშიაშვილმა თავისი ხარკი მოიხადა დეკადენტური პოეზიის წინაშე. ეს ლექსები, რატომღაც ავტორს აღარ შეუტანია თავის ნაწარმოებთა ტომეულუბში, მაშინ, როდესაც პოეტის შემოქმედებითი ბიოგრაფიის, მისი შემოქმედების ევოლუციის გასაცნობად აღნიშნულ ლექსებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ.

სამწუხაროდ, მე არ ვიცნობ სანდრო შანშიაშვილის ფერწერულ სურათს. მაგრამ ცნობილია მისი სურათი, რომელიც ჩვენმა გამოჩენილმა პოეტებმა გიორგი ლეონიძემ, ტიცთან ტაბიძემ, და არა მარტო სანდრო შანშიაშვილის არამედ მთელი ქართველი ხალხის გულწრფელმა მეგობარმა ნ. ტიხონოვმა შექმნეს. ამ ლექსებში აღდგენილია სანდრო შანშიაშვილის სულის, შეიძლება ითქვას, დასრულებული პორტრეტი. გადმოცემულია ის თვისებები, რომლებიც სანდროს შემოქმედებას ახასიათებენ: არა მხოლოდ სანდრო შანშიაშვილის პიროვნება და მისი შემოქმედება, არამედ მისი სოფელი ჯუგაანიც კი გახდა შთაბეჭებითი იმავე ნ. ტიხონოვისა და ირაკლი აბაშიძისათვის. მხედველობაში მაქვს ბრწყინვალე ლექსები, რომლებიც გამოჩენილმა პოეტებმა დაწერეს სანდროს მშობლიურ სოფელზე. ნ. ტიხონოვი არა ერთხელ ყოფილა ჯუგაანში გულზე მასპინძელ სანდროსთან. კახეთმა შთააგონა ნ. ტიხონოვს მთელი ციკლი ლექსებისა, რომლებშიც

მან ასეთი მდიდარი საღებავებით გამოხატა თავისი ალტაცება და გულწრფელი სიყვარული ჩვენი ხალხისადმი, ჩვენი ქვეყნის განუყოფელი ბუნებისადმი. სანდროს სახლის აივნებიდან იშლება დაუფიქარი სურათები, რომლებმაც ტიხონოვს ათქმევინეს:

Тогда с хребта слетал огнистый глянec,
Все подменив деталью бытовой,
Как будто утро отдало румянец
Спокойствию хозяйки молодой.

(ეს ახალგაზრდა დიასახლისი არის სანდრო შანშიაშვილის ცხოვრების მეგობარი, მისი შეუღლე მარო, რომელმაც, როგორც სანდროს, ისე ტიხონოვის მიერ მისადმი მიძღვნილი ლექსებით თავის ადგილი დაიკავა ქართულ პოეზიაში. ამ ლექსებზე ქვემოთ გვექნება საუბარი).

მინდა გავიხსენო გიორგი ლეონიძის ლექსი „სანდრო შანშიაშვილს“. ლექსის ავტორი სანდროს ასე მიმართავს: „კახურ ყამირის ყვავილნი დასხდნენ შენს წიგნში ლექსებად, ლექსით დაკოცნე სამშობლო, დღეს შენ რომ გვალერსება! ადიდე ქართლი, კოლხეთი, ალაზანი და ჩიონი, ხალხი და დიდი სამშობლო, დღეები სანატრიონი“. ეს ლექსი დაწერილია 1948 წელს, სანდრო შანშიაშვილის სამოცი წლისთავზე. მშობლიურმა ხალხმა ამ წელს თავის ღვაწლმოსილ პოეტს იუბილე გადაუხადა იმის გამო, რომ ერთგულმა შეიღმა იგი „ადიდა და ლექსით დაკოცნა სამშობლო“.

ტიციან ტაბიძისათვის, რომლის პოეტური ალლო და გემოვნება ექვს არავისში იწვევდა, ახალი ქართული პოეზიის ერთ-ერთ ფალავანს ყოველთვის წარმოადგენდა სანდრო შანშიაშვილი, უყვარდა სანდროს ლექსების კეთილშობილებს, მაღალი ზნეობრივი პათოსი და მშობლიური მიწის ის არომატი, რომელსაც მისი აზრით ეს ლექსები გამოსცემდა. ტიციან ტაბიძემ სანდრო შანშიაშვილს ორი ლექსი მიუძღვნა: „იბრაალის“ და „გომბორის მთაზე“. პირ-

ველ ლექსში ტიციანმა გამოხატა ტისფერყანწელთა პოეტური სიმბავეები შანშიაშვილისადმი, მათი პოეტური ხაზი, ამდენად ეს ლექსი პოლემიკური ხასიათისაა, ავტორისათვის მიუღებელი იყო ქალაქური ეარგონით დაწერილი აშუღური. ასეთ პოეზიას იგი „პოშილ-აქურს“ უწოდებდა. მისთვის ის ლექსი იყო მისაღები, რომელიც უფრო ქალწულებრივი უმანკობით და ვაკეცური ხმით ეღერდა. ამიტომ მიაჩნდა მას „სანდრო მთაზე უფრო ერთგულად“ ამიტომ მიმართავდა მას:

არ ხარ მოხუცო, მაგრამ ჩვენ ყრმანი,
მაინც მოვისმენთ გამოუცდელნი,
შენ დაარწიე ჩვენი აყვანი
და სიყვარულის დაგდა უღელი.

ეს ასეც იყო. სანდრო შანშიაშვილს თვლიდა იგი ტისფერყანწელთა აყენის დამრწევად, სანდროს პოეზიაში ხედავდა ნათესაურს, ახლობელს, ახალი ქართული პოეზიის სათავეს. ტიციანის როგორც პირველ, ისე მეორე ლექსში ელავს რძალი ზენარის სახე. თუ პირველ ლექსში ავტორის წარმოდგენით „მშვენიერებით, სიყვარულით, ცეცხლით და ალით შეიმოსა რძალი ზენარი“, მეორე ლექსშიც, „რძალი ზენარი“ მშვენიერებით შეემოსა კალთები კახეთს“. ამ ლექსშიც („გომბორის მთაზე“) ავტორი კიცხავს აშუღურ პოეზიას და თვლის, რომ სამებას (თვითონ ავტორს, სანდრო შანშიაშვილსა და გიორგი ლეონიძეს) სხვა სათქმელი აქვს.

ვინ არის ეს „რძალი ზენარი“ რომელიც ასე ხშირად გვხვდება სანდრო შანშიაშვილის პოეზიაში და რომელმაც ტიციანის ყურადღება მიიპყრო? საქმე ის არის, რომ ლექსი „რძალი ზენარი“, რომელიც 1912 წლით არის დათარიღებული, წარმოადგენს სანდრო შანშიაშვილის შემოქმედების ერთ-ერთ შედეგს. სანდრო შანშიაშვილის პოეზიაში საკმაოდ ხშირად გვხვდება ეს ლექსები. მოცემული პოეტური სახის გაშიფრვის საშუალებას გვაძლევს ლე-

ქსი „სად მიჰქრის მხედარი“ (1905 წ.)
პოეტი ამბობს:

„იქ რძალი ზენარი სარკმელთან ზის,
გაყურებს მიდამოს მწარედა სტირს,
რა ნაღველა შეჰყრია, რა სვედა სტირს?
— მიყნურსა მოსტაცეს, ტყვე არის ის!

ამ შემთხვევაში რძალი ზენარი მოგ-
ვაგონებს ნესტან დაჩეჯანს, რომელიც
ქაჩეთს არის დამწყვედელი, მერვე
ლექსში „ხალხს“ პოეტი ზენარს უკვე
ასე მიმართავს: „მიყვარხარ, ოდეს გზე-
დავ თამაშს, ჩვენს ტურფა ზენარს,
გრძნობით, სიცოცხლით დაუცხრომელს
და მოუსვენარს“. ორივე შემთხვევაში
რძალ ზენარად პოეტს წარმოდგენილი
ჰყავს მშობლიური ქვეყანა, უფლება-
ყრილი თავისუფლება წართმეული
ხალხი, ან ოცნებით წარმოდგენილი
მშვენიერებით იდეალი.

თავის ქვეყანას, თავის ხალხს უმღე-
რის შთაგონებული პოეტი თავის აღსა-
რებასავით გულწრფელ, სურნელოვან
ლექსში, „რძალი ზენარი“, რომელიც
მის პოეზიაში ერთ-ერთ მწვერვალს
წარმოადგენს. მე ეს ლექსი ყოველთვის
მაგონებს „ქებათა ქებას“, ასეთ ასო-
ციაციებს იწვევდა ტაბიქში ეს ლექსი,
როცა წერდა: „მშვენიერებით შეიმოსა
რძალი ზენარი, მშვენიერებით შეიმოსა
შენი სულამით“. ამ შემთხვევაში რძა-
ლი, ზენარი შეიძლება იყოს პოეტის
„ხორცშესხმული ოცნება“, რომელიც
განუყრელია მის სულთან“, შეიძლება
იყოს რომანტიული ხილვა რაღაც მიუ-
ღწველისა, სილამაზისა, რომლის
მპყრეტელსაც ცნობის ძალა ელევა“. შეიძლება იყოს მშობლიური ქვეყანა,
რომელიც პოეტს ედემად აქვს წარმოდ-
გენილი და რომლის „შიშველ ფეხებ-
საც მთის ყვავილნი ჩუმიად კოცნიან“. ასეა თუ ისე ეს თეთრი ლექსი ჩვენ გვი-
ტაცებს და გვზიბლავს თავისი სინაზით,
უმაინკობით, უმწიკვლობით.

ბიბლიური „ქებათა ქების“ გარჩევი-
სას ვ. როზანოვი სხვათა შორის ამ-
ბობს: „ყოველგვარი მერყეობის გარე-
შე შეუძლია ყველას მიაკუთვნოს „ქება-

თა ქება“ ყნოსვითი იქნება ეს თუ არა-
მატულ ნაწარმოებთა იშვიათ, მცირერი-
ცხოვან ჯგუფს და შემდეგ „სურნელო-
რიტუალური კანონი, რომლის მიხედვი-
თაც შაბათობით ან აღდგომა დღეს
ტრაპეზის უკან მსხდომი ებრაელები
შეისუნთქავენ ღვინის სუნს. საოცა-
რია ეს ყნოსვითი დამოკიდებულება
ღვინისადმი. კითხვაზე თუ „როგორი
შექმნა ღმერთმა სამყარო“ ევროპელი
გიპასუხებდათ „შესანიშნავი“. ებრაე-
ლის აღტაცების კანონი სრულიად სხვა
ხაზით მიიმართება. ის იტყოდა: „ღმერ-
თმა სამყარო შექმნა სურნელოვანი“. „სამყარო არომატულია“. არ შეიძლება
არ შევნიშნოთ, რომ ყნოსვითი დამო-
კიდებულება გაცილებით უფრო ინტი-
მური, მკიდრო და ახლობელია, ვიდრე
ხედვითი დამოკიდებულება. აქ არის
რაღაც, რომელიც საგნიდან საგანში,
არსიდან არსში იღვრება“. ასეთ თავ-
ბრუდამხვევ არომატს აფრქვევს ეს
ლექსიც, რომლის წაკითხვის შემდეგ
შეიძლება ზოგი რამ ბურუსში გახვეუ-
ლიც დარჩეს, გონების ძალით ვერც გა-
შიფროთ, მაგრამ ერთიანად შესძახის
გრძნობადი სამყარო, „სულსა შავად
დაბნელებულს, გულსა დაყოდილს მოჰ-
შორდა სიოს სანეტაროს შობის ედე-
მით“. ამ სანეტარო სიოს ქროლვას
ვგრძნობ სწორედ ლექსის „რძალი ზე-
ნარის“ კითხვისას, რძალისა, რომელიც

ვითარცა ნაძვი ღიბანისა, ვგრე დვას
მარტო,

ვითარცა მთვარე ოქროვანი, ვგრე
ახლდების,

ვითარცა შუქი მთიებისა, ვგრეა ნაზი,
ვითარცა მდელი სიზმარეთის, ვგრე
შლილი...

რძალისა, რომლის „გულის სიღრ-
მეს, ზომავს მხოლოდ სამყაროს სიერ-
ცე“! ყოველი სტრიქონი, სიტყვა, პოე-
ტური სახე ლექსისა პაეროვანია, წმინ-
დაა. სწორედ ასეთია იმავე წელს (1912
წ.) შექმნილი მეორე ლექსი „სინათლის
რძალი“, რომელიც თავისი სახეების
წყობით, ინტონაციური ელერადობით,
რიტმული სვლით ბევრად მოგვაგო-

ნებს პირველ ლექსს. არც ამ ლექსშია არაფერი „ხორციელი“, „მიწიერი“, „ხელშესახები“, „აშუღური“. ლექსის ლირიკული გმირი არის „სიმბოლო“ „განწყენილი ტრფიალებისა“, იგი „ქართლის მნათობია“, რომელიც „ღვთაებრივი დიდებულებით“ კვლავ მოვა. ის არის:

წმინდა, როგორც სიყვარულით
 მიმჭრალი გრძნობა.
 ტბილი, როგორც უიმედო მიჯნურის
 კენესა,
 ტბილი, როგორც ჩემი ნატვრა
 შეყვარებულის.
 წმინდა, როგორც ტანულ გელის
 გამოძახილი.

ასეთი ამაღლებული გრძნობით, სულიერი შეგებითა და სიხარულით არის გამთბარი მთელი ლექსები, რომელთა გმირიც ამოზრდილია „თეთრ ზამბახად, ერის საუნჯედ“, რომლის სადიდებლადაც პოეტი მღერის ლოცვას და „საღამოთი მის მოგონებას ეხუტება“. თავისი განწყობილებით, პოეტური სახეების წყობით და მეტაფორული თქმებით ეს ლექსები მკაფიოდ გამოირჩეოდნენ თავის დროზე და უფლებას იძლეოდნენ მათი ავტორისათვის ახალი პოეზიის ერთ-ერთი დამწყების სახელი ეწოდებინათ. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ამავე წლებში სანდრო შანშიაშვილი ქმნიდა ლექსებს, რომლებშიც უფრო საზოგადოებრივი მაჯისცემით, პატრიოტული გზნებით გამოირჩეოდნენ. სამშობლო მას წარმოდგენილი ჰყავდა როგორც ტყვე, რომლის „გზანი დაბნულია“, რის გამოც გაისმის „ზოგჯერ გლოვა, ზოგჯერ ზარი“. პოეტის საზოგადოებრივი რწმენა გამოთქმულია ლექსში „მიყვარს ცხოვრება“. საგულისხმოა, რომ პოეტისათვის სავსებით მიუღებელია „მყუდრო ტბა და ქაობი“, რომელიც აჩენს ობსა და ხავსს. მისი საზოგადოებრივი იდეალია „შექმნას და შექმნილი გადააკეთოს“ მისთვის მისაღება მხოლოდ „ცხოვრება მოუსვენარი, ვით ზღვა მჭუხარე, მარად მღელვარი, თამამად სცემდეს ოცნების

ფრთენი“, და „ცხარე ბრძოლაში დალიოს სული“.

სანდრო შანშიაშვილი არის მოამწიერე ქართული პოეზიის კორიფეებისა: ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა, ვაჟა ფშაველასი. ახლოს იცნობდა და პატივმცემელი იყო იროდიონ ევდოშვილის მშფოთვარე მუზისა. 1910 წელს, როცა, დაპატიმრებული ევდოშვილი ვოლგდნის გუბერნიის ჩერნიგოვოდსკში გადასახლეს, სანდრო შანშიაშვილმა მას მიუძღვნა ლექსი, რომელშიც პოეტის კარგი სურათი დახატა. ლექსში ევდოშვილს მეგობარს უწოდებს და მას წარმოგვიდგენს როგორც თავდადებულ მებრძოლს და მამულიშვილს, რომელიც არ იყო „ჩივილს ჩვეული“ და არც „თვლით ცრემლი, გადმოუღვრია“. პოეტს სწამს, იქ შორს გადახვეწილ პატიმარს ანუგეშებს, რომ ზოგჯერ მაინც „ოცნება ტბილი გამოგოჭროლებს, დავესიზმრება სხვა მომავალი, — ის გაანედლებს შენს დამკჳნარ ფოთლებს“.

სანდრო შანშიაშვილს ისეთ ეპოქაში მოუხდა პოეზიის ასპარეზზე გამოსვლა, როცა იძულებული იყო ალეგორიებისთვის, მოიარებით აზროვნებისთვის მიემართა, მკითხველს კარგად ესმოდა, თუ ვინ ჰყავდა მხედველობაში, როცა პოეტი წერდა:

ერთი შეხედვით, რა ტურფა და
 მომხიბვლელი
 მარტოა, ობლად არაინ ჰყავს რაინდი
 მცველი,
 ვინც ჰყავდა, უნდოდ დაუბოცეს, ჩვენდა
 ვართ მხსნელი,
 ნულარ ვაყოვნებთ, წარიტაცებს მას
 უცხო ხელი!
 შემოკრებით მასთან ჰაბუკი თუ ბერი —
 ჰალარა;
 მეღვრად დასძახეთ, ის ჩვენია, ვრმა
 ახარა
 ნაცნობ ვარდისკენ მოგიწოდებთ ჩემი
 ნალარა.

ასეთ მოწოდებებში ახალი არაფერი იყო. მაგრამ რეაქციის წლებში მათ ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი ჰქონდათ, ხალხში იმედი და მომავლის

არქმენა შექქონდათ, ხელს უწყობდნენ ერში „სამხიარულო ალამის“ აფრიალებას. პოეტის ოცნება იყო „ჩვენი ტურფა, ჩვენი ზენარი“ ეხილა თავისუფალი. შანშიაშვილის პოლიტიკური იდეალი უფრო მკაფიოდ გამოხატულია ლექსში, რომელიც მან უძღვნა რუს პოეტს ბალმონტს, უკანასკნელის საქართველოში ჩამოსვლისას. ამ ლექსში პოეტი სტუმარს მიმართავს: „ვიცი, მიხედვები ჩვენს გამოცანას: ქართველი ვერ შლის დიდების ალამს; დღეს შენი ერი სახელს ატარებს, თვის შვილს ან სტანჯავს, ანდა ახარებს, ხოლო ჩემი კი ერთხელ განთქმული, მითხარ რად არის ბედით დათქმული?“ პოეტის ოცნებაა იყოს მისი ხალხი სხვასთან თანაბარი.

სანდრო შანშიაშვილისათვის სავსებით უცხო და მიუღებელია „კინტოს კილო“. არსიანის ხეს, რომელიც საქართველოს სიმბოლოს უნდა წარმოადგენდეს მიმართავს, „არ მოუშვა მომდერალი სპარსულ ჰანგზეო“. არსიანის ხეს იგი რუსთაველის ღეროს უწოდებს და სათაყვანოდ თვლის ვინაიდან მან: „ბრძენი კაცი, უგვირგვინო, ყვარლის მთების ძე, წიწამურში განგმირული შორს არ დაპარხა და მთაწმინდაზე დაამკვიდრა“. მისი მუზა ილიას, აკაკის, მთის არწივის — ვაჟას, წამებულ ევდოშვილის, ნიკ. ბარათაშვილის, გრიგოლ ორბელიანის ორბიტიდან არ გამოდის; სანდრო შანშიაშვილის პოეზია ამოზრდილია მშობლიურ მიწაზე, იგი ამ მიწის ყვავილებით სუნთქავს, მშობლიური ცის შუქით არის განათებული.

არ შეეჩერდები ლექსების რკალზე, რომლებიც თავის დროზე, თუ არ ვცდები შეტანილი იყო მის წიგნში „სევდის ბაღი“ და რომლებმაც მაშინ მათ ავტორს ლირიკოსის სახელი მოუხვეპეს. ეს ლექსები უმღერიან ქართულ ყამირზე გაშლილ ყვავილებს: იას, ზამბახს, ნარგიზს, ვარდსა, სუმბულს, რომელთა „სინანუხს მისი სული ემსგავსება“.

არ ყოფილა ჩვენი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომ მას

ს. შანშიაშვილი ძარღვიან, ხშირად ხორკლიანი ლექსით არ გამოხმხმურებოდა. ხშირად მის პოეზიაში ჩვენი ცხოვრებით გაცოცხლებულ ხალხურ ყოფას, ადათებს, წესებს. მისი ლექსების გმირები — ხალხის წრიდანაა გამოსული. მისი პოეტური ფანტაზიისათვის უცხო როდია პასტორალური ლექსები, რომლებშიც აღდგენილია იდეალიზებული სოფლის ცხოვრება, ყოფა გლეხებისა, მისი მწყემსებისა. მის მიერ დახატული მწყემსი გოგო ბუნების შვილია, რომელიც „უმზერს წყალს ანკარას, ჩამოჯდება იქ თეთრ ქვაზე, უმღერს წყნარად ლილიფარას, მინდვრის ქრელას და დუმფარას“.

არ ვიქნებოდით მიუღდგომელი, თუ არ ვიტყოდით, რომ სანდრო შანშიაშვილს გამოჩენილი პოეტის სახელი მოუხვეპეს არა იმდენად ჩამოთვლილმა და სხვა ლექსებმა, რამდენადაც იმ ლექსებმა, რომლებიც ქართული პოეზიის მშვენიერებას წარმოადგენენ. მხედველობაში მაქვს თუნდაც თავის დროზე მეტად გახმაურებული ლექსი „მუხის დაცემა ჭიაურის ტყეში“. ლექსი დათარიღებულია 1925 წლით. მაშინ ამ ლექსმა ქართველი მწერლების ნაწილში აურ-ზაური გამოიწვია, როგორც მახსოვს მას რაღაც პოლიტიკური ხასიათის ბრალდებაც წაუყენეს. მწერლების ეს ნაწილი სამწერლო ასპარეზზე ახლად გამოსული იყო და გადაქარბებულ ეჭვიანობას იჩენდა. დღეს ეს ლექსი სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებაში პირველ სიდიდის ვარსკვლავივით ბრწყინავს. შეიძლება მას სხვადასხვა ახსნა მოუძებნოს მკითხველმა. როგორ ფონზე იშლება იმ ერთი ბერძენის ტრავიკული თავგადასავალი? ლექსში აღწერილია ჭიაურის ტყე. დიდ მუხასთან „ღველფავს ციხის ნანგრევი“. პოეტის თქმით „აქ ერთხელ ჰერეთს რაინდობა ჰქონდა ნაგემი“, ყოფილა არხი — მელიორაციულ ნაგებობათა მეტყველი ნაშთი, ახლა კი ირგვლივ მდუმარება სუფევს. მუხას რომ ენა ჰქონდეს, ის „ამბავს გადმოაფენდა, თუ მეომარი

მასთან ღამეს როგორ ათევედა“. ასეთია ლექსის ისტორიული ფონი. ახლა კი: „ხავსმოდებულ ტევებს დარევიან მსუენავი ფითრი; წურბელის ჰანგით ჩარქობია, ჰამს, ძღება დალით, შემამფოთებლად ქუღავავენებს შემოდმილ ღამით“. ეს პოეტური სახეები და საერთოდ ლექსის ფაქტურა საბაბს გვაძლევს მუხაში წარმოვიდგინოთ საქართველო, რომელიც ერთ დროს მარჯვედ იგერიებდა შემოსეულ მუმლს, უძლებდა თავსდატეხილ გრგავლებს: შემდეგში კი, დროთა ვითარებაში, მსუნავი ფითრის მსხვერპლი გახდა. შეიძლება ლექსს ასეთი ზოგადი ხასიათი მიეცეთ. შეიძლება მისი შინაარსი კონკრეტული სახითაც წამოვიდგინოთ, რამდენმა დრომ განვლო ამ ლექსის დაწერის შემდეგ! სულ რამდენიმე ხნის წინათ შევხვდი მის ავტორს, ცნობისმოყვარეობით შევეკითხე: „სანდრო, რა აზრი უდევს საფუძვლად ამ შენს ლექს-მეტქი“. „არაფერი ისეთი“ — მიპასუხა. „ლექსი დაწერე ნამდვილად მომხდარ ამბის გამო. ტყეში ვიყავი. მუხა მოვჭერი. ფეხი დავადგი. ეს იყო და ეს“. შემატყო, რომ პასუხმა არ დამაკმაყოფილა. მართლაც რამდენი კერძო შემთხვევა ხდება ადამიანის ცხოვრებაში, თუ ის არ განაზოგადე, გარკვეული შინაარსი არ მიეცი და ისიც საზოგადოებრივი ხასიათისა, ისე რა აზრი ექნება ასეთ შემთხვევას. დაფიქრდა და მიპასუხა: „ილიას მკვლელობა მქონდა მხედველობაში. ის იყო ჩვენი ქვეყნის დედაბოძი, მოუხრელი მუხა, რომელიც უგუნურებმა წამოაქციეს. მისი მკვლელობა ხომ ქონდრის კაცი იყო, რომელმაც სიკვდილი არ აქმარა აზრის ამ გოლიათს და შემდეგ ზედ ფეხით შედვაო“.

ამრიგად მუხის მოჭრის უბრალო ამბავი პოეტმა დიდი საზოგადოებრივი უღერადობის მოვლენას დაუდვა საფუძვლად. და რა ენერგიული, მდიდარი პოეტური სახეებით, მეტაფორებით არის გაცოცხლებული ლექსი. მე ეს ლექსი მიყვარს იმიტომ, რომ ის მოკლებუ-

ლია გარეგნულ პეწს, არ არის გაკრიკლებული, რომ ის დაფარულია ზოგადებით, რომ მისი ძარღვიანი ფუნქციონირება, როგორც მუხისა, მიწის სიღრმეშია წასული. ის მთელი არსებით „მიწიერია“, რაღაც ხალხური ფანტაზიით არის შესრულებული. ალაზანი გველუშაბივით გაწოლილა მზეზე; მუხები ჯმუხი დევებივით დაღარულან ათასი წლებით. მაგრამ რომ უკეთ წარმოვიდგინოთ ლექსის პოეტური სამკაულები, მისი გამომსახველობითი საშუალებანი, უკეთესია მოვიყვანოთ თუნდაც ერთი ადგილი:

ხამი მუნხარი! ხორკლი, ბოყეცი
გამორევა,
ჯმუხი დევები დაღარულან ათასი
წლებით,
გრივალი გრავნას მაგარ ტოტებს,
ვერც კი ვრევა,
მათ შეკურებენ ნორჩი ხენი
ღრმა მოწიწებით.
ანოყიერებს მიწის ქონი კუხიან
ძირკვეს,
ასუფა მუხა, გაიშობა და სიზმრებს
ირკვეს.

ყოველი ეპითეტი ახალი, ნორჩია და თანაც მდიდარი შინაარსით აღესებული. ყოველსიტყვა თითქოს ახლადშობილია, მიწითა და გრივალთ სუნთქავს, თითქოს მთელი ლექსი მიწის ქონშია ჩაბუთბუთებული. და რითმებიც რამოულოდნელი და ახალია: ალაზანს — თანამგზავრთ, უცხვიერპიროს — იტიროს, წლებით — მოწიწებით, ძირკვეებს — ირკვევს. როგორც ვხედავთ მათი უმრავლესობა დაქტილურია. გვხვდება ალიტერაციებიც: „გრივალი გრავნის მაგარ ტოტებს“, რაც ლექსს მეტ მუსიკალობას ანიჭებს. ვიმეორებ აღწიწნული ლექსი, არა მხოლოდ სანდრო შანშიაშვილის, არამედ საერთო ქართული პოეზიის სამკაულს წარმოადგენს. მისდაგვარი ლექსი ყოველ პოეტს კარგა ხანს ეყოფა საგზლად.

ცნობილია, რა მეგობრული ურთიერთობა არსებობს ნ. ტიხონოვსა და ს. შანშიაშვილს შორის, რამდენი სასიამოვნო დღეები გაუტარებიათ ერთმანეთთან ყოფნით. ნ. ტიხონოვის მრავალი შესანიშნავი ლექსი კახეთით არის შთა-

გონებული; კახეთი ისეა შესული მის პოეზიაში, როგორც მშობლიური მხარე. მრავალი უხილავი ძაფით არის დაკავშირებული საქართველოსთან საერთოდ და კერძოდ კახეთთან. ამიტომ ამბობს იგი ერთ-ერთ ლექსში („გომპორი“): „ჩემთვის ამ მხარეში ყველაფერი ცნობილია, თითქოს მე აქ დავიბადე“. ნ. ტიხონოვის კალამს ეკუთვნის სანდრო შანშიაშვილისადმი მიძღვნილი ერთი ლექსი, რომელიც ასე იწყება:

Представить не могу Кახетин
Я без стихов Шаншиавили,
В какое славное столетие
С какой землей они дружили.

სრული ჰემარიტებაა. მართლაც ძნელია კახეთის წარმოდგენა ს. შანშიაშვილის პოეზიის გარეშე, ისე ორგანულად, უშუალოდ არის იგი აღქმული პოეტის მიერ. მთელი მისი მდიდარი საღებავებით და ნოყიერი მიწით ამ პოეზიაში გაცოცხლებულია კახეთის როგორც მომავადობელი ბუნება, ისე ხალხის ყოფა, მისი ადათები. პოეტი როგორღაც უფრო თავისუფლად გრძნობს თავს კახეთის წიაღში, როგორღაც მეტი ინტიმური ურთიერთობის დამყარებას ახერხებს მასთან. ვასაგებიცაა. უფრო ახლოს იცნობს და განიცდის კახეთის ღვთაებრივობას.

არ მინდა იმის თქმა, თითქოს ს. შანშიაშვილის პოეზია კუთხური პატრიოტიზმით გამოირჩეოდეს. არა. გიორგი ლეონიძე სამართლიანად მიმართავს მას:

ადიდე ქართლი, კოლხეთი,
ალაზანი და რიონი.

მაგრამ ისიც უცილობელია, რომ კახეთი, რომელთანაც მთელი მისი ცხოვრებაა დაკავშირებული, სადაც მან თვალი აახილა, დედის ნანა გაიგონა და რომლის ცის ნამი პირველად ეკუთრა — მისთვის ბუნებრივია, უფრო მახლობელია. ასე უკვდავყო დიდმა ილიამ ყვარლის მთები, აკაკიმ — ქუთაისი, ვაჟამ — მთა და ა. შ.

კახეთის მზის ჩუხჩუხი ისმის მის ლექსებში „რთველი კახეთში“. „შენ მზი-

ნეთის დედაქალაქო“, „კახეთი“ და მრავალი სხვა. ამ ლექსების ავტორისათვის კახეთი — ეს არის, „სამჭურჭეჭრედ უმცხავი თვალითა“, „აქ ალავერდი ჩანს ვარსკვლავად“, „ძუძუს აწოვებს ალაზანს გაღმა-გამოღმა მწვერვალნი“, „წყალნი ეჯერეოგ მორბიან, თითქოს თმას შლიდნენ მხევალინი, შუამთას მოწმენდილია, დაბლა კვესავენ ელვანი“, ავტორი გულს გვიხსნის და აღსარებას ამბობს. აღსარება კი ყოველთვის გულწრფელია. იგი კახეთით მოხიბლულია იმიტომ, რომ კახეთი მისი სულის სიამაყეა, იმიტომ, რომ:

მან მე ნანა მივკლობა,
მან შემოირო ცრემლი ცხარე!
იქ ყრმა პირველ შევხაროდი
ვარდ-ზამბახებს ნორჩის გრძნობით.

პოეტს უყვარს ნ. ტიხონოვის „ლექსი ფერადი“, რომელიც ენთება და ეყრება კახეთს მარგალიტებად. უყვარს ყველა და ყველაფერი, რაც კახეთის სილამაზეს ადიდებს და ნათელს ფენს.

სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებაში უცილობელი აღიარებით სარგებლობს მისი ცნობილი ლექსი „კახეთის დედოფალი“, რომლის წაითხვისას არ შეიძლება არ გავვლიდომ და სული ღებნამ არ შეიპყროს. ეს არის ერთი დღეთავებელი ხობტა სიცოცხლისა, ადამიანის გულის აღზევებისა და ზეიმისა, ადამიანისა, რომელსაც სიცოცხლე თავდავიწყებით უყვარს, უხარია რომ სუნთქავს დედამიწის ყველა ყვავილით, რომ სამყაროში პოულობს მხოლოდ სილამაზეს, ღრმა აზრს. ამ ლექსის კითხვისას მე წარმომიდგება ხოლმე დღესასწაულები, რომლებიც იმართებოდა ძველ საბერძნეთში ღმერთ დიონისოს პატივსაცემად. ვკითხულობთ, „კახეთის დედოფალს“ და ჩვენ წინ იშლება ხალხური ზეიმის თვალწარმტაცი სურათი, ვგრძნობთ ამ ზეიმის წარმართული ტალებების მოწოლას. ისე როგორც ელივისინის დღესასწაულებში, ამ ლექსშიც მთავარ როლს ასრულებენ: დვინი, აკიდოები, კუნწულები, თხისწვერება გონჯა, რომელიც „გაღელილი, დაკვალთუ-

ლი დედოფლის წინ დაბარბაცებს“. თითქოს დიონისური დითირამში გვესმოდეს, ისე არიან ლექსის მონაწილენი აღგზნებულნი უკიდურესობამდე. „დედოფლის საფერავის ბნელ თვალბეჭდებში ამხედრებებს ეინი ლამობს“. „ქალარა გრძნობამოქარბებულს სურს ნავარდი, სურს თამაში, შესაშოსი განიძარცვა — სამკაული და მარმარილო“ და რა პოხიერი ცოცხალი საღებავებით არის შემდეგ აღწერილი თვით ლზინი: ლექსის ყოველ გმირს ავტორი თითქოს ხატავს რუბენის თამაში ფუნჯით, ღია ფერებით, აჯილდოვებს მათ სიცოცხლის ღრმა სიყვარულით, ზორციელი სისავსით. ზეიმში ვადის მთელი ღამე. ვენებანი ცხრებიან, თუმცა ლზინი ისევ გრძელდება. მონარჩარდა განთიადი და:

გრილმა სიომ მალა მთიდან
ზეიმისკენ მოაშურა
ზოგს მაყრიონს მიეძინა
და ზოგს თვალი შეღვლია,
ზოგნი ისე ქეიფობენ,
მორიგობს ღვინით ველა.

მარტო ერთი გონჯა ატუხულა ხესთან. ეს არის სატირი მძიმე ტანჯვით დათუთქული, რომელიც სევდით შეპყრობილია, მის „ცრემლთაგან გუბე ღგება“. რა დარდი ზრავს მის გულს? განადიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ის დედოფალთან ცეკვავდა და თავს ბედნიერად გრძნობდა? რა მოხდა? ავტორი პირდაპირ არაფერს გვეუბნება იმ მიზეზზე, რამაც გონჯას სულიერი წონასწორობა დაარღვია, მაგრამ მიგვანიშნებს კი, გონჯას იმედი ჰქონდა, რომ სასიძო არ მოვიდოდა და დედოფალი მისი იქნებოდა. სასიძო მოვიდა და გონჯას ზეიმსაც ბოლო მოეღო. მისი სტვირი „შემოდგომის უცნობ სევდას გამოსახავს!“ ეს უცნობი სევდა არც ისე უცნობია. ლექსი სევდიანი აკორდით თავდება. ეს ლექსიც ქართული პოეზიის ერთ-ერთ სამკაულს წარმოადგენს. იგი მდიდარია ხალხური პოეტური სახეებითა და, რაც მთავარია, გამოირჩევა სიცოცხლის მიმლეობით, სინამდვილის ოპტიმისტური აღქმით.

არ შეიძლება გვერიდ აფუაროთ ისეთ

ლექსებს, რომლებმაც ქართული სტაქოთა პოეზიის განვითარებაში შეაქვეყნეს როლი ღირსეულად შეამართლეს. მისი ნაწარმოებებია: „ლენინი ჯავშნოსანზე“, „დედისერთა ლენინთან“, „სნაიპერი“ და მრავალი სხვა. ჯავშნომ, რომელიც შრომელებს ანადგურებდა, მას შემდეგ, რაც მასზე ლენინმა ააფრიალა წითელი ღროშა, ცეცხლი მტრისაკენ მიმართა, შესანიშნავი, გულწრფელი და ღრმა გამომსახველი საღებავებით დახატა სანდრო შანშიაშვილმა სამოქალაქო ომის გმირები, რიგითი ადამიანები, გლეხის შვილები, რომლებმაც ოქტომბრის ძღვევამოსილ რევოლუციას თავი შესწირეს. და რა იყო მნიშვნელოვანი ჩვენი ხალხის დრამატიზმით სავსე ცხოვრებაში, რომ მას გამოჩენილი პოეტის კალამი არ გამოხმაურებოდეს! დაწყებული 1905 წლის რევოლუციიდან, მისი მუზა ხალხის კეთილდღეობას, თავისუფლებას, სულის სიფაქიზესა და ზეიმს, ცხოველყოფელ იდელებს უმღერდა და უმღერის, იქნება ეს ლექსებით, პოემებით თუ პიესებით. ცალკე წერილის თემაა სანდრო შანშიაშვილის დრამატურგია, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ასაზრდოებდა ქართულ თეატრს. სანდრო შანშიაშვილი ცნობილია, აგრეთვე, როგორც ეპიკოსი, ავტორი ბერძნულ მითებზე აგებული პოემებისა, რომლებიც ერთ დროს დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ. მაგრამ სანდრო შანშიაშვილი ამ პოემებშიც კი პირველ რიგში ჩვენს ყურადღებას იპყრობს, როგორც მღელვარე ლირიკოსი.

ახლა სანდრო შანშიაშვილი უკვე 75 წლისაა. მან გრძელი და სახელოვანი პოეტური გზა გამოიარა. ეს გზა არ ყოფილა ვარდითა და სურნელებით დაფარული, ისევე, როგორც ყოველი ქვეყნის რიგითი შემოქმედისა. მაგრამ როგორც სიტყვის მხატვარს მას შემოქმედებითი სიხარული მრავალჯერ განუცდია. ვუსურვოთ კვლავაც განეცადოს ეს სიხარული.

ჩვენი მხარე

რა ენა წახლეს

ცნობილია: სალიტერატურო ენის უპირველეს წყაროს ხალხის მეტყველება წარმოადგენს. ამ დებულების საფუძველად გამოცხადდება აზრად არავის მოუხვია. მაგრამ ეს დებულება შესწორებისას, უკეთ — დამატებას საჭიროებს, რადგან იგი არ ითვალისწინებს უკუგავლენას, რომელსაც ხალხის მეტყველებაზე დღესდღეობით ახდენს სალიტერატურო ენა (იგულისხმება, ცხადია, არა მხოლოდ მხატვრული ლიტერატურა, არამედ, მასთან ერთად, სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურა, პრესა, რადიო, ტელევიზია, კინო, თეატრი და მისთანანი). ვასაგები მიზეზის გამო ეს უკუგავლენა ერთობ დიდი მასშტაბისაა.

ძველად ასე არ ყოფილა. ხალხის მეტყველება ნელი ტემპით იცვლებოდა, საუკუნეთა მანძილზე ინარჩუნებდა თავისთავადობას, სალიტერატურო ენა საგრძნობ გავლენას ვერ ახდენდა მასზე. დღესდღეობით კი სალიტერატურო ენა სწრაფად ვრცელდება და ყველა საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს პროცესი მომავალში კიდევ უფრო დაჩქარდება და გაღრმავდება, ესე იგი, უფრო გაძლიერდება სალიტერატურო ენის გავლენა ხალხის მეტყველებაზე.

ამიტომ გვმართებს ამთავითვე მეტი ვიზრუნოთ მომავლის გამო. თუ სალიტერატურო ენას, როგორც შეჭურვის, ისე ვერ მოვუაროთ, იგი შეიმწიკლეება, დაკნინდება, წახლდება, ის კი ხალხის მიტოვებასაც შერყვნის; ხალხის შერყენილი მიტოვება, თავის მხრივ, კვლავ სალიტერატურო ენის განვითარებაზე

იმოქმედებს და, ბოლოსდაბოლოს, ჩვენი თავმოსაწონები ქართული-საგან ხელთ ცოტა რამედა შემოგვრჩება.

ქართული ენის სიწმინდის დასაცავად ერთსა და ორ ქართველ მოღვაწეს არ აღუმაღლებია ხმა, ერთი და ორი სტატია არ დაწერილა. მაგრამ, ჩემი აზრით, მრავალთაგან მცირედნი ჩასწვდნენ ამ საქმის არსებას, მცირედთა შინაშენს უმთავრესი და უპირველესი საფრთხე, რომელიც ენის შეუმწიკვლელად შენახვას ემუქრება.

ამ საკითხის ირგვლივ მინდა მკითხველებს ზოგიერთი მოსაზრება ვავუზიარო.

...

ქართული ენის სიწმინდის გამო საუბარი ლექსიკის სფეროში იწყება და ამავე სფეროში მთავრდება მეტწილად.

აგრე იმითმ ხდება, რომ პირველი შეხედვით მართლაც ლექსიკა შეიძლება მოგვეჩვენოს ყველაზე მეტად შერყენილ უზნად ქართული ენისა. ამის მიზეზი გახლავთ სასაუბრო მეტყველება (განსაკუთრებით — ქალაქის მკვიდრთა და, საერთოდ, ინტელიგენციის მეტყველება), რომელიც ძალზე აჭრელდა ბარბაროზმებით და ზოგჯერ ამაზრზენი მოსასმენიცაა.

ამ ბარბაროზმების წინააღმდეგ ბრძოლაში ინარჩუნება ქართული ენის სიწმინდის დამცველთა უმთავრესი ძალა.

და, აი, აქ წამოიჭრება რამდენიმე ულმობელი კითხვა.

ზედმეტად ხომ არ გვეშინია ჩვენ უცხო ენიდან სასაუბრო მეტყველებაში დანერგილი სიტყვებისა და ხომ არ ვეწინააღმდეგებით ენის განვითარების ბუნებრივ ტენდენციას? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მრავალი სიტყვა, რომლებიც ახლა ბარბაროზმებად მიაგვიჩნია, მომავალში ქართული ენის ისეთივე ორგანულ კუთვნილებად იქცევა, როგორც იქცა მრავლის უმრავლესი ბერძნული, ლათინური, სპარსული, არაბული, თურქული, ებრაული, სომხური თუ რუსული სიტყვა? დაბოლოს, ცუდ სამსახურს ხომ არ ვუწევთ ქართულ ენას, როდესაც ვცდილობთ ხალხის მეტყველებაში უკვე დამკვიდრებული ყველა არაქართული სიტყვა უშუალოდ შევეცვალოთ თარგმნილი, ხელოვნურად შექმნილი ან სულაც მოგონილი სიტყვებით?

გავიხსენოთ, რა ტიპის უცხოური სიტყვები უფრო ვრცელდება ხალხის მეტყველებაში. ძნელი არაა იმის მიხედვრა, რომ არაქართულ სიტყვათა აბსოლუტური უმრავლესობა დაკავშირებულია ქალაქურ ყოფასთან, ქალაქურ ცივილიზაციასთან; სოფლური ცხოვრების ანტიურაჟის ლექსიკური გამოხატვა ქართულში შედარებით მცირე მასშტაბებით შეიცვალა. არც იმის ახსნაა ძნელი, თუ რატომ მოხდა აგრე: საქართველო საუკუნეთა მანძილზე აგრარული ქვეყანა იყო, ქალაქური ცხოვრება (მით უმეტეს—თანადროულ ქალაქურ ყოფასთან დაახლოებული) ამ ქვეყანაში სუსტად იყო განვითარებული და არც იგრძნობოდა საჭიროება შესდგომოდნენ სახელდებას ჩვენში არარსებული საგნების და მოვლენებისა. ქალაქური ყოფის სწრაფად განვითარებასთან ერთად საჭირო შეიქნა უამრავი საგნისა და მოვლენის აღმნიშვნელი სიტყვის გამოყენება. და, რაკი ეს სიტყვები ქართულს არ გააჩნდა, სასაუბრო მეტყველებაში არაქართული სიტყვები დამკვიდრდა.

მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო მთა-

ვარი. უმთავრესი სიძნელე მაშინ დაიწყო, როდესაც ცხოვრების განვითარებამ წამოჭრა ალტერნატიული სიტყვების ენასაც მიეღო ეს სიტყვები, ან კიდევ მათი ქართული ეკვივალენტები მოეძებნა თუ შეექმნა.

მათ, ვისაც ამ საქმის მოგვარება ხელუწიფებოდათ (მხედველობაში მყვანან, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი ენათმეცნიერები და ლექსიკოგრაფები), მეორე გზას მიანიჭეს უპირატესობა. მათივე სასახელოდ უნდა ითქვას, დიდი შრომა გასწიეს, მძიმე და საპატიო სამუშაო შეასრულეს, მრავალი უაღრესად საჭირო სიტყვა აღადგინეს და შესძინეს დღევანდელ სალიტერატურო ქართულს (გავიხსენოთ ერთი შესანიშნავი მაგალითი: ძველ ტექსტებში ნახმარი „მიავლინა-დან“ ჩვენმა ენათმეცნიერებმა შექმნეს თანადროული ყოფისათვის ესოდენ საჭირო „მივლინება“).

ამას ვერავინ უარყოფს. ოღონდ ესაა, ლექსიკის წმინდად დაცვის საქმეში არცთუ იშვიათად ზედმეტი გულმოდგინების მაგალითებიც გვხვდება; უშუალოდ ვცდილობთ ქართული შესატყვისი მოვლენებით ან მოვლენით მრავალ ისეთ არაქართულ სიტყვას, რომელიც სასაუბრო მეტყველებაში კარგა ხანია უცხოური ფორმით დამკვიდრებულია. ეს კი ქმნის ხელოვნურობას, ზშირად უხერხულობასაც, რადგან ჩნდება ბზარი ხალხის მეტყველებაში და სალიტერატურო ენას შორის.

ენა ხელოვნურობას ვერ ეგუება. ახალშექმნილი ან თარგმნილი სიტყვა ბუნებრივად თუ არ ეღერს, ხალხი მას არ იწყნარებს და ისევ ბარბაროზმის ხმარებას არჩევს.

აქ აღიძვრის კითხვა: ვინ არის მსაჯული, ვის ხელუწიფება დაადგინოს—ბუნებრივია თუ არა ქართულისთვის ესათვის სიტყვა ან გამოთქმა? ვიდრე სიტყვას სალიტერატურო ენასა და მეტყველებაში დამკვიდრების სანქცია მიეცემოდეს, ვიდრე ლექსიკონში მოთავსდებოდეს და მოქალაქეობრივი

უფლებებით აღიჭურვებოდეს, მის აკარგაინობას ყოველმხრივ ინილავენ ენათმეცნიერები და ლექსიკოგრაფები. მაგრამ ყოველთვის შესწევთ თუ არა ამ უკანასკნელთ უნარი შეუმცდარი დასკვნის გამოტანისა? არა მგონია. ამას ადასტურებს არაერთი საჩოთირო სიტყვა თუ გამოთქმა, რომლებიც სისტემატურად თავსდება ლექსიკონებში.

მოვიტან რამდენსამე ნიმუშს ამგვარი ხელოვნური, საჩოთირო სიტყვების და გამოთქმებისა (ნიმუშები ამოკრებილია ახალი რუსულ-ქართული ლექსიკონიდან).

თანადაკრა, она аккомпанировала певцу на рояле—იგი მომღერალს თანაუკრავდა როიალზე.

ბენზინის კოლონა (бензоколонка) ნუთუ აუცილებელია ყოველთვის სიტყვასიტყვით ვთარგმნოთ? დამისახველეთ ერთი ქართული, რომელიც იტყვოდა—მანქანა ბენზინის კოლონას მივყენო.

უთანაგრძნობობა (бесчувственность).

თმის თახვურად შეჭრა (стричься бритриком). აქაც სიტყვასიტყვით თარგმნა.

ფეხშიშველურები (босоножки). იმპარს ვინმე ამ სიტყვას, თქმად საჩოთიროს და სასმენად საზარელს?

უსაფრთხო სამართებელი (безопасная бритва).

მეჯავშანსგამატანე (бронбойщик). აზრის წინასწარაკვიატებულობა (предвзятость мысли).

მსგავსი სიტყვები თუ გამოთქმები სასაუბრო მეტყველებაში ვერასოდეს დამკვიდრდება, თუნდაც რუსულ-ქართული ლექსიკონისთანავე ავტორიტეტული გამოცემა აძლევდეს მათ სანქციას. სამაგიეროდ ქურნალ-გაზეთებსა და წიგნებში ყოველ ფეხის ნაბიჯზე წავაწყდებით ამგვარი ხელოვნურობის შეწყნარების ნიადაგზე აღმოცენებულ ფრაზებს:

„ამ პერიოდში ჰქონდა ადგილი დიდ ისტორიულ მოვლენებს“. „...რასაც არ შეეძლო სათანადო გამოხატულება არ

ეპოქა ქართულ ლიტერატურაში“./ ჩატარებულია მუშაობა“. ეჭმე მტრულდის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობების შესწავლა მთლიანად მაინც აშკარად არადაამყამაყოფილებელ მდგომარეობაშია“. „ამ თეორიას ჩვენში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს“. „ღრმა აღტაცება“. „ჩახრახხაძე ერთ-ერთი მსხვილი ფიგურაა ქართულ მწერლობაში“. „პოეტი თვითდაჯერებით ამბობს...“ „ყოველ ნამდვილ პოეტს ცხოვრებასთან თავისებური კეთხილ მისვლა და მისი ორიგინალური გამოხატვა ახასიათებს“. „ამ ეპიზოდებიდან კარგად ჩანს რევოლუციისადმი პოეტის დამოკიდებულების წინააღმდეგობრივი ხასიათი“. „ამ საფუძველზე სწარმოებს მისი განთავისუფლება ბურჟუაზიული ლიბერალიზმის ილუზიებისაგან“ (თუ მეხსიერება არ მდალატობს, ერთგან „თავის მოკვლა აწარმოა-ც“ კი შემხვდა!). „ჩვენი კლასიკოსების შემოქმედებითი და პრაქტიკული აზროვნება, შეიძლება არა თანმიმდევრულს, მაგრამ ძირითადად რევოლუციურ-დემოკრატიულ ხასიათს ატარებდა“. „ახალგაზრდა მწერლის დიდი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ...“ „საქმე იმაშია, რომ...“ „პიესისათვის ამ მეტად საჭირო სახეს მან ვერ მისცა ძლიერი სცენიური ხორცშესხმა“. „ამ იდეას ჩვენს სინამდვილეში უფრო ფართო და ღრმა გაშუქება მიეცა“. „მისი რევოლუციური პათოსი ახლა უკვე სრულ გაქანებას ეძლევა“. „ნაყოფიერი შრომისა და წარმატებითი სწავლის ადამიანები“. „ამ ქურნალისტების გაგზავნის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა...“ „დედუგაცია შეხვდა უღარესად გულთბილ მიღებას“. „მთხიზშმა ვერ ნახა რაიმე მნიშვნელოვანი გავრცელება ბოლშევიკთა შორის“. „მან აიღო მაღალი ვალდებულება“. „შედეგად მშრომელთა ორგანიზაციების როლი“. თანატოლების უმეტესობასთან მუდამ დაძაბულ მდგომარეობაში იმყოფებოდა“. „ამ ლექსებში არის ჩამწვდომობა“. საჭიროდ არ დაინახა ეთქვა რაიმე“. „მას ჰქონდა მუქ-წამწამებიანი,

მუქ-ჭრიალი, დამოუკიდებელი და ოდნავ ცივად გამომეტყველი თვალები და თავმოყვარულად დაწყობილი სქელი ტურნები“. „ის თავმოყვარულად დუმდა“. „განუწყვეტელ მფოთარებაში მყოფი აღამიანი“ „... ხმადაბლა, შემრიგებლურად თქვა ქალმა“. „თქვენ მტკნარ სულელად მიგაჩნევართ“. „ძლიერი უღვაშები“. „ყრუ სიბრაზე“. „ღრმა ცვლილებები“. „მისი ღიმილი არ ჰგავდა სხვათა ღიმილს, რომელიც არაღიმილს შეუმჩნევლად დაერთვის ხოლმე“. „ასეთი ან შესაძლოა არა სავსებით ასეთი ფიქრი და გრძნობა უტრიალებდა თავში“¹.

მომიტვეთ ენათმეცნიერებმა და ლექსიკოგრაფებმა, მაგრამ მათი მისამართით უნდა შევნიშნო: საქმე ბევრად უკეთ წარმართებოდა, უფრო ხშირად რომ აგონდებოდეთ ქართული სიტყვის უპირველესი ქომადანი—მწერლები, მკიდრო კონტაქტი რომ ჰქონდეთ მათთან დამყარებული და მათს რჩევას უფრო ხშირად რომ ათხოვებდნენ ყურს. რადგან, რაც ენათმეცნიერის სმენას სრულიად არ ეჩოთირება, შესაძლოა მწერლის უფრო დახვეწილმა სმენამ არ შეიწყნაროს.

სამწუხაროდ, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ვერც ერთი მხარე ვერ დაიქადის, რომ დიდი ინიციატივა გამოეჩინოს მეორესთან კონტაქტის დასამყარებლად და ქართული ენის უზადობისათვის მხარდამხარ საბრძოლველად.

თქმა არ უნდა, მწერლებიც დიდად სცოდნენ: არასგზით არ სურთ გაითვალისწინონ, რომ ენის განვითარების კანონების, გრამატიკის საფუძვლიანი ცოდნა სულაც არ შებოჰავს მათს შემოქმედებითს აღმაფრენას და რომ ამგვარი ცოდნის გარეშე ისინი ვერასოდეს შეძლებენ აქტიური მონაწილეობა მიიღონ სალიტერატურო ქართულის ნორმების დადგენის პროცესში, ვერ შეძლებენ ითანამშრომლონ ენათმეცნიერებთან და ლექსიკოგრაფებთან.

მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ მწერლები თავის მხრივ ვერასოდეს დათმობენ ზოგი ენათმეცნიერის მიერ საკმაოდ ირონიული ღიმილით და აბუჩად მოხსენიებულ პრინციპს: „კარგად ელერს“. ეს პრინციპი იოლად ხელწამოსაკრავი არ გახლავთ და მისი უარყოფა სწორედ, „თვითმგორავისა“ და „ფეხშიშველურების“ მსგავსი სიტყვებისთვის გზის გახსნას რომ უწყობს ხელს.

ენათმეცნიერთა, ლექსიკოგრაფთა და მწერალთა ამგვარი გათიშულობა კარგს არაფერს გვიქადის. და ეს რომ მართლაც ასეთა, სხვა ტიპის მაგალითებითაც დასტურდება.

უკანასკნელი საუკუნენახევრის განმავლობაში ქართული ენის ლექსიკური მარაგი არაჩვეულებრივად გამდიდრდა, მაგრამ, ამასთან, გაღარიბდა კიდევ. გაღარიბდა იმ მხრივ, რომ დაიკარგა მრავლის უმრავლესი უაღრესად საჭირო სიტყვა თუ გამოთქმა. სამწუხაროა, რომ ეს პროცესი დღესაც გრძელდება, ხოლო კიდევ უფრო დასაანანი ის არის, რომ ყოველი ჩვენგანი ცნობიერად თუ გაუცნობიერებლად ხელს უწყობს ამ არასასურველ პროცესს.

ცნობიერად, რომ ვამბობ, ვგულისხმობ იმ უმართებულო, მიმკერძავ დამოკიდებულებას, რომელსაც ამჟღავნებს ზოგიერთი ჩვენგანი ქართული ენის ლექსიკური ფონდის მიმართ; ხოლო „გაუცნობიერებლად“ იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ხშირად იოლი გზის არჩევა გვიყვარს და, როცა ვწერთ ან ვმეტყველებთ, თავს დიდად არ ვიწუხებთ უმჯობესთაგან უმჯობესი სიტყვებისა თუ გამოთქმების შესარჩევად, ამასთან, ცოტა უფრო ძნელად გასაგებს ან შედარებით იშვიათად ხმარებულ სიტყვებსა და გამოთქმებს მეტწილად ვერიდებით ხოლმე და სწორედ ამით ვუწყობთ ხელს ხმარებიდან მათს ნელნელა ამოვარდნას ან სულაც დაკარგვას.

ცოტა უფრო გამოწველილივით განვიხილოთ ეს საკითხი.

¹ აქაც და ქვემოთაც ყველგან ზედმიწევნით დაცულია მოტანილი ციტატების მართლწერა.

• • •

გზა ძნელი დასადგენია, ვინ იხმარა ჩვენში პირველად საშინელი სიტყვა — „არქაიზმი“. ეს კია, რომ ამ სიტყვამ მრავალი უბედურება დააწია ქართულ ენას. მიეკვრებოდა რომელსამე სიტყვას ან გამოთქმას არქაიზმის იარლიყი და გაათავდა — შემდეგ ჯვაროსნული ომი იწყებოდა მის წინააღმდეგ. ერთი პირობა ისეთი გულმოდგინებით ვებრძოდით ამ „არქაიზმებს“, თითქოს შენიღბული კლასობრივი მტერი ყოფილიყო (მე მგონია არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ ენის კლასობრიობის თეორიამ გვარიანი ბიძგი მისცა ამ გულმოდგინებას).

რა მოხდა? ვინ დაანათლა დღევანდელ ქართულს ეს უკუღმართობა?

უბედურების სათავე ძალზე შორსაა საძიებელი. რუსთაველის ეპოქის მომდევნო ხანაში მომხდარი საშინელი კატაკლიზმების შედეგად მთელ ქართულ კულტურასთან ერთად ქართული ენაც დიდად დაზარალდა (მარტო ის ფაქტი რამდენს მეტყველებს, რომ ამ ხანაში თითქმის გაქრა და მეცხრამეტე საუკუნის სამოციან წლებამდე სპორადულად იჩნდა თავს ენის განვითარების ისეთი მძლავრი ფაქტორი, როგორცაა მხატვრული პროზა). ეგრეთწოდებულ ალორძინების ეპოქაში ამ მხრივ საქმე დიდად არ წაწეულა წინ: ამ ეპოქის მოღვაწეებს, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, იმას თუ მოვთხოვდით, ძველი კულტურის ნამუსრევთა შეკავშირებას ცდილიყვნენ, თორემ ახლის შექმნის უნარი მათთვის ღმერთს არ მიემაღლებინა და ნაკლებ მოსალოდნელიც იყო ახლის შესაქმნელად ზრუნვა იმ თავგზაარეულ საუკუნეებში. მაგრამ მაინც, თუ „ალორძინების“ ხანამ ახლის დანერგვა ან ყოველივე იმის თავმოყრა ვერ შეძლო, რაც რომ „დაცაპარგოდათ ქართველთა“, იმდენი მაინც მოახერხა, ასე თუ ისე არ გაეწყვიტა ორგანული კავშირი ადრეული საუკუნეების კულტურასთან და ამ კულტურის ერთ ძირი-

თად ინგრედიენტთან — ქართულ სალიტერატურო ენასთან. **მარტო** მაგრამ ფეოდალური **საქართველო** ძალზე ჩქარი ნაბიჯით მიდიოდა დაღუპვისაკენ. ასეთ ვითარებაში კულტურული „ალორძინება“ (მაგალითად, ერეკლე მეორის კარზე შექმნილი ატმოსფერო) მხოლოდ ეფემერული, მოჩვენებითი ხასიათისა შეიძლება ყოფილიყო. და, მართლაც, როგორც კი საქართველომ პოლიტიკური დამოუკიდებლობა დაკარგა, როგორც კი სახელმწიფოებრიობა დაემხო, აღმოჩნდა, რომ გამუდმებული ბრძოლით და შფოთით ილაგვაწყვეტილ ქვეყანას არ ჰყოლოდა ისეთი ძალები, რომლებიც ამოქმედდებოდნენ ახალი ვითარების შესატყვისი კულტურის შესაქმნელად, დასახადდნენ ძველის ორგანულად შესისხლბორცვის საფუძველზე მისი განვითარების გზებს და თავებდნენ ერის კულტურული განახლების დიად მისიას. ასეთ პირობებში, ცხადია, თითქმის არავინ ჩანდა სალიტერატურო ქართული ენის დამცველი და შემნახველი. ქართულს ჩამორთმეული ჰქონდა სახელმწიფო ენის უფლებები, სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, სასწავლებლები ქართულს არ იყენებდნენ, არ არსებობდა ქართული პრესა, ქართულად არ იბეჭდებოდა წიგნები და ჟურნალ-გაზეთები, არც სამეცნიერო თუ პოლიტიკური ლიტერატურა, არ იყო თეატრი; ამასთან, ისიც, რაც მხატვრული ლიტერატურის სახით იქმნებოდა და შემდეგ ხელნაწერებად ვრცელდებოდა ან ვთქვათ, სალონებში იკითხებოდა (ლიბრიკული პოეზიის ნიმუშები), რაღა თქმა უნდა, სალიტერატურო ენის დამცველისა და შემნახველის როლს ვერ იტვირთავდა.

ფაქტურად ასე იყო კულტურის ასპარეზზე ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის თაობის გამოჩენამდე. ასე დაირღვა სულხან-საბა-ორბელიანის და გურამიშვილის ეპოქისა და თერგდალეულთა ეპოქის ქართულის (და, საერ-

თოდ, ამ ორი ეპოქის კულტურის) ორგანული კავშირი. და როდესაც ამ კავშირის აღდგენის ეამმა მოატანა, აღმოჩნდა, რომ ქართულ კულტურას ჯერაც არ ჰყოფნიდა ძალები ამგვარი სამუშაოს შესასრულებლად. „სამი სტილის“ მიმდევართა უდიდამო ცდა — ანტონ კათალიკოსის ქართულს მიბრუნებოდნენ, ცხადია, საქმეს ვერ უშველიდა, ხოლო ილიას, აკაკის და მათს თანამებრძოლებს ყოველთვის როდი ეცალათ მსგავსი საკითხებისათვის — მათი ფაქტი უზარმაზარი მასშტაბის პოლიტიკურსა და სოციალურ პრობლემებს დასტრიალებდა და არაადამიანური შრომის გაწევა უზღებოდათ ამ პრობლემათა გადასაჭრელად. კერძოდ, ირგვლივ გამეფებული აბსოლუტური უწიგნურობის პირობებში მათთვის ერთადერთ სწორ გზად ისახებოდა: „მოვიკლათ წარსულ დღეებზე დარდი, ჩვენ უნდა ესდიოთ ეხლა სხვა ვარსკვლავს, ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოფადი...“ ხოლო მთლიანად ქართული კულტურის შესისბლორცებისა და გააზრების გარეშე ეს მყოფადი რომ ვერ იშვებოდა, ამ დიდ ქეშმარიტებას ქართული აზროვნება ცოტათი უფრო გვიან ჩასწვდა.

და მაინც ქართული კულტურის რჩეული მოღვაწენი მუდამ გრძნობდნენ იმ დიდ დანაკლისს, რომელიც ქართულმა ენამ განიცადა მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. გრძნობდნენ და კიდევ ცდილობდნენ ასე თუ ისე შეეგოსთ ენაში გაჩენილი უზარმაზარი ხარვეზი. მაგრამ ამ საქმის ბოლომდე მიყვანა მათს ძალას აღემატებოდა, ეს — მომავალ თაობათა ზვედრი იყო.

აქ უნდა ითქვას ერთი რამ: ჩვენში ზოგჯერ უკუღმართად ესმით ილია ჭავჭავაძისა და მისთა თანამებრძოლთა თვალსაზრისი ენის საკითხზე. რატომღაც ჰგონიათ, რომ ილია ჭავჭავაძე ეგრეთწოდებული ძველი ქართულის წინააღმდეგ იყო ამხედრებული საერთოდ. ამასთან დაკავშირებით იხსენიება „მამათა და შვილთა ბრძოლა“, აგრეთვე ის

ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძემ ხმაკრებიდან გადააგდო დრომღმერთის ხმაკრები.

ამ საკითხს გულდასმით უნდა დაფიქრება. უწინარეს ყოვლისა, არ უნდა აფუროთ ცნებები „ძველი“ და „მწიგნობრული“ ერთი მხრივ და „ახალი“ და „ხალხური“ — მეორე მხრივ. ხალხურ ენას ეყრდნობოდა ქართული ლიტერატურის ყველა თვალსაჩინო წარმომადგენელი უძველესი დროიდანვე, ასე იქმნებოდა ერთიანი სალიტერატურო ქართული ენა, დაწყებული მეხუთე საუკუნიდან (თუ უფრო ადრიდან არა). ზოგან ეს ხალხურობა უფრო მკაფიოდ იჩენდა თავს (მაგალითად, „შუშანიკის წამებასა“ და „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“), ზოგან, ავტორის ინდივიდუალობისდა მიხედვით, — ნაკლებად (მაგალითად, ათონელთა შემოქმედებაში), ზოგან სტილიზაციისადმი სწრაფვამოსპარბდებოდა (მაგალითად, „აბოს წამებასა“, „აბდულ-მესიასა“ და „თამარიანში“), ხოლო სტილის სირთულისადმი სწრაფვის უკიდურესი გამოვლინება ანტონ კათალიკოსის და მისთა მოდასეთა ბნელმეტყველებასა და დვლარჭნილ ქართულსაც წარმოქმნიდა. მაგრამ ანტონ კათალიკოსისა და მისი უბადრუკი მიმდევრების სტილის დანერგვა არ იყო ქართული სალიტერატურო ენის უმთავრესი უბედურება. უმთავრესი უბედურება ის იყო, რომ მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევარსა და მეცხრამეტის პირველ ნახევარში ამ ენას აღარ მოეპოვებოდა ასპარეზი, ფაქტიურად აღარ არსებობდა პროზა, აღარ იქმნებოდა სამეცნიერო თუ სხვა სახის ლიტერატურა, ერთი სიტყვით, კულტურული დეგრადაცია საერთოდ საეჭვოდ აქცევდა ენის ყოფნა-არყოფნის საკითხს. ამიტომაც გაბატონდა ანტონ კათალიკოსის სკოლა! თუმცა „გაბატონდა“ ზუსტად ვერ ასახავს საქმის ვითარებას — საბატონო ხომ აღარავინ იყო. თორემ აბა წარმოადგინეთ მსგავსი სტილისტური მიმართულების გაბატონება კულტურის აღორძინების ხანაში! რატომ იოანე პეტრიწის სტილი ვერ გაბატონდა თა-

ვის დროზე? იმიტომ, რომ პარალელურად იქმნებოდა „ვისრამიანი“ და „ამირან-დარეჯანიანი“, „ვეფხისტყაოსანი“ და სისიტორიო ქრონიკები. პეტრიწის სტილისათვის ერთობ მცირე ასპარეზი-ლა რჩებოდა. სიცარიელეში მეუფეებს გაბატონება არ ეთქმის. აბა ანტონ კათალიკოსის პარალელურად ემოღვაწათ სულხან-საბას და დავით გურამიშვილს (დიახ, გურამიშვილს, რადგან მის ნაღვაწს, როგორც ვიცით, იმ ხანაში არავითარი გავლენა არ მოუხდენია ქართულ კულტურაზე: „დავითიანი“ უცხოობაში დაიწერა და მხოლოდ გვიან შეიქნა ცნობილი საქართველოში), ნიკოლოზ ბარათაშვილს და გრიგოლ ორბელიანს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, ვაჟა-ფშაველას...

რას გულისხმობს ილია ჭავჭავაძის სიტყვები, „მამებთანადი“ მიმართული, რომ ენა „ჩვენგან კი არა, თქვენგან წამხდარა“? ნუთუ ილია ენის წახდენას აბრალებს გრიგოლ ორბელიანს? მაშინ როგორღა აიხსნება მის მიერ არაერთგზის გამოთქმული აღტაცება გრიგოლ ორბელიანის პოეზიით? ან რაღად მოსწონდა მას ასე თავდავიწყებით გრიგოლ ორბელიანზე უფრო „არქაული“ ენით შექმნილი პოეზია ნიკოლოზ ბარათაშვილისა?

არა, ილია ჭავჭავაძეს არაფერი ჰქონდა სადაო გრიგოლ ორბელიანის ენასთან. იგი ედავებოდა გრიგოლ ორბელიანის თაობას, „მამებს“, იმას ედავებოდა, რომ მათ სათანადოდ ვერ უპატრონეს, ვერ დაიცვეს, ვერ შეინახეს ქართული ენა, ხოლო ამ თაობის ზოგიერთმა წარმომადგენელმა მოსასობადაც კი გაიმეტა და „მკვდრის სულარა გადაფარა“ ქართულს. აი, ეს იყო ილიას გულისწყრომის მიზეზი; წინა რამდენიმე თაობის დაუღვევრობის თუ უილაჟობის შედეგად სალიტერატურო ქართული ენა ლამის აღიგავა მიწის პირისაგან. ახალ თაობას დიდი ჯაფის გაწევა მოუხდა მის აღსადგენად, მაგრამ ოდინდელი ბრწყინვალეობა კი ვეღარ შესძი-

ნა, რადგან ეს მის ძალას აღემატებოდა (ქარგად თუ ავად შენახვიანს თავად დიდი საქმე იყო უკვე).

ილია ვერ იწყნარებდა სამი სტილის თეორიას (როგორც ერთიანი სალიტერატურო ენისადმი დაპირისპირებულ მოძღვრებას), ანტონ კათალიკოსისა და მისთა მიმდევართა ღვლარქნილ მეტყველებას, თორემ ძველი თუ ახალი საუკუნეების სალიტერატურო ქართულთან რომ არაფერი ჰქონდა სადაო, ამის უპირველესი საბუთია მისივე პოეზია. სადაც უხვად ვიპოვნით ჩვენს მიერ ზოგჯერ „არქაულად“ მონათლული მეტყველების ნიმუშებს.

აქ ურიგო არ იქნება გავიხსენოთ აგრეთვე ვაჟა-ფშაველას აზრი ენის შესახებ:

„...სწორად გამოიგონია ზოგიერთის ჩვენის მწერლისაგან სამღერავი — დაძველებული, უვარგისი ფორმები ნუ შემოგაქვს მწერლობაშიო. რაც დაძველდა, აღარ ვარგა, ის უნდა გავიტანოთ და სანაგვეზე გადავადგოთ... ამისთანა სამღერავი, რა თქმა უნდა, უმეცრების ბრალია და, ხომ მოგეხსენებათ, უმეცრებასავით თამამი არა იქნება რა. არა მგონია შეედარებოდეს ერთი საგანი მეორეს ისე, როგორც მდინარე და ენა. რითი ჰგავს ენა მდინარეს? იმითი, რომ, რაც ერთხელ მდინარეს გემო და თვისება მიუღია, თუ ხელოვნურად არ მოსტაცე, არ წაართვი, იგი თავისთავად არასოდეს არ დაჰკარგავს... ვისაც ჰსურს ამ მდინარის წყალი იგემოს და დააფასოს, იგი ბოლოში, სადაც მღერივე მოდის, კი არ ამოჰკრეფს, არამედ სათავეს მიჰმართავს... ეს სათავე ენისა გახლავთ ძველთა ნიჭიერ მწერალთა ნაწარმოებნი, ის ქართული თემები, სადაც დღევანდლამდე შენახულა შეუბღალავად, უმწიკვლოდ ქართული ენა.“

ქართულ კულტურას დიდხანს ეყოფა სირცხვილად იმის გახსენება, რომ იყო წლები, როცა ვაჟა-ფშაველას ეს მოსაზრება რეაქციულად გამოაცხადეს.

ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა თუ სხვანი მათნი მოდა-

სენი ისეთ გარემოში აღიზარდნენ, სადაც ჯერ კიდევ მაინც იგრძნობოდა „ძველთა ნიჭიერ მწერალთა“ ენის სუნთქვა. ამიტომაც ფლობდნენ ისინი ბრწყინვალედ ენას. მაგრამ შემდგომ და შემდგომ მდგომარეობა გაუარესდა. მოიშალა ძველებური ოჯახები, სადაც ბავშვებს ნიადაგ უქითხავდნენ „ვეფხისტყაოსანს“, „ქართლის ცხოვრებას“ თუ სულხან-საბა ორბელიანის ქმნილებებს; სასწავლებლებში ხომ ქართული ენა და ლიტერატურა არ ისწავლებოდა; არც ის იყო, რომ მასობრივი ტირაჟით დაესტამბათ ძველი ქართული ლიტერატურის ნიმუშები; ამასთანავე, გამწვავებული სოციალური და პოლიტიკური ბრძოლის ატმოსფეროში ენის განვითარების ნიუანსებზე ფიქრის დრო აღარავის ჰქონდა. და ასეთ ვითარებაში არამთუ ორგანული კავშირი გაწყდა — ნამდვილი უფსკრული გაიჩნდა „ძველთა“ და „ახალ“ ქართულს შორის. ქართველის ყური გადაეჩვია თითქმის ყოველივეს, რაც მეტბრამეტე საუკუნის სამანებს სცილდებოდა, ქართველის ენამ დაივიწყა თითქმის ყოველივე, რაც თერგდალეულთა და მომდევნო თაობების ლექსიკონში არ მოიპოვებოდა. ბოლოს დადგა დრო და აღმოჩნდნენ თეორეტიკოსები, რომელთაც გადაწყვიტეს შეეჩვენებინათ და ქართული ენიდან გაეძევათ ენათმეცნიერება, რაც მათს გაუწიდავ სმენას ენოთირებოდა, რაც არაქართულ ნიადაგზე აღზრდილ პუბლიცისტთა თუ ბელეტრისტთა გემოვნებას არ შეესატყვისებოდა.

ასე იქნა კანონგარეშე გამოცხადებული მრავლის უმრავლესი მშვენიერი სიტყვა თუ გამოთქმა და ლექსიკონებში (თუკი საერთოდ მოხვდებოდა ეს სიტყვები ლექსიკონებში), მათ გვერდით გაჩნდა თავზარდამცემი ეპითეტები: „ძვ.“ (ძველი“, „მომკვლელთა“), „არქ.“ (არქაული“), „წიგნ.“ (წიგნური“). ხოლო როდესაც ისევ ქართულმა მწერლობამ მოიცალა ადრინდელი საუკუნეების კულტურასთან ორგანული კავშირის აღდგენაზე დაფიქრებისთვის,

მას უკვე „თეორიულად“ დამუშავებული და ოფიციალური მწერლობის იერიით აღმკურნელი საბუთებით გადაეღობენ წინ და განუპარტეს, რომ ახალი სალიტერატურო ქართული უნდა ეყრდნობოდეს ხალხურ მეტყველებას, აგრეთვე ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლისა და ვაჟა-ფშაველას ქმნილებებს, ხოლო „უმეტესი ამათსა უკეთურისაგან არს“.

ზემოთაც აღინიშნა და ამჟერადაც ხაზი უნდა გაესვას ერთ საგულისხმო ამბავს: ხალხის მეტყველებისა და სალიტერატურო ენის მიმართების განსასხვავებლად დღესდღეობით ცოტა განსხვავებული კრიტერიუმი საჭირო. არ შეიძლება სალიტერატურო ენიდან გავაძევიოთ და მწიგნობრულად, მოძველებულად, არქაულად მივიჩნიოთ ყველაფერი, რასაც XIX—XX საუკუნეთა მწერლობა და ხალხის მეტყველება არ დაგვიდამსტურებს. რადგან სალიტერატურო ენა დღესდღეობით ერთობ მძლავრ უკუგავლენას ახდენს ხალხის მეტყველებაზე. ეს გავლენა უნდა გავითვალისწინოთ და გონიერულად გამოვიყენოთ. მაშინ შესაძლო შეიქნება მრავლის უმრავლესი სიტყვა თუ გამოთქმა, აწ მოძველებულად მიჩნეული, კვლავ აღდგეს თავის უფლებებში და კვლავ დაინერგოს ცოცხალ მეტყველებაში, კვლავ ხალხის კუთვნილებად იქცეს. საჭიროა მხოლოდ არ უგულვებელვყოთ ეს სიტყვები თუ გამოთქმები. ზურგი არ შევაქციოთ, ან კიდევ წინასწარ არ დავაფრთხოთ ხალხი მათთვის „არქაული“, „მომკვლელთა“, „მწიგნობრული“ იარაღის მინიჭებით. ამგვარი უკუგავლენა რომ მართლაც შესაძლოა, ამას ზემოთ მოტანილი ერთი მაგალითიც ადასტურებს: არსებობდა „მწიგნობრული“, „არქაული“, ცოცხალი მეტყველებიდან გადავარდნილი ზმნა „მიავლინა“. რომლის საწყისი ფორმა — „მივლინება“ — ჩვენმა ენათმეცნიერებმა გამოიყენეს რუსული командировка-ს შესატყვისად. შედეგი თვალსაჩინოა და ფრიალ გამაზარელი:

„მივლინება“ უმალ დაინერგა და გავრცელდა ხალხის მეტყველებაში, ამ სიტყვას ველარაჲინ ამოავდებს ქართული ენის ფონდიდან.

ასევე აღდგა და უკვე დამკვიდრდა (მაგალითად, „რუსულ-ქართულ ლექსიკონში“) **„ზედეთი“** (верх), **„გეთინი“** (сироп), **„შებობირი“** (распутье), **„ნიეთი“** (росинка), **„დაუსადებელი“** (неперерывный) და ზოგიერთი სხვა.

ეხლა ვიკითხოთ: რა იქნება, რომ უფრო გაბედულად აღვადგინოთ და დამკვიდროთ ჩვენს ენაში აწ უკვე არქაულად მიჩნეული ისეთი სიტყვები და გამოთქმები, რომელთა ბადალი ოფიციალურად აღიარებულ სალიტერატურო ქართულს ან არ გააჩნია, ან კიდევ მათ ნაცვლად ხელოვნური თუ თარგმნილი ლექსიკური ერთეულებია გამოყენებული? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ეს სიტყვები ლექსიკონების, წიგნების, ჟურნალ-გაზეთების, რადიოს, კინოს, თეატრის და მისთანათა მეშვეობით ხალხში გავრცელდება და სასაუბრო მეტყველებაში დაინერგება, ისევე როგორც „მივლინება“ გავრცელდა და დაინერგა.

ჩემს თავს უფლებას მივცემ რამდენიმე ამონაწერი გავაკეთო თუნდაც მხოლოდ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონიდან (ადრინდელი საუკუნეების მრავლის უმრავლეს სხვა ძეგლზე რომ აღარაფერი ვთქვათ). მკითხველისათვის ინტერესს მოკლებული არ იქნება ერთხელ კიდევ გაიხსენოს ამ ლექსიკონში მოთავსებული ისეთი სიტყვები, რომლებიც დღესდღეობით მივიწყებულია ჩვენი ლექსიკოგრაფების მიერ და რომელთა აღდგენა და სალიტერატურო ენაში დამკვიდრება სიკეთის მეტს არაფერს მოიტანდა.

აიქვა — აიყვანა მკლავთა.

აღმედად — მხარილივ.

საგულისხმოა, რომ „ქართული ენის განმარტებითს ლექსიკონში“ ეს სიტყვა

8. „მნათობი“, № 5

არაა შეტანილი. სამაგიეროდ არის კიზიური „აღმედად — გენად“.

ანაგული — მატყლის ქაჩანკა

ანაზღეული — მყის, იჩქითი, აწი, ნინი, მალე, მსთვად, არდი, არდფურე, აპა, მსწრაფლ, მუნთქვესვე—ერთი და იგივე არიან, რომელიც სიტყვას გაეწყოს, იგი ჩაურთე.

გაუგებრობა არ წარმოიქმნას: „ანაზღეული“ შეტანილია როგორც განმარტებითს, ისე რუსულ-ქართულ ლექსიკონში. სხვებთან ერთად იმიტომ ამოეწერე, მკითხველისათვის გამეხსენებინა, თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საბა ენაში სინონიმების არსებობას და რაოდენ უმართებულოდაა ჩვენში ხშირად მივიწყებული პრინციპი: „რომელიც სიტყვას გაეწყოს, იგი ჩაურთე“.

ბინარი — სნეული ჩუმად მივარდნილი.

როგორი ნიუანსია, ან როგორ ეღერს სიტყვა!

ბნღუ — მიუმხდარი: სადა დადვას, ვერ პოოს.

ამ სიტყვის აღდგენა აუცილებელია, რადგან რუსულ-ქართული ლექსიკონის „დაბნეული“, „გულმაფიწყი“ და „დაფანტული“ მის შინაარსს ვერ ამოწურავს. განმარტებითს ლექსიკონში ეს სიტყვა შეტანილია, ოღონდ მიწერილი აქვს „ძვ“.

ბორი—ხმელი ნისლი მტერის მსგავსი.

გავეშება — კაცის განშვინება.

გამგუნება — ჩუმი წყრომა მყოვარ.

დაფოღვილი — ძმარი დამატლებული.

დორი — ზურგის მისაყრდენი ბალიში.

რაოდენ საჭირო სიტყვაა, დღევანდელი ბინის რეკვიზიტს თუ გავითვალისწინებთ!

დურდური —უკაფიო წიგნის კითხვა.

ეს სიტყვა განმარტებითს ლექსიკონში შეტანილია. მაგრამ რის მაქნისია განმარტებითს ლექსიკონში შეტანა, თუკი პრაქტიკულად არ გამოვიყენებთ?

ამას იმიტომ ვამბობ, რომ რუსულ-ქართულ ლექსიკონში ნუხნით განმარტებულია ასე: „ბუტბუტი, ბურტყუნი, ბუზლუნი“. კეთილი, მაგრამ როცა კითხულობენ რასმე? კითხვასთან დაკავშირებით არც „ბუტბუტი“ ვარგა, არც „ბურტყუნი“ და არც „ბუზლუნი“; ასეთ შემთხვევაში სწორედ რომ „დურ-დური“ უნდა. საგულისხმოა, რომ სხვაგან განმარტებითი ლექსიკონი „სამაგიეროს უხდის“ რუსულ-ქართულს: „ზედითი“ რუსულ-ქართულ ლექსიკონში შეტანილია, ხოლო განმარტებითში—არა.

ეხი — კლდე გამონახეთქი ჭვავივით.

იალკიალი — ცაში აქა-იქ ღრუბელი.

ეს ვახლავთ *переменная облачность* რასაც სინოპტიკოსები „ცვალებად მოღრუბლულობას“ უწოდებენ რუსულ ქართული ლექსიკონის თანახმად. განმარტებითს ლექსიკონში კი არის ეს სიტყვა.

იშინავა — შინ ხანი დაყო.

არსებობს რუსული გამოთქმა на по-быку. იხილეთ რუსულ-ქართულ ლექსიკონში: „Он приехал домой на по-быку — ჩამოვიდა შინ თავისიანების მოსანახულელად“. არჩევანი მკითხველისთვის მიმინდვია!

იწიწვი — მოწიწვით ხარ.

კავში — ცხოელის ფერხის საოლავე თეთრი.

კორა — ბარის სატერფული.

ლოხი — მძორპძიმე ცხოველი.

შეადარეთ რუსულ-ქართული ლექსიკონის: „Туша — დონდროხა ვინზე“.

მიმოსი — მოთამაშე კაცი, რომელი იქმს საკვირველებათა და ძნელებათა არა გრძნებთა, არამედ ხელოვნებითა.

შეადარეთ რუსულ-ქართულ ლექსიკონში: „Фокусник — მეფოკუსე, ფოკუსების მკეთებელი“.

მიტოჩება — კაცი რომ წაეხიროს სხვის საქმეში, რომელშიც არ ეჭირებოდეს.

მიმთვრალე — მარადის შეღვინებულ.

რუსულ-ქართულ ლექსიკონში გკითხულობთ „Забудлыга—ლოთი, მო-

ქეიფე“. ეს არის ნიმუში იმისა, როცა სათანადო სინონიმის უქონლობა (უკუუგულებელყოფა) დღეს ჩანს: „Забудлыга—ლოთის განმარტებას. Забудлыга—ლოთი. Пьяница — ისევ ლოთი. „მოქეიფე“ საქმეს ვერ შევლის — მოქეიფეა ყველა, ვინც სუფრას უზის და ჭეიფობს. მოსმურნი — ღვინის მსმელნი.

მოღნიშული — თვალად ავი.

მურეშა — წითელ-შავი ზროხა.

ნაენავი — ენით ნათქვამი.

ნაყროანება — უწესო სიმადრე:

ნაყროანი — უწესოდ გამძღომელი.

შეადარეთ რუსულ-ქართულ ლექსიკონში „Обжорство—გაუნაძღრობა, სიმსუნავი, ღორმუცლობა, ავმუცლობა“.

ნაშაში — ზღვაში რა ღელავთა ჩატეხილსა და ხევისავით ჩნდეს წყალი.

უანტი — მცირე რამ სისველე.

შეადარეთ ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში—сырость.

სალბილობელი — ესე არს სნეულთათვის შემრგე და უწყინარი საქმელი.

თავის დროზე მოგვეგონებოდა ეს სიტყვა, კარგი იყო. ესლა „დიეტურს“ ველარავინ გააძევეს.

სამორინე — სახლი მენარდეთა.

შეადარეთ ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში: „მორინე, მორინი — სამორინელი, სათამაშო ფულის წასაგები, ნარდი, ჭადრაკი, игра азартная“. შემდეგ რუსულ ქართულ ლექსიკონში: „Игрный дом — ბანქოს სათამაშო სახლი“.

არჩევანი ამჯერადაც მკითხველზე იყოს: „სამორინე“ სჯობს, თუ „ბანქოს სათამაშო სახლი“?

ყუფილი — ძვალთა და კბილთა ნელიად რკივლი.

რუსულ-ქართულ ლექსიკონში: „Нить — რტხა. წიწკნა: У него зуб ноет — კბილი სრტხს“. მკითხველმა გამოარჩიოს უმჯობესი.

შეტყველვა — ორნივე ხელნი რა ერთად შეჭკრიბო.

შეადარეთ რუსულ-ქართულ ლექსიკონში: „Сложить руки крестом — ხელებს გადაჯვარედინება; сложя руки — გულხელდაკრეფილი“. კეთილი, მაგრამ თუ არც გადაჯვარედინებულია და არც გულს დაკრეფილი, არამედ უბრალოდ შეერთებულია ორივე ხელი?

შუვილი — ფრინველთ ფრენის ხმა.
ცორვა — თოვლსა და მოლზედ ჩაგ-
ლიწევა.

თავად „ჩაგლიწევა“ რაოდენ საჭი-
რო სიტყვაა!

ცუდმავალა — უსაქმოდ მოარული.
„Шалопай — ცულლუტი, უქნარა,
უსაქმური. Бездельник — უსაქმური,
უქნარა, ცულლუტი“; — ვკითხულობთ
რუსულ-ქართულ ლექსიკონში. სიტყვე-
ბის გადასმა-გადმოსმა — „ცულლუტი,
უქნარა, უსაქმური“, „უსაქმური, უქნა-
რა, ცულლუტი“—საქმეს ვერ შევლის და
არც შეიქნებოდა საჭირო, Шалопай
რომ „ცუდმავალად“ განმარტებულიყო.

განწრობი — კორდი წყლიანი ნო-
ტიო.

ქეო — კლდის ნაწყობი.

• • •

ჩვენს ეპოქაში, როცა ყველა პირო-
ბაა შექმნილი ქართული კულტურის
ასალორძინებლად, მეტი ფიქრი გვმარ-
თებს აღრინდელი საუკუნეების კულ-
ტურასთან ორგანული კავშირის აღდ-
გენისა და განმტკიცებისათვის. მაგრამ
ამ კავშირის აღდგენაზე ლაპარაკიც არ
შეიძლება, ვიდრე არ მოვიშლით ერთი-
ანი სალიტერატურო ქართული ენის
დაყოფას „ძველ“ და „ახალ“ ქართუ-
ლად.

„ქართული ენის განმარტებითი ლექ-
სიკონის“ წინასიტყვაში ვკითხულობთ:
„ახალი სალიტერატურო ქართული
ენა ჩაისახა XII საუკუნის საერო
პოეზიაში (შ. რუსთაველი, მეხოტბე-
ები). მეთვრამეტე საუკუნეში მისი ჩა-
მოყალიბება უკვე დამთავრებულია (სა-
ბას „მოგზაურობა“, დ. გურამიშვილი)“.

კადნიერებად ნუ ჩამომერთმევა, თუ
არ გავიზიარებ ასეთ ავტორიტეტულ
გამოცემაში გამოთქმულ მოსაზრებას.

„ახალი“ სალიტერატურო ქართული
ენა შეიქმნა (და არა ჩაისახა!) მაშინ,
როდესაც ითარგმნა „ბიბლია“ და დაი-
წერა პირველი ორიგინალური ნაწარ-
მოებები, ერთი სიტყვით, არაუგვიანეს
მეხუთე საუკუნისა.

„ძველი ქართული“ და „ახალი ქარ-
თული“ პირობითი ცნებებია, რომლებიც
ნიერთა მიერ შეთხზულს სამსახურებთან
ოპერირება მიზანშეწონილია მხოლოდ-
დამხოლოდ მაშინ, როდესაც ენას წმინ-
და საენათმეცნიერო პოზიციებიდან
განვიხილავთ, მაგალითად, როცა
გვსურს დავადგინოთ, თუ რა ცვლილე-
ბები განიცადა ქართულმა მეხუთე სა-
უკუნიდან მეოცემდე:

1. ლექსიკის სფეროში (ზოგიერთი
სიტყვა გადავარდა ხმარებიდან და არ-
ქაიზმად იქცა. მაგალითად, ნუუკვე
(ვაითუ), სახიერი (კეთილი), ცრემლო-
ოდა (ტიროდა), თვალდება (მიცერძო-
ება), ზეგული (დაკლებული), იქცევი-
სი (მბრუნავი), კარაული (სახედარი),
მოყენება (შერცხვენა) და სხვა. ზო-
გიერთმა მნიშვნელობა შეიცვალა. მა-
გალითად, თმობა (გაძლება), ცხედარი
(საწოლი), მღერა (თამაში), განმარტე-
ბული (გამართული, სწორი), არამედ
(მავრამ), პასაკი (სხეული), ცოფი (გი-
ეი), ტაძარი (სახლი, სასახლე), წყობა
(ბრძოლა), ფოლორცი (ქუჩა), გარდა-
რეული (ძლიერი, მეტისმეტი) და სხვა);

2. ფონეტიკის სფეროში (მაგალი-
თად, აღარ გამოითქმის უ ჟ);

3. მორფოლოგიის სფეროში (მაგა-
ლითად, ზმნების უღვლილებამ მოგვ-
ცა ზოგიერთი სხვაობა. დღეს ვამბობთ:
კაცი მოვიდნენ. ძველად იტყოდნენ:
კაცი მოვიდეს);

4. სინტაქსის სფეროში (მაგალითად,
ზმნაში აღინიშნებოდა პირდაპირი ობი-
ექტის მრავლობითობა: კაცი დახოც-
ნა. დღეს ვამბობთ: კაცი დახოცა. ხაზ-
გასმით უნდა ითქვას, რომ სინტაქსის
სფეროში მომხდარი ცვლილებები სრუ-
ლიად უმნიშვნელოა).

ენათმეცნიერისათვის შესაძლოა პრინ-
ციპული მნიშვნელობა ჰქონდეს იმას,
„ზღუა“ წერია თუ „ზღვა“ რომელსავე
აღრინდელ ტექსტში, „კელი“ თუ „ხე-
ლი“, „კაცი მოვიდეს“ თუ „კაცი მო-
ვიდნენ“, „კაცი დახოცნა“ თუ „კაცი
დახოცა“. მაგრამ ენა ხომ ენათმეც-
ნიერთათვის არ არსებობს! ენა, უწინა-

რეს ყოვლისა, გაგებინების, კავშირის, ურთიერთობის იარაღია და მხოლოდ შემდეგ — კვლევის ობიექტი. ამ თვალსაზრისით კი შეუწყნარებელია ქართული სალიტერატურო ენის განყოფილება „ძველ“ და „ახალ“ ქართულად, რაც მიუტყვებელი უცხოობის გრძობას აღუძრავს თანამედროვე ადამიანს აღრინდელი საუკუნეების კულტურის მიმართ (ამგვარი გათიშვა „ძველისა“ და „ახლისა“ საბოლოოდ ისეთსავე სავალალო შედეგს მოგვცემს, როგორც შექმლო მოეცა ქართული სალიტერატურო ენის დაწილადებას იმერულად, კახურად, ქართლურად, აჭარულად, გურულად, ხევსურულად, ინგილოურად...).

ნუთუ მართლა ასერიგად განსხვავდება „ძველი“ ქართული ენა დღევანდელისაგან? ვიმეორებ, საენათმეცნიერო თვალსაზრისით განსხვავდება, მაგრამ აზრის გაგებინების თვალსაზრისით — არამც და არამც. ამიტომ არ არსებობს არავითარი „ძველი“ და „ახალი“ სალიტერატურო ქართული ენა, არსებობს ერთი სალიტერატურო ქართული, რომლითაც მეტყველებდნენ იაკობ ხუცესი და გიორგი მერჩულე, ეფრემ მცირე და იოანე პეტრიწი, „ვისრამიანის“ მთარგმნელი და „ამირან-დარეჯანიანის“ ავტორი, შოთა რუსთაველი და ჩახრუხაძე, სულხან-საბა ორბელიანი და დავით გურამიშვილი, ანტონ კათალიკოსი და ნიკოლოზ ბარათაშვილი, გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი და ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი და ივანე მაჩაბელი, ვასილ ბარნოვი და ივანე ჯავახიშვილი, ნიკოლოზთქიფანიძე და დიმიტრი უზნაძე, მიხეილ ჯავახიშვილი და გალაკტიონ ტაბიძე.

ვიდრე საუბარს ამ მიმართულებით განვაგრძობდეთ, ჯერ რამდენიმე ციტატი მოვიშველიოთ. მხოლოდ მკითხველს წინასწარ მინდა ვაუწყო, რომ ამ ციტატების ამოწერისას შეგნებულად უგულვებელყოფ ასოებს: ვ, უ, ო, კ. სხვათა შორის, მრავალი ვაუწყაფავი მკითხველის შიშს და უცხოობის გრძობ-

ბას „ძველი“ ქართულის მიმართ იწყებს სწორედ ამ ასოების დანახვად: დღე, ღვენი, ნაცვლად იმისა, რომ ესაა „ძველი“ გრძობის ვასაქარწყლებლად ვზრუნავდეთ, თვით მასობრივი ტირაჟით დაბეჭდილ გამოცემებშიც ვერასვჯით ვერ შეველევივართ ამ ასოებს, რომლებიც არავისთვის აღარაა საჭირო ენათმეცნიერთა თუ პალეოგრაფთა უაღრესად ვიწრო წრის ვარდა!.

„აჰა, ზამთარი წარხდა, წვიმა განვიდა, განვიდა თავსა თვისსა შინა. ყვავილნი გამოჩნდეს ქვეყანასა ზედა, ეამი სხლვისა მოიწია, ხმა გვრიტისა ისმა ქვეყანასა შინა ჩვენსა. ლელემან გამოილო ნაყოფი თვისი, ვენახმან მწიფებულმან მოსცეს სულნელემა. აღდეგ, მოვედ, მახლობელო ჩემო, კეთილო ჩემო, ტრედო ჩემო, და მოვედ! შენ, ტრედო ჩემო, საფარდულსა შინა კლდისასა, მახლობელად ზღუდისათანა მიჩვენე მე პირი შენი და მასმინე ხმა შენი, რამეთუ ტკბილ არს ხმა შენი და სახე შენი შევნიერ“.

(წიგნი ქება ქებათა მეფისა სოლომონისა).

„მაშინ იწყო უჭეროსა გინებად ვარსქენ და ფერხითა თვისითა დასთრგუნვიდა მას; და აღილო ასტამი და უხეთქნა მას თავსა, და ჩაჰვლა და თვალი ერთი დაუბუშტა; და მჭილითა სცემდა პირსა მისსა უწყალოდ და თმითა მიმოითრევედა, ვითარცა მხეცი მძინვარედა ყოიდა და იზახდა ვითარცა ცოფი. მაშინ შეველად აღდგა ჯოჯიკ, ძმა მისი, და იბრძოდეს, ვიდრემდის გვემა ივიცა. და კუბასტიცა თავსა მისსა მოხეთქა და ჭირით, ვითარცა კრავი მეგლსა, გამოულო ზელთა მისთა. და ვითარცა მკვდაპრი იდგა წმიდად შუშანიკ ქვეყანასა ზედა. და ავინებდა ვარსქენ თესლ-ტომსა მისსა და სახლისა მათხრებლად სახელს დებდა მას“.

(„შუშანიკის წამება“).

„ანუ იყავ მორჩილ და შეიწყნარე კეთილი, ანუ შესვი წამალი და თავს იდეგ სიკვდილი“.

„მასმეც მეფისა ვისთვისმე, რომელ-სა ესეა მე, და პრევეს მკურნალთა:

— უკეთუ უწინარეს ათისა წლისა იხილოს მზე ყრმამან ამან, მოაკლდეს ნათელი თვალთაჲ.

ხოლო მეფემან მან გამოუთხარა ქვაბი და დასევა ყრმად იგი მას შინა. და შემდგომად ათისა წლისა ბრძანა გამოყვანებაჲ ყრმისაჲ მის. და ბრძანა მეფემან დადგინებად წინაშე ძისა მისისა, რომელი უხილავ იყო მისგან, რადთა რომელი იხილოს, იცოდის, თუ რად არს.

ხოლო ყრმაჲ იგი იკითხვიდა სახელსა თითოეულისასა. და იხილნა დედანიცა და აღეგზნა სიყვარულითა და იკითხა:

— რად არიან ისი?

ხოლო მათ რქვეს:

— ეშმაკნი არიან, რომელნი წარსწყმედენ კაცთა.

ხოლო ყრმამან პრქვა:

— არარად ვიხილე უშენიერეს დუსაწადელეს იმათ ეშმაკთა“.

(„სიბრძნე ბალაჰვარისი“).

„ზაფხულისა ეამი იყო, დღე—ამო. მინდორნი, ველნი და წალკოტნი სამოთხესა ჰგვანდეს. ხენი—ნაყოფიანნი, წყაღნი—მდინარენი. და ფრინველნი ზედა დამღერდეს. ნარგისნი მწდეთა ჰგვანდის და იანი თავჩამოგდებულობითა — მთვრალთა. ყოველი ქვეყანა ყვაველითა, სიტურფითა და სურნელობითა ავსილი იყო. საწუთრო ახალ სძლისაებრ ნაზობდა“.

(„ვისრამიანი“).

საოცარია, ღმერთმანი! საოცარია, რატომ უნდა ვართმევდეთ უფლებას ხსენებულ ნაწარმოებებს (და არა მხოლოდ მათ, ცხადია!) იწოდებოდნენ ისეთ ქმნილებებად, რომლებშიაც ჩაისახა და განვითარდა „ახალი სალიტერატურო ქართული ენა“? იმიტომ, რომ ზოგიერთ ლექსიკურსა და მორფოლოგიურს, აგრეთვე უმნიშვნელო სინტაქსურ თავისებურებას წარმოაჩენენ (განვიღო, წარხდა, ქვეყანასა ზედა, მწიფებულმან, მოსცეს, საფარდულსა შინა, ზღუდისათანა, იწყო უჭეროსა გინებად, უხეთქნა, მასმის და სხეა)?

თუ ასეა, სხვა მაგალითებსაც მივმართოთ, დაეიმოწმოს ისეთივე ტერმინი, რომლებიც „ახალი“ ლიტერატურის უკვე აღებული არიან მიჩნეულნი.

„აჲ იგი იქმნას, რაცაღა ენებოს ღმრთისა წადილსა! ვევე, ზემო სისხლი არ შეპრინეს, ძალი შემწევედეს ქადილსა. ოხრად გავუხდი ყოფსა მათ საღამოსა და დილსა, ეუხმობ ყვაეთა და ყორანთა, მათ ზედა ვაქმნევ ხადილსა!“

(შოთა რუსთაველი).

„ვერღა აღმიგო სიყვარულმა კვალად ტაძარი, ვერსად აღვანთე დამოძილი მისი ლაშკარი! ესრეთ დამიშო უქულმართმა ნუგეშის კარი, და დავლ ობლად, ისევ მწირი, მიუსაფარა“.

(ნიკოლოზ ბარათაშვილი)

„ოჲ, სად არიან, სიკბუტევე, სიტკბონი შენა? სად არს აღმტაცის სიყვარულის ტანჯვა,

სამოთხე?

განძრცივლავარ გრძნობით, უდროოდა მეკეთონენ ფრთენი, გაზაფხულია, მე კი ვდგევარ ვით უფოლო ხე“.

(ილია ჭავჭავაძე).

„წიგნთა ყოველთა მამონდელთა ზემო ვარდით მორთული ჩნდა თავის ქალა“.

(ვალკტიონ ტაბიძე).

მსგავსი მაგალითების პოვნა ძნელი არაა. რას მეტყველებენ ისინი? ნუთუ მხოლოდ იმას, რომ „მით უარესი ფაქტებისათვის“? თუ იმას, რომ სალიტ-

1 მკითხველის უარადღებას მივაქვე იმ გარემოებას, რომ ვალკტიონ ტაბიძე სისტემატურად ხმარობს ისეთ სიტყვებსა და ფორმებს, რომლებიც „ძველი“ ქართულის კუთვნილებად უნდა გამოვავალით უეჭვლად. ოუკი ზემოთ ნახსენებ თვალსაზრისს ვაფიქარებთ. აი ისინი: რაც, აწცა, მობინინეთა ამ არეთ ბედი, როსმე, ოდეს, შეინელი, ვითარ, ამოღქმნილი, განსაცდელი ფრიადი, შიართული, განვლის, მთოვარე, ვლან ღრუბლნი, ნიაღვარმან, სცნა, ზილვად უცხო, უნოსვად კეთილი, გარდამოვადებს, ამბავი ესე, ვაჰე, მკვრეტენ ქანდაკნი და მრავალი სხვა. ამასთან, ხაზგას. მით უნდა შევნიშო, რომ მსგავსი ფორმები მის პოეზიაში ვახშირდა სწორედ ბოლო ხანს (40—44-იან წლებში), როცა პოეტს ყველაზე ღრმად ჩასწავდა ქართული ენის სტრუქტურა.



რატურა ქართულის არსება არასოდეს შეცვლილა, არ გათიშულა ძველ და ახალ ქართულად, რომ ამ ენაში მომხდარი რაოდენობრივი ცვლილებები, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით, თვისებრივ ცვლილებად არ ქცეულა, რომ შეუძლებელია დადგენა, თუ „ქვეშაობრივი“ სიღრმისა და ახალ ქართულს შორის?

შესაძლოა მრავალ ჩვენგანს წარმოდგენაც არ ჰქონდეს, თუ რა სავალალო შედეგებს გამოიწვევს ხსენებული თვალსაზრისის მიყოლა. უკვე ამთავითვე საჩინოა მრავალი რამ. კერძოდ, გვსურს თუ არა, უნდა ვაღიაროთ, რომ დღესდღეობით არცთუ იშვიათად შევხვდებით საშუალო თუ უმაღლესი სასწავლებლების კურსდამთავრებულებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ „ძველი“ ქართული ენა და ლიტერატურა ნათელდებულთა დახშული კასტის — ენათმეცნიერთა და ფილოლოგოსთა კუთვნილებას წარმოადგენს და ამ იდუმალებით მოცულ სამლოცველოში შესვლა არავის ძალუძს სპეციალური საგულდაგულო მომზადების გარეშე (გულზე ხელი დავიდვით და ვთქვათ — შეგვხვდებიან თუ არა თუნდაც მხოლოდ ნაცნობ ინტელიგენტთა შორის ისეთნი, რომელთაც ან საერთოდ არ წაუციობავთ „ვეფხისტყაოსანი“, ან, თუკი წაუციობავთ, დარცხვენილ, უმწყო ღიმილით გამოგვტყდომიან — ბევრი რამ ვერ გავიგე, მრავალი სიტყვა და გამოთქმა უცნობია!).

და განა ჩვენი მეცნიერები (განსაკუთრებით „ძველი“ ქართული ენისა და ლიტერატურის ზოგიერთი სპეციალისტი) ხშირად ხელს არ უწყობენ მსგავსი უკუღმართი აზრის გავრცელებას? ჩვენს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში (თვით სპეციალურ — ფილოლოგიის ფაკულტეტებზეც) V—XVIII საუკუნეთა ენა და ლიტერატურა ისე ისწავლება, სიყვარულის ნაცვლად ლამის სიძულვილს ნერგავს მოსწავლეებსა და სტუდენტებში. „ძვე-

ლი“ ქართული ენა და ლიტერატურა მომავლებელ, მოსაწყენ საგნად ქცეულა ეზოთერიული ცოდნის მფლობელთათა კუთვნილებად და მიჩნეული ხშირად.

ნუთუ ვერ უნდა შევნიშნოთ, რომ, თუ ასე გაგრძელდა, რამდენიმე ათეულ წელიწადში არამც თუ „შუშანიკის წამებას“ ან „ქართლის ცხოვრებას“, — თვით „ვეფხისტყაოსანს“, „სიბრძნესიკრუის წიგნსა“ და „დავითიანსაც“ აღარ ეყოლება მასობრივი მკითხველი! ხომ საგულდაგულოდ ვაკანონებთ, რომ XVIII საუკუნემდე შექმნილ ნაწარმოებებში ნახშირი სიტყვებია და გამოთქმების აბსოლუტური უმრავლესობა „არქაული“, „მოძველებული“, „წიგნური“! და თუ ქართველი მწერლები დღესაც ფარ-ხმალს არ ყრიან და ჯიუტად ხმარობენ ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებს, როგორცაა: მორკმული, მენინახე, შემოგარენი, მრუმე, სახლეული, მოყვასი, სერობა, სანახები, მსხემი, განეხვენენ, გულშეუძრავი, ხელმწიფება (ხელწიფება), ხამს, ოდეს, წარუდინებელი, გარნა, რუდუნება, მოტყინარე, უწყისი, ვითარცა, აღანთებს, ნიშატი, მოვანება, ოდენ, მხოლოდშობილი, გარეშეუწერელი, აწვია, გვემა, მოზღარუნლი, მიწწებრი, შვილმრავალი (და არა მრავალშვილიანი!), მიახლება (მეიხალა), მწდე, მოსრვა და მისთანანი (ყველა ეს მაგალითი თანამედროვე მწერლების ქმნილებებიდანაა ამოკრეფილი) — მათს მეცადინეობას წინ აღუდგება ენათმეცნიერთა და ლექსიკოგრაფთა ასევე ჯიუტი განაჩენი — მსგავსი სიტყვები და გამოთქმები ან საერთოდ არ ხვდება ლექსიკონებში, ან „არქაულისა“ და „ძველის“ ეპითეტებით აღიჭურვება. მიწწებრი — „ძვ. და წიგნ.“ (ძველია და წიგნური!), გარნა — „ძვ. და წიგნ.“ გვემაც „ძვ. და წიგნ.“ აღზევებაც „ძვ. და წიგნ.“ (ნიშანდობლივი ამბავია: „აღზევება“ წიგნურადაა მიჩნეული, ისევე როგორც „აღძრვა“, „აღგვა“, „აღატყინებს“, „აღალდება“, ხო-

ლო „აღქმადი“ — არა!). ასევე: აღ-
ანთებს — „ძვ.“, აღაგზნებს — „ძვ“,
აღიძარბება — „ძვ“, აღიჭურვება,
აღმსარებელი, აღმსრულებელი, — სულ
„ძვ.“ და „ძვ“.

მსგავსი სიტყვების ზმარება დიდ
მკრეხელობად ითვლება, ყოველ შემთ-
ხვევაში, იქნებ ვისმე კიდევ შეუნდონ
ამგვარი მკრეხელობა, ოღონად იქვე გან-
მარტავენ — მჭერალი არქაიზმის საშ-
კაულად იყენებს და ამით ნაწარმოებს
თავისებურ სურნელს ანიჭებსო. თით-
ქოს „აერობა“, „მეინახე“ და მისთანა-
ნი პრეისტორიულ სამარხებში ნაპოვ-
ნი სამშვენივრები ყოფილიყოს. საქმე
იქამდე მივიდა, ნარ-თანაინი მრავლო-
ბითივ კი არქაულ ფორმადაა გამოც-
ხადებული და მისი ზმარება ეგზოტიკის
ფარგლებშილა მიაჩნათ შესაწყნარებ-
ლად.

და ეს ხდება ნაცვლად იმისა, რომ
საგულდაგულოდ გადავსინჯით სკოლე-
ბისა და უმაღლესი სასწავლებლების
პროგრამები და მოსწავლეებს თუ სტუ-
დენტებს იმთავითვე ისეთი მასალა მი-
ვაწოდოთ და ისე მივაწოდოთ, რომ
მათს სძენას აღარ ეჩითარებოდეს
„ძველი“ ქართული, რომ მათ იგრძ-
ნონ, განიცადონ, შეიციან: „ძველი“
ქართული ენა და კულტურა დღევანდ-
ელი ენისა და კულტურის განუყოფელი,
მოუკვეთელი, ორგანული ინგრედიენ-
ტია და არა ჩინური ანბანი, რომლის
შესწავლა არავის მართებს, გარდა ორი-
ოდე ახირებულნი, არქივების მტვრით
მოსილი და დაჩრჩილული მეცნიერისა!

• • •

და მაინც, შეუხედავად ყოველივე
ზემოთქმულისა, ქართულ ენას უმთავ-
რესი საფრთხე ლექსიკის სფეროში
როდი ემუქრება. ბოლოსდაბოლოს, თუ
სხვა საშველი არ იქნება, „თავმოყვა-
რულად დაწყობილ ტუჩებსაც“ გაუძ-
ლებს ენა და „აზრის წინასწარაკვი-
ტებულობასაც“. უფრო საშიში ისაა,
რომ ჩვენ დღენიადაც, ნებით თუ უნებ-

ლით, ვაკნინებთ, ვამახინჯებთ, ვკო-
დავთ ქართული ენის ნაძურულ მტრებს
— ქართულ ზმნას.

მრავალ მეტოქეს გამკლავებია ქარ-
თული ზმნა. მას ეჭიშპებოდნენ სემი-
ტური ენებიც (ებრაული, არაბული)
და ინდოევროპულნიც (ბერძნული,
სპარსული, სომხური, რუსული, ფრან-
გული, გერმანული, ინგლისური). და
თავისი იშვიათი თვისებების წყალო-
ბით ქართული ზმნა მუდამ გამარჯვ-
ებული გამოდიოდა ამ მეტოქეებიდან.

მაგრამ დღესდღეობით ინდოევრო-
პული ენების გავლენა, როგორც ჩანს,
ძალზე მოჭარბდა. ამის შედეგად თვალ-
საჩინოა ზმნის როლის დაკნინება, ავ-
რთვე უმართებულო ფორმით ხმა-
რება ზმნისა, რაც იწვევს არა მხოლოდ
მორფოლოგიურ, არამედ სინტაქსურ
შეცოდებებსაც. ხოლო რა შემზარავი
შედეგები შეიძლება მოჰყვეს ენის
სინტაქსის შერყენას, ამის თაობაზე
სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

რა თქმა უნდა, ქართული მწერლობა
მშვენივრად იცნობს იმ ეფექტს, რომე-
ლსაც უზმნო მეტყველება ქმნის ზოგ-
ჯერ. მოვიგონოთ: „ყამსა ზაფხულისასა
ცეცხლებრ შემწველი იგი მზურვალემაა
მზისაჲ, ქარნი ხორშაყნი და წყალნი მავ-
ნებელნი, რომლისა მკვიდრნიცა მის
ადგილისანი საესენი სენითა, წყლითა
განსივებულნი და განყვითლებულნი,
დაწერტილნი და დამქნარნი და დამ-
ლიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმსი-
ვანნი და დღემოკლედ ცხორებულნი“.

(გავიხსენოთ აგრეთვე სულხან-საბა
ორბელიანი, ვასილ ბარნოვი, ნიკო
ლორთქიფანიძე).

მაგრამ ქართული ენის სტრიქონი
მაინც ზმნით სულდგმულობს. და თუ
მცირეზმნიანობა სტილისტური ხერხის
ფარგლებს ვერასოდეს გასცილდება,
ზმნის სიმრავლე და მრავალფეროვნება
უპირველესი ნიშანია ნამდვილი ქართუ-
ლისა. ამ მხრივ მრავალი რამის სწავლა
გვმართებს წინაპართაგან. აბა დავეუკვი-
რდეთ:

ვიუსამართლოები შენგან. რათა არა

გაცოდვონ შენ ჩემდა მომართ. რომელი გზადღვინვიდეს შენ, ვითარცა ლომნი. რაოდენა იუსჯულოვა მონამან შენმან. ეუსჯულოვა უფალსა. სავანეობდეს ვირსაბს შინა. იქვეშარიტებით. იულმრთოეს. მეწიშოდენ. მეწამულობდა სიკეთითა. უკომოხებდა...

ენლა გავიხსენოთ, როგორ იყენებს ზმნას რუსთაველი:

მათ ლაშქართა ყოღბსა შუა
ორბი სითმე გადმოფრინდა;
ყმანმან ცხენით შეუტოვა,
გამაუდა, არ შეშინდა,
შესტურცა და ჩამოავლო,
დაეცა და სისხლი სდინდა,
გარდახდა და ფრთენი დასტრნა,
წყნარად შექდა, არ აქშინდა.

ეს სტროფი, რომლითაც მთელი ამბავია მოთხრობილი, 25 სიტყვას შეიცავს („და“ კავშირს ნუ მივათვლით) და აქედან თითქმის ნახევარი (12) — ზმნებია.

ალარას ვამბობ რუსთაველის მიერ ნახმარი ისეთი ზმნების შესახებ, როგორცაა: ენა ენდა, მზე თინათინებდა, გასისხლმდინარდა, გიშერი აწამწამე, ცრემლი ემალმალეების და მრავალი სხვა. ამის თაობაზე არაერთი გამოკვლევა დაწერილა.

დაბოლოს მიემართოთ გალაკტიონ ტაბიძეს. აი რამდენიმე ნიმუში მის მიერ ნახმარი ზმნებისა: დრო გვეუარესა. ყვაილები გიიადონა. თვალები უფრო გადაირია. საყვარელ თითებს გავენაბები. გგრძნობენ, გფიქრობენ და მიგელიან. დღეები თოვლით გადიბადება. იხტიოზავრის გაღვიძებას ესადარები. ანგელოსს ესაფეხუროს ლალის ტატნობი. მას მომავალი ეალუბლება. იანვარს მომედ არ ვეძნელები. და შეღამებამ ითანდათანა. იმ სადღეგრძელოს უზეცისშვილდი. სიტყვა არით არეობს. სხივს მოშაკრძალეხს. გრგვინვა ციდან ცილთ მიაგვირგვინებს ელვას. იით მოაიავეებს.

როგორც ვხედავთ, ქართული ენის დიდი მესაიდუმლენი სახელებსაც კი ზმნებად აქცევენ (ენა — ენდა, თინათინი —

თინათინებდა, უარესი — გვეუარესა, იადონი — გიიადონა, ვეუარეობს და სხვ.). მათ კარგად იციან, რომ მეტყველების ეს ნაწილი მართლაც ბურჯია ქართული ენისა და მისი დომინანტური როლის გარეშე ჩვენი ენა ვერ განვითარდება.

მაინც რა აქცევს ზმნას ქართულის დედაბოძად?

უწინარეს ყოვლისა, ეს არის მრავალპირიანობა. კაცი წერს — ერთპირიანი ზმნაა; კაცმა წერილი დაწერა — ორპირიანი; კაცმა მეგობარს წერილი მისწერა — უკვე სამპირიანი. აქ გამოხატულია ის, ვინც წერს (მოქმედების სუბიექტი), ის, რასაც წერს (წერილი — ობიექტი) და ის, ვისაც წერს (მეგობარი — მეორე, ეგრეთწოდებული ირიბი ობიექტი). შეადარეთ: человек пишет письмо და человек пишет письмо приятелю. ზმნა ვერ გამოხატავს ობიექტის მომატებას.

„ე პაწა არ დამიმშოთ, ფოცხვერს არ დამიქმითოა“, — წერს რაფიელ ერისთავი. „ამის ოტყა ჩამომისხით, მიხვიო მშიერ სალდათებსა“, — ვკითხულობთ „არსენას ლექსში“. გრამატიკა გვასწავლის, რომ ამგვარი ზმნებიც სამპირიანია, რადგან მეოთხე ნაგულისხმევი პირი ნიშნის ვერ იჩენს, ფორმალურად ვერ გამოიხატება. მაგრამ ამჯერად გრამატიკულ თვალსაზრისს დავეხსნათ და მსგავს ზმნებს შევხედოთ სტილისტის თვლით, მეტყველების ეკონომიის პოზიციიდან. დამიქმითო — ზმნა გულისხმობს ბავშვსაც, მის შესაძლო შემკმელსაც (ფოცხვერი), მისივე მომგვლელებსაც (სახლეულნი, ვისაც მიმართავს მეომარი) და მამასაც (მეომარი). ასევე: მიხვიო — გულისხმობს არაყსაც, სალდათებსაც, მეღუწნეებსაც და თავად არსენასაც.

აბა სცადეთ მსგავსი რამის თქმა რომელსავე ინდოევროპულ ენაზე!

ქართული ზმნა უდიდეს გავლენას ახდენს ენის სინტაქსზე. „სიტყვათა სინტაქსური კავშირი ისევე თავისებურია, როგორც თავისებურია ქართულ

ორპირიან ზმნათა უღვლილება“ (ა. ჩიქობავა). ზმნა სახელს მართავს ბრუნვაში — ზმნის ცვლილება სახელის ცვლილებას იწვევს. **კაცი წერს, კაცი დაწერა, კაცს დაუწერია** (შეადარეთ: **человек пишет, человек написал**).

შემდეგ ქართული ზმნის უღვლილება გვაძლევს ისეთ მწკრივებს, რომელთა ბადალი, რამდენადაც ვიცით, სხვა ენებს არ გააჩნიათ. ეს არის: **წერდეს** (კავშირებითი პირველი), **დაწერდა** (პირობითი), **დაწეროს** (კავშირებითი მეორე), **დაუწერია** (თურმეობითი პირველი), **დაეწერა** (თურმეობითი მეორე), **დაეწეროს** (კავშირებითი მესამე). ზმნის ამ ფორმების მეშვეობით ენას ძალუძს საოცარი ნიუანსების გამოხატვა.

ქართულ ზმნას შეუძლია გვიჩვენოს, თუ ვისთვისაა განკუთვნილი მოქმედება (საარვისო, სათავისო და სასხვისო, ან, სხვანაირად, საარვისო, სასუბიექტო და საობიექტო ქცევა). კაცმა რაიმე **დააგროვა** (საარვისო), მაგრამ შეიძლება ითქვას აგრეთვე **დაიგროვა** (სათავისო) და **დაუგროვა** (სასხვისო). არც ამგვარი ნიუანსების გამოხატვა ძალუძს ინდოევროპული ენების ზმნას (შეადარეთ: **накопил**. მაგრამ ვისთვის მოხდა მოქმედება, ამის გასარკვევად აუცილებელია სხვა სიტყვების მოშველიება: **для себя, для него** და სხვა).

ქართული ძალზე მდიდარია ზმნისწინებით, რომლებიც საოცარ მოქნილობას სძენენ ენას. **მი-ვიდა,, მო-ვიდა, შე-ვიდა, შემო-ვიდა, გადა-ვიდა, ა-ვიდა (აღ-ვიდა), წა-ვიდა, წამო-ვიდა, და-ვიდა, ჩა-ვიდა** და სხვ. ამ ფაქტს კარგად უნდა დამახსოვრება.

ეს ექსკურსი გრამატიკის წილში საჭირო იყო, რათა ერთხელ კიდევ გავგეხსენებინა ქართული ზმნის თავისებურებანი, მისი სიმდიდრე და საოცარი ძალმოსილება. უამისოდ შესაძლოა გადაჭარბებულად მოგვჩვენებოდა ზემოთ გამოთქმული მოსაზრება, რომ ჩვენ დღენადაც, ნებით თუ უნებლიეთ, ვაკინებთ, ვამახინჯებთ, ვკოდავთ ქარ-

თული ენის ნამდვილ ბურჯს — ზმნას. მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ქართული ზმნის აღნუსხულ თვისებებს (და არა მხოლოდ მათ, ცხადია), ეს მოსაზრება გადაჭარბებულად აღარ მოგვეჩვენება. სხვა სიტყვებით ვერ შეიძლება ქვემოთ წარმოდგენილი ნიმუშები არაერთი ჩვენთაგანის მეტყველებისა.

გადავხედოთ ამ თვალსაზრისით ჩვენს წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, რადიო და ტელეგადაცემებს, პიესებს, კინოსცენარებს. არც ისე იშვიათია შემთხვევები, როდესაც პირდაპირ შეგზარავთ ამათუიმ ნაწარმოების, სტატიის, გამოკვლევის ენა და ამის მიზეზი ხშირად არის ზმნის დომინანტური როლის უგულვებელყოფა, ზმნის ბუნების შელანძღვა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ ეს ხალხი წერს რომელიღაც ინდოევროპულ ენაზე, ოღონდ ქართული სიტყვებით. მათ ავიწყლებათ, რომ ქართული ზმნა შეიძლება ერთპირიანიც იყოს, ორპირიანიც და სამპირიანიც.

ავიღოთ უბრალო მაგალითი: პოეტმა რომელსამე აუდიტორიას წაუკითხა თავისი ახალი ლექსები. მსმენელებმა ლექსები მოიწონეს. ზოგიერთი კიდევ აღფრთოვანდა. ამ ამბავს პრესაც გამოეხმაურა. ყველამ აღიარა პოეტის ნიჭი. როგორ გგონიათ, რა სახეს მიიღებს ამ ამბის გამო დაწერილი ხუთსტრიქონიანი ინფორმაცია? ჩვენ შეუძლებელია, რომ მოსმენილ იქნა (ან წაკითხულ იქნა) პოეტის ახალი ლექსები, რომ ეს ლექსები მოიწონებულ იქნა, რომ ამ ამბავმა გამოიხმაურება პოეტი პრესაში და რომ პოეტმა აღიარება პოეტი. თანაც, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, ამგვარი ინფორმაციის დამწერს ცუდ მოქართულედ არ მიიჩნევენ (ხომ შეეძლო ასეც დაეწერა: პოეტმა აწარმოა ახალი ლექსების წაკითხვა. სათანადო მისაბამ მაგალითებს უხვად შეხედებოდა ჩვენს პრესაში. აი ერთი, მათგანი საგაზეთო სტატიიდან: „კომუნისტური მშენებლობისას იწარმოებს სახელმწიფოს თანდათანობითი გადაზრდა საზოგადოებრივი თვითმმართველობის ორ-

განიზაციაში“; მხატვრული ქმნილებიდან: „იმავე დროს ეწეოდნენ ტექნიკურ გაუმჯობესებათა გამოკვლევებლას წარმოებებში, აწარმოებდნენ იმ პროდუქტებისა და ნედლეულის შემცველთა ძიებას, რომლებიც არ კმაროდა“.

ექვი არაა, ასე თუ მივყევით, მალე იდეალურ სიმარტივეს მივალწევთ, „აწარმოას“ და „იქნას“ ტიპის სამიზონის ფორმის გარდა ზმნა საერთოდ აღარ დაგვკვირდება და მაშინ ქართული ენის შესწავლა და მისით ოპერირება უადვილესი საქმე გახდება!

მწკრივთა აღრევის (ესე იგი უკვე სინტაქსური შეცოდების) შემთხვევები ხომ ყოველ ფუნქციის ნაბიჯზე გვხვდება. ამ მხრივ ცალკეული ავტორები თითქოს ერთიმეორეს ეჯიბრებიან, თუ ვინ უკეთ მოახერხებს ინდოევროპულ ენათა ზმნების ასლების გადმოღებას.

ვთქვათ, გვინდა ვთარგმნოთ წინადადება: я стоял дожидаясь когда они кончат говорить. ნორმალური თარგმანი ამ წინადადებისა ალბათ ამდაგვარ სახეს მიიღებდა: „ვიდექი და ველოდებოდი, როდის მორჩებოდნენ საუბარს“. არა, მთარგმნელი წერს: „მე ვიდექი და ვიცდიდი, როდის გაათავებენ ისინი ლაპარაკს“. დავანებოთ თავი იმ ამბავს, რომ „მე“ და „ისინი“ ამ წინადადებაში სრულიად ზედმეტია, უკიდრადან „ვიდექი“ და „გათავებენ“ თავისთავად მიგვანიშნებენ, თუ ვინ იდგა და ვის უნდა დაემთავრებინა ლაპარაკი; ნურც იმას მივაქცევთ ყურადღებას, რომ, თუკი „ლოდინს“ „ცდა“ ვარჩიეთ, „გვუცდიდი“ მაინც უნდა დავწეროთ; ნურც იმას, რომ „ლაპარაკის გათავებას“ „ლაპარაკის დაშვება“ სჯობს. მთავარი, რაც უწინარეს ყოვლისა გვებაძუშება ამ წინადადების კითხვის დროს, არის „გათავებენ“, ნაცვლად მოსალოდნელი ფორმისა „გათავებდნენ“. მაგრამ ნურას უკაცრავად! ჩვენი მთარგმნელის აზრით საკმარისია ასლები შექმნა სათარგმნი ტექსტისა და ყველაფერი რიგზე იქნება. Кончат — ხომ ასე

წერია რუსულად? ესე იგი „გათავებენ“. სად იმტერიოს თავი მთარგმნელმა და ეძებოს რალაც აწირებული ფორმები (მერე რამდენი!) ქართული ზმნისა!

„მას უნდოდა პირისპირ მოლაპარაკებოდა ბავშვობის მეგობარს, რომელიც მოსკოვიდან ჩამოსვლის შემდეგ ხეირიანად არც კი უნახავს“. აქაც აღრეულია მწკრივები. „უნახავს“ (პირველი თურმეობითი) ნაცვლად უნდა ეწეროს „ენახა“ (მეორე თურმეობითი).

აქაც: „ღარწმუნებული არა ვარ, რომ აქედან, დამცირების გარდა, სხვა რამეც გამოვა“. Выидет — გამოვა. თარგმანი, როგორც ხედავთ, ზუსტია. სამაგიეროდ დავიწყებულია ზმნის ფორმა „გამოვიდეს“, რომელიც, თუკი გესურს ქართული გამოვიდეს, უბა შეენაცვლოს „გამოვას“.

„ისე მიხარია, რომ მოხვედი, თითქოს მიმიგ ტვირთი მომხსნა გულზე“. აშკერადაც ნუ მივაქცევთ ყურადღებას სხვა ნაკლოვანებებს ამ წინადადებისა, მხოლოდ ეს ვიკითხოთ: რისთვისდა არსებობს ქართულში მესამე კავშირებითი მწკრივი („მომხსნოდეს“), თუკი მსგავს შემთხვევებშიც არ გამოვიყენებთ?

„მოვედი შენთან არა იმისათვის, რომ გედაო და გეკამათო“. ეს რუსული გახლავთ, ოღონდ ქართული სიტყვებით დაწერილი. ქართული იქნებოდა: „სადაო და საკამათოდ კი არ მოვსულვარ“.

„არ იქნებოდა ურიგო, რომ ამის შესახებ ცოტა გულახდილად ვილაპარაკოთ“ („გველაპარაკნა“).

„ამ ხნის განმავლობაში უკვე ცხადი გახდა, რომ გერმანელებმა ქალაქი დაიკავეს“. ესეც რუსულია. ქართული იქნებოდა „...გერმანელებს ქალაქი დაეკავებინათ“.

„საბალხო კომისარს თითქოს თქვენი ტელეგრამის წაკითხვის გარდა, სხვა საქმე არა აქვს“. ქართველი კაცი იტყობდა: „თითქოს სხვა არაფერი ჰქონდეს საქმე“.

„მაშ რაღად იმალებოდით, თუ თქვენ არ მოკალით თქვენი ცოლი? ქართულად იტყოდნენ: „მოგიკლავთ“. მაგრამ უხილი — მოკალით. ზუსტი თარგმანი არ სჯობს?

რაც შეეხება ქტევას, ეს კატეგორია კარგა ხანია აღარ ახსენდებათ ხოლმე ჩვენს მოქართულეებს. მხატვარმა მეგობარს სურათი დაუხატა. როგორ მოგვითხრობს ამ ამბავს მეგობარი — თანამედროვე ქართველი ინტელიგენტი? ეს სურათი ჩემთვის დახატა. „დამინახტა“ რომ ეთქვა, რაღაც არ ემსგავსებოდა ინდოევროპული ენების ზმნას. დახატა — нарисовал. რას უწუნებთ? მშვენიერი სიტყვაა — მარტივი და ყველასთვის ვასაგები. აბა „დამინახტას“ თუ მივსდით, სხვა უცნაური ფორმებიც წამოყოფს თავს: დაგინახტა, დაუხატა, დაგვინახტა, დაგინახტათ, მიხატავდეს, გინახტავდეთ, დაუხატავდა, დამინახტავდეს, დაგინახტათ, და ასე შორს წავალთ...

მსგავსი მაგალითები იმდენად ხშირია, მათი ამოწერით მკითხველს თავს აღარ შევაწყვენ.

მიმოიტაცებოდა კიღობანი ზედა წყალთა. მიმოდაგორვიდა. მიპრქვა. მხედრ მიმოდახდევინ. მოსცემდა (იქიდან აქეთ). შიაქცინეს. გარდამოიხილე ზეცით (ზემოდან ქვემოთ ჩვენსკენ). ოცდაათნი ცოლნი შემოგვარნა ძეთა თვისთა შინათ (ცოლები მოჰგვარა, ოღონდ შინაც შემოუყვანა). გარდაუტევა მეღქოლამ დავით სარკმლითა, — გვითხულობთ აღრიზნულ ტექსტებში.

ვისგან მზე შენაფლობია. მიხსოცდეს და მიისროდეს, მინდორს სისხლსა მიახსნიდეს. მასვე გზასა წამოვიდა, რომე გუშინ შეეარა. ბალი შეღმა შე-რა-შენდა (ბალი შეღმა, ქვემოდან ზემოთ რა შე-შენდა), — წერს რუსთაველი.

აბინდება. გადაეშანა. გადაარიდე, გადაარეკოს. დაოცნებობს. დაუფარჩოს. მიეთოვოს. მიუღიავებს. მოიღიავებს. შეკიდებიან მთვარეს მტევნები. ცეცხლი

შემოიკიდე. ასე დაბინდულ მყინვარს ზღვა რად შედეღავს შავნაშენხავხებია. მტკვარი ამღვრეული ფიქარს წარმისახსნავია. შეემუქრება, შეეშენება, — წერს გალაკტიონ ტაბიძე.

ააგლისე — აღმა შეგოზე; ააგრიხე — ზედ შეაგრიხე. ააკერე — ზედ შეანემსე; ააკვეთე — აღმა აკვეთე; ააბე — შეღმა შეხეთქე; აარბიე — აღმა ცხენი აქუსლე; აარონინე — ზე შეატარე (შეადარეთ „აარონია“); ააქციე — სართული აღმარცვე; ააძლიე — ზე შეაწოდე; ააწვინე — ზე შეაწვინე; აღგესაბურველნეს — საბურველი აღგესადა. დაარვეულე — რვეულად გახადე; დააკვირბე — დაამზირე; მიმოდაყვანა — აქეთ-იქით განაბნივა; შედევენა — თან შეპყვა შორი-ახლო; შედეგა — ცხენი დეზით დაეგულიმა; შეეშანა — ზე შეეტოლა; შეეშომა — შეღმა, გინა შიგნით გარედამ გაეზომა; შეეთონა — შეღმა მოეთონა; შეეკობა — კიბის მსგავსად ფერხის ადგილნი შეეშადა; შეეკოშა — შეემალღებინა; შეეგო — ზე პირადმა შეეხეთქა, გინა წყალში მალიად შევიდეს; შეერაშმა — რაში შეეწყო; შეეტარებინა — შეერონინებინა; შეეტირა — ცრემლით ეუბნა; შეეტოლა — მის ტოლ იქმნა; შეეფათერაქა — ფათერაქად მოუხდა; შეეღარა — ღარი შეეველო; შეეყბედა — უღარესისაგან უშვერი სიტყვა; შეეყინა — ზედ მიეყინა; შეეყურებინა — გარეგნით ყური მიეპყრა; შეეჩქარა — შეისწრაფა; წააბიჯა — ბიჯი გარდადგა; წააგავა — მიაცოცხა; წააგრიხა — ზე შეასთო; წაანთებინა — წინ გაინთო; წაარონინა — წინ გაატარა; წააქამა — ქამაში შეატანა; წაახვია — შებლარდნა, — წერს სულხან-საბა ორბელიანი.

ერთი ძალზე საინტერესო ფაქტი: საბა აღნუსხავს შეე-ზე დაწყებულ („შედევენა“ და მისთ.) სამასამდე ზმნას და ბოლოს შენიშნავს: „შინზედ ორი ენი მრავალი მოვალს, სიმოკლის შენდობას ვითხოვ“.

შენდობის თხოვნა მოკრძალებისა და თავმდაბლობის მიმნიშნებელიც, აბა ამის

დამწერი კი არ მოითხოვს შენდობას: „შევარდენი ანეთარებს ას მეტრ სისწრაფეს წამში, როცა ზემოდან პიკირებით ეშვება მსხვერპლზე“. არც ამისი: „ზღვა მიმოქცევას აწარმოებს“. კიდევ: „ცხენი ჭენებით წაიყვანა აღმართში“; მან საერკლიდან შეგვხედა და გავგვიცინა“; „კინოში წასვლამდე მეგობრის სახლში გაიარა“; „რამდენჯერმე გაიარა ოთახში“; „დადის წინ და უკან ოთახში“; „იგი ქვემოდან მიჩერდა მოსაუბრეს“.

• • •

ჩვენ ვნაწივთ, რა სავალალო შედეგებს იწვევს ზმნის როლის გაუთვალისწინებლობა, მისი სირთულისა და მრავალფეროვნების უგულვებელყოფა. მაგრამ ამით არ ამოიწურება სათქმელი. ზმნი-სადმი უსულგულო დამოკიდებულება წარმოშობს უფრო დიდი მასშტაბის შეცოდებებსაც — სინტაქსურ შეცოდებებს, რადგან ზმნა არის სწორედ ქართული წინადადების უმთავრესი წევრი (შემასმენელი).

ამ მხრივ ყველაზე მეტად თვალსაჩინოა ზმნისა და სახელის არასწორი შეთანხმება რიცხვში. ცნობილია, რომ უსულო საგნის გამომხატველი სახელი, ზოგიერთი გამონაკლისი შემთხვევის გარდა, ზმნას რიცხვში ვერ ითანხმებს. მაგრამ ინდოევროპულ ენათა გავლენის მოძალების შედეგად ეს წესი ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა:

„მნახველთა თვალს იზიდავენ დედამიწის ხელოვნური თანამგზავრების მოდელები“ (უნდა: იზიდავს); „მის სახეზე საშინელი ძალის ხაზები ისახებოდნენ“ (უნდა: ისახებოდა); „პოეტის ფიზიკური და სულიერი ძალები აუტანელი შრომისა და ეკონომიური გაჭირვებისაგან თანდათან ეცემოდნენ“ („ძალების დაცემა“ ისედაც არაა ქართული!); „სურათებს ცვლიან სცენები“ (უნდა: ცვლის); „ცალკეული წანაკითხები აჭრელებულ სურათს იძლევიან“ (უნდა: იძლევა); „გადიან წლები“ (გადის); დრამატული

მომენტები ლექსებში გადადიან“ (გადადის); „ლექსები გვხიბლავენ“ (გვხიბლავს); „ეს ლექსები აქტუალობით გამოირჩევიან“ (გამოირჩევა); „უჩინები გამოცვლილიყვენ“ (გამოცვლილიყო, შეცვლილიყო); „ხეები ყვავოდნენ“ (ყვაოდა); „ისეთი ქალაქები, როგორც არიან“.

ვხვდებით საწინააღმდეგო სურათსაც, როცა შედგენილი შემასმენელი სულიერი საგნის აღმნიშვნელ სიტყვასთან მხოლოდ რიცხვშია: „სახელგანთქმული პოეტებია“ (უნდა: პოეტები არიან); „დაზვასთან სტუდენტებია“ (სტუდენტები არიან) და სხვ.

უფრო იშვიათად, მაგრამ მაინც არის შემთხვევები, როცა ზმნას სახელს არასწორად ამართვინებენ ბრუნვაში. ეს იმდენად მომაკვდინებელი ცოდვია, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ავტორმა (თუ მთარგმნელმა) საერთოდ არ იცის სალიტერატურო ქართული. ვინმემ რომ სალიტერატურო ენა არ იცოდეს, თავისთავად საკვირველი როდია. საკვირველი ისაა, რა გზით ზერხდება ამგვარი ენით დაწერილ ნაწარმოებთა დაბეჭდვა.

ორიოდე მაგალითი:

„სწორედ იმ წამიდან, როცა შევიცან საკუთარი თავი, ვიდრე უკანასკნელ წუთამდე, როცა შენ ქანცმილეულმა, უკანასკნელად თავით ჩუმად მომეურდნე მკერდზე...“ „ახალგაზრდა, რომელიც ფეხზე საქმელს ლეპავდა, არც თუ დიდი სიამოვნებით აიღო ჩაიდანს და გაუდგა გზას“.

შეცოდებანი სინტაქსის სფეროში აქ აღნუსხული ტიპის შემთხვევებით არ ამოიწურებიან. საკმაოდ ხშირია, როცა არასწორად ათანხმებენ სახელს სახელთან ბრუნვაში („მაღალ სახლებს“, „გაუთავებელ კამათით“), რიცხვში („მრავალი სტუდენტები“, „ბევრი ბურთები“) და სხვა. მაგრამ ამის თაობაზე ბევრი დაწერილა და იწერება, ასე რომ სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

* * *

ზმნის როლის უგულვებელყოფის სხვა მაგალითები უკვე სცილდება მორფოლოგიისა და სინტაქსის (საერთოდ, გრამატიკის) სფეროს და ისეთ ნაკლებად შესწავლილსა და, ამავე დროს, რთულ ცნებას უკავშირდება, როგორცია **სტილი**.

კაცმა რომ თქვას, სწორედ ამ სფეროში ირყენება და მახინჯდება ყველაზე უღვთოდ ქართული ენა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ გრამატიკული შეცოდება ყოველთვის უფრო თვალსაჩინოა და, ამდენად, უფრო იოლად აღსაკვეთიც, ხოლო სტილისტური შეცოდების შესამჩნევად ცოტათი უფრო მახვილი თვალი და დახვეწილი სმენა, ერთი სიტყვით, — ენის ბუნების კარგი ცოდნაა საჭირო. და კიდევ იმიტომ, რომ ნაუბარის თუ ნაწერის გრამატიკულ დახვეწას ნაკლები შრომა სჭირდება, ვიდრე სტილისტურად გამართვას. ამასთან, ბარბარისმი, ამ სიტყვის ჩვეული გაგებით, უცბად მოხვდება სმენას („სტოლი“, „რიუკხაკი“, „ავტორუჩკა“, „ლიეები“, „შაფი“, „კრანი“ და მრავალი სხვა), ხოლო სტილისტური ბარბარისმები ზოგჯერ ისე შემოეპარება ენას, ნაცადი მოქართულენიც ვერაფერს შენიშნავენ.

მაგრამ ბარბარისმიცა და ბარბარისმიც: „ხმარებაში შემოიღო“, „შეცდომაში შეიყვანა“ და სხვა მსგავსი გამოთქმები თავის დროზე სტილისტური ბარბარისმები იყო, მაგრამ ენამ ისინი ნებუნებურად შეიწყნარა და ახლა ლექსიკონებშიც კი დამკვიდრდნენ. ოღონდ ვიდრე ქართულს ქართული ეთქმის, ვერასოდეს იგუებს ასეთ რამეს:

„განა მას შეეძლო ეფიქრა, რომ ამ წუთში მან გადადგა პირველი ნაბიჯი იმ გზაზე, რომელმაც იგი დაღუპვამდე მიიყვანა?“

„ვიმ ამ ნაცვალსახელების სიმრავლეს!“ — წერდა თავის დროზე ილია ჭავჭავაძე მსგავსი შემთხვევის გამო. მაგრამ თუ მაშინ, მეცხრამეტე საუკუნის სამოცდაათიან წლებში, გარკვეული

მიზეზების გამო (მოვიგონოთ შემოთნახსენები უზარმაზარი ხარვეზები — თუ ენაში გაჩენილი მეთვრამეტე საუკუნიდან ვიდრე თერგდალეულთა თაობის ამოქმედებამდე) მსგავსი რამ მოსალოდნელი და, მე ვიტყვოდი, კანონზომიერიც იყო, დღეს რა ღმერთი უნდა გაუწყრეს ქართველ კაცს, რომ ასე უგულოდ დაწინდოს ქართული ზმნა და, საერთოდ, ქართული ენა?

გავამრავლოთ მაგალითები.

„ჩერვიაკოვს მუცელში რაღაც ჩასწყდა. მან კარებისკენ დაიხია. ის არც რამეს ხედავდა და არც რამე ესმოდა“.

„რა იქნა დეპეშა? სად გადაავდეთ? იგი ყაზანიდან გუშინდელი თარიღით იყო გამოგზავნილი“.

— მაგრამ გუალი?

— რა გუალი?

— ის შენთან წამოვიდა“.

— ვის უშაღებ ამ ფხენილებს?

— არავის, მარაგს ვამზადებ.

— მარაგს? ეს ძალიან კარგია, ძალიან კარგი“.

„შენ მხოლოდ ერთი კვირაა, რაც აქა ხარ. შენ არაფერი იცი. შენს საქმროს მანაც ჰკითხე, თუნდაც ის, თუ რად გადმოვსახლდი მასთან. საერთოდ, ის ბევრ ჭკუის სასწავლს ვიამბობს. ამ წელიწადს მან აქ ბევრი რამ იწვინია“.

„და ყველაფერი აღასტურებს იმას, რომ იგი რაიმე ახალს შესძენს პატერსონების სახელს. მართალია, იგი ახალგაზრდაა, მაგრამ მან უკვე თვალსაჩინო ადგილი დაიკავა მეცნიერების სამყაროში“.

„ძალიან გთხოვთ თავი დაანებოთ მას და ნუ ეჩიხინებით, რომ იგი უბედურია, თორემ მართლა იფიქრებს, რომ ეს ასეა“.

აქ მოტანილი ყველა მაგალითი თარგმნილი ნაწარმოებებიდანაა აღებული. სწორედ სხვა ენის მოუნელებელი გავლენა აიძულებს მთარგმნელს დაივიწყოს ქართული ზმნის ფასდაუდებელი თვისებები და მისი დომინანტური როლი წინადადებაში და ნაცვალსახელთა მსგავსი სიუხვე შემოგვთავაზოს.

ასევე სხვა ენის (თუ ენების) გავლენა

ნით მოხშირდა ჩვენს თარგმანებში ერთი შეუწყნარებელი შეცოდება — წინადადების უზმნოდ დატოვება. არავის ეგონოს, თითქოს საერთოდ უზმნო წინადადების (როგორც სტილისტური ხერხის) წინააღმდეგ ვილაშქრებდეთ ამ შემთხვევაში. არა, მხედველობაში მაქვს მხოლოდ ისეთი ასლები რუსული ფრაზისა, როგორცაა:

„ხედავთ რას სწერენ ახლა? არაფერი კუთხის სასწავლო“.

ან კიდევ: ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი ამბობს — უცოლშვილო მამაკაცები არ მიყვარს, ქვეყნისათვის ზედმეტი ბარგი არიანო, ხოლო მეორე პასუხობს: „ღიახ, ზედმეტნი ბარგნი არიან. ფუქსავატობა“.

კიდევ: ნაწარმოების ერთ-ერთი გმირი მეორეს უნდა განშორდეს და, როცა წასვლას დააპირებს, მეორე წამოიძახებს: „უკვე?“

„საბანაოდ მივალ. ჯერ არც ერთი დღე არ გამიცდენია. ყოველთვის ამ დროს“.

„— ერიპა! შენც მაღალ საზოგადოებაში? — მიმართა მან მეგობარს“.

როგორც ხედავთ, ყველა მოტიანი წინადადებაში, როგორც ილია ჭავჭავაძე იტყოდა აგრეთვე მსგავსი შემთხვევის გამო, „ზმნა ოცნებაში ჩაფლულა და ჩაპბარებია პატრონსა“.

• • •

ზემოთ აღნუსხული იყო ტიპური შემთხვევები, როდესაც ზმნის როლის უგულვებელყოფა იწვევს სტილის შერყენას და დამახინჯებას. მაგრამ არსებობს აგრეთვე სხვა ხასიათის სტილისტური შეცოდებები, რომლებსაც ვერავითარ კატეგორიაში ვერ მოვათავსებთ და რომლებიც სიტყვათა და სიტყვათშეხამებათა უხეირო შერჩევისა და განლაგების თუ დაკავშირების შედეგად წარმოიქმნება უპირატესად. მსგავსი შეცოდებები რაოდენობის მხრივ ყველაზე ხშირია და ერთობ ჭრელ სურათს წარმოქმნის.

„რამდენიმე ეს ახალი მოწყობილობა უკვე დადგმულია ფაბრიკაში“
 „ბორჯომის რაიონის სტილისტობის უმეტესი ნაწილი ტყეებითაა დაფარული, რომელთაც საკურორტოს გარდა, სამრეწველო მნიშვნელობაც აქვთ“.

„ამ მეთრნეობის ტყის ფართობებიც საკმაოდ დიდია. იგი (მეთრნეობა თუ ტყის ფართობები?) გადაკიმულია მტკვრის ორივე სანაპიროზე და წიწვითაა მცენარეებისა ფიჭვის, ნაძვის, სოჭის გარდა, ძვირფასი ჯიშები წიფელი, მუხა, თელა, ნეკერჩხალიც ბევრია“.

„საფრანგეთის გარკვეული წრეები, საზოგადოებრიობის ფართო წრეების მოლოდინისა და იმედის საწინააღმდეგოდ, ცდილობენ ეწინააღმდეგონ მოწყვეტის წინ შექმნან პესიმიზმის ვითარება მისი შედეგების მიმართ“.

„საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მოწინააღმდეგეები ცდილობენ აგრეთვე შექმნან შთაბეჭდილება, თითქოს დასავლეთ ბერლინის მოსახლეობა წინააღმდეგია ბერლინის სტატუსის შეცვლისა, ე. ი. დასავლეთ ბერლინში საოკუპაციო რეჟიმის ნაშთების ლიკვიდაციისა, რომელიც წარმოადგენს საერთაშორისო დაძაბულობის საშიშ კერას“ (გამოდის, რომ ლიკვიდაცია წარმოადგენს დაძაბულობის კერას!).

„ლუმანიტე“ იმოწმებს დასავლეთ ბერლინის პრესას და აღნიშნავს, რომ დასავლეთ ბერლინის ხელისუფალნი აპირებენ მაისის პირველ ნახევარში, ე. ი. ეწინააღმდეგონ დროს, მოაწყონ მთელი რიგი მანიფესტაციების ინსცენირება, რომელთა მიზანი ის არის, რომ ცხადყოფენ დასავლეთ ბერლინის მოსახლეობის „უკმაყოფილებას“ თათბირის მოწყვეტის გამო“.

„...ცდილობენ გამოიწვიონ მისი სიბრალული ბერლინის მოქალაქეთა ბედისადმი, რომლებიც თითქოს სურათ პირში მისცენ „ავ მგელს“.

„შეეხო რა შინაპოლიტიკურ მდგომარეობას დასავლეთ გერმანიაში, მან განაცხადა“ (დასავლეთ გერმანიაში შეეხო თუ დასავლეთ გერმანიისას?).

„მან განაცხადა, რომ ადენაუერის თანხმობა წამოაყენოს თავისი კანდიდატურა არჩევნებში, ცხადყოფს, რომ ბონის მთავრობის მეთაური ჩიხში მოექცა უწინარეს ყოვლისა თავის საგარეო პოლიტიკაში“.

„მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც ძმური მეგობრობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, გამოვლინდა ორივე მხარის აზრთა სრული ერთიანობა ყველა განხილულ საკითხში“ (შიშინის ვარდა იმასაც ყურადღება მივაქციოთ, რომ მსვლელობა მიმდინარეობდა!).

„იგი წარმოადგენს აგრეთვე იმ ჩაშლის იდეოლოგიურ მომზადებას, რასაც გერმანიის მილიტარიზმის წარმომადგენლები უპირებენ ექვნივს თათბირზე გერმანელი ხალხისათვის მთავარი საკითხის — გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების წარმატებით განხილვას“ („თუ აქ ვაიგება რამე, ხელს მოვიპოვებ“, — წერდა მსგავსი შემთხვევის გამო ილია ჭავჭავაძე).

„გახეთი „ასამ ტრიბუნა“ მოწინავე სტატიიში, რომელიც ეძღვნება ინდოეთსაბჭოთა კავშირის ურთიერთობას, წერს, რომ „ინდოეთი და რუსეთი, ისე როგორც მათთან ერთნაირად მოაზროვნე სხვა ქვეყნები, გულწრფელად არიან დაინტერესებულნი იმით, რომ დაიცვან საყოველთაო მშვიდობა, რაც სრულიად საჭიროა ყველა ქვეყნის როგორც დიდი, ისე პატარა ქვეყნების მატერიალური და სულიერი პროგრესისათვის“.

„მშვიდობის დაცვისათვის მოძრაობა თავისი წარმოშობიდანვე გადაჭრით გამოდიოდა მასობრივი მოსაზრების იარაღის აკრძალვისა და გამაღებული შეიარაღების შეწყვეტისათვის“.

„ეს მონაცემები იმის მკაფიო დადასტურებაა, თუ საბჭოთა კავშირში როგორ აღორძინდნენ ხალხები, რომლებიც წარსულში ჩაგრულნი იყვნენ“.

„მოსახლეობის გადიდება მოხდა ბუნებრივი მატებით და სოფლის მცხოვრებთა მნიშვნელოვანი რიცხვის სამუ-

შაოდ ქალაქებსა და მუშათა დაბებში გადასვლით“.

„პარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოწვევის შესახებ, — თქვა საუბრის დროს თბილისის ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხნის ამწყობი საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელმა...“ (სულ 23 სიტყვა და ამათვის 13 ნათესაობით ბრუნვაში დგას!).

„გაშლილი კომუნისტური მშენებლობის პერიოდი მთელი საბჭოთა ხალხის წინაშე საზავს ბევრ საკითხს სოციალისტური სახელმწიფოს ბედის შესახებ, ახალ პირობებში მისი როლისა და მნიშვნელობის, მისი შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების გზების შესახებ“.

„საბჭოთა კავშირი მესამე ადგილზეა ყველა სახეობის საათების გამოშვების მხრივ და მეორეზეა, პირველობას უთმობს რა შვეიცარიას, მაჯის საათების წარმოებაში“.

„ექიმებისა და მეცნიერებისათვის გამოშვებული იქნება წამშომიანი საათები, ხოლო სპორტის მოყვარულთათვის ორისრიანი წამშომით“.

„მომავალი წლისათვის კიდევ გავადიდებთ გეგმას, რათა ჩავაყენოთ იმის აუცილებლობის პირობებში, რომ იფიქროთ და იმუშაოთ იმაზე, რომ ყოველწლიურად ზრდიდეთ მარცვლეულისა და სოფლის მეურნეობის ყველა სხვა პროდუქტების მოყვანას“.

„...ევალებათ მოაწყონ სამეცნიერო დაწესებულებათა იმ ხელმძღვანელების, რომლებიც კვლევას აწარმოებენ ისტორიის დარგში, და თვალსაჩინო მეცნიერ ისტორიკოსთა თათბირი, რომელიც განიხილავს ისტორიის მეცნიერებათა მეცნიერ-პედაგოგთა კადრების მომზადების გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხს“ (ხელის მოქრა აქაც მოგვიხდება!).

„ამ ნაწარმოების მთავარი აზრი მდგომარეობს დასაბუთებაში გმირობისა და კეთილშობილებისა, როგორც ომში, ფრონტზე, ისე მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომის ვითარებაში“.

„ეს ნაწარმოები გამოწვევა იყო დახვედრული ფეოდალური სამყაროს მიმართ“.

„დედამიწის ყველა ხალხი ზემოთ აღნიშნავს ამ დიდი ჰუმანისტისა და დემოკრატის ხსოვნის დღეს, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ადამიანთა ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლას“.

„უმეტეს შემთხვევაში ნაწარმოებთა მიხედვით ნათელი ხდება ამ გმირის სულიერი სამყარო“.

„პარიზის კომუნის დამარცხებაში კაცობრიობის ისტორიული პროგრესის დროებითი შეფერხების დანახვა თავის თავად შეტყველებს იმაზე, რომ პოეტის თავის ლექსში კომუნის სწორედ მსოფლიოისტორიულ მნიშვნელობას უხვამს ხაზს“.

„ვთა უძვირფასეს მასალას გვაწვდის ფშაველ-ხევსურთა ცხოვრებიდან — იქნება ეს ფშაური ლექსები თუ ლაშარობა“.

„განა საჭიროა მტკიცება იმისა, რომ თვის ნაწარმოების გმირისთვისაც კი საქმის ვითარება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე ეს აქ არის წარმოდგენილი, და რომ ის, რაც არცთუ საესებით სწორია ნაწარმოების გმირის მიმართ, სავსებით არ არის სწორი ავტორის მიმართ?“

„მაგრამ ყოველივე ამასთან, ცხადია, თუ რა მიმართულებებს ხელოვნებაში იცავს გაზეთი, ვის მხარეზეა იგი“.

„მას კი ხომ, ყველაფრის მიხედვით, შეეძლო კარგი მუსიკით გაეხარებინა მსმენელები“.

„მათ მიანჩიათ, რომ, შინაარსით უაზრო სიმღერებიც სასარგებლოა იმიტომ, რომ ისინი თითქოს იზიდავენ ახალგაზრდობას არა „საკუთრივ უაზრობით“, არამედ „უაზრობისადმი თავიანთი დამოკიდებულების ერთობით გატაცების“ შესაძლებლობით“.

„პირველი პოეტური კრებულის გამოცემიდან ცამეტი წლის სინჯუმის შემდეგ გამოდის კრებული „ანაბაზისი“, რომლის შთანაფიქრი მოგვაგონებს იმავე სახელწოდების ძველი საბერძნეთის

მწერლის ქსენოფონტეს ნაწარმოებს“.

„იგი გრძნობს თავის თავს განდევნილად არა მარტო ამ ისტორიულ სიტუაციაში, არამედ საერთოდ ცხოვრებიდან“.

„ლექსების კრებული აფრთხილებს ატომური ომის საშიშროებაზე და პოეტის მაღალ დანიშნულებას ქადაგებს“.

მისი პოეზია უკიდურესობამდე მგრძნობიარეა თანამედროვე განვითარების დინამიკის მიმართ, აგრეთვე ყველა მერიდიანის ადამიანის დაახლოებისადმი, რაც მისი პოეზიის არსებითი, გადამწყვეტი თვისებაა“.

„პოეზია ის აქტიური ძალაა, რომელსაც შესწევს საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენა“.

„აქ, რიყის ქვაფენილზე მხოლოდ ბებერი ცხენი კეთილი, დაღლილი თვლებით დააგორებდა რეზინის ბორბლებიან ფორანს“.

„რატომღაც ქუდი მოიხადა და ბავშვის ცხვირსახოცით მოულოდნელობისაგან გაოფლიანებული შუბლის წმენდა დაიწყო“.

„— ღმერთო ჩემო, რა ცხარე თავდასხმა! — მიუგო მზიარული გამომეტყველებით ბრტყელ სახეზე დარბაზში შესულმა და ასეთი შეხვედრით სრულიად არ შემფოთებულმა თავადმა“.

„ენეინა ლიმილით და ყველასთან გამოლაპარაკებით ახალ ადგილზე გადავიდა“.

„თავადის ასული, თავისი, ფეხებთან შედარებით, შეუსაბამოდ გრძელი წელით, იჭდა და შეჰყურებდა თავდას“.

„იგი უაღრესად საქმიანი გამომეტყველებით დატრიალდა მთელი თავისი მსუბუქი აგებულებით, განიერი მხარბეჭით და ოქროსფერი წაშაშაშების ციმციმით“.

„ვხედავ როგორ შეგაქვს შენი ძლიერი ხელით ნამგალი პურში, მეორე მუქაში ჩაბლუჯულ ღეროებს პირდაპირ ნამგალზე აწყო, ვხედავ ნამგლის თვალშეუსწორებ პრიასს, მერე კი ამ წამიერად თანაბრად ქალურ მოძრაობას ხელებისას და ნამგლისას, რომელიც

თავთავეებს ფრთხილად აწყობს კონებად, რომ არ დაამტვრიოს მოთიბული ღეროები“.

„უცებ ქალი მის მიმართ სიბრაღე ღიწმინდა, და იმავე დროს, რაღაც ანკობის გრძნობამ შეიპყრო“.

„ჯარის ნაწილი სულ მიდიოდა და მიდიოდა სიბნელეში, პაპიროსების ცეცხლის კიაფით, მიდიოდა დაუსრულებლად, როგორც ცის იკანკლედი“ (სად მიდის ცის იკანკლედი მთარგმნელის აზრით?).

„ქალაქის ცენტრში, პარკთან მომიჯნავე ქუჩებში უკვე სრული სიწყინარე ჩამოვარდა“.

„ლიანდაგზე წინ და უკან გრუხუნით დადიოდა რკინიგზის უკანასკნელი შედეგნილობა“.

„ისინი გატაცებით საუბრობდნენ, ეტყობოდათ, არც ეს საბარგო მანქანა, არც გაოფლილი ადამიანები და არც სხვა ყველაფერი ის, რაც ირგვლივ ხდებოდა, არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო მათთვის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი, რაზეც ახლა საუბრობდნენ ისინი“.

„...რომლებიც ქარბუქსა და ამურის ქარ-ყინვიანი გზებით ყინულის ხვრელებში მიძვრებოდნენ“.

„თითქოს რაღაც მოუსვენარი ნაპერწკალი დახტოდა ყოველთვის მისი ერთიდან მეორე თვალში“.

„მაშინ, როცა უამრავი ხალხი, ხანდაზმულნი და ახალგაზრდები, არა შარტო ქალები, არამედ თოფიანი მამაკაცებიც კი იტანჯებოდნენ და წვალობდნენ უკან დახვევის ამ დაუსრულებელ ნიაღვარში, ვანია და ჟორა ზურგზე წამოკიდებული საბარგო ტომრებით, იდაყვებს ზემოთ დაკაპიწყებულნი, ხელში ქუდებით და სანუკვარი იმედით. გამსკვალულნი, მხნედ მიაბიჯებდნენ ტრამალებზე“.

„ვალა მიჩვეული იყო მის მიმართ თანატოლი ჭაბუკების თაყვანისცემას“.

„ნადია! ცამეტი რიცხვიდან არა ვწოლილვარ, ცამეტი რიცხვის დილიდან დღეს საღამომდე სულ ბრძოლაში ვარ“.

„იგი შესტყუროდა თავისი მეგობრის 9. „მნათობი“, № 5

ნამძინარე, ყვრილიან სახეს“ (უყვრილო სახე?).

„მერე ამხანაგის ჩამუქმუქმუქდა თითქოს ალგზნებულ სახეზე შეხედა“.

„სწორედ ეს იყო ის დეკა, რომელზეც ჯერ კიდევ ბავშვობიდან, ეიულვერნის წიგნების მიხედვით, იქმნებოდა მასში წარმოდგენა, როგორც ზღაპრული სილამაზის ყვავილზე“.

ეს ყოველივე (ერთი-ორი უმნიშვნელო გამოჩაქისის გარდა) დაბეჭდილია ქართულად გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებსა და წიგნებში, რაც იმას ნიშნავს, რომ ასიათასობით ადამიანი ამგვარი ქართულის ნიმუშებს ეცნობა ყოველდღიურად. ეცნობა და გავლენის ქვეშ ექცევა. შემდეგ ეს ადამიანებიც ამგვარი ქართულით იწყებენ მეტყველებას და წერას, ამგვარ ქართულს გადასცემენ მოზარდ თაობებს. და ძნელი არაა წარმოდგენა, თუ რა მოპყვება შედეგად ასეთ ვითარებას.

ჩვენს ხანაში ცხოვრების ტემპი დღითიდღე იზრდება. ვასაგებია, რომ ზოგჯერ ვჩქარობთ ხოლმე (არ შეიძლება ერთმეორეს შევეუღაროთ, მაგალითად, მწერლის ან მეცნიერის დინჯი შრომა და პრესის ან დეპეშათა სააგენტოს მუშაის გაწამაწია). მაგრამ არასოდეს არ უნდა დაევიწყოთ, რომ „ზოგჯერ სიწყინარე გმობილი სჯობს სიჩქარესა ქებულსა“. კერძოდ, ეს ქეშმარიტება დევიზად უნდა გავიხადოთ, როცა ქართულ ენას შეეხება საქმე. იმის გამო, რომ ესათუის ინფორმაცია ან მასალა სასწრაფოდაა დასაწერი ან სათარგმნი, არ უნდა დავუზაროს ყოველ სიტყვასა თუ ფრაზაზე გულდასმით მუშაობა, ვიდრე ნათქვამს სრულ, ჩამოყალიბებულ სახეს არ მივცემთ, ვიდრე ყოველმხრივ არ ავწონდავწონით და არ დავხვეწავთ. მით უმეტეს, თუკი არსად გვეჩქარება. თუ პრესისა და დეპეშათა სააგენტოს მუშაის ენობრივ ლაფსუსებს ფორმალური გამართლება მაინც მოეძებნება, მწერლისა და მეცნიერის ჩიქორთულობას არავინ შეიწყინარებს.



ინტელი პოეტოვს... მისი...
მე კოლხეთს... მოიხილ...
ონსა... მხრე...
ფაუნდ...

მეტონ... მისი...
ინტელი... მისი...
მხრე... მისი...
ფაუნდ... მისი...

კლავონ ბალია

კუბელი პოეტი ნიკოლას გილიენი

კუბელის რევოლუციის...
დღევანდელ არაგენტინის...
ნოს-აირესიდან სამშობლოში დაბრუნდა...
კუბელი ემიგრანტი-კომუნისტი პოეტი...
ნიკოლას გილიენი, რომლის მეტროპოლი...
ლექსებში დიდი სასახურია. გაუწია მის...
ხალხს ტირანიის წინააღმდეგ ბრძოლა...
ში. გილიენმა ეს რევოლუცია მიიჩნია...
იმ რევოლუციის ახალ ეტაპად, რომლის...
ალიც ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის ბო...
ლოს აანთო ხოსე მარტიმ.

მულატი ნიკოლას გილიენი დაიბადა...
1902 წლის 10 ივნისს, ქ. კამაგუეიში...
(კუბაში) პროგრესულად განწყობილი...
ჟურნალისტისა და მომავალი სენატორ...
ის ოჯახში. მან ბავშვობისა და ყრმობის...
წლები მშობლიურ ქალაქში გაატარა...
1917 წელს გილიენის მამამ მონაწილე...
ობა მიიღო ლიბერალების მიერ კონსერ...
ვატორთა წინააღმდეგ მოწყობილ აჯან...
ყებაში, რომლის დროსაც იგი დაიღუპა...
კიდევ... იმ დღიდან, — იკონებს ნიკო...
ლასი, — მე და ჩემი ძმა პროფესიული...
ასოთამწყობები გავხდით, რათა მხარში...
ამოვდგომოდით გაქორცვებაში ჩავარდ...
ნილ... ოჯახს... მე და ჩემი ძმა დღისით...
ვმუშაობდით, სადამოთი კი ვსწავლობ...
დით. ასე დავამთავრეთ საშუალო სას...
წავლებელი". შემდეგ მომავალი პოეტი...
ნიკოლასი შედის პავანის უნივერსიტეტ...
ში და მის დამთავრებისთანავე ბრუნ...
დება მშობლიურ ქალაქში.

ნიკოლას გილიენი ფაქტობრივად 1930 წელს...
გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. ამ...
წელს გამოაქვეყნა გაზ. „დარით დე...
მარიანაში“ მოკლე ლექსების ციკლი...
„სონური ჰანგები“ და მკითხველთა ყუ...
რადღება მიიპყრო. განსაკუთრებულ

მონონება ხედა იმავე გაზეთში გამოქ...
ვეყნებულ მის მომდევნო ლექსებს.

ფორმის მხრივ ეს ლექსები ახალი ნა...
ბიჯო რყო მთელს ესპანურ ლიტერატუ...
რაში; მაგრამ შინაგონით ეგზოტიკას არ...
გასცილებია. არც მომდევნო წიგნში...
(„სონგორო კოსონგო“, 1931 წ.) შეტანი...
ლი ლექსები იყო თავისუფალი აპოლ...
იტურიობისაგან. მალე ნ. გილიენის...
შემოქმედებაში დიდი გარდატეხა ხდებ...
და „ტებილ ხმარე“ მომდერალი პოეტ...
იდან იგი იქცა ბრძოლის პოეტად. ამას...
ხელი შეუწყო პოეტის მიერ კუბელი...
ხალხის ტანჯული ცხოვრების და ხოსე...
მარტის რევოლუციური პოეზიის შეს...
წავლამ, აგრეთვე 1933 წელს კუბაში და...
ტრიალებულმა ტრაგიკომედია. 1933...
წელს კუბელმა ხალხმა დაამხო ამერიკე...
ლი იმპერიალიზმის ერთგული ლაქია...
პრეზიდენტი მახადო, მაგრამ ვაშინგ...
ტონელმა მბრძანებლებმა კვლავ მოატ...
ყუეს კუბელი ხალხი; პრეზიდენტის სა...
ვარძელზე დასვეს თავისი ერთგული...
მსახური სპენენდესი. ამ ფაქტმა პოეტი...
კიდევ ერთხელ დააჩქარა, რომ კუბე...
ლი ხალხის სულთამხუთავია ამერიკელ...
იმპერიალისტებთან დაკავშირებული...
კუბელი ბუჩუქავია, რომ მათი თავიდან...
მოშორება შეიძლება არა მშვიდობიანი...
გზით, არამედ შეუპოვარი ბრძოლით,
რომ ბრძოლაში პოეზიასაც საკმაოდ...
დიდი როლის შესრულება შეუძლია. ამ...
თემას გილიენმა უძღვნა ლექსების კრე...
ბული „ვესტ-ინდოეთი“ (1934 წ.). ეს...
წიგნი, როგორც თვითონ პოეტი წერს,
წარმოადგენს სატირას — ეროვნული...
ბურჟუაზიისა და იანკის იმპერიალიზმის...
წინააღმდეგ; კრებულში შეტანილ ლექს-

თა დიდი ნაწილი გამოხატავს პოეტის უკმაყოფილებას იმის გამო, რომ კუბაში ზანგებს ადამიანებად არა თვლიდნენ, უფრო მეტიც, მათ არა ჰქონდათ უფლება კი თავიანთი თავისათვის ადამიანები ეწოდებინათ:

გასძაღლებათ ზანგებს სოფელი,
წაქვეულ ლურწამს ჭარი მიათრევს,
და მათრახს იქნევს მონათმფლობელი!
იჩველივ თვალებში ცრემლთა ცილი,
მოღლილი მკლავი,
უღონო მუხლი,
კვლავ შაქრის ლურწმის პლანტაციები,
კვლავ უნაყოფო დღეების მწებრი
და კენესა სულის ამოხდომამდე...

(„ბალადა ორი წინაპარისა“)

ზანგ სიმონ კარაბალოს ერთ დროს სახლ-კარი ჰქონდა, ჰყავდა ლამაზი ცოლი, იგი „მუცელს გადაჰყავა“, თვითონ მას წაართვეს სახლ-კარი და იძულებული გახადეს სხვის ჭიშკართან იძინოს, ბალიშად აგური აქვს, ბინად კი — ყოველი ქუჩა, ლუკმაპური ენატრება, თავზე ადგას პოლიციელი რეზინის ჯოხით, ჯერ ავინებს, მერე მიჰყავს პოლიციაში („ბალადა სიმონ კარაბალოსი“); ზანგი საბასიც კარდაკარ დაეხეტება, ელის, რომ ვინმე ფანჯრიდან პურის ნატებს გადმოუგდებს, რომ იმით გამოჰკვებოს ავადმყოფი ცოლი, მაგრამ ვინ შეიბრალებს?! („საბას“). ასეთივე მდგომარეობაში არიან მულატები; ერთ მათგანს პოეტი ასე ალაპარაკებს:

ისინი მკლავენ, თუ არ ვმუშაობ,
როცა ვმუშაობ, მაშინაც მკლავენ.
და ვმუშაობ, თუ არა ვმუშაობ,
რას გამოვიდა, მაშინაც მკლავენ.

(„ისინი მკლავენ, თუ არ ვმუშაობ...“)

მეორე მულატი კი ასე გამოხატავს თავის გულისტკივილს:

გადმოუგდია ენა დეპეტატს,
დაპირებამაც რა მოვკვტიანა...
შაქარი მიაქეთ, სიმწარე მოაქეთ,
ჩვენ ვიღლინით, ჩემო გიტარა!

(„ჩინ-მედლიანი პოლკოვნიკები...“)

ამ უბედურებას, გორგოვსის თქმით, მოსაპოვს თვითონ ხალხი, რომელიც უნდა აღსდგეს თავისუფლების მოსაპოვებლად.

გილიენის თანმიმდევრულ მებრძოლ პოეტად ჩამოყალიბებას დიდად შეუწყობ ხელი იმ ფაქტმა, რომ იმყოფებოდა ესპანეთში სწორედ მაშინ, როცა ესპანელი ხალხი მრისხანე ბრძოლას ეწეოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. აქ მან მონაწილეობა მიიღო კულტურის დასაცავად მოწყობილ II კონგრესში, კონგრესის დამთავრების შემდეგ დარჩა ესპანეთში და ჰევანის ეურნალ „მეოდიას“ უგზავნიდა კორესპონდენციებს. აქ გაიცნო პოეტმა ესპანელი ხალხის ტრაგედიის ბევრი ცნობილი მონაწილე, სხვადასხვა პოლიტიკური მიმართულების მოღვაწენი: პასიონარია, ლისტერი, ასანია, მოდესტო, მარსელინო, დომინიგო, ფერნანდო დე ლოს რიოსი, ალბერტი ანტონიო მაჩადო... იქვე შევიდა გილიენი კომუნისტურ პარტიაშიც და დაწერა ლექსების შესანიშნავი ციკლი „ესპანეთი“, რომელიც დიდი სიყვარულით მიიღო ხალხმა. ერთი სიტყვით, ესპანეთი გახდა მისთვის სკოლა, რომლის მეოხებით პოეტი ყოველგვარი მერყეობის გარეშე, მთელი არსებით ჩადგა თავისი ხალხის სამსახურში.

მეამბოხე ფრანკოს ჯალათობამ და იტალია-გერმანიის ფაშისტური ჯარების მიერ რესპუბლიკური ესპანეთის სისხლის მორევში ჩადრჩობამ გილიენი დაარწმუნა, რომ რეაქციის მიზანი უფრო ფართოა, რომ იგი არ შეჩერდება მოპოვებულ წარმატებებზე, რომ ფაშიზმი შეეცდება გაბატონდეს მთელ მსოფლიოში. ამიტომ აუცილებელია მსოფლიოს პროგრესულ ძალთა გაერთიანებული მდგარი ბრძოლა ფაშიზმის დასამხობად. მართლაც, როგორც კი პოეტი სამშობლოში დაბრუნდა, აქტიურად ჩება პოლიტიკურ ბრძოლებში, გახდა ანტიფაშისტური ეროვნული ფრონტის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ხელმძღვანელი. მან კუბის სახალხო სოციალისტური (კომუნისტური) პარტიის

1 გილიენის ლექსებს თარგმანი ეყუთვნის გერამ ვოვიაშვილს.

ბეჭდვით ორგანოში გამოაქვეყნა რეაქციის მამხილებელი და საბრძოლო სულისკვეთებით გამსჭვალული პუბლიცისტური წერილები; მერე დიდხანს იმოგზაურა თავის ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, რომ სიმართლე მოეთხრო მასებისათვის ნაცისტებზე.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, როცა თავი წამოკვეს ახალი ომის გამჩაღებლებმა, ნ. გილიენმა ხმა აღიმაღლა მათ წინააღმდეგ. ამასთან, უმღერა ხალხთა თავისუფლებას და მშვიდობას. ამაზე მეტყველებს მისი ლექსების წიგნი „ყველა სიმღერა“, რომელიც 1947 წელს გამოიცა ბუნენსაირესში. ზოგადი საკაცობრიო მნიშვნელობის მქონე ეს ლექსები კვლავ უმღერის პოეტის საყვარელ სამშობლოს, რომელსაც „ზურმუხტისა“ და „სამოთხის ეშხი თან დაჰყოლია“, მაგრამ სამშობლოს მოღალატეთა და გადაამთიელ მებატონეთა წყალობით თავზე ისევ „მზე ადგას მწუხარებათა“, ველები „სიხსლით მოარწყულა“, ქანცაფყვეტილი კუბელი კი.

დაეხებება ზოგიც ქალაქად,
ლუქმის ძებნაში კვდება მშვირი;
ღუბური ბედი აქლის არაქათს,
კიბეუ კეპივით აქვს ცარიელი...

(„ზემი სამშობლო თაფლი მგონია“)

სოციალური და ეროვნული თავისუფლების იდეის გასამარჯვებლად პოეტი მოუწოდებს ხალხებს აღმართონ „ძარღვიანი ხელები“, რადგანაც უკვე „შურისგება ამობოჭრებს ადამიანებს“ (იქვე).

1949 წლის აპრილში მშვიდობის მსოფლიო საბჭოს კონგრესში მონაწილეობის მისაღებად, გილიენის მეთაურობით კუბიდან პარიზს გამოემგზავრა დელეგაცია, მაგრამ დანიშნულების ადგილზე დაგვიანებით ჩამოვიდა, რადგანაც ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ იგი ერთხანს ნიუ-იორკში დააკავა. როცა გილიენი იმ დარბაზში შევიდა, სადაც კონგრესის სხდომები მიმდინარეობდა, ყველა მონაწილემ მას მიაპყრო თვალი, ხოლო ერთმა მათგანმა, როგორც ხალხთა თავისუფლებისა და მშვიდობის საქმისათვის დაუღალავ მებრძოლს, პატივსაცემ-

ად თეთრი მტრული გადასცა. ამ კონგრესზე გაისმა გილიენის მუხნებარე ხმა მსოფლიოს კეთილი ნების აღამიანთა დასაცავად, ხალხთა თავისუფლებისა და მშვიდობის სასარგებლოდ. კონგრესის დამთავრების შემდეგ, მან იმოგზაურა სოციალისტური სისტემის ქვეყნებში, იყო სსრ კავშირშიც (უფრო გვიან საქართველოშიც), რომ აქედან დაბრუნების შემდეგ ერთხელ კიდევ მოეთხრო სიმართლე მსოფლიოს ხალხთათვის. ამავე პერიოდში შეიქმნა მისი მრავალი პუბლიცისტური წერილი, ლექსი და პოემა, მათ შორის „ელეგია, მიძღვნილი ხესუს მენენდესის ხსოვნას“, „მიგელის შეხვედრა სერჟანტ ხოსესთან“ და სხვ.

პოემა „ელეგია, მიძღვნილი ხესუს მენენდესის ხსოვნას“ (1948-1951 წ. წ.) მრავალმხრივ საყურადღებო თხზულებაა. მასში შეუფერადებლადაა ასახული აშშ შტატების იმპერიალიზმის მიერ კუბაზე მიტანილი ახალი იერიშები და კუბელი ხალხის ბრძოლის სურათები. პოემის გმირია კუბის შაქრის მრეწველობის მუშათა პროფკავშირების ხელმძღვანელი-კომუნისტი ხესუს მენენდესი, რომელიც 1947 წელს მოკლა აშშ შტატების იმპერიალიზმის დაქირავებულმა ბანდიტმა. ამ გმირის სახე ნაჩვენებია, როგორც ხალხის ინტერესებისათვის თავდადებული მებრძოლისა. ავტორი კონკრეტულად ასახავს ორ სამყაროს, სამყაროს — მენენდესისა და მისი თანამებრძოლებისას და სამყაროს — კაპიტალიზმისას, მკვლელობისას. ამ ორი სამყაროს შერიგება შეუძლებელია. პოემა ბოლოვდება ოპტიმისტური ფინალით: მართალია, კუბელი ხალხი იტანჯება, მაგრამ იგი საშვავიროს გადაუხდის თავის დამმონებლებს, მძარცველთა და მკვლელთა ბანდასო.

დასახელებული პოემის იდეურ ვაგარძელებას წარმოადგენს გილიენის მეორე პოემაც „მიგელის შეხვედრა სერჟანტ ხოსესთან“ (დაწერილია მოსკოვში 1952 წ.) ამ პოემით ავტორი ერთხელ კიდევ უსვამს ხაზს იმ ფაქტს, რომ ამერიკული იმპერიალიზმი ცდილობს

მორჩილებაში იყოლიოს ლათინურ ამერიკის ხალხები და ამასთან თავისი ბატონობა გააგრძელოს მსოფლიოზე, რაც შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ დაპყრობითი ომებით, როგორც იყო, მაგალითად, აშშ მიერ კორეის ხალხზე 1950-1953 წლებში მოხვეული ომი. ავტორი ილაშქრებს რა იმპერიალისტურ სახელმწიფოთა, უპირველეს ყოვლისა, ამ შტატების სხვა სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევის წინააღმდეგ. იცავს ხალხთა მეგობრობის, თავისუფლებისა და მშვიდობის იდეას. პოემის მთავარი გმირები არიან კუბელები — სერჯანტი ზოსე ინესა და ჯარისკაცა მიგელი. ამთვან პირველი ჯარის ნაწილში ხალხთა მეგობრობისა და მშვიდობისათვის ბრძოლის სასარგებლოდ ეწევა ავტაციას და გარკვეული წარმატებებიც გააჩნია. სხვათაშორის, მან მიგელიც დაარწმუნა, რომ იგი (მიგელი) მიყავთ კორეის წინააღმდეგ საომრად, რათა ზოცოს ისინი, ვისაც არაფერი დაუშავებია კუბელებისათვის; კორეის ხალხის წინააღმდეგ დაწყებული ომი უსამართლოა, ამიტომ საქიროა იარაღის შემობრუნება ამერიკელი იმპერიალიზმისა და სამშობლოს მოღალატეების წინააღმდეგ. კუბის ეროვნული დროშის დასაცავად, რომელსაც თუ დროზე არ მიეშველნენ კუბელები, იგივე იმპერიალიზმში ეიდევ უარესს ხვედრს უშვადებს.

თითქოს აუხდა ნ. გილიენს წინასწარმეტყველება. და პოემის დაწერის დღიდან ორი თვეც არ იყო გასული, რომ 1952 წლის 10 მარტს აშ შტატების იმპერიალისტური ხროვის დახმარებით კუბაში ძალაუფლება ხელთ იგდო ავანტიურისტმა გენერალმა ბატისტამ, რომელიც მალე ისე გათავხედდა, რომ თავისი აღვირახსნილობით გადააქარბა ყველა თავის წინამორბედს, საპყრობილები გაავსო პატიმრებით, დახვრიტა 20.000-ზე მეტი პატრიოტი; გილიენიც ოთხჯერ დააპატიმრა. კუბელ ხალხს აევსო მოთმინების ფიალა, მან დაიწყო და-

რამევა არსებული რეჟიმის დასაშობად, რაშიც გილიენმაც მიიღო აქტიური მონაწილეობა.

გილიენი 1953 წელს გაემგზავრა ჩილიში კულტურის მოღვაწეთა კონტინენტალურ კონგრესში მონაწილეობის მისაღებად, რომ იქაც ეთქვა სიმართლე ბატისტას ავანტიურისტული მოქმედების შესახებ. ამ ფაქტმა გააცოცხა პირსისხლიანი გენერალი და ბრძანა, გილიენს სამშობლოში დაბრუნებისთანავე სათანადოდ გასწორებოდნენ. მაგრამ ბატისტას განზრახვა განხორციელებული დარჩა, რადგანაც გილიენი ამის შესახებ მეგობრებმა ადრე გააფრთხილეს. ნ. გილიენი 1959 წლის იანვრამდე, კუბის რევოლუციამდე, ემიგრაციაში იყო და ამ ხნის მანძილზე არაერთი მნიშვნელოვანი თხზულებაც დაწერა, როგორც არის, მაგალითად: „კუბური ელემია“, „ელემია ჰემეტ ძელის სიკვდილზე“, „პუბლიცისტური წერილები — ჩვენც ვავიძარჩევთ“, „კუბა ქუხს“ და სხვა, რომლებითაც მზის სინათლეზე გამოიტანა კუბის ახალი დიქტატორის ბნელი საქმეები, ლათინური ამერიკის ხალხთა უბედურების მამხილებელი ფაქტები; იქადავა ხალხთა თავისუფლებისა და მშვიდობის იდეა და გვიწინასწარმეტყველა, რომ კუბელი ხალხის სოციალური და ეროვნული გახთავისუფლების დღეები მოახლოვებულია. იგი პირდაპირ წერდა: „კუბელი ხალხის იდეალია სამშობლო. ისილოს თავისუფალი, ამერიკელთა ბატონობის გარეშე ამიტომ ბატისტას ტირანული რეჟიმი დამთბილი უნდა იქნას. მაგრამ, მისი აზრით, მართლაც არ კმარა, აუცილებელია ხალხის ისეთი განთავისუფლება, რომ მას შემდგომში არ კარნახობდეს გარეშე ძალა, და ეს მხოლოდ სახალხო რევოლუციის გამარჯვებითაა შესაძლებელი“. ამ დებულების პოეტური და დასტურებაა მის ლექსთა კრებულიც „მტრული დაფრინავს ხალხის თავზე“, რომელიც არალეგალურად გამოიცა და არალეგალურადვე გავრცელდა კუბაში. გილიენს თავისუფლად შეეძლო ეთქვა

„ჩემი პოეზია უფრო ხალხური ცხოველყოფელი ვადა, ამიტომ მე მიმიძლია ვთქვა, რომ ის დაეხმარა ჩემს ხალხს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

როგორ გამოეხმაურა ნ. გილიენი კუბის 1959 წლის რევოლუციას, რომლის სულისჩამდგმელი და დამაგვირგვინებელი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფიდელ კასტროა. მან რაღაც ერთი წლის განმავლობაში დაწერა რამდენიმე პოემა და ბევრი ლექსი: ლენინზე, რევოლუციაზე, ახალ კუბაზე, ფიდელ კასტროზე და სხვ. ამათგან განსაკუთრებით საყურადღებოა: „ლენინი“, „ის ლენინი“... „მიწა გორაზე და დაბლობზე“, „შენ ვახლავს?“ „ეი, ხალხო, ნაბიჯით ჩემთან ერთად!“, „გამარჯობა, ფიდელ!“ და სხვ. როგორც ამ ლექსებიდან ჩანს, პოეტი აღტაცებულია რევოლუციის მონაპოვართ, რადგანაც განხორციელდა ხოსე მარტის იდეები: ხალხმა მიიღო თავისუფლება, მიწა და შაქრის პლანტაციები, ისტორიას ჩაბარდა ნაციონალური ჩაგვრა.

ნ. გილიენის ლექსები ამხნევებდნენ კუბელ პატრიოტებს 1961 წლის გაზაფხულზე, როცა ისინი იარაღით იგერიებდნენ აშშ შტატების იმპერიალისტური ხროვის მიერ დაქირავებული ბანდიტების შემოსევას. მისი ლექსები დღესაც ამხნევენ კუბელებს, აღიერებენ მათ სიფხიზლეს რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად. როგორც გილიენი წერს, კუბის „რევოლუცია ტირანიაზე პოეზიის გამარჯვებაა“.

ნ. გილიენის პოეზია უაღრესად იდეურია, მაგრამ იგი ფორმის მხრივაც სრულყოფილია. საქვეყნოდ ცნობილია, რომ გილიენი ლექსის შესანიშნავი რესტავატორია. იგი ლირიკოსი პოეტია და ამიტომ მის ეპიკურ თხზულებებშიც ლირიკული

რითა სჭარბობს. მისი პოეზიის წყარო კუბური ფოლკლორია, განსაკუთრებით ხალხური სასიმღერო ლირიკა. ლექსები მდიდარია სახეებით. იგი ხშირად ვირტუოზობას აღწევს, რადგან ძალიან ბევრს მუშაობს ლექსის ფორმის სრულყოფისათვის. პოეტი თვითონ ამბობს: „მირჩენია სამი წლის მანძილზე გამოვაქვეყნო ერთი წიგნი, ვიდრე ერთ წელიწადს სამი წიგნი“.

ნ. გილიენი სწორედ ასეთი იდეური და ფორმის მხრივ სრულყოფილი ლექსების გამო დააფასა, და შეიყვარა არა მარტო კუბელებმა, მთელი ლათინური ამერიკის და მსოფლიოს სხვა ქვეყნების ხალხებმაც. გილიენი კამაგუეის მუნიციპალურმა საბჭომ ქალაქის საპატრიოტიკო სიაში ჩაირიცხა, პატრას ზანგებმა იგი დიდი ზეიმით მიიღეს. გილიენი არჩეულ იქნა მშვიდობის დაცვის მსოფლიო საბჭოს წევრად; ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის, საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტმა 1954 წელს გილიენს მიანიჭა ლენინური პრემიის ლაურეატობა. ბრაზილიელმა მწერალმა ყორჟი ამალუმ მას უწოდა ბრძოლისა და სიყვარულის შესანიშნავი მომღერალი; ჩილიელმა პოეტმა პაბლო ნერუდამ—მშვიდობის დიდი მჭადაგებელი, საბჭოთა მწერალმა ნ. ტიხონოვმა კე—მშვიდობისა და თავისუფლების დიდი მედროზე.

დღეს ნ. გილიენი თავის სამშობლოში, სოციალიზმის მშენებელ, კუბელ ხალხთან არის; მასთან ერთად იბრძვის რევოლუციის მონაპოვართა დასაცავად, რომლის ხელყოფაზე ჯერაც ხელი არ აუღიათ მის მტრებს.

ნ. გილიენი რჩება ახალი კუბის მშენებელთა რიგებში, კუბის რევოლუციის მგზნებარე მომღერლად.

ილიენის პოეზია უაღრესად იდეურია, მაგრამ იგი ფორმის მხრივაც სრულყოფილია. საქვეყნოდ ცნობილია, რომ გილიენი ლექსის შესანიშნავი რესტავატორია. იგი ლირიკოსი პოეტია და ამიტომ მის ეპიკურ თხზულებებშიც ლირიკული

რითა სჭარბობს. მისი პოეზიის წყარო კუბური ფოლკლორია, განსაკუთრებით ხალხური სასიმღერო ლირიკა. ლექსები მდიდარია სახეებით. იგი ხშირად ვირტუოზობას აღწევს, რადგან ძალიან ბევრს მუშაობს ლექსის ფორმის სრულყოფისათვის. პოეტი თვითონ ამბობს: „მირჩენია სამი წლის მანძილზე გამოვაქვეყნო ერთი წიგნი, ვიდრე ერთ წელიწადს სამი წიგნი“.



ბ. ლომთათიძე

ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მთხრელი არქეოლოგი

აკადემიკოს ექვთიმე თაყაიშვილის უდიდესი, მრავალმხრივი დამსახურება საქართველოსა და მისი კულტურის ისტორიის წინაშე საყოველთაოდ არის ცნობილი, ოღონდ დარგობლივ, დაწვრილებით დღემდე არაა შესწავლილი და ჯეროვანად შეფასებული. ჩვენი წერილის მიზანია, გააცნოს მკითხველს ქართული მეცნიერების ამ სასიქაღაღოლო მოღვაწის არც თუ მცირე შემკვიდრეობა „წილისეულ“ არქეოლოგიაში.¹ მართალია, ამგვარ კვლევას მის საქმიანობაში შედარებით დაქვემდებარებული ადგილი ეჭირა, მაგრამ იგი აქაც ფუძემდებლად გვევლინება და გადაჭრით უნდა მივიჩნიოთ ჩვენი არქეოლოგიის პირველ ნამდვილ სპეციალისტად იმ ქართველთა შორის, რომელთაც სისტემატურად უმუშავნიათ სამშობლოში. ასეთად ვერ ჩაითვლება აკად. მ. ბროსეს ერთ-ერთი თანაშემწე, პატრიოტი

მოხელე დ. მეღვინეთხუცესიშვილი, რომელმაც 1852 წელს გაწმინდა უფლისციხის ზოგიერთი ქვაბი; ვერც მონხალისე ოფიცერი ნ. წილოსანი, რომელიც კავკასიის სხვა ქვეყნებში თხრიდა; ვერც ნ. მარი, რომელიც უმთავრესად სომხეთში თხრიდა და სულ ცოტა წაიმუშავა ქვემო ქართლში — თუმცა კი თვით ე. თაყაიშვილი მას მიიჩნევდა „პირველ ქართველ არქეოლოგად, რომელსაც მასზე აღრე უწარმოებია თხრა საქართველოში“.

მცხეთა-სამთავროში, ყაზბეგში და ზოგ სხვა ადგილას 1870-იანსა და მომდევნო წლებში წარმოებულნი თხრა (როდესაც ე. თაყაიშვილი საშუალო სასწავლებლის მოწაფე იყო) დაკავშირებულია „კავკასიის არქეოლოგიის მოყვარულთა საზოგადოებისა“, მისი ერთ-ერთი ყველაზე უფრო მცოდნე მესვეურის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერის დიმიტრი ბაქრაძისა და თხრის უშუალო გამძღოლის, ავსტრიელი ბუნებისმეტყველის ფ. ბაიერნის სახელებთან. „არქეოლოგიური ნათლობა“ ე. თაყაიშვილს ჯერ კიდევ გიმნაზიელს მიუღია, დირექტორის ა. სტოიანოვის ხელმძღვანელობით ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ნანგრევის გაწმენდაში რომ მონაწილეობდა, ამზანაგებთან და მასწავლებლებთან ერთად — აბილიანის 1881 წლის არქეოლოგიური ყრილობისათვის სამზადისის დროს. ამ ყრილობის მიმ-

¹ სამისოდ ვიყენებთ, გარდა ე. თაყაიშვილის ნაბეჭდი ანგარიშებისა და ორგზის გამოქვეყნებული მოგონებებისა („ლატერატურის მატიაზეში“, 1952, № 6 და „მნათობში“, 1958 და 1959 წწ., ჩვენი ჩაწერილი), ერთ წყება გამოუქვეყნებელ მასალებსაც, რომლებიც ე. თაყაიშვილმა თავისი პირადი არქივიდან გადწოგვა მასთან მუშაობისას (1948-1952 წწ), როგორც საქართველოს არქეოლოგიის ისტორიით დაინტერესებულს. მათ შორის არის: ხელნაწერი ანგარიშები, არქეოლოგიური კომისიის რამდენიმე წერილი, ფოტოები, ტაბულათა აღწერა და სხვ.

დინარეობას კი იგი შორიდან ადევნებდა თვალ-ყურს.

1887 წელს, პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ე. თაყაიშვილი შეუდგა პედაგოგიურ მუშაობას თბილისში და თან სულ მალე ჩაება საზოგადოებრივსა და სამეცნიერო მუშაობაში, ილია ჭავჭავაძის ირგვლივ შემქმნობულ მოღვაწეთა მხარდამხარ—უპირველეს ყოვლისა, სწორედ დ. ბაქრაძის წაქეზებითა და ხელმძღვანელობით. ამ ორი შესანიშნავი ისტორიკოსის ხელმძღვანელობით ეწყობა პირველი არქეოლოგიური გათხრა ძველი მცხეთის მტკვარმარჯვენა უბანში — ბაგინეთში, რომელსაც ახლა უკვე გადაჭრით ეუიგივებთ ანტიკური ხანის „არმაზციხეს“ (იმ უღარესად შინაარსიან აღმოჩენათა მიხედვით, რომლებითაც დაგვირგვინდა ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის მცხეთის არქეოლოგიური ექსპედიციის სათანადო რაზმის მუშაობა 1943-1948 წლებში). აღნიშნული გათხრის ანგარიში ჯერაც არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ე. თაყაიშვილის მოგონებებში საკმაოდ დაწერილებით არის მოთხრობილი ამ საინტერესო წამოწყების ვითარება. 1888 ან, უფრო, 1889 წელს ვინმე განძისმაძიებელი ბერძენი მისულა „ივერიის“ რედაქციაში, ილია ჭავჭავაძესთან — როგორც იმამად ყველა ქართული საზოგადოებრივი თუ კულტურული საქმიანობის მესვეურთან — და უცნობებია მისთვის, რომ საუნჯე ეგულებოდა ბაგინეთში შემორჩენილ „კომის“ ნანგრევში, კიდევაც დაუწყია თხრა, უპოვნია ძველებური თლილი და გადასაბმელად ამოღრუებული ქვები, მაგრამ შემდეგ ველარ განუგრძია მუშაობა უსახსრობის გამო. ი. ჭავჭავაძეს ეს ამბავი უცნობებია დ. ბაქრაძისათვის, რომელსაც, როგორც არსეთის სამეცნიერო აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, არავენ დაუკავებდა თხრის ნებართვას (ე. წ. „ღია ფურცელს“). მას, ხანშესულს, ველად მუშაობა გაუძნელდებოდა და ის ღია ფურცელი ახალშე-

ძენილი საიმედო და მხნე თანაშემწისათვის, ე. თაყაიშვილისათვის, გადასულსაცავეს. მაგრამ ამ უკანასკნელსაც კომისიაში გაკვეთილები უკვე დასწყებოდა და ღლეგამოშვებითლა მოუხებრებია ველზე სიარული, ხოლო გათხრა-გაწმენდის უშუალო მეთვალყურეობა დაუკისრებია ახალგაზრდა დავით ქუთათელაძისათვის, რომელსაც პეტერბურგის უნივერსიტეტი დამთავრებინა და თან ნ. მარისაგან მიეღო საფუძვლიანი მომზადება ქართველთმცოდნეობაში. მიწის მუშათა გასამრჯელოსათვის ფული ი. ჭავჭავაძეს მოუგროვებია რამდენსამეკაცში (თვითონ, დ. ბაქრაძე, ე. თაყაიშვილი, პროფ. ილ. ოქრომჭედლიშვილი), სულ 100 მანეთი. მუშაობა ორსამ კვირას გაგრძელებულა და შემდეგ, წინააღმდეგ სურვილისა, ველარც განაზლებულა — ე. თაყაიშვილის სიტყვით, იმის გამო, რომ მის წამომწყებთ არა ჰქონიათ ჯეროვანად გაგებული ამგვარი მუშაობის „გეგმა“ და არც გაბედულება მოეკრბათ ჯერ კიდევ. მთავარი მანც პირადად მისი მოუტლელობა იყო, როგორც ჩანს.

ორსენაკიანი ნაგებობის თხრისას გამოვლენილა სამი სხვადასხვა ფენა და აღმოჩენილა: გადასაბმელი ქვათლილები, ჩუქურთმიანი ქვა, ალიზები, მარმარილოს ნატეხები, ლამაზი მინის ჭურჭელი, რიტუალური მიზნით ქოთნით დაფლული ქათმის ძვლები (ეს ხშირად გვხვდება სხვა განათხარებშიც: არმაზისხევში, რუსთავში, ურბნისში, უჯარმაში, გ. ლ.), ვერცხლის ფული, თიხის ჭურჭლის ნატეხები, სპილენძის ცული (ქვედა ფენაში) და სხვ. შენობა შიგნით შელესილი და მოხატულიც ყოფილა. შემონახულა ქალის თავი, საკმაოდ კარგად გამოყვანილი. კედლები ძლიერ ცეცხლში ნამყოფი ჩანდაო, დასძენს თხრის მეთვალყურე. მუშაობის შედეგი საყურადღებოდ მიუჩნევიათ მის ჩამტარებლებს. „ას მანეთად მარტო იმ ქალღმერთის თავი ღირსო“, უთქვამს ბ. ჭავჭავაძეს (ე. თაყაიშვილს ის ნახატი ანტიკური პანთეონის ერთ-ერთი ღვთაე-

ბისათვის-მიუხვავსებია). დამწყები ისტორიკოს-არქეოლოგი ცდილა, ეს აღმონაჩენი დაეკავშირებინა აღრევე, ცნობილი წყაროებისათვის და უკარაუდნია, რომ ბაგინეთის „კოშკი“ ეკუთვნის იმ ციხე-დარბაზს, რომელიც რომაელებს აუშენებიათ მცხეთას ახ. წ. I საუკუნეში, თანახმად ბაგინეთის მახლობლად 1867 წელს აღმოჩენილი დიდი ქვის წარწერისა, რომელშიც საუბარია ვესპასიანე იმპერატორის დროს რომის „მეგობარი იბერებმა და მათი მეფე მითრიდატესათვის“ — გარკვეული მშენებლობის ჩატარების შესახებ. ამჟამად ეს გარაუდო — გამართლებულად ვერ ჩაფიქვებია, მით უმეტეს, რომ 1938 და 1948 წლებში მცხეთის ექსპედიციამ შეისწავლა იმ ზღუდის დანაშთი ქვათილებების წყობა, რომელიც სწორედ წარწერის აღმოჩენის ადგილას ყოფილა მტკვრის გარდამარტომი ჩადგმული და უნდა იგულისხმებოდეს წარწერაში — თანაც როგორც რომაელთა მიერ შეკეთებული, და არა აგებული, როგორც წარწერის პირველ ინტერპრეტატორებს ეგონათ (წარწერის საბოლოოდ და საგრძობლად დაზუსტებული თარგმანი, ნაკვლევივით, ცალკე წიგნაკად გამოცემა ავად. გ. წერეთელმა, 1958 წელს). არ უნდა იყოს შემთხვევითი ისიც, რომ სათანადო ჩანაწერში ე. თაყაიშვილი „ბაგინეთის“ მაგიერ წერს „მცხეთის ბაგინს“: ჩანს, იგი მაშინვე ცდილობს იმ ადგილის ხალხურ სახელწოდებაში ამოიკითხოს სიტყვა „ბაგინი“, რომელიც ძველ ქართულშიც გავრცელებულია და, მაგ., საბა-სულხანის განმარტებით, ბომონს ანუ კერპის სადგმელ სვეტსა ნიშნავს. მართლაც, მცხეთელთა შეგნებაში უნდა ჩანდეს მამა-პაპათაგან ნაანდერძევი წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც იმ ადგილას, არმახციხეში, წარმართული პანთეონის კერპები ყოფილან აღმართული. ძველი მცხეთის ტოპოგრაფიაზე დაფიქრება გამოსკვირვის ე. თაყაიშვილის მოგონებათა ერთ ადგილშიც, სადაც ნათქვამია შემდეგი: „მოქცევაა ქართლ-

სადაში დაცული თხრობა ალ. მაკედონელის ქართლში ლაშქრობის შესახებ, რატომა უნდა, ლეგენდაა, მაგრამ ის ეტყობა, რომ ალექსანდრეს ხანაში არსებობდა ძველი ქალაქი მცხეთა, რომელიც მტკვრის მარჯვენა ნაპირზე, არმახის (ბაგინეთის) რაიონში მდებარეობდა, ხოლო ახალი მცხეთა მერე გაშენებულა, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, სადაც ახლაა დაბა“. ამ ხოლოდ მოვლედ დავძენდით, რომ მცხეთის ექსპედიციის მიერ შემოაღნიშნული „კოშკის“ მახლობლად გამომხეურებული ნანგრევი დიდი, სასახლის მაგვარო „სვეტებიანი დარბაზისა“, გამოსრულთა აზრით, სწორედ ძვ. წ. IV-V საუკუნეებს მიეკუთვნება, ე. ი. „ალექსანდრეს ხანას“, ხოლო გაღმა მცხეთაში იმდროინდელი ამგვარი ნაგებობა ვერ არსებდა ჩანს.

მცხეთის — „საქართველოს პომპეის“ — მდიდარი, მრავალფეროვანი არქეოლოგიური კომპლექსის გათხრა-შესწავლას ე. თაყაიშვილი უბრუნდება თორმეტი წლის შემდეგ, როგორც უკვე გამოცდილი, აღიარებული მთხრელი არქეოლოგი და უკვე პირადად აწარმოებს მუშაობას. მაგრამ მანამდე მას — ძირითადად მიწისზედა ძეგლების შესასწავლ მოგზაურობასთან დაკავშირებით — საქართველოს რამდენსამე სხვა კუთხეში უხდება თხრის ჩატარება, მიუხედავად იმისა, რომ წინადადებას ამლევენ, სამთავროში განაგრძოს ბაიერნის მიერ დაწყებული მუშაობა და შეამოწმოს მისი ნათხარობის სიზუსტე. ამ წინადადების ავტორია რუსეთის საიმპერატორო არქეოლოგიური კომისიის თავმჯდომარე გრადი ბობრინსკი, რომელიც 1894 წლის დამდეგს სწერს ახალგაზრდა თბილისელ პედაგოგს: „რაციონ მარმა განაცხადა, რომ თქვენ ქართული ძეგლების შესწავლაზე მუშაობთ, მოვალეობად მიგვაჩნია გთხოვოთ, თუ ინებებთ, თბილისის გუბერნიაში სადმე თხაროთ, ხოლო თუ არსად ვეგულებათ საამისთ ადგილი, დასაწყისისათვის სამთავროში სცადოთო“. თანხმობის შეთვლის შემდეგ ე. თაყაიშვილი, კომისიის

მეორე თავის წევრ-თანამშრომლად (არა-გაპირებით) და სხვ. გამაყენის საბინათა ჩეული, იღებს „და ფურცელს“ გუგუნიკისათვის: დაუყოფილი და დატოვებული რია-იმერეთში, ქართლში, ბორჩალოს ცეცხლს შიდა ქართლურში, მცხეთაში და მხარასა და მცხეთაში თბრის ნებართვით კახური ბრძნაოს კულტურის კლასიკურ ფორმით: გავრცელება ქვემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას; მდ. ქვიპა-ხრამის შენაკადის — დებედის ხეობაში მდებარეობს (ამ-ჟამად ს. აკნერი, სმხეთის სსრ, ალავერდის რაიონი). იქ მანამდე ეთხარათ თბილისელ ბ. ერისთავს (1871 წ.) და პეტერბურგელ ნ. მარს (1893 წ.); რომელთაც ნაწილობრივ გამოველინათ ძველი ვრცელი სამაროვანი ის. ადგილი, ისევე როგორც ისტორიული ქვემო ქართლს-ზევირ სხვა მხარე (ერძოდ, დებედისავე ხეობაში მდებარე აბტალ-ალავერდის შიდაშობი — ფრანგი სამთო ინჟინრისა და არქეოლოგის დე-მორგანის განთხარის მიხედვით; XIX საუკუნის ბოლო-ათეულ წლებში; წალკა-თრიალეთი — საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების ექსპედიციის განთხარის მიხედვით 1930-იან წლებში და სხვ.) ძალიან მდიდარია ძველი ლითონის ხანის კულტურული ნაშთებით, რომლებიც ჩვეულებისამებრ წარმართულ სამაროვნებშია უხვად დაცული.

ე. თაყაიშვილსაც გაუშართლა არჩევანმა. მან გათხარა 40 სამარხი, რომლებიც ორ სხვადასხვა ფენას მიეკუთვნა: უფრო ძველი შეესაბამებოდა სამთავროს კარგად ცნობილი სამაროვნის იმ ფენას, რომელიც ბრინჯაოს ხანის დასასრულით თარიღდება და ხანაითდება აღმოსავლეთ საქართველოსათვის ფრიალ ტიპის ბრინჯაოს-იარაღებით: ბრინჯაოს მთლიანადსმული; წვერკვეთილი; ორნამენტიანი მახვილით; ბრინჯაოს საომარ პირამორგვალბულლო („ამორძალური“, „ბებრული“, „აღმოსავლურ-ამიერკავკასიური“) ფეცულით; ბრინჯაოს ჯაფანის ნაშთებით; ბრინჯაოს ენობის; რკინის ფეცულებს; შუბის-

მეორე თავის წევრ-თანამშრომლად (არა-გაპირებით) და სხვ. გამაყენის საბინათა ჩეული, იღებს „და ფურცელს“ გუგუნიკისათვის: დაუყოფილი და დატოვებული რია-იმერეთში, ქართლში, ბორჩალოს ცეცხლს შიდა ქართლურში, მცხეთაში და მხარასა და მცხეთაში თბრის ნებართვით კახური ბრძნაოს კულტურის კლასიკურ ფორმით: გავრცელება ქვემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთ განაპირას; მდ. ქვიპა-ხრამის შენაკადის — დებედის ხეობაში მდებარეობს (ამ-ჟამად ს. აკნერი, სმხეთის სსრ, ალავერდის რაიონი). იქ მანამდე ეთხარათ თბილისელ ბ. ერისთავს (1871 წ.) და პეტერბურგელ ნ. მარს (1893 წ.); რომელთაც ნაწილობრივ გამოველინათ ძველი ვრცელი სამაროვანი ის. ადგილი, ისევე როგორც ისტორიული ქვემო ქართლს-ზევირ სხვა მხარე (ერძოდ, დებედისავე ხეობაში მდებარე აბტალ-ალავერდის შიდაშობი — ფრანგი სამთო ინჟინრისა და არქეოლოგის დე-მორგანის განთხარის მიხედვით; XIX საუკუნის ბოლო-ათეულ წლებში; წალკა-თრიალეთი — საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების ექსპედიციის განთხარის მიხედვით 1930-იან წლებში და სხვ.) ძალიან მდიდარია ძველი ლითონის ხანის კულტურული ნაშთებით, რომლებიც ჩვეულებისამებრ წარმართულ სამაროვნებშია უხვად დაცული.

ე. თაყაიშვილსაც გაუშართლა არჩევანმა. მან გათხარა 40 სამარხი, რომლებიც ორ სხვადასხვა ფენას მიეკუთვნა: უფრო ძველი შეესაბამებოდა სამთავროს კარგად ცნობილი სამაროვნის იმ ფენას, რომელიც ბრინჯაოს ხანის დასასრულით თარიღდება და ხანაითდება აღმოსავლეთ საქართველოსათვის ფრიალ ტიპის ბრინჯაოს-იარაღებით: ბრინჯაოს მთლიანადსმული; წვერკვეთილი; ორნამენტიანი მახვილით; ბრინჯაოს საომარ პირამორგვალბულლო („ამორძალური“, „ბებრული“, „აღმოსავლურ-ამიერკავკასიური“) ფეცულით; ბრინჯაოს ჯაფანის ნაშთებით; ბრინჯაოს ენობის; რკინის ფეცულებს; შუბის-

ცნობილი რუსი „ნიეტმცოდნე-არქეოლოგის“ ი. სმირონოვის განცხადება, თითქოს კავკასიის უმდიდრეს წიაღისეულ ძეგლებს გრაფინია უვაროვას მეტი არავენ პატრონობს და სწავლობს... ვორნაჟის გათხრაზე მუშაობამ გარკვეული გამოცდილება შემძინა, წამახალისა, დამაინტერესა და შემდეგ უკვე თამამად მივყავი ხელი თხრის წარმოებას, მით უმეტეს, რომ... 1917 წლამდე მე ვიყავი თითქმის ერთადერთი ქართველი არქეოლოგი, რომელიც არქეოლოგიური კომისიის დაეალებანებართვით ვთხრიდი საქართველოში“.

ამ გათხრის ანგარიში გამოქვეყნებულია მხოლოდ რუსულად, არქეოლოგიური კომისიის სათანადო წელიწადეულში. მუშაობის შედეგმა განუზომლად გადაამეტა წინამორბედთა მიერ ვორნაჟშივე წარმოებული თხრის შედეგებს. ამით კმაყოფილი და მადლიერი მესვეურები არქეოლოგიური კომისიისათვის, კვლავაც აწარმოოს თხრა საქართველოში. ახლა უკვე სთავაზობენ ქუთაისის გუბერნიას, როგორც ამ მხრივ ნაკლებ შესწავლილს. 1896 წელს ე. თაყაიშვილი მცირე საცდელ თხრას ატარებს (ჩვეულებისამებრ, საზაფხულო არდადეგების დროს, რადგან სხვა თვეებში არ სცალია — მით უმეტეს, რომ იგი ახლა უკვე განაგებს თბილისის სათავად-ახნაურო გიმნაზიას) სამ ადგილას, სადაც შემთხვევითი აღმოჩენები ყოფილა: აქარის სოფ. ხუცუბანში, მდ. კინტრიშის პირას (კრემაციის ნაშთი, გამლღვარი ბრინჯაოს ნატეხები, რკინის სატევრის ტარი და კერამიკის ნატეხები, საფიქრებელია, ძვ. წ. I ათასწლეულის დასაწყისისა); სადგ. საჯავახოსთან, დრანდა-ღელის პირას (აღრე ნაპოვნი განძის ნაშთი — კიდევ ორი კოლხური ვერცხლის ფული, რკინის დანა და კერამიკის დიდძალი ნამტკრევი, რის მიხედვითაც ე. თაყაიშვილი აცხადებს თავის ანგარიშში, რომ იმ ადგილას ძველად თიხის ქურჭლის სახელოსნო უნდა ყოფილიყო და, უნდა ითქვას, ასეთი განცხადება პირველია საქართველოს არქეო-

ლოგიაში); სოფ. ვანში ანუ საჩინოშხ, სადაც ნაქალაქარ სერზე გატარებულ თხრის დროებით გამოუვლენია: კამაროვანის მუშაობის, ჩანს, ეკლესიის ნაშთი, სვეტის-თავი, თიხის დიდ-პატარა ქურჭლები, რკინის ისრისპირი, სამი კოლხური ვერცხლის ფული და სხვ.; საქებათა ღელის ქვეშიდან ამოუთხრია: ცხრა მონეტა — კოლხური და ლიზიმაქეს ვერცხლი, რომაული და სხვ.; ოქროს ვარდული, ბრინჯაოს არწივის ქანდაკება, ბრინჯაოს ზოგიერთი სამკაული, ტყვიის საწონები და ა. შ.

იმავე წელს მას, ადრევე მიცემული ღია ფურცლის ძალით, უმუშავია თბილისის გუბერნიის მიცემ. სკრის ხეობაში, გორის მახლობლად (გაუთხრია 2 წყვილი თიხის კუბო, გაძარცვული, ჩვენი აზრით, ახ. წ. IV-V საუკუნეებისა, გ. ლ.); ბორჩალოს მაზრის „თრიალეთის საბოქაულოს (კერძოდ, ანატოლიელი „ბერძნებით“ დასახლებული წალკის) რამდენსამე სოფელში, სადაც უთხრია ქვის-სამარხები, რომელთა ნაწილი შეიცავდა ინვენტარს (კერამიკას, ლითონისა და ქვის სამკაულს — მცხეთის სამაროვნებთან შედარების მიხედვით, ჩანს, ადრეული შუა საუკუნეებისას, გ. ლ.); გერიაქში — 28 (გამოირჩეოდა ერთი, რომელიც ბრინჯაოსა და რკინის შუბისპირის შეიცავდა და, ეგებ, ძვ. წ. I ათასწლეულს ეკუთვნოდა), ხაჩქვეში—3, ბაიბურთში—3, საფარ-ხარაბაში—16, ბეშთაშენში—7. გარდა ამისა, მას მოუკრებია თუ აღურიცხავს შემთხვევითი მონაპოვრებიც—მათ შორის ობსიდიანის დანები და შუბისპირები. ამასთან დაკავშირებით მას გამოთქმული აქვს ერთი ფრიად საყურადღებო მოსაზრება: რაკი წალკის ზეგანი ერთიანად მოფენილია ობსიდიანის ნატეხებით, ხოლო ამ ქვისაგან ნაკეთები იარაღი კავკასიაში ყველაზე მეტი სწორედ ამ მხარეშია ნაპოვნი, ეტყობა, აქ ყოფილა მათი მთავარი სახელოსნოები, რომელნიც მთელ კავკასიას ამარაგებდნენ ობსიდიანის იარაღებითაო. ჩვენს დროში ეს მოსაზრება გაიმეორა, როგორც საკუთარი

დაკვირვების ნაყოფი, ბ. კუფტინმა, ოღონდ მან უფრო ფართოდ მოხაზა თრიალეთური ობსიდიანის ნაწარმის გავრცელების არე — „წინა აზიის არავულკანური მხარეები“ — და ამას დაუკავშირა თრიალეთის ძველ სამარხებში სწორედ იმ მხარეებიდან — ჩანს, სანავულოდ — შემოტანილი ზოგი რამის არსებობა. ე. თაყაიშვილი ყურადღება აგრეთვე გამახვილებული აქვს წალკაში — ანდღეიტ-ბაზალტური ლავების სამფლობელოში — ე. წ. „ციკლოპურ ნაგებობათა“ სიზშირეზე, რამაც თითქმის ნახევარი საუკუნის შემდგომ აგრეთვე მიიპყრო ყურადღება, ბ. კუფტინისა, რომელიც წალკისაკენ, გარკვეული თვალსაზრისით, სწორედ ე. თაყაიშვილის ნამუშევარმა და ნააზრევმა მიიზიდა. აღსანიშნავია ე. თაყაიშვილის მოსაზრება ქვემო ქართლში გავრცელებული, დახატული საფლავის ქვების შესახებაც — კერძოდ, მათი გვიანდელობის ხაზგასმა თოფის გამოხატვის მიხედვით.

თვით ე. თაყაიშვილი ერთგვარ მობოდიშებასავით სწერს არქეოლოგიურ კომისიას, წლებადნელი თხრა ნივთიერი მონაპოვრის მხრივ ისეთივე ნაყოფიერი ვეღარ გამომივიდა, როგორც ვორნაჯში (ცნობილია, რომ საიმპერატორო კომისიას, უპირველეს ყოვლისა, სწორედ ნივთები აინტერესებდა, იმპერატორისა თუ დიდკაცობის საამებლად და ერმიტაჟის დასამშვენებლად). ჩვენი აზრით კი, მას რამდენიმე უხმაურო, მაგრამ უთოოდ შინაარსიანი დაკვირვება გამოუტანია ამ ნამუშევრიდან.

განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ვანის ძეგლი, სადაც ე. თაყაიშვილს აგრეთვე ცოტა უთხრია და უპოვნია, მაგრამ ბევრი გამჭირავი მოსაზრება შეუძუშავებია. შედეგები მას რამდენიმე გზისა აქვს გამოქვეყნებული ქართულ-რუსულად, ხოლო უკანასკნელად ისინი რუსულად დაიბეჭდა უკვე რევოლუციის შემდეგ (კავკასიის ისტორიულ-არქეოლოგიური ინსტიტუტის მოამბეში, ტ. II, 1917-1925, გვ. 108-110). მო-

კლედ გადმოვცემთ მის ამ ანგარიშების შინაარსს: ვანის „არქეოლოგიურ გორა“ უძველესად წარმადგენს ძველი ქალაქის ნაშთს. იქ შემთხვევით მრავლად მოპოვებულ ნივთებში გამოიკნობა, ადგილობრივის გარდა, სხვადასხვა უცხო (ეგვიპტური, ბერძნული, რომაული) დანაშრევიც. ბევრი ჩნდება პონტოს მეფეთა მიერ მოჭრილი ფულიც. საერთოდ კი, მოიჩიქნი თუ არა, კულტურული ფენები გამოჩნდება, ხოლო აედარში ღვაძი მრავლად რეცხავს ხოლმე სამკაულსა და სხვა ნივთებს და მოსახლეობა მათი ძებნით ხელს ითბობს — ისევე, როგორც ქერჩის „მითრიდატეს გორაზე“. ვანის ნაქალაქარი არის სამი მხრივ ხრამებით დაცული მალღობი, რომელზედაც თავს იჩენს ხოლმე ძველი, უღუღამოდ ნაწყობ ქვათლითა კედლები, თიხის დიდ-პატარა ჭურჭელი და აგრეთვე ძვირფასი ანტიკური ნივთები: ბრინჯაოს კაცის თავი (1852 წ.), ნაირნაირი მონეტები; დაახლ. 1880 წელს აღმოჩენილი მდიდარული სამარხის ინვენტარი (ოქროს დიადემები, სამაჯურები, ბეჭდები, საყურეები, ცხენის სამკაული, კვერთხი, მონეტები და სხვ.), რომელიც უკვალოდ გამჭრალა. ოქრომჭედლებს უყიდნიათ და გადაუღნიათ. ვანზე ჩამომდინარე სულორის ქეიშაში ბუნებრივი ოქრო მოიპოვება და ამიტომ ნაქალაქარში აღმოჩენილი გულსაკიდები, სამაჯურები, საყურეები, ბეჭდები და სხვა სამკაული ადგილობრივე უნდა იყოს ნაკეთები (კიდევ ერთი ფხიზელი, მანამდე უმაგალითოდ დებულების წამოყენება ავტორის მიერ, პირველი გაბედვა იმდროინდელი რუსეთის არქეოლოგიაში, რომელსაც ჩვენში ამონათხარი ყოველი ნატიფი ნივთი უსათუოდ შემოტანილად მიაჩნდა! გ. ლ.). მეორე მხრივ, აშკარად შემოზიდული ნივთებისა და ფულის მიხედვით საფიქრებელია, რომ ინდოეთს მიმავალი ძველი დიდი სავაჭრო გზა ვანზე გამოვივლიდა, რიონის მარცხენა ნაპირს შემოჰყვებოდა, ბაღდათ-შორაპანზე და ლიხის მთაზე გადმოვიდოდა და მტკვრის

აუზში ჩამოეშვებოდა. საქართველოს სამეფოს საუკეთესო ხანაში (ჩანს, შუა საუკუნეები იგულისხმება) გ. ლ) კი ვანს მნიშვნელობა დაუკარგავს: იგარდა წარმოადგენდა ცოცხალ სავაჭრო ბუნქტს, რაკი იქ თითქმის სულ არ გვხვდება იმდროინდელი ქართული მონეტები და არც იმ დროისათვის დამახასიათებელი ქართული ციხე ჩანს სადმე (ხედავნივინით გამქრიახი, წყალგაუვალი ღებულდება, დღესაც შეურყეველია). არის მხოლოდ ველსის ნანგრევები, რომელიც იმერეთის ერთ-ერთ უძველეს საყდარს უნდა წარმოადგენდეს (იგი უთხრია ა. სტოიანოვის 1889 წ. და იატაკს ქვეშ სამონასტრო საძვალე აღმოუჩენია).

როგორც ვხედავთ, ე. თაყაიშვილის მახვილ მხერას არ გამოპარვია ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც უნდა მინიჭებოდა ვანის ნაქალაქარს ადრეანტიკური საქართველოს არქეოლოგიისათვის, როცა კი მის გულდაგულ შესწავლას შეეუდგებოდით. მართლაც, ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ, იქ 1947 წელს აქეთ დროდადრო მომღშვემე, მრავალი ბრწყინვალე ძეგლი ამოაშუქურა ამ ნაქალაქარში. (განსაკუთრებით გაითქვა სახელი 1961 წელს გათხრილმა უმდიდრესი და უწარჩინებულესი ქალის სამარხმა) და კიდევ ერთხელ ღირსეულად დააყენა ჩვენი მეცნიერება ე. თაყაიშვილის მიერ მინიშნებულ გზაზე; საესენით, გადაჭარბებითაც კი დაემოწმა მის ყველა მოსაზრებას, მცირე, წინასწარული ნამღშვეგრის შედეგად გამოთქმულს. ახლა ჩვენში უკვე წარმოიქმნა ვარაუდი, რომ ადრეანტიკურ ხანაში ეგებ სწორედ ვანში ყოფილიყო კოლხეთის ცენტრი, რომელიც თავისი მნიშვნელობით იმავე-დროული იბერია-ქართლის ცენტრს, მცხეთა-არმაზს გაუტოლდებოდა.

თბილისში 1901 წელს დაარსდა მოსკოვის არქეოლოგიური საზოგადოების კავკასიის განყოფილება, რომლის დამუშავებულ წევრთა შორის ყველაზე უფრო აქტიური (და 1905 წლიდან —

მდივანი) იყო ე. თაყაიშვილი — იმდროს უკვე მთელ რუსეთში სახელმწიფო, ფრიალ ნაყოფიერი მკვლევარი, ისტორიკოსი და არქეოლოგი, განყოფილებას არქეოლოგიური თხრა-კვლევის დიდი გეგმა ჰქონდა შედგენილი, მაგრამ უსახსრობის გამო-ბევრი ვერაფერი განხორციელა. მას მოუხდა რკინიგზაზე ნავთსადენის მშენებლობის მეთვალყურეობა, რასაც 1902 წელს მოჰყვა ე. თაყაიშვილის მიერ 18 ადლის განმავლობაში ჩატარებული საკმაოდ სერიოზული გათხრა სადგურ მცხეთის დასავლეთით, 3 კილომეტრზე (ჩვენს დროში ესოდენ სახელმწიფეკილი არმაზისხევის მახლობლად, მის დასავლეთით, 1 კილომეტრზე). გარდა მუშების მიერ აღმოჩენილი დაამოცილი 25-ისა, მას 53 ქვის სამარხი კიდევ გაუთხრია ორ ადგილას. სამარხების გარდა, გამოვლენილა ქვითკირის შენობის ნაშთი, საღვინე ქვევრები და რამდენიმე ფული, ოქრო-ვერცხლისა. სამარხები ყველა საოჯახო ყოფილა, ფილაქვით, ხოლო ერთი — ქრამიკული ფილებით ნაგებია მათ ერთგვაროვან ინვენტარს შეადგენდა უმთავრესად საღიაცო სამკაული (სხვადასხვა მასალის საკინძები, სათმეულები, მძივის ყელსაბამები, ბეჭდები, საყურეები და სხვ.) და აგრეთვე მინის სანელსაცხებლეები ანუ „საცრემლეები“. მხოლოდ ერთში (ყერამიკული ფილებით ნაშენში, უძველესში) იყო თიხის ჭურჭელი. სრულიად არ აღმოჩენილა იარაღ-საჭურველი და ეს, ე. თაყაიშვილის მართებული დასკვნით, იმის ნიშანია, რომ სამაროვანი ვერ მიეკუთვნება ძველი წელთაღრიცხვის ხანას. სამკაულში განსაკუთრებით საყურადღებოა ოქრო-მარგალიტისა საკინძები, რომლებიც გამთხრელს სრულიად სწორად მიანიჩა ქართული თავსაკრავის შესაბამეობად და იგი, ამრიგად, ატარებს (ისევ პირველად ჩვენს არქეოლოგიაში!) მჭევრმეტყველ პარალელს საქართველოში ამონათხარ ნივთებსა და ქართულ ეთნოგრაფიულ ფაქტს შორის, რაც მა-

ხამდე ალბათ მკრეწლობად ჩაითვლებოდა ყოველივეს უცხოეთიდან შემოტანილობის აზრით გამსჭვალულ მკვლევართა შორის, ახლა კი ქართულად შემოსილ მანდილოსანთა „შუბლის ქინძისთავეებს“ არქეოლოგიური წინაპარი მოეხაზა (საინტერესოა, რომ ორმოციოდე წლის შემდეგ ასეთი პარალელი გაატარა, ოლონდ პირველმოქმედის დაუსახელებლევ. ბ. კუჭტინმატ, თრიალეთის სამარხებში მთავრებულ საკინძებთან დაკავშირებით!). ე. თაყაიშვილი ნავთსადენის სამარხთა ინვენტარს ერთისადანამდე კულტურის ნაყოფად მიიჩნევს; ოლონდ დასძენს, რომ შესაძლოა შთი ხნოვანება გრძელ ხანას, I-VIII საუკუნეებს მოიცავდეს: კერამიკული ფილებით ნაგები სამარხი, მუშების მიერ ნაპოვნი ოქროს ფული და გემშიანი ოქროს ბეჭედი ახ. წ. დასაწყისისაგან შიადტვის, მონაპოვრის უმეტესობა კი — ადრეული შუა საუკუნეებისაგან, მით უმეტეს, რომ ერთ ქვისსამარხში VII საუკუნის ბიზანტიური ვერცხლს ფული აღმოჩენილა. აქ შევნიშნავთ, რომ ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციის მიერ „დიდი მცხეთის“ რამდენსამე სამაროვანზე (სამთავროში, არმაზისხევიან, იმავე ნავთსადენში, კარსანთან) წლობით წარმოებული თხრისა და აგრეთვე გ. ნორაძის მიერ კარსანისხევიან ჩატარებული მცირე თხრის შედეგების მიხედვით, ამგვარი ინვენტარის შემცველი ქვისსამარხები, მართლაც, ზოგადად, IV-VIII საუკუნეებს მიეკუთვნებიან, ისე რომ, ე. თაყაიშვილი არც აქ შემცდარა.

მას, გარდა ნავთსადენისა, სამთავროშიც მოუწადინებია მუშაობა, ბაიერნის ნათხარისა და ნაპრევის შესამოწმებლად (რაც ადრევე დაეკალა არქ. კომისიის მიერ), მაგრამ მიწის დიდ სიძვირეს შეუშლია ამაში ხელი.

ე. თაყაიშვილის ეს, ჩვეულებისამებრ, მოკლე, მაგრამ საქმიანი და ამომწურავი

ანგარიში დაბეჭდილია მხოლოდ რუსულად, არქ. კომისიის 1902 წ. წყაროდებულში და მისკ. არქ. საზაზის კავკასიის განყოფილების ორგანოს I ნაკვეთში, 1904 წელს. ამის შემდეგ თვით მას მცხეთაში აღარ უთხრია, მაგრამ, როგორც დავინახეთ, საქართველოს ძველი დედაქალაქის არქეოლოგიაში მის ორგზის ნაშუ შევრობას წარუშლელი კვალი აქვს დატოვებული.

იმავე 1902 წელს ზემო იმერეთის სოფ. ბორში (ძველი ქალაქის შორაპნის მახლობლად) დაიწყო და დროგამოშვებით რამდენსამე წელს გრძელდებოდა გვიანანტიკური დროის მდიდრულ სამარხთა აღმოჩენა, თ. შაჰვარაჩიანისა და მის მეზობელთა მიერ საგვანხე მიწების გადაპრუნებისას. ამ შემთხვევითმა აღმოჩენებმა ძველი ხელოვნების ათეულობით პირველნარისხოვანი ნაწარმოები — ოქროს თუ ვერცხლის სამკაული, ქურქელი, სარეცლის ფეხები, მონეტები და სხვ. ამომხეურეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ძეგლები მიმოიფანტა და რაც გადარჩა, ისიც თითქმის სულ დაეკარგა საქართველოს მუზეუმებს. ე. თაყაიშვილს ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ყურადღება მიუქცეველი არ დაარჩებოდა და იგი ძალიანაც ცდილობდა, რომ თბილისის რომელიმე საცავში მოეყარა თავი აღმონაჩენისათვის, მაგრამ მოვწველებმა ეს მიზანი ვერ გაიგეს, მეტი სასყიდელი მოინდომეს და საბოლოოდ შენანიშნავმა საუნჯემ ერმიტაჟში ამოყო თავი, ისიც ნაწილობრივ. ე. თაყაიშვილმა ეს მიანიც მოახერხა, რომ გამოარჩია ბორში აღმოჩენილთა შორის ნამდვილად ყველაზე უფრო საყურადღებო ნივთი და წინასწარულად გამოსცა იგი კავკასიის განყოფილების ორგანოს I ნაკვეთში. ეს არის ვერცხლის თასი, რომელზედაც გამოხატულია სამსხვერპლოს წინაშე მდგარი ცხენი და ამოჩხვლულია წარწერა, გამომკვეყნებლის თქმით, „მისთვის უცნობი“. ორმოციოდე წლის შემდეგ არმაზისხევის ერისთავბიტიაშთა სამაროვანში (II-III სს.) მცხეთის ექსპედიციამ აღმოაჩინა

1 «Арх. раскопки в Триалети», 1941, стр. 23 — 24.

ორი ასეთივე ჯამი, ოღონდ უწარწერო. სამაგიეროდ იქ სხვა, უფრო ვრცელი წარწერებიც ამომზეურდა და მათი ამოკითხვისა და „არმაზული დამწერლობის“ ცალკე გამოყოფისა და შესწავლის შემდეგ (აკად. გ. წერეთლის მიერ) შესაძლო შეიქნა ბორის თასის წარწერის ამოკითხვაც („ბუზმირ კეთილ პიტიახში“), რის წყალობითაც საესეებით გასაგები შეიქნა, თუ რატომ ჰგავდნენ ასე საოცრად ბორში აღმოჩენილი ოქრო-ვერცხლის ნივთები არმაზისხევში აღმოჩენილთ: იქაც ერისთავ-პიტიახშთა „ბუდე“ ყოფილა ახ. წ. პირველ საუკუნეებში.

1908 წელს ე. თაყაიშვილი მიუვლენდა „კავკასიის განყოფილებას“ ბორში თხრის წამოწყებისათვის ნიადაგის შესამზადებლად, მაგრამ ეს ვერ მოხერხებულა — ეტყობა, აქაც მიწის მფლობელთა გამოსობით. მისი მოხსენება იქაურ ახალ აღმონაჩენთა შესახებ დაბეჭდილია განყოფილების მე-40 ოქმშიც (ორგანოს III ნაკვეთი, 1913) და 1907 წელს მის მიერ დაარსებული ქართული საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მე-10 ოქმშიც, უფრო ვრცლად („ძველი საქართველო“, I 1909). ამ უკანასკნელში იგი აღწერს თ. მაჭავარიანის მიერ ჩამოტანილსა და მის მიერ ფოტო-გადაღებულ ნივთებს (19 სახელწოდება ოქროსი, 15 — ვერცხლისა, 12 ბრინჯაოსი, 3 მინისა და ა. შ.) და შემდეგ მოახსენებს საზოგადოებას ბორში მგზავრობისას შემუშავებულ დაკვირვებას: სულ ათიოდე ორმოსამარხი გაუთხრონ და თითოში რამდენიმე ნივთი აღმოუჩენიათ, ცხოველთა ძვლების თანხლებით. მათში ნაპოვნი 15 რომაული და პართული ვერცხლის ფულის მიხედვით, ეს სამარხები ახ. წ. I საუკუნეს მიეკუთვნება (არმაზისხევურმა პარალელებმა გადაჭრით დააზუსტა ხნოვანება: II და ნაწილობრივ III საუკუნეა. გ. ლ.). ნივთების ნაწილი ბერძნულ-რომაულ ნახელავსა ჰგავს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ადგილობრივი მკვიდრნი არ იყვნენ დამარხული. აქ უფ-

რო საგარეო აღებ-მიცემობის შედეგთან გვაქვს საქმე. აღმოჩენილი ვერცხლის ბრინჯაოს, თუ რა შეადგენდა მათ შინაგანი ქართველების (უპირატესად — ქალების) სამკაულს და მორთულობას, ჭურჭელს, იარაღს, თუ ვისი და ვისი ფული ტრიალებდა საქართველოში და სხვ. (თითქმის დღესაც გასაზიარებელი დასკვნაა, ოღონდ მცხეთის ექსპედიციის აღმოჩენათა შემდეგ ოქროს სამკაულთა დიდი უმეტესობის ადგილობრივე წარმოების შესახებ არის ახლა უკვე მსჯელობა. გ. ლ.). ბორში ნაპოვნი ნივთებს, — დასძენს ბოლოს მომხსენებელი, — მნიშვნელობა აქვთ საქართველოს და საზოგადოდ კავკასიის ისტორიისათვის, ისინი რეალურად ამტკიცებენ იმ დროის კულტურისა და ისტორიის შესახებ ცნობებს, რომლებიც კანტი-კუნტად ვიცით. ამიტომაც საჭირო მათი ჩვენშივე დაცვა, თორემ დასავლეთ ევროპის მუზეუმებში ამგვარი ნივთები ხშირიათ.

1908 წელსავე ეკუთვნის ე. თაყაიშვილის შეუპოვარი მეცადინეობა იმ ბრწყინვალე კოლექციის გადასარჩენად, რომელსაც ახლა მსოფლიო არქეოლოგია იცნობს „ახალგორის განძის“ სახელით, სმირნოვ-ჩუბინაშვილის გამოცემის წყალობით (1934 წ.). ქსნის ხეობაში, სოფ. საძვევრთან გლეხებს ამოუთხრიათ ადრეანტიკური დროის (როგორც ახლა ირკვევა, ძვ. წ. V ს.) ზღაბრულად მდიდრული, ჩანს, ქალის სამარხი და უპოვნიათ ოქროს ბრწყინვალე სამკაული თუ სხვა ნივთები, ვერცხლის ჭურჭელი და ა. შ. მონაპოვარი ხელიდან ხელში წასულა და მათ მოკრებას, ჩამორთმევასა თუ შექმნას (კავკასიის მუზეუმისათვის) ე. თაყაიშვილის ორგანიზაციის მოგზაურობა დასჭირებია, 1908 და 1909 წელს. საბოლოოდ მას მონაპოვრის დიდი უმეტესობა მოუკრებია (ოქროს საყელური, საყურები, ყელსაბაში, მდიდრულად შეკაზმულ ცხენთა მცირე ქანდაკებანი, სარტყელი, ფასკუნჯიანი ბალთები, კილიტები, საკიდები, ვერცხლის ჯამები, სურა და სხვა მრავალ-

ლი). განყოფილებაში წაიკითხულ მოხსენებაში ე. თაყაიშვილი აღნიშნავს (ოქმი № 45, ნაკვ. III, 1913), ოქროს ნივთების ნაწილი კარგი მხატვრული ნამუშევარია და აღმოსავლური ჩანსო (შემდგომ ო. სმიჩნოვა თაყის მონოგრაფიაში უფრო კონკრეტულად, აქემენიდურ ირანს დაუკავშირა ის ნივთები და, როგორც დღესდღეობით ჩანს, გააზვიადა ეს გარემოება. გ. ლ.).

ამრიგად, ბორის შესანიშნავ ნივთებს გამოუჩნდა წინა ხანის კიდევ უფრო შესანიშნავი ნივთები, რომელნიც ვანის ძეგლებს უტოლდებოდა ხნოვანებით და ადრეანტიკურ ხანას წარმოგიდგენდა, ოღონდ უკვე აღმოსავლეთ საქართველოში, გასაოცარი ბრწყინვალეობით. „ახალგორის განძზე“ ზრუნვა ე. თაყაიშვილს საფრანგეთში ყოფნის დროსაც მოუხდა, ვინაიდან მისი „ნაწილობრივ მაინც შეძენის“ მოსურნე მუზეუმებიც გამოჩნდნენ. მაგრამ მათ ვერა წაიღეს რა და ის კოლექცია ახლაც ამშვენებს საქართველოს მუზეუმს.

1908 წელი საერთოდ ძალიან „ხვედრიელი“ გამოდგა: მაშინვე აცნობეს ე. თაყაიშვილს, რომ ქართლის ახალქალაქის შორი-ახლოს გლეხებმა აღმოაჩინეს სპილენძის ძველი იარაღები. იგი დაუყოვნებლივ გაემართა იქ და შეიძინა თითქმის მთელი განძი — ბრინჯაოს 17 ცული და 6 ფუთზე მეტი სპილენძის ზოდები, რომელნიც თიხის დიდი ჭურჭლით ყოფილიყო დაფლული მთაში, ძველ ნამოსახლარ ადგილას. სათანადო მოკლე ანგარიშში (კავკასიის განყოფილების ორგანო, III ნაკვეთი, 1913) ე. თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ 14 ცული აღმოსავლურ-ამიერკავკასიური ტიპისაა („იბერიული“, გ. ლ.), ხოლო 3 — „კელტის“ ტიპისა („კოლხური“, გ. ლ.) და რომ, რაკი ერთ ადგილას ამდენი ცული და თან დიდძალი დაუმუშავებელი ლითონი დაუფლავთ, იქ ძველად, „კავკასიური სპილენძის ხანაში“ (ამ შემთხვევაში იგივეა, რაც „ბრინჯაოს ხანა“, გ. ლ.) უნდა ყოფილიყო ცულების ჩამოსახმელი სახელოსნო. მით უმეტეს,

რომ მათში ორი წუნდებულიც ურევია. ხოლო თუ ეს სწორიაო, დასძინეს ვფვ. მუშინ უნდა ვალიაროთ, რომ ამგვარმა ცულებმა კავკასია-საქართველოში უცხოეთიდან კი არ უზიდავთ (როგორც ფიქრობდნენ, თითქმის უკლებლივ, მაშინდელი რუსი და ევროპელი არქეოლოგები გ. ლ.), არამედ აქვე უმზადებიან და მათი ერთერთი ფაბრიკა ანუ სახელოსნო სწორედ დღევანდელი დაბა ახალქალაქის მიდამოებში ყოფილაო.

აი, კიდევ ერთი ნამდვილად გაბედული და იმხანად ნოვატორული აზრი, რომელიც ახლა მოწაფესაც კი აღარ გაუკვირდება ჩვენში, ვინაიდან საქართველოს არქეოლოგიამ საბოლოოდ ცხადყო, რომ ჩვენი ძველი ლითონის კულტურა საკუთარი მძლავრი და დიფერენცირებული წარმოების ნიადაგზე ყოფილა აღმოცენებულ-გაფურჩქენილი. ე. თაყაიშვილის დამოწმებული მოხსენების შემდეგ ოთხმა წელმა განვლო, როცა ცნობილმა რუსმა არქეოლოგმა ვ. გოროდცოვმა წადვერის მახლობლად გათხარა ბრინჯაოს სალობ-სამსხმელო სახელოსნოს ნაშთი, ხოლო მას შემდეგ საქართველოს რამდენსამე კუთხეში იჩინა თავი სამსხმელო ყალიბებმა და წარმოების სხვა ნაშთებმა.

1909 წელს ახალდაარსებულ საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმისათვის („ქართული მუზეუმი-სათვის“) შემოუწირავთ საჩხერეში ნაპოვნი სპილენძის ძველებური, უჩვეულო მოყვანილობის ცული, ხოლო შემდეგ წელს ხმა დარხეულა, საჩხერეში მიწის თხრისას დიდძალი სიმდიდრე აღმოაჩინეს და მალავენო. შეუძლებელი იყო ამ ხმების შემოწმება არ მოეწადინებინა ე. თაყაიშვილს, რომელიც, მისივე სიტყვით, იმ ხანებში უკვე „არქეოლოგიური გათხრის საქმესაც ეპატრონებოდა“ და 1910 წელს იგი ჩასულა საჩხერეში. ნივთების აღმოჩენა გ. გამყრელიძეს დაუზარებლივ უჩვენებია მისთვის ისინი და მათი პოვნის ადგილიც, რომელიც ყორღანს მიაგავდა. ე. თაყაიშვილს გაუჭრია თხრილი უკვე ძალზე

აჩიქნილ ბორცვზე და უპოვნია ცხოველთა ძვლები, სპილენძის წვრილი საგნები და ორგვარი თიხის კურჭლის ნამტვრევი. ადრე ნაპოვნია და თავისი ამონახარისხი თბილისში წამოუღია. მოკლე ანგარიშში აღნიშნულია, რომ მონაპოვარში მრავლად არის „წალღულები“ ანუ „ცულ-აფთები“ (ჩრდილო-კავკასიის რამდენსამე ადგილას აღმოჩენილთა მსგავსი არქაული ტიპის ორმაგი იარაღები), უჩვეულოდ ნაირნაირი; არის აგრეთვე სამკლარები, სამაჭურები, დანები, მშვილდსაქინძი, უზარმაზარი საკინძები და სხვ. და სხვ. ბოლოს ავტორი დაასკვნის, რომ ყველა ნივთი სპილენძისაა, რკინა, ვერცხლი თუ ოქრო სრულიად არ ურევია და რომ საჩხერის ყორღანი უნდა მიეკუთვნოს კავკასიის სპილენძის საფუძვს, რომელიც ეგებ წინ უძღოდა ყობანურ კულტურას (გვიანი ბრინჯაოს ხანისა, გ. ლ.). იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ეს პირველი შემთხვევაა ყვირის ხეობაში სამარხიანი ყორღანის აღმოჩენისა და შემდგომი კვლევა-ძიება იქ, ალბათ, სხვა ამგვარ სამარხებსაც აღმოაჩენსო.

ეს წინასწარმეტყველებაც სავესებით ახლა ჩვენს დროში: ე. თაყაიშვილის მიერ სწორად განჭვრეტულმა მეცნიერულმა ღირებულებამ საჩხერელი ნივთებისა იქითკენ მიიზიდა ჯერ ბ. კუფტინი და მერე ახალგაზრდა ქართველი არქეოლოგები. პირველის მიერ საქართველოში ლითონის კულტურის პირველ საფეხურთა (ენეოლითის, ადრეული ბრინჯაოს ხანისა და ა. შ.) ძიებაც ე. თაყაიშვილის მიერ გაკვრით, მაგრამ გამჭირვალად მოცემულ დახასიათებასა და დათარიღებას დაეყრდნო, ხოლო ამ საფეხურთა გამოვლენა ხომ ერთერთ მთავარ დამსახურებად ვთვლება ხსენებულ მკვლევარს. დაახლოებით იგივე შეგვიძლია ვთქვათ ბრინჯაოს დიდრონი, ჰვირული ბალთების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა არსების გამოსახულებით არის დამშვენებული და ზოგადად ანტიკური ხანის სამარხებშია ჩვენში გავ-

რცელებული. ე. თაყაიშვილს მრუსეთ-ნებია კავკასიის განყოფილებაში მონაპოვარში თავისებურ და მნიშვნელოვან მკვლევარებს შესახებ, რომელთაგან (16-დან) 12 ქუთაისის გუბერნიაში ყოფილა ნაპოვნი და დაუსკვნია, რომ მათი წარმოების ადგილადაც ეს მხარე — განსაკუთრებით კი ყვირის ხეობა და ზემო რაჭა უნდა მივიჩნიოთო. კერძოდ, ზემო რაჭაში ისტორიის ინსტიტუტის ექსპედიციამ განსაკუთრებით მრავლად მოიპოვა ისინი სამარხებში და ამან სავესებით დაადასტურა, კიდევ ერთხელ, ე. თაყაიშვილის აზრი.

აღსანიშნავია ისიც, რომ 1908 წელს ე. თაყაიშვილს დაუთვალეირებია ნ. მარის განახარისხი ანისის ნაქალაქარში.

აქ, სამწუხაროდ, საშუალება აღარა გვაქვს სხვა, შედარებით მცირე გათხრამონაპოვრის შესახებ სიტყვის გახვრცობისა და იმასლა დავძენთ, რომ ყოველი მათგანი ე. თაყაიშვილს სხარტულად, მაგრამ სწორად შეუფასებია ჩვენი კულტურის ისტორიის თვალსაზრისით. მისი მეთოდოლოგიური სიმკაცრისა და პირუთენელი მეცნიერული პრინციპულობის დასახასიათებლად კი უნდა გავიხსენოთ ერთი ეპიზოდი „კავკასიის განყოფილების“ მუშაობიდან: 1908 წელს იქ ე. ლალიანიც წაუკითხავს მოხსენება 1906 წლის ზაფხულში სევანის ტბის პირას 153 დიდი ყორღანის გათხრის შესახებ, ხოლო ე. თაყაიშვილს მწვავე ეპვი შეუტანია ასეთი ნაჩქარევი კვლევის მეცნიერულობაში და მხატვრული ფიქსაციის დოკუმენტულობაში და ურჩევია, სხვა დროს უფრო ღინჯად ემუშაენა გამთხრელს. თვით ე. თაყაიშვილის ყველა განახარისხი კი, როგორც ვიცით, ამ მხრივ კრიტიკას არასოდეს იწვევდა.

დასასრულ, უნდა გავიხსენოთ ე. თაყაიშვილის მიერ ახალგაზრდა პოლონელი მკვლევრის ს. კრუკოვსკისათვის ხელის შეწყობა პირველი მსოფლიო ომის დროს იმერეთის ერთერთი პალეოლოგიური მღვიმის, გვარჯილას კლდის მეცნიერული თხრის ჩატარებაში, რამაც

საგრძობლად დააწინაურა ჩვენი ქვის ხანის კულტურის შესწავლის საქმე.

1917 წელს, „თურქეთის საქართველოში“ გამგზავრების წინ, ე. თაყაიშვილს განზრახული ჰქონია თან წაყოლებოდა იმავე კრეკოვსკისა, რომლისთვისაც აღნიშნულ მხარეში პალეოლითური ნაშთების ძიების გეგმაც შეუდგენინებია, მაგრამ ეს საქმე ველარ განხორციელებულა, ჩანს, ომიანობას შეუშლია ხელი, პოლონელი მუშაკისათვის ფრონტისპირა მხარეში ჩასვლის ნებართვა არ მიუციათ.

1918 წელს თბილისში რომ ქართული უნივერსიტეტი გაიხსნა, ე. თაყაიშვილი, მისი დაარსების ერთერთი მოთაოსნე, არჩეულ იქნა პროფესორად; მას დისერტაციის დაუცველად მიენიჭა დოქტორის ხარისხი და დაველა ზოგადი და საქართველოს არქეოლოგიის („სიძველეთმცოდნეობის“) ლექციების კითხვა, სათანადო კათედრის შექმნა და გამგეობა. ამ საქმეს იგი სამი წლის განმავლობაში უძღვებოდა და სათანადო ლექციების ვრცელი კონსპექტები და გამოცდის პროგრამაც კი აქვს დატოვებული (ინახება მის პირად არქივში). ამ ნაწერებში შედარებით ვრცლად სწორედ წიალისეული არქეოლოგია არის წარმოდგენილი. მათში ვხვდებით პირველს, უთუოდ ყურადსაღებ ცდას ჩვენს უნივერსიტეტში არქეოლოგიის კურსისა და სათანადო ქართული ტერმინოლოგიის შექმნისა, რის დაიწყებაც, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. აღნიშნული კონსპექტები შეიცავს ავტორის მრავალ მნიშვნელოვან დაკვირვებას, დასკვნას, განზოგადებასა და ვარაუდს, რომელნიც ჯერაც არ გამოქვეყნებულან და თან კი არ მოძველებულან. ავტორი, სადაც კი ჯერ არს, ყველგან ხახვასმით აღნიშნავს, რაც რამ ახალი ამომხეურებულა წიალიდან, რაც აუქმებს და ამტყუნებს ძველ მკვლევართა ცალმხრივსა თუ დიდმყრობელურ, ქედამდღურ შეხედულებას საქართველო-კავკასიაში ძველისძველი კულტურულ-ისტორიული პე-

რიოდების (ქვის ხანის, სპილენძ-ბრინჯაოს ხანის) არარსებობის, კაცუთუთი საწარმოო კერების, ფაქიზი კულტურის უქონლობის შესახებ. დასაანანია, რომ ესოდენ მარჯვედ, ფხიზელი კრიტიკული მიდგომით გამართულ კურსს ჯეროვანი ლიტერატურული გაფორმება არ ღირსებია თავის დროზე.

ასეთი მოკლე მიმოხილვაც კი უნდა ცხადყოფდეს, რომ ექვთიმე თაყაიშვილი, როგორც მთხრელი არქეოლოგი, წიალისეული ძეგლების გამომავლენელი და შემსწავლელი, ისევე კვალიფიციური და ნაყოფიერი მკვლევარი ყოფილა, როგორც მიწისზედა ძეგლთა თუ წერილობით საისტორიო წყაროთა შესწავლასა და გამოქვეყნებაში. იგი აქაც პირველხარისხოვანი და გზის გამწალდავი წყარომცოდნეა და თან დუღალავი საველე მუშაკი, ამონათხართა ოპერატიული გამომცემელი, მათი საქართველოს მუზეუმებშივე დაცვისათვის მებრძოლი. მთავარი კი მაინც ის არის, რომ მას ყოველთვის ზუსტი ისტორიული ინტერპრეტაცია აქვს მოცემული თავისი ამონათხარისა თუ შემთხვევითი მონაპოვრისა — ისეთი, რომელსაც განვილილი ათეული წლების შემდეგაც კი თითქმის არავითარი შესწორება არა სჭირდება. პირიქით, მის მიერ დასახული გეზი მტწილად სავსებით დასტურდება და ახალი საბუთებით მტკიცდება. ერთი შეხედვით თითქოს ბევრი არა აქვს გათხრილი (და ამ მხრივ შეგვიძლია გავიმეოროთ ერთ-ერთი მისი თანამოსაქმის ნ. დერკავინის მიერ თავის დროზე „კავკასიის განყოფილებაში“ გამოთქმული სინანული, რატომ არა აქვს ე. თაყაიშვილს საშუალება, რომ მთელი თავისი დრო მეცნიერულ მუშაობას მოახმაროსო?! (ოქმი №29), მაგრამ საქმე ისე წარმართულა, რომ მას ჩვენი უძველესი და ძველი კულტურის ისტორიის თითქმის ყველა პერიოდის, სხვადასხვა კუთხეში თავჩენილ ძეგლებზე მოხდომია გათხრითი თუ ინტერპრეტატორული მუშაობა, ქვის ხანიდან შუა საუკუნეებამდე. თა-

ნაც მას ყველა შემთხვევაში აქვს შემუშავებული ფიზიკელი, გზამკვლევი დაკვირვება-დებულებანი აკად. გ. ჩუბინაშვილმა ექვთიმე თაყაიშვილს მოხდენილად უწოდა „ქართველ არქეოლოგთა ნესტორი“ (პომეროსის გმირის, ბრძენი მოხუცი მრჩეველის სახელი). იმასლა დავეშობებით, რომ ჩვენი წიაღისეული ძეგლების ყველა ქართველ მთხრელ არქეოლოგს, სხვა დარგის მუშაკებთან ერთად, ექვთიმე თაყაიშვილი მიაჩნია თავის სასახელო წინამორბედად, რომელმაც ფრიალ ძნელ ვითარებაში გაკვალა თითქმის უვალი გზები და წარმატებით დანერგა ყველას შემეცნებაში რამდენიმე სახელმძღვანელო დებულება. ეს უკანასკნელები ახლა ჩვენი საბჭოთა არქეოლოგიის საფუძველს ქმნიან: ლითონის, კერამიკის და სხვათა ძველთაგანვე ადგილობრივ წარმოების შესახებ; ობსიდიანის მძლავრ სახელოსნოთა არსებობის შესახებ; ლითონის წარმოების აღრინდელ საფეხურთა არსებობის შესახებ; იმის შესახებ, რომ უცხოური წარმოშობის ნივთების ჰოვანა სრულიადაც არ ნიშნავს მათი მქონებელ-მატარებლების უცხოელობას და რომ ამ მხრივ ბევრი რამ საერთაშორისო აღებ-მიცემობას მიეწერება; დასასრულ, იმის შესახებ, რომ აუცილებელია არქეოლოგიური ამონათხარის გააზრებისას, უპირველეს ყოვლისა, ეროვნული ეთნოგრაფიული ფაქტების მოშველიება და, ამრიგად, გაბმა უწყვეტი ძაფისა საუკუნეთა სიღრმეში. ბოლოს, ე. თაყაიშვილმა მიუთითა მომდევნო თაობათა არქეოლოგებს ისეთი უსათუოდ შესასწავლი ძეგლები (გარდა საყოველთაოდ ცნობილი მცხეთისა), როგორცაა ამჟამად უკვე საფუძვლიანად გამოკვლეული ვანის ნაქალაქარი, საჩხერის ყორღანები, ახალგორის ძველი სამაროვანი, წალკა-თრიალეთის ძველი სამარხები და სხვ.

არ შეიძლება აქვე არ აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ ყოფნისას ე. თაყაიშვილს ბევრი უფიქრია, უწერია და

საქარო ლექციებიც კი უკითხავს ჩვენში ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისათვის შემდგომი განვითარების შესახებ, ფიზიკლად უდევნებია თვალ-ყური თბილისის უნივერსიტეტის, საქართველოს მუზეუმისა და საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ნაყოფიერი მუშაობისათვის და დიდი კმაყოფილებაც გამოუთქვამს ამის გამო. იქვე შეუდგენია მას ერთგვარი პროგრამა წყაროთმცოდნეობითი და საპუბლიკაციო მუშაობისა. მის პირად არქივში (ხელნაწერთა ინსტიტუტში რომ არის დაცული) შემონახულ ამ პროგრამას სათაურად აწერია: „რა არის გასაქმებელი დღეს“. იგი შეიცავს ათ მუხლს, რომელთაგან ჩვენთვის ამჟამად განსაკუთრებით ყურადსაღებია მეცხრე — „გათხრა ძველი ქალაქებისა, ციხეებისა და სასაფლაოებისა“. მისი განხორციელებისთვის ჩვენმა არქეოლოგიამ ბოლო მესამედი საუკუნის მანძილზე უკვე ნამდვილად დიდი, წარმატებული შრომა გასწია.

უცხოეთიდან დაბრუნებული მსცოვანი მეცნიერი აღტაცებული იყო, საბჭოთა საქართველოს კულტურის მრავალ სხვა გამარჯვებასთან ერთად, სწორედ წიაღისეული არქეოლოგიის თვალსაჩინო დაწინაურებითაც. „ჩვენ სადა გვექონდა ეგრეთი საშუალება, თქვენ რომა გაქვთ; უნდა ისარგებლოთ ხელი-სუფლების ესოდენ შეუზღუდველი დახმარებით და იმით გაამართლოთ თქვენდამი ნდობა, რომ აღარაფერი დასტოვოთ საქართველოში გაუთხრელ-გამოუკვლეველი“. გვეუბნებოდა იგი ანდერძივით.

ქართველი არქეოლოგები მართლაც ცდილობენ, რაც შეიძლება ნაკლები დარჩეთ შეუსწავლელი და თან ყოველთვის დიდი მადლიერებით იგონებენ თავიანთ „ნესტორს“, რომელმაც ღრმა სიბერემდე შემოინახა ენთუზიასტი მკვლევარის დაუდგრომელი სულისკვეთება და მოუდუნებელი ინტერესი ყოველი ახალი აღმოჩენისადმი.



ლიპარ ჩემო

თეთრი ღამეებიდან შავ ზღვაში

საპარტოვლოს მოახსივებლურების საიდუმლოება

განა ეპოვებ ჩემს სტრატეგებში საკმაო ფერებს იმისათვის, რომ შეველო დავებატო ბუნებისა და აღმართის მიერ შექმნილი ნაირფერი მშვენიერება, რომელსაც საქართველო ჰქვია?

განა ექნება ჩემს სიტყვებს საკმარისი სიბრტე, რათა გაგვარწმუნოთ ის ზღვარდაუდებელი სტრატეგიული მოქმედება, რომლითაც ვარემოცული ვიყავით ჩვენ ამ ქვეყანაში?

დასასრულ, შევძლებ თუ არა ჩემი მხეხიერებიდან ამოვკრიფო და თანაც ისე გამოვთქვა ის, რაც ყველაზე უფრო დამახასიათებელია ამიერკავკასიის ამ საბჭოთა რესპუბლიკისათვის, რომელიც ბევრს იღუპალებით მოსილი ჰკონია, მაშინ, როცა იგი ასე ნათელზე ნათელია და ასე კარგად გასაგები, თუკი მას შეიცინებ და შეიყვარებ?

დავიწყეთ თუ გინდ მატარებლადან, რომელშიც სულს უკლო.

„წარმოიდგინე, რომ ჩვენ იტალიაში ვართ“, — ვუბრუნებთ თანამგზავებს.

ავტომანქანამ სასტუმროში სულ ახალი გზით წაგვიყვანა. იგი ამ უკანასკნელ წელს გაუჭრიათ ვაკისა და საბურთალოს შესაყარზე.

თი გვედით ქალაქის მთავარ მაგისტრალზე ეს ქალაქის გულია — რუსთაველის პროსპექტი. ხასხასადობით ხეთა დაბურული ხეივანის მიღმა ხშირად ხედავთ ეროვნული სტილით ნაგებ შენობებს. ამ პროსპექტის ბოლოს აღმართულია შოთა რუსთაველის ძეგლი. მეთორმეტე საუკუნის ამ უდიდეს მგოსანს პორტრეტი არ დაჩენია, ისევე როგორც ანერბაიჩანის პოეტს ნიჰაის — მაგრამ დროთა ვითარებაში შექმნა დიდი ქართველი კლასიკოსის ტრადიციული გამოსახულება და აი, ამაყად დგას თავისივე სახელობის მოედანზე. მარცხენა ხელი მჭერდზე უსვენია, მარჯვენათი კი გრავილი უჭირავს. ეს მისი უკვდავი „ვეფხისტყაოსანია“.

ამჟერად ჩვენ გვიქო აღმა გვიჭირავს. თითქო ბუდაეშტში ვიყოთ და იმტენის ფერდობზე

უნგრელი პოეტი, მთარგმნელი და ლიტერატურის ისტორიკოსი დიერდ რადო ამ უკანასკნელი წლების მანძილზე საქმის იყო ჩვენს რესპუბლიკაში. იგი იმდენად დაინტერესდა ჩვენი ქვეყნითა და მისი ლიტერატურით, რომ ხელი მიჰყო ქართული ენის შესწავლას, რათა უშუალოდ ორიგინალიდან თარგმნოს ქართველი მწერლები.

უნგრეთში დიერდ რადო ცნობილია როგორც რუსული კლასიკური და თანამედროვე საბჭოთა ლიტერატურის ერთი საუკეთესო მთარგმნელიაგანი. მან უკვე თარგმნა პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, მთავრის, შევჩენკოს და სხვათა რჩეული ნაწერები. ამ უკანასკნელ ხანებში მან თარგმნა აგრეთვე ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი ლენინის, ირაკლი აბაშიძის, გრიგოლ აბაშიძის, იოსებ ნინუშვილისა და სხვა ქართველ პოეტთა ცალკეული ნაწარმოებები.

ამჟამად დიერდ რადო, უნგრელ მეცნიერ ლაიოშ ტარდისთან ერთად, გამოსაცემად აწავადებს იმ უნგრელ მოგზაურთა წერილებს და შრომებს საქართველოს შესახებ, რომლებიც ჩვენ ქვეყანაში ყოფილან მერჯულმეტე საუკუნიდან დღემდე. გარდა ამისა, იგი ადგენს დღემდე უნგრულად თარგმნილ ქართული ლიტერატურის ბიბლიოგრაფიას და უნგრული პრესის გამოძახილს ამ თარგმანთა შესახებ.

დიერდ რადოს წიგნი — „თეთრი ღამეებიდან შავ ზღვაში“ დაწერილია 1961 წელს. იგი საინტერესოა იმიტომ, რომ ავტორის მოგზაურობის მარშრუტი ამა თუ იმ რესპუბლიკაში დაკვირვებულია ლიტერატურულ და კულტურულ ძეგლებთან. ამრიგად, საბჭოთა კავშირის თანამედროვე სინამდვილეს რადო აღქვამს ისტორიული წარსულისა და კულტურული ტრადიციების კავშირში, რაც შესაძლებლობას აძლევს დაინახოს ბევრი რამ ისეთი, რასაც ჩვეულებრივი მოგზაური ნაკლებ უზრადლებას უთმობს.

ავდიოდეთ. გადაკვეთეთ რამდენიმე წყნარი, კობტა ქერბანდი და მიუვებლოდით ფუნჯიქ-ლიორის ქვედა სადგურს.


ფუნჯიქლოარი თავის ზედამეტელ ბევრის-მნახველ თანამომეს ჩამოვავს. მაგრამ მისი ტრასა გაცილებით ვრძელია: მამადავითის შთა ხიმ თითქმის შევერდ აღმართულია და სამა-სი მეტრის სიშალოდან დასკეკრის საქართვე-ლოს დედაქალაქს. ზვენ ვაგონში ესხდებით და იგი უხმოდ მისრიალებს აღმა. როცა უკან მოი-ხედავ, გგონია, რომ ქალაქი ჩვენს ქვემოთ იძი-რება.

რა მალა ავდივართ. უფრო კლებულობს ქალაქის ხმაური, შედეგ იგი ისმის მხოლოდ შორეულ ჩქამად, რომელიც თანდათან იღვავა. ბოლოს სულ ქრება და სამო მდუმარება მოი-ცავს არემარეს. შუაგზაზე ვაგონიდან გადმო-ვდივართ, მარჯვნივ მივეშტრებთ და ამ ქარ-თულ ვროვნულ პანთეონში ვართ.

აქ მშვიდად განისვენებენ ქართველი ზალხის დაუდგროველი, ცვალებადი და დრამატისმით აღსავსე ისტორიის ღვაწლმოსილი შველები.

შესვლისთანავე უჩვეულო შთაბეჭდილება მოახდინა გრინოდოვის საფლავმა. ჩემში ყურ ეიდევ ცოცხლობს გრინოდოვის ხატება და მისი ბედი (ქე სულ ახლანს დავამთავრე მასზე იური ტინიანოვის რომანის თარგმნა). ჩემში ცოცხლობს ეს გულწათხრობილი, მეოცნებე, პროგრესს მოწყურებული, პატიოსანი დიპლო-მატი-პოეტ, მეხსიერებაში აღმებეჭდა სამინე-ლებით აღსავსე სიყვადი ელზისა, რომელიც ნაფლეთებდა აქცია ფინანსისტთა ამქმინვარე-ბელში ბრბომ და ამ ქალს წინ მისი ძველია. ძველს ვარე მხარეზე კლასიკურ მედალიონში მოთავსებულია პოეტის პორტრეტი. სარკოფა-გის საზურავეზე ყვარცხმა გამოსახული, რომლის ფეხქვეშ ჩამოქილა აქეთონებული ქალი... მაგ-რა ამ გრამოდლოვი ზომ რუსი იყო, როგორღა მოხდებოდა იგი აქ, ქართულ პანთეონში? თბილის-თან მას აკვშირებდა აქ გატარებული წლები, მკიდრო ურთიერთობა ქართულ საზოგადოება-სთან. მაგრამ ყველაზე მეტად მას საქართვე-ლისთან ის აკვშირებდა, ვინც აქვე, მეორე სა-რკოფაგში. იქ განისვენებს საქართველოს ასუ-ლი, გრინოდოვის ერთგული მეუღლე — ნი-ნი ჰეპქაიძე.

ამ შორეულ ძველიც ნარიანი სვეტი. აქ განი-სვენებს ნიკოლოზ ბარათაშვილი, პოეტი, აე-ტორი „მერანისა“. ილია ჰეპქაიძის საფლავზე აღმართულია ძველი: მელოვიარე ქართველი დედის სიმბოლური ფიგურა... დიდი სახალხო პოეტის — ვაჟა-ფშაველას საფლავს სხვებისა-გან კლდის ლოდის ნატეხებზე ამოტვიფრული ქართული წარწერა განასხვავებს... სასაფლაოს ხელოვნება ფრად თავისებურია. მთაწმინდის საფლავთა მხატვრული ძეგლები აღსავსენი არიან ხალასი გულწრფელობით.

დაბოლოს კვლავ მარშარტის ლოდს მანზე გამოსახული ეროვნული საწარმოების ქვეშ მოთ კი წარწერილია ხეთად-მეთი...


აქაი?

აქაი? მაგრამ ეგ ზომ სახელია მხოლოდ. აკა-კო, აღზაო, ბევრს ერქვა, მაგრამ ვინ უნდა ყო-ფილიყო ის, ვისთვისაც გვარის მიწერა ზედმე-ტად მიუჩნევიათ, რადგან მთელი ვრი ასე, სა-ხელით იცნობდა მას. აქაი წერეთელი — პოე-ტი.

მალე ვიდის მაგივრად იგი ვაკნობს ამ ატე-ხილი ჭალებითა და უსიერი ტყეებით შემოსი-ლი ქვეყნის ისტორიას, რომლის მკვიდრთა ძა-რლებში მზრვალე სისხლი სტყფს.

ჩვენ ვფურცლავთ მს „თავდასავალს“.

„...ყოველგვარ მდინარეს გიქმევი ხვევის წყა-ლი მიჩნევნია და მათში კი უპირატესობას ერთ მათგანს, ჩიხურას, ვაძლევ: ის იყო ჩემი საკუთარი ემბაზი და ჩემი პირველი სარკე.“

სწორედ ამ ჩიხურას პირად, მალომბზე, დგას ორსართულიანი ქვითიკრის სახლი. ამ უწ-ნო შენობას სიმაღლე პატარა კოშკისა აქვს. სი-გრძე დაბაზისა და სისქე — ციხის, მაგრამ არც ერთ მათგანს კი არა ჰგავს...
 აი ამ სახლში დავბედებულვარ მე 9 ივნისს, განთიადისას, 1840 წელში“.

ასე თქვეს აქაი წერეთელი თხრობას თა-ვის ოპზე.

საქართველოში ოდიშგანვე ჩვეულებად ჰქო-ნით დიდგვაროვანთა შვილების გაძიმება. მე-ფეთა და ერისთავთა შვილები თავადების ოჯა-ხში იზრდებოდნენ, თავადთა შვილები — ახნა-ურებასს, მაგრამ ზმირად თავადთა თავიანთ შვილების გლეხის ოჯახშიც აძიმებდნენ. ამ ორიგინალური აღათის შედეგად აღმზრდელსა და აღზრდილს შორის მკვიდრო ურთიერთობა იქმნებოდა. XIX საუკუნემდე მოაღწია პატ-რიარქალტრი საზოგადოების ამ ძველისძველმა ტრადიციამ.

საქართველო უძველესი კულტურის ქვეყანაა. ბერძნული მითები შოიხსენებენ კოლხიდას. აქეთ მოემართებოდნენ არგონავტები ოჭროს საწყისისათვის. აქ შეხვდა გმირი იაზონი მეფის ასულს მედეას. ევროპელთათვის ეს სა-ხელი თავაწყვეტილი სიყვარლისა და მგზნე-ბარე ყაღღარის განსახიერებაა, მაგრამ ქართულ წარმოებაში მხოდებით მოღალატე იაზონმა განზრახ შეამკო ასე დაუნდობლად ეს ყოილ-შობილი ასული კოლხეთის მეფისა... ერთი კი უმკველია: კოლხეთში ისეთივე კულტურა ჰყვავდა, როგორც ანტიკურ ევროპაში, რომ ეს კულტურა შემდგომ გახდა შუა საუკუნე-ების ესოდენ ცნობილი განათლებული კრად, რომელიც ევროპულ რაინდულ ეპოქას ტოლს არ უდებდა. ამის მთავარი მოწმე და დამადას-ტურებელია რუსთაველი, რომელიც არიოს-ტოს წინ უსწრებდა სამი საუკუნით და დას-

წერა ქართული „როლიანი“. ამასვე ადასტურებენ უამრავ ციხე-სიმაგრეთა და სასახლეთა ნანგრევნი, რომელნიც აქ ყოველ ფეხს ადაოაგმაზე გეხვლებიან. აგრეთვე, გაბზრების შედეგად მოპოვებული მრავალრიცხოვანი საუნჯე, რომელიც მკვერმეტყველად მოუთხორობენ მუზეუმთა თაროებიდან ამ თავისებურ ქვეყანაზე.

თავისებური ქვეყანა... ქრისტიანული ტრადიციები აქ, აზიაში, ისლამის კარიბჭესთან, სპარსეთელის ოღრორის წყაროების ზოგიერთი სათავე ისლამის ქვეყნებზე გადის და ინდოეთამდე უწევს. მარტო რუსთაველის ეპოსია აღსასვე არაბოლის გარდა ინდოელი ელიმენტებით. არა მარტო „ეპარამისა და იოსაფის“ ლექსებმა გააქრისტიანა ქართულმა კალამმა ინდოი საგნაგან, არამედ ზოროთომოდებრების უროგნო სტილი და მუსიკაც აშკარად მიგვიჩივებენ ამ ორიგინალურ ურთიერთგავლენაზე, მართალია, პირენეზიდან მოყოლებული ჩრდილო აფრიკაზე გაეღო მცირე და შუა აზიაშიც ევროპის ფართო ურთიერთობა ჰქონდა ისლამთან და ისინი ურთიერთს ანაყოფიერებდნენ. მაგრამ ინდოეთისა და ევროპის ურთიერთგავლენა და ურთიერთშეხება საქართველოში თავისებურად ხდებოდა და ამ მხრივ ქართული კულტურის ისტორიის შესწავლა კიდევ მრავალ ძვირფას სურათებს გვიპირდება.

მონღოლთა და თურქ-სპარსთა არაერთგზის გამანადგურებელმა თავდასხმებმა ქართული კულტურა ისევე, როგორც აზიის სხვა მკვიდრ ხალხთა კულტურა, მოსრა და გააჩანავა. მაგრამ მისი მთლიანად მოსპობა ვერ შესძლეს. კავკასიონის მიუვალ მთებზე შორის, ხან აქ, ხან იქ ყოველთვის შეიძლებოდა თავშესაფარის პოვნა და აი დაიწყო ხანგრძლივი ეპოქა ქართველი ხალხის ისტორიისა, როცა მოხდა რამდენიმე სამეფო და სამთავროდ დანაწევრება და საქორს გახდა მთებში ზშირი გაიზნება, რათა ამ გზით ყოფილყო შენარჩუნებული ერის ნივთიერი და სულიერი განძი. დიდხანს სძიმდნენ საქართველოს თურქები სამხრეთ-დასავლეთიდან, სპარსელები სამხრეთ-აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთიდან და დაისტინის მთებიდან ლეიბი. ამ მდიდარ და განათლებულ ქვეყანას საბოლოო მოსპობა ემუქრებოდა და მაშინ ქართველმა მეფეებმა გადაარჩინეს ერთგობა შესაძლებლობა აირჩიეს შეერთება რუსეთთან, რომელმაც იმ ხანად თითქმის მიაღწია კიდევ საქართველოს ჩრდილოეთ საზღვრებს. მას აქვთ ქართველი ხალხის შეილება რუსულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში არაერთხელ შეერბოლებიან თვალსაჩინო როლი.

მაგრამ დავებრუნდეთ აქაენს.

ჯერ კიდევ თავის პატრიარქალურ გარემოებაში მას ზოგი რამ გაეგონა ამქვეყნად არსე-

ბულ ბორბტეზაზე, ხოლო ქუთაისის ვენეზიაში ყოფნისას საყეთარ დაეზე, გამოსცადა არსებული რეჟიმის დაუნდობლობა და ესა-მართლობა. ამ სკოლის დამსწრეებში შეხვეტი იგი ზედმა შეიგულ პეტერბურგში გადასროლა. აქ ის მოხედა მგზნებარე სულის ქაბუკთა წრეში. მათ იდგურ მამებს რევოლუციურ დემოკრატებს უწოდებენ. მათ ეპოქაში იშვა უკრანელი ხალხის დიდი რევილუციონერი პოეტი ტარას შევჩენკო. აი ასეო წრეში მომწიფდა აკაი როგორც პოეტი და სამშობლოში დაბრუნებისას მალე იქცა ქართველ ეროვნულ მგონად, რომელსაც საყოველთაო სიყვარული და დიდება ყოველთვის თან სდევდა. მთელმა მსოფლიომ იცის მისი სიმღერა ქაბუკზე, რომელიც თავისი ვარდაცუვლიო სატრფოს საფლავს დაემებს, ვერ პოულაობს და ნუგეშად ისლა აქვს, რომ ამიერიდან თავისი სატრფოს ხატებას ხედავს ვარდში, ბუღბუღლის კენესასა და ვარსკვლავება კაშკაშში, და იგი — მისი სულიო მარად მასთანა...

მაგრამ აკაი სხვაგვარ ლეკებასაც წერდა. 1905 წ. რევოლუციის დროს მან დასწერა ლექსი „აღსარება“.

აკაი წერეთელი, ისევე როგორც მეფის რუსეთის ხალხთა საუკეთესო შეილები, მთელი თავისი არსებით ენსარადგოდა სოციალური და ეროვნული საგერის მოსპობას და ამქვეყნად უკეთესი ცხოვრების დამყარების ერთადერთ პირობად რევოლუცია მიაჩნდა, მანვე პირველმა თარგმნა ქართულად „ინტერნაციონალი“.

...შეორე დღეს კელა შეხველი აკაიის. საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების კინოდარბაზში ვნახე კინოფილმი „ბაში-ანუკი“, გადაღებული აკაი წერეთლის იმავე სახელწოდების ისტორიული მოთხრობის მიხედვით. ეკრანზე ცოცხლება საქართველოს ზღაპრული მშვენიერების მომჭადებელი ბუნება.

აქ იმდენად აშკარად იგრძნობა ევროპული რაინდული საშყარო, რომ ფილმის დასაწყისში ასე მეგონა, თითქმის ეროდღლის ვხვდავდი „რობინ ჰუდში“. ეს იყო ჩემი პირველი შთაბეჭდილება, როდესაც მე ვიხილე ქაბუკი მხედართმთავრის სოყიერილი მშვენიერი ასულისადმი; მაგრამ როცა მე დავინახე მოლოატე თავადები, რომელნიც თავიანთ თანამეშაოლუ ქალებს სპარსეთის შაჰის პარამხანებისკენ მიერებებოდნენ, ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ეს უფრო მეტი ბორბტეზა იყო ვიდრე დასავლეთის ტიპის რაინდთა ურთიერთკინკლაობა-განხეტქლება. ესაა ორი. ერთმანეთისადმი მტრულად განწყობილი საშყაროს სამკედრო-სასიუცხლო შეჯახება; ისლამის ზღვაში სოლად შეკრილი ერთი მუქა ქართული ხალხის

თავგანწირული ბრძოლა სიცოცხლის შენარჩუნებისათვის. როცა თავზეხელაღებული გაბედული ჰაბუკი თავისუფლებს ორ ტყუპ დას, რომლებსაც სხვა ტყუპ ქალებთან ერთად პარამხანაყენ მიერეკებოდნენ, როცა იგი თავს ამოყოფს შთ შორის, ვინც სამშობლო სპარსელებს მიჰყავდა, რათა საკუთარი ხელით განგმიროს მოლაღატეთა მეთაური, ინტერესი ფილმისადმი და ამ ჰაბუკის ბედისადმი უმაღლეს წერტილს აღწევს.

წერტიელმა დიდის მზრუნველობით დაგვიხატა აგრეთვე ერთი ზედმიწევნით რომანტიკული, მაგრამ არა შაბლონური როლი. ესაა აბდუშაილი.

იკითხეთ: რა საჭიროა მოგზაურობის წიგნში აშდენის ისტორია და რომანტიკული ამბები? რა საჭიროა და... ისინი თავისთავად ერწყმიან თემას, რადგან სხვაფრივ საქართველო ჩვენთვის მშვენიერი ბუნებისა და უცნაურ შენობათა რაღაც გაუგებარი ნარევი იქნებოდა. მაღლობა მწერლებსა და პოეტებს, — აწ გარდასულთა და თანამედროვეთა იმისათვის, რომ თავიანთი მეგობრობით მათ ხელმისაწვდომი გახადეს ჩვენთვის ამ ქვეყნის შესაცნობი ვასალები. ასე რომ, სანამ განვივარდობდნენ საუბარს ამ ქვეყანაში ჩვენი ყოფნის შესახებ, ნება მიბოძეთ ერთი ამბავიც მოგიხსნათ. ის არაა დაკავშირებული რომელიმე პოეტის სახელთან, იგი ძალზე ძველი ლეგენდაა.

ესაა ამბავი ვეფხვისა და მოყმისა, მათი საშინელი შერყინებისა და სიკვდილისა, შემდეგ მოთხრობილია დედის შესახებ. იგი სიზმარში ხელაღს თუ რა თავგამებებით ებრძვის მისი შვილი ვეფხვს. ამასობა, რომ „ერთი შვილ მაინც გავხარდებ ვეფხვებთან მეომარია“, მაგრამ აქ მას შთაგონდება ვეფხვის დედა, რომელიც, ალბათ, მასავეით დასტირის თავის შვილს და მიემართება მასთან, რათა „სამძიმარ უთბრას გულისა“.

მტრისადმი ასეთი პატივისცემა ფრიად დამახასიათებელია ამ ერისათვის, რომელიც ხაუკუნეთა მანძილზე იარაღით ხელში თავგამოდებით იცავდა თავის მიწა-წყალსა და თავისუფლებას.

1958 წელს თბილისი ზეიმობდა თავისი ასრებობის 1500 წლისთავს. ევროპაში—საბერძნეთისა და იტალიის ვარდა—ძალზე ცოტაა ამ ხნის ქალაქი.

აი, გადავიარეთ ხიდი და შევედგეთ მეტეხის საყდრის იღმართს. მდინარის მეორე ნაპირზე აზიდულა ქალაქის მეორე მშვენიება — მთაწმინდა. აქ ყოველ ფეხის ნაბიჯზე ხელოვნების ძეგლებია.

თბილისის ხელოვნების მეზღუდში, რკინის

კარბით შეკავშნულ განყოფილებაში თავმოყრილია იშვიათი განძეულობა. აქ სათუთოდ ენახება ოქრომწებლობის ათასწლეულის ნიმუშები: ყვარები, თასები, ზატები. მათ შორის გამსაყურებელი მხატვრობით გამოირჩევა XII საუკუნის თამარ დედოფლის ჯვარი. მისი კარის პოეტი — და როგორც გადმოცემა მოგვითხრობს — თავიანთსმეტყუილი ყოფილა შოთა რუსთაველი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ლიტერატურის ინსტიტუტი რუსთაველის სახელს ატარებს.

შედეგადად შენობაში, მივყვებით მაღლა კიბის საფეხურებს, იღებთ კარები და ჩვენ შემოგვყვება მაღალი, ჭიკარა მამაკაცი, რომელსაც ხელში ფოტოსურათი უჭირავს.

ეს ვიორგი ლეონიძეა. იგი საგანძობლად გაქალაქავებულა ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ. ხელში რომ უჭირავს, ამ ფოტოსურათზე მის თმას აჭაიჭ ატყუია ვერცხლის ძაფები. ეს ის ფოტოსურათია, სადაც ჩვენ ერთდერთ გადღებულ შანდორ პეტრეფის ძეგლთან ბუღაშტში 1949 წელს, პეტრეფის გარდაცვალების ასი წლისთავზე.

ლეონიძე ცნობილი პოეტია (მან უნგრეთში მოგზაურობას შთაგონებული ლექსების ცაკლი მიუძღვნა) და, ვარდა ამისა, ამ ინსტიტუტის დირექტორი. ჩვენ საუბარი გავაბით წარსულსა და მომავალზე. ქართული და უნგრული ლიტერატურის წარსულ ურთიერთობაზე, რომელიც მხოლოდ ამ უკანასკნელი წლების მანძილზე იქცა კვლევის საგნად, რუსთაველის უნგრულ თარგმანებზე, საქართველოში ნაყოფ უნგრულ მოგზაურებზე, იმაზე, თუ როგორ ეგებება უნგრული მკითხველი ქართულ საბჭოთა ლიტერატურას... ამ საუბრისას წამაღწეწე ვაისმის მახი ზინის სახელი, რომელიც ასე ძვირფასია და მრავალსმეტყუილი ორივე ჩვენთაგანისათვის.

ჩვენში, უნგრეთში, წარმოდგენაც კი არა იქვთ, თუ როგორ უყვართ საქართველოში ეს უნგრული მხატვარი, — რუსთაველის ეპოსის ყველაზე ცნობილი ილუსტრატორი. ოფიციალურად იგი საქართველოში ჩამოსულა ერთ-ერთი რუსული გამოცემლობის თხოვნით, რათა შეეკრიბა მასალები ლერმონტოვის კავკასიურ პოემათა დასასურათებლად. აქ ყოფნისას მას სცენაზე „დაუდგამს“ რუსთაველის ეპოსის აშასქელი მთელი რიგი ცოცხალი სურათები... ამ სურათებს აღტაცება გამოუწევია. თვით ზინიც აღტაცებული ყოფილა აქაურობით, განსაკუთრებით ქართველ ქალთა სწორტოვიარი მშვენიერებით.

პოეზიის ცოცხალ წყაროსთან



საინტერესოა ერთის თვალის გადავლბით გავეყნო სხვადასხვა ეპოქისა და ქვეყნის პოეტთა საზოგადოებრივ, ან უფრო რომ ვთქვათ, ეკონომიკურ მდგომარეობას.

ევროპაში—ბატონ მინისტრ ვოლფგანგ გოეთესა და კიდევ მისი ორიოდე პრავილეგირებული კოლეგის გარდა, წარსულის თითქმის ყველა დიდი პოეტი ნივთიერ ხელმოკლეობას განიცდიდა. ჩინეთში პოეზია თავისებურად დაკავშირებული ყოფილა სხებლწიფო სასახურთან: მანდარინი, თითქმის ყოველთვის, ღექსებსაც წერდა, ასევე იმპერატორები.

განსაკუთრებული ფუნქციების მატარებელი პოეზია შუა აზიის ქვეყნებში. უზარმაზარ სავრცლე მიმოფანტული კელტების ერთადერთი გამოვლინება, რომელიც უნარჩუნებდა ხალხს ერთნულ თვითშეგნებას და ისტორიულ წარსულს, ხალხური მოქმელი და მომღერალი იყო. მას მუდარი საზოგადოებრივი მდგომარეობაც კი ჰქონდა შექმნილი. ამის შესახებ მე ბევრი რამ გავიგონე 1959 წელს მწერალთა ბლტის საბლწმ ერთერთი (შუააზიელი) პოეტისაგან.

საქართველოში, ისევე როგორც ჩინეთში, მეფეები და მინისტრები ღექსებს წერდნენ (პოეტობდნენ).

რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი? სავრთოდ ის ფაქტი, რომ ერთგან ამ ქვეყნის ძლიერა და მდლდართა შორის პოეზია მინუნულია „ბონტონ-ად“, ხოლო სხვაგან, პირიქით, მას სამრახისადა და ღარიბთა ზედრად სთვლიან, ცხადია, სოციალურ-კულტურული მიზეზებით განისაზღვრება. რამდენადაც მე ვიცი, ეს მიზეზები ჯერ კიდევ არაა სათანადოდ შესწავლილი შეღარების გზით. ამ მე მინდა მხოლოდ მოვითხროთ იმაზე, თუ სად შევხვედრივარ იმას, რაც, უცქველად, პოეზიის ერთერთ წყაროდ უნდა იქნას მიჩნეული.

დავიწყით საღღეგარქელიდან. ქართული საღღეგარქლო კვეშარბილდ ნამღელი საღღეგარქტური უანრია.

საქართველოში არსებობს თამაღობის ინსტრუქტი. თამაღა სუფრის მოწინავეა და განმკარგულებული. იგი წარმოთქვამს და წარმართავს საღღეგარქლოებს.

მსგავსი ჩვეულება სხვა ქვეყნებშიც არსებობს. მაგალითად, ღღინის პატრონის— ერთერთი მნიშვნელოზა ჩვენს განმარტებით ღექსთა-კონში ასეა ახსნილი: „ესაა პიროვნება, რომელიც ჩამოარბებს ღღინოს, თვალ-ყურს აღღენებს მის განაწილებას და საზოგადოებას ართობს შარბებით, ოხუნქობით და ა. შ.“.

თუ ქართულ მაგღღან სამი-ოთხი კაცი მაინც მიუხლდა, ერთი მათგანი აუცილებლად თამაღა უნდა გახდეს. თამაღის მთავარი ვლდებულე-

ბა საღღეგარქლოთა სერბის წარმოთქმე ღღეს სერბია—თუ, რა თქმა უნდა, თამაღა სწიერია თავისებურ ღღტრატურულ ნაწარმოებად იქცევა.

„შევსვათ ამა და ამ ბატონის საღღეგარქლო“,—ასეთი რამ უნგრეთში ზშიარდ გვსმენია. მაგრამ მე არ მეფულეზა ისეთი წესები, რომლებიც საღღეგარქლოთა სერბიაში შეიტანდა იმ მინიმაღურ შექავშირებელ ზაზს, რომელიც აუცილებელი წინაპრობაა ყოველგვარი ღღტრატურული ნაწარმოებისთვის. თამაღად კი, თითქოს მიძიად აღსამათ, თავისი საღღეგარქლოები უნდა მიუღღენას სტუმრებს, ქალებს (სავრთოდ და კერძოდ), მიცინაზთა ახლო და შორეულ ნათესაებს, რომლებიც „ამ წუთში“ აქ არ არიან, მათზე ფიქრობენ, ან თქვენ გვგონებენ და სხვ... აი სწორედ ეს საღღღეგარქლო, თუ შეიღღება ითქვას, „ნიხრი“ თითქო განსაზღვრავს იმპროვიზირებულ საღღეგარქლოთა ტემპს. თვით საღღეგარქლოები თამაღის სხარტ და ცოცხალ წარმოსახვაში იმაღღებან, მაგრამ ასინი ვარქმოების მიზეზად ღღავიურად უკავშირღღებან და ვარქშიან ერთმანეთს. ხოლო თამაღის წარმოსახვის უნარი,—ყოველთვის პროპორციული შესწული ღღინის ოღენობისა, განტხრელდ მიიწევს მაღლა, სულ მაღლა და თანდათან ფერადოვანი ზღემა... ასე იმაღღება,—თამაღის ტარბერის კვალობაზე,—თავისებური, თქვენს თვალწინ ფრთამსხმელი ღღტრატურული ნაწარმოები, რომელიც შეიღღება თეატრალური ელემენტებითაც იქნას გამღღარებული: აქ თამაღა წარმართავს საღღეგარქლოებს და ნებას იღღევა წარმოთქმელი იქნას საპსუხო საღღეგარქლოები, ან მათი შესწორება-ღამარტებანი...

ერთხელ, როცა ღღინი ძალზე მომეკიდა, მეც შევეცადე წარმოთქმევა ასეთი საღღეგარქლო.

ჩემი ღღინის სყოღებში უნგრეთში ჩვენსწარეღღენდნენ,—ღავეოწე მე,—რომ ჩვენმა სამშობლომ საყუთარბ სხეულით ევროპა ღღიაცა-თურქებისა და თათრებისაგან ეს, რა თქმა უნდა, სრული სიშარტლეა, მაგრამ ჩვენ არ ვიცოღდით, რომ ჩვენგან ათასი კოლომეტრზე მეტი მანდილის ღღშორებით სოვრობდა პატარა ღღრი, რომელიც მუსულმანურ ზღვაში მოქცეული, ამავე მისიას ასრულებდა. ქართულ ხალხს, მის ისტორიასა და კულტურას ჩვენ მხოლოდ ახლა გავვეცანით, ახლა, როცა ჩვენი ქვეყნები ერთი და იმავე ბანაყის მოკავშირე ქვეყნებად იქუნენ. ღღღევიანღელი მეგობრული შეხვედრისას დავრწმუნდლი, რომ ჩვენ ბევრი რამ საყრთო გვექონია, ველი ამ სასმისს ხალხთა მეგობრობისათვის!“—ღავეამთავრე ჩემი ოღღრო-მოღღრო და არც თუ ისე გამართული ქართული საღღეგარქლო-

აქა-იქ ენა მებმებოდა, როგორც იტყვიან, ხელისფათურით მივლიოდი წინ, და, რა თქმა უნდა, განუზომელმა ქართულმა თავაზიანობამ ათქმევინა ძმადას, რომ ჩემი სადღეგრძელო ბრწყინვალე იყო, და ახლო მომავალში შემეძლებოდა მისთვის თამადობის ჩამოტოვება.

საქართველოს სამხედრო გზაზე მანქანაში ჩვენთან ერთად იჯდა პოეტო გრიგოლ აბაშიძე და, რა თქმა უნდა, ჩვენი ერთგული გიდი. არ შემიძლია არ გავიხსენო ტიტე, რომელიც დაგვატარებდა ექსკურსიებზე ყველგან: შესანიშნავი მძღოლია, ომგადახდილი, სერიოზული და თავის თავში დარწმუნებული, წარმოადგენილი მაქვს, რა იქნებოდა იგი ახალგაზრდობისას: ცხენზე მჯდარი, ხელში თოფით, მხარილივ გადაჯვარედინებული საეპანე ლენტით...

გრიგოლ აბაშიძის სახელს 1949 წლიდან ვიცნობ: მის მიერ თარგმნილი შანდორ პეტეფის ტომს, რომელიც მაშინ გიორგი ლეონიძემ მისახსოვრა, ახლაც სათუთად ვინახავ. ამის შემდეგ გრიგოლ აბაშიძემ თარგმნა „იანოზ-რაინდი“ და ეს „წიგნი მისგან სათანადო წარწერით მივიღე საჩუქრად.

მაშ ასე, მივდივართ საქართველოს სამხედრო გზით!

სწრაფად გავიარეთ თბილისის გარეუბანი თითქოს ბუდაპეშტიდან გადღვივართ ვენისკენ მიმავალი გზატკეცილით. გზა ერთადე მტკერის ნაპირს შეყვება. აი ზაპსის პირობულსადგური, მივეახლოვდით იმ ადგილს, რომელსაც ლერმონტოვი აღწერს „მწირში“. მონასტერი დღესაც პოემის დაწერიდან ასოცი წლის შემდეგაც იქა დვას. და არა მარტო ლერმონტოვისდროინდელი მგზავრი, არამედ ახლა ავტომანქანით მოხეტიალეუ ზედაეს მალა მთის ფერდობზე „თაილიანი საყდარს“. ქვემოთ კი, გზის გასწვრივ, აქაფებული ორი მდინარე მჭაერთი ერთის ერთმანეთს.

დავტოვებ მტკერს, რომელიც აქ დასავლეთის მხრიდან მოედინება და არავის აყოლებით მივემართებოთ ჩრდილოეთისაკენ. სიძარბოთუ თუ ვინდათ, სამხედრო გზა აქედან იწყება, და ჩვენ პირველად ვგებულობთ, რომ ეს გზატკეცილი, რომელიც კავასიონის ქედს გადავყარავს და ორჯონიკიძემდე (წინანდელ ელადგავაზამდე) მიდის, გაყვანილი იქნა მეთრამეტე საუკუნის უკანასკნელ წელს. აღამაჰმად ხანის მიერ თბილისის აიხრებიდან ოთხი წლის შემდეგ გაუყვანილი ეს ერთადერთი სახმელეთო გზა. ამ გზით მოელოდნენ ჩრდილოეთის მოკავშირის მასველ ძალებს. იგი სამხედრო დანიშნულებისა იყო, წარისათვის განკუთვნილი, და ქართველმა ხალხმა იცოდა, რომ ეს წარი იხსნიდა მას მთლიანად დაღუპვისაგან. ორი წლის შემდეგ საქართველო რუსეთს შეუერთდა. იმ ადგილიდან, სადაც ჩვენ ახლახან ეიღვქით, — არავისა

და მტკერის შესართავიდან, — სამხედრო გზა ჩრდილოეთისკენ მიემართება ჩრდილოეთისაკენ კილომეტრის მანძილზე.

ის იყო დეიძარით კიდევ, მაგრამ მაშინვე დაუდქით, რადგან ჩვენ ეტოვებდით პატარა ქალაქს, რომელსაც დღესაც ძველთაძველი სახელი, საქართველოს პირველი დღდაქალაქის სახელი მცხეთა ჰქვია. ქალაქის განაპირას სტუმრებს ელოდება ძველი ზურთომოსდღერები ძეგლები.

სვეტიცხოველი XI საუკუნის ზურთომოსდღერების ძეგლია. იგი მთლიანად შემონახულია. რა თქმა უნდა, რესტავირებული სახით, მაგრამ უმთავრესი ნაწილი ისეთივეა როგორც ოდესმე ყოფილა. შევდივარ ტაძარში. ეღვევართ ქართველ მეფეთა საფლავებთან. დამალონებული და სახეიშო განწყობილება შოიყავს აქ კაცს. იგი სრულიად არ ეგუება მზით გაკაშკაშებულ ტაძრის ეზოს, მთავარიან გარეშოსა და პირასეც ცხოვრებას, რომელიც ამ გაღავის გარეთ ჩქეფს. ვადმოცემის მიხედვით, ტაძარი აქ ჯერ კიდევ მეოთხე საუკუნეში აუგიათ იმ ადგილზე, სადაც დამარხული ყოფილა ქრისტეს პერანგი. მტკეთის მიდამოებში წარმოებულა არქეოლოგიური გათხრებისას იმდენი რამ, — იარაღი, სამკაული, სოფახო ნივთები, — იქნა აღმოჩენილი, რომ შეუძლებლად შეუძლია კაცს აღადგინოს პრეისტორიული ეპოქის აღმართა ცხოვრება... აქ, ამ ძველისძველ განსახლებების ადგილას, პრეისტორიული ხანიდან მოყოლებული მეოთხე საუკუნემდე, ცხოვრობდა ხალხი. თბილისის დაარსებამდე მცხეთა იყო საქართველოს დედაქალაქი, მაგრამ, შეფევებს ამის შემდეგაც ასაფლავებდნენ ამ წმინდა ადგილს.

შერედა რა მხატვრული რამ არის ეს არავის ხეობა: მაგონდება მთებს შორის მოქცეული მდინარის ხეობა ჩემს სამშობლოში. ახლა იქ დიომეშიდან დობოზომდე გუვეულთა ძახილი გაისმის. მაგრამ იგი ამასთან შედარებით პატარა სათამაშოა მხოლოდ. რაც შეეხება ზღაბრებულ დაქალაქს, რომელიც ტყიან ჯარბატებში-საკენ მიემართება — შე იქ ომის დროს ვყოფილვარ — საქართველოს სამხედრო გზასთან შედარებით ისიც ძალზე უმნიშვნელოდ მოგეცნება.

აქ არავის ხეობა უფრო ფართოა, მაგრამ გზა ზედ მთის ძირას მიოქალაქება და ზემოდან ჩამოქეხნარე მდინარეთ, რომელიც არავის ერთიან იგი ზოგან წაუღეკავთ. მათ მიერ ჩამოტანილი ხრეში და შლამი თუ დროულად არ აიღოს, ავტომობილებს მიმოსვლა უჭირთ.

მდინარის ზევი რაც ზევი იწყებს, უფრო ეწროვდება. ჩავეტრეთ დუშეთსა და ანანურს. ცოტა ხანს წყაროსთან დადევქით და გასაბრკილებლად არავგეჩ ჩავედით. გზატკეცილის ორივე მხარეს ახილულ მალღობთა მწვერვალებიდან მღუმარედ გადმოგვეურებენ შუასაუკუნე-



თა საჭარბოვანად მოწმენი — ციხე-სიმაგრეთა, საყდრეთა და მონასტრეთა ნანგრევები, ხოლო ზურმუხტოვან ფერდობებზე ალბური სოფლები შეფენილა.

შემდეგ გაბატონდა სულ ეიროვანება, მდინარე სულაყ ქვეით ხმარობს. ჩვენ კავკასიონისკენ მივდივართ. საოცარია, რა დიდებული, ატეხილი მცენარეულობითაა შესუბრული შეუღულად აღმართული, თითქმის ზღმიდან ჩამოშვებული და ზოგან ასე გვეგონებათ. პირდაპირ ჩვენზე გადმოყვებულნი სალი კლდეები. ხშირი მცენარეულობა ისე გულდაგულ ფარავს მათ, რომ აქა-იქ თუ გამოსწვივის კლდე თეთრად. აი ჩვენმა მანქანამ გაბატონებულიდან გადაუხედა და მთის პატარა სასტუმროს წინ გაჩერდა. ჩვენ თბილისელთა საყვარელ დიასახელებელ და ღრმსაგასატარებელ ფასანურში ვართ.

სანამ გაშლილ სუფრას მივუხდებოდით, თვლი შევადრეთ იქაერთობას. საშინაოელი სადღაც პავლიონის სიღრმეშია. წინ კი, ჭკის პატარა შენობაში, რომლის ერთ კედელს გისოსი აქვს დატანებული, სიპაათიერი შესახედაობის წაბლისფერი დრუნჩა დათუნია დაბაჯბაყებს. ზედ ეტყობა, რომ ის სულ ახლახან გამოსუნა ბელის ასაკიდან. ზაზ დათუნია მშვიდად, სანამ გისოსთან ვინმე არ მივა და რამდენ არ მოუკითხავს, კარგად ეწყობა ღმობანას, ორივე თათით ჩაბღვრავს, მიიყუდებს და საამოვნებით შეიქცევა ხოლმე. იგი რამდენიმე თვის წინათ დატუქრიათ მივებში, აქ ჩამოუტყუანიათ და ახლა ამ რესტორანის ემბლემად გამზადდა, თანაც მომსახურებელი საყოველთაო საყოველთაო დამსახურებელია.

შევიდევართ „ბუღეში“ სასაღილოდ. დიახ, ბუღეში. ესაა შემოფარგლული ესტრადის ზედა ნაწილი, სადაც ძლევს იმართება ერთი მაგიდა და ხუთი სკამი. წინასწარ ვამზადებ ჩემსად სადღევრეტლოს ტექსტს, რომლის თქმაც, ალბათ, აქ მომწვევს. თანაც თვალყურს ვადევნებ თამადის უწყველ მოძრაობას. მიწა დაწერილებით შევისწავლო თამადობის ხელოვნება. მოდის ბოთლები და პირთამდე საყვარელ ღამაქებზე. ჩვენც უნდათ, მაგრამ თან ფერფხილობთ. სამაგიეროდ მდიანად ვერანებით ქართული საშარბელის დეკორაციებს. აქ გავუცუანია ოხელ (სიფრთხიანი) უსაფრთხოდ გამოცხვარ, მალზე გემრიელ ქართულ პურს.

მანქანაში კარგა შენარბოშებული ვმრუნდებოთ. მის გვერდით ევება ავტობუსი ღვას, მგზავრები კი იქვე მიდილობიან მწვანეზე. შევეკითხებ ჩემს მიუღობს, დაემწვილობა თუ არა დათუნია და პასუხად უეცრად, სრულებით რომ არ ველოდი იმ მზრიდან, მომესმია:

„უზგრელები ხართ?“

ამას ვილაყ წარმოსადეგი აღნაგობის ახალ-

გაზრდა მამაკაცი მეკითხება უნებურად. მისი სახელი და გვარი იოვეფ დობჭრაქიძეა. მინერტარპატრიდან უფილია, პროფესორის მანქანაზე ბელი. ახლა ლეოვიდან ჩამოსულა. არდადეგების დროს თურმე საესტრადო ანსამბლს დაყვება საგასტროლოდ ამიერკავკასიის რესპუბლიკებში. მომღერალი ყოფილა. ჩვენ გვეჩქარებოდა, მაგრამ მაინც მოვასწარიო შეხვედრის ადგილის დათქმა.

უკან დაბრუნებისას, სანამ მცხეთას მივადრედიოთ, მარცხნივ გადაუხედიეთ და ფერდობებზე შეფენილ იდილიურ ბაღისკენ ავიღეთ გეზი ბაღში ორსართულიანი სახლი დგას. იგი ოდესღაც სავა, მაგრამ ღამაში სასახლე ყოფილა. ახლა კი მტუხუნიდა. ჩვენ საგვარამოში ვართ, ილია ჭავჭავაძის ყოფილ მამულში.

ილია ჭავჭავაძე! ქართული ლიტერატურის სიამაყე და მშვენიერება, პოეტი და პროზაიკოსი, პროგრესული პოლიტიკური მოღვაწე, რომლის სიცოცხლე შეხანათურად შეწყვეტა მეფის პოლიციის მიერ დაქირავებული მკვლელობის ტყუილად. გზად რომ მივდიოდით, გვანგებენ ის ადგილი, სადაც მკვლელს ილიას ეტლი გაურჩებია. ეს ღამაში სოფლური სახლი საესტრადო მივინებებოდა და ლიტერატურით. პოეტის ელდერი, მისი ცილინდრი, თითქმის ინარჩუნებენ გასული საუკუნის ბოლო წლების განწმინდულობას. პორტრეტები: მისი ნათესაეები, მეგობრები და ისინი, ვისაც იგი პატრებს სეველა. უეცრად ჩვენი ყურადღება ერთმა პორტრეტმა მიიპყრო. ხომ არ ვეღებოთ? ხუთე ეს ცხადია? დიად: ასეა. წარწერა ამას გვიღვინებებს: „ლაიონ კომუნტი. ქვემოთ კი ჭავჭავაძის მიერ დაწერილი სტრიქონები: „ქეშმარტებას ამ ქვეყნად არასოდეს არ დაექნება ესოდენ მძლავრად“, ე. ი. უზგრეთის განმანათლებლებელი ბრძოლები. სან. აქვე გვებულობთ, თუ რას წერდა კომუნტზე აკაც წერეთელი. „კომუნტი ყოველი მშვენიერი ქართველი პატრიოტის იდეალია“.

სახლს ირგვლივ სათუთად მივილი მშვენიერი ბაღი აკრავს. აქ სეირნობდა პოეტი, აქ იჯდა იგი შერბზე. აქედან გასცქეროდა ამ მომავლოდებელ ღამაზე ხეობას...

ერთი ხანგრძლივი გქსეურსიაც მოვაწყეთ მანქანით ამყარდა კახეთში. ეს იყო გამოგზავრება წინა დღით. ჩვენ გადაწყვიტეთ ვვენახა წინადალი და თელავი.

ქვამლე კარგა შორი მანძილია. დილაადრიან გავუდგეით გზას, თითქმის არსად არ შეეჩერებულვართ და მინც მესამე საათი დაიწყო როცა მიხანს მივალწვიეთ.

ბეიზაი სულ ღრთთავად იცვლება: ხან ბეჭობზე მივჭრით, ხანაც მთებში ვიჭრებით. ერთგან, ხევის პირად, წყაროსთან შევჩნდით.

სანამ ციხეზე ცდი წყაროს გემრიელი წყლით ვგრძობდებოდით, დიდი კალათით ხელში ვკვიბლოვებდამ მოხუცი ქალი. იგი ახლად დაკრეფილ

ლღვს ვეთავაზობს. ნამდვილად სამხრეთში ვიმყოფებითო...

საქართველო დაეწყო და ვახევაზი...
რძელ გზა. გაეიარეთ რამდენიმე სოფელი, რამდენა სახელებიც ქარვადია ცნობილი ყველასათვის, ვისაც ოდესმე ეს უკვემინა საბჭოთა კავშირის სახელგანთქმული ღვინოები: გურჯაანი. მუხრანის... აქ კი, სადაც ვაგრძელა ყველაზე ცნობილი ქართული ღვინის წინანდალის სახელწოდება, გზატკეცილიდან ვუბნევთ და შესანხმნვე ზეივანზე ვავლით მივადქვით ეზოს ალუაფის კარებს. ეზოში სასახლე მოჩანს. ხე ვაგურამოღო თანამომქმევე ვაცილებით დიდია და მშვენიერია.

მისი ისტორიაც ქვეყნაქესთანაა დაკავშირებული, მაგრამ ეს სხვა ქვეყნაქეა.

ოღესლაც, ვასული საუკუნის პირველ მესამედში, წინანდალის მამულის პატრონი იყო ალექსანდრე ქვეყნაქე. ეს არანეულებრივად დამაზი ვეკაცო, რომლის ცხოვრება აღსაყვე იყო თავგადასავლებითი, ერთსა და იმავე დროს იყო პოეტი, ოფიცერი და დიპლომატი, მისი მრავალმხრივი მოღვაწეობის ამსახველი დოკუმენტები აქ ინახება, ამ სასახლეში, რომელიც მუხრანად იქცა ისევე, როგორც საგურამოს ილიასეული სასახლე.

მაგრამ აქ, წინანდალში ყველაფერი უფრო მეტი გაქანებისაა და მდიდრული. ჭაღობხაც მრავალრიცხოვანი ყოფილა: მუხრანების კედლები და არქივები ინახავენ ამ ოჯახის საინტერესო პიროვნებათა მრავალ მოსაგონარს. ამ ოჯახის წევრი გახდა რუსეთ-საქართველოს მეგობრობის ერთგორი სიმბოლოდ. ჩვენ უკვე ვინახულებთ მისი საფლავი. იგი მოაწმინდავთ განისვენებს. გრიბოდოვის მუღლუ ნინო ალექსანდრე ქვეყნაქეს ასული გახლდათ.

მეცხვებით ზეივნებს, სადაც ტრფობით ვატელებულმა გრიბოდოვმა გაატარა თავისი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეები... როგორ არ უნდადა მას სპარსეთში ელჩობა! როგორ სურდა მიეტოვებინა სახელმწიფო სამსახური, დამახლებულიყო აქ, ვაქსენებია ღვბი და ეწერა. გვერდით კი თავისი მომხიბლავი მუღლუი ნინო ჰყოლოდა... პოეტის ოცნება არ ახდა... წინანდალი... აი კიდევ ერთი მოწმე საქართველოს ისტორიის ბედულღმართობისა: ფულეროიანი ზე. ამ ფულეროში იმალებოდა ქვეყნაქეაქთან ერთ ასულთაგანი, რათა თავი ვლადერჩინა ლეკების თარეშისაგან...

ერთხელ კიდევ ჩავუარეთ კოსტად შერკვილებუქვებს და თელავისაკენ ვავემართენით. ოღესლაც თელავი კახეთის სამეფოს დედაქალაქი ყოფილა. მას ირგვლივ თელაწარმტაცი შორეული მთებით შემოგარეული ალანის ხეობა აქრავს. ჩავუარეთ ცნობილ ჭადრის ხეს და ქალაქის მუხრანს მივაშერეთ.

შეგჩრდით ნაცნობ სურათთან...
უნდა, ეს მიხი ზიჩის ნაწარმოებია, ეგრე ვალისი-ილუსტრაციას კი არ წარმოადგენს, არამედ მის წინასიტყვაობას: დარჩილი რუსთაველი მოწიწებით უძღვნის თავის პოემას თამარ მეფეს. ამბობენ, რომ სურათზე აღბეჭდილი ერთი დიდებულთაგანის სახს ნაცვეთები ძალზე ჩამოგავსო თვით მხატვრისას. მაგრამ მე ვერ შევძელი შემომოწმებინა ეს, ისევე როგორც ვერ შევძელი დამედგინა ის, რაც აქ ვახევაზი: თითქო თელავის მუხრანში დაცული ეს სურათი ასლი კი არაა, არამედ ორიგინალიო...

სასულაგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების თავმჯდომარემ გამოსათხოვარი საღილო ვაგვიმართა. ესაუბრობდით მეგობრულად იმაზე, თუ რა როლი ითამაშა პატარა საქართველომ კულტურის სფეროში.

მაქსიმ გორაკის პირველი მოთხრობა თბილისში გამოქვეყნდა 1892 წელს. შალიაბიშვი აქ დააწყო 1893 წელს თავისი საოპერო მოღვაწეობა. ხელოვნების სხვადასხვა დარგში თბილისის ავტორიტეტო, მისი საზოგადოებრიობის კომპეტენტობა ფრიალ დიდია. თბილისში თუ წარმატება მოიპოვე, ეს უკვე ბუერის მომსახვეებელია.

ამეთი ძველთა ძველი კულტურის მატარებელი ხალხის შეიღნი, რომელთაგან მრავალს დღესაც შესანიშნავი წარმატებები აქვთ, იღბათ, თავისთავისაღში მომთხოვნი არიან და მათი კრიტიკაც სამართალანია. მაგრამ აღსანიშნავია სხვა რამეც. სახელდობრ ის, რომ მათი ერთგული თავმოყვარეობა სრულად არ ესწრაფენ ისოლირებას და არ წეროღმანდება პირაქით, საბჭოთა კავშირის ძმურ ოჯახში პოეებს იგი თავისი მიზნების განხორციელებას. ყველას კარგად ესმის, რომ დიდი ისტორიული წარსულის მქონე ეს პატარა ერი ვარდაუვლა დაღუპვითადა ვადაარჩინა რუსეთთან შეერთებამ.

ამ გამოსათხოვარ დღეს, გამოსათხოვარ სულ რასთან მე ვისწავლე ქართული მისაღმებან ძველთაქველი ფორმულა:

„გამარჯვება“

ამ მისაღმებამი ვრის თავისებური ისტორია...
საუკუნეთა განმავლობაში, ვანწყევტელ ბრძოლებში მყოფი ქართველები ერთმანეთს შეხვედრისას უსურვებდნენ ბედნიერებას, წარმატებას სიკეთეს კი არა. არამედ პიროვნებისა და საზოგადოების გამართიანებელ სამშობლოს ვადარჩენის სურვილს: გამარჯვებას...

„ვაგამარჯვო!“—ვადავამხეთ ჩვენც ახლად დაძრული მატარებლის ვაგონის საარკლიდან ჩვენს ქართველ მეგობრებს...



6. შვეიცია

ერთი მომენტი 1905 წლის რევოლუციასთან ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების ისტორიიდან

„ილია სამარეშდის მთლიან ადამიანად დარჩა, როგორც ზოდი ოქროსი“.

ვაჟა-ფშაველა

ჩვენს წერილში მკითხველის ყურადღება გვინდა შევიანროთ ილია ჭავჭავაძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ერთ ნაკლებად ცნობილ ფაქტზე, რომელიც მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს მწერლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ შეხედულებათა მთლიანი სურათის შექმნისათვის, საერთოდ, 1905 წლის რევოლუციასთან მისი დამოკიდებულების შესახებ, კერძოდ.

საკითხის დაინტერესებას ისიც აძლიერებს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლევართა ერთ ნაწილს დღემდე მიაჩნია თითქოს ქართული რევოლუციურ-დემოკრატიული აზრის ეს ბრწყინვალე წარმომადგენელი მოღვაწეობის მეორე ნახევარში ლიბერალიზმში დაეშვა და, ნებით თუ უნებლიედ, გაბატონებულ კლასთა ინტერესების გამომხატველი გახდა. ამ შეხედულებას, ალბათ, ისიც უწყობს ხელს, რომ დღეისათვის რამდენადაც უკეთაა შესწავლილი ილია ჭავჭავაძე, როგორც მწერალი და მოაზროვნე, იმდენად ნაკლებადაა გაშუქებული მისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობა, განსაკუთრებით ბოლო წლებში, განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარულ ეტაპზე, როდესაც ერთმანეთში გადაიხლართა მოძრაობის დემოკრატიული და სოციალისტური ამოცანები და უადრესად გართულდა ისედაც წინააღმდეგობებით აღსავსე საზო-

გადოებრივი ცხოვრების ძირითად საკითხებში გარკვევა და სწორი პოზიციის დაჭერა. ბევრს, არა მარტო 90-900-იანი წლების მოღვაწეთაგან, არამედ ჩვენს თანამედროვეთაც, მიაჩნდათ, რომ განმათავისუფლებელი მოძრაობის პროლეტარულ ეტაპზე ეროვნულ-დემოკრატიული მოძრაობა მოვლენათა წინააღმდეგ წარიმართა, ამოწურა თავისი თავი, ჩამორჩა, მეტიც, მუშათა რევოლუციურ მოძრაობას გადაეღობა და დაბრკოლებად იქცა საზოგადოებრივი პროგრესისათვის.

აღარ გავაგრძელებთ ლაპარაკს იმის შესახებ, თუ როგორ გამოეცალა ნიადაგი მსგავს შეხედულებებს უკანასკნელ წლებში. ახლა დასაბუთებულია, რომ თერგდალეულები მშრომელთა ინტერესების უანგარო დამცველები იყვნენ არა მარტო გასული საუკუნის 60-იან წლებში, არამედ შემდეგაც, 900-იან წლებში, მიუხედავად ზოგჯერ მერყეობისა და მოღვაწეობის სუსტი მხარეებისა.

თერგდალეულთა ბელადი ილია ჭავჭავაძე 1905 წელს კვლავ გვევლინება მშრომელთა, უწინარეს ყოვლისა, გლეხობის ინტერესების დამცველად. მართალია, იგი რევოლუციის წლებშიც კლასთა თანამშრომლობის იდეას იცავს და ცდება, მაგრამ ეს სრულებითაც არ იყო რეაქციული, თუ გავითვალისწი-

ნებთ, რომ ილ. ჭავჭავაძე 1905 წლის რევოლუციას ეროვნული საკითხის თვალსაზრისით უდგებოდა და ცარიზმის წინააღმდეგ საერთო-საბაზო ფრონტის შექმნას მოითხოვდა. „დღევანდელ მოძრაობას თავი იქით უნდა უბრუნოს კაცმა, საითყენაც ჯერ არს, და არა იქით, რომ ერთმანეთს მოვესიოთ და ციხე-სიმაგრე ჩვენი ჩვენვე შიგნიდან გავტეხოთ. ამას თხოულობს არამც თუ საკეთე და ბედნიერება ჩვენი ქვეყნისა საერთოდ, არამედ გლეხობისაც საკუთრივ“. ¹ — წერდა ილია.

კლასთა თანამშრომლობა (და არა შემარბებლობა) ილიას მოღვაწეობის სუსტი მხარეა, მაგრამ იგი არ ნიშნავდა წოდებრიობის დაცვას, თავადაზნაურობა, როგორც წოდება, მისთვის ისტორიულად განწირულია. კლასთა ერთიანობა ეროვნული განთავისუფლებისათვისაა საჭირო; შემდეგ კი ფართოდემოკრატიული განვითარება თავის გზას გაიკვლევს კლასობრივი საკითხის გადასაჭრელად. ილიასათვის ეროვნული განთავისუფლება წინამორბედი და აუცილებელი პირობაა კლასობრივი განთავისუფლებისათვის.

კლასთა თანამშრომლობის მოთხოვნაშიც ილია გლახთა ინტერესების დამცველია, თუნდაც იმიტომ, რომ ეს თანამშრომლობა მას ესახება, როგორც საზოგადოებრივი ძალა ეროვნული საკითხის, არსებითად გლეხობის საკითხის, გადასაჭრელად. კიდევ მეტი, ილია ამჟღავნებდა გლეხობის მხარეზე, როცა ეს თანამშრომლობა შეუძლებელი ხდება და კლასთა მწვავე შეტაკებით იცვლება.

ფაქტები ამის შესახებ ცნობილია; აი ერთაუც:

1905 წლის 23 ივნისს ილია ჭავჭავაძემ უარი განაცხადა თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე და გადადგარატომ? 30 წლის უანგარო, თავდადებული სამსახური ბანკში (საქართველოს

საადგილმამულო ბანკების ისტორია, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არაა გამოქვეყნებული ჩვენს სამეცნიერო-ტერატურაში. მისი გულდასმით შესწავლა არა ერთსა და ორ საინტერესო მომენტს წარმოაჩენდა თერგდალეთულთა საზოგადოებრივი მოღვაწეობის გასარკვევად) და მოულოდნელად ხელის აღება საბანკო მოღვაწეობაზე, რომელმაც მწერლის მცირე ენერჯია და დრო როდი შთანთქმა ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში; ხომ არაა ეს ფაქტი უფრო მეტი ვიდრე სამსახურებრივი ფორმულარის ჩვეულებრივი დახურვა?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროა მოკლედ აღვნიშნოთ საადგილმამულო ბანკების ადგილი გასული საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი მოღვაწეობით ილია ჭავჭავაძის დიდი დანტერესება.

საადგილმამულო ბანკები საქართველოში მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ყურადღებას იმსახურებს არა მარტო როგორც საკრედიტო-ფინანსური დაწესებულებანი, რომელთაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიურ განვითარებაში, არამედ როგორც ფართო კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ბელშემწეობი ორგანიზაცია და ეროვნული მოღვაწეობის თვალსაჩინო საბიუროც. თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები XIX ს. II ნახევარში თავიანთი საზოგადოებრივი მოღვაწეობის ხასიათით არსებითად განსხვავდებიან რუსეთის იმდროინდელი საადგილმამულო ბანკებისაგან. მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ყურადღებისა და ზრუნვის შედეგად ისინი იმთავითვე იქცნენ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისათვის სასარგებლო დაწესებულებებად. XIX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში საქართველოში არ ყოფილა ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული განვითარების არც ერთი საყურადღებო საკითხი, რომელიც ამათუიმ თვალსაზრისით

¹ ილ. ჭავჭავაძე, თხ. ტ. IX, 1928 წ., გვ. 191.

საადგილმამულო ბანკების მეტად მრავალმხრივ მოღვაწეობას არ დაკავშირებოდა.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში საადგილმამულო ბანკების, კერძოდ თბილისის ბანკის, მიერ ასეთი თვალსაჩინო ადგილის დაჭერა, უწინარეს ყოვლისა, შედეგია XIX ს. მეორე ნახევრის საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სიმძლავრისა, ქართული საზოგადოებრივი აზრის განვითარებაზე თერგდალეულთა, განსაკუთრებით ილია ჭავჭავაძის, ეროვნული მოღვაწეობის წარმართველი გავლენისა. თუნდაც ის ფაქტი, რომ ილია ჭავჭავაძე მთელი 30 წლის განმავლობაში უცვლელად ხელმძღვანელობდა თბილისის საადგილმამულო ბანკის საქმიანობას, დამაჯერებლად მეტყველებს მის დიდ მნიშვნელობაზე და საჭიროებაზე. დიდი ილიასათვის არც თუ ისე იშვიათად შეეცდომად ჩაუთვლიათ საბანკო მოღვაწეობით გატაცება; მაგრამ მას კარგად ესმოდა არა მარტო თავისი ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ფასი, არამედ ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიური და კულტურული განვითარების მიერ წამოჭრილ პრაქტიკულ საკითხთა სწორად გადაჭრის მნიშვნელობაც და საზოგადოებრივი სარგებლიანობა, რომელიც ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამსახურში საადგილმამულო ბანკების ჩაყენებას შეეძლო მოეტანა და, მისთვის დამახასიათებელი შორსმჭვრეტელობით, მუყაითად და პრინციპულად განაგრძობდა საბანკო მოღვაწეობას.

თავდაზნაურთა ვიწროწოდებრივი ინტერესების წინააღმდეგ ბრძოლაში ილია ჭავჭავაძე ახერხებდა საადგილმამულო ბანკს მატერიალური და მორალური მხარდაჭერა გაეწია სკოლებისა და დრამატული საზოგადოების, ღარიბი მოსწავლე ახალგაზრდობისა და წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების, ქართული გაზეთებისა და

მომავალი უნივერსიტეტის მშენებლობისა და სოფლის დარიბი მოსახლეობისათვის და სხვ.

მაგრამ მარტო ეროვნული წამოწყებებისადმი მატერიალური დახმარებით არ ამოწურება საადგილმამულო ბანკის საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

საზოგადოებრივი ცხოვრების გაღვიძებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა თვით საბანკო კრებებსაც, სადაც ორატორები, არც თუ ისე იშვიათად, სცილდებოდნენ ვიწრო ფინანსური საკითხებით დაინტერესების სფეროს და დიდად მნიშვნელოვან ეროვნულ საკითხებს ეხებოდნენ. ასეთ ხალხმრავალ აუდიტორიასთან ეროვნულ საჭიროებაზე ლაპარაკი მაშინ მხოლოდ-დამხოლოდ საადგილმამულო ბანკებში შეიძლებოდა გამგეობის ფინანსური ანგარიშების განხილვის საიმედო საფუძველში ილია ჭავჭავაძე მთელი არსებით იბრძოდა საადგილმამულო ბანკის შენარჩუნებისა და ფინანსური მომძლავრებისათვის, რადგან მასში ხელავე და ეროვნული დაწესებულებებისათვის საქველმოქმედო ბაზის გაფართოებას. ჩვენთვის ცნობილია ის პრინციპული საბანკო ბრძოლები, რომლებიც გადაიღებინა ილია ჭავჭავაძემ საბანკო მოღვაწეობის მთელ მანძილზე როგორც შემარჩვენი, მსხვილი თავდაზნაურობის, ისე ბურჟუაზიული და თავდაზნაურული ლიბერალიზმის წინააღმდეგ. ილიამ უზრუნველყო საადგილმამულო ბანკის ხელყოფა როგორც ყიფიან-მაჩაბლის თავდაზნაურული ლიბერალიზმის, ისე ნიკოლაძისეული ბურჟუაზიული უტოპიზმისაგან და ამით აშკარად გადაარჩინა იგი ვაკოტრებას.

აქედან ცხადია, რომ ილია ჭავჭავაძე საადგილმამულო ბანკში მოღვაწეობას სასხვათაშორისოდ არ უყურებდა, რომ იგი მისი საზოგადოებრივი მოღვაწეობის მეტად მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენდა.

მაშ, რა მოხდა 1905 წელს ისეთი, რამაც აიძულა ილია ჭავჭავაძე ხელი აეღო საბანკო მოღვაწეობაზე იქ, რომ

ამის შესახებ ბანკში თხოვნაც კი არ შეეტანა?

ხანდაზმულობა და ავადმყოფობა? მაგრამ სულ რამდენიმე თვის შემდეგ არ დათანხმდა ილია სახელმწიფო საბჭოში არჩევახე, რათა თვითმპყრობლურ პეტერბურგში „მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი“ ყოფილიყო? განა შორეულ პეტერბურგში გამგზავრება და სახელმწიფო საბჭოს გაუთავებელ, სამთავიან სხდომებზე ჯდომა და გამოსვლები უფრო მომავლურბრებელი და მომქანცველი არ იყო, ვიდრე საადგილმამულო ბანკში მოღვაწეობა?

მიზეზი სწავან უნდა ვეძიოთ. მიზეზია ის ატმოსფერო, რომელიც შეიქმნა თბილისის საადგილმამულო ბანკში და მის გარშემო 1905 წლისათვის.

მეფის მთავრობა კარგად ზედავდა, რომ თბილისის საადგილმამულო ბანკის საზოგადოებრივი მოღვაწეობა ილია ქავჭავაძის ხელმძღვანელობით არც სახელმწიფოებრივ ინტერესებს შეესაბამებოდა და არც თავადაზნაურულს. ამიტომ მთავრობამ გაატარა ღონისძიებანი გამგეობის საზოგადოებრივი მოღვაწეობის უფლებების შეზღუდვისა და თავადაზნაურობის ინტერესებისათვის ბანკის დამორჩილების უზრუნველსაყოფად. ბანკის წევრთა საერთო კრების ნაცვლად შემოღებული იქნა რწმუნებულთა ინსტიტუტი. საქველმოქმედო-ეროვნული საჭიროებისათვის მოგების განაწილების უფლება 1902 წლიდან თავადაზნაურობის წინამძღოლისა და დეპუტატთა საკრებულოს ხელში გადავიდა, რითაც მძიმე ლახვარი ჩაეცა საადგილმამულო ბანკს, როგორც საზოგადოებრივ-ეროვნულ დაწესებულებას. ამიერიდან თბილისის საადგილმამულო ბანკი სულ უფრო მეტად ჰკარგავს იმ დიდ მნიშვნელობას, რაც 900-იან წლებამდე ეჭირა და ჩვეულებრივ საკრედიტო დაწესებულებამდე ეცემა.

აღსანიშნავია ერთი მომენტიც. ქუთაისის საადგილმამულო ბანკს, რომელიც იმავე პრინციპებზე იყო დაფუძნე-

ბული როგორც თბილისის, მაგრამ თავისი უნიათო ხელმძღვანელებით უმეტესობით ვაცილებით ნაკლებ რაოდენობაში რულებდა საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დაუტოვეს მოგების განაწილების უფლება.

მიუხედავად მძიმე პირობებისა, ილია ქავჭავაძე მაინც აგრძელებს მოღვაწეობას ბანკში. იგი 1905 წლამდე კიდევ ახერხებს, მოწინავე ქართველი ინტელიგენციის წარმომადგენლებთან ერთად, გარკვეული გავლენა მოახდინოს თავადაზნაურთა კრებებზე და ბანკის მოგება დიდმნიშვნელოვან კულტურულ-საგანმანათლებლო საჭიროებისათვის გამოიყენოს. გამგეობა კვლავ უცვლელად ატარებს მის საბანკო პოლიტიკას.

მაგრამ 1905 წელს მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. გამწვავებული კლასობრივი ბრძოლის პირობებში თავადაზნაურობის უმრავლესობამ გადაწყვიტა კონტრრევოლუციის სამსახურში ჩაეყენებია საადგილმამულო ბანკი და ამავე მიზნით გამოეყენებია დიდი ილიაც.

ცნობილია, რომ ილია ქავჭავაძე საბანკო მოღვაწეობისას შეუწყნარებლობას იჩენდა ჭიუტ მემამულეთა მიმართ, უარს ამბობდა უსაფუძვლო შეღავათებზე და უკან არ იხევდა დაგირავებული მამულის გაყიდვისაგან, თუ მემამულე ვალს დროზე არ შეიტანდა. ბანკის გამგეობის ასეთ პრაქტიკას 1905 წლამდე ასე თუ ისე კიდევ ურიგდებოდა თავადაზნაურობა, თუმცა იგი არა ერთხელ გამხდარა მწვავე საბანკო შეტაკებათა მიზეზი. მაგრამ 1905 წელს, როცა გლუხთა მოძრაობა ფართო მასშტაბით გაიშალა და გამწვავდა, თავადაზნაურობამ მასობრივად მოითხოვა შეღავათები ბანკში დაგირავებულ მამულებზე. ამასთან ისინი ბრალს სდებდნენ გლუხობას — შემოსავალი აღარ გვაქვსო. „ჩვენ ბანკის მსესხებულები გლუხთა საყოველთაო მოძრაობის პირობებში, გლუხთა მიზეზით მოკლებულნი ვართ მოძრავ და უძრავ ქონებას, მოშორებულნი ვართ სახლ-კარს და ეცხოვრობთ ტფილისში.

ზემოთაღნიშნულის საფუძველზე ჩვენ არ შეგვიძლია შემოვიტანოთ სავადო შესატანი ამა წლის პირველი ნახევრისა და ამიტომ უმორჩილესად გთხოვთ ბანკის გამგეობას შემოსატანი გადაგვიტანოს შემდეგისათვის, ხოლო მამული არ გაგვიყიდოს.¹

თხოვნას ხელს აწერს 9 მემამულე გორის მაზრიდან. ასეთივე თხოვნით მიუზმართავს ბანკისათვის სხვა მემამულეებსაც.² ყველა შემთხვევაში ბანკის გაწვევა უარით პასუხობს შეღავათების მოთხოვნელთ.

აქ გვინდა მკითხველს მოვაგონოთ, რომ თბილისის საადგილმამულო ბანკში სრულებითაც არ არსებობდა რაღაც დრაკონული წესები და განუკითხაობა, რომ ბანკში შესატანზე შეღავათების პრაქტიკა გამოირიცხული იყო. პირიქით, თვით ბანკის წესდება, შედგენილი ილია ჭავჭავაძის მონაწილეობით და ხელმძღვანელობით, ითვალისწინებდა შეღავათებს და დახმარებასაც კი დამფუძნებელთათვის თუ ამ უკანასკნელთ სტიქიური ან სხვა რაიმე უბედურება დაატყდებოდათ თავს. საადგილმამულო ბანკის პრაქტიკაში იშვიათი როდი იყო შემთხვევა, როცა გამგეობა დახმარების ხელს უწყვიდა მსესხებელს.

1905 წელს ილია ჭავჭავაძე პრინციპულად წინააღმდეგია შეღავათებისა და დახმარებისა თავადაზნაურობის მიმართ, რადგან ეს არაპირდაპირ გლეხთა წინააღმდეგ წასვლას ნიშნავდა. იგი გლეხთა რევოლუციურ მოძრაობაში არ აღიანაშაულებს გლეხს, როგორც ამას თავადაზნაურობა ხატავდა, არ უწევდის დახმარების ხელს თავადაზნაურობას, პირიქით, გლეხის მხარეზე დგება.

ილიას პოზიციამ თავადაზნაურობის

დიდი უკმაყოფილებას გამოიწვია! სულ უფრო მეტად იზრდება თავადაზნაურობის აზრის დაწოლა საადგილმამულო ბანკის გამგეობაზე. ზედიზედ იმართება გუბერნიის თავადაზნაურობის საგანგებო კრებები, რომელიც ეძღვნება გლეხთა მოძრაობისაგან დაზარალებული თავადაზნაურობისათვის მატერიალური მხარდაჭერის საკითხის განხილვას.

1905 წლის 31 მაისს თბილისის საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრებაზე მსჯელობა ყოფილა იმის შესახებ, რომ „რაიმე დახმარება აღმოუჩინოს ბანკმა გლეხთა მოძრაობისაგან დაზარალებულთ, რადგან მათ არავითარი საშუალება აღარა აქვთ დროზე შეიტანონ სარგებელი“.

თავადაზნაურობის ერთი ნაწილი მოითხოვდა, რომ მათთვის ეპატიებიათ შესატანი თანხა, ან შეღავათი მაინც გაეწიათ, მაგრამ ილიამ მკაცრად გაილაშქრა შეღავათების წინააღმდეგ. საბანკო კრებამ დაადგინა, — „ბანკს არავითარი საშუალება არა აქვს თვითონ დააკმაყოფილოს თავადაზნაურთა თხოვნა“.³

მაშინ თავადაზნაურობამ საკითხი გადაიტანა გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე, რომელსაც 6 ივნისს დაუდგენია: — გაეღოთ 58.000 მან. თავადაზნაურობისათვის დასახმარებლად თავისუფალი თანხიდან, ხოლო 10 ივნისს გადაუწყვეტია: — „გაეწიოს დახმარება თბილისის გუბერნიის დაზარა-

¹ თავადაზნაურობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა იმის გამოც, რომ ილია ჭავჭავაძემ 1905 წლის 12 მაისს ბანკის გამგეობის სხდომაზე გადაწყვეტილება მიადგინა სოფლის მემამულეებზე თავადაზნაურობისათვის სესხის მიღებაზე უარის თქმის შესახებ. ეს გადაწყვეტილებაც თავადაზნაურთა ინტერესების წინააღმდეგ იყო მიმართული ფაქტიურად. თავადაზნაურობამ პრესაში და კრებებზე ფართო კამპანია გააჩაღა ამ გადაწყვეტილებების წინააღმდეგ, მაგრამ ილიას უკან მაინც არ დაუხვევია. მხოლოდ ილიას ვადიდგომის შემდეგ განახლდა სოფლის მამულეებზე სესხის გაცემა, რასაც დიდი კმაყოფილებით შეხვდა თავადაზნაურობის უმრავლესობა.

² „ივერია“. 1905 წ. 1 ივნისი.

¹ საქ. სსრ ცხობა, ტ. 394, ა. 1, ს. 3729, ტ. 29

¹ იქვე, ს. 1011, ტ. 87.

11 „მეათობი“, № 5.

ლებულ მემამულეთ... სამეურნეო თანხიდან“¹. ეს სამეურნეო თანხა კი იგივე ბანკის მოგება იყო.

ამავე დღეს კრებამ აირჩია კომისია, რომელსაც უნდა შეესწავლა თავადაზნაურთა მდგომარეობა და დაეხმება მათთვის ბანკის სარგებლობით დახმარების გაწევის ღონისძიებანი.

თავადაზნაურობამ უხეშად დაიწყო საადგილმამულო ბანკის საქმეებში ჩარევა. 15 ივნისს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლების თათბირმა დაადგინა, რომ მარტებში შექმნილიყვნენ რწმუნებულთა კომისიები, რომელთაც ბანკის გამგეობისაგან დამოუკიდებლად უნდა გადაეწყვიტათ — მემამულეებს შესატანი თანხა შეეტანათ თუ არა.²

მასშადადვე, თავადაზნაურობამ მაინც შესწლო მიეღწია თავისი სურვილისათვის. მან უზრუნველყო ბანკიდან შეღავათებაც და დახმარებაც. მაგრამ ეს კიდევ არაფერი. უთანხმოების ძირითადი მიზეზი, რამაც აღშფოთებამდე მიიყვანა ილია, ის იყო, რომ შვარჯშემელმა თავადაზნაურობამ გადასწყვიტა საადგილმამულო ბანკის მოგება რევოლუციური გლეხობის წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღის შესაძენად გამოეყენებია.

თავადაზნაურთა კერძო თათბირზე 1905 წლის 6 მარტს მწვევედ იხილებოდა საკითხი გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ. თავადაზნაურთა ნაწილი მოითხოვდა გლეხობასთან რაიმე საერთო ენა გამოანახელიყო, მეორე ნაწილი დაჟინებით აცხადებდა, რომ „გლეხკაცები ჩვენზე ძალას ხმარობენ, ჩვენც ძალით უნდა შევეგებნეთ“.³

კრებაზე გამოსულა ილია ჭავჭავაძეც. ილია ნათლად ხედავს გლეხთა მოძრაობის ობიექტურ მიზეზს, რაც

უმიწობაში მდგომარეობს, იგა არ ადანაშაულებს გლეხს და მთავარად გლეხთა ინტერესების დაკმაყოფილებას ხაზს უსვამს. მიწების ხარჯზე, მწერალი კრიტიკის მახვილს მეფის თვითმპყრობელობისაკენ მიმართავს და მიიჩნია, რომ მის წინააღმდეგ ბრძოლაში უნდა გაერთიანდეს ერის მთელი ძალები.

ილიას გამოსვლაში ერთი სიტყვაც კი არაა ნათქვამი გლეხობის წინააღმდეგ. იგი თავადაზნაურობას გლეხობასთან კლასობრივი ზავისაკენ მოუწოდებს და მეფის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ ბრძოლაზე ანაშნებს.

მაგრამ თავადაზნაურობა უკვე გადავიდა გლეხობის წინააღმდეგ ორგანიზებულ შეტევაზე.

ცნობილია, რომ 1905 წლის რევოლუციის დროს რუსეთში მასობრივად დგებოდა შვარჯშემულ-მემამულური ორგანიზაციები, რომელთაც მთავრობა აჯანყებული გლეხობის წინააღმდეგ ათარალებდა. ასეთი ორგანიზაცია შექმნილა ჩვენშიც, გორის მაზრაში, რომელშიც „მოგზაურის“ ცნობით 700-მდე კაცი ყოფილა გაერთიანებული. „გორის მაზრის თავადაზნაურთა ურთიერთ დახმარების საზოგადოება“, როგორც მას თავადაზნაურული რეაქციის ერთერთი ბურჯი გ. მაჩაბელი უწოდებდა, ხალხმა იმთავითვე „შავი რაზმის“ სახელწოდებით მონათლა. შვარჯშემლები მსხვილი მემამულეების გ. ამილახვრის, ზ. აბდუშელიშვილის, გ. მაჩაბლის და სხვ. ხელმძღვანელობით დაუნდობლად უსწორდებოდნენ რევოლუციური გლეხობას, აწიოკებდნენ, არბევდნენ, ძარცვავდნენ, ხოცავდნენ და ა. შ.

აი სწორედ ამ შვარჯშემელებისათვის დახმარების საკითხი დასმულა 1905 წლის 10 ივნისს თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებაზე. ძნელი იყო აშკარად განცხადება იმისა, რომ ბანკის მოგება გორელ თავადაზნაურთ გლეხთა წინააღმდეგ საბრძოლველად ესაჭიროებოდათ, ისინი შენიღბუ-

¹ „ივერია“, 1905 წ. 11 ივნისი.

² საქ. სსრ ცსია, ფ. 394, ა. 1, ს. 2794, ფ. 17.

³ „ივერია“, 1905 წ. 8 მარტი.

¹ „მოგზაური“, 1905 წ. 8 მაისი.

ლად თხოვლობდნენ თანხას, 20 ათას მანეთს, ვითომცდა დაზარალებულთა დასახმარებლად. მაგრამ საგანგებო კრებაზე გარკვევით ამხილეს გორელ შვერახმელთა განზრახვა, რომ ისინი თანხას თავადაზნაურთა „მილიციის“ (ასეც ეწოდებოდა თავადაზნაურთა „შავ რაზმელებს“) შესააარალებლად ეპაჭიროებოდათ. ამ მხილებას თავადაზნაურთა გულსწყრომა არ გამოუწვევია, პირობით, იმავე დღეს, როცა მ. ა. გედევანიშვილმა კვლავ ამხილა შვერახმელთა ნამდვილი განზრახვა, დარბაზიდან გაისმა „გთხოვთ რაზმზე ნუ ილაპარაკებთ“ და მას არ მისცეს სიტყვის გაგრძელების საშუალება. ხოლო ექიმი ვ. მუსხელიშვილი, რომელმაც გაბედულად განაცხადა გლეხთა მოძრაობის მიზეზი ჩვენა ვართო, კრებიდან გააგდეს.

ილია ჭავჭავაძე შემფოთებით აღიქმებდა თვალყურს მოვლენათა განვითარებას. ერთერთ სხდომაზე, სადაც შვერახმელებისათვის დახმარების საკითხი იხილებოდა, ილიამ მკაცრად გაილაშქრა თავადაზნაურობის წინააღმდეგ: „...რად გინდათ, იარაღი რომ აგისხამთ? ვისთვის ამზადებთ თოფებსა, გლეხებისათვის? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი მათ, ვინც დაგირიგათ“.¹

მოუხედავად ამისა, გუბერნიის თავადაზნაურთა საგანგებო კრებამ 10 ივნისს მაინც მიიღო გადაწყვეტილება გორელ შვერახმელთა დასახმარებლად საადგილმამულო ბანკის მოგების გაცემის შესახებ. ეს მაშინ, როცა სასწავლებლისათვის განკუთვნილი თანხა ვერ აკმაყოფილებდა სასწავლებლის მინიმალურ საჭიროებასაც კი. მ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი, რომელიც შემარჯვენე თავადაზნაურთა ფრთას ეყუთვნოდა, დაყინებით მოითხოვდა, რომ „აუცილებელია დაუყოვნებლოვ გაეწიოს დახმარება არა მარტო თხოვნაში დასახლებულ თავადაზნაურთა, არამედ გუბერნიის მთელ თავადაზნაურობასაც“.²

იგი უფრო ფართო მასშტაბის შვერახმულ მიზნებს ისახავდა და რა ვასეც კვირია, რომ მადლიერმა თავადებმა ურობამ რამდენიმე დღის შემდეგ იგი თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობაში აირჩია. თავადაზნაურთა საგანგებო კრება 10 ივნისს შვერახმელთა, „იუნკერთა“, როგორც მათ მოხდენილად უწოდებს „ნოვოე ობოზრენიე“-ს კორესპონდენტი, აშკარა გამარჯვებით დამთავრდა. შემარჯვენე თავადაზნაურთამ მიადწია თავისას — საადგილმამულო ბანკი აშკარად იქნა ჩაყენებული რეაქციის სამსახურში და იგი რევოლუციური გლეხობის წინააღმდეგ. თავადაზნაურობის ვიწროწოდებრივ ინტერესებს დაუმორჩილა.

როგორ შეეხდა ილია ჭავჭავაძე ამას?

1905 წლის ივნისის მეორე ნახევარში კვლავ გაგრძელდა თბილისის საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრება, რომელიც თავადაზნაურობის საგანგებო კრების გამო იყო შეწყვეტილი 31 მაისოდან. ბანკის გამგეობის ფინანსური ანგარიშის განხილვა შემარჯვენე თავადაზნაურთა შესამჩნევი აქტივობით მიმდინარეობდა. მ. მაჩაბელმა კვლავ მოაგონა დამსწრეთ 90-იანი წლების საბანკო ბრძოლები და თავადაზნაურთა ინტერესების აქტიური დაცვა მოითხოვა. მას მხარი აუბა ა. ზ. ჩოლოყაშვილმა. მზადდებოდა ნიადაგი ბანკის სრული დაპყრობისათვის.

მიმდინარეობდა საბანკო კრების უკანასკნელი დღე. რწმუნებულთა კრებამ ბანკის გამგეობაში ილიას მომხრეთა ნაცვლად აირჩია მისი მოწინააღმდეგენი, რწმუნებულები თავადაზნაურთაგან — ჩოლოყაშვილი და ვეზირიშვილი. ცხადი იყო, რომ გამგეობა შემარჯვენე თავადაზნაურთა ხელში გადადიოდა. მაშინ ადგა ილია და განაცხადა: „მადლობელი ვარ ყურადღებისა და პატივისცემისათვის, რომელიც თქვენ მე დამძეთ. ამის შემდეგ მე ბანკში დარჩე-

¹ „ლიბერატორული საქართველო“, 1936 წ.

26 7

² „ნოვოე ობოზრენიე“, 1905 წ. 12 ივნისი.

ნა აღარ შემიძლია. ამორჩივით სხვა თავმჯდომარე“. ¹

ამის საპასუხოდ — გადმოგვცემს გზით „ნოვოე ობოზრენიეს“ კორესპონდენტი — დარბაზში ვაისმა „გთხოვთ, გთხოვთ“, მაგრამ ილიამ კრების ბოლომდეც კი აღარ მოიცადა და წავიდა. კრებამ გადაწყვიტა მოეწყო შესვენება, აირჩია დეპუტაცია და გააგზავნა ი. ჭავჭავაძესთან სათხოვნელად — დაბრუნებოდა ბანკს. დეპუტაცია დაბრუნდა და განაცხადა, რომ ილ. ჭავჭავაძე არავითარ შემთხვევაში ბანკში აღარ დაბრუნდება... მოუხედავად ამისა საბანკო კრებამ არ მიიღო ილიას გადადგომა და ბანკის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება ა. ფურცელაძეს მიანდო. ²

1905 წლის 23 ნოემბერს თბილისის საადგილმამულო ბანკის რწმუნებულთა კრებამ კიდევ ერთხელ სთხოვა ილია ჭავჭავაძეს დაბრუნებულიყო ბანკში. ილია სხდომას ესწრებოდა, მაგრამ ამ თხოვნაზე მას პასუხიც არ გაუცია, მხოლოდ კ. ნ. აფხაზი გამოვიდა და სთქვა რომ რწმუნებულთა ილია ჭავჭავაძისაგან განაცხადოს, რომ ის, ილია ჭავჭავაძე გადაჭრით უარს ამბობს ბანკის გამგეობის შემადგენლობაში დაბრუნებაზე. იმავე დღეს კრებამ ილია აირჩია კომისიაში, რომელსაც უნდა განეხილა სოფლის მამულებზე სესხის გაცემის საკითხი, მაგრამ მას კომისიის მუშაობაში მონაწილეობაც კი არ მიუღია. ილიას უკვე გამოთქმული ჰქონდა თავისი აზრი ამ საკითხზე, როცა 12 მაისის გადაწყვეტილებით შეწყვიტა სოფლის მამულებზე სესხის გაცემა.

თავადაზნაურობის დაეინებითი თხოვნა ილიასათვის, რომ იგი დაბრუნებოდა საბანკო მოღვაწეობას, არ უნდა იქნას გაგებელი ისე, თითქოს ილიას პოლიტიკა 1905 წელს გამოხატავდა თავადაზნაურობის ინტერესებს. თავადაზნაურობას ესაჭიროებოდა ილია, როგორც საკ-

რდიტო საქმის ჩინებულ მოკლედ/და შეეცადა დიდი მწერლის კატეგორიის გამოყენებას კლასობრივი ინტერესების დასაცავად.

შეიცვალა რაიმე თბილისის საადგილმამულო ბანკში გამგეობიდან ილია ჭავჭავაძის წასვლით? ბევრი რამ. ბანკი მთლიანად გადავიდა მემარჯვენე თავადაზნაურობის სამსახურში. გამგეობის პირველსავე სხდომაზე 25 ივნისს განხილული იქნა და დადებითად გადაწყდა გლეხთა მოძრაობით დაზარალებულ თავადაზნაურობისათვის შეღავათების და დახმარების გაწევის საკითხი, ხოლო შემდეგ იგი სისტემატ იქცა. 27 ივნისს თავადაზნაურთა საკრებულომ დაადგინა სასოფლო-სამეურნეო კაპიტალის შესადგენად განკუთვნილი თანხა ბანკის მოგებიდან მზარების მიხედვით განაწილებულიყო და დარიგებოდათ გლეხთა მოძრაობისაგან დაზარალებულთ. 28 ივლისს განაზღაურდა სოფლის მამულებზე სესხის გაცემა, თუმცა არავისათვის საეჭვოს არ წარმოადგენდა, რომ ეს დიდ საფრთხეს უქმნიდა ბანკის ფინანსურ მხარეს, რადგან იმ დროს თავადაზნაურობა სესხის გადახდელი არ იყო. ¹ საადგილმამულო ბანკი 1905 წლის ზაფხულიდან ფაქტიურად თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს განგებლობაში მოექცა. დეპუტატთა საკრებულო არა მარტო ბანკის მოგებას დაეპატრონა, არამედ გამგეობის წმინდა საბანკო საქმეებშიც ერეოდა და უზრუნველყოფდა თავადაზნაურული ელემენტების ინტერესების დაცვას.

ყოველივე ამან განსაზღვრა ის, რომ თბილისის საადგილმამულო ბანკი ეროვნული დაწესებულების რანგიდან ვიწრო წოდებრივ ორგანიზაციამდე დაეშვა. მართალია ბანკის მოგების ნაწილი, ისევე ხმარდებოდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქიროებას, მაგრამ არა იმ მიმართულებით და იმ ზომით, როგორც ეს ილიას დროს ხდებოდა. ქარ-

¹ ვაზ. „ნოვოე ობოზრენიე“. 1905 წ. 1 ივლისი

² იქვე.

თველი საზოგადოებრიობა ვულისტყვილით შეპყურებდა იმ ფაქტს, რომ თავადაზნაურობა საკმაო რაოდენობით არ აფინანსებდა ქართული გიმნაზიის მშენებლობას, ზედმეტად შიშნდა ზევით გიმნაზიაც კი, — დიდი თანხა გვიჯდებაო. მათ ნაკლებად აინტერესებდათ წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, საისტორიო—ეთნოგრაფიული საზოგადოება, ქართული ენის სწავლების მდგომარეობა და სხვ. სამაგიეროდ გაიზარდა ქველმოქმედება თავადაზნაურობის მიმართ, დიდძალი თანხების დაბანდება ისეთ წვრილმან დაწესებულებებზე, რომლებშიც თავადაზნაურული ელემენტი სჭარბობდა და ნაკლები ეროვნული ღირებულება ჰქონდა.

ცხადია, ასეთ ატმოსფეროში ილიას არ შეეძლო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის თანამდებობაზე დარჩენილიყო თუ თავის ძველ იდეალებს არ დათმობდა და მათ თავადაზნაურობის ინტერესებს არ შეწირავდა. მაგრამ ეს ასე არ მომხდარა. ილიამ ბანკის დათმობა ამჯობინა. დიდი სამოციანელი სათვის ეს ბუნებრივი ნაბიჯი იყო.

ილია ჭავჭავაძე საბოლოოდ მაინც გლეხობის მხარეზე აღმოჩნდა, რადგან მისივე თქმით: „გლეხკაცი და ღარიბი უფრო მეტად საზრუნავია, უფრო მე-

ტად გაჭირვებული, ვიდრე თავადი, აზნაური, მღვდელი თუ ვაჭარი“¹ და ილიას მიერ გლეხობის ინტერესების დაცვა 1905 წლის პერიოდში სხვა ფაქტებითაც დასტურდება, რაც კარგადაა ცნობილი ჩვენი საზოგადოებრიობისათვის. მოვიგონოთ დიდი მწერლის გამოსვლა დასავლეთ საქართველოში აღიზანოვ-ავარსკის დამსჯელი ექსპედიციის გაგზავნის წინააღმდეგ, ან წერილები თავისი მოურავისადმი გლეხობის ინტერესების დასაცავად.

ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლაში გლეხობის ინტერესების დაცვა ილია ჭავჭავაძის მთელი შემოქმედების უცვლელი ლეიტმოტივია 60-იანი წლებიდან სიცოცხლის დასასრულამდე. თუ ამ ასპექტში განვიხილავთ დიდი მწერლის საზოგადოებრივ მოღვაწეობას 1905 წელს კიდევ ერთ მეტად საყურადღებო მომენტს შევამჩნევთ: ილია ჭავჭავაძე 1905 წლის ივნისში კი არ გათავისუფლებულა თბილისის საადგილმამულო ბანკის გამგეობის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, არამედ გადადგა ნიშნად პროტესტისა მემარჯვენე შავრაშმელი თავადაზნაურობის მიმართ, რომელთაც იარაღი აღმართეს გლეხობის წინააღმდეგ.

¹ ილ. ჭავჭავაძე, თხზ. ტ. IX, გვ. 273.

6160 შაბიძე

ტიციან ტაბიძის მემორებები

პავლენკო

„საქართველო ჩემთვის მეორე სამშობლო გახდაო“, — წერდა პეტრე ანდრიას ძე პავლენკო თავის ავტობიოგრაფიაში და ეს მართლაც ასე იყო.

ტიციანთან და ჩემთან საუბარში მას არა ერთხელ უწოდებია თავისთავისთვის „თბილისის მკვიდრი“.

...პეტრე ანდრიას ძე თბილისში ჩამოვიდა როგორც ორგკომიტეტის* ბრიგადის ხელმძღვანელი (მაშინ ვნახე პირველად). ორგკომიტეტში მის გარდა შედიოდნენ: ტიხონოვი, ტინიანოვი, პასტერნაკი, ვოლცევი და სხვები. ბრიგადის მიზანი იყო ქართული ლიტერატურის შესწავლა და პოპულარიზაცია.

მახსოვს, სწორედ მათი ჩამოსვლის წინ, წაიკითხე პავლენკოს რომანი „აღმოსავლეთში“. რომანი ძალიან მომეწონა და ეს კიდევ აღვნიშნე გიორგი ლეონიძესთან მოწყობილ ბანკეტზე, როცა პეტრე ანდრიას ძის სადღეგრძელოს სვამდნენ. ასე დაიწყო პავლენკოსთან ჩემი ნაცნობობა, რომელიც შემდეგ მემგობრობად იქცა.

მაღე, ლეონიძესთან ბანკეტის შემდეგ, ტიციანი ავად გახდა. პავლენკო ტიხონოვთან ერთად მოვიდა მის სანახავად. დიდხანს ისხდნენ სტუმრები ავადმყოფის საწოლთან და საუბრობდ-

* ივლისსებება მწერალთა კავშირის საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც აწესრიგებდა მოძვე რესპუბლიკებთან კავშირს, აგვარებდა გამოსცემების თარგმანების და სხვა საქმეებს.

ნენ. საუბარი უმეტესად ქართული წიგნების რუსულ ენაზე გამოცემას შეეხებოდა.

მეორედ პეტრე ანდრიას ძე მაშინ გვესტუმრა, როცა ჩვენთან ოლა ფორში, სერგო კლდიაშვილი და გიორგი ლეონიძე იყვნენ. ოლა ფორში ბუხართან იჯდა და კითხულობდა ნაწყვეტს თავისი რომანიდან „თანამედროვენი“ — გოგოლისა და მხატვარ ივანოვის ტრაგიკულ ხვედრზე ნიკოლოზის რეჟიმის პირობებში. კითხულობდა, როგორც ყოველთვის, დიდი შთაბეჭებით. ჩვენ, მსმენელები დიდხანს ვრჩებოდით მისი წანაკითხის შთაბეჭდილების ქვეშ. ფორში ძალიან ჰკვიდნო და ენერგიული ქალი იყო. კარგად მახსოვს მისი დიდი, აღმოსავლური თვალები.

პავლენკოსა და ორგკომიტეტის დანარჩენ წევრებთან ერთად ვიყავით ლადო გუდიაშვილთან. პეტრე ანდრიას ძე ალტაცებული ათვალეირებდა მის ნახატებს.

თბილისში ყოფნისას იგი ყოველთვის სიამოვნებით ესწრებოდა რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლებს. განსაკუთრებით მოსწონდა ხორაეა და ვასაძე. მათი შესრულებით მან ერთხელ ლეონიძესთან მოისმინა ჰიმნი „ლილე“, რომელმაც მასზე დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა.

აი რას სწერდა ის 1937 წლის იანვარში ტიციანს:

ძვირფასო ტიციან!

გუშინ, როგორც კი ლოგინს თავი დავალწიე, მთელი თვის ავადმყოფობის შემდეგ, ქართული სიმღერების კონცერტზე წავედი და უცებ გამახსენდა, რომ მეც ქართველი ვარ, თუმცა სავსებით არა, მაგრამ ნაწილობრივ მაინც, და მაშინვე მომაგონდა საქართველო, თქვენ, მრავალი პეიზაჟი და სახე და აღმეძრა სურვილი თქვენთან და ნინა ალექსანდრეს ასულთან წერილის მოწერისა.

ჩემი თავისთვის ვერ მიპატიებია, რომ ამდენ ხანს არაფერს ვწერდი საქართველოზე. ახლა კი გამოვისყიდი ამ შეცდომას, — შაშილზე დაწერილ წიგნში ბევრი რამ მექნება საქართველოზე, თბილისზე.

აქამდე არ შემიძლია დავივიწყო ის ხევსურული, ვგონებ, მზის ჰიმნი, რომელიც ლეონიძესთან მოვისმინე ზორავასა და ვასაძის შესრულებით (პავლენკო შეცდომით — ამ ჰიმნს ხევსურულს უწოდებს. იგი სვანური ხალხური სიმღერაა — მზის ჰიმნი). როგორ ფიქრობთ, შეიძლება თუ არა ამ სიმღერის ნოტების და სიტყვების (ქართულად რა თქმა უნდა) შოვნა? მე მას პირდაპირ შევიტან რომანში. შესანიშნავი სიმღერაა!..

მინდოდა დღესვე, ამ წერილთან ერთად, გამომეგზავნა ჩემი წიგნი „აღმოსავლეთი“, მაგრამ ჯერ არ გამოსულა სტამბიდან.

ღირს თუ არა მისი თარგმნა ქართულ ენაზე?

როგორია თქვენი აზრი.

ძალიან მინდა მივიღო თქვენი წერილი.

იანვარი. 1937 წელი“.

ტიციანმა გაუგზავნა მას „ლილეს“ სიტყვები, რომელიც აკაკი მარგინამა, პოეტ რევაზ მარგინანის მამამ დაუწერა.

1935 წელს ლენინგრადში შევხვდით პავლენკოს მე და ტიციანი. მთელი ქალაქი შემომატარა. დავდიოდით ქუჩებში და მიყვებოდა ყოველი შენობის

ისტორიას, მიჩვენებდა როგორ იხსნებოდნენ ხიდეები ღამით. დიდი სიყვარულით და ძალიან ბევრს მოგვითხრობდა ყველაფერზე, რაც ლენინგრადს შეეხებოდა.

რამდენიმე თვის შემდეგ გამოვიგზავნა პილიავეის წიგნი: „პეტერბურგის მიდამოების მივიწყებული წარსული“ — წარწერით: „ნინა ალექსანდრეს ასულს იმ ქალაქის სახსოვრად, სადაც დაიბადა რუსული პოეზია. პ. პავლენკო“.

ჩვენ ზშირად ვხვდებოდით პეტრე ანდრიას ძეს მოსკოვშიაც. 1937 წლის მარტში ის თავმჯდომარეობდა ტიციანის შემოქმედებით სალამოს, რომელიც მოსკოვში გაიშარა.

ტიციანის ტრაგედიის შემდეგ მე ის შემთხვევით ვნახე სიმონ ჩიქოვანთან. ძალიან გულთბილად შემხვდა. დამარწმუნა აუცილებლად ჩავსულიყავი მოსკოვში, რომ იქ იქნებ რამე გვეღონა ტიციანის გასათავისუფლებლად. დამპირდა დახმარებას. პავლენკო მაშინ საბჭოთა მწერლების კავშირის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე იყო

მოსკოვში რომ ჩავედი — პასტერნაკებთან დავბინავდი. პეტრე ანდრიას ძემ ჩემთან მოსვლა არ დააყოვნა. მე ულღესთან ერთად გვეწვია და ქინძის თაიგული მომართვა. ქინძი მას ძალიან უყვარდა და თვითონ მოჰყავდა. რუსულ ნიადაგზე ამოსული ამ ქართული მიწის ნაყოფით ჩემი ნაღველის ერთი წუთით მაინც გაქარწყლება უნდოდა. მან, რა თქმა უნდა, არ იცოდა, რომ მე არასოდეს ის მწვანელი არ მყვარებია.

პეტრე ანდრიას ძემ ჩემი განცხადებით ყველა ინსტანცია შემოიარა, მაგრამ უშედეგოდ. როგორც შემდეგ გამოიჩვენა, ტიციანი მაშინ უკვე ცოცხალი აღარ იყო.

პავლენკოს მუდამ აინტერესებდა ქართული ლიტერატურის სიახლენი და საყვარელი თბილისის ამბები.

საქართველოსადმი მის ტრფიალს ვკითხულობთ მარიჯანისადმი მიწერილ წერილებში:



1940 წლის 27 თებერვალს: „უკვე ერთი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მე ქუთაისსა და წყალტუბოში ვიყავი და აი მაშინდელი ჩანაწერების ქექვის დროს ვიპოვე ის, რისგანაც მინდა შეექმნა პატარა ლირიკული მოთხრობა „ღამე გელათში“. დიდხანია გული მიმიწევს ქართული თემებისაკენ, მაგრამ მაშინებს მათი ეგზოტიკა“.

1941 წლის 28 თებერვალს: — „ამას წინათ ვიყავი ლენინგრადში, საღამო ოღლა დიმიტრის ასულთან (ფორში) გავატარე. მოგიგონეთ თქვენ, საქართველო და გავახალგაზრდავდი თქვენ“.

1947 წლის 13 მარტს: — „გიყი მარტი ვანა მარტო თბილისშია, მოსკოვშიც არის და მოსკოვში იგი უარესია. იცით თუ არა მელოდია და სიტყვები „არაგვისა“. შარშან საგურამოში ირაკლი აბაშიძე მღეროდა. შესანიშნავია. მას შემდეგ ეს სიმღერა მამოღებს. აუცილებლად შევიტან საღმე. საქართველო სიმღერებით მამახსოვრდება. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ქართველს შევხვედროდე და რაიმე შესანიშნავი არ ემღეროს მას ჩემთვის. უბრალოდ არ ყოფილა ასეთი შემთხვევა. იცით „არაგვი“ რისთვის მინდა? მე ვწერ პიესას ფინეთის ომზე. პიესის გმირებს შორის ქართველებიც იქნებიან. მე ბევრი მინახავს ისინი იქ, ფინეთის თოვლში და პოლარულ წრეში. რომ არ გაყინულიყვნენ, ღამღამობით მკიდროდ შეკრულ წრედ სხდებოდნენ თოვლზე, „ბრეზენტის“ ნაქრებს წაიფარებდნენ და ასე ერთმანეთს ჩახვეულნი და თავმიყრდნობილნი დაბალი ხმით მღეროდნენ რამეს.“

მე მინდოდა პიესაში შემეტანა „არაგვი“.

ავადმყოფობის შემდეგდროინდელ წერილებში ის ნაღვლიანად წერს: „როდის მალირსებს ბედი თბილისში ჩამოსვლას და მალირსებს კი?“

ძუნწი გამოდგა მისი ბედი. ჩვენ ის მეტად აღარ გვინახავს.

ასე უყვარდა მას საქართველო და ქართველი მწერლებისთვისაც მიტომ

გახდა ის ასეთი ახლობელი და მშობლიური.

ბინიანოვი

ეს იყო 1933 წელს. ბინაზე ტელეფონის ზარი გაისმა, ტიცინი იკითხეს.

— ტიცინი სახლში არ არის, ვინ კითხულობს?

— იური ნიკოლოზის ძე ტინიანოვი.

მე დაბეჯითებით ვთხოვე ტინიანოვს მოსულიყო ჩვენთან ბინაზე და თანაც ვუთხარი, რომ ტიცინი მალე გაჩნდებოდა. ჩქარა იური ნიკოლოზის ძე მოვიდა, ჩვენ ერთმანეთს გავეცანი. მის სახეს კეთილი, გულთბილი ღიმილი აბრწყინებდა. ყურადღებას იქცევდა მისი ღრმა თავლისფერი თვალები.

ტინიანოვი გაკვირებული დარჩა, როცა გაცნობის პირველსავე წუთებში მე მას ვუთხარი:

— იმისათვის, რომ ჩვენ მეგობრებ გავხდეთ, მე გულახდილად უნდა მოვახსენოთ, რა მომწონს და რა არა თქვენს რომანში „ვეზირ მუხტარის სიკვდილი“.

იური ნიკოლოზის ძეს ხშირად როდი უხდებოდა ამრიგად გასცნობოდა ვინმე. მან მხრები აიჩეჩა და ღიმილით მითხრა:

— გისმენთ.

— როგორ მოხდა, რომ თქვენ დასწერეთ: გრიბოედოვი ხშირად დადიოდა ახვერდოვთან, დროს ატარებდა მაღალი წრის, მეტად განათლებულ ინტელიგენციაში, ხოლო მისი დენშჩიკი გრიბოვი ბატონიშვილებთან ერთად ლენინს შეექცეოდაო. თქვენ, ალბათ, არ იცით, რომ ქართველი ბატონიშვილები უაღრესად განათლებულნი იყვნენ, იცოდნენ მრავალი ენა, მათ შორის თურქული და სპარსული. ბევრი მათგანი ეწეოდა მწერლობას და დიდი სახელიც დატოვეს მწერლობაში. როგორ შეიძლება დენშჩიკის გათანასწოლება ქართველ ბატონიშვილებთან?

არცერთი ბატონიშვილი XIX საუკუნის ოციან წლებში, როცა გრიბოედოვი, თქვენი მოთხრობით, ახვერდოვ-

თან დადიოდა, თბილისში და საერთოდ საქართველოში არ ყოფილა. ისინი ადრევე, თუმცა იძულებით, მაგრამ საპატიოდ, გაამგზავრეს მოსკოვსა და პეტერბურგში.

და აი კიდევ ერთგან თქვენ ამბობთ, რომ გრიბოდოვმა შეხედა ნინო ჭავჭავაძის დედას და გაიფიქრა, ხანში რომ შევა ნინოც, ალბათ, ასეთი იქნებაო. მაგრამ ხომ ცნობილია, რომ ის სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე ძალიან ლამაზი ქალი იყო. ნინო ჭავჭავაძის სილამაზეს აქებდა ყველა მაღალი რანგის მოხელე, რომელიც კი კავკასიაში მოხვედრილა სამსახურში.

იური ტინიანოვი ყურადღებით მისმენდა და ბოლოს ღიმილით მითხრა:

— ტიციანიც ხომ ამასვე მწერდა. მე სავსებით გეთანხმებით.

ეს საუბარი გახდა დასაწყისი ჩვენი მეგობრობისა.

მახსოვს ტინიანოვთან და ქართველ მწერლებთან ერთად გამგზავრება წინანდალში, ალ. ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში. მუზეუმის დათვალიერების შემდეგ სადილს მიეუსხედით. საერთო სიცილი და ხარხარი იყო, როცა ტინიანოვს ასწავლიდნენ თუ როგორ უნდა ექამა ჩინკალი.

მგზავრობით დაქანცული ტინიანოვი ხვეისკენ წავიდა, იქ დანგრეულ ეკლესიის ახლოს გრძელ საქმზე წამოწვა და ფიქრებს მიეცა.

სადილი კი გრძელდებოდა და ვინც ადგომას დააპირებდა, იმის გამო, რომ მოსაწყენი გახდა ხანგრძლივად სუფრასთან ჯდომა, ყველა გაიძახოდა — ტინიანოვის საქებრად მივდივარო.

ტიციანთან და გიორგი ლეონიძესთან ერთად ტინიანოვი ავიდა მთაწმინდაზე გრიბოდოვის საფლავის სანახავად. ღიბხანს მღუმარედ იდგა ის საფლავთან — თვალბუზე ცრემლი მოადგაო, მითხრა ტიციანმა.

თითქმის ყოველ საღამოს იკრებებოდნენ ჩვენთან მწერლები ინტერესით უსმენდნენ ისინი ტიციანს, რომელიც უკითხავდა მათ თავის ჩანაწერებს. შამილზე მის მიერ შეკრებილი მასალებიდან (ტიციანი აპირებდა შამილზე რომანის დაწერას) და ი. ტინიანოვს პუშკინის ბიოგრაფიის ახალ მასალებზე, რომელიც საფუძვლად უნდა დაედებოდა მწერლის რომანს პუშკინზე.

ეს შეხვედრები გულთბილი, საინტერესო და მზიარული იყო. განსაკუთრებით აცხოველებდა ასეთ საღამოებს მწერალი სერგო კლდიაშვილი. ის მიმართავდა ინსცენირებას, წარმოადგენდა ხან ჰამლეტის მამას, ხან იტალიელ მათხოვარს, ხან კი მომსკვდავი გელს. ეკვავს იწყებდა.

ამას იგონებდა ტინიანოვი ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ ტიციანისადმი მოწერილ წერილში. ამავე წერილში იუწყებოდა ის ქართველი რომანტიკოსების ლექსების რუსულად გამოცემისათვის მზადების შესახებ და მადლობას გამოთქვამდა ქართველ მწერალთა ანთოლოგიის გამომცემლობის კომიტეტის წევრად არჩევისათვის. აი ეს წერილიც:

ლენინგრადი, 17. II. 34.

ძვირფასო ტიციან!

ძალიან მოხარული ვარ, რომ ნინო ალექსანდრეს ასულთან ერთად მალე თქვენ ჩვენთან იქნებით და მოუთმენლად მოგვლით.

პროექტი, რომელიც მე თქვენგან მივიღე, უკვე გავაცანი გამომცემლობას და აგრეთვე „პოეტის ბიბლიოთეკას“. ყველამ სიხარულით მიიღო ის და ცდას არ დააკლებენ, რომ ქართველი რომანტიკოსები ჯეროვნად გამოიცეს. მხოლოდ აქ შეშფოთება გამოიწვივა ცნობამ იმის შესახებ, რომ მასალების დიდ ნაწილი შედის იმ წიგნში, რომელსაც

თქვენ გამოცემლობა „საბჭოთა ლიტერატურაში“ აქვეყნებთ. საქმე იმაშია, რომ „პოეტის ბიბლიოთეკასაც“ და გამოცემლობასაც უნდათ გამოსცენ თავისებური წიგნი და არა დუბლირებული. საჭიროა მოვიფიქროთ ორთავე გამოცემათა გამოჩენა.

ძალიან მადლობელი ვარ ანთოლოგიის გამოცემლობის კომიტეტის წევრად ჩემი არჩევისათვის. თქვენ იცით თუ როგორა ვარ დაინტერესებული ქართული პოეზიით და როგორ მიყვარს იგი.

ამ ზაფხულს ჩემს მეუღლესთან ერთად ნამდვილად ვაპირებ საქართველოში ჩამოსვლას. დიდი სიხარულით ვისვენებ მანდ გატარებულ საღამოებს, როგორ ანსახიერებდა სერგეი დავითის ძე ჰამლეტის მამას.

გულითადი საღამო ნინა ალექსანდრეს ასულს. ჩემი მეუღლე და ქალიშვილი თქვენ უნახავად გიცნობენ და თქვენი გაცნობის მოხარული იქნებიან.

მოკითხვა პასტერნაკებს. ისინიც აპირებენ თუ არა თქვენთან ერთად გამომგზავრებას.

ი. ტ.

ამ თვის ბოლოდან, 27-28-დან, მე მომიხდება 4 დღით წასვლა; როგორ მოვაწყობ, რომ ამან ხელი არ შეუშალოს ჩვენს შეხვედრას?

რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენ შევხვდით ტინიანოვს მწერალთა I საკავშირო ყრილობაზე. ის, ტიციანი და ბაბელი დამეგობრდნენ; სულ ერთად იყვნენ. იური ნიკოლოზის ძე იგონებდა თბილისს, განსაკუთრებით კი ელენე (ლოლია) შენგელიას, რომლითაც ის მოხიბლული იყო.

ყრილობის შემდეგ ჩვენ მისგან მივიღეთ წერილი:

ძვირფასო ტიციანი!

მერწმუნეთ მხოლოდ ავადმყოფობას შეეძლო შეეშალა ხელი ჩემთვის მუშაობა თქვენს მშვენიერ წერილებზე.

„სადღეგრძელო“, რომელზეც თქვენ გამოგიგზავნეთ ისე ცოცხალი დამაკარგი, რომ მე მას ვისვენებ, როგორც ყველაზე დიდ წარმატებას ან „მიღწევასაც“ კი უკანასკნელ წელს. მე „დეტსკოე სელოში“ ვარ და ვისვენებ. ვსირობ ვოველდღე, უსაქმოდ ვარ. სოფელი მომწონს და მეტ ხანს დავრჩებოდი, მაგრამ საჭიროა დაბრუნება.

საბა ორბელიანი მივიღე და როგორც კი ჯანმრთელობა ნებას მომცემს ჩაუფლები. ვადაეცი თ ჩემი გულითადი მეგობრული საღამო ნინა ალექსანდრეს ასულს, ელენე მიხეილის ასულს, სერგეი დავითის ძეს და ნიტას. მასთან საუბარს ყრილობას კულუარებში ვერ დავიფიქვებ ვერასოდეს.

გილოცავთ ყველას ახალ წელს, რომელიც სრულიად მოულოდნელად მოგვადგა კარს და მაგრად გეხვევით თქვენ, ძვირფასო მეგობრებო.

თქვენი ი. ტინიანოვი

მეტად თბილი, მეგობრული შეხვედრები ჰქონდა ტიციანს ი. ტინიანოვთან ლენინგრადში, ქართული პოეზიის საღამოებზე და ისე, უბრალოდაც. მასთან სტუმრობისას დრო მეტად სწრაფად და საინტერესოდ მიჰქროდა. იური ნიკოლოზის ძე შესანიშნავად ახდენდა ბევრი ლენინგრადელი მწერლის, მათ შორის კორნეი ჩუკოვსკის იმიტირებას.

ერთხელ ტინიანოვის სახლში ჩვენ შევხვდით და გავეცანით მიხეილ ზოშჩენკოს. პირველი, რაც მე თვალში მეცა ის იყო, რომ ის თამბაქოს (ბურნუსის) ყნოსავდა, რითაც ჩემს ბებიას მაგონებდა.

როცა მე ამის შესახებ გაკვირვება გამოვთქვი, ზოშჩენკომ მიპასუხა, რომ თამბაქოს ყნოსვით ნერვებს იმშვიდებს, რომ ის საშინელი ნევრასტენიკია, ვერ იტანს ვერავითარ ხმაურს და მუდამ ისეთ მყუდრო და იზოლირებულ ბინას ეძებს, სადაც ხმაური არ აღწევს. აქ მოჰყავა ერთ ამბავს, რომელიც მას შეემთხვა. ერთხელ თურმე მისცეს ბინა

ვეგონებ „მოიკახე“. ზოშჩენკო გახარებული იყო, რადგან ბინა იზოლირებული და წყნარი ჩანდა. მით უმეტეს, რომ შეკეთებისას ყოველგვარი ზომა მიიღო, რათა აბსოლუტური სიწყნარე უზრუნველყო თავისათვის. როცა ყველაფერი მზად იყო, მწერალი მეტად კმაყოფილი სახით ფანჯარასთან მივიდა და რა დაინახა? საშინელება! მისი ბინის ფანჯრების პირდაპირ სამშობიარო სახლის ფანჯრები გამოდიოდა. მას წარმოუდგა (და შეიძლება არა მხოლოდ წარმოუდგა) ქალების ყვირილი, ბავშვების ტირილი. შემფოთებულმა ფანჯარა მიხურა და არამც თუ აღარ მოეწონა თავისი მყუდრო ბინა, იქ ცხოვრება წამებად ეჩვენა.

ტინიანოვთან ტიციანი და მე ვავეცანით მწერალ კავერინს, რომელსაც ცოლად ჰყავდა იური ნიკოლოზის ძის და.

ერთხელ მოსკოვში ყოფნის დროს ი. ნ. ტინიანოვთან ერთად ჩვენთან მოვიდა ვ. შკლოვსკი. საუბარში ტიციანმა უთხრა შკლოვსკის:

— ერთხელ, გვიან საღამოს, ჩაუჭექი თქვენი მოთხრობის „დედა“-ს კითხვას. ჩემზე მოთხრობამ ისეთი ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ ნინო ვავაღვიძე და თავიდან ბოლომდე წავუკითხე.

დამამახსოვრდა მისი ერთი მოთხრობა, რომელშიც დედისა და ორი ქალიშვილის ამბავია მოთხრობილი. დედა ის იყო გარდაცვლილი. ერთი ქალიშვილი ექიმთან წავიდა, რადგან მას დაავიწყდა სიკვდილის მოწმობის მოცემა, ხოლო მეორემ, იმით შეშინებულმა, რომ მიცვალებულთან მარტო დარჩა, კარი გამოიხურა და მეზობელთან შევიდა.

ექიმს გზაზე გაახსენდა, რომ დებს სიკვდილის მოწმობა არ მისცა და დაბრუნდა. ის ზარს იმდენხანს რეკავდა, იმდენ ხანს, რომ კარი გააღო... თვით დედამ!

ტინიანოვმა, როგორც მახსოვს, შენიშნა, ეს შემთხვევა მოგონილი არ არისო და მაშინ შკლოვსკიმ თქვა, რომ

ეს ამბავი გადახდა მის დედას რომელიც ისე შეეჩვია ყველგან, რომ კლინიკური სიკვდილის შემდეგაც მის მიერ კიდევ გაუშქრალ ცნობიერებამდე მიაღწია ზარის ხმამ, რამაც ის ფეხზე დააყენა. შკლოვსკის დედამ ამის შემდეგ კიდევ ხუთი წელი იცოცხლა ექიმთა მეთვალყურეობით.

ტიციანმა თქვა, მოთხრობა დიდ შთაბეჭდილებას იმიტომ ახდენს, რომ ის მეტად ცხოველყოფელია. ნინას, მაგალითად, ასეთივე დედა ჰყავს. ის, თუ ჩვენთვის საჭირო იქნება, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს, ადგება და ყველაფერს გააკეთებსო.

ტინიანოვი მეორედ მეუღლითა და ქალიშვილით ესტუმრა საქართველოს. რამდენიმე ხანს ისინი თბილისში დარჩნენ. შემდეგ, ტიციანთან ერთად, ჩვენ ყველანი ბორჯომში წავედით. ბორჯომში ტინიანოვებს ისე მოეწონათ, რომ გადაწყვიტეს მთელი ზაფხული იქ გაეტარებინათ. ტინიანოვი იქ ბევრ ქართულ ოჯახს დაუახლოვდა, კერძოდ მუსიკოს ნიკო ჩიგოვიძეს და მის მეუღლეს ნინა კოზმინსკაას, ჩვენში ცნობილ ჩელოს დამკვრელს.

როგორც ორგკომიტეტის ბრიგადის წევრმა იური ნიკოლოზის ძე ტინიანოვმა ბევრი გააკეთა ქართული ლიტერატურის გასაცნობად რუსი მკითხველისათვის. მან თარგმნა რუსულად სულხან-საბა ორბელიანის წიგნი „სიბრძნე სიცრუისა“, მოაწყო ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის, გრ. ორბელიანის და სხვა კლასიკოს პოეტების თარგმნის ორგანიზაცია. მას ეხმარებოდა ლოლოტა ვირსალაძე. როცა ჩვენ ლენინგრადიდან გამოვდიოდით, სადგურზე მოირბინა ლოლოტამ და ტიციანმა უკვე დამძული მატარებლიდან გადმოსძახა ტინიანოვს: „იური ნიკოლოზის ძე, იცნობდეთ ლამაზ და ჰკვიან ფოლკლორისტს ლოლოტა ვირსალაძეს. იგი დაგეხმარებათ თქვენ.“ მართლაც, ლოლოტა დიდად დაეხმარა ტინიანოვს სულხან-საბა ორბელიანზე მუშაობის დროს.

ტინიანოვის ღამსახურებისა, მისდამი

პატივისცემისა და სიყვარულის გამოთავის სიტყვაში, 1937 წლის 21 მარტს ლენინგრადში გამართულ საღამოზე, ტიციანი ამბობდა:

„ჩვენ არასოდეს არ დავიფიქსებთ იმას, რომ ი. ნ. ტინიანოვი თავისი რომანებით დაკავშირებული იყო საქართველოსთან: „ვეზირი მუხტარის სიკვდილით“ და „კუხლიათი“ შესანიშნავად გვაგრძნობინა ქართული კოლორიტი. ი. ტინიანოვმა რუსულად თარგმნა და რედაქცია გაუკეთა XVIII საუკუნე ქართველი კლასიკოსის სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისას“. სულხან-საბა ორბელიანი იყო — XVIII საუკუნის ქართველი, და შეიძლება აღმოსავლეთის ავტორებიდან ერთი საუკეთესოთაგანი; კაცი, რომელიც ელჩად იყო ლუდოვიკო XIV-ის, ამ მზე მეფის კარზე. საბა მოკვდა მოსკოვში და დაკრძალულია „ვსესვიატსკოვს“ მონასტერში. ავტორი „სიბრძნე-სიცრუისა“ მალე ცნობილი გახდება მთელი სამსჯობოთა კავშირისათვის. თავის დროზე ქართველ ბატონიშვილებს შესაძლებლობა არა ჰქონდათ თუნდაც ერთი ქვა დაედოთ მწერლის საფლავზე და ეს საფლავი დაიკარგა.

იგივე უნდა ითქვას ამჟამად ლენინგრადში ოთხი შესანიშნავი ქართველი მწერლის: ალექსანდრე ჭავჭავაძის, გრიგოლ ორბელიანის, ნიკოლოზ ბარათაშვილისა და ვახტანგ ორბელიანის წიგნის გამოცემის შესახებ. ამ წიგნს რედაქტორობენ იური ნიკოლოზის ძე ტინიანოვი და ნიკოლოზ სიმონის ძე ტინიანოვი. დარწმუნებული ვარ, რომ ეს წიგნი შესანიშნავი იქნება“.

ამავე საღამოს ტინიანოვი ლაპარაკობდა ტიციანისადმი სიყვარულზე, საკუთარ დამოკიდებულებაზე მასთან და მისი პოეზიისადმი.

—მე ნამდვილად ვნანობ, რომ არა ვარ პოეტი, რომ მე ლექსები არ გამაჩნია, პოეტი რომ ვიყო, დავწერდი ლექსს და მივუძღვნიდი ტიციან ტაბიტეს, მაგრამ ვაი, რომ არა ვფლობ პოეტის ხელოვნებას. როცა ლექსების კითხვის დროს

უესმენდი ტიციანს (სამწუხაროდ მე მისი ენა არ ვიცი), როგორღაც ვიხსენებ ისე ვგრძნობდი, თითქოს ხელოვნების ნამდვილ ფესვებთან ვიმყოფებოდი. აქ მე მესმის ტიციანი. და აი, მე ვნახე ტიციანი თბილისში. მე ეს არასდროს არ დამიფიქსდება. მე გავიგე თუ როგორ იბადება პოეზია, ეს შესანიშნავი პოეზია, რომელიც ბევრ ჩვენგანს აახლოვებს საქართველოსთან და რომელიც საქართველოს გვიახლოვებს ჩვენ. მე შევიცანი თბილისი. ის ერთი იმ შესანიშნავ ქალაქთაგანია, რომელსაც დიდი ისტორია აქვს. თბილისის თავზე ჯერ კიდევ დგას შავი ნაბადი... ევენუქისა, რომელიც ნაკლები დამპყრობი როდი იყო, ვიდრე დამპყრობის მოტრფივალე დასავლეთელი ევენუქები. მთაზე კი გრიბოდოვის საფლავია, რომელიც თბილისისა და საქართველოს საკუთარი შვილივით უყვარს. და უნდა ითქვას, რომ ტიციანი ისე დადის თბილისში, როგორც კაცი საკუთარ ოთახში. ის ლექსის წერის წინა შეგრძნებებში ისტორიულია (და მას ასეთი შეგრძნებები, როგორც ჩანს, ყველგან ჰპარბად თან ახლავს). მისთვის ისტორია თაროზე შემოდებული წიგნი კი არ არის, არა, ისტორია თვით მასში და მასთანაა, ის მას გრძნობს და ამიტომაც ასე გასაგები ჩვენთვის, რუსული პრესისათვის, რომელიც მას უყვარს და ესმის.

და აი, როცა მე მასთან ვიყავი, ყველაფერმა მიიღო თავისი ისტორიული აზრი, დღევანდელ დღესაც ისტორიის შუქი ადგია. ეს სამსჯობოთა დღევანდლობა ხომ მრავალსაუკუნოვანი ისტორიიდან მოდის. და ნუ იტყვის ტიციანი, თითქოს მე მოვიფიქრე იმ წიგნების გამოცემა რუსულად, რომელზედაც ის ლაპარაკობდა. ამ საქმეში მონაწილეობის მიღება მე დიდ პატივად მიმაჩნია. რა თქმა უნდა, ამ წიგნების რუსულად თარგმნა მან მოიფიქრა, რა თქმა უნდა, ეს განზრახვა დაიბადა საუბარში, მასთან, ცოცხალ და ნამდვილ პოეტთან. საუბარში ის ისევე პოეტურია, რო-

ვორც მისი ლექსები, რომელთაც ჩვენ ვისმენთ, ლექსის ამგვარად წაკითხვა შეუძლია მხოლოდ კეშმარიტ პოეტს.

და თუ დღეს საქართველოს უდიდესი პროზაიკოსის სულხან-საბა ორბელიანისა და საქართველოს შესანიშნავი რომანტიკოსების სახელები, რომლებიც აღმოჩენილ იქნენ რუსულ ხელოვნებაში ასასახავად და რომლებიც დღეს საბჭოთა მკითხველისათვის ჟღერს, როგორც საკუთარი პოეტების სახელები — ამაში უდიდესი დამსახურება ბიციანს მიუძღვის და მე მივესალმები მას, როგორც პოეტს, როგორც შესანიშნავ ადამიანს, როგორც მეგობარს, ჩვენს მეგობარს.

10 დეკემბერი 1933 წ.
თბილისი

ძვირფასო იური ნიკოლოზის ძე!

ნიკოლოზ ტიხონოვი და ოლგა ფორში მოგიყვებიან თბილისში გატარებულ ერთ თვეზე, მე და ბორის ლეონიდეს ძე განსაკუთრებით ეწუხებით, რომ თქვენ აქ არ იყავით.

ჩვენ ბედმა გაგვიღიმა, რომ თქვენ ადრევე იყავით აქ და მოვახერხებთ წყნარ გარემოებაში დამეგობრება, მოლაპარაკება და თქვენი შეყვარებაც.

ჩემი მეგობრები მოუთმენლად ელიან, რომ თქვენ სიტყვას არ გადახვალთ და ზაფხულში გვეწვევით.

რუს მწერალთა დელეგაციის ჩამოსვლით დიდი საქმე გაკეთდა; ამის შესახებ, ალბათ, გეტყვიან; მაგრამ თქვენ წინადადებას „პოეტის ბიბლიოთეკაში“ ქართველი რომანტიკოსების მოთავსების შესახებ ჩვენთან ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად თვლიან.

პასუხს თუ არ ვჩქარობდი, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს გამოცემა ბრიგადის მიერ დამუშავებული თარგმანების საერთო გეგმასთან ყოფილიყო შეთანხმებული და ოფიციალურად გაფორმებული. ამ დღეებში „პოეტის ბიბლიოთეკაში“ ქართველ რომანტიკოსების გამოცემის საკითხს სახალხო განათლე-

ბის კომისარიატის კოლეგიაზე განიხილვენ და თქვენ მიიღებთ კულისდომის ოქმს ყველა თქვენთვის საინტერესო ორგანიზაციულ საკითხზე ამომწურავი პასუხით.

თქვენ ბევრი რამ გაკავშირებთ საქართველოსთან, მაგრამ ეს თაოსნობა კიდევ მეტად გვავალებს მადლობა გიძღვნათ გულითადი შეგობრობისათვის...

ძალიან ვთხოვთ არ დაგვივიწყოთ და გაგვახაროთ წერილით.

გვხვევით და მაგრად გკოცნით

თქვენი ტიციანი

ზაბოლოცკი

ერთხელ ტიციანმა ჩვენთან მოიყვანა ბავშვურად ტუჩებამობურცული, სათვალეებიანი ახალგაზრდა. ღიმილით ოღნავ იღიმებოდა, სიცილი კი — თითქოს გულის სიღრმიდან ამოქონდა. თავიდან ფეხებამდე სუფთა იყო, კრიალა. ასევე კრიალა, კრისტალური სული ჩანდა მის სიცილში. თვალეებში რაღაც ნაღველი ეტყობოდა. ეს იყო ზაბოლოცკი, ლენინგრადელი პოეტი. ტიციანმა შესთავაზა ქართველი პოეტების თარგმნა. ამან ის ძალზე გაახარა და მას შემდეგ საქართველოს და ქართული პოეზიის ერთგული მეგობარი გახდა.

1955 წელს ნიკოლოზ ზაბოლოცკი მწერდა: „საყვარელი ტიციანის ხსოვნა წმინდაა ჩვენთვის, საქართველოს მეგობრებისათვის; ის კეშმარიტი პოეტი იყო, ერთგული მეგობარი, უმწიკლო მოძღვარი და სიცოცხლისა და ბუნების აღმაფრენით მოყვარული. ძველი თაობის ქართველი პოეტებიდან ჩვენთან ის ყველაზე ახლოს იყო. თქვენი სახლი იყო პირველი თავშესაფარი, საიდანაც ჩვენთვის საქართველოს კარი გაიღო“.

მართლაც, იმ დღიდან დაიწყო ჩვენი მეგობრობა ნიკოლოზ ზაბოლოცკისთან. ის დიდად მეგობრობდა სიმონ ჩიქოვანს, და გიორგი ლეონიძეს.

ზაბოლოცკი სულ უფრო და უფრო უახლოვდებოდა საქართველოს. ჩვენც,

რაც შეგვეძლო, მასპინძლობას არ ვაკლებდით. გვეყავდა კახეთში — წინანდალში. სტუმრის მანქანამ გაგვასწრო და ჩვენ რომ ჩავედით წინანდალში, იქ აღარ დაგვხვდა, თურმე პატარძელში წაყვანა გიორგი ლეონიძეს. მხიარული და კმაყოფილი დაბრუნდა.

სიმონ ჩიქოვანმა ქართლი შემოატარა. მამინ დასწერა მან „გორის სიმფონია“. აი რას სწერდა ის ტიცინას: „გიგზავნით „გორის სიმფონია“-ს, ჩემს ახალ ნაწარმოებს ქართულ თემზე. გთხოვთ წაიკითხოთ. რადგან ის ჩემს ქართველ მეგობრებს ეხება — და პირველ რიგში თქვენ. მინდა გავიგო თქვენი აზრი. თუ ღმერთი გწამთ, შემატყობინეთ, ადვილმდებარეობას ხომ არ ვერეც სადმე“.

ბევრჯერ იკრიბებოდნენ ჩვენთან. კითხულობდნენ ლექსებს, კამათობდნენ, ლაპარაკობდნენ ახალ პრობლემებზე. ზშირად ეს საღამოები იმპროვიზირებული კონცერტებით მთავრდებოდა. პაოლო ძველი გუნდური სიმღერების ინიციატორი იყო. ხელი-ხელ ჩაკიდებული უვლიდნენ მაგიდას გარშემო და მღეროდნენ. განსაკუთრებით, „მე ვარ და ჩემი ნაბადი“ უყვარდა პაოლოს. შალვა აფხაიძე და სერგო კლდიაშვილი ბანს აძლევდნენ. სიმღერის შემდეგ სერგო კლდიაშვილი და ლევან ასათიანი გამოხტებოდნენ და ჩამოუვლიდნენ „ცერულს“. კოლია ხარხარებდა და მათთან ერთად მხიარულობდა. რა თქმა უნდა, აქვე იყვნენ გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი ცოლებით. გიორგი ლეონიძე ან მოცეკვავის ტემპერამენტს ამყვანებდა, უფრო ზშირად კი აივანზე გამოდიოდა და იქ ღრმა ფიქრებს ეძლეოდა. სიმონთან ერთად მოდიოდა შიკოლა ბაქანიც, მისი უახლოესი მეგობარი და საქართველოს მეგობარი. მან შოთა რუსთაველის თარგმნა დაიწყო.

ერთხელ ალავერდში წავედით. ჩარდახიანი ურმები ჩამწკრივებულყვენ. ეზოს შუაგულში ვილაც მყარდნე და მისი ღზინისა და, ალბათ, ჭირის მო-

ზიარეც, ისხდნენ მთვრალეები. წინ ღვინის ღოჭები და ღვინით სვეტი მუშები ედგათ: გამვლელ-გამომგდელს მუშებს პინძლებოდნენ.

ჩვენ მოჩარდახულში გაგვიშალეს დიდი სუფრა და გაიმართა შეჯიბრი, ვინ უფრო საინტერესოდ წაიკითხავდა ლექსს. ერთი რომ გაათავებდა, მეორე იწყებდა. კითხულობდნენ თავისას, სხვისას. პაოლომ მთელ ეკლესიის ეზოს მოჰფინა ბალმონტი ლექსები. ადგა ბაქანი და წაიკითხა ნაწყვეტი „ვეფხისტყაოსნიდან“ უკრაინულ ენაზე, რამაც აღტაცება და ტაშის ვრიალი გამოიწვია. ამ დროს ვერიკო წამოხტა და ტიცინას „ცხენის ანგელოსის“ ნაწყვეტი წაიკითხა, მერე სიმონ ჩიქოვანის „ცირე“. გიორგი ლეონიძემ ლექსის წაიკითხვის შემდეგ სიტყვით მიმართა ვერიკოს. ვერიკოს და ნატოს წამბტაცი, ცეცხლოვანი ცეკვის შემდეგ, რომელთაც თითქოს მთებიც ტაშს უკრავდნენ, გაისხენეს ვერიკოსადმი მიძღვნილი ლექსი:

გაღმომხდარან ტაშები
კაბებზე და ჩოხებზე,
და ვით მალი რაშები
დაგაფრენენ ჩოხებზე.

და შენ ააააჲ. ააააჲ შენ,
ველარ გღვეენ თვალები,
ააააჲ ლუწ და ააააჲ ანბ
მე ვთელი და ვილალები.

ვერიკო საპასუხოდ ცრემლებად იღვრებოდა. ტიცინამ წაიკითხა ტიტუტჩევი და ასე გაგრძელდა საღამომდე. ლაპარაკობდნენ პოეზიაზე, კახეთის ბუნების სილამაზეზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, თარგმანების საჭიროებაზე, რათა რუსმა ხალხმა იცოდეს ქართული და უკრაინული, უკრაინელმა — რუსული და ქართული, ხოლო ქართველმა — რუსული და უკრაინული.

დაღლილნი, მაგრამ ძალზე კმაყოფილნი დაგბრუნდით თბილისში. განსაკუთრებით გვახარებდა ჩვენი სტუმრის

ალტაცება და მასთან დაახლოება. ეს ეამბნა ბაჟანს კოლია ზაბოლოცკისათვის და ის თურმე ძლიერ სწუხდა, რომ არ იყო ჩვენთან ერთად ალავერდში.

ერთ საღამოს, როცა კოლია იყო ჩვენთან და ესაუბრებოდა ტიცთან გრიგოლ ორბელიანის ლექსებზე, მოულოდნელად შემოვიდნენ ნატო ვაჩაძე, კოლია შენგელაია, ვერიკო ანჯაფარიძე, მიშა ჭიაურელი, გიორგი და ეფემია ლეონიძეები, სერგო კლდიაშვილი, მიშა კალატოზიშვილი, ზოზო და ელენე ნანეიშვილები, არჩილ და რაისა მიქაძეები. იმ საღამოს ვერიკო იყო ზღაპრული — დაუღალავად კითხულობდა ლექსებს, ცეკვავდა ნატოსთან ერთად. კოლია შენგელაია და მიშა ჭიაურელი მღეროდნენ აბესალომის და მურმანის პარტიას. სერგო კლდიაშვილი ცეკვავდა „იტალიელ მათხოვარს“, — რაისა მიქაძე — ზანგი ქალის ცეკვას. გიორგი ლეონიძის სადღეგრძელო რომ დალია, ტიცთანმა მოიგონა როგორ იღვრებოდა ვერიკო ცრემლებად ალავერდის გალავანში, როცა გიორგი ლეონიძე მის სადღეგრძელოს ამბობდა.

იმ საღამოს ისეთი სიმზიარულე და სიცილი იყო, რომ ზოზო ნანეიშვილი და არჩილ მიქაძე სიცილით გადმოცვივდნენ სკამებიდან. კოლიას მოაგონდა ბაჟანის ნაამბობი და თქვა, ეხლა კი წარმომიდგენია რა მზიარულეა იქნებოდა ალავერდშიო.

1936 წლის 11 იანვარს ზაბოლოცკი იწერებოდა: „თქვენი აზრით ვაჟა-ფშაველას თარგმანი კარგია. თარგმანს მკირეოდენი შესწორება დასჭირდება, რაც აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს გამოცემლობამ, თუ პოემა დაიბეჭდება.“

იმისიცი დიდი მადლობელი ვარ, რომ როგორც თქვენ ამბობთ, თარგმანს „ზაკნივა“ გამოსცემს.

ამ უკანასკნელ დღეებში წაეკითხე თქვენი „რჩეული“, რომლის შოვნაც მხოლოდ ბიბლიოთეკაში შევძელი. თქვენი ეგზემპლარი ჯერ არ მიმიღია.

ალბათ ამ დღეებში მივიღებ. წინასწარვე მადლობას გიძღვნი. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა ლექსის თარგმანი ჩემთვის ცალ-ცალკე ცნობილი იყო, მაინც უნდა ვთქვა, რომ ერთად შეკრებილნი, ისინი მშვენივრად ავსებენ ერთმანეთს და მთარგმნელთა ერთგვარი შეუთანხმებლობისდა მიუხედავად მკითხველს შეუძლია მთლიანად შეიგრძნოს ტიცთან ტაბიძე, დარწმუნდეს, რომ ავტორი თავისი ნათელი ინდივიდუალობის წყალობით უვნებელი გამოდის თარგმანთა ამ სხვადასხვაობიდან, რაც უმცირესთა ხვედრია მხოლოდ. თქვენ რალაც დამატყვევებლად წმინდა და სულში ჩამწვდომი ლირიკული ხმა გაქვთ და ძალიან დიდი დიაპაზონი. რა თქმა უნდა, თქვენ ერთ-ერთი უდიდესი პოეტთაგანი ხართ საბჭოთა კავშირში და მე ძალზე ვამაყობ თქვენი მეგობრობით. ეს მეგობრობა მავალებს მუდმივ და თავდადებულ მუშაობას. თქვენი ოდნავი თანაგრძნობა და აღიარება ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს, რადგან ის უმწიკვლო გემოვნებისა და ქეშმარიტად პოეტური სულის ადამიანისგან მოდის. უკანასკნელ დროს როგორღაც თავგზა ამებნა. ძალიან მაწუხებს „აბესალომ და ეთერი“, რუსთაველი თავზე მადგას და სხვა თარგმანებისათვის დრო აღარ მჩრება. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე, ტიცთან იუსტიცეს ძეგ“.

1936 წლის 1 ივლისს ზაბოლოცკი სწერდა: „ლენინგრადის საბავშვო გამოცემლობა მავალებს რუსთაველის შემოკლებულ თარგმანს და მის გადამუშაებას ბავშვებისათვის. ამ საქმის ინიციატორი მე ვარ. მგონი რომ საჭირო საქმეა. ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე რუსი მასობრივი მკითხველი, განსაკუთრებით, მოსწავლეები, ბალმონტის თარგმნით ვერ ისარგებლებენ. რუსთაველის რუსულად გადამუშაება, რომელიც მე მინდა წამოვიწყო, ხელს შეუწობდა მის პოპულარიზაციას თანამედროვე რუს მასობრივ მკითხველში. ჩვენი მეგობარი მიკოლა ბაჟანი,

რომელთანაც ამ ცოტა ხნის წინ ორი ვერა ვაგატარე, მპირდება პწკარედს (იორდანიშვილისას). სექტემბერში ვფიქრობ თბილისში ჩამოსვლას. დამპირდება რუსთაველის ინსტიტუტსა და იმ ხალხთან კავშირი, ვინც მის იუბილეს ამზადებს.

საჭიროა საქართველოს ჰაერით სუნთქვა და რუსთაველის შეგონება მის საკუთარ სამშობლოში. მითუმეტეს, რომ რუსული ლიტერატურა არ იძლევა ელემენტარულ ცნობებსაც კი ამ დიდი პოეტის შესახებ.

თუ თქვენ, ტიციან იუსტინეს ძე, სექტემბერში თბილისში იქნებით, გთხოვდით, მიგეყვანეთ ჩემთვის საჭირო ხალხთან და დამხმარებლით ამ საქმეში.

ვფიქრობდი შევდგომოდი ვაჟა-ფშაველას, მაგრამ ახლა, ამ სასწრაფო წამოწყებასთან დაკავშირებით „აღუდა ქეთელაური“ რამდენადმე გაკვირვდება. გთხოვთ მაეცნობოთ, რა დროისათვის გპირდებით“.

ზაბოლოცისთან მეგობრობა უფრო მტკიცდებოდა. ტიციანი დიდად აფასებდა მას როგორც ადამიანს და როგორც პოეტს. მოსწონდა მისი თარგმანები: ღრმად, რაღაც განსაკუთრებული გრძნობით ესმის ლექსები და იმიტომაც თარგმნის კარგად.

1936 წლის 2 აგვისტოს ზაბოლოცე ტიციანს სწერდა: „მე მუდამ იმისკენ ვისწრაფვი, რომ თარგმანი ორიგინალური ლექსივით ეღერდეს. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, თითქოს მე დასაშვებად ვთვლიდე აზრის დამახინჯებას. მე ვცდილობ აზრის ინტერპრეტაციას, მაშინ როცა ამას მოითხოვს ლექსი, რათა უფრო მსუბუქი და ნათელი გახდეს ის. თქვენს ლექსებში მე მატყვევებს სულიერი სამყაროსა და ბუნების გასაოცარი ერთობა. თქვენს პოეზიაში ეს ორი სამყარო ერთმანეთშია შერწყმული“.

მაგრამ ვაი, რომ ტიციანს უკვე აღარ შეეძლო მისი მეგობრობა და აღარც

მისი თარგმანებით აღტაცება. ველარ მოესწრო მისი წიგნის ნაწილს *წიგნის ნაწილს* რომლის გამოსვლასაც ასეთი სიხარულით ელოდა კოლია. შემდეგ კოლიაც წაიყვანეს. მერე ყვებოდა რას განიცდიდა იმ სიშორეს, როცა ლენინგრადში, ომის საშინელი წლები, უბატრონოდ და უსახსროდ მიტოვებული ცოლშვილი აგონდებოდა.

ზოგიერთი მწერლის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ კორნეი ჩუკოვსკის მეთაურობით, ბევრი ცდის შემდეგ შესძლეს მისი განთავისუფლება.

უნდა გენახოთ, როგორ იწყობდა ხელახლა ბუდეს, როგორ ფარავნასავით ევლებოდა თავის ტანჯვავადახდილ ოჯახს, როგორ ახარებდა ყოველი ახლად შეძენილი სკამი. მალე მისი ასეთი მზრუნველობით მოწყობილი სახლი გახდა კერა ქართველი მწერლებისა. აქ კითხულობდნენ ახალ თარგმანებს; მან ხომ მთელი ვაჟა-ფშაველა გადათარგმნა; თარგმნა აგრეთვე ორბელიანი, გურამიშვილი, აკაკი, ილია და მრავალი თანამედროვე მწერალი. აქ კითხულობდა ის თავის უკანასკნელ, ჯერ კიდევ დაუბეჭდავ მშვენიერ ლექსებს. მსმენელებს თვალზე ცრემლს ჰგვრიდა ამ ლექსების სინაზე. მისი ლექსებით დამთვრალი და აღელვებული მიდიოდნენ ამ სახლიდან გიორგი ლეონიძე და სიმონ ჩიქოვანი თავიანთი მეუღლეებით, ბესო ქლენტი, ფატმან თვალთვალები და სხვები. თვითონ ის კი, მუდამ მომღიმარი და მხიარული მასპინძელი, მუდამ გულით ცდილობდა, რომ მისი სუფრა ქართულ სუფრას დამსგავსებოდა.

რამდენი ტანჯვა-წამება განიცადა, სანამ ბინას ეღირსებოდა „ბეგოვჯაზე“. ყველა ამგვარ ღელვასა და განცდას არ შეიძლებოდა არ ემოქმედნა მის ჯანმრთელობაზე. და აი, ჩვენ დავკარგეთ ასეთი დიდი პოეტი, ადამიანი და მეგობარი.



შენიშვნები „პარიაციებით“

ამ ბოლო დროს ჩვენი გამომცემლობები წიგნებს წაუშობდნენ ხოლმე წინათქმის, სადაც შეიძლება აღნიშნონ ავტორის ვინაობას, წიგნის თემას, მთავარ აზრს, რაიმე მზატერულ და სტილისტიკურ ნიშანთვისებებს...

ოთარ გობრონიძის მოთხრობების წიგნსაც აქვს წამძღვარებელი მსგავსი წინასიტყვაობა — „თუ“ ოთარ გობრონიძის მოთხრობების პირველი წიგნია, კრებულში წარმოდგენილ ნაწარმოებთა უმეტესობა ქართული გეოლოგიების ცხოვრებას ასახავს.

როგორც ხედავთ, ფრიად ბევრისმოქმედი შესავალია, ეტყობა, გამომცემლობამ და წიგნის რედაქტორმა ვერ შესძლეს მოკლე და ნათლად ჩამოეყალიბებინათ ოთარ გობრონიძის წიგნის რაიმე ისეთი თვისება, რაც ნაწილობრივ მაინც გამოხატავდა წიგნის ან თავისებურებას, ან ღირსებას, ან თუნდაც, თემას გადმოსცემდა. რედაქციამ აღნიშნა — „ნაწარმოებთა უმეტესობა ქართული გეოლოგიების ცხოვრებას ასახავს“. რედაქტორს ამ განმარტებამაც უნდა შევედგეთ. თუ კი ცხოვრების ასახვა მხოლოდ დაქტერის შერჩევა, ან პერსონაჟის პროფესიის დანახვებზეა აზრს, მაშინ უნდა ითქვას — ეს წიგნი ქართული გეოლოგიების ცხოვრებას არ ასახავს.

წიგნში შვიდი მოთხრობაა, მოთხრობები დაწერილია თემებზე: ბერძენი გოგონა და გეოლოგები (თუა), ფრანგი ალბინისტები და საბედლისწერო სიუჟეტული (ედელვეისი), მოთხრობა პილოტებზე უცნაური სათაურით (ფიჭი ვარიაციებით), შემდეგ მოთხრობა, რომელზეც საერთოდ ძნელია რამის თქმა (ფართოდ გაბედილი თვალები), უდანოში მოხვედრად გეოლოგთა თავდასაყალი (თეთრი ლქა), ფიროსმანის სიყვდილის ამბავი (სიყვდილი ფერებში), ბოლოს „კავალიე“, — ერაყში მოხეტიალე საროსკიპო კლასიკური დრამით.

თემები განსხვავებული, მრავალფეროვანიც კია, რაც თავისთავად როდია ცუდი, მაგრამ აქ უნდა ითქვას, რომ თემების სიმრავლე ვერ ღირავს იმ მნიშვნელოვან ნაყლს, რაც კრებულს ახასიათებს.

ამ ნაყლისათვის შეიძლება „ლიტერატურ-შინაე“ დავეყრდნობი, რაც თითქოს ერთი სიტყვით განსაზღვრავდა მოთხრობების თვისებას, მაგრამ ვაჩადა ამისა, აზრს საკითხების რიგი, რაზეც ახალგაზრდა მწერალი უნდა დაფიქრდეს, ეს მისი შემოქმედებითი ზრდისათვის აუცილებელია.

პირველი შთაბეჭდილება, რაც შეიძლება რჩება, სიყალბის ვრძნობაა, თითქმის ყველა მოთხრობას ახასიათებს სიყალბე და მას რამდენიმე ეითარება იწვევს. უპირველეს ყოვლისა თემის შერჩევა და შერჩეული თემის თავისებური, ხელოვნურად გართულებული დამუშავება. შემდეგ, ერთგვარი, გადაჭარბებული „რომანტიკოსობა“, რის გამოც ავტორს უჩვეულო და „განსაკუთრებული“ ამბები იზიდავს.

თუმცა ოთარ გობრონიძე თითქოს თვითონაც ვრძნობს ამ თავის ნაყლს და ცდილობს სადა იყოს, ოღონდ ასეთი სავანებოდ ხაზგასმული სისადავე, უფრო ნაწილად, სტრუქტურული ხელოვნურად სადა, ხშირად საწინააღმდეგო შედეგს იღებს. ასეთი სისადავე მანერულია და ნაწარმოებების სტილს არაბუნებრივსა და უაღრეს იერს აძლევს.

შესაძლოა მოთხრობის თემა დაქტიურად მომხდარი ამბავი არ იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში ახალგაზრდა მწერალს ჯერ კიდევ არა აქვს ის ოსტატობა, რაც გამოკანონლ ამბავს ლიტერატურულ სიმაჩუღელ გადააქცევს, თუ თითქოს გაურბის ემპირიზმს და იცის, რომ „მხოლოდ აღწერილობა ისევე რჩება შემოქმედების საზღვრებს მიღმა, როგორც აპრიორული კონსტრუქციები“. ამასთან ამინებს უბრალოდ აღწერა და ამის გამო მეორე უკიდურესობაში, ევზოტიკის სიყალბეში ვარდება.

თუ ჩვენ ზოგიერთ უდავოდ ნიჭიერ ახალ-

ოთარ გობრონიძე, „თუა“, საბჭოთა საქართველო, 1963.



ვაზრდა მწერალს ვესაყვედურებო ბოლომდე „მხოლოდ აღწერილობით“ და საკეთარი ბიოგრაფიით დაემყოფილებას და გვაფიქრებს მათი შემოქმედების მომავალი, რადგან მასმედიის გზაზე განზოგადების დიდ უნარს, მეორე მხრივ, ზოგი ახალგაზრდა მწერალი ზედმეტად დაინტერესებული, თუ შეიძლება ასეთი ვთქვას, უსაგნო ზოგადი ვითარებით, ვიყენებული შორალური ნორმებით, „კლასტარული“ დილოსოფიკობითა და ფსიქოპათოლოგიით, რის ვადმოსაყვედაც იყენებს ერთგვარ „ემოციურ სტილს“, ვათავსებულ შინაგან მონოლოგებსა და დიალოგებს.

თათარ გობრონიძის წიგნში დაბეჭდილია ერთი მოთხრობა, „ფიქრი ვარიაციებით“, რომელიც გვარგად გამოატანეს ახალგაზრდა მწერლის მეთოდისა და კონცეფციის მცდარობას.

ჭკრ ერთი, მკითხველისათვის ძნელი დასადგენია, რაში მდგომარეობს მოთხრობის ზნეობრივი არსი და შორალი, იქნებ შორალი ისაა, რომ „შელანქოლია ჩვენს დროში სისულელეა“. როგორც ამას მოთხრობის ერთი გმირი ამბობს და ამიტომ შეიძლება გვიყარდეს ერთი ქალი, წყვეტს სახლში მეორე ქალს, შემდეგ ისიც უბოდიშოდ მიატოვო და თავი სწორედ შელანქოლით იმართო.

მოთხრობა „ფიქრი ვარიაციებით“ ერთი მთლიანი შინაგანი მონოლოგი თუ დიალოგი (ასეთი დიალოგი, როგორც ჩანს, იოლ გზადაა მიჩნეული, თქვი რაც ესტრის და როგორც ესტრის, აქედან — „ფიქრი ვარიაციებით“).

„ისევ მაგონდება ზანდა, ის ახლა სადაც რეაქტორზე ექსპერიმენტს ატარებს და ჰგავს ფრესკას. (სხვათაშორის, მოთხრობაც ამავე ფრაზით მთავრდება „სადაც ატომურ რეაქტორზე ექსპერიმენტს ატარებს ზანდა და ჰგავს ფრესკას“) (შე? ჩემი ასოციაციებიც კი ვერ სცილდება ტყბული ლირიკის ფარგლებს).

„თქვენ ერთნაირები ხართ, შენ და ეს ქალი...“

- „ზანდა?“
- „ზანდა ვკობნის შენ“.
- „რატომ?“
- „იმიტომ, რომ შენ არ გეშინია ანველასი“.
- „გიყვარს“.
- „ზანდასაც ვეყვარვარ“.
- „უყვარხარ... მაგრამ შენ მაინც არა ხარ ბედნიერი“.

„ბედნიერი ვარ, ბედნიერი, ბედნიერი... უკვლა ბედნიერია, ვისაც დიდი სიყვარული შეუძლია...“

ძნელია ამ შინაგანი დიალოგის აზრი ნათლად გაევიგო. მოთხრობის გმირი თავს იმართლებს, იგი თავის თავისადმი კრიტიკულადაა განწყობილი, ბოლოს სენტენციასაც მოაგებს „ყველა ბედნიერია, ვისაც დიდი სიყვარული შეუძლია...“ რა გვეთქმის, საერთოდ ეს სიმართ-

ლეა, მაგრამ იმ კაციისთვის, ვინც ეს კრის უღალატო სიყვარულს, ყალბე კრეატივობა, ლიტერატურაში ბანალურ სტანდარტებს და სეგობს, თუ კი მათ სათანადო კონტექსტში და დროულად ეხმარათ, თუ არა და ყველაზე წინადა გრძნობის გამოშხატველი სიტყვაც კი ბანალურად ამხიანდება.

რაც შეეხება რეაქტორსა და ფრესკას, კონტრასტს თავისი კანონზომიერება უნდა ჰქონდეს, ერთგვარი შინაგანი კავშირი, თავისებური ლოგიკა.

ძნელი მისაგნები როდია მიზეზი, რის გამოც ახალგაზრდა მწერალმა ინტონაციურად ასე განსხვავებული ფრესკა და რეაქტორი ერთ წინადადებაში მოათავსა. ეს მხოლოდ და მხოლოდ ეფექტის მოხდენის სურვილია და თანაც, ზოგი ახალგაზრდა მწერლის მიერ ცუდად გაგებულ, ჰემინგუეისებური კონსტრუქციის მექანიკური კამეორებაა.

და კიდევ ერთი ადგილი: „მქვი ფერები თრთიან ქალაქში.“

სახლები, ხეები, ქუჩები და ყველაფერი მარტივ ხაზებზე არის გადაკეთული, შეუმჩნეველად გამქარაა ოვალი, ოვალი და ხაზის სირბილად ახლა ჩუქურთმას, ჩუქურთმებიც გამქარაა მოლოდინულ და მასთან ერთად ბევრი სხვა რამეც ჩუქურთმას ჰქონდა თავისი ფერი. ეს მქვი ფერი კი მოეტანია დროს, თითქმის გარდასულ დროთაგან ამოუკრეფია. მარტივი ხაზებიც დროს მოეტანია, დიდსა და ძლიერს ყვარები ყველაფერი მარტივი...

გამიზიდებულა ვტრინები, ვტრინები ისერიან ჩრდილებს, რომელიც ტრაპეციის ფორმა აქვთ, მიწაზე ყველაფერი კანონზომიერების ფარგლებშია მოქცეული“.

რა დანაშნულზეა აქვს ამ „ვეომეტრიულ და სპექტრალურ“ აღწერას? საფიქრებელია, ავტორი ხაზებით, ტრაპეციებითა და ფერებით ცდილობს შექმნას ვანწყობილებისა და პლანეტის ნარევი, რამაც თანამედროვეობის ხასიათი უნდა ვადმოსცეს, სადაც ტექნიკამ (ამ შემთხვევაში, საეარაუფლოა, რომ გმირის პროფესიამაც — იგი პილოტი) აზროვნებასა და აღქმას თავისი დადი დაატყო, და ავტორიც ცდილობს თანამედროვეობის ამსახველი ატმოსფერო შექმნას.

და აქვე, ქალ-ვაგი „ხელვადახვეულები მიყვებიან ქუჩას და... დროს“.

ერთი შეხედვით, ამ წინადადებაშიც არაფერია საუფუო, ქალი და ვაგი მიყვებიან ქუჩას, ვასაგებია, „მიყვებიან დროს“, დავეშვათ რომ ესეც ვისაგებია, ოღონდ გულუბრყვილობისა და მანერულობის შთაბეჭდილებას სტოვებს. ახალგაზრდა ავტორი ზოგჯერ ცდილობს შექმნას ვერეფილებული „ეპოქის სული“, მაგრამ იეიწყებს, რომ ინვენტარი თავისთავად

არაფერს არ ქმნის, ხოლო ხანებში, ტრაპეციები, ლანეტრა, რეპტორი და სხვ. ამ მოთხრობაში მხოლოდ ინვენტარია.

თუ ოთახი მორთულია ლეი XV-ის სტილის ავეიო, ოთახში ადგილებზე უნდა ცხოვრობდეს კაცი, რომელიც თავისი ქვეით, ფიჭით, ჩვევებით აფეხს ხასიათს მსცემს, მაშინ თუთ ავეიეი ხას ვალსემს და გამომწერებს პერსონაჟის ხასიათს, ეს ანბანური ქეშპარტებაა, როცა კაცი ლანეტრით დაფრინავს, მისი მეგობარი ქალი რეპტორზე შეშაობს, ხოლო თვით იგი ვარემოს გეომეტრიული ფორმებით აღიქვამს, მაშინ მის აზროვნებასა და ხასიათს უნდა ჰქონდეს ის თვისებები, რაც დროსა და ვარემოს თვისებასა და ხასიათს ასახავს.

და, საერთოდ, აქვს თუ არა მოთხრობას ის სოციალური ხასიათი, რომ მისი გმირები საუკუნის სახელით მსჯელობდნენ.

პირველი პილოტი, ზანდა, ახველა ჩვეულებრივი ადამიანებია, მათი ყოფაც წვეულებრივია და რატომღაც ისინი მაინც არ სტოვენენ ცოცხალი ადამიანების შთაბეჭდილებას, მოთხრობის. მთავარი გმირის სამყარო, როგორც უკვე ვთქვით, ტრაპეციებით, ფრესკებითა და ხანებთან სავსე შირაჟია, სადაც ცხოვრობს მისი იდეალი ზანდა, იდეალი, რომელიც უყვარს და აქვებს, მაგრამ თუ კარგად დავეფიქრდებით, მოთხრობის მთავარ გმირს ზანდა თითქოს არც კი უნახავს, არც შეხვედრას არასოდეს, იმიტომ კი არა, რომ ავტორს მანქანდამაინც სახის — სიმბოლოს შექმნა სერს, უბრალოდ, ზანდა არ არსებობს. არსებობს ფრესკა, არსებობს რეპტორი, ზანდა კი ცოცხალი ადამიანი არ არის, იგი ხელოვნური წარმოსახვის ნაყოფია, რომელმაც, თითქოსდა, უნდა გააწონასწოროს ახველას მოტივი, მიწიერს უნდა დაეპირისპიროს იდეალი. ასეთია მხოლოდ სტრუქტურა, ოღონდ სტრუქტურა ვერ კიდევ არ არის მოთხრობა, ისევე როგორც მოთხრობაში დასახლებული პიროვნება, შეიძლება ვერ გახდეს მოთხრობის პერსონაჟი.

პილოტი, თავისი თვითმფრინავის სტიუარდესს ახველას შეშინებურ საცანში „შეტყუებულნი“, უნებნისყოფა და დაბნეული, პათეტურად ფიქრობს — ზანდა, „ატომური რეპტორი, ექსპერიმენტები დღისით და ღამით“, მერე ამჩნევს, რომ ახველა „კარავს ასო თ-ს“, შენობით მიმართავს მას და მერე...

„გიყვარებარ? — შეკითხვა ახველა.“
„ნუთუ არ შეიძლება უამისოდ.“

მაინც რა არ შეიძლება „უამისოდ?“ თუ იმას ევფლიბებთ, რაც ახველასა და პილოტს შორის მოხდა, მაშინ რასაკვირველია არ შეიძლება, თუ ახველას მის შეკითხვაზე არ უპასუხებს, მაშინ ირღვევა რაღაც წმინდა და ფაქიზი, ირღვევა ზენი წარმოდგენა ზენობაზე.

ახველა ვერც ვერანის ფუნჯი არ არის, მას არ შეუძლია იყოს მხოლოდ მანქანაში „შეუძლია თქვას: „მე არაფერს ვახორციელებ“ იმის თქმა, რომ „ეთიომ არც ყოფილა ეს დღე ჩვენს ცხოვრებაში“ (ახველა ამ ფრაზებს მაინც ამბობს).

ეს ფრაზები, ავტორის სტილით რომ ვთქვათ, სულაც არ არის „საუკუნის კლასიკური ფრაზები“, ავტორს მზედევლობიდან არ უნდა გამორჩენოდა, რომ იგი მხოლოდ ამბავს კი არ ყვება, იგი ცდილობს გადმოსცეს თანამედროვე ადამიანის ფსიქიკა და მისი მოთხრობის არსული მორალურ-ეთიკურია.

მაშინ შეიძლება ერთ მდგომარეობაში, ერთი კაცი რამდენიმე განსხვავებულ ვაწყობილებას გამოხატავდეს; იყოს გულგრილი, ამავე დროს ეალერსებოდეს ქალს, აღიზიანებდეს ალერსი, დაუსრულებლად იმეორებდეს მეორე ქალის სახელს და აქვე დიდი სიყვარულის ზედნიერებაზე ქადაგებდეს.

ძნელი სათქმელია, იქნებ ასეთი მრავალსახეობა“ შესაძლებელიც კია, მაგრამ არის თუ არა ყველაფერი ეს ისეთი ტიპის მოთხრობის თემა, როგორცია „ფიჭრი ვარაიციებიო“? ყოველ შემთხვევაში მსგავსი „მამაკაციური ეგოიზმის“ ზნეობრივი საფუძველის დადგენა არც თუ ისე ძნელია. ასეთი, პილოტის ფორმაში გამოწყობილი „პენზონის“ თუ „ეოჯი დიუ-რეა“ ნაკლებად შეედრება ჩვენს წარმოდგენას თანამედროვე ადამიანზე.

მოთხრობას არ გააჩნია გარკვეული მორალური პოზიცია. მწერალი ყოველთვის უნდა იღვავს გარკვეულ მორალურ პოზიციას და ამ შემთხვევაში ტენდენციურად უნდა იყოს, გარდა ამისა, მას, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეკთლინა და ბორტის ინტუციით გარჩევის უნარიც უნდა ჰქონდეს. ჩვენ იმას, კი არ ვამტყობებთ, თითქოს ოთარ გობრონიძეს ასეთი „მორალური ინტუიცია“ საერთოდ არ გააჩნდეს, მაგრამ მისი პოზიცია მაინც გარკვეულია, იგი იმდენად იზღარბება გარკვეული ფიქტორების, „მოდერნიზმ“, მსჯელობებისა და ხელოვნურად შექმნილი ვითარების ბაღში, რომ, ბოლოსდაბოლოს, ძნელი მისახვედრია, რამ გამოიწვია მოთხრობის გმირის სედა, რა ზნეობრივი საფუძველი აქვს მის ხასიათს და საერთოდ, რისი თქმა სურს ავტორს, როგორია მისი დამოკიდებულება ან თემასთან, ან თანამედროვეობასთან. ჩვენ საგანგებოდ შევჩერდით მოთხრობაზე „ფიჭრი ვარაიციებით“, რადგან იგი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, კარგად გამოხატავს ახალგაზრდა მწერლის ნაწარმოებთა თავისებურებას.

ერთი მხრივ ესაა ნაძალადევი გართულების სურვილი, რაც თავის დაღს სინამდვილის ასახვასაც ამჩნევს, მეორე მხრივ, იგი თითქოს და-

წერილია ერთი ვადადსებული პრინციპით. — „მე ასე ვხედავ“, რამაც, ალბათ, უნდა გაამართლოს ვადადსებული ასიმეტრია, მანერულობა და სიუალებე. ჩვენ მხედველობიდან გამოვგრძნობთ ერთი ვითარებაც, ოთარ გობრონიძის მოთხოვნის ვიზირის ხასიათს მოთხოვნის ვარემო ან, თუნდაც, მოთხოვნის თემა არ ვანაზღერავს. ეს არის ლიტერატურული ხასიათი მოახროვე კაცისა, რომელიც ვარემოს თეითონ განაზღერავს და აფასებს. მოთხოვნის პათოსიც ესაა, ინტელექტუალური და იმავე დროს ემოციური მიდგომა საგნებისა და მოვლენებისადმი, და სწორედ აქ ვერც ვვირი და ვერც ავტორი თანამედვერობას ვერ ინარჩუნებს. მოთხოვნას აქვს რამდენიმე განსხვავებული მორალური და ზნეობრივი პლანი, რაც უარესად აბუნდოვებს თეთი მწერლის მორალურსა და ზნეობრივ მარაგს.

თავისი ვარემული თვისებებით განხილულ მოთხოვნას ჰგავს მოთხოვნები: „ედელეკისი“, „ფართოდ ვაბული თვალები“ და „თეთრი ლაქა“.

ამ მოთხოვნებზეც აქლია კომპოზიციური გამოკვეთილობა, სისადავე და ნათელი აზრი.

მოთხოვნაში „თეთრი ლაქა“ არის ასეთი აღვილი: უდაბნოში, დაზიანებულ თეთიფრინავთან რჩებიან ორნი: დამევებული მფრინავი და ქალიშვილი. მფრინავს ძალი ელევა, იგი კარგავს ნებისყოფას, რის გამოც იქნებ დააღუპოს კიდევ, მაშინ ქალიშვილი...

„ლიამ საყინი ჩახია და პილოტს ჩაეხეია, დაუწყო კოცნა, კოცნიდა შებლზე, ლოყაზე, დაწყდარ ტუნებში.“

— მომწონბარ... მიუვარხბარ. შენ კი ვერ მამჩნევ, არად მავდებ... პილოტი გაეუღბდა, ვაოგნებული შესკეროდა ლიას, ლია ჰკოცნიდა, თან ერემლით უსკელებდა სახეს, პილოტმა იგრძნო, სხედღში სისხლმა დაუწყო მოძრაობა, ვაკოცხლდა ენითებ, დაიბერა, გამავრდა, ძალით აიესა.“

ვარდა იმისა, რომ ასეთი ფინალი მოთხოვნაში ლოგეიტრად არ შემზადებულა, საინტერესოა ერთი ვითარებაც. დავეუთათ, რომ მოთხოვნის ლოგეიტრი მსველელობა ბუნებრივად იწვევს ამ სურათს, მაშინ ლია არ უნდა ამბობდეს უარესად ყალბ სიტყვებს — „მომწონბარ... ვერ მამჩნევ... არად მავდებ...“, ამ სიტყვების ინტონაცია არც შექმნილ მდგომარეობას, არც ლიას მიერ ვაღებულ „მსხვერპლს“, არც დამსხვრეტელ თეთიფრინავს, არც უდაბნოსა და მომავლადე პილოტს არ შეეფერება.

არის კიდევ ერთი საკითხი, რასაც, ჩვენი აზრით, ოთარ გობრონიძემ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს. ეს არის აზრის ზუსტად გამოთქმის უნარი და „ენის გრძნობა“. ამ

შემთხვევაში, რასაკვირველია, ძნელია ავტორს რამე კანონების კრებული შეუქმნოს, რადგან აქ საქმე ევაქვს არა მარტო ენის წინააღმდეგობა, ვეცხათან. არის თუ არა ოთარ გობრონიძის მოთხოვნების ენა პროზის ენა, ის ზუსტი და საზოგადოებრივი ენა, რომელიც ვარემულ ინტონაციას ქმნის და სათქმელს ნათლად გამოხატავს:

ოთარ გობრონიძის მოთხოვნების სტილი დაახლოებით ასეთია:

„...ანველას ვიწრო, ნაკრისფერი ქვედატანი აცვია და თეთრი ვრძელსახელოებიანი პერანგი, პერანგიც ძალიან ვიწროა, მკერდი ანველას ზომამზე მეტი აქვს...“

„...კაბა საბოლოოდ ტოვებს მუხლებს და მირბის ზევით.“

„— ვარეთ ბევრი, ცივი ჰაერი იყო.“

„...თოვლი დაადნო ხელებმა, მშვენებლობის წინ მოედანი ატალახდა.“

„...მთვარის შუქი კონტურებში ძვრწავდა ბარხანებს...“

„...დგავიანდა, — ვეუბნები მშრალად.“

„ვარეთ ენით სინათლეები და უფრო მავრად თოვდა.“

„ოთახის კედლები ხმაურით ინაცვლებენ ქუჩისაკენ.“

„ქუჩი შემინებულ ნაბიჯით მიჰყვებოდა ნაცინბ ვასს.“

„ღმიღში იერია სახე“ და სხვა.

როცა ავტორი ავეიწერს, მავალითად ანველას ვარემობას, იგი ცოტა არ იყოს უხერხულსა და უცნაურ ზერხს მიმართავს, ძნელი სათქმელია, და დადგვილ ზომებს გელისძობს ავტორი, როცა თავისი ვიზირის სხეულს რომელიმე ნაწილს „ზომამზე მეტად“ აცხადებს. ამ როგორ უნდა წარმოიდგინოს მკითხველმა, რომ „თოვლი დაადნო ხელებმა“ და ამის გამო „მშვენებლობის წინ მოედანი ატალახდა“ ამ ეგზემა თუ არა ქართული ენის ბუნებას გამოთქმა — „ვეუბნები მშრალად“. „თეთიფრინავში მე მივიწყებდა ზანდა. ველი რაღაცას, ძალიან დიდს, იგი ზევითაა ზევში და არის ძალიან ლურჯი...“

...მოდრობაში მოდის ყველა დეტალი...

ვეუბნებენ მოტორებში...

გამავრეტებელი ხმაური პრედულია, შემდეგ იწყება დიდებული სექტაცილა.

„ზეცა აბტრაქციია, აქ ყველაფერი ლამაზია და ხელშეუხებია, ყოველგვარი კონკრეტულობის ვარემო, ის არავითარ კანონზომიერებას არ ემორჩილება.“

ჩვენ ეს მავალითი ამოვიწერეთ, როგორც აბალავარდა მწერლის აზროვნებისსათვის დამახასიათებელი სტილი, და უნდა აღენიშნოთ — მოულოდნელი მსყვლობა იმაზე, რომ ამპრესიონისტებმა მატარებლიდან დაინახეს ქვეყანა, რომ „ხელოვნებას არ ავამოცილებს ის, რა-

საეკონომიკური მიწვევები" და რომ „ზეცა მუ-
რია“ ან „ასისტრანცია“ სრულდებათ არ შეი-
ცავს ჩაიხე ვანსავეთრებულ, საინტერესო
აზრს.

გარდა ამისა, ზოგჯერ ერთი, თითქოს უმნიშ-
ვნელო წინადადება ნათელყოფს იმ ფაქტს,
რომ მწერალი არ იცნობს იმ საგანსა და მოვ-
ლენას, რომელსაც აღწერს.

ჩვენ მხოლოდ ორიოდ მაგალითს მოვიტანთ.
ავტორის წერს, რომ თვითმფრინავი ტუ-104-
თან მიაქვთ ათრინიანი ცისტრინით ბენზინი და
„იწყება თვითმფრინავის გამზადება რეისისათ-
ვის“. ტუ-104 რეაქტიული თვითმფრინავია და
მასში ბენზინს არ ასხამენ, საწვავად იყენებენ
ნავთს და თანაც ათ ტონაზე ვაცილებით მეტს.

„საყვირი ათენებდა, ზამთარში მისი ხმა იყო
უფროს დიდი“. თანაც თოვდა, ამ შემთხვევაშიც
ავტორს უნდა ეკლდნოდა, რომ თოვლი ბეგრას
აყრუებს და საყვირის ხმა „უფროს დიდი“ კი
არა, უფრო ყრუ იქნებოდა.

ყოველივე ეს, ერთის შეხედვით წვრილმანია.
მაგრამ ისეთი „წვრილმანების“ გათვალისწინება
აუცილებელია.

ახალგაზრდა მწერალმა ვამოსცა თავისი პირ-
ველი წიგნი, იქნებ ჩვენ გადამეტებელი სიმკა-
ცრე გამოვიჩინეთ მისი განხილვისას, მაგრამ
როგორც უკვე ვთქვით, მთელ რიგ საკითხებზე
მან მეტი უნდა იფიქროს, ეს აუცილებელია
მისი შემოქმედებითი ზრდისათვის.

ოთარ გობრონიძის მოთხრობების მთავარი
ხაკლი სინამდვილესთან და თანამედროვეობას-
თან მის დამოკიდებულებაში მდგომარეობს.

ახალგაზრდა მწერალი მოვლენის აღწერისას
თავისთავს და მოვლენას შორის იყენებს, თუ
შეიძლება ასე ითქვას, ირიბ სარკეს. მაგალითად
„ოუროიულ“ წარმოდგენებს თანამედროვე
პროზაზე, მთელ რიგ ან მელარ, ან ზერელად
გაგებულ წვრილმანებს, რის გამოც საგნები
და მოვლენები არანამდვილო, შეცვლილ ფორმას
იძენენ. იგი საგნის ან მოვლენის აღწერისას
უზვეულო, სწირად უაღრესად პირობით ფორ-
მებს ეძებს, რის გამოც საგანისა და მოვლენის
არსი იცარგება და მისი მოთხრობების უშეტე-
სობა ბუნდოვანი და ამორფულია.

არ შეიძლება ითქვას, თითქოს ოთარ გობრო-
ნიძის „კეთილი სურვილები“ არ ჰქონდეს. იგი
ცდილობს თანამედროვე ადამიანის (რეაქტორ-
ზე მომწვევე ქალი, პილოტი, გეოლოგი, მწე-
ნებელი) ფსიქიკა და განწყობილება გადმოსცეს,
მაგრამ ყოველივე ეს, თუ ვერჯერობით მხო-
ლოდ განუზოტრებელი სურვილია, ამის მი-
ზეზი სხვა ნაკლთან ერთად, ზომიერების
გონიობის დაკარგვაცაა, რისთვისაც ყველა მწე-
რალი დაუნდობლად ისცება, ისცება მითოლო-
გიური მედე მიდასაფიო, რომელმაც აპოლონის
გამოსთხოვა - ყველაფრის ოქროდ გააქონის
უწარი და არ იყოფა, რომ ყველაფრის ოქროდ
გადაქცევა არ შეიძლება (ისევე როგორც არ
შეიძლება ყველაფერი მოთხრობის თემა იყოს),
სწორედ ასეთი „მიდასის ხელის შეგება“ წარ-
მოშობს ლიტერატურაში რაღაც ბრჭყვიასა
და თითქოს ღარებულებს მქონეს; მაგრამ ზე-
ღმერთა და უსარგებლოს.

ოთარ გობრონიძე

კუბა—საბჭოთა მხატვრის თვალში

1961 წლის იანვარში, როდესაც კუბა ახალი
„შეკრა ინტერვენციის საფრთხის წინაშე იღვა,
საბჭოთა კავშირის კულტურის მოღვაწეთა ტუ-
რისტული ჯგუფი ეწვია თავისუფლების კენ-
ძელს. საბჭოთა ტურისტებს შორის იმყოფე-
ბოდა სკაირთვლის სსრ დამსახურებული
მხატვარი ნათელა იანქოშვილი, რომელიც წი-
გნში „მოგზაურობა გვირუღ კენძელზე“ (რე-
დაქტორი მ. ამაშუკელი) თავის შთაბეჭდილ-
ებებს უზიარებს მკითხველებს.

ნათელა იანქოშვილის წიგნის უპირველესი
ღირსება ის უშუალოდ კუბური შთაბეჭდილ-
ებებით შექმნილი გრაფიკული ფურცლები, რომ-
ელშიც ერთხელ კიდევ გამოზრწყინდება მათი
ავტორის, როგორც პორტრეტის შესა-
ნიშნავი ნიჭი. როცა მხატვარი ქალის კუბურ
პორტრეტებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში

უნდა მივიღოთ შემდეგი გაგრძობა. ყველა,
ვინც კი ყოფილა გვირუღ კენძელზე, მეტნაკ-
ლებად დაინტერესებულა მისი თემატიკით: ისი-
ნი უმთავრესად გადმოსცემენ კუბის რევოლუ-
ციური რომანტიკის დაძაბულ დღეებს: სიღრ-
მე ტოტემებით სავსე ქუჩებს, ავტობიან პორტრე-
ტებსა თუ სახალხო მილიველ ქალებს. უნდა
ითქვას, რომ ეს უკვე შტამად იქცა. — ნ. იან-
ქოშვილს კი ინტერესებდა თვით ადამიანები,
კუბელები, სურდა მათი ეროვნული ნიშნების,
ხასიათის თავიანთებრებათა დაჭერა, საერთოდ
და არა მარტო ამ უაღრესად კონკრეტულ სპე-
ციოლოგ განწყობილების დროს. მხატვარს აინ-
ტერესებდა აგრეთვე იმ თანამედროვეობისა და
ერთსელოვნობის გადმოცემა კუბელ თეთრკ-
ანიანთა და შავკანიანთა შორის, რომელიც გა-
ნაპირობა კუბის სახალხო რევოლუციამ.

ნ. იანქოშვილი არის პირველი მხატვარი, რომ-
ელმაც კუბელი ზანგების თემაზე პორტრეტ-
ების ასეთი შესანიშნავი სერია შექმნა. ეს ვაწ-

ნათელა იანქოშვილი, „მოგზაურობა გვირუღ
კენძელზე“, ნაკადული, 1968.

საერთოებით აღსაზრუნავია არა მხოლოდ თემატის აქტუალობის თვალსაზრისით, არამედ ილიაც რომ მისთვის, როგორც შემოქმედსათვის, ეს იყო სრულიად ახალი, უცხო და ხელშეუხებელი მასალა, მასალა, რომელიც მითითებდა გამომავლეს განსაჯებულ ტექნიკას, კომპოზიტორი გადაწყვეტის განსაჯებულ მანერას. „ქავანაში ზანგის პირველი ხილვის უნაღ — წერს ავტორი, — უცერად, ჩემდა უნებლიედ აღმებრა საოცარი ასოციაციები და ერთბაშად დღე სურვილიც დამებდა მათი პორტრეტების მთელი სერიის შექმნისა... მალე შევედქვი ჩემი ამოცანის განხორციელებას, ნახელის და განცდილის სათანადოდ ხორცშესხმის...“

ასეთი ენერგიული მემოიზას შედეგად მხატვარს ეუბნება ყოფნისას დაუგროვდა ორმოცამდე ნამუშევარი, რომელთა სახელდაბელო გამოდგენა პეანინიდან გამზავრებისას იქვე მოაწყო თავის ოთახში, სასტუმრო „რივიერაში“.

ნ. იანქოშვილის ენებრი ჩანახატები კარგად და ცნობილი ჩვენი საზოგადოებისათვის. თვალდაპირველად ავი გამოვინილი იყო ხელოვნების მემკათა სახლში. შემდეგ რუსთაველის სახელობის თეატრის ფოიეში და მხახველთა და სპეციალისტთა საერთო აღარება დამისახურა. 1962 წელს კი სსრკ მხატვართა კავშირისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებთან შეგობრობისა და კულტურული თანამშრომლობის საბჭოთა ასოციაციამ საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში მოაწყო გამოდგენა „კუბა“, რომელშიც ნ. იანქოშვილთან ერთად მონაწილეობა მიიღეს რუსმა მხატვრებმა ე. ივანოვმა და პ. ოსოესკიმ. (სამხვე მხატვარმა ერთად იმოგზაურა კუბაში).

გამორტნის განსახსნე მრავალ საპატიო სტუმროთა შორისა დაესწრო ეუბის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში ვეელიო ტიელესი, რომელმაც მალალი შეფასება მისცა საბჭოთა მხატვრების, კერძოდ, ნ. იანქოშვილის ნამუშევრებს. თავის სიტყვაში მან განაცხადა:

„ჩვენთვის, ეუბლებიანათვის, საბჭოთა მხატვრები — აქ წარმოდგენილი ნამოაოების ავტორები — ივივე მგზნებარე მებრძოლები არიან ჩვენი რევოლუციისა, რადგან ისინი თავიანთი შემოქმედებით ახალი ეუბის სიყვარულს თესვენ ადამიანთა გულბში, იცავენ ჩვენს ხალხს ყოველგვარი ცდისაგან ხელყონ მისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა.

მე დიდად მხახრებს, რომ ნივიერი ქართველი მხატვარი ქალი ნ. იანქოშვილი თავის შემოქმედებაში ასე დიდ ადგილს უთმობს ეუბელ ზანგებს. ისინი ხომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 30 პროცენტს შეადგენენ და აქტიური მონაწილეები არიან ჩვენი რევოლუციისა. უნდა

აღვნიშნო, რომ ნ. იანქოშვილმა კარგად შეიგრძობა ეუბის რევოლუციის არსი და მხატვრულ მხატვებით ასახა იგი თავის ნაწარმოებებში.

საუბრადღებოა, რომ ნ. იანქოშვილი ამ წიგნში წარმოგვიდგება არა მხოლოდ როგორც ნიჰიური მხატვარი, ეს მოსალოდნელიც იყო, არამედ როგორც მეტად მახვილი, დამკვირვებელი თვალის ეუბნალისტი. ეს თვისება, რა თქმა უნდა, თანახრად საჭიროა თრვიე პროფესიის ადამიანებსათვის, მაგრამ აქ თუ ხაზი გავუსვით, მხოლოდ იმიტომ, რომ ბევრს როდი შეუძლია ისევე თანახარი სიძლიერით გადმოსცეს თავისი შთაბეჭდილებანი ფუნქთა და კალმით?! იგი ასეთი საოცარი სიხუნსითა და ქეშმარიტი მხატვრის თვლით მოგვეთხრობს, მავალითად, ეუბელ ქალებზე რომ უნებურად თვალწინ წარმოგვიდგება მათი სრულყოფილი პორტრეტები და თითქოს საჭიროც არაა დაეხედოთ წიგნში წარმოდგენილ ილუსტრაციას.

აი, მვირე ამონაწერი, ზემოთქმულის საილუსტრაციაციოდ:

„...ზანგ ქალებსაც, ისევე როგორც თეთრკანიანებს, ძალიან უყვართ კომპიოზა. მათაც, როგორც წესი, ტრჩები იუციოლები შედებილი აქვთ, თვალბის გასწვრივ კი ოსტატურად აქვთ გავლებული თეთრი ხახები. ძალიან უყვართ ოქროსფერი სამაჭურები და უცნაურად, თითქმის მიერსკოპულად ხეშუშ თმაზე თეთრი, ლურჯი ან წითელი ყვავილის თუ ლენტის გავეთება. იცავენ ძალიან მყვირალა ფერის კაბებს. მათი ფერა აბსოლუტურად განსხვავებულია, ნაკეთებიც სულ სხვაგვარია, ვიდრე თეთრკანიანი ქალებისა, ფეხები აქვთ უფრო წერილი და წერწები, მკლავებიც ასევე წერილი და საოცრად გრძელი. წელიც წერილი, სხეული მეტისმეტად მოქნილი, ფართო ტრჩები, შავი, დიდი თვალთა თეთრად მოელვარე გზრსით და ასევე მოელვარე კბილებით, თვალში გეცემათ კისრის, ერთი შეხედვით, არა ბუნებრივი სიმაღლეს. ზანგ ქალებსაც უყვართ თეთრკანიანებივით საოცრად ვიწრო კაბების ჩაცმა ან პირიქით, გშლილი მარაოსავით ბოლო გაშეყრილი კაბები. ესენიც შალალი, წერილქესლიანი ფეხსაცმელებით დადიან. თუ მათი საზე მიწმადამინც ვერ მოგხიბლათ, სამავებროდ, ტანი ძალიან მოგეწონება...“ ვიმეორებ, განა ეს თავისთავად სრულფასოვანი პორტრეტი არ არის ზანგი ქალისა?

ნ. იანქოშვილის წიგნი საუბრადღებოა პოლიგრაფიული თვალსაზრისითაც. მავრამ ისიც უნდა ითქვას, რომ რეპროდუქციები არათანხარი პროფესიული ოსტატობითაა შესრულებული, რითაც, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოველისა ზარალდება მხატვრის. ასეთებია, მავალითად, „ზანგი კაბები“ (გვ. 7), „ზანგი გოგონები“ (გვ. 11) და სხვ. ეს მით უფრო დისანი-

ნია, რომ წიგნში საერთოდ ბევრია კუშმარი-
ტად მაღალ პროფესიულ დონეზე შესრულე-
ბული რეპორტაჟები.

წიგნის წიგნი რესპუბლიკის გარეთ
ვაიდა და დიდი ყურადღება დაიმსახურა. ამას
მოწმობს თუნდაც ის წერილები, რომლებსაც
გამომცემლობა იღებს ჩვენი ქვეყნის სხვადა-

სხვა ქალაქებიდან. მაგალითად, ახლანდელ
წიგნის ავტორი ს. გერშოვი ეწვევა...
„გზოვით, გამოიგზავნეთ სამი...“
შვილის წიგნისა „მოგზაურობა გმირულ კენჭე-
ლზე“, რომლის ილუსტრაციები ავტორის დიდ
ნიჭიერებას მოწმობენ...“

გიორგი დოლიძე

მცნების უკვდავება

ჩვენი მკითხველები და ლიტერატურული სა-
ზოგადოება კარგა ხანია იცნობს გ. ზუბინის
ნაყოფიერ მუშაობას ქართულ სალიტერატურო
კრიტიკაში.

ახლანდელ გ. ზუბინის გამოსცა დრამატიუ-
ლი ნაწარმოები „ზღვის შვილები“, რომელიც
კარგახანია წარმატებით იღვწება შ. რუსთავე-
ლის სახ. თეატრში.

რითაა სინტერესო გ. ზუბინის „ზღვის
შვილები“ და რამ განაპირობა მისი წარმატება?

უპირველეს ყოვლისა ნაწარმოებში დასმული
პრობლემის აქტუალობამ და კეთილშობილებამ.
რადღუნ საინტერესოც არ უნდა იყოს პუბლი-
კის თეატრალური, სცენიური ფორმა იგი მაინც
უსუსტური და კუშმარიტი დრამატურგის მიღმა
აღმოჩნდება, თუ მასში დასმული არ არის ისე-
თი პრობლემა, რაც მკითხველს და მაყურებელს
აღელვებს. „ზღვის შვილებში“ დასმულია მე-
ტად კეთილშობილური საკითხი — თაობათა
ურთიერთობის პრობლემის სხილი. სიუჟეტი
გაშლილია ერთი ოჯახის ცხოვრების ფონზე,
პიესაში მონაწილეობენ სულ სხვადასხვა თაო-
ბისა და ბიოგრაფიის ადამიანები. პიესის მთავარ
მოქმედ პირი ბოცო კალანდაძე, ოსმალეთის
ფრონტზე იბრძოდა, იგი თავისი ფსიქოლოგია-
თა და მსოფლმეგობრებით რევოლუციამდე ჩა-
მოყალიბდა. მისი შვილი გურამ კალანდაძე კი
ქვრივთან დაეცა მტერთან ბრძოლაში, ზოლო
გურამ — უმცროსი ჩვენი დღეების ჰაბუსკა,
იგი დაიბადა მაშინ, როცა ჩვენი ხალხი სა-
კდრო-სასიცილებლო ბრძოლას აწარმოებდა
გერმანულ ფაშისტებთან.

მასხალად, პიესაში წარმოდგენილია სა-
ბრუნო სხვადასხვა თაობა, სხვადასხვა სუ-
ბიური სამყარო. კონტრასტული იყო მათი ბე-
ჭობა და სიკვდილზე სრულიად სხვადასხვა
იყო დროებიც, როცა თვითველი მათგანი ჩა-
მოყალიბდა მორალურად და ზნეობრივად. დრა-
მატურგისთვის ეს არის საშუალება, რათა მკი-
თხველს გაუჩინოს, წარმოუდგინოს სხვადასხვა
ეპოქის ადამიანების რთული ბუნება და სულ-
ერი სამყარო, ამავე დროს გვიჩვენოს, თუ რა

ურთიერთობაში არიან ეს თაობები ერთმანეთ-
თან. საკითხის ასეთი დასმა ერთნაირად საპა-
ტიოა და საპასუხისმგებლოც ყოველი დროის
კუშმარიტი შემოქმედისათვის. დრო, რომე-
ლიც თაობებს შორის დგება, ვერ ამოირებს მათ,
რადგან ზნეობრივი სისპეტაკე, ეთიკაობა, სიკ-
ვარული — ეს სამი მცნება დაახლოებით ერთი-
ადასეული თაობის პატრიოსანი კაცისთვის.

ბოცო კალანდაძის დაწყებულ საქმეს თავისე-
ბურად აგრძელებს მისი შვილი გურამი, ზოლო
ამ უკანასკნელის დაწყებულ საქმეს მისი შვილი
გურამ-უმცროსი აგრძელებს. თავისთავად ზღვი-
ში დაღუპული მამების საქმის გაგრძელება ის
ფაქტი, რომ გურამ-უმცროსი და მისი მეგობ-
რები ზღვის ფსკერიდან ამოიღებენ გემს —
„იმილს“, გემს რომელზედაც იბრძოდნენ მათი
მამები. გმირული იყო მამების ბრძოლა მტერ-
თან, მაგრამ ნაკლები გმირობა რილია ზღვის
ფსკერიდან, ისიც გაუნდამავ ადგილებში, გემის
ამოყვანა. აქ არის თაობათა ჯიბრი, მეტი სიკ-
თისა და ეთიკაობის გამოჩენაში. გურამ-უმცრო-
სიც და გურამ-უმცროსიც რომ ისწრაფვიან ამ
ეთიკაობისაკენ.

გ. ზუბინის თაობათა ურთიერთობა არ ეს-
მის პატრიარქალური გაგებით, რადესაც მამე-
ბის ცხოვრებას, თითქმის, ზედმიწევნით იმე-
რებდნენ შვილები. მართალია შვილები სწავ-
ლობენ თავიანთი მამების ცხოვრებას, მათ გა-
მოყალიბებას და იღვივან კიდევაც ისე იცხოვ-
რონ, როგორც იცხოვრებდნენ მათი მამები, მაგ-
რამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, თითქმის
უმცროსი თაობა ზედმიწევნით იმეორებს უფ-
როსთა განვლილ გზას. ახლები იბრძებიან და
წინ მიდიან, ისე როგორც წინ მიდის დრო, მის
მაჩისევეს უფარდებენ თავიანთ ყოფას. ამ შემ-
თხვევაში არც მამები იხნენ კონსერვატიზმი,
რომ ზელი შეუშალონ და დაამუხრუჭონ შვი-
ლების წინსვლა. მამებს ესმით ამ მოვლენის არ-
სი. ეს რომ მათვე გზის გაგრძელება, მათვე
წინსვლა, ასევე ესმით ეს შვილებსაც. ისინი აბ-
რძვიან რათა იყვნენ უფრო წინდანი და უფრო
მღალანე. ამ ბრძოლით მომავალი თაობა აცოცხ-
ლებს წსულბურ ოცნებას, ფრთხილ ასხამს მამა-
პაპათა ნაფიქრალს, და ამით ოცნება უკვდავი
ხდება.

გიორგი ზუბინი, „ზღვის შვილები“, ლი-
ტერატურა და ზედოცნება, 1963.

გ. ხუბაშვილის „ზღვის შვილების“ პერსონაჟები ძლიერი ემოციურობით განიცდიან ყველაფერს, რაც მათ ირგვლივ ხდება. ისინი უაღრესად პოეტური ბუნებისანი და უშუალონი არიან, როგორც პირად ცხოვრებაში, ასევე ერთმანეთთან დამოკიდებულებაში. როცა ბოცო ამბობს: „ზღვა ყველასთვის ზღვია... წყალია, დიდი წყალი. ჩემთვის სულ სხვია, ცოლის ზღვებია, შვილის სუნთქვია...“ ან გურამ-უფროსი ვახტანგს ეუბნება: „ეი იცის იქნებ ჩვენც ვიყავით ოდესღაც ამქვეყნად, ვთქვათ თამარ მეფის ან სააკაძის დროს... ვაივლის წლები და ასევე ვიქნებით ისეთები როგორიც ვართ... ეს ზღვა იქნება, ეს ნახსადგურიც, ოღონდ უფრო დიდი გემები მოვლენ აქ“. ზვენი ამ სიტყვების მიღმა ვხედავთ ადამიანს, რომელიც უზარალოდ კი არაა დიანტრეგსებული კვეყნის სიაყვარებზე ფიქრობ, არამედ პოეტური თვალთა უფროებს უფიქრო, სიციცხლეს. თვით ის ფაქტი რომ გურამი ყოფილი სილამაზეზე ლაპარაკობს, იმაზე მიუთითებს, რომ ეს ადამიანები რომანტიულად უფროებს სიციცხლეს. ამიტომაც გვეჩერა ბოცოსი და გუ-

რამ-უმცროსისა. გვეჩერა მისი შეგობრების აზრებისა და ცხოვრებისა. და როდესაც უფროსი, როცა პიესის ფინალში ბოცოს უკმაყოფილებს: „კიდევ ჩაველენ ზღვის უფსკრულში და დაბრუნდებიან... მიუვალ მწვერვალებზე ავლენ და მაინც დაბრუნდებიან... ვარსკვლავებში ჩაიკარგებიან და მაინც დაბრუნდებიან“. ეს სიტყვები შეიძლება მეტად პათეტიკურად მოგჩვენოს ეზნებს, მაგრამ ისეთი ოპტიმიზმის გამოსახატავად, როგორთანაც ამ შემთხვევაში გვაქვს საქმე, სწორედ ზედგამოჭრილია. რადგან ეს არის პათეტიკა, რომელიც ოპტიმიზმის აშშენებელ და ყაშირის გამტებს თაობას ეკუთვნის.

გ. ხუბაშვილის „ზღვის შვილების“ პრობლემატურობა, ცხოვრებისეული სინამდვილის მხატვრული სახეებში განზოგადება, გვაძლევს იმის საბაზს რომ ვთვლიყოთ — გ. ხუბაშვილი მომავალშიც საფურაღლებო პიესებს შემატებს ქართულ თეატრსა და დრამატურგიას.

გურამ ბათიაშვილი

ახალი ნაშრომი საქართველო-რუსეთის

ურთიერთობის ისტორიიდან

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომების 94-ე ტომში (1963 წ.) გამოქვეყნებულია დოქ. ლ. ალექსიძის შრომა — „საქართველოს ურთიერთობა რუსეთთან XVI-XVIII სს. (საერთაშორისო-სამართლებრივი გამოკვლევა)“, რომელიც ავტორის მრავალწლიანი კვლევის შედეგს წარმოადგენს. ეს შრომა განსაუკურთხებულ ყურადღებას იპყრობს თუნდაც იმიტომ, რომ ლ. ალექსიძის მიერ მომარჩვებული თვალსაზრისით საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორია ჯერ არ გამხდარა სპეციული კვლევის საგანი. ამას თუ დავუმატებთ საერთოდ შრომების სინციარეს საქართველოს ისტორიის ამ სფეროში (თუნდაც ავტორი, ჩვენი აზრით, საკმაოდ უსაფუძვლოდ ამტკიცებს, რომ საბჭოთა ისტორიოგრაფიამ „აღადგინა თითქმის ყველა რგოლი საქართველო-რუსეთის პოლიტიკური კავშირისა“), ანდა ვთქვათ ამ შრომით გამოწვეული ინტერესი.

ნაშრომის პირველ თავში „XVI-XVIII სს. საქართველოს საერთაშორისო-სამართლებრივი მდგომარეობის ზოგადი სურათი“ ლ. ალექსიძე

მოკლედ აღწერს საქართველოს მდგომარეობას აღნიშნულ საუკუნეებში და მის ბრძოლას ირანისშალიეთის მოპაღების წინააღმდეგ.

შემდეგ ავტორი ვადაღის XVI-XVIII სს. ქართლ-კახეთის სამართლებრივ სიტუტუსზე და ამ თვალსაზრისით რამდენიმე ეტაპს გამოყოფს. 1518 წლიდან ქართლ-კახეთის მეფეებმა ცხეს ირანის ბატონობა და ვადაიქციენ „მულქი მოურუს“-ის ტიპის მმართველებად, ე. ი.: ქართლი და კახეთი ვანგუთენენ ისეთ პოლიტიკურ-ტერიტორიულ ერთეულთა კატეგორიას, რომელთაც განსაზღვრული დინასტია მართავდა. მმართველი სარგებლობდა საკუთრების უფლებით და ამ მოსახლეობის სუვერენი იყო. ამით განსხვავდებოდა იგი ბეგლარ-ბეგებისაგან (ოლქების მმართველები), სულთანებისა და ხანებისაგან (მომთაბარე ტომების მეთაურები) და მეორე ტიპისაგან (ბინადრ ტომთა მეთაურები), რომლებიც მთლიანად შაჰისაგან იყენენ დამოკიდებული და მისი სურვილითვე იცვლებოდნენ. ლ. ალექსიძე დაწერილებით აღწერს „მულქი-მოურუს“-ის წოვალეობებს და ეს პერიოდი მოყავს XVII ს. დამდეგამდე.

ავტორის მიერ გამოყოფილი მეორე პერიოდი — XVII ს. დასაწყისი — XVIII ს. შუა ხანები — ძირითადად ემთხვევა ქართლ-კახეთის მაჰმადიანი მეფეთა განმგებლობის ხანას. ამ დროს, ავტორის აზრით, კახეთი ირანის ჩვეულ-

Л. Алексидзе — Взаимоотношение Грузии с Россией в XVI—XVIII в. в. (международноправовое исследование): თსუ შრომები, ტ. 94, 1963.

ებზე პროვინციად ითვლებოდა. მმართველი ხანი შაის მოხელე იყო, რომელსაც შაი ჯამგარს ამოუცდა. ქართლი კი წარმოადგენდა ირანის პრივილეგირებულ პროვინციას შაის ნაცულის „ეილს“ განმგებლობით (პირველი „ეილი“ როსტონია).

შესამე პერიოდში — უნდა ვივთხროთ XVIII საუკუნის მეორე ნახევარი — ირანის ძალაუფლება ნომინალური ხდება, რასაც ლ. ალექსიძე ირანის დასუსტებითა და თეიმურაზურგელს მოქნილი პოლიტიკით ხსნის. ამავე დროს ავტორს მიაჩნია, რომ ასეთი მდგომარეობა დიდხანს ვერ გაგრძელდებოდა, რადგან ირანი გაძლიერდებოდა და საქართველოს, რომლის საშინაო მდგომარეობა კატასტროფულად მიუქანებოდა ქვეითი, უარეს დღეში ჩაადგებოდა. ამ ეთარებაში გადაწყდა: რუსეთისადმი ნებაყოფლობით დამორჩილება გზით ირან-თურქეთის საუკუნოებრივი ჩაგვრისაგან თავის დახსნა.

როგორც აღნიშნეთ, საქართველო-რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის პერიოდისათვის ეს ცდა, რომელსაც ავტორი ადევნის, საქართველოს სამართლებრივი სტატუსის პრიზმაშია გადაკეთილი, რაც ამ საკითხით დანიტერესებულ ისტორიკოსისათვის არ შეიძლება განმსაზღვრელი იყოს. მაგრამ აქ ერთ სასიამოვნო მოულოდნელობას ვხვდებით: საქართველოსა და რუსეთის პოლიტიკური ურთიერთობის შესწავლა შესაძლებლობას იძლევა ლ. ალექსიძისეული პერიოდისათვის შემარგებელი იქნეს საქართველოსა და რუსეთის საგარეო-პოლიტიკური ინტერესებისა და მათი პოლიტიკური ურთიერთობის ხასიათით. ასე რომ ლ. ალექსიძის პერიოდისათვის ძირითადად მისაჩვენებელი და შრომის ერთერთი თანსებად უნდა ჩაითვალოს.

ნაშრომის მეორე თავი განიხილავს კახეთისა და მოსკოვის სახელმწიფოს ურთიერთობას XVI ს. 60-იან წლებში, სადაც ავტორი უარყოფს მიღებულ აზრს იმის შესახებ, რომ რუსებმა თურგის შესართავთან 1563 წელს აიგეს ჭალაქი და მის ტარზე (რუსულად „ტარა“) ეწოდა (იხ. „საქართველოს ისტორიის“ უკანასკნელ წლებში გამოცემული სახელმძღვანელოები, ი. ცინცაძე). ავტორის მტკიცებით, ეს ჭალაქი მხოლოდ 1588 წ. დაარსდა. რუსების სიმაგრე აიგო 1567 წ. და ისე სუნეის შესართავთან.

ავტორი საქმიად დამატებდად აღვსნის, რომ კახეთის მეფის ლევანისა და ივანე IV-ის შორის ურთიერთობის დამყარება (რუსთა დამხმარე რაზმის გამოგზავნის ჩათვლით) მომხდარა არა 1565-1572 წ.წ. (ი. ცინცაძე), არამედ 1564 წლამდე. ამასთან ერთად იგი უარყოფს ევრაზიან, რომლის თანხმად რუსთა რაზმი 500 კაციისაგან შედგებოდა. ეს ციფრი მას ვადაჭარბებულად მიაჩნია.

შემდეგ ლ. ალექსიძე გადადის ხელშეკრუ-

ლების საკითხზე და კატეგორიულად აცხადებს, რომ არავითარი მფარველობითა ხელშეკრულება მოსკოვისა და კახეთს შორის ამ პერიოდში დადებული არ ყოფილა. იგი ხაზს უსვამს მოსკოვის პასიურობას ა) კავკასიის საქმეების მიმართ, მაგრამ იქვე აღნიშნავს რუსეთის კავკასიასთან ურთიერთობის ობიექტურად დადებით ხასიათს ირან-ოსმალეთის აგრესიის შეფერხების თვალსაზრისით.

შომდეგო თავში ავტორი განიხილავს საქართველო-რუსეთის პირველ ხელშეკრულებას მფარველობის შესახებ (XVI—XVII ს. ს. მიქნა). ლ. ალექსიძე არ ეხება საკითხის ისტორიულ მხარეს — როგორც საქმიად ცნობილს — და ამოუცებს მის იერიღიულ აზრს. იგი განიხილავს ამ ხელშეკრულების შეფასებას — მრავალფეროვნება და ურთიერთ გამომრიცხავს („ქვეშევრდომობა ვასალიზაციის აზრით“ — ს. სოლოვიოვი, ს. ბელოკეროვი, ს. იუშკოვი, ი. ჯავახიშვილი, ი. ცინცაძე, „ქვეშევრდომობა ვასალიზაციისა და პროტექტორატის აზრით“ — ზ. ავალოვი, ქვეშევრდომობა... „მფარველობა“, „ვასალიზაცია“, ხელშეკრულება ურთიერთდამხმარების შესახებ“ — ნ. ბერძენიშვილი, „მფარველობა“ — აღენი, „დიპლომატიური ურთიერთობათა დამყარება“ — დ. ლენგი) და აღნიშნავს, რომ ამ ტერმინების ხმარებას მხოლოდ აღრევა შეუძლია შემოიტანოს. შემდეგ, დასავლეთ ევროპის საერთაშორისო სამართლის დადგენილი ნორმების შესაბამისად, ავტორი არჩევს სახელმწიფოთა შორის არსებულ ურთიერთობათა ფორმებს — ვასალიზაციას, მფარველობას, სიუზერენიტეტს, პროტექტორატს, ვადადის მამკადაიური ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებზე (სიუზერენიტეტ-ვასალიზაცი), მოსკოვის სახელმწიფოს, რომელმაც „XVI ს. ბოლოს შექმნა რიგი სახელმწიფო დამოკიდებულებების სახეებისა“, სადაც, მისი აზრით, განიარჩევა ურთიერთობა და დამოკიდებულების ფორმა მამკადაიურ ქვეყნებისა და ხალხების მიმართ.

შემდეგ ავტორი ეხება კახეთ-მოსკოვის 1587-1589 წ.წ. კავშირს, რომლის დეტალურად გარჩევის შემდეგ ასეთ დასკვნებს აკეთებს: ხელშეკრულება ემყარება დამხმარების მოპოვების მიზნით კახეთის ნებაყოფლობით მიმართვას მოსკოვისადმი; მოსკოვი იღებს ამ წინადადებას „პრობლემატურად ხსნის მიზნით“; კახეთი ნებაყოფლობით აღიარებს მოსკოვს მფარველად, ნებაყოფლობით ექვევად დამოკიდებულებაში; სამხედრო-პოლიტიკური მოვალეობის თვალსაზრისით ხელშეკრულება ორმხრივ, თავდაცვით-შტრეკით ხასიათს ატარებს და ა. შ. და საბოლოოდ ამ აქტს უწოდებს „ხელშეკრულებას მფარველობის შესახებ“, ხოლო კახეთის სტატუსს — „დამოკიდებულებას“, მაგრამ არა „ქვეშევრდომობას“ და „ვასალს“.

უკანასკნელი, მეოთხე თავი მიძღვნილია გეო-

ოგივესკის ტრაქტატის იურიდიული ბუნების გარკვევისადმი. ლ. ალექსიძე განიხილავს რუსეთის შთაბრძნისა და ერეკლეს საგარეო-პოლიტიკურ აზოცანებსა და მათ განვითარებას XVIII ს. 70-80-იან წლებში და ასევე, რომ 1783 წლის ტრაქტატის დადების ინიციატივა პეტერბურგს ეუთვნოდა, რომლის ნაბიჯებში ამ მიმართულებით მომზადებული ნიადაგი ნახა საქართველოში. შემდეგ ავტორი განიხილავს ტრაქტატის საერთაშორისო-სამართლებრივ შეფასების ისტორიოგრაფიას და აქვს დიდ მრავალფეროვნებას ავლენს. კერძოდ:

ა) 1783 წლის ხელშეკრულება არის „მფარველობითი კავშირი“, „ხელშეკრულება კავშირისა და მფარველობის შესახებ“ (ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე, ე. დონდუა), „პროტექტორატი“ (მ. ხელთუფლიშვილი, ნ. კორკუნიოვი, ბ. ნოლდე), „პროტექტორატი-სიუზერენიტეტი“ (ფ. ლასტი), „პროტექტორატი და ვასალიტეტი“ (ზ. ავალოვი) და „პროტექტორატი ვასალიტეტის ფორმით“ (ი. ნიპოლდი, ი. მარკოვა).

ბ) 1783 წლის ხელშეკრულებას მიხედვით ქართლ-კახეთის სახელმწიფო „ჩნება სუვერენულ, ნაგრამ დამოკიდებულად“ (ი. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი, ი. ცინცაძე, ნიპოლდი, ლუ-ფროი), „გადაიქცა არასუვერენულ“, „დაამოკიდებულ“ ერთეულად (მ. ხელთუფლიშვილი, ავალოვი, ნ. კორკუნიოვი, ბ. ნოლდე, მ. მუსხელი).

ლ. ალექსიძე დაწვრილებით განიხილავს 1783 წლის ტრაქტატს და მიღის შემდეგ დასკვნებამდე:

აქამდე ჩვენს მეცნიერებაში არსებობდა აზრი, რომ საქართველო-რუსეთის მანამდე არსებული ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, რომლებიც ქართლ-კახეთს აქვეყნებდნენ, „ვასალურ“ სახელმწიფოდ აქცედა, 1783 წლის ტრაქტატი იფარგლებოდა „სამოკავშირეო ვალდებულებებით“. ავტორის აზრით კი სწორედ ეს ტრაქტატი ხდოდა საქართველოს სტატუსის ფორმის ინიციატივას ახალ-სახელმწიფოდ და ისეთ ვალდებულებებს აკისრებდა მას, რასაც არცერთი მანამდე არსებული მფარველობითი ხელშეკრულება არ შეიცავდა (გვ. 88).

ტრაქტატი იყო, განაგრძობს ავტორი, თავისი დროისათვის ტიპური „მფარველობა“, რომელიც ეყრდნობოდა რუსეთის მიერ საქართველოს დამორჩილებას და ახალ ნაბიჯს საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში. ამვე დროს, ეს აქტი იყო იმ „პროტექტორატების“ პირველსახე, რომლებიც XIX-XX სს. დამკვიდრდნენ ევროპის სახელმწიფოთა პრაქტიკაში და ემყარებოდნენ პროტექტის საგარეო-პოლიტიკურ ქმედებებთან დაკავშირებული დამორჩილებას, შეზღუდვასა და ლიკვიდაციასაც (89).

ავტორი ხაზს უსვამს გეორგიევსკის ტრაქტა-

ტის განსაკუთრებულ მნიშვნელობას რუსეთის დიპლომატიის ისტორიისათვის. ალექსიძის ერთ საკითხზე ამხვილებს უმჯობესებს ტრაქტატის კლასობრივ შინაარსზე (რასაც არ ექცეოდაო ყეროვანი უტრადღება) და წერს: „ამრიგად, გეორგიევსკის ტრაქტატი წარმოადგენდა შეთანხმებას ორ ვაბატონებულ კლასს შორის, რომელთაგან თითოეული მკაფიოდ ჩამოყალიბებულ კლასობრივ მიზნებს ისახავდა. ეს მხოლოდ *modus vivendi* იყო: ადრე თუ გვიან, შესაფერა კონფინტურის პირობებში, რუსეთი თავის ბატონობის გაძლიერებას შეეცდებოდა, ქართლ-კახეთი კი სრული დამოუკიდებლობის მოპოვებასა და რუსეთის მფარველობიდან გაძლიერებული სახით გამოსვლას“ (90).

დასასრულ ავტორი ხაზს უსვამს ქართლ-კახეთის პოლიტიკოსების მიერ გადადგმული ან ნაბიჯის პროგრესულ მნიშვნელობას.

ასეთია ლ. ალექსიძის ნაშრომის სტრუქტურა და ძირითადი მოსაზრებანი. როგორც დავინახეთ, განსაკუთრებულ ხაზგასმას არ მოითხოვს მისი ორიგინალური ხასიათი და მოსაზრებათა დამაყრებლობა, რომლებიც შემადგენელია ქართული, რუსული და უცხოური წყაროებითა და ლიტერატურით. ავტორი ამჟღავნებს ფართო ერედიციას, მისი ყოველი პიპოთეზა თუ დასკვნა ნაყოფია საკითხის გულდასმით შესწავლისა, რაც არ გამოირჩევა მეცნიერულ სითამამეს.

ლ. ალექსიძის შრომა ზოგიერთ შენიშვნასაც იწვევს.

ნაშრომის ქრონოლოგიური ნარჩობია, როგორც ვნახეთ, XVI—XVIII საუკუნეები. მაგრამ შრომა გვირდს უფლის XVII საუკუნეს, რაც არაფრით არ არის გამართლებული. როგორც ცნობილია, საქართველო-რუსეთის ურთიერთობის ისტორიაში XVII საუკუნეს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სწორედ ლ. ალექსიძისათვის საინტერესო თვალსაზრისით: გარდა კახეთისა, რომელიც კვლავ რჩება მთავარ ავტრად, რუსეთთან დიპლომატიურ ურთიერთობას ამყარებენ საქართველოს სხვა სამეფო-სამთავროებიც — იმერეთი, სამეგრელო, თუშეთი — და, რაც მთავარია, გარკვეულ ურთიერთვალდებულებებს კისრულობენ, რასაც ხშირად ხელშეკრულებების ხასიათი ეძლევა.

ნაშრომის 9-ე გვერდზე ავტორი წერს: საქართველოს სამინიშ-პოლიტიკური და საერთაშორისო მდგომარეობა XVI—XVIII სს. წარმოადგენდა ლოკატურ შედეგს შავკალსაუკუნოვანი ბრძოლისა ურდოების შენოსვესთან, რომელნიც ეკონომიური განვითარების ვაცილებით დაბალ დონეზე იდგნენ. ჩვენი აზრით, საქართველოს სამინიშ-პოლიტიკური და საგარეო მდგომარეობის გაუარესების მიზნები მართკ ურდოების შემოსევებში არ უნდა ეხებოდო. გა-

რდა ამისა, არც დამპყრობელთა ეკონომიური განვითარების დონეა მთავარი დამყრობილისათვის.

როგორც აღნიშნეთ, ქართველი ხალხის შეუპოვარ ბრძოლას მამადაიანთა წინააღმდეგ ავტორი მიწინააღმდეგობის წესს უკავშირებს. იგივე ახსნა აქვს ქრისტიანობისა და მამადაიანობის მმადრ ბრძოლას საქართველოში. ჩვენი აზრით, ეს ახსნა არ არის საკანონი. ავტორის მზედველობიდან რჩება, რომ მამადაიანობის გამარჯვება ქრისტიანობაზე ნიშნავდა „ქართველობისაგან“ უარის თქმას, ე. ი. ქართველი ხალხის პოლიტიკური, ეკონომიური, სოციალური და კულტურული თეთიშობადობისა და დამოუკიდებლობის გაქრობას. სწორედ ეს არის მთავარი მომენტი — მიუხედავად არაერთგზისი მარცხისა — ქართველი პოლიტიკოსების რუსულ

ორიენტაციისაში, აქ უნდა ვეძებოთ იმ ორიენტაციის დატენვებში, რომელიც საბჭოთა ორიენტაციის მიზნებშია. ქართველი მოქრის-მფლობელობის წესის აღმოსავლურით შეცვლა არ გამოიწვევდა — ყოველ შენსხვევაში, მარტო ეს მომენტი ვერ მოიტანდა ასეთ შედეგს.

23-ე გვერდზე ლ. ალექსიძე რატომღაც იმეორებს მოძველებულ თეზის „სონ“-ის „სუნთან“ იგივეობის შესახებ. ვარკვეულია, რომ რუსულ „სონ“ ქართულ სოფს შეესატყვისება. „სონსკი კნიაზ“ კი არავის ერისთავს.

ქართული დიპლომატიის ისტორიას გვერტი არ მოეპოვება ასეთი სახის საეციალური გამოკვლევები. ამიტომ ლ. ალექსიძის შრომის გამოხვლა უდავოდ მისასაღმებელია, როგორც დანიშნულების, ასევე შესრულების დონის თვალსაზრისით.

ნოზარ ნაპაშიძე

ზურაბ ლორთქიფანიძის ახალი ლექსები

ზურაბ ლორთქიფანიძის ლექსების სარეცენზიო წიგნისათვის, უპირველეს ყოვლისა, დამახასიათებელია თემატური მრავალფეროვნება, რაც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის პოეტის ინტერესთა სფეროზე.

კრებულთა იხსნება ვახუტ „პრაფდისადმი“ მიძღვნილ ლექსით. პოეტი მახვილი პოლიტიკური სტრიქონებით გვესაუბრება ბოლშევიკური პრესის ამ მასობი იარაღის გვირუღ საქმეებზე. „პრაფდის“ თვითველ ნომერს „ეგებება კაცი ოცნებით“, რადგან მის ფერცლებზე ასახულია ჩვენი ქვეყნის დიდებინა და გამარჯვების დღეები, მომავლის ნათელი გზები. ყოველ ნომერს თან ახლავს ლენინური მგზნებარება, პირდაპირობა და პრინციპულობა:

და დარის ქვეყნად
„პრაფდა“ თავის ძლიერი ფრთებით,
არ აყრთობს, არა, ქარიშხალი,
ქვეა-ტყეების,
უსმენენ ვრცელი ველები და
ზეიადი მთები
მის მალად სიტყვას,
ვით დიდებას ჩვენი დღეების.

პოეტი საღამს უთვლის „პირველ გამარჯვებულთ, პირველ გზის მჭრელებს“, უამააცეს დევგვირებს, რომლებიც ვახდენენ „ეარსკვლავებში გზების მიცნენი“, ყველა მათ, ვინც შორს გასტყორცნა თავისი მშობლიური კუთხის სახელე, უკვდავყო იგი. პოეტმა იცის, რომ საბჭოთაი დამიანის შესაძლებლობანი უსასრულოდ მრავალმხრივია, მის წინ ფართო პორიზონტია გო-

დაშლილი. მილიონები შრომობენ, იბრძვიან, უყვართ, აღფრთოვანებული არიან ოცნებითა და იმედებით. მათი ფიქრები ნათელი და წმინდაა. პოეტს იტაცებს თანამედროვე ცხოვრების ეს მძლავრი გაქანება, მჭქეფარე მაქისცემა, სიცოცხლის უკვდავი სიმღერა. ლირიკული გვირის განცდებში იშვიათი უშუალობითაა გადმოცემული ახალი დამიანის შინაგანი სულერი სიყვარო. მისი სიყვარული სამშობლოსადმი, ხალხისადმი, თავისუფალი შრომისადმი.

მაშლის დღევანდელთა საესეა სილამაზათა და მშვენიერებით, რაც პოეტის სულში ღრმა პატიოტულ ალტკინებას იწვევს. ეს კარგად ჩანს ლექსში „წამი ღირს ერთ საუკუნედ“, რომელიც სამშობლოს სიყვარულის გულწრფელ აღსარებას წარმოადგენს:

თვალი სიცოცხლე დამარბდა,
ღრო მკერდზე ზევაოდ დამეცა,
ცისარტყელებმა დაზატა
ჩემი მინდერები და ზეცა.

წუთი ღირს ერთ საუკუნედ,
წამი ღირს ერთ საუკუნედ

პოეტი ოცნებით გადადის საქართველოს წარსულში. წარმოსახვაში იღვიძებენ ლევენდებ, „ხარის და ვეფხვის ტყავები ქედებზე გამოლოლან უმკაცრეს წარწერებით“, რომლებზეც პოეტი კოთხულვას წინაპართა გვირობისა და ვეკაცური შეუვლობის ამბავს. ზ. ლორთქიფანიძე ნათელ, კონტრასტულ ფერებში წარმოგვიდგენა ძველსა და ახალს, კარგად აკავშირებს ქლარა: წარსულს ცოცხალ დღევანდელობისთან. გადასული დროის პოეტური სურათები დანახულია თანამედროვეობის მღალი შეგნების პოზიცებიდან. რეალისტურ მიდგომას იჩენს იგი

ზურაბ ლორთქიფანიძე, ახალი ლექსები, ლიტერატურა და ზელოვნება, 1963.

წინაპართა მხატვრულ შემკვიდრებასთან და-
მოკიდებულების საკითხშიც და აცხადებს „ბავ-
შევიით გასულს გავეურებ გზაზე ჩემს ხმას
ამოხრადის მძლავრ სხეულადანო“. შეგნებული
აქვს რა თავისი მოვალეობა ეპოქის, ხალხის წა-
ნაშე, მას მიზნად აქვს დასახელი, რომ საქმიან
პასუხობდეს ამ მოთხოვნებს:

დღეიდან უფრო გაძლიება გმირთებს,
ჩემო ძარღვებო და გული ჩემო,
ამ სიუცუნეს, დღეიდანამ მშფოთვარს,
უნდა დევრა ძალა უჩვენო“.

პოეტი თავის მოქალაქეობრივ მოვალეობას
ამაში ხედავს, რომ გაიზიაროს ხალხის ჭირი და
ღბანი, მათთან ერთად იყოს ჩაბუთი შრომის
დიდ ფერტულში და მისი ალალი სამღვრიის ამ-
ხნევებდეს, შთაავრონებდეს ადამიანებს.

ბავშვობის წლებს ვახსენებას თან ახლავს
რომანტიკა. მოგონებები ერთმანეთს ცვლიან პო-
ეტის გონებაში. სპეტაკი ბავშვი პოეტში კვლავ
ცოცხლობს: „როცა წითლდება, როცა ფიჭო-
რდება, როცა ცრემლებად დნება“. იგი ათრთო-
ლებული ევედრება ბავშვურ საწყისს: „თუცა
გადავცეც, შენ გამაწითლე, თუცა შეეცოდე,
შენ გამაფიქრე, გულს განაფხულეს მომარტვი
თარჯი და ფეხშიშველმა დამიდარაჯეო“.

ბავშვობის დღეების მოგონებებს უკავშირდუ-
ბა ლექსები: „გზად ფეხშიშველმა დამიდარაჯე“,
„თუთრ ჭადრაიანო... თეთრ ხილიანო“, „მშობლის
სურათი“ და სხვ.

სიუჟარულის გრანძობის კეთილშობილება და

მშვენიერება ამღვრებულია ლექსებში: „შენ ზე-
დაზენზე, მე ანანურში“, „მე კრეყრუებზე ვაგმო-
ნებია“, „ბადებებიდან ბედგმომოქვედეს და
სხვ.

ცალკე უნდა მოიხსენიოთ ლექსი „შენ უფრო
მძლავრად წამოდეკ ფეხზე“. იგი მიძღვნილია
ილია ჭავჭავაძისადმი. პოეტი მკვეთრი ფერბით
ხატავს ამ დიდ მამულიშვილს, რომელიც მხარ-
ში ედგა დაცემულ სამშობლოს და უმაგალითო
ერთგულებით იბრძოდა მისი განახლებისათვის.

ლექსების ციკლი „ბრაკონიერები“ მიმართუ-
ლია იმ ადამიანთა წინააღმდეგ, რომლებიც
ბარბაროსულად ანადგურებენ ჩვეს ფაუნის და
ფლორას. პოეტი მოვეითხრობს ბრაკონიერთა
უღირს საქციელზე, მკაცრად გმობს მათ მოქმე-
დებას, რომელიც იწვევს საქართველოს ბუნე-
ბის მშვენიერების გაღარიბებას. სხვათაშორის,
ამ თემას, უთუოდ, დიდი საზოგადოებრივი
მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, სამწუხაროდ, მხატ-
ვრულ ლიტერატურაში იშვიათად თუ პოულობს
ასახვას.

დასასრულ, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ
ზურაბ ლორთქიფანიძის ზოგიერთი ლექსი დაბ-
ლა დგას მხატვრული ღირებულების თვალსაზ-
რისით. ასეთ შემთხვევაში სკარბობს დეკლ-
მაციურობა, რაც უფერული და მოსაწყენი ხდე-
ბა. ზოგჯერ ზედმეტი პროზაულობა ლექსს ში-
ნაგან დინამიურობას უკარგავს და, ამდენად,
მოსუსტებს ემოციურა ზემოქმედებას მხრიაყ-

ბიძი ლომია

კოეტის ნააზრები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე

ამ მოკლე ხანში გამოქვეყნდა ცნობილი
ქართველი მწერლების არა მარტო მხატვრული
ნაწარმოებები, არამედ მათი ლიტერატურულ-
კრიტიკული და თეორიულ-ესთეტიკური ნარ-
კვევების კრებულები. მკითხველი საზოგადოების
ურთაღლება მიიზურო გიორგი ლეონიძის, კონ-
სტანტინე გამსახურდიას, ირაკლი აბაშიძის,
ლუი ჭიანჭლის, შალვა აფხაიძის, სიმონ ჩიქო-
ვანის, ვიორჯი ნატროშვილის, აკაკი გაწერ-
დიას, გიორგი შატბერაშვილის და ვიქტორ
გაბესკირიას ნარკვევებში ლიტერატურისა და
ხელოვნების მნიშვნელოვან საკითხებზე.

ვიქტორ გაბესკირიას წიგნი „წერილები ლი-
ტერატურაზე, ხელოვნებაზე“, ურთაღლებას იქ-
ვეს უმაჯორესად ამა თუ იმ მხატვრულ ნა-
წარმოებზე კონკრეტული, დეკორატიული ანა-
ლიზით, ლიტერატურული საკითხების ღრმა
ცოდნით და უმეტეს შემთხვევაში დამაჯერებე-
ლი დასკვნებით. ეს წერილები შეეხებიან რო-

გორც თანამედროვე მწერლებსა და მათ ნა-
წარმოებებს, აგრეთვე გამოჩენილ ძველ ქართ-
ველ მწერლებს (შოთა რუსთაველი, ილია ჭავ-
ჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალ-
ქსანდრე ყაზბეგი და სხვ.).

საგულისხმოა, რომ ე. გაბესკირია არ იტ-
არგლება მარტოდენ მხატვრული ლიტერატუ-
რით, იგი საინტერესოდ მსჯელობს თეატრისა
და დრამატურგიის რთულ პრობლემებზე,
მხატვრობაზე (ქეთევან მღალაშვილის სურა-
თების გამოლენაზე), თარგმანებზე (პეტრეფი,
რასულ გამახატოვი), ხალხურ პოეზიაზე („არ-
სენას ლექსი“) და სხვ.

ე. გაბესკირიას წიგნი საყურადღებოა, რი-
გორც მწერლის შეხედულებათა გამოხატულება,
რა იტაცებს, რა ხიბლავს მას წარსულსა და
თანამედროვე მოკალმეების მხატვრულ ნაწარ-
მოებებში, მხატვრულ ნაარზეში.

ე. გაბესკირია მწერლის როლს, მნიშვნელო-
ბას აფასებს იმის მიხედვით, თუ რამდენად ეკ-
სახებრება იგი საზოგადოებას, ხალხს. რაგინდ
ნიჭიერი არ იყოს მწერალი, მას უპირველეს
ყვლითა ესაჭიროება მოქალაქეობრივი შეგ-

ვიქტორ გაბესკირია, „წერილები ლიტერატუ-
რაზე, ხელოვნებაზე“, ლიტერატურა და ხელო-
ვნება, 1963.



ნება, საქვეყნო ინტერესებით გამსჭვალვა, ხალხისადმი თავდადებული სამსახური. ერთ-ერთი თავის საუკეთესო ნარკვევში — „დიდი მწერალი, დიდი მოქალაქე“, რომელიც მიძღვნილია ვაჟა-ფშაველასადმი, ვ. გაბესკირია სწორედ ამ საკითხს არკვევს, იგი წერს: „მშრომელი ხალხი — ერთადერთი სწორად წარმართველი ძალი ცხოვრებისა — მწერლისაგან ყოველთვის მოითხოვდა, რომ ნიჭიერებასთან ერთად დიდი მოქალაქეობაც გამოემტკიცებინა; მოქალაქეობას მოკლებულა მწერლის ნიჭს ხალხს ყოველთვის ისე მიიჩნევდა, როგორც ტალახში ჩაგდებულ ოქროსა; მისი სამართლიანი თქმით, ვაჟა-ფშაველას ნიჭის ელვარება ყველასათვის ნათელია, მაგრამ ამავე დროს დიდი ინტერესს შემცველია მისი მოქალაქეობის დახასიათება, მისი მაღალი ზნეობის გამოქვეყნება.“

ვაჟა-ფშაველას, როგორც დიდი მოქალაქის სულიერი ცხოვრების დასაღვენად მისი მხატვრული ნაწარმოებები ძალიან ბევრს გვიჩვენებს.

ვაჟა-ფშაველას სწორუბოვარ მოქალაქეობას მთელა სიღადადთ ამტკიცებს ლექსი „ჩემი ვედრება“. ამ ნაწარმოებში ავტორი თავის თავს აცხადებს დამაგრებლის მოსარჩლედ (ცხენხლობდღე, მუღამ მზად ვიყო დამაგრებლის მცველად“). მისი მისწრაფებაა, რომ „აშორდეს მგლობა“ და საკეთილად შრომობდეს („შვილთ საგომად არ გამიხადო ჩემი მუღამი დასაყოფი“). ვაჟა-ფშაველამ მტკიცედ და ძლიერად არის დამკვიდრებული მხოლოდ ხალხის სიკეთისათვის მხრუნველი სული. „ხალხის სამსახური, მისი ბედისა და უბედობის გამო მღელვარება იყო ვაჟის შემოქმედების დახასიათებელი თვისება დასაწყისიდან — დასასრულამდე; სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო ენაიდან ვაჟი, როგორც მოქალაქე, მუღამ ხალხისათვის საკეთილდღეო ფიქრებში იყო გამსჭვალული; პოეზია ხომ მწერლის ფიქრების, ზრახვების, მისწრაფებების გამოვლენაა, — სხვა არაფერია“. მწერლის მაღალი მოქალაქეობა საფუძველია ყოველი სახის ძვირფასი ნაწარმოებების შექმნისა, იგი ხელს უწყობს პატრიოტიზმის, ბუნების სილამაზის, სიყვარულის გამოუმსატრეველი ღირსეული ნაწარმოებების გამოქმნას.

ამაღლებული მოქალაქეობის ძლიერ თვისებას ხედავს ამ წიგნის ავტორი ილია ჭავჭავაძისა და ავადი წერეთლის შემოქმედებაშიც. „ილია ჭავჭავაძის პოეზია ჰუმანიზმისა და კაცობოყვარებობის უმაღლესი გამოხატულებაა“.

კრებულში ყველაზე მეტი რაოდენობის ნარკვევებია მიძღვნილი ვაჟა-ფშაველასადმი.

შეიძლება ითქვას, რომ ამ ნარკვევებში დახასიათებულია ვაჟა-ფშაველას ბრწყინვალე შემოქმედების ისეთი მხარეები, რისთვისაც მანამდე

თითქმის არავის მიუძღვეია ყურადღება. ვ. გაბესკირია გუმოვებით და დამკვიდრებულმა ალიზით წარმოგვიდგენს გენიალურმა მხატვრულ პოეტის ლიტერატურულ შემკვიდრებობას.

რამდენიმე წერილი არის მიძღვნილი კრებულში შოთა რუსთაველისა და „ვეფხისტყაოსნისადმი“ („ვეფხისტყაოსნის მარგალიტი“, „ვეფხისტყაოსნის“ სტრიქონები“, „ვეფხისტყაოსნის“ ერთი ტაბის გაგებისათვის“). ზოგერთი ტექსტოლოგიური ხასიაფის შენიშვნის გარდა, ვ. გაბესკირია გვაცნობს თავის დაკვირვებებს „ვეფხისტყაოსანში“ წარმოდგენილ მხატვრული სახეების შესახებ, უმთავრესად ისეთებზე, რომლებიც აღწერ, როგორც მხატვრული სახეების გამომხატველი სრულიად არ ყოფილან შემწველნი, ან თუ შეუნიშნავთ, კვლავ სურს საუბარი მათ ღირსებაზე. ვ. გაბესკირია მიუთითებს: „ვეფხისტყაოსნის“ მარგალიტად მხოლოდ შოთა მხატვრულ სახეებსა და ავტორისთვის როლი ყოველთ, „ვეფხისტყაოსანში“ ისეთი სტრიქონებიც გვხვდება (ზნორად რამდენიმე ერთად), რომლებიც პოემის ორგანული ნაწილები არიან, მაგრამ ამავე დროს დამოუკიდებელ ლირიკულ ლექსებს — შედეგებს წარმოადგენენ“ (გვ. 147). ასეთი „ვეფხისტყაოსანში“ მრავალადაა. ვ. გაბესკირია საგულსხმო დავიკრებდა. თავისი შეხედულების დასადასტურებლად ვ. გაბესკირიას საკმაოდ ბევრი მხატვრული სახე ანუ როგორც თითონ უწოდებს „მარგალიტი“ მოაქვს „ვეფხისტყაოსნიდან“. იქედან დავასახელებთ მხოლოდ ორთოდეს: ერთზეც ჟაჟარისაგან დიდად მწვეუზებუელი მეფე როსტევეანი იყითხავს, როგორ არის ჩემი ასული თინათინო, რაც ამკვარად არის გამოთქმული „ვეფხისტყაოსნის“ 104 სტროფში. „ხანი გამოხდა, იციოხა: „ნეტა რასა იქმნის ქალი, ჩემი ღბინი და ჟავარი, ჩემი სოფლისა წყალთა“. ვ. გაბესკირია შენიშნავს: „რუსთაველი თინათინს ჟავარს კი არა მზესაც აღარებს, ამგვარ მებრადორებს პოეზიაში ზნორად ხეუდებთ, მაგრამ ამაზე მეტად ჩვენ გვბობლავს და გვაოცებს ღამაში ასულის წყლთან მძისგაკვება. ეს, ერთი შეხედვით, მოუღონდელი და საყვრელი შედარება ბუნებრივად გვეჩვევება შემდეგ გარემოებათა გამო: წყალი, რა თქმა უნდა, წყაროსი, სისხეტაკის, სინაზის, კეთილყოფილობის გამოხატულებაა; თინათინიც ასეთივეა მამის თვალში; თინათინის ღბინი, თინათინის კისკისი ის მრავალჯერ, აღბათ, ისევე გუხნარება, ისევე დაწაფდება, როგორც წყაროს წყალს; ეტყობა, რომ როსტევეანი თინათინის სილამაზისა და სისხეტაკის ელვარებას ისე შეხნარას როგორც წყლის ანკარებას, მაცოცხლებლად ებუერება მის სულს“ (147—148).

ვ. გაბესკირიას აზრით, „ამაზე საკვირველი და თანამედროვე პოეტის თელახარბისით ღიღად ორიგინალურ მხატვრულ სახედ შეიძლება მო-

უნიონთ „ეფესისტკაოსნის“ შემდეგი ტაბეები: „მე თავი ჩემი ნებითა ჩემითა მოგაკვლევინო, ეთა უსტარი ბეღითი აღვილად დავაიყვირო“ ამას ეუბნება ასმათი მასზე სიკვდილით დამუქრებულ ავთანდილს; მე სიკვდილისა არ მეშინია, ოღონდ მოძმის ღალატს ნუ მოხვდ და მზად ვარ ჩემი თავი ისე დავახვეინო შენს ხმალს, როგორც დაუხვეია შენს ხელებს არასასიამოვნო ამბის მათუყვებელი უბრალო ზარათით“ (გვ. 149).

მეგვარი ორიგინალური მხატვრული სახეები „ეფესისტკაოსანში“ უთვალავიან, ასევე ჩვენი ავტორი.

კრებულში დიდი ყურადღება აქვს მიძევებული თანამედროვე ქართულ ლიტერატურას. ვ. ვახუშტისა და სინტერესო დაკვირვებებს გამოსთქვამს საბჭოთა მწერლობის მრავალი წარმომადგენლის შესახებ. მისი ყურადღების ცენტრშია გალაკტიონ ტაბიძე და ლეო ქიაჩელი, გიორგი ლუნიძე და გერონტი ქიქოძე, გიორგი ნატროშვილი და ანა კალანდაძე და სხვ.

თანამედროვე პოეტებიდან ე. ვახესკირია ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევს ახალი ქართული პოეზიის სიამაფეს — გალაკტიონ ტაბიძეს. იგი გალაკტიონის შემოქმედებას არ განიხილავს ტრაფარეტულად, თვითვე წერბრში მსჯელობს კონკრეტულად დიდი ქართული პოეტის ცალკეული ლექსის შესახებ. მისდამოა მიძღვნილი რვა მცირე პოეტობის ნარკვევი. ერთად თავმოყრილი ეს თავისებური წერილები წარმოადგენს გვაძლევს ვალ. ტაბიძის შემოქმედების სინტერესო მხარეებზე. ვ. ვახესკირია ხელაღებით არ აქვებს ვალ. ტაბიძეს, მასში იგი ხელაღეს სადაოსაც, გამოართლებულსაც, და ამის თანაბრე მთელი პირდაპირებით ლაპარაკობს. მაგრამ მისთვის მთავარი ცალკეული ლექსის დაკვირვებელი, საქმის ცოდნით ჩატარებული ანალიზის შედეგად გვიჩვენოს ის სახალე, ნოვტორული, განუყოფელი, რაც ნიშანდობლივია შესანიშნავი ქართული პოეტისათვის.

ახასიათებს რა ვალ. ტაბიძის ლექსს — „მამული“, იგი წერს: „ამ ლექსის მიმართ თავს ვერ ვიკავებ და ვამბობ, რომ ის ნამდვილი შედეგურია. შედეგურად მიმანია იმის გამო, რომ ვგრძნობ, ყველაფერი, რაც ამ ლექსში არის ნათქვამი, ავტორს ნამდვილად განუძღია: არც ერთი სიტყვა ლექსში ხელოვნურად არ არის შემოტანილი (ნამდვილი განცდა ამის საშეალებას არ მისცემს მწერალს), ამ ლექსში არ იგრძნობა განსაკუთრებული ზრუნვა კარგი რითმების და სახეების შესაქმნელად; აქ მხედველობაში ავტორს მხოლოდ ის მასალა აქვს მიღებული, რაც ხელს შეუწყობს მისი განცდის გამოქვალანებას“.

ვალ. ტაბიძის მეორე ლექსს — „გზებთა-ქება ნიკორშინდას“, დახასიაფებულად ვახუშტურად დიადი და სვეტაკი ნაწარმეებდას ვახუშტურად სვეტულია გრძნული სტიქონებით: „დაფინახეთ საყვარელი ხელოვნებით ნაგები ნიკორშინის კედლები, სვეტები, თაღები, ვუკუტობი მათ და ვგრძნობთ, რომ მშვენიერი არიან და ჰეროვანნიც, ვუმბათუქვეს, სვეტებს შორის, ციეს, დაღმებულ სიერცესაც ვხედავთ, სადაც ვაისმის მოულოდნელად შემოსული გალაკტიონის მიერ მოვლი ზმით, მოვლი გზეებით ნათქვამი: „ნეტა ვინ მოქარგა, და როცა მოქარგა, შეგ მიკარგ-მოქარგა გზნება — ნიკორშინდა!“, მივიჩნია ძალის სტიქონებით ეს სტიქონები, ვინაიდან უსახლერი ამბებს მოგვთხრობს, პოეტის ჭაღოქრულ ოსტატობასაც ვავარძნობინებს“ (გვ. 290—291).

ვ. ვახესკირია მიუთითებს, რომ ფორმის მხრივ ვალ. ტაბიძეს მრავალი სახალე ახასიათებს, მაგრამ ამავე დროს იგი არ უარყოფს „ძველ ფორმასაც“. მისი „განცდანი ხან ახალი, ხან ძველი ფორმი ვველინებოდნენ; როდესაც ეს განცდანი ნამდვილად პოეტური და დიადი იყო, ძველ ფორმასაც იშვევნებდნენ და ახალსაც“ (გვ. 299). ეს ნიშნავს იმას, რომ ნოვტატობასთან ერთად ვალ. ტაბიძის პოეზიაში შეინიშნავთ ტრადიციის ძალასაც. ეს არის კუშმარატი პოეტის შემოქმედებითი გზა.

ვალ. ტაბიძის პოეზია მდიდარია ორიგინალური და ღრმად პოეტური მხატვრული სახეებით. ვ. ვახესკირია უმთავრესად ახასიათებს იმ მხატვრულ სახეებს, რომელნიც მსჯელობის საგნად ჯერ არ ვამზადარა, როგორც მავალითად, აიწ გზა მიტოვებული, როგორც ძველი სიუვარული“, „მისინ იყო, მთის მოხველად ვაზაფხულისა მორთოლვარე ხელი“, „ტყე ტამარივით იყო მალალი“, „ნიავა ამ თქმით ზეერი იყინა, ტყეში შეიჭრა და მიძინა“ და სხვ. მართლაც, რომ ლამაზი და ორიგინალური მხატვრული სახეებია...

ვ. ვახესკირია თავის ლიტერატურულ-კრიტიკულ მსჯელობაში ვარიდება უკვე სხვების მიერ არა ერთი გზის ნათქვამის განმეორებას, იგი ყოველთვის ცდილობს ახალი კუთხით მიუღვეს, ახალი კუთხით ვამუქოს მწერლის შემოქმედება. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მისი წერილი ანა კალანდაძის ლექსებზე.

ვ. ვახესკირიას წიგნი — „წერილები ლიტერატურაზე, ხელოვნებაზე“, საინტერესო კრებულია იგი საველისში დაკვირვებებს წარმოგიდგენს ქართულ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე.

„ანა ფრანკის დღიური“

მარკუნსონი

მეორე მსოფლიო ომი უკვე კარგახნის დამთავრებული იყო, როცა პოლანდიაში გამოვიდა წიგნი სათაურით — „ანა ფრანკის დღიური“. წიგნი გამოცემისთანავე სენსაცია გამოიწვია. სულ მოკლე ხანში „ანა ფრანკის დღიური“ ითარგმნა მსოფლიოს მრავალ ენაზე და ორი მილიონი ეგზემპლარის რაოდენობით გავრცელდა. (აღსანიშნავია, რომ „დღიურები“ პირველად პოლანდიურ ენაზე დაიწერა, თუმცა ავტორი გერმანელი იყო. გერმანულად შემდეგ ითარგმნა). ახლა მსოფლიოს ყველა კუთხეში იცნობენ ანე ფრანკის შემაძრწუნებელ თავგადასავალს.

ანე ფრანკის დღიური გვიხილავს გულწრფელობით, პირდაპირობით, პატარა გოგონა გეოცებს თავისი პეტითა და ფსიქოლოგიური ანალიზის უნარით. დღიურში ასახულია ეიწრო თავშესაფარში გამომწყვდეული, დაქალიშვილების პროცესის მყოფი გოგონას შეუნიღბავი და შეუფერადებელი განცდები, სურვილები და აზრები.

...როცა ანე ფრანკის დღიური გამოვიდა, მსოფლიოსათვის უკვე კარგად იყო ცნობილი ფაშისტების მიერ ჩადენილი არაადამიანური, ენათაღუწრელი მხეცობა. ყველა მტარვალისა და კანბიბლის თავგასულობას გადააჭარბა ფაშისტების ნამოქმედლარმა. და იმ, ამ შანსა და ძრწოლავზე, არაადამიანურ ტანჯავზე მოუთხრობდა მკითხველებს ანე ფრანკი თავის დღიურში.

უჩვეული იყო როგორც ამ წიგნის, ასევე მისი ავტორის თავგადასავალი...

ანე ფრანკი დაიბადა 1929 წლის 12 ივნისს, მაინის ფრანკფურტში. როდესაც გერმანიაში ზელსთფლების სათავეში ფაშისტები მოექცნენ და ებრაელების დევნა დაიწყო, ანეს ოჯახი იძულებული გახდა პოლანდიაში გადასახლებულიყო. ანე ფრანკი მაშინ რვა წლისა იყო. ამსტერდამში ანე ჯერ პოლანდიურ სკოლაში სწავლობდა, შემდეგ კი ებრაულში.

1940 წელს გერმანიაში პოლანდიელები დაიპყრო და „...გამთა სიკვამი იძალა... — წერს ანე ფრანკი თავის დღიურში — ებრაელებს უნდა ეტარებინათ ყვითელი ვარსკვლავი, ჩაეპარებინათ ველოსიპედები, ეკრძალებოდათ ტრამვაით მგზავრობა... რაიმეს ყიდვა მხოლოდ სამიდან ხუთ საათამდე შეეძლოთ — ისიც მხოლოდ ებრაელთა სავაჭროში. საღამოს რვა საათის შემდეგ არა მარტო ქუჩაში გასვლას, არამედ ბაღში და აივანზე გაჩერების უფლებაც აღარ ჰქონდათ“.

ამ სიტყვებს როცა წერდა ანე ფრანკი, მაშინ

იგი ცამეტი წლისა და შეიღწეულს...
ლო ერთი კვირით ადრე, ზუსტად თავის დაბადების დღეს 12 ივნისს, (ანეს პირველი დღიური დათარიღებულია — 12 ივნისი 1942) გააღწევტი მან ყველა თავისი საიდუმლო არსებული მეგობრისათვის — კინისთვის გაეწავლა: „იმედი მაქვს, შემიძლია ვანდო შენ ვეელაფერი, ვანდო ისე, როგორც აქამდე არავის მივწოდებოვარ, იმედი მაქვს, შენ იქნები დიდი ნუგეში ჩემი“. ეს სიტყვები ჩაიწერა ცამეტწლის გოგონამ, ჩაიწერა უჩვეულო გულის კანკალითა და იმის მტკიცე რწმენით, რომ „...მოშავალში არც მე და არც სხვას არ დაგვიანტერესებს ცამეტი წლის მოსწავლე გოგონას გულწრფელი აღსარება“—ო, და იქვე ანე დაბეჯითებით განაცხადობს: „მე არ ვამიზრახავს ოდესმე ვინმეს ვაჩვენო ეს სქელუდიანი რვეული მაღალფარდოვანი სახელწოდებით „დღიური“, და თუ ვაჩვენებ, მხოლოდ მეგობარ ვაქვან ქალს, რადგან სხვებს იგი არ დაინტერესებს“. ეს არ იყო მოკრძალებული და აკვეცილობით ნათქვამი სიტყვები. ამ სიტყვების მტკიცედ სწამდა დღიურის ავტორს და ახლათ, ოდნავადაც არ დაეკვირვებულა ამ აზრის ჰისწორებაში. მაგრამ სულ სხვა ბედი ეტოვო წილად ანეს „სქელუდიან რვეულს“.

...როდესაც პოლანდიაშიც აუტანელი და შეუძლებელი გახდა ებრაელების ცხოვრება, ანე ფრანკის ოჯახმა გადაწყვიტა ამსტერდამის ერთი სახლის სხვეწზე დამალულიყო. ამ სახლის სხვეწზე ფრანკების ოჯახმა ორ წელზე მეტი გაატარა, ვიდრე 1944 წლის აგვისტოში მთელი ოჯახი ვესტპატის არ ნაუერდა ხელში. ჯერ კიდევ სხვეწზე გამოეკტილი ანე დღიურში შენიშნავდა: „გერმანელებმა დახვეწილი წამება მოაგინესო“, ხოლო იქვე სიანულთით ვანაცხადობდა: „რა ხალხია ეს გერმანელები! ოდესლაც მეც მათ ვეუფთვნებო, თუმცა დიდო ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც პიტლერმა კანონგარეშე გამოგაცხადა. ქვეყნად არ არსებობს უფრო დიდი მტრობა, ვიდრე იმგვარ გერმანელებსა და ებრაელებს შორისა ჩამოვარდნილი“.

გესტაპომ ანე ფრანკის ოჯახის წევრები სხვადასხვა საკონცენტრაციო ბანაკში დაქსაქსა. თითქმის ოჯახს ყველა წევრი აუტანელ ტანჯვაში გარდაიყვალა. 1945 წლის მარტში, ბერგენ-ბელზენის საკონცენტრაციო ბანაკში ხანგრძლივ ტანჯვა-წამების შემდეგ გარდაიყვალა ანე ფრანკი. მისაკისფერ ჰირს გადაურჩა მხოლოდ ანეს მამა—ოტო ფრანკი, რომელსაც განთავისუფლების შემდეგ ახლობლებმა გადასცეს სხვეწზე ნაპოვნი დღიური.

რაც მოვარია, და როგორც ეს თითქმის მისალოდნელი იყო, დღიურიდან როდესაც გვესაუბრება სიცოცხლეს მოძღულებული, ამათით და პესიმიზმით შეპყრობილი აღმაინი. ანე ფრანკი

„ანა ფრანკის დღიური“, გერმანულიდან თარგმნა ნელი ანაშუედიშა, საბჭოთა საქართველო, 1964.

ვის მთელი წიგნი — ეს არის სიციხელის სიყვარული, ნათელი და შიან დღეებზე ფიქრი, ფიქრი სწავლაზე, ოჯახზე და ყოველგვარ სიკეთეზე. მართალია, ანეს თავის დღიურში ხშირად უხდება უკვე მიგნებულ და ცნობილი კვშიარიტების გულუბრყვილოდ განმეორება, მაგრამ ყველაფერი ეს იმდენად კარგია და მიზნოდელი, რომ ვაიციებთ ცამეტი წლის გოგონას ასეთი ფსიქოლოგიური ჩაღრმავებულობა და აღამიანთა ხასიათების უწყვეტოდ ამოცნობა დახასიათება.

თუმცა, თვითონ ანეს, ყველაფერი ის რომ ვაყვებოდნა, რაც ზევით ვთქვით, საჭიროდ მიანდა: — ჩერ ისეთივე განათლებული გამხდარიყო, როგორც მისი ქვეყანი და ნიჭიერი და იყო. ბევრი ესაუბრათ აგრეთვე ფილოსოფიაზე, ფსიქოლოგიაზე და ფიზიოლოგიაზე (რომ ვიცოდე როგორ იწერება ეს ძნელი სიტყვები, ლექსიკონში ჩაიხებდე — წერს ანე). რაზედაც ჩერჩერობით არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა — ასე ფიქრობდა ცამეტი წლის გოგონა, რომელიც სხვენზე გამოეცტაო თავისა აბოლოლებით გარშემორტყმული, სიყვდილის ემაღეობდა და საკეთარ დღიურზე თავდახრალი ზანტად ითვლიდა უფერულ დღეებს.

ანე ფრანკი ვერ მოესწრო ცხოვრების ფართო გზაზე გამოსტეიყო და ზიარებოდა ამას, რასაც ცამეტი წლის გოგონა ინტუციით ვრძნობდა და შინაგანად განიცდიდა. მან არ იცოდა რა იყო ფილოსოფია, მაგრამ ამას ესწრაფოდა, მან არ იცოდა რა იყო ფსიქოლოგია და ფიზიოლოგია, მაგრამ მის დღიურში საოცარი სიზუსტითაა გახსნილი მის გარშემო მყოფი აღამიანების ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური მხარეები. ანეს არაფერი არ ეჩვენებოდა და არც არაფერს თხზავდა და იგონებდა. იგი დიდებულ სიზუსტითა და ტაქტით ყველაფერს თავის საბელს არქმევდა და მისთვის საჭირო მოვლენებს დიდი აღამიანის და დიდი მწერლის პოზიციებიდან სჭერტდა და აანალიზებდა. ერთხელ ვიღაცა ვაუფრთხილებდა მოაწვა კარს, (თავშესაფარში მცობვრებთა ყოველი ნაბიჯი, ყოველი მოძრაობა, ყოველი ვაფრთხეება განაგარიშებული და აღრებე იყო შეთანხმე-

ბული). სუნთქვაშეკრული ანე შენიშნავს: „კაკი, რომელიც ჩვენთან უნდა შემოსულყო, ჩემს წარმოდგენაში სწრაფად უხრდებოდა“ და ბოლოს უძლველ გოლიათად იქცა“-ო. ასეთი ზუსტი დეტალი შესწლო ანემ შიშით გამოწვეული განცდის გადმოცემა.

ცამეტი წლის მწერალს ჰქონდა ჩამოყალიბებული შემოქმედის უტყუარო თვალი, მისთვის, როგორც მწერლისათვის, უკვე საიდუმლოებას არ წარმოადგენდა ის დეტალი, რომ თავმომაბეზრებელი, უხიავი და ახიარებული აღამიანი ასეთი ეითებით შეემატა: „იგი უკანვე შემოტრიალდა და მსუქანი, ბებერი მეთევზის ცლივით საზიზღრად და უხეშად აყვრიდა“.

ანესთვის უცხო არაა დახვეწილი იუმორის გრძნობა. მისი იუმორისტული შტრიხები ზედმიწევნით გადმოგვეყვს სიტუაცია.

და აი, ეს ოპტიმიზმი აღსავსე წიგნი, რომელშიც თავის გრძნობები და ინტერესები გავანდო ცამეტი წლის გოგონამ, ქართულადც ითარგმნა. (მთარგმნელი ნელი ამაშუკელი). თარგმანი შესრულებულია კარგი ქართულით. ანე ფრანკის ნათელი სტილი და ნათელი ფრაზა ქართულშიც არ ჰკარგავს გამჟღავნებასა და ელასტიურობას.

გვაქვს ერთი შენიშვნა მთარგმნელისა თუ გამომცემლობის მიმართ. გერმანულად ამ წიგნის სათაურია „Das Tasebuch des Anne Frank“. ე. ი. „ანე ფრანკის დღიური“ და არა ანა ფრანკის. ამ შემთხვევაში ანას დაწერა ისეთივე შედღამა როგორც, მაგალითად, ყველა ჩვენთაგანის საბელს სხვა ენაზე მთარგმნელმა ნებისმიერად რომ შეუცვალოს დაბოლოებაში სპოვანი. ამდაგვარი საბელებია: ლტე, ინგე, ილზე, ანე, არსებობს სახელი ანა, მაგრამ ფრანკს სწორედ ანე ერქვა. ამის გათვალისწინება მოუხდება, როგორც მთარგმნელს, ასევე გამომცემლობებს. სხვა მხრივ კი „ანე ფრანკის დღიურის“ გამოცემათ კიდევ ერთი კარგად თარგმნილი წიგნი შეემატა ქართულ ლიტერატურის საგანძურს.

ნოდარ რუხაძე

ՅՆԵՆ 80 ԺԺՅ.

ИНДЕКС
76128
216-71101000

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО „ЛИТЕРАТУРА ДА ХЕЛОВНЕБА“